ა. კოტლაბაშვილი

საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1962

6П1 ((41) (09)
622 + 669] (47. 922) (09) +9 (47.922)
Ჯ 64

წიგნში, რომელიც წარმოადგენს არქივებსა და მუზეუმში ავტორის ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფს, გაშუქებულია საქართველოში სამთამადნო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარება გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მიმდინარე საუკუნის დამდეგამდე, ე. ი. ფეოდალიზმის დაშლისა და აღმავალი კაპიტალიზმის გამარჯვების პერიოდში და ნაჩვენებია მრეწველობის ამ დარგის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ პროცესებში.

ავტორი, ხელმძღვანელობს რა ვ. ი. ლენინის მითითებით, რომ გასული საუკუნის რუსეთის სამთო მრეწველობაში განსაკუთრებული სიცხადით აისახა საზოგადოებრივი მეურნეობის ორი წყობის შეცვლა, ცდილობს თვალი გაადევნოს ანალოგიურ მოელენას საქართველოს სინამდვილეში.

ნაშრომში საგანგებო ადგილი აქვს დათმობილი მოწინავე ქართველ მოღვაწეთა საქმიანობას ქვეყნის ეკონომიური განვითარების, კერძოდ, სამთო მრეწველობის განვითარებისათვის, რაც ლიტერატურაში დღემდე სათანადოდ არ არის გაშუქებული.

წინასიტყვა

მადნეულების დამუშავება ქართველი ხალხის სამეურნეო საქმიანობის ხანდაზმული დარგია, რომელიც რამდენიმე ათასი წლის ისტორიას მოიცავს. უძველესმა ქართულმა მეტალურგიამ განვითარების გრძელი, რთული და საინტერესო გზა განვლო და ეს დარგი არაერთი ბრწყინვალე აღმოჩენით იქნა გამდიდრებული, რომელთა ნაწილს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ამიტომ ბუნებრივია ის დაუცხრომელი ინტერესი, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებრიობა ამჟღავნებს ქართული მეტალურგიის წარსულისადმი.

მაგრამ ავტორის მიზანს ამჟამად არ შეადგენს ასეთ ვრცელ ქრონოლოგიურ საზღვრებში გააშუქოს საქართველოში სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარება. წინამდებარე ნაშრომის ამოცანაა მკითხველ საზოგადოებას გააცნოს აღნიშნული დარგის მდგომარეობა ერთ მეტად მნიშვნელოვან ეტაპზე — გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან მიმდინარე საუკუნის დამდეგამდე, ე. ი. ფეოდალიზმის დაშლისა და აღმავალი კაპიტალიზმის გამარჯვების პერიოდში; უჩვენოს მრეწველობის ამ დარგის როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ პროცესებში.

ამასთან, ვხელმძღვანელობდით რა ვ. ი. ლენინის მითითებით, რომ გასული საუკუნის რუსეთის სამთო მრეწველობაში განსაკუთრებული სიცხადით აისახა საზოგადოებრივი მეურნეობის ორი წყობის შეცვლა, ჩვენ შევეცადეთ თვალი გაგვედევნებინა ანალოგიური მოვლენისათვის საქართველოს სინამდვილეში.

ნაშრომში დამოწმებული ფაქტობრივი მასალიდან ჩანს, რომ მრეწველობის ამ დარგმა დადებითი როლი შეასრულა ქვეყნის შიგნით მიმდინარე საზოგადოებრივ-ეკონომიურ პროცესებში. ამავე მონაცემებით ირკვევა, რომ მრეწველობის საკვლევ დარგში წარმოების ახალი, კაპიტალისტური წესების ელემენტებმა თავი იჩინეს ჯერ კიდევ ფეოდალიზმის წიაღში, რამაც კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ქვეყნის საერთო განვითარების საქმეში.

ამ საკითხების შესწავლისას გამოირკვა ისიც, რომ მოწინავე ქართველ საზოგადოებრიობას საქართველოს ეკონომიური განვითარების ერთ-ერთ ღონისძიებად მიაჩნდა ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება. ამიტომ ქართველ მოღვაწეთა ყველაზე პროგრესული წარმომადგენელნი — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვები უანგაროდ და წარმატებით იღწვოდნენ აგრეთვე სამთო მრეწველობის განვითარებისათვის, რაც ლიტერატურაში დღემდე სათანადოდ არ არის გაშუქებული. ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ ეს ხარვეზი ნაწილობრივ მაინც ამოგვევსო და ამ მიზნით წინამდებარე ნაშრომში მისთვის საგანგებო ადგილი დაგვეთმო.

XIX საუკუნეში საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის ისტორიის ასეთ ასპექტში განხილვა, ჩვენის აზრით, ხელს შეუწყობს აღებულ პერიოდში ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების სრულყოფილად შესწავლას. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამ საკითხით დაინტერესებულია როგორც საბჭოთა კავშირის საზოგადოებრიობა, ისე მოძმე დემოკრატიული ქვეყნების სამეცნიერო წრეებიც.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვიხილავთ სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის მხოლოდ ძირითად, ყველაზე დამახასიათებელ და ნაკლებად შესწავლილ დარგებს. ნაშრომის უკვე აღნიშნული მთავარი დანიშნულების გამო ჩვენ შეგნებულად მოვერიდეთ ამ დარგების წმინდა ტექნოლოგიური მხარეების განხილვას. მათ, ისიც მოკლედ და ზოგადად, მივმართავთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო ხდებოდა ამა თუ იმ საკითხის დასაბუთებისათვის.

წიგნი, რომელსაც მკითხველ საზოგადოებას ვთავაზობთ, წარმოადგენს არქივებსა და მუზეუმებში ავტორის ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფს. მასში აღძრული საკითხების აღნიშნული თვალსაზრისით განხილვა პირველი მორიდებული ცდა არის და ამიტომ ნაშრომი უპრეტენზიოა.

ყველა სამართლიან შენიშვნას ჩვენ მადლობით მივიღებთ.

დასასრულ, სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია უღრმესი მადლობა მოვახსენო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა ს, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა ნაშრომში დასმული საკითხების კვლევა. უღრმეს მადლობას მოვახსენებ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფ. ა ლ. ღ ლ ო ნ ტ ს, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის დირექტორს, მკვლევარ ა ბ. ი ო ვ ი ძ ე ს მუშაობის პროცესში აღმოჩენილი დახმარებისათვის.

ა ვ ტ ო რ ი

შესავალი

საკითხის შესწავლის მდგომარეობა. შრომის მიზანი და ამოცანები. ლიტერატურა და წყაროები

სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია. ამიტომ XIX საუკუნეში მისი განვითარების შესწავლა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგან ეს საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენში სამრეწველო კაპიტალიზმისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიასთან.

მაგრამ, როგორც ვნახავთ, ამ დარგის განვითარება დღემდე საგანგებოდ არავის შეუსწავლია და ამიტომ ამ საკითხზე არც სპეციალური გამოკვლევა არსებობს. მისი ცალკეული საკითხი ზოგიერთ მკვლევარს მხოლოდ სხვა რომელიმე პრობლემასთან დაკავშირებით აქვს მოკლედ განხილული.

წინამდებარე შრომის მიზანია აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივად მაინც შევსება, ე. ი. გამოიკვლიოს XIX საუკუნეში საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის ადგილი და როლი სახალხო მეურნეობაში, აგრეთვე ის ძირითადი სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ცვლილებანი, რომელთაც ქვეყნის საერთო განვითარების შედეგად ადგილი ჰქონდა მრეწველობის თვით ამ დარგში, კერძოდ, წარმოების ახალი, კაპიტალისტური წესების ჩასახვისა და განვითარების მიმართულებით.

დასახული ამოცანის დაძლევას მნიშვნელოვნად ართულებდა ის გარემოება, რომ ამ საკითხის შესახებ დოკუმენტური წყაროების მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული და სამეცნიერო ხმარებაში შეტანილი. ამას გარდა, რევოლუციამდელი, არც თუ ისე მრავალრიცხოვანი ლიტერატურუ-

ლი წყაროები სულ სხვა დანიშნულებისათვის იყო განკუთვნილი. მათი ავტორები მეთოდოლოგიურადაც არასწორ ნიადაგზე იდგნენ და ამიტომ ჩვენთვის საინტერესო პრობლემები ამ შრომებში დასმულიც არ არის.

ყველაზე ადრინდელ ლიტერატურულ წყაროს საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის ისტორიისათვის წარმოადგენს ინჟ. ს. გულიშამბაროვის შრომები: „თბილისის გუბერნიის ფაბრიკა-ქარხნების მიმოხილვა“ და „ამიერკავკასიის ფაბრიკა-ქარხნების მიმოხილვა“ [1]. ორივე ეს „მიმოხილვა“, განსაკუთრებით მეორე, საინტერესო მასალას შეიცავს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის როგორც ცალკე დარგების, ისე ფაბრიკა-ქარხნების ისტორიისა და მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის შესახებ. „მიმოხილვაში“ დამოწმებული ცნობები ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაზე ცხადჰყოფენ ამ დარგის კაპიტალისტურ ბუნებასა და, ამის საფუძველზე, საბადოების მტაცებლურ ექსპლოატაციას. „მიმოხილვაში“ მითითებულია აგრეთვე ის მიზეზები (უმთავრესად ტრანსპორტი, წვრილ მრეწველთა პრიმიტული მეტოქეობა), რომელნიც ართულებდნენ მსოფლიო ბაზარზე ჭიათურის მადნის მიერ პირველობის მოპოვებას.

ავტორი, ეხება რა ზემო იმერეთის („ჭალის მთის“) ნავთობის საბადოებს, იმოწმებს საინტერესო ცნობას, რომლის მიხედვით, ამ საბადოების ექსპლოატაცია წარმოებდა ადგილობრივი გლეხების მიერ ჯერ კიდევ 80-იან წლებამდე, ვიდრე მათ სამრეწველო ექსპლოატაციას დაიწყებდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი.

მაგრამ აღნიშნული „მიმოხილვები“ თავისუფალი არ არის მნიშვნელოვანი, უმთავრესად მეთოდოლოგიური ხასიათის, ნაკლოვანებებისაგან. მრეწველობის ამა თუ იმ დარგს ავტორი განიხილავს საერთო საზოგადოებრივ-ეკონომიური პროცესებისაგან იზოლირებულად, რის გამოც ცალკეული დარგის აღმავლობა თუ დაქვეითება ახსნილია მხოლოდ საწარმოო ტექნიკის დაბალი დონით, უკეთეს შემთხვევაში კი, უბრალო კომერციული მიზეზებით.

იმის გამო, რომ ს. გულიშამბაროვს შედარებით ნაკლებად

უსარგებლია საარქივო წყაროებით, მის შრომებში დაშვებულია ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებიც. მაგალითად, „მიმოხილვაში" აღნიშნულია, რომ ჭიათურის საბადოების შესწავლა აკად. აბიხმა თითქოს მხოლოდ ინჟ. კომაროვის წერილის გაჩოქვეყნების (1854 წ.) შემდეგ დაიწყო [1/70]. ამავე საბადოების სამრეწველო ექსპლოატაციის დამწყებად ავტორი მიიჩნევს ბარონ ფონ მერცენფელდს, ხოლო ადგილობრივ მეწარმეებს — მის მიმბაძველებად [1/71]. ეს აზრი არ ეთანხმება უამრავ საარქივო საბუთებსა და სხვა მონაცემებს.

ასეთივე მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება ამიერკავკასიაში სამთამადნომეტალურგიულ მრეწველობაზე სპ. ესაძის [2], ა. მ. შოსტაკის [3], ო. კარაპეტიანისა [4] და სხვათა ბროშურებიც. ამ ბროშურების ძირითადი მიზანი იყო აღნიშნული დარგის განვითარების საქმეში მეფის მთავრობის დამსახურების ჩვენება. ისინი ერთგვარი ანგარიშის ხასიათს ატარებენ და ამ დარგის განვითარებას ცალმხრივად აშუქებენ ცარიზმის საამებლად. მიუხედავად ამისა, ეს ბროშურებიც მკვლევართათვის საინტერესო მასალას შეიცავენ, განსაკუთრებით ესაძის შრომა, რომელშიც ციტირებულია რამდენიმე ისეთი მნიშვნელოვანი ცნობა, რომელთა დედნები არ შემოწახულა, და ამდენად ესაძის შრომის ეს ნაწილი ერთგვარი პირველადი წყაროს როლს ასრულებს.

საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის შესწავლის თვალსაზრისით საგულისხმოა ესაძის ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს სამთამადნომეტალურგიულ მრეწველობაში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მიმართავდნენ როგორც იძულებით, ისე დაქირავებულ მუშათა შრომას. ამავე ცნობით, XIX საუკუნის დასაწყისში პერიოდულად მხოლოდ ადგილობრივი გლეხები მუშაობდნენ დაქირავების წესით და ძალიან ხშირად ისინი ქარხნებზე მიწერილ გლეხთა რაოდენობას ჭარბობდნენ.

აღნიშნული ავტორების ნაშრომებში უპირატესად საუბარია რეფორმამდელი პერიოდის სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის მდგომარეობაზე. რაც შეეხება რეფორმისშემდგომდროინდელ მრეწველობას, აქ ძირითადად აღწერილია

ბაქოს ნავთობის მრეწველობა, სპილენძის წარმოება, ტყიბულის ქვანახშირისა და ჭიათურის მანგანუმის საბადოთა დამუშავება. აღწერილია აგრეთვე სხვა სასარგებლო მინერალების საბადოებიც, მაგრამ სამთო მრეწველობის ისეთი საინტერესო დარგები, როგორიცაა საქართველოში რკინის წარმოება და ნავთობის სარეწავები, მხოლოდ გაკვრით არის მოხსენებული ყოველგვარი ანალიზის გარეშე. მაგალითად, კარაპეტიანი აღნიშნავს ფოლადაურის ქარხნის გაუქმების ფაქტს, მაგრამ რატომ შეწყვიტა მოქმედება ამიერკავკასიისათვის ესოდენ საჭირო წარმოებამ, ახსნილი არ არის, რადგან თვით ავტორს ეს მიზეზები არ გამოურკვევია.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაც, რომელიც ამ ბროშურების დაწერის მომენტისათვის უკვე გრანდიოზულად იყო გაზრდილი, გაშუქებულია მხოლოდ (მადნის მოპოვება და ექსპორტი) მრეწველთა საბჭოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობების საფუძველზე და ისიც არა ყველა წლების მიხედვით.

რაც შეეხება მრეწველობის ისტორიულ ფაქტებს, ისინი ხშირად არასწორადაა გადმოცემული. მაგალითად, თუ ს. გულიშამბაროვი საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის დასაწყისად 1879 წელს მიუთითებდა, ო. კარაპეტიანი — 1878 წელს. ინჟ. გულიშამბაროვი წერდა, რომ ამ მრეწველობის პიონერი იყო უცხოელი კაპიტალისტი, კერძოდ, მერცენფელდი; კარაპეტიანის მონაცემებით — ადგილობრივი წვრილი მრეწველები, ხოლო შოსტაკი მრეწველობის პიონერად აკაკი წერეთელზე მიუთითებს.

ასეთია მოკლედ საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის ისტორიაზე რევოლუციამდელი ავტორების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების ზოგადი სახე.

საბჭოთა პერიოდის ლიტერატურული წყაროებიდან უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ქს. ვ. კვანტრეს შრომა — „საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია“ [5]. იგი ჯერჯერობით ერთადერთი ნაშრომია, რომელიც აღნიშნული დარგის მუშათა მატერიალურ და უფლებრივ პირობებს საკმაოდ ვრცლად ეხება.

როგორც სათაურიდანაც ჩანს, კვანტრეს შრომა მიზნად ისახავს მხოლოდ სამთამადნო მრეწველობის ერთი კერძო საკითხის — მუშათა მოძრაობის — შესწავლას. მიუხედავად ამისა, ავტორი, ფართოდ სარგებლობს რა თვით მრეწველობის მდგომარეობის ამსახველი საარქივო და გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობებით, ამავე დროს მრეწველობის ზრდა-განვითარების საკითხებსაც ეხება. მაგრამ კვანტრე საქართველოს სამთამადნო დარგებიდან მხოლოდ ტყიბულისა და ჭიათურის მრეწველობას იხილავს და ისიც საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრებისაგან განყენებულად.

1830 წელს გამოქვეყნდა დ. წერეთლის ვრცელი შრომა — „შავი ქვა" [6]. ავტორი იმოწმებს ჭიათურის მრეწველთა საბჭოს მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მასალას და ვრცლად იხილავს მადნის მოპოვებისა და მისი ექსპორტის ზრდას, აგრეთვე მსოფლიო ბაზარზე ქართული ძანგანუმის ადგილის საკითხებს.

წიგნში ფართოდ არის განხილული აგრეთვე ჭიათურის მრეწველობის ისტორიის ცალკეული საკითხები. ავტორი ემყარება პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს და ასკვნის, რომ აღნიშნულ მრეწველობას საფუძველი ჩაუყარა არა უცხოური ფირმების წარმომადგენლებმა, არამედ აკაკი წერეთელმა.

დ. წერეთლის შრომა ძირითადად სწორად აფასებს მრეწველთა საბჭოს როლს ჭიათურის მრეწველობის განვითარების საქმეში, მაგრამ ავტორს საჭიროდ არ მიუჩნევია ამ ორგანოს რიგი უარყოფითი მხარეების აღნიშვნა. იგი ვრცლად გადმოგვცემს ლიტერატურაში (ქ. კვანტრეს წიგნით) უკვე ცნობილ ფაქტებს ჭიათურის მუშათა გაფიცვებსა და რევოლუციურ მოძრაობაზე, მაგრამ რატომღაც არ მიუთითებს, რომ ამ გაფიცვების ერთ-ერთი მიზეზი იყო სწორედ საბჭოს შემარიგებლური პოლიტიკა მსხვილი მრეწველებისადმი.

პროფ. შ. ჩხეტიამ პ. აკირტასთან ერთად 1936 წელს გამოაქვეყნა საარქივო დოკუმენტებისა და საბუთების კრებული, საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ისტორიისათვის [7]. პირველად ამ შრომაშია დამოწმებული ფაქტობრივი მასალა მრეწველობის საკვლევ დარგში კაპიტალისტური ელე-

მენტების ჩასახვის შესახებ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. „კრებულის“ მდიდარი ფაქტობრივი მასალა დიდ დახმარებას უწევს მკვლევარებს და ამ შრომით ჩვენც ფართოდ ვისარგებლეთ.

მაგრამ „კრებულში“ შესული მასალა, სამწუხაროდ, მოიცავს მხოლოდ 1799—1830 წლების პერიოდს; მასში შესული არ არის მრეწველობის ჩვენთვის საინტერესო დარგების (რკინის, ნავთობისა და მანგანუმის) მდგომარეობის ამსახველი საბუთები, რადგან თვით ეს დარგები იმ პერიოდში ან საერთოდ არ არსებობდნენ (მანგანუმის), ან წვრილი გლეხური სარეწავების სახეს ატარებდნენ (რკინის, ნავთობის) და მათ საარქივო ფონდებში სათანადო ასახვა ვერ ჰპოვეს.

ფრიად სასარგებლო ცნობებს შეიცავენ პროფ. პ. გუგუშვილის შრომები [8], კერძოდ, სავაჭრო ურთიერთობაში რკინის ხვედრითი წონისა და მისი იმპორტის განუწყვეტელ ზრდაზე. ამ ცნობებით ნათელი ხდება, რომ ამიერკავკასია გასული საუკუნის დასაწყისიდანვე უმთავრესად რუსეთის რკინით მარაგდებოდა და ამ ლითონმა 50-იანი წლებისათვის ჩვენში გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია.

პროფ. პ. გუგუშვილისა და პროფ. ნ. ტყეშელაშვილის შრომებში [8,9] მოცემულია ფრიად საგულისხმო ანალიზი 90-იანი წლებიდან ჭიათურის მრეწველობაში მსხვილი მრეწველობის ხვედრითი წონის მნიშვნელოვან ზრდასა და, ამასთან დაკავშირებით, მუშათა კაპიტალისტური ექსპლოატაციის გაძლიერებაზე, რამაც გამოიწვია ანტაგონისტური კლასების დაპირისპირება და მათ შორის კონფლიქტები მუშათა გაფიცვების სახით.

საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის ისტორიისათვის ფრიად საინტერესო ცნობებსა და მეცნიერულ დასკვნებს შეიცავენ აკადემიკოსების ნ. ბერძენიშვილის, გ. ხაჭაპურიძის, ს. სტრუმილინის, პროფესორების: შ. ჩხეტიას, ა. კიკვიძის, ი. ანთელავას, დ. გვრიტიშვილის, შ. მესხიას, მ. დუმბაძის, გ. ძიძარიას, გ. ბაქრაძის, სიმონ ხუნდაძის, მ. როჟკოვას, ვ. მოჩალოვის, პ. რინძიუნსკისა და სხვა მკვლევარების შრომები, რომლებითაც ჩვენ ვსარგებლობდით.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარების საკითხებისადმი ქართველ საზოგადოებრიობის დამოკიდებულებაზე ფრიად ძვირფას მასალას შეიცავს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის, ანტონ ფურცელაძის, ეგნატე ნინოშვილის, ალექსანდრე წულუკიძის, ფილიპე მახარაძისა და სხვათა პუბლიცისტური შრომები.

რეფორმამდელი საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის ცალკეულ პრობლემებთან დაკავშირებული ერთობ საინტერესო ფაქტობრივი მასალა, კერძოდ, სოფლად მანქანა-იარაღების გავრცელებისა და ე. წ. „რაციონალურად“ მოწყობილი მამულების საკითხებზე, მოიპოვება ჟურნალ „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“, აგრეთვე გაზეთ „გუთნის დედაში“.

საგულისხმოა, რომ ამ ცნობების მიხედვით, სოფლად მანქანების გავრცელებისადმი მისწრაფება ჩვენში ჯერ კიდევ 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან იგი გაფართოვდა, ხოლო რეფორმის წინა წლებში მან უფრო ფართო ხასიათი მიიღო.

საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი რეფორმისშემდგომ დროის ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში: „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, „კრებული“, „ივერია“, „იმედი“, «Кавказ», «Обозрение», «Новое Обозрение», «Тифлисский Вестник»-სა და სხვაში. ეს მასალა ასახავს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების საქმეში მოწინავე საზოგადოებრიობის პრაქტიკულ მონაწილეობას, კაპიტალიზმის განვითარების საკითხისადმი საზოგადოებრიობის ნაირგვარ დამოკიდებულებასა და მუშათა საკითხებს, რომლებშიც აშკარად გამოსჭვივის მოწინავე საზოგადოებრიობის მისწრაფება ეროვნული ბურჟუაზიის განვითარებისა და უცხოური კაპიტალის შევიწროებისაკენ.

ოფიციალურ სტატისტიკურ შრომებში, ჰიათურის მრეწველთა ყრილობებისა და მისი საბჭოს ანგარიშებში საგულისხმო ცნობებია სამრეწველო პროდუქციის ზრდის, მრეწველობის ცალკე დარგების განვითარების, დაქირავებულ მუშა-

თა ზრდისა და კონცენტრაციის, სასაქონლო მეურნეობის გაფართოვების, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, აგრეთვე, სამრეწველო დასახლებათა ზრდის შესახებ. ამ ცნობათა ნაწილი ფრთხილსა და კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს, რადგან იმდროინდელი სტატისტიკა დეფექტიურობის გამო ზოგიერთ მნიშვნელოვან ხარვეზს შეიცავს არასიზუსტის მხრით.

სამთამადნო მრეწველობის შესახები მასალები დაბეჭდილია აგრეთვე «АКАК»-სა და «Кавказский календарь»-ში.

იმდროინდელი პრესა მრეწველობის მხოლოდ ცალკეულ და სხვადასხვა ისტორიულ პერიოდის კერძო საკითხებს ეხება. ის არ იძლევა მრეწველობის ძირითადი პრობლემების განზოგადებულ ანალიზს, მაგრამ მათ მიერ გამოქვეყნებული მასალის კრიტიკული შეჯერება ოფიციალურ სტატისტიკურ, საარქივო საბუთებსა და სხვა მონაცემებთან ასეთი ანალიზის საშუალებას მაინც იძლევა.

დასმული ამოცანის გადასაწყვეტად ფრიად საინტერესო და საჭირო მასალას შეიცავენ არქივებსა და მუზეუმებში დაცული ფონდები. განსაკუთრებით საინტერესო მასალებია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (ცსსა).

აღნიშნულ არქივებსა და ხელნაწერთა საცავებში ჩვენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვიმუშავეთ და მრავალი ფრიად მნიშვნელოვანი, ლიტერატურაში დღემდე უცნობი, საბუთი გამოვავლინეთ; ასევე ბევრი საყურადღებო ცნობა იქნა მიკვლეული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხისა და სხვათა ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში.

შეუძლებელია გამოვლენილი თითოეული საბუთის ღირსების აღწერა. მათი მნიშვნელობა რელიეფურად ნათელყოფილია წინამდებარე შრომის სათანადო ადგილებში.

გამოვლენილი საბუთები საშუალებას იძლევიან ზუსტად დავადგინოთ სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარება, მათში ჯერ კიდევ რეფორმამდელ პერიოდში კაპიტალისტური ელემენტების ჩასახვა და თანდათანობით გა-

ფართოება; მასალების ერთი ნაწილი ასახავს რეფორმის შემდეგ ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის პრაქტიკულ მონაწილეობას, ცალკე მოღვაწეთა თაოსნობას მრეწველობის ახალი დარგების აღმოცენებაში — კერძოდ, ჭიათურის მანგანუმის საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციისა და ჭალის ნავთობის დამუშავების დაწყებაში.

ივარაუდება, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის სხვადასხვა არქივებშიც დაცულია ჩვენთვის საინტერესო მასალები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი გაცნობის საშუალება ჩვენ არ მოგვეპოვებოდა.

ნაშრომში აღძრული საკითხების შესწავლისას საჭირო გახდა რკინისა და მანგანუმის საწარმოთა ადგილზე დათვალიერება დამატებით იმ ცნობების შესაკრებად, რომელნიც ლიტერატურაში და საარქივო წყაროებში არ მოიპოვება, ან დაზუსტებას მოითხოვდნენ. ამის შედეგად ძველი მუშების დახმარებით დავადგინეთ და დავაზუსტეთ მრეწველობის ისტორიის შესახებ მრავალი, მანამდე უცნობი თუ ბუნდოვანი საკითხი.

ასეთია, მოკლედ, ის წყაროები, რომლებითაც ჩვენ ვსარგებლობდით.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას ვხელმძღვანელობდით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომებით, განსაკუთრებით ვ. ი. ლენინის შრომით — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“. ვ. ი. ლენინს ამ შრომაში სხვა მასალებთან ერთად გამოყენებული აქვს აგრეთვე ცნობები საქართველოს სპილენძის ქარხნების მწარმოებლურობის, მუშათა რაოდენობის ზრდის შესახებ, აგრეთვე საერთოდ მრეწველობაში ორთქლის ძრავების გამოყენებაზე. ვ. ი. ლენინმა მოგვცა ამ მასალის ღრმა მეცნიერული განზოგადება, რაც მის მთელ რიგ სახელმძღვანელო დებულებებში აისახა. მათ საშუალება მოგვცეს კრიტიკულად გაგვეანალიზებია ჩვენს მიერ სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრეფილი უამრავი ფაქტობრივი მასალა, მოგვეხდინა მათი განზოგადება და ყოველივე ამის საფუძველზე სათანადო დასკვნები გამოგვეტანა.

ნაწილი პირველი

სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.)

ა. საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხები და რეფორმამდელი ქართველი საზოგადოებრიობა

საქართველოს ეკონომიურად დაწინაურება მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. ამიტომ ის აქტიურად ეხმაურებოდა ქვეყნის წინაშე წამოჭრილ სამეურნეო ამოცანებს და ხელს უწყობდა მათ განხორციელებას.

მარქსის განსაზღვრით, საზოგადოების წინაშე მხოლოდ მაშინ ისახება ახალი ამოცანა, როდესაც „მატერიალური პირობები მისი გადაწყვეტისათვის უკვე არსებობენ ან, ყოველ შემთხვევაში, წარმოშობის პროცესში იმყოფებიან"[1]. მართლაც, გასული საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით 30-იანი წლების შემდეგ, შექმნილმა ვითარებამ დღის წესრიგში წამოაყენა საქართველოს მწარმოებლური ძალების უფრო ფართო და სწრაფი განვითარების საკითხი. მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა გულგრილად არ შეხვედრია „დროის ამ მოთხოვნილებას" და შეეცადა თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნის გარდაქმნის საქმეში.

საზოგადოებრივი აზრის შექმნაში, ადგილობრივი პირობების გარდა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს აგრეთვე გარეშე ფაქტორებმა, კერძოდ, მზარდი რუსეთისა და მოწინა-

---

[1] კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 11.

ვე კაპიტალისტური ქვეყნების სამეურნეო გამოცდილებამ. ბევრი ქართველი მოღვაწე პრაქტიკულად იღწვოდა ამა თუ იმ სამეურნეო ღონისძიების განხორციელებაში და ისინი ერთგვარ წარმატებასაც აღწევდნენ.

ძველი საქართველოს იმ რაიონებში, სადაც მიწის წიაღი ამა თუ იმ საბადოს შეიცავდა, მადნეულების დამუშავება წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის ძირითად სამეურნეო საქმიანობას.

საბადოები ამავე დროს შეადგენდნენ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოთა ეკონომიური და ფინანსური ძლიერების ერთ-ერთ მთავარ წყაროს. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილმა ვითარებამ აიძულა ერეკლე მეორე და სოლომონ პირველი, რათა ხელი მოეკიდათ საბადოების დამუშავებისათვის და ამით უზრუნველეყოთ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობისა და თავდაცვის გაძლიერება.

ერეკლე მეორეს, როგორც შორსმჭვრეტ სახელმწიფო მოღვაწეს, აღარ აკმაყოფილებდა ფეოდალური სამეფოს ეკონომიური მდგომარეობა, თავდაცვის ტექნიკური დონე და ხელი მოკიდა სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარებას. ერეკლე შუამთის მონასტრის სახლთუხუცესს მიუთითებდა: სამთო საწარმოები რომ „ჩვენს ქვეყანაში გამრავლდეს, მტრისაგან ჩვენი ქვეყნის მორჩენა ამას შეუძლია" [10], ხოლო თავის ვაჟს იულონს, რომელსაც საგანგებო დავალება ჰქონდა ამავე მიმართულებით, აფრთხილებდა: იცოდე, „ჩემი ხელისგამმართავი ეს მადნები არის" [11/45—46].

ერეკლეს თაოსნობით ქართლ-კახეთში აღდგენილმა სამთამადნო მრეწველობამ მართლაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამეფოს ფინანსურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და თავდაცვის რამდენადმე გაძლიერებაში.

ამიტომ საქართველოს მტრები, ითვალისწინებდნენ რა აღნიშნული დარგის ესოდენ დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, ჩვენი ქვეყნის დალაშქვრისას უპირველეს ყოვლისა სამთო წარმოებას შლიდნენ და არბევდნენ. აღა მაჰმად-ხანის გაბოროტებულმა ურდოებმა 1795 წელს ახტალისა და ალავერდის მეტალურგიული ქარხნები ქართლ-კახეთთან ერთად

ნანგრევებად აქციეს, ხოლო მათი კვალიფიციური მუშები ტყვედ წაასხეს.

ისედაც გაჭირვებული სამეფო ამ გამანადგურებელი დალაშქვრის შედეგად უფრო მეტად დაუძლურდა და ეკონომიური კატასტროფისკენ დაეშვა, რასაც აძლიერებდა აგრეთვე სამეფოს მმართველობის მოუქნელი სისტემა.

ასეთ რთულ ვითარებაში შემუშავდა ქართლ-კახეთის სამეფოს მმართველობის რეფორმის პროექტი — „სჯულდება", რომლის ავტორი იყო ახალგაზრდა სახელმწიფო მოღვაწე და იმდროინდელ ქართველ პროგრესულ მოაზროვნეთა საუკეთესო წარმომადგენელი — იოანე ბატონიშვილი (1768—1830).

„სჯულდება", ასახავდა რა მოწინავე საზოგადოებრიობის პროგრესულ მისწრაფებებს, ითვალისწინებდა ისეთ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელებით „სარგებელ ექმნესცა საზოგადოდ მცხოვრებთა საქართველოსა შინა" [12/44].

„პროექტი" ვარაუდობდა ტექნიკურად უკეთ აღჭურვილი რიცხვმრავალი არმიის შექმნას, ხელოსნობის განვითარებას, „გამრავლებასა ყოვლისა გვარის ხელოვნებისასა, გაკეთებასა ქარხნისასა და მცოდნეთა კაცთა მიხანიკისა და სხვათა სახმარობათა, წისქვილებისა, შენობებისა, მცოდნეთა კაცთა უცხოს ქვეყნიდამ მოყვანასა და ამას სწავლათა გამრავლებასა", სოფლად ტექნიკური კულტურების განვითარებას, მათ წინასწარ გადამუშავებასა და სხვას [12/56].

ნათელია, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელება უმეტესწილად დაკავშირებული იყო ლითონის საჭიროებასთან, და ამიტომ პროექტის ავტორს სამთო მრეწველობის ფართოდ განვითარებაც გაუთვალისწინებია. „პროექტის" მეთორმეტე მუხლში წერია: „მადნები, რაოდენ შეიძლებოდეს, ან მეფემ თავის ხარჯით ამუშაოს და ანუ იჯარადრებს მისცეს და ყოველივე გამოსავალი ოქრო თუ ვერცხლი, თუ სპილენძი შუა გაიყონ. მუშა მოიჯარადრის რიცხვში იყოს, იმის ხარჯზედ" [12/8].

აღსანიშნავია, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც ქართლში იოანე ბატონიშვილი „სჯულდებას" ადგენდა, პეტერბურგში სასწავლებლად მყოფი მეფისწულნი ასევე საქართველოს ბუ-

ნებრივ სიმდიდრეთა ფართო გამოყენებაზე ზრუნავდნენ. ისინი ცდილობდნენ ამ საქმეში ჩაებათ რუსეთის ტექნიკური ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, კერძოდ. იმდროისათვის სახელმოხვეჭილი სწავლული-სპეციალისტი ა. მუსინ-პუშკინი, რომლის მამამ ადრევე ჩაუყარა საფუძველი კავკასიის მინერალოგიურ შესწავლას.

ლიტერატურაში ხშირად აღნიშნავენ, თითქოს ა. ა. მუსინ-პუშკინი საქართველოში ჩამოვიდა იმპერატორის წინადადებით. არქივში ჩვენს მიერ გამოვლენილი საბუთები ამ ფაქტს ახალი სახით წარმოგვიდგენენ.

1797—1798 წლებში პეტერბურგს სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა დავით ბატონიშვილი, რომელიც დიდ ინტერესს ამჟღავნებდა მეცნიერებისა და სახელმწიფოს მართვის პრაქტიკულ-ორგანიზაციული საკითხების შესწავლისადმი. სავარაუდოა, რომ დ. ბატონიშვილი ახლო იცნობდა მუსინ-პუშკინს, რადგან, როგორც ირკვევა, უკანასკნელთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა პეტერბურგში მცხოვრები მეორე მეფისწული—მირიანი; მუსინ-პუშკინთან მიმოწერა ჰქონია დარეჯან დედოფალს. ერთ-ერთ წერილში ის მადლობას უთვლის მუსინ-პუშკინს მეფისწულ მირიანისადმი „მწყალობლობისა და ყურადღებისათვის" და უსურვებს, რათა „მის ქვეყანაში კეთილ-მოქმედებისაებრ, ზემწე იყოს აქაური (ე. ი. საქართველოს — ა. კ.) საზოგადოებისა" [11/273].

საგულისხმოა, რომ მუსინ-პუშკინს სწორედ ამის შემდეგ, 1799 წლის 15 სექტემბერს, გამოუთხოვია იმპერატორის ნებართვა საქართველოში წამოსვლაზე, რაც მყისვე დაუკმაყოფილებიათ. ყოველივე ეს გვავარაუდებინებს. რომ საქართველოში წამოსვლის სურვილი მუსინ-პუშკინში უნდა აღეძრათ ქართველ მეფისწულებს.

მაგრამ მან ვერც კი მოასწრო საქართველოსაკენ წამოსვლა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ახალი ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის საბადოების დამუშავება რუსეთის სამეფოს გადაეცა [13/94, 104].

როგორც ეს ხელშეკრულება, ისე მუსინ-პუშკინის თაოსნობა, საესებით შეესაბამებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს სა-

სიცოცხლო ინტერესებს. ამიტომ ქართველი საზოგადოებრიობა გამალებით მოელოდა საქართველოში მუსინ-პუშკინის ჩამოსვლას, რათა მას სასწრაფოდ აღედგინა დარბეული სამთო წარმოება და ამ გზით გაეზარდა სამეფოს შემოსავალი.

მუსინ-პუშკინის ჩამოსვლით დაინტერესებული იყო აგრეთვე გიორგი მეფე. რომელმაც, კავკასიის ხაზზე ჩამოსვლისთანავე, ის თბილისში მოიწვია, დაწვრილებით გააცნო ყველა ძირითადი საბადოები და მოქმედი სამთო საწარმოები. რამდენად დიდ საქმედ მიაჩნდა გიორგი XII-ს ეს ღონისძიება, ჩანს მუსინ-პუშკინის ჩამოსვლის გამო ადგილობრივი თავადებისათვის გაგზავნილი მისი განკარგულებიდანაც: „ერთის ბეწვის ოდენა თუ აწყენინეთ (მუსინ-პუშკინს — ა. კ.) ვინმემ, რ-გიანათ და მართებულათ არ დახვდით და ისე მართებულათ არ წაიყვანეთ და არ მოიყვანეთ, ჩვენს ბატონყმობაზე ხელი უნდა აიღოთ. ეს საქმე ხუმრობა არ არის" [14].

ამრიგად, როგორც ქართლ-კახეთის მესვეურნი, ისე იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებრიობა ენერგიულად ზრუნავდნენ მეტალურგიის აღდგენისათვის და არაფერს იშურებდნენ ამ მიზნის მისაღწევად. სამთო წარმოებისადმი ასეთი ყურადღება მათი მხრით გამოწვეული იყო ქვეყნის საერთო ინტერესებით და არა პირადი ანგარებით. როგორც ზოგჯერ არასწორად აღნიშნავენ ხოლმე. მხოლოდ ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის ზრუნვით იყო ნაკარნახევი გიორგი XII-ის გადაწყვეტილება, რომელიც მან წერილობით გადასცა მუსინ-პუშკინს უკანასკნელის შეკითხვის საპასუხოდ: „როგორც წინადაც ვაცნობებდი (იმპერატორს — ა. კ.). სამუდამო სარგებლობისათვის ვუთმობ საჭირო რაოდენობის მიწებს, ხალხს, ტყეებსა და წყლებს. ისე როგორც ახვა ყოველივეს, რაც სამთამადნო წარმოებას დასჭირდება". ამ გადაწყვეტილებას კმაყოფილებით შეხვდა მეფისწული დავითიც და თავისრიგად პუსინ-პუშკინს ატყობინებდა, რომ ის, როგორც ტახტის მემკვიდრე, ავადმყოფი მამის სიკვდილის შემდეგაც უყოყმანოდ და დიდი სიხარულით აღასრულებს ამ პირობას [7/16].

მალე, გიორგის სიკვდილის შემდეგ, ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. რუსეთთან

შეერთების შემდეგ სამთო წარმოებაც ავტომატურად მეფის რუსეთის მფლობელობაში გადავიდა.

დავით ბატონიშვილი იმედს არ ჰკარგავდა მემკვიდრეობის შენარჩუნებაზე და პრაქტიკულად იღწვოდა სამეფოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში. სხვა ღონისძიებებთან ერთად ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სამთო საქმის განვითარებას. დამახასიათებელია, რომ იგი მუსინ-პუშკინის ტექნიკური ბიბლიოთეკითაც კი სარგებლობდა, რათა სამთო წარმოება საფუძვლიანად შეესწავლა. მაგრამ ყოველივე ეს იმით დამთავრდა, რომ 1803 წელს დავითი რუსეთში გაგზავნეს, საიდანაც ის გამალებით თვალყურს ადევნებდა საქართველოს მდგომარეობას და უკანასკნელის გაუმჯობესებისათვის მაინც ზრუნავდა.

XIX საუკუნის დამდეგით დაიწყო ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ახალი ხანა. „ამ ღირს-სახსოვარ დღიდამ, — როგორც ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა, — საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა... დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის ხელით მოღერებულისა ჩვენზე... დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა“ [15/498].

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ამ უმნიშვნელოვანესმა ცვლილებამ ხელი შეუწყო ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარებას და, ამის საფუძველზე, საზოგადოებრივი პროცესების დაჩქარებას.

ეს კეთილმყოფელი შედეგი განსაკუთრებული სიცხადით შეიმჩნევა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყოველ სფეროში, კერძოდ, სახალხო მეურნეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგში, როგორიცაა სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა.

გასული საუკუნის დამდეგისათვის საქართველო თავისი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით, ფეოდალურ აღმოსავლეთთან შედარებით, უკვე დაწინაურებულ ქვეყანას წარმოადგენდა. მის შინაგან საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში უკვე მოცემული იყო ძირითადი წინაპირობა შემდგო-

მი აღმავლობისათვის. ამისათვის სათანადო ნიადაგს ჰქმნიდა აგრეთვე ახალი პოლიტიკური ვითარება — საქართველოს უშუალო კავშირი რუსეთთან და ამის შედეგად აღმოცენებული შედარებით მშვიდობიანი საგარეო მდგომარეობა.

მაგრამ ცარიზმისადმი ოპოზიციურად განწყობილი თავადაზნაურობის ნაწილი გასული საუკუნის პირველ მესამედში უმთავრესად პოლიტიკურ ბრძოლაში იყო ჩაბმული, ნაწილი კი ცარიზმისადმი ერთგულების გზას დაადგა, სხვადასხვა უწყებებში სამსახურით შემოიფარგლა და ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას მოწყდა.

მიუხედავად ამისა, იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა შორის მაინც გამოირჩეოდა მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც თავს დასტრიალებდა ქვეყნის გარდაქმნის პრობლემებს. ამ ჯგუფის თაოსნობითა და ხელშეწყობით დაარსდა „საქართველოს სამთო ექსპედიცია", რომელმაც ახალ ტექნიკურ საფუძველზე აღადგინა ჩვენში სამთო წარმოება, თუმცა არა ისეთი მოცულობით, როგორიც ეს იყო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში — ერეკლე მეორის დროს.

ქართველ მოღვაწეთა ეს ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ თეიმურაზ, იოანე, დავით და ბაგრატ ბატონიშვილები, სოლომონ დოდაშვილი, გრიგოლ, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხვანი, სწორად აფასებდა საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობას და მისი გარდაქმნისათვის ზრუნავდა. ეს მოღვაწენი ხარბად ეწაფებოდნენ რუსეთისა და ევროპის გამოცდილებას ეკონომიკის დარგში და მიისწრაფოდნენ ის თავიანთ სამშობლოშიც დაენერგათ, აემოძრავებინათ საუკუნეობით მთვლემარე ბუნებრივი სიმდიდრენი.

უბრალო ცნობისმოყვარეობით როდი აიხსნება ის, რომ რუსეთში გასახლებულ თეიმურაზ ბატონიშვილს (1782 — 1846), შემდგომში პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრს, 1810—1811 წლებში რუსეთისაკენ მიმავალს ვორონეჟში არტილერისტ ლ. ნ. სოფიანოსთან უსაუბრია, ტულაში დაუთვალიერებია არსენალი, საიარაღო ქარხანა და პირადად დასწრებია 530 თოფის გამოცდას; აქვე ინჟინერ-

გენერალ თ. ნ. ვორონოვისა და უკრაინელ მექანიკოს ლ. დ. კულემიჩინის საშუალებით დაწვრილებით გაცნობია ქარხნის საწარმოო ცხოვრებას. ხოლო შემდეგ თავის დღიურში ლაკონიურად ჩაუწერია: ქარხანა წელიწადში 5000 თოფს ამზადებს, მუშაობს 6000 მუშა [16/80].

ასევე შემთხვევითი არ იყო ის, რომ მას პეტერბურგში ყოფნისას (არაუგვიანეს 1814 წ.) კონსპექტურად შეუდგენია „ბუნებითი ისტორია საქართველოსა", რომელშიც ჩამოთვლილია საქართველოში ოქროს, კალის, სპილენძის, რკინის, აგრეთვე ძვირფასი ქვების, მათ შორის, ბროლისა და სხვათა საბადოები.

რეფორმამდელი ქართველი საზოგადოებრიობა, სარგებლობდა რა წარსულის გამოცდილებით, აგრეთვე მოწინავე ქვეყნების მაგალითით, საქართველოს ეკონომიური განვითარების უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიიჩნევდა ტრადიციული დარგის — სამთო მრეწველობის — ფართო მასშტაბით აღდგენასა და ადგილობრივი უხვი ბუნებრივი სიმდიდრეების დამუშავებას. გასული საუკუნის პირველ მესამედშივე ზოგიერთ ქართველ მოღვაწეს ამა თუ იმ საბადოს დამუშავებაც დაუწყია. ასე, მაგალითად, იმერეთის სახლთუხუცესს ზურაბ წერეთელსა და მის ვაჟს — გრიგოლს რკინის სარეწავიც მოუწყვიათ სოფ. წირქვალის (ჭიათურის რ.) მიდამოებში, სწორედ იქ, სადაც 70-იანი წლების დასასრულს აკაკი წერეთელმა ჭიათურის მანგანუმის საბადოთა პირველი სამრეწველო ექსპლოატაცია დაიწყო (დაწვრილებით ქვევით). ზურაბ წერეთლის მიერ გრიგოლისათვის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „წირქვალის საქმე არის... რკინის მწურავებს ვგზავნი და ახლავე მის (წირქვალის) პირზედ ერთი დიდი სახლი გააკეთებინე და ნახშირი აწვევინე ნიადაგ, რომ ბევრი იქნეს, რომ არ მოცდონ. ნახშირი თუ ბევრი არ გვექნაო, მოვცდებითო და თუ ჩემი მამაშვილობა გწამდეს, სახლიც ახლავე დაადგმევინე და ნახშირიც ბევრი დააწვევინე... შენც მუშაობის... თავდარიგი კარგათ დაიჭირე. მეანგურეებიც მომყავს და ამის თავდარიგიც დაიჭირე" [17].

საქართველოს სამთო მრეწველობის საკითხისადმი ქართველ მოღვაწეთა ცხოველი ინტერესი და ამ დარგის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ასახულია აგრეთვე დავით ბატონიშვილის მიერ 1813 წელს შედგენილ კანონმდებლობათა „მიმოხილვაში" [18/226].

როგორც აღინიშნა, იოანე ბატონიშვილი ჯერ კიდევ „სჯულდების" შედგენის დროს დიდად იყო დაინტერესებული საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებით. ეს მისწრაფება არც შემდეგ შენელებულა. ახტალაში მას დაუთვალიერებია სპილენძის წარმოება და უკმაყოფილო დარჩენილა იმით, რომ მის ხელმძღვანელს (სოლ. არღუთაშვილს) წარმოების საქმეში სრული უვიცობა გამოუჩენია. ამასთან დაკავშირებით მათ შორის შემდეგი საყურადღებო დიალოგი გამართულა:

„ი ო ა ნ ე — თქვენ მინბაში ბრძანდებით ამა მადნებისა და ზედამდეგი, იცით ამ მადანთ ხელოვნება, ანუ გამოდნობა ვერცხლისა ან ვერცხლიდან ოქროს გამოღება ანუ სხვა მეტალთა მოპოვება?

ა რ ღ უ თ ა შ ვ ი ლ ი — მადანჩი ხომ არა ვარ, რომ ვიცოდე?

ი ო ა ნ ე — უი ჩემს თავს, და ცარიელი სახელი გწოდებია! მაშ რას გაიგებ, რომ ან ვერცხლი მოიპარონ ან ოქრო მაგ მოხელეთა?

ა რ ღ უ თ ა შ ვ ი ლ ი — რასაც მომცემენ, მე მივიბარებ და დავსწერ.

ი ო ა ნ ე — მაშა, ქვეყნის მართებლობასაც ამ სახედ დაიწყებთ და ააშენებთ ქვეყანას მაგ ჭკუით?

ა რ ღ უ თ ა შ ვ ი ლ ი — რასაც ჩემი ამხანაგი იქმონენ, მეც იმას ვიქმ, და მეტი ჭკუა რათ მინდა" [19/220—222].

20-იანი წლებიდან ლითონზე მოთხოვნილება ჩვენში თანდათანობით გაიზარდა, გაფართოვდა საბადოების ძებნა, დაიწყო სამთო წარმოებისაკენ წვრილი ვაჭარ-კომერსანტების ლტოლვაც. ამასთან დაკავშირებით მოწინავე მოღვაწენი უფრო მეტად დაინტერესდნენ წიაღისეულის დამუშავებით. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ბაგრატ გიორგის-ძე ბატონიშვი-

ლის ერთ-ერთი მინაწერი, რომელშიც შემდეგს ვკითხულობთ: „ჩერქეზში სავაჭროთ ვიყავი. ოჰანეზა სავათნავაშვილმა მიამბო: ერთი ბერძენი მადანჩი ივანე აქ ტყვედ იყოო. მე და იმან გავადნევით მიწა და ამისი პრობა ვნახეთო. ასეთი მიწა არის, რომ თხრა არ უნდა, ისე ამ ხეობაზედ ჰყრიაო. საქართველოს მადანს ბევრით უმჯობესიაო. იმ ბერძენსა საქართველოს მადანში ემუშავნა დიდხანს და უცხო ოსტატი იყო მადანისაო“ [20].

სოლომონ დოდაშვილი, როგორც „ერისა მოყუასე, მამულისა სამსახურისა მოსურნე“, თავისი ხანმოკლე სიცოცხლისა და მოღვაწეობის მანძილზე საქართველოს აღორძინებასა და ხალხის კეთილდღეობაზე ოცნებობდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას განუზრახავს „საერთო კეთილდღეობისათვის“ მონაწილეობა მიეღო ვაჭრობის განვითარებაში. 1827 წელს თავის ახლობელს სწერდა: „გთხოვთ უმდაბლესად აზრი თქვენი შაერთოთ ჩემთანა, უკანასკნელ უკეთუ ინებებთ ტფილისსა შინა და მომცემთ შემწეობასა, აღვაშენებ დუქნებს და ზედა სახლებს, რათა შემოსავალი განმდიდრდეს სარგებლად მამულისა“ [21/93]. ს. დოდაშვილი ერთდროულად დაინტერესებული ყოფილა აგრეთვე საქართველოს მრეწველობით [22/177].

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის ამოძრავების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა ა. ს. გრიბოედოვისა და პ. დ. ზაველეისკის მიერ შედგენილი პროექტი ამიერკავკასიაში მსხვილი კაპიტალისტური კომპანიის დაარსებაზე.

პროექტი მიზნად ისახავდა მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა ფართო ექსპლოატაციას, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებას, რომელთა პროდუქციაზე ფართო და მზარდ მოთხოვნილებას აყენებდა მეტროპოლიის მრეწველობა. პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელება ობიექტურად გამოიწვევდა მხარის კაპიტალისტური გზით განვითარებასა და გარდაქმნას.

მართალია, ამ პროექტით ნავარაუდევი ღონისძიებები სამეურნეო დარგში არსებითად არ ეწინააღმდეგებოდა მთავ-

რობის ეკონომიურ კურსს ამიერკავკასიის მიმართ, მაგრამ იგი მაინც უარყოფილ იქნა, რადგან თავისი მასშტაბით ოფიციალურად დაშვებულ ფარგლებს ცილდებოდა. ამას ეარდა პროექტი შეიცავდა მთავრობისა და პირადად ამიერკავკასიის მთავარმმართებელ პასკევიჩისათვის არახელსაყრელ მოთხოვნებსა და ამიერკავკასიაში მმართველობის სისტემის მკვეთრ რეორგანიზაციას [23/67—90].

მიუხედავად ამისა, თვით ამ ფაქტმა — „პროექტის" შედგენამ და ადგილობრივ პრესაში მისმა გამოქვეყნებამ,—დადებითი როლი შეასრულა საქართველოს მწარმოებლურ ძალთა განვითარების პრობლემათა ირგვლივ ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღების გამახვილებაში. ამას გვაფიქრებინებს გრიბოედოვ-ზაველეისკის „პროექტისა" და ა. ჭავჭავაძის „საქართველოს მოკლე ისტორიის" სამეურნეო ღონისძიებათა ნაწილის მთელ რიგ დებულებათა ურთიერთ მსგავსება.

მართალია, 30-იანი წლების ცნობილ ფარულ ორგანიზაციას რაიმე ეკონომიური პროგრამა, როგორც ასეთი, არ ჰქონდა, მაგრამ შეთქმულთა პოლიტიკური ამოცანები თავისთავად მეტყველებენ ასეთ დაუწერელ პროგრამაზედაც. რაც გულისხმობდა არსებული ეკონომიური წყობილების შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

მიუხედავად ამისა, ორგანიზაციის ცალკეული წევრები (ს. დოდაშვილი, ა. ჭავჭავაძე, გ. ორბელიანი და სხვ.), გაცნობილნი იყვნენ რა მოწინავე ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებას, საქართველოს გარდაქმნისათვის ახალ გზებს სახავდნენ. ისინი ერთგვარ ინტერესს ამჟღავნებდნენ კასტელას ფაბრიკისადმი; ს. დოდაშვილი, როგორც აღინიშნა, დუქნებისა და სავაჭრო სახლების აგებაზე ზრუნავდა; ალ. ჭავჭავაძე სოფლად ახალი კულტურებისა და მეთოდების დანერგვას მისდევდა; ალ. ორბელიანმა აბრეშუმით ვაჭრობას მოკიდა ხელი. მაგრამ ასეთი ერთპიროვნული და ამავე დროს მეტად სუსტი ღონისძიებები, ცხადია, საკმარისი არ იყო ქვეყნის ცოტად თუ ბევრად განვითარებისათვის.

შეთქმულების ზოგიერთი მონაწილე, ისე როგორც „სჯულდების" ავტორიც, ფიქრობდა, რომ საქართველოს გარ-

დაქმნა თითქოს შესაძლებელი იყო საზღვარგარეთიდან ჩამოყვანილი „რამდენიმე ჭკვიანი კაცის“ საშუალებით. ამ მცდარ შეხედულებას იზიარებდა აგრეთვე გ. ორბელიანი. გენერალ ი. აფხაზთან საუბარში ის ამბობდა: ერის მმართველნი „სხვათა სახელმწიფოთაგან მოუწოდებენ მსწავლულთა კაცთა და ხელოსანთა, რომელნიცა იქმნებიან პირველნი მთესველნი სწავლათა და ხელოსნობათა საქართველოსა შინა, და შემდგომად რაოდენთამე წელთა ნაყოფი უეჭველად აღმოცენდების“ [24/175].

უნდა აღინიშნოს, რომ გ. ორბელიანი დიდხანს როდი შერჩა ამ მცდარ შეხედულებას. მალე, 1832 წელს, იგი უშუალოდ გაეცნო მოსკოვისა და პეტერბურგის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, მრეწველობასა და ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენების პრაქტიკას. პირველად პეტერბურგში ნახა „პაროვის მაშინანი“, რომელნიც „ატრიალებდნენ სხვათა მრავალთა მაშინათა“. ამავე ქალაქში გაეცნო „ის სამთო წარმოებას, სამთო კადეტთა კორპუსს, არსენალს, ზარაფხანას და მრავალ სხვა სიახლეს, რომლებიც აძლიერებდნენ ახალგაზრდა მზარდ რუსეთს. და აი, ამ იძულებითმა „ექსკურსიამ“ გ. ორბელიანს თვალწინ გადაუშალა ახალი სამყარო და ქვეყნის გარდაქმნისათვის ახალი საშუალებები. ის უფრო მეტად განიმსჭვალა სურვილით, რათა ადგილობრივი ძალებით საქართველოშიც ფართოდ განვითარებულიყო მრეწველობა. ეს არსებითად პროგრესული განწყობილება ასახულია მის ერთ-ერთ ჩანაწერში („მგზავრობა ჩემი თბილისიდამ პეტერბურღამდის“). 1832 წლის 22 აგვისტოს გ. ორბელიანს თავის „დღიურებში“ ასეთი საინტერესო ფაქტი ჩაუწერია: „საღამოზე მე და დიმიტრი ბატონიშვილმა (ვისაუბრეთ) საქართველოს სიღარიბეზე, რომელიცა ჰსწარმოებს მცხოვრებთა უცოდინარობისაგან, თუ ვითარ და ანუ სადით ისარგებლოს — ფაბრიკების გაკეთება და სხვა ამგვარნი“ [24/235, 264].

ა. ჭავჭავაძე, მისივე სამართლიანი თქმით, „პირველი მემამულეთაგანი“ იყო, რომელმაც ხელი მოკიდა საკუთარი მეურნეობის რაციონალურად მოწყობას, დიდი თანხები დახარჯა და თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. როგორც დიდი

საზოგადო მოღვაწე, ის არ კმაყოფილდებოდა მარტო საკუთარი მეურნეობის გარდაქმნით და მთელი ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარებისათვის ზრუნავდა. ამაზე ნათლად მეტყველებს მის მიერ 30-იანი წლების მეორე ნახევრის დასაწყისში შედგენილი „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე", რომელიც იმპერატორისათვის წარუდგენია [25/241—255].

„ნარკვევში" წამოყენებულია ამიერკავკასიის მხარის ეკონომიური გარდაქმნის ფართო ღონისძიებები. ა. ჭავჭავაძე იმპერატორის საყურადღებოდ წერდა, რომ ამიერკავკასიაში, რომელიც „ბუნების სიმდიდრით ასე უხვად არის დაჯილდოებული... ადამიანის შრომა უხვად ჯილდოვდება მიწათმოქმედების ახლანდელი მდგომარეობის დროსაც კი, რა იქნებოდა მაშინ, მას რომ მიეღწია იმ გაუმჯობესების ხარისხამდე, ახლა ზოგადი მოვლენა რომ არის არა მარტო ევროპიელთა შორის, არამედ ახალი მატერიკის შორეულ ადგილებშიაც კი?" [25/254]. იქვე მიუთითებს, რომ ამიერკავკასიაში უხვადაა მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ადგილები, სადაც შეიძლება ტროპიკულ მცენარეთა გაშენებაც. თუ კი სოფლის მეურნეობაში გამოყენებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობაო.

ა. ჭავჭავაძე გამოთქვამდა მტკიცე რწმენას, რომ თუ სოფლად არსებული ნაკლოვანებანი აღმოიფხვრებოდა, მაშინ „მრეწველობა, რომლის კვალიც კი გამქრალა გამუდმებული ომიანობის გამო... კელავ აღორძინდებოდა".

უნდა აღინიშნოს, რომ ა. ჭავჭავაძე ერთდროულად დაინტერესებული იყო მადნეულების დამუშავებით და დახმარებას უწევდა სამთო სამმართველოს ამ მიმართულებით [26].

30-იანი წლებიდან საქართველოს ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინეს საზოგადოების ყველა ფენაზე და აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

ამისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია „თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის" მოწაფეთა ერთი ჯგუფის (ნ. ბარათაშვილი, მ. თუმანიშვილი და სხვ.) პრაქტიკული მუშაობა. ჯგუფის მიერ 1833 წელს დაარსებული წმინდა ლიტერატურული ხასიათის „ალმანახი", 1835 წელს ახალი სახის ჟურ-

ნალად გადაკეთდა („თბილისის გიმნაზიის ყვავილი“). დამახასიათებელია, რომ ჟურნალი მიზნად ისახავდა აგრეთვე ეკონომიური საკითხების გაშუქებას, ანუ როგორც რედაქცია იუწყებოდა, — „განსჯას მრეწველობისა და ვაჭრობის ნაირგვარი დარგების შესახებ. სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის გამოცდილება და ქარხნების, მანქანებისა და ფაბრიკების აღწერა“ [27/180].

სამწუხაროდ, ჟურნ. „ყვავილმა“ დიდხანს ვერ იარსება და ყველაზე სუსტად პროგრამის ეს ნაწილი შეასრულა, მაგრამ რედაქციის აღნიშნული განცხადების ამოკითხვაც მკითხველში, უეჭველია, სურვილს აღძრავდა, რათა გაცნობოდა იმდროინდელი სამეურნეო ცხოვრების სიახლეს (ფაბრიკა-ქარხნებს და მანქანებს) და მათ მნიშვნელობას. ყოველ შემთხვევაში, ჟურნალის თაოსნობა უკვალოდ არ დარჩენილა. თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის ნამოწაფართა გარკვეული ნაწილი შემდეგში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში და ხშირად უმნიშვნელოვანეს ამოცანებს სახავდა ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარებისათვის.

40-იანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება შედარებით უფრო დაწინაურდა. აშკარად შეიმჩნევა კაპიტალისტური ელემენტების ჩასახვა, ბურჟუაზიული კულტურის გაფართოება, რამაც ხელი შეუწყო ახალი ამოცანების აღმოცენებას და მათ ირგვლივ საზოგადოებრიობის უფრო მეტად დაკავშირებას.

ამავე მიმართულებით მოქმედებდნენ აგრეთვე საქართველოში მცხოვრები პროგრესული რუსი მოღვაწენი. 1846 წლიდან რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში გაზ. «Закавказский Вестник»-ის რედაქტორის (პლ. იოსელიანის) მოადგილედ მოღვაწეობდა პოეტი და ჟურნალისტი ი. პ. პოლონსკი, რომელიც დიდ პოეტურ და ჟურნალისტურ შემოქმედებასთან ერთად, სწავლობდა და ადგილობრივ რუსულ გაზეთში აქვეყნებდა წერილებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პრობლემების შესახებ. იგი ამავე დროს ამუშავებდა საქართველოში სამთამადნო მრეწველობის შემდგომი განვითარების

ღონისძიებებს და მათ შესახებაც ცალკეულ სტატიებს აქვეყნებდა.

ამავე პერიოდში აკად. აბიხი, ინჟ. ივანიცკი და სხვანი მთელ რიგ მნიშვნელოვან და სასარგებლო ღონისძიებებს აყენებდნენ საქართველოში სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის ფართოდ განვითარებისათვის. საყურადღებოა, რომ მათი წინადადებანი გულისხმობდნენ მრეწველობის ამ დარგის კაპიტალისტური გზით განვითარებას. ისინი არ კმაყოფილდებოდნენ მარტო საკითხის დაყენებით, არამედ პრაქტიკულადაც ხელს უწყობდნენ კერძო კაპიტალის ამ საქმეში ჩაბმას.

ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარებაში ობიექტურად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე ადგილობრივმა რუსულმა პრესამ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი რუსული გაზეთები მთლიანად ცარიზმის პოლიტიკას ემსახურებოდნენ, ისინი ხშირად აყენებდნენ ჩვენში მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივ სიმდიდრეთა ფართოდ დამუშავების, აგრეთვე სხვა სამეურნეო საკითხებს. ეს უფრო მეტროპოლიის ინტერესებით იყო ნაკარნახევი, ვიდრე თვით ამიერკავკასიის აღორძინებისადმი კეთილმოსურნეობით. მაგრამ საბოლოო ანგარიშში ისინი ხელს უწყობდნენ ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების გამოყენებას.

50-იანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრება უფრო დაწინაურდა. მნიშვნელოვნად გაფართოვდა სოფლის მეურნეობა. ერთგვარ ცვლილებებს ადგილი ჰქონდა მრეწველობასა და საქალაქო ცხოვრებაშიც. გაიზარდა რუსეთის სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის მოცულობა. ამიერკავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებით დაინტერესდნენ აგრეთვე უცხოელი კაპიტალისტები. სოფლის მეურნეობამ გაზრდილი მოთხოვნილება წამოაყენა ლითონსა და გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღებზე. რუსეთის ბურჟუაზია უფრო ფართოდ დაინტერესდა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეებით.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო ქართველი საზოგადოებრიობის შემდგომ ამოძრავებას, რაშიც თავისი წვლილი შეჰქონდა აგრეთვე ახალგაზრდა ქართულ პრესას. 1852 წელს გ. ერის-

თავის მიერ დაარსებულმა ჟურნ. „ცისკარმა", რომელმაც სულ ერთი წელიწადი იარსება, მხოლოდ პირველი ნაბიჯის გადადგმა მოასწრო ამ მიმართულებით. 1857 წლიდან ი. კერესელიძემ აღადგინა ეს ჟურნალი, რომელიც ეკონომიურ საკითხებსაც აშუქებდა და ამით რამდენადმე ხელს უწყობდა საზოგადოებრივი აზრის განვითარებას [28/152, 203 — 207].

საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო „მოლაყბის ფურცლებმა", რომელიც დაუნდობლად ამხელდა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის ცალკეულ მხარეებს. ჟურნალი აკრიტიკებდა რეაქციულ თავადაზნაურობას, რომელიც თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა ახალ ეკონომიურ ძვრებს. დამახასიათებელია, რომ თუ ერთ-ერთი თბილისელი ვაჭარი ჯერ კიდევ 40-იან წლებში საქართველოში რკინიგზის გაყვანაზე ოცნებობდა, 60-იანი წლების ქართველი კონსერვატორები მყისვე ამხედრდნენ, როგორც კი ყური მოჰკრეს ჩვენში ტელეგრაფის გაყვანასა და რკინიგზის მშენებლობისათვის მზადებას. ა. ფურცელაძემ სატირული წერილით მკაცრად გააკრიტიკა ეს „ძველის მქადაგებლები", რომლებიც მთელი ძალით გაჰკიოდნენ: „ვსთხოვოთ მთავარმართებელსა, რომ ეგ ტილიფრაღები და მაგისთანა მოჯადოებული საქმეები გადააგდოს ჩვენი საქართველოდამა".

მაგრამ თვით ჟურნალი მაინც „დროის მოთხოვნილებას" ძალზე ჩამორჩებოდა, განსაკუთრებით, 60-იანი წლებიდან. ჟურნალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ა. ორბელიანი, 1861 წელს ი. კერესელიძეს ურჩევდა ცხოვრებას ისევ ურმით ვდიოთ, ვიდრე რკინიგზა გამოჩნდებაო. ასეთ ჟურნალს, ცხადია, არ შეეძლო მოწინავე საზოგადოებრივი იდეების ქადაგება. ამიტომ ილია ჭავჭავაძე სამართლიანად აღნიშნავდა, რომ კერესელიძის ჟურნალი „ფერმიხდილი, ჭლექი, მამულისერთაა", რომელიც „თავმოწონებით ჰკრეფს, რაც თვით საზოგადოებას თავის განვითარების გზაზედ გადაუყრია, როგორც უვარგისი და გამოუსადეგი" [15/621].

ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა აგრეთვე 50-იან წლებში რუსეთთან უშუალო კავშირის გაფართოებამ. მართალია, რუსეთი

ამ პერიოდშიც ჯერ ისევ საგრძნობლად ჩამორჩებოდა, განსაკუთრებით მრეწველობის დარგში, რაც ნათელჰყო ყირიმის ომმა, მაგრამ წინა პერიოდთან შედარებით მაინც რამდენადმე დაწინაურდა. რუსეთში მყოფი ქართველი მოღვაწენი უშუალოდ ეცნობოდნენ რუსეთის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს. რაც მათში უფრო მეტად აღვივებდა საქართველოში მრეწველობის განვითარების სურვილს.

რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთში ცხოვრების შედეგად გ. ორბელიანმაც შეიცვალა თავისი წინანდელი შეხედულება საქართველოს განვითარების გზების შესახებ. მაგრამ გ. ორბელიანს გულუბრყვილოდ და ღრმად სწამდა, რომ მხოლოდ მეფის ხელისუფლებას შეეძლო განვითარების ფართო გზაზე საქართველოს გამოყვანა. ის ჯერ კიდევ 1842 წელს ქუთაისიდან აღფრთოვანებით სწერდა ზაქარია ორბელიანს: „სწორედ გითხრა, საქართველო დიდი ბედნიერი არის, რომ ხელმწიფემ ინება გამოგზავნა ამ კაცებისა, ესე იგი, ჩერნიშოვისა და პოზენისა, რომელთაც გულით ჰსურთ კეთილდღეობა ამა მხარისა". რამდენიმე თვის შემდეგ იმავე ადრესატს აცნობებდა, რომ მინისტრი და პოზენი მეავე წყლებზე მიდიან და იქ „ორნი ერთად დააწყობენ პრეობრაზოვანიის პროეკტსა საქართველოსათვისო" [29/52, 61]. მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდა ეს სიხარული. საქართველო, მისი ბუნებრივი სიმდიდრეებით, კვლავ ტლანქ კოლონიურ ექსპლოატაციას განიცდიდა.

გ. ორბელიანს იმედები არც მეფის ნაცვალმა ბარიატინსკიმ გაუმართლა, რომლის დანიშვნას ის დიდი აღფრთოვანებით შეხვდა [30/179, 181 -182]. მიუხედავად ამისა, ის თითქმის 70-იან წლებამდე ამ ილუზიათა ტყვეობაში იმყოფებოდა და, როგორც თავისი ქვეყნის პატიოტი, განუწყვეტლივ ოცნებობდა სამშობლოს განახლებაზე. ეს მ-სწრაფება, რაც დრო გადიოდა, მით უფრო ღვივდებოდა და ძლიერდებოდა. ამაში გარკვეული როლი უნდა მიუძღოდეს რუსეთში მყოფ მოწინავე ქართველთა იმ წრესაც, რომელსაც გ. ორბელიანი პერიოდულად ხვდებოდა.

1832 წელს ის თეიმურაზ ბატონიშვილს პავლოვსკში სწვევია აგარაკზე [24/220]. ეჭვი არაა, რომ მათ შორის, როგორც

დიმიტრი ბატონიშვილთან შეხვედრისას, ადგილი ჰქონდა საუბარს საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობასა და მომავალზე.

პეტერბურგში მუდმივად მცხოვრები და მოსწავლე ახალგაზრდობის მთავარ რეზიდენციას ზაფხულის პერიოდში წარმოადგენდა ცარსკოე სელო. ზაფხულობით ამავე სოფელში ცხოვრობდა ხოლმე ალექსანდრე II, რომლის კანვოის მეთაურობდა ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამოსწავლე — იმ დროს უკვე სახელგანთქმული მეცნიერი, თანამედროვე ჰიდრომეტალურგიის ფუძემდებელი — პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი. მას, როგორც კანვოის მეთაურს, ცარსკოე სელოში ჰქონდა მუდმივი აგარაკი, სადაც 1858—1860 წლებში ცხოვრობდა აგრეთვე ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული, სამეგრელოს დედოფალი — ეკატერინე დადიანი [31].

როგორც ირკვევა, პ. რ. ბაგრატიონი პეტერბურგში ჩასულ ქართველებისადმი დიდ მზრუნველობას იჩენდა, მათი საშუალებით სამშობლოს ავ-კარგს ეცნობოდა და საქართველოს განვითარებისათვის სათანადო რჩევა-დარიგებებს აძლევდა. მასთან დაიარებოდნენ აგრეთვე ქართველი სტუდენტები, რომლებსაც ის დახმარებას უწევდა, პატრიოტულ გრძნობებს უღვივებდა და ცხოვრებაში მათი გამოყენების ერთგვარი გზის გამკვალავის როლს ასრულებდა.

ქართველი მოღვაწენი და სტუდენტები დაიარებოდნენ აგრეთვე ბაგრატიონის აგარაკზე მცხოვრებ ეკატერინე ჭავჭავაძესთან. 1858 წელს ზაფხულში ეკატერინეს სწვევია ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე და აქ გაცნობია ნიკოლოზ ბარათაშვილის გამოუქვეყნებელი ლექსების ნაწილს [32/584]. 1859 წელს ეკატერინე ჭავჭავაძე ისევ ცარსკოე სელოში იმყოფებოდა, ხოლო ილია ჭავჭავაძე ამავე წლის მაისში ცარსკოე სელოში მეფის კანვოის ექიმ ნ. არენდტთან მკურნალობდა. იმავე წლის ივნისის დასაწყისში უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგში ჩავიდა ახალგაზრდა აკაკი წერეთელი, დაუკავშირდა თავის ძმას—ილიკოს, რომელიც პ. ბაგრატიონთან კანვოიში მსახურობდა და იმ დროს ცარსკოე სელოში იმყოფებოდა. აკაკი თავისი ძმის საშუალებით გასცნობია პ. ბაგრატი-

ონს, რომელსაც ერთ-ერთი საუბრის დროს აკაკისათვის უთქვამს — „მე დაგაყენებ გზაზეო“ [33/67].

ამავე წელს, იმპერატორის გაწვევით, პეტერბურგში ჩასულა გრიგოლ ორბელიანი და რამდენჯერმე უნახავს ცარსკოე სელოში მცხოვრები ეკატერინე ჭავჭავაძე. ეკ. ჭავჭავაძე 1859 წლის 3 სექტემბერს დ. ყიფიანს სწერდა: „გრიგოლ ორბელიანოვის ნახვა დიდად მიამა, ძალიან ხშირად არის აქ ჩემთან და ვატარებთ დროს სიამოვნებით, მაგრამ მალე აპირებს წასვლას“ [34/საბ. № 300]. გ. ორბელიანი კარგად იცნობდა როგორც პ. ბაგრატიონს, ისე მის მშობლებსა და ძმას — ივანეს [34/საბ. № 39].

პ. რ. ბაგრატიონთან დაიარებოდნენ ქართველი კანონიერებიც, რომლებსაც ის სხვადასხვა დარიგებას აძლევდა [35].

1860 წლის ზაფხულს ეკატერინე ჭავჭავაძეს ცარსკოე სელოში სწვევია აგრეთვე დ. ყიფიანი, როგორც მისი ოპეკუნი, და იქ დიდხანს დარჩენილა. ამ ხნის განმავლობაში დ. ყიფიანი, როგორც მისი წერილიდან ჩანს, ხშირად ხვდებოდა პ. რ. ბაგრატიონს [34/საბ. № 332].

ცარსკოე სელოში დ. ყიფიანის ყოფნის პერიოდში პავლოვსკში ცხოვრობდა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე. აქ დაწერა მან ლექსი „ა. ჭავჭავაძე“. სავარაუდოა, რომ ეს, და შეიძლება სხვა ლექსებიც, მან ცარსკოე სელოში მცხოვრებ ეკ. ჭავჭავაძეს გააცნო და ამ დროს პ. ბაგრატიონსა და დ. ყიფიანსაც შეხვდა.

ამრიგად, მოწინავე ქართველ მოღვაწეთა როგორც ძველი თაობის წარმომადგენელნი (გ. ორბელიანი, დ. ყიფიანი), ისე ახალგაზრდა „თერგდალეულთა“ ნაწილი (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სამსონ აბაშიძე და, ალბათ, ბევრი სხვაც) ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ პეტრე ბაგრატიონთან.

პ. რ. ბაგრატიონი, როგორც მეცნიერი-მკვლევარი, უთუოდ კარგად იცნობდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეებს და, იცოდა რა მათი მომავალი და სამრეწველო მნიშვნელობა, აღნიშნულ პირებს სათანადო რჩევას აძლევდა, თუ როგორ გამოეყენებინათ ისინი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

როგორც ცნობილია, ახალგაზრდა ქართველ სამოციანელ-

ებზე მძლავრი გავლენა მოახდინა პეტერბურგის იმდროინდელმა იდეოლოგიურმა გარემომ, რომელშიც ისინი იზრდებოდნენ.

მოწინავე ქართველ სტუდენტთა ძირითადი ბირთვი უშუალოდ იყო დაკავშირებული რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელობასა და პროგრესულად მოაზროვნე პროფესურასთან. ასეთი ურთიერთობა ქართველ სტუდენტებზე კეთილმყოფელ გავლენას ახდენდა, რაც რეფორმის წინ, რევოლუციური სიტუაციის პერიოდში, უფრო მეტად გაძლიერდა. ქართველი სტუდენტობა თავის შეკრებებზე მსჯელობდა არა მარტო პოლიტიკურ, სოციალურ და ეროვნულ საკითხებზე, არამედ, ამავე დროს, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის საკითხებზე [36].

ყირიმის ომში წარუმატებლობამ ცხადჰყო ცარიზმის სხვა უარყოფით მხარეებთან ერთად რუსეთის საერთო ჩამორჩენილობა და მრეწველობის გაფართოების აუცილებლობა. მოწინავე საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მესვეური ნ. გ. ჩერნიშევსკი, არაერთგზის მიუთითებდა სამრეწველო განვითარების უპირატესობაზე. „ჩვენ დროში, — წერდა ჩერნიშევსკი, — ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა, საბრეწველო მიმართულება, უფრო გონივრულია... ყველაზე მეტი სიკეთე მოაქვს სამრეწველო მიმართულებას... როდესაც მრეწველობა ვითარდება, პროგრესიც უზრუნველყოფილია“ [37/860—861]. ბელინსკი, ჯერ კიდევ ადრე, ორთქლის მანქანებში, რკინიგზასა და ტელეგრაფში გონების თვალით ჰვრეტდა. მომავალში ადამიანთა მატერიალური მუშაობისაგან განთავისუფლების მაუწყებელს.

ახალგაზრდა აკაკი წერეთელს თითქოს ბელინსკის ეს აზრი ჰქონდა მხედველობაში, როდესაც 1859 წელს პეტერბურგში დაწერილი ლექსით („ქართლის სალამი“) მოუწოდებდა საქართველოს, რათა ისიც დაუფლებოდა „ცეცხლის გემებს, რკინის გზებსა და ტელეღრაფს“.

რუსეთის რევოლუციონურ-დემოკრატების ასეთი მოწინავე ეკონომიური შეხედულებანი საფუძვლად დაედო ქართველ

სამოციანელთა პრაქტიკული მოღვაწეობის ეკონომიურ პროგრამას.

მაგრამ მათ კეთილმყოფელ ზრახვებს წინ ბევრი სიძნელენი მოელოდა.

კარიერით გატაცებული მეფისნაცვალი ბარიატინსკი სრულიადაც არ ფიქრობდა მხარის ეკონომიურ განვითარებაზე. აშკარად პროგრესულ ღონისძიებებს ის განზრახ აჭიანურებდა და შლიდა. უამრავ ფაქტიდან აქ მხოლოდ ორს დავიმოწმებთ. მისი მეფისნაცვლობის პერიოდში თითქმის უმოძრაოდ იმყოფებოდა ჯერ კიდევ 1857 წელს წამოჭრილი იდეა ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობაზე. ბოლნისში მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის საკითხიც ასევე წლობით გაჭიანურდა [38].

უნდა ითქვას, რომ ბარიატინსკი ამიერკავკასიაში ხშირად არ იმყოფებოდა და მხარეს წლების განმავლობაში გ. ორბელიანი განაგებდა. მას კარგად ესმოდა მრეწველობის უდიდესი მნიშვნელობა და საპატიო ამოცანად მიაჩნდა ამ დარგის განვითარება. ერთ-ერთ გვიანდელ წერილში იგი წერდა: „ტექნიკური მრეწველობა ყოველთვის და ყველგან წარმოადგენს სახალხო კეთილდღეობის უმთავრეს საფუძველს“ [39].

ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სწორედ იმ პერიოდში, როდესაც გ. ორბელიანი მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა, უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები გატარდა მრეწველობის განვითარებისათვის. მისი თაოსნობითა და მხარდაჭერით, ხშირად ფულადი დახმარებითაც, საფუძველი ჩაეყარა ფოლადაურის ქარხანას, სატელეგრაფო ხაზით მთელი რიგი ცენტრალური რაიონების ერთმანეთთან დაკავშირებას, ამიერკავკასიის რკინიგზის დაპროექტებას, ნავთლუღის ნავთობის ქარხნულად გადამუშავების გაფართოებას [40/412], აგრეთვე საქართველოსა და ამიერკავკასიის გეოლოგიური რუკის შედგენას [41].

გ. ორბელიანის პრაქტიკულმა საქმიანობამ ხელი შეუწყო ჩვენში მწარმოებლურ ძალთა განვითარებას. მართალია, მის მიერ ჩატარებული სამეურნეო ღონისძიება „დროის მოთხოვნილებებს“ სრულად ვერ აკმაყოფილებდა, მაგრამ ის, წინა-

მორბედი თაობის მიღწევებთან შედარებით, მაინც გარკვეულად წინსვლას წარმოადგენდა.

საქართველოს სამეურნეო განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აგრეთვე დიმიტრი ყიფიანს. მართალია, იგი წვრილი თავადაზნაურობის ინტერესებს იცავდა, მაგრამ მისი პრაქტიკული საქმიანობაც ობიექტურად ხელს უწყობდა ქვეყნის განვითარებას.

დ. ყიფიანის შეხედულებანი საქართველოს ეკონომიური განვითარების გზებზე დროთა განმავლობაში იცვლებოდა, მაგრამ არა რადიკალურად. მართალია, ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ფეოდალიზმის მოძველებული საზოგადოებრივი და სამეურნეო სისტემა აღარ შეესაბამებოდა დროის მოთხოვნილებებს, მაგრამ დ. ყიფიანი კარგა ხანს ვერ ამაღლდა ამ სისტემის საერთოდ უარყოფის შეგნებამდე და შესაძლებლად მიაჩნდა მისი შეფერადება-შეკეთება [42/37].

ზოგიერთ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა მსგავსად, დ. ყიფიანსაც ქვეყნის ხსნის საშუალებად სოფლის მეურნეობა მიაჩნდა და ცდილობდა ის უახლესი ევროპული მეთოდებისა და ტექნიკის საფუძველზე გარდაექმნა. ამიტომ მთავრობის მიერ 40-იანი წლებიდან სოფლად ჩატარებულ ღონისძიებებში ის პროგრესულ შინაარსს ხედავდა და მხარს უჭერდა. 50-იან წლებში პრაქტიკულად ეხმარებოდა „რაციონალურად" მოწყობილ მეურნეობათა გამრავლებასა და სოფლად მანქანა-იარაღების გავრცელებას. დ. ყიფიანს არ აკმაყოფილებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი მდგომარეობა, რის მიზეზსაც იგი იმდროინდელ საზოგადოებრივ წყობილებაში ხედავდა. 1857 წელს დ. ყიფიანი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ ევროპის წარმატებანი გამოწვეული იყო იმით, რომ აქ ახალი გაუმჯობესებანი არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ „მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც შეუკავებელი ტემპით იჭრებოდა" [42/44].

დ. ყიფიანს 40-იანი წლებიდან საჭიროდ მიაჩნდა ერთდროულად ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაც. „დიდი ხანი არ არის, — წერდა ის,—მას შემდეგ, რაც რუსეთის თავადაზნაურობა ზიზღით უცქერდა მრეწველობას. მაგრამ იმავე დროის

მოთხოვნილებამ აიძულა უკუეგდოთ ეს ცუდი ცრუმორწმუნეობანი და რამდენი არის ამჟამად უწარჩინებულეს თავადაზნაურთა მდიდარი ფაბრიკანტები და მრეწველები, რომელთა მაგალითი შეიძლება გადაიქცეს საუკეთესო წასაბაძ მაგალითად ქართველი თავადაზნაურობისათვის“ [42/45].

ერთ-ერთ გვიანდელ მოხსენებაში (1863 წ.) დ. ყიფიანი უფრო გარკვევით ლაპარაკობს სამრეწველო განვითარების აუცილებლობაზე და წერს: „ვის ძალუძს, რომელიმეს ჩვენთაგანს, თავისი არსებობის იმედი მხოლოდ პურის ხვნა-თესვაზე დაამყაროს?“ [43/213,215].

საქართველოს თავადაზნაურობის უმრავლესობა შიშს გამოსთქვამდა პროლეტარიატის წარმოშობის გამო. უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოს თავადაზნაურობა ამ შემთხვევაში გამონაკლისს არ შეადგენდა. პროლეტარიატის წარმოშობისადმი შიშმა თავი იჩინა რუსეთის თვით პროგრესულ წრეებშიც კი. ვერც დ. ყიფიანი ასცდა ამ განწყობილებას. პროლეტართა წარმოშობა მან „პოლიტიკური სხეულის ავადმყოფობად“ მიიჩნია და მოითხოვდა მისი წარმოშობისთანავე სხეულის განკურნებას.

მაგრამ დ. ყიფიანს არ ესმოდა, რომ სოფლად სავაჭრო მიწათმოქმედებისა და ქალაქად მრეწველობის განვითარება, რასაც ის მოითხოვდა, გარდუვალად გამოიწვევდა პროლეტარიატის წარმოშობასა და გამრავლებას.

ამრიგად, დ. ყიფიანი, ზრუნავდა რა თავისი ეკონომიური კონცეფციის განხორციელებისათვის, ობიექტურად ხელს უწყობდა ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარებას. მის შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ, რომ დ. ყიფიანის მიერ ვაჭრობა-მრეწველობის სარგებლიანობის აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის ფეოდალიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა [44/188]. მაგრამ ეს გარემოება ამავე დროს, უფლებას არ გვაძლევს საერთოდ უარვყოთ დ. ყიფიანის მოღვაწეობის დადებითი შედეგებიც. ზოგჯერ მიუთითებენ, რომ დ. ყიფიანის ეკონომიური ღონისძიებები

თითქოს მთლად ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიურ პოლიტიკას ემთხვეოდა და მათ შორის სრული იგივეობა არსებობდაო [44/13,32]. ამავე დროს, ამ თვალსაზრისის ავტორები სამართლიანად აღიარებენ, რომ ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიური პოლიტიკის შედეგად ობიექტურად პროგრესული ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს საერთო განვითარების მიმართულებით [44/225]. მაგრამ იგივე ავტორები, ეხებიან რა დ. ყიფიანის პრაქტიკულ მოღვაწეობასა და მის ეკონომიურ თვალსაზრისს, რომელიც, მათი აზრით, ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკის ადექვატურია, სრულიად საწინააღმდეგოს დაასკვნიან, სახელდობრ, რომ დ. ყიფიანის სამეურნეო დარგში მოღვაწეობა მთლიანად ბატონყმურ-რეაქციული იყოო.

ასეთ შეფასებაში იჩქმალება ჭეშმარიტება, ქვეყნის სამეურნეო განვითარების საქმეში დ. ყიფიანის მოღვაწეობის ობიექტურად დადებითი შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ 60-იანი წლებისათვის საქართველოს სახალხო მეურნეობაში ადგილი ჰქონდა გარკვეულ დადებით ძვრებს, ჩვენი ქვეყანა ეკონომიურად მაინც ძალზე ჩამორჩებოდა. მწარმოებლური ძალების განვითარება და ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ბატონყმურ-თვითმპყრობელურმა რეჟიმმა, რევოლუციური სიტუაციის გაძლიერების შედეგად, უფრო მწვავე და ტლანქი ხასიათი მიიღო, რითაც ძირითადი მასების მდგომარეობა უფრო გაუარესდა.

„თერგდალეულებს“ სწორედ ასეთ ვითარებაში მოუხდათ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე გამოსვლა, რამაც განსაზღვრა მათი პრაქტიკული მოღვაწეობის შინაარსი და მიმართულებაც.

ახალგაზრდა სამოციანელები, ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, დიდი ამოცანებით დაუბრუნდნენ საქართველოს. რუსეთში ჩატარებული საგლეხო რეფორმის შედეგად ჩვენშიც ისახებოდა ანალოგიური ღონისძიებების გატარება, ხოლო მანამდე დაწყებული სამრეწველო განვითარება თანდათანობით ფართო ხასიათს ღებულობდა.

ახალმა ვითარებამ მრავალი საჭირბოროტო პრობლემა

წამოაყენა, რომელნიც ხალხის მოთხოვნილებას უპასუხებდნენ. „თერგდალეულნი“, იმყოფებოდნენ რა ამ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე, შეეცადნენ აქტიურად გამოხმაურებოდნენ, ილია ჭავჭავაძის გამოთქმით, „ახალთა ქართა ბერვას, დროთა ძარღვს, აწინდელს აუცილებელს ღაღადსა და მოთხოვნილებას“. იაკობ გოგებაშვილის გადმოცემით, „ქართველ მოღვაწეთა მოწინავე რაზმი ეროვნულ საქმეებთან ერთად ცდილობდა ჯეროვანი ყურადღება მიექცია სოციალური და ეკონომიური კითხვებისათვისაც“ [45/130].

ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაარსებული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ ერთდროულად ითვალისწინებდა „პოლიტიკურ-ეკონომიური და სასოფლო-სამეურნეო“ საკითხების გაშუქებას. ამისათვის რედაქციასთან დაარსდა სპეციალური განყოფილებაც, რომელსაც ი. სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი) ხელმძღვანელობდა.

ქართველი მოღვაწენი სხვა ღონისძიებებთან ერთად აყენებდნენ საკითხს ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებაზე. კ. მამაცაშვილი 1863 წელს უკმაყოფილოდ წერდა: „ჩვენი ქვეყნის მადნეული სიმდიდრე ჯერაც ხელუხლებელია. ახლა კიდევ უხვად გამოჩნდა თუჯი (?), სპილენძი, ტყვია, ქვანახშირი, მარმარილო, ქვა, აყიყი და სხვ.“.

მაგრამ ქართველმა სამოციანელებმა რეფორმამდელ პერიოდში ვერ შეძლეს თავიანთი ეკონომიური პროგრამის ვანხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა აგრეთვე საქართველოში მრეწველობის განვითარებას.

მეფის მთავრობა თავგამოდებით იცავდა ბატონყმურ წყობილებას, რომელსაც ის ემყარებოდა, ხოლო უკანასკნელის დაცვა თავისთავად გამორიცხავდა მთელი რუსეთის, განსაკუთრებით განაპირა ქვეყნების, სამრეწველო განვითარებას.

მთავრობის ეს ძირითადი ხაზი განსაზღვრავდა ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიურ პოლიტიკას. რომელიც ჩვენში ხორციელდებოდა და მიზნად ისახავდა, რომ საქართველო გადაექცია მეტროპოლიის მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის მიმწოდებელ და მისი პროდუქციის გამსაღებელ ბაზად.

ამიტომ მეფის მთავრობა ხელოვნურად ამუხრუჭებდა ჩვენში მრეწველობის, კერძოდ, სამთო დარგის განვითარებას.

ამას გარდა, ახალგაზრდა ქართველი სამოციანელები უმთავრესად ეროვნული და სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის ზრუნავდნენ, რის გამოც ეკონომიური პროგრამისათვის მათი ბრძოლა თვალსაჩინოდ ჩამორჩა.

მიუხედავად ამისა, „თერგდალეულებმა" თავიანთი პუბლიცისტური და პრაქტიკული მოღვაწეობით საგრძნობი გავლენა მოახდინეს ამ მიმართულებითაც საზოგადოებრივი აზრის გამოცოცხლებაში. ამის შედეგად ზოგიერთმა ქართველმა მოღვაწემ პრაქტიკულად ხელი მოკიდა მეურნეობის გაუმჯობესებასა და სამრეწველო საწარმოების მოწყობას [46], მაგრამ ამას ფართო ხასიათი არ მიცემია საქართველოში საგლეხო რეფორმის ჩატარებამდე.

ამრიგად, რეფორმამდელი ქართველი საზოგადოებრიობა. ითვალისწინებდა რა ქვეყნის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, შეძლებისამებრ ცდილობდა ადგილობრივი მწარმოებლური ძალების ამოძრავებასა და საქართველოს დაწინაურებისათვის უხვი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებას. ამ მიზნების განხორციელება მაშინ შეუძლებელი აღმოჩნდა და ბევრი ჩანაფიქრიც განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ საზოგადოებრიობის ცდები უკვალოდ არ დაკარგულა და, როგორც ქვევით ვნახავთ, მათ ნიადაგი მოუმზადეს რეფორმისშემდგომ საერთო წარმატებებს, კერძოდ, სამთო მრეწველობის დარგში.

ბ. მანჭანა-იარაღების გამოყენება სოფლად

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობეს სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში, მათ შორის სამთამადნომეტალურგიულ მრეწველობაში, კაპიტალისტური ურთიერთობის შემდგომი გაფართოება.

ქვემოთ განხილულია რეფორმამდელი საქართველოს მრეწველობის აღნიშნული დარგის საერთო მდგომარეობა, მისი როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ პროცესებში, აგრეთვე ის სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ცვლი-

ლებანი, რომელნიც თვით ამ დარგმა განიცადა ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში.

ჩვენს მიერ გამოვლენილი მასალით დადგენილია, რომ მრეწველობის საკვლევი დარგი აღებულ პერიოდში ქვეყნის მზარდ მოთხოვნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა და ამიტომ მისი პროდუქციის როლი საზოგადოებრივ განვითარებაში უმნიშვნელო იყო.

სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის ასეთი მდგომარეობა განაპირობა, ერთი მხრით, ფეოდალურ-ბატონყმურმა ურთიერთობამ, რომელიც უკიდურესად ჩამორჩენილ ტექნიკას ემყარებოდა და უკანასკნელის გაუმჯობესებისათვის ყოველგვარ იმპულსს გამორიცხავდა; მეორე მხრით, ეს გამოწვეული იყო ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიური პოლიტიკით, რომელიც საერთოდ აფერხებდა მრეწველობის განვითარებას, განსაკუთრებით, განაპირა ქვეყნებში, და, მესამე მხრით, ამას აპირობებდა ქვეყნის საერთო ჩამორჩენილობა. იგივე ფაქტორები ხელს უშლიდნენ საქართველოს მრეწველობაში, კერძოდ, საკვლევ დარგში, ადრევე აღმოცენებულ კაპიტალისტური ელემენტების სწრაფ გაფართოებას.

მიუხედავად ამისა, რეფორმამდელი საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა, ისე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებიც, არ იმყოფებოდა სრული უძრაობის მდგომარეობაში. ფეოდალურ-თვითმპყრობელურ წყობილებას არც შეეძლო დიდი ხნით შეეჩერებინა და, მით უფრო, აღეკვეცა ბუნებრივ-ისტორიული პროცესით შეპირობებული განვითარება. ქვეყნის შინაგან ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა მთელი მსვლელობით უკვე მოცემული იყო ამ დარგის გაფართოებისათვის აუცილებელი წინამძღვრები.

სასაქონლო მეურნეობისა და მრეწველობის გაფართოებამ, აგრეთვე რუსეთის კაპიტალიზმის გავლენის ზრდამ, განსაკუთრებით კი, ყირიმის ომის შედეგად შექმნილმა ვითარებამ საგრძნობლად დააჩქარა საქართველოში სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის კაპიტალისტური გზით განვითარება. არსებულ საწარმოებში გაიზარდა დაქირავებულ მუშათა რაო-

დენობა და რამდენადმე შეიცვალა მეტალურგიულ საწარმოთა ენერგეტიკული ბაზა. საქართველოსა და მთელ ამიერკავკასიაში აღმოცენდა კაპიტალისტური ტიპის ახალი მეტალურგიული ქარხნები.

სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარება მიმდინარეობდა ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის რღვევისა და წარმოების ახალი, კაპიტალისტური, წესების გაფართოების პირობებში, რამაც გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ცვლილებანი შეიტანა ამ დარგის განვითარებასა და მის სოციალურ-ეკონომიურ ბუნებაში.

სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა მრავალწახნაგოვანია. ჩვენ განვიხილავთ მის მხოლოდ ძირითად და დამახასიათებელ დარგებს, სახელდობრ: სპილენძის, რკინის, ნავთობისა და ქვანახშირის მრეწველობას, მათ მწარმოებლურობას აგრეთვე ამ საწარმოებსა და ქარხნებში შრომის ორგანიზაციას, საწარმოო ტექნიკასა და მუშათა მატერიალურ-უფლებრივ მდგომარეობას.

სამთამადნომეტალურგიული პროდუქციის საზოგადოებრივ-ეკონომიური მნიშვნელობა განისაზღვრება სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენების მოცულობით. ამიტომ წინამდებარე შრომის ეს თავიც ამ საკითხის გამოკვლევით იწყება.

•

რეფორმამდელი საქართველოს სახალხო მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენდა სოფლის მეურნეობა. ბუნებრივ-კლიმატური პირობების იშვიათმა სიმდიდრემ ხელი შეუწყო ჩვენში მეურნეობის ნაირნაირი დარგების აღმოცენებას, უპირატესად, მარცვლეული კულტურების გავრცელებას. ყველაზე მეტად ამ დარგში იყო გამოყენებული სამეურნეო იარაღები, რომელთა ტექნიკური დონის შესწავლა გვიჩვენებს სოფლად მეტალურგიული პროდუქციის გამოყენების მოცულობასა და მის საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

მარქსიზმის ცნობილი დებულებით, წარმოების იარაღები მაჩვენებელია საზოგადოებრივი ურთიერთობის საერთო ხა-

სიათისა. კ. მარქსი წერდა: „ეკონომიურ ეპოქებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა ის, თუ რა იწარმოება, არამედ ის, თუ როგორ, შრომის რა საშუალებებით იწარმოება. შრომის საშუალებანი არა მარტო საზომია ადამიანის სამუშაო ძალის განვითარებისა, არამედ მაჩვენებელიცაა იმ საზოგადოებრივი ურთიერთობისა, რომელშიც შრომა წარმოებს"[1].

ამრიგად, შრომის საშუალებათა დონეს შეესაბამება განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობა, ხოლო უკანასკნელის ცვლილება და განვითარება ყოველთვის იწყება წარმოების იარაღების ცვლილებებიდან და განვითარებიდან.

ამიტომ აკად. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად მოითხოვდა საქართველოს ეკონომიური წარსულის შესწავლისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, სამეურნეო ტექნიკის გამოკვლევას, რათა „მეურნეობის ვითარება, მისი წარმატება, თუ დაქვეითება ნათელი გახდეს" [47/IV].

საქართველოში მიწათმოქმედება შრომატევადიან დარგს წარმოადგენდა, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ნიადაგი უფრო ღრმად დამუშავებას მოითხოვდა. კლიმატური პირობებისა და ნიადაგის სხვადასხვაობამ თავიდანვე განაპირობა ერთი და იმავე დანიშნულების სამიწათმოქმედო იარაღების ფართო ნაირგვარობა, ხოლო მიწათმოქმედების განვითარებამ — იარაღების სიუხვე და მათი თანდათანობითი გაუმჯობესება.

ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სიახლე იარაღების გაუმჯობესებაში იყო რკინის გამოყენება, რამაც ღრმა ცვლილებები გამოიწვია როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მთლად საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართველი მიწათმოქმედნი რკინის იარაღს ძველთაგანვე იყენებდნენ. მიუხედავად ამისა, გასული საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით 40-იან წლებამდე, მან ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა. სახალხო მეურნეობაში გაბატონებული იყო მეურნეობის ნატურალური სისტემა, რომელიც წარმოების პრიმიტიულ ტექნიკაზე იყო დამყარებული, და, ყმა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. „კაპიტალი", ტ. I, თბილისი, 1954, გვ. 320.

გლეხობის უხვი შრომის პირობებში, ფეოდალურ-ბატონყმური რეჟიმი დაინტერესებული არ იყო შრომის საშუალებათა გაუმჯობესებით.

ამის შედეგად, მეტალურგიული პროდუქცია სოფლად ნაკლებად იყო გავრცელებული.

30-იანი წლებიდან შედარებით მშვიდობიანმა ვითარებამ ხელი შეუწყო საქართველოში მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას, განსაკუთრებით, სოფლად. 1811 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 153 077 სულს, ხოლო 1861 წლისათვის უკვე 518 ათასს აღემატებოდა [18/50—53]. ასეთივე ზრდას ადგილი ჰქონდა აგრეთვე დასავლეთ საქართველოში [49].

სავაჭრო კაპიტალის გაფართოებამ და მისი დიდი ნაწილის ქალაქის სამრეწველო ცხოვრებაში ჩაბმამ გამოიწვია აგრეთვე ქალაქების, კერძოდ თბილისის, მოსახლეობის ზრდა. 60-იანი წლებისათვის თბილისის მოსახლეობა უკვე 62 ათას სულს აღემატებოდა [50/54,143], რომლის ნახევარს გლეხები შეადგენდნენ.

რიცხვმრავალი გახდა აგრეთვე საქართველოში დისლოცირებული არმია და სამოქალაქო უწყებათა ჩინოვნიკობა. შესაბამისად გაიზარდა მოთხოვნილება სოფლის პროდუქტებზე.

ნედლეულით მეტროპოლიის უზრუნველყოფის მიზნით მეფის მთავრობამ გააძლიერა ქვეყნის კოლონიური ექსპლოატაცია, რასაც მოჰყვა სავაჭრო მიწათმოქმედებისა და უკანასკნელის პროდუქტთა წინასწარი ტექნიკური დამუშავების გაფართოება.

ამასთან დაკავშირებით, უშუალო მწარმოებელთა მასა იძულებული გახდა თავისი შესაძლებლობანი მაქსიმალურად დაეძაბა და ერთდროულად ახალი დარგების განვითარებაზე ეზრუნა, რათა დაეკმაყოფილებინა როგორც საკუთარი მოთხოვნილება, ისე უამრავი სახელმწიფო და საბატონო გადასახადი. მოთხოვნილების ზრდამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის რამდენადმე გაფართოებას, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე პურზე ახალი, უფრო ხელსაყრელი, ფასების დაწესებამ.

არსებული ფართობებისა და შრომის საშუალებათა მაქსიმალური ექსპლოატაცია ნაწილობრივად მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციამ შეცვალა. დაიწყო ახალი ფართობების ათვისება, რამაც პურეულის მოსავალი, პროდუქტების გაცვლა და ვაჭრობა გააფართოვა [51].

ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა: „პური... ყველგან და ყოველთვის ყველაზე უფრო გვიან და ყველაზე უფრო ნელა ებმება სასაქონლო მიმოქცევაში"[1]. საქართველოში 40-იანი წლებიდან შეიმჩნევა საშინაო და საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვაში პურის მოცულობის ზრდა. სასაქონლო პურის წარმოება რეფორმის წინა პერიოდში უფრო გაფართოვდა, რაც „უკვე ძველი რეჟიმის დაშლის მაუწყებელი იყო"[2].

ვითარდებოდა აგრეთვე მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული დარგებიც: მევენახეობა-მეღვინეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა [52].

სოფლის მეურნეობის დაწინაურება მნიშვნელოვნად დაკავშირებული იყო ტყის მასივების გაკაფვით ფართობების გადიდებასა და ღრმად მოხვნით მიწის დამუშავების გაუმჯობესებასთან. ასეთი დიდი და შრომატევადი სამუშაოების შესრულება შეუძლებელი იყო ძველი სამეურნეო იარაღებით. ამიტომ მისი ნაწილი რკინის იარაღით შეიცვალა ან რკინის ნაწილების დამატებით გაუმჯობესდა. მაგალითად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქართული გუთანი, რომელიც შემდგომ უმთავრესად რკინაფოლადისაგან კეთდებოდა და ამისათვის 9 ფუთამდე რკინა იხარჯებოდა. შედარებით უმნიშვნელო ცვლილებანი სხვა იარაღებმაც განიცადეს. რამაც რამდენადმე ხელი შეუწყო ინტენსიურ მიწათმოქმედებასა და რკინაზე მოთხოვნილების ზრდას. მაგრამ ეს ცვლილებანი ერთობ სუსტი იყო და ამიტომ ლითონის გამოყენებაც ნაკლები.

რუსეთის მრეწველობის ზოგიერთ დარგში სამრეწველო გადატრიალების შედეგად მეტროპოლიამ მეტი ნედლეული მოითხოვა. მეფის მთავრობამ უფრო გააძლიერა ქვეყნის კო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. I, გვ. 125.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 207—208.

ლონიური ექსპლოატაცია და ამ მიზნით დააარსა საგანგებო საზოგადოებები, რომელთა საშუალებით ნერგავდა მიწათმოქმედების ახალ მეთოდებს, ტექნიკურ კულტურებს, შემოჰქონდა მანქანა-იარაღები, საზღვარგარეთიდან იწვევდა სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და სხვ.

ჩატარებულმა ღონისძიებებმა, მთავრობის ნებასურვილისაგან დამოუკიდებლად, ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობის განვითარებას, სავაჭრო მიწათმოქმედების გაფართოებასა და უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

თუმცა თავადაზნაურობის რიცხვმრავალი ნაწილი სრულიად არ ზრუნავდა სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის. იგი კმაყოფილდებოდა იმ სამეურნეო სისტემით, რომელიც ემყარებოდა უკიდურესად დაბალ და რუტინულ ტექნიკას, არავითარ იმპულსს არ ჰქმნიდა მისი გარდაქმნისათვის, ხოლო მეურნეობას პრაქტიკულად უძღვებოდნენ გლეხები, რომელნიც „გაჭირვებისაგან წელში წყდებოდნენ და პირადი დამოკიდებულებით და გონებრივი სიბნელით დაბეჩავებული იყვნენ"[1].

ის უმნიშვნელო ცვლილებაც, რომელიც სამეურნეო იარაღებმა მაინც განიცადეს, გლეხების თაოსნობით ჩატარდა, რომ საკუთარი მძიმე შრომა რამდენადმე გაეადვილებინათ, მწარმოებლურობა აემაღლებინათ, რათა გადასახადებიც დაეფარათ და ოჯახებიც აუცილებელი ჭირნახულით უზრუნველეყოთ. მათ არავითარი სურვილი და საშუალება არ ჰქონდათ რადიკალურად გარდაექმნათ სამეურნეო ტექნიკა. აქედან — მეურნეობაში მეტალურგიული პროდუქციის ნაკლები გამოყენება, მისი უმნიშვნელო როლი და სოფლის მეურნეობის საერთო ჩამორჩენილობა.

საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენდა თავადაზნაურობის მეორე, უფრო მცირერიცხოვანი ნაწილი, რომელმაც გვიან, მაგრამ ძირითადად სწორად გაითვალისწინა შექმნილი ვითარება, საკუთარი სოციალური კლასის კატასტროფული

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 209.

მდგომარეობა, დროის ახალი მოთხოვნები და ხელი მოჰკიდა რუსეთისა და ევროპის მოწინავე გამოცდილების მიხედვით საკუთარ მეურნეობათა „რაციონალურად“ გარდაქმნას.

მეფისნაცვალი მ. ს. ვორონცოვი, იცავდა რა რუსეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიის ინტერესებს, ცდილობდა საქართველოს სოფლის მეურნეობა გარდაექმნა რუსეთში „რაციონალურად“ მოწყობილ მეურნეობათა მსგავსად.

არსებითად ამავე ძირითად ამოცანას ისახავდნენ ქართველი მემამულე-„რაციონალიზატორებიც“, რომელთაც თავიანთი იდეოლოგებიც ჰყავდათ დ. ყიფიანის, ა. ორბელიანისა და სხვათა სახით.

დ. ყიფიანი ფართო პროპაგანდას ეწეოდა მეურნეობის ფერმერული სისტემისა და ევროპის რაციონალური მეთოდების გავრცელებისათვის, რათა თავადაზნაურობა ჩიხიდან გამოეყვანა. იგი არც ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების წინააღმდეგი იყო და, პირიქით, თავადაზნაურობას მოუწოდებდა რუსი მემამულეების გამოცდილებისათვის მიებაძა.

ამიტომ დ. ყიფიანი 60-იანი წლების დასაწყისში დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდა „მემამულე-რაციონალიზატორთა“ წარმატებებს.

ა. ორბელიანი წერილში — „ჩვენი საქართველოს საზოგადოება“ თავადაზნაურობას ვაჭრობის შესწავლისაკენ მოუწოდებდა, რათა მას თავი დაეღწია ეკონომიური დაცემულობისაგან, და ამის ნიმუშად იგი მიუთითებდა ი. მუხრან-ბატონზე, რომელმაც მამულის გაუმჯობესებითა და ვაჭრობით დიდი ქონება დააგროვა, სასახლე და ცხოვრებაც ევროპულ ყაიდაზე მოაწყო.

ამრიგად, 50-იანი წლებიდან საქართველოში წარმოიშვა საზოგადოებრივი აზრი რაციონალური მეთოდების საფუძველზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის აუცილებლობის შესახებ. ეს ღონისძიება გულისხმობდა აგრეთვე ახალი მანქანა-იარაღების გამოყენებას.

50-იანი წლების დასაწყისში თბილისში დაარსდა „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება“, რომელმაც რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან შემოიტანა გაუმჯობესებული

მანქანა-იარაღები. „საზოგადოებამ“ ისინი მემამულეებს უფასოდ დაურიგა წახალისების მიზნით. ერთდროულად თბილისში გახსნა სპეციალური სახელოსნო ახალი მანქანა-იარაღების შესაკეთებლად და მათთვის ნაწილების დასამზადებლად.

„საზოგადოების“ ღონისძიებათა შედეგად საქართველოში აქა-იქ აღმოცენდა მსხვილი მამულები, რომელთა პატრონები მანქანებსა და სპეციალისტებს უშუალოდ იწერდნენ საზღვარგარეთიდან. უცხოური მანქანებისადმი მისწრაფებამ ჩვენში ერთგვარი მოდური ხასიათი მიიღო. 60-იანი წლების ცნობილი აგრონომი ი. მჭედლიშვილი (სერებრიაკოვი) ამასთან დაკავშირებით წერდა: „თავის დღეში არ ყოფილა ამთენი მსურველი ახალი მაშინებისა“ [53].

უახლეს სამეურნეო ტექნიკას იძენდნენ უმთავრესად შეძლებული მემამულენი. 1850 წელს დ. ვ. ორბელიანმა შეიძინა სალეწი მანქანა. 1860 წელს ანანოვმა თავის ვარციხის მამულში შეიტანა ჰომენგეიმის კონსტრუქციის გუთანი 20 ცალის რაოდენობით. ამ გუთნის უპირატესობა იმერულ გუთანთან შედარებით ის იყო, რომ თითოეულ ახალ გუთანს გამწევ ძალად ყოფნიდა ერთი უღელი ხარი. სალეწი მანქანა, რომელიც ამავე მამულში გამოიყენებოდა, დღეში 100 ფუთ მარცვალს ცეხვდა. აქვე ბამბის საწმენდად იყენებდნენ ინგლისურ მანქანას, რომელსაც სპეციალისტები მაღალ შეფასებას აძლევდნენ პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით. ანანოვმა მეურნეობაში გამოიყენა აგრეთვე გერატის სისტემის სანიავებელი მანქანა, ტერნერის ხელის წისქვილი. უკანასკნელი ერთი მუშით დღეში 12 ფუთ მარცვალს ფქვავდა.

1863 წელს კუჩენბახმა საზღვარგარეთიდან შემოიტანა ერბოსა და შვეიცარული ყველის გამომყვანი მანქანები.

ბარონ ნიკოლაიმ ცვლილება შეიტანა ქართულ გუთანში და დიდ ეკონომიურ ეფექტს მიაღწია ენდროს ამოღებაში — თუ წინათ ერთი ფუთი ენდროს დამზადება ბარით 1 მ. 20 კ. უჯდებოდა, ახლა მხოლოდ მისი ნახევარი [54/112].

გაუმჯობესებულ მანქანებს იყენებდნენ სხვა მემამულენიც

(ნ. ჩიჯავაძე, ს. ანდრონიკაშვილი და სხვ.), მაგრამ ისინი ყველაზე მეტი რაოდენობით გამოიყენებოდა ი. მუხრან-ბატონის მამულში, რომელიც 50-იან წლებში მოეწყო და საქართველოში საკმაოდ მსხვილ მეურნეობად ითვლებოდა. ი. მუხრან-ბატონმა თავის მამულიდან განდევნა ქართული გუთანი, რადგან მას დიდი რაოდენობით ესაჭიროებოდა გამწევი ძალა. მის ნაცვლად საზღვარგარეთიდან იწერდა ნაირგვარი კონსტრუქციის (დომბალის, შუმანის) გუთნებს და ადგილზე ამოწმებდა მათ ვარგისიანობას. შუმანის სისტემის გუთანმა მნიშვნელოვნად შეამცირა გამწევი ძალისა და მუშახელის რაოდენობა, ამავე დროს გაზარდა მწარმოებლურობა. ერთსა და იმავე პირობებში ეს გუთანი ორი უღელი ხარ-კამეჩით იმდენსავე მიწას ხნავდა, რამდენსაც რვა უღელიანი ერთი ქართული გუთანი [55], ამიტომ ი. მუხრან-ბატონის მამულში უმთავრესად შუმანის გუთანს იყენებდნენ.

1862 წელს ამავე მამულში შემოიტანეს სხვა მანქანებიც, კერძოდ ინგლისიდან — სალეწი მანქანა და წისქვილი. ამას გარდა, მან ადგილზე დაამზადებინა სანიავებელი მანქანა და ამისათვის გამოიყენა წყლის ენერგია.

ახალმა სამეურნეო ტექნიკამ მნიშვნელოვნად გაზარდა მეურნეობის პროდუქტიულობა. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ, მაგალითად, საფქვავი მანქანა საათში ფქვავდა ერთ კოდ მარცვალს, ხოლო სალეწი მანქანა — წუთში ლეწავდა ერთ ძნას და დღეში კი — 540 ძნას. ამ სამუშაოს წინათ დღეში სჭირდებოდა 25 უღელი ხარ-კამეჩი, 24 მეხრე და ათჯერ ძვირი ჯდებოდა [56]. ახალ მანქანას კი სულ 5 მუშა ემსახურებოდა.

ამავე მამულში იყენებდნენ სხვა მანქანებსაც: სამკალს, სათიბს, სიმინდის საფხვნელსა და სხვ.

ამრიგად, 50-იანი წლებიდან, განსაკუთრებით 60-იანი წლების დასაწყისში, მანქანები ჩვენში რამდენადმე გავრცელდა და, მაშასადამე, სოფლად ლითონის მოხმარებაც გაიზარდა. სამწუხაროდ, ზუსტი ცნობა ამ მანქანათა რაოდენობაზე, კონსტრუქციაზე, აგრეთვე თითოეულ მანქანაში გამოყენებული ლითონის რაოდენობაზე, სადღეისოდ არ მოიპო-

ვება. მაგრამ უდავოა, რომ მათი გამოყენება აღნიშნულ პერიოდში ფართოვდებოდა, რამაც რამდენადმე გაზარდა მეურნეობათა მწარმოებლურობა.

მაგრამ მანქანა-იარაღებისადმი ეს ლტოლვა მარტო მათი ტექნიკური უპირატესობით არ აიხსნება. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ უკანასკნელ წლებში რეფორმამდე და პირველ წლებში — რეფორმის შემდეგ „მემამულეები მიეტანენ საზღვარგარეთული მანქანების ყიდვას, რომ ამით ყმების „მუქთი" შრომა მათთვის საჭირო აღარ ყოფილიყო და თავიდან აეცილებინათ თავისუფალი მუშების დაქირავების სიძნელენი"[1]. ეს ცდები მარცხით დამთავრდა, რადგან საქართველოში ჯერ კიდევ შექმნილი არ იყო მანქანების გავრცელებისათვის საჭირო პირობები: ფულადი სახსრები და წარმოების დიდი მოცულობა, აგრეთვე, და რაც მთავარია, — დაქირავებულ მუშათა მასა, „კლასი ადამიანებისა, რომლებიც დაქირავებით მუშაობას იქნებოდნენ მიჩვეულნი"[2].

ამის გამო საქართველოში ე. წ. „რაციონალურად" მოწყობილ მეურნეობათა რაოდენობა ერთეულებით განისაზღვრებოდა. მაგრამ მათ ერთგვარი ცვლილება მაინც შეიტანეს სოფლის მეურნეობაში, სამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესებასა და საერთოდ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

უპირველეს ყოვლისა, მათ ხელი შეუწყვეს სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა შემდგომ გაფართოებას — წარმოიშვნენ კაპიტალისტური ტიპის მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო მეურნეობები (ბარონ ნიკოლაისა, ანანოვისა).

მანქანების გავრცელებამ გამოიწვია უშუალო მწარმოებელთა მცირე ნაწილის მიწათმოქმედებისაგან მოწყვეტა, რამაც ხელი შეუწყო სამიწათმოქმედო კაპიტალიზმის მთავარი გამოხატულების — დაქირავებულ მუშათა რაოდენობის ზრდას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 242.

[2] იქვე, გვ. 209, 258.

სოფლად ახალი ტექნიკის გავრცელებამ გამოიწვია მიწათმოქმედებაში სამრეწველო გამოცდილების დანერგვა — ადამიანის კუნთოვანი ძალის მექანიკური და ჰიდრავლიკური ენერგიით, აგრეთვე ცხოველთა ძალით შეცვლა. მაგალითად, 1850 წელს, დ. ვ. ორბელიანმა სალეწი მანქანის მამოძრავებელ ძალად წყლის ბორბალი გამოიყენა. 1862 წელს ი. მუხრან-ბატონის მამულში წყლის ბორბლის ენერგიით ერთდროულად რამდენიმე მანქანა მუშაობდა (წისქვილი, სანიავებელი და სალეწი). საგულისხმოა, რომ ამავე წელს საქართველოში შემოიტანეს ორთქლის ძრავით მომუშავე სამეურნეო მანქანაც.

სამიწათმოქმედო ტექნიკაში მომხდარმა ამ ცვლილებამ რამდენადმე გააუმჯობესა ცალკეულ მეურნეობათა ეკონომიკა. მაგრამ ქვეყნის საერთო ჩამორჩენილობის გამო ეს „ახალი" მამოძრავებელი ძალა ვერ გადაიზარდა ორთქლისა და ნავთობის ენერგიაში და თვით ფეოდალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი წყლის ბორბალი და ცხოველთა ენერგიის გამოყენებაც ფართოდ ვერ გავრცელდა.

მანქანების გავრცელების ერთ-ერთ დადებით შედეგს წარმოადგენდა აგრეთვე „რაციონალურ" მეურნეობებში ქალისა და მოზარდთა შრომის გამოყენება.

მანქანების რამდენადმე გავრცელებამ გამოიწვია მეტალურგიული პროდუქციის როგორც მოხმარების, ისე მასზე მოთხოვნილების ზრდა და მანქანათსამშენებლო დარგის აღმოცენება.

1852 წელს თბილისში ამუშავდა ი. შტიუსეს მექანიკური ქარხანა, რომელიც ამზადებდა სამეურნეო იარაღებს და ერთდროულად მათ შეკეთებასაც აწარმოებდა[1]. ქარხნის მწარმოებლურობა სისტემატურად იზრდებოდა. თუ დასაწყისში მან 633 ფუთი თუჯი გადაამუშავა, ორიოდე წლის შემდეგ — 2000 ფუთზე მეტს ამუშავებდა და 10—16 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდა [57].

---

[1] ამ პერიოდში თბილისში და სხვაგან არსებობდა სამხედრო უწყებათა მექანიკური სახელოსნოები (საქ. ცსსა, ფონ. 418, საქ. I, ფურ. 22), მაგრამ ისინი მხოლოდ სამხედრო დაკვეთებს ასრულებდნენ.

1856 წელს თბილისში ინჟინერ-ტექნოლოგმა ფონ ბიჰოლიტმა არქიტექტორ ბრაუნ მიულერთან ერთად გახსნა სადურგლო, რომელიც ერთდროულად ამზადებდა სამეურნეო მანქანათა ნაწილებს და თვით მანქანების შეკეთებასაც აწარმოებდა [58].

სოფლად მანქანა-იარაღების რაოდენობრივმა ზრდამ თავიდანვე წამოაყენა საკითხი კადრების მომზადების აუცილებლობაზე. ეს არ იყო ახალი საკითხი. მიუხედავად ამისა, საქართველოში სპეციალური ტექნიკური განათლება საერთოდ სუსტად იყო დაყენებული, ხოლო საშუალო კვალიფიკაციის მუშათა მომზადება საერთოდ არ წარმოებდა [59]. ცარიზმი თუ რაიმეს აკეთებდა ამ მიმართულებით, მხოლოდ ქვეყნის კოლონიური ექსპლოატაციის გაძლიერების მიზნით და არა ხალხის საერთო განათლების ამაღლებისათვის.

60-იანი წლების დასაწყისში, კ. მამაცაშვილმა წამოაყენა საკითხი, რათა ყოველ მაზრაში 3—4 სასოფლო-სამეურნეო სკოლა გახსნილიყო, რომელნიც საშუალო კვალიფიკაციის სამეურნეო კადრებს მოამზადებდნენ, მათ შორის, ისეთებს, რომელნიც შეძლებდნენ მანქანების უკეთ გამოყენებასა და, დაზიანების შემთხვევაში, ადგილზე მათ შეკეთებას [60].

ეს წინადადება მოიწონა გ. ორბელიანმაც, რომელიც მაშინ მეფისნაცვლის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. პროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა გაზეთ „Кавказ"-ის რედაქტორმა და „კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების" ნამდვილმა წევრმა ფ. ბობილევმა.

ამიტომ მამაცაშვილის პროექტი განუხორციელებელი დარჩა, რადგან სპეციალური განათლების ორგანიზაცია ფეოდალიზმის პირობებში შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად მემამულე-„რაციონალიზატორები" იძულებული გახდნენ ხელი აეღოთ ახალი მანქანების შეძენაზე და კვლავ შამაპაპურ იარაღებს დაბრუნებოდნენ. მხოლოდ რამდენიმე მემამულემ განაგრძო მანქანებით მუშაობა.

თითქმის ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა რუსეთშიც, სადაც 1861 წლისათვის მემამულეთა მხოლოდ 3 პროცენტი

იყენებდა მანქანებს და ამიტომ იგი ისევ სახნისის ქვეყნად დარჩა.

სოფლად მოწინავე აგროკულტურისა და გაუმჯობესებული იარაღების დანერგვის საფარქვეშ მეფის მთავრობამ ფართო ღონისძიებანი ჩაატარა ამიერკავკასიის კოლონიზაციის მიმართულებით. კოლონისტებს, მართალია, რაიმე რადიკალური გარდატეხა სოფლად არ მოუხდენიათ, მაგრამ მათ ხელი შეუწყვეს სოფლად ლითონური იარაღების მომრავლებასა და ხელოსნობის გაფართოებას.

მეფის მთავრობა კოლონისტებს ფულად დახმარებასაც უწევდა მანქანა-იარაღების შესაძენად, ხოლო ნაწილს გუთნებს ურიგებდა — ყოველ ხუთ კომლზე ერთ გუთანს ან საგუთნე რკინას.

ამ ღონისძიებათა შედეგად, 1847 წლისათვის მარტო გერმანელ კოლონისტებს ჰქონდათ 335 გუთანი და 18 სამჭედლო. რკინის გუთნების გარდა ისინი იყენებდნენ დიდი რაოდენობით რკინის ბარებს, წერაქვებს, ცულებს, ცელებს, ნამგლებსა და სხვ. [8-ა/456, 477, 493].

ცნობილი ქართველი მოღვაწე მ. თუმანიშვილი 1851 წელს წერდა: „ჩვენ დროში ახალი წამოწყება ქვეყნის მატერიალური მოთხოვნილების სფეროში — უკვე ახალი რამ არ არის. ახალი ხიდის გადება, ახალი გზის გაყვანა... უკვე ეპოქას არ შეადგენს. ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური მოვლენაა“ [27/108]. მართლაც, საგზაო მშენებლობა განსახილველ პერიოდში ფართოდ გაიშალა. ამასთან დაკავშირებით სოფლად სამშენებლო იარაღების გამოყენებაც გაფართოვდა.

დასასრულ, სოფლად მეტალურგიული პროდუქციის გამოყენებამ ხელი შეუწყო 40-იანი წლებიდან ხელოსნობის განვითარებას. ხელოსნობამ, მისი დაქსაქსულობისა და დაბალი ტექნიკის მიუხედავად, გარკვეული წვლილი შეიტანა სოფლის მეურნეობის გარდაქმნაში. ხელოსნობა, მონაწილეობდა რა სოფლის ეკონომიურ ცხოვრებაში, თვით განიცდიდა განვითარებას. ხელოსნები პროდუქციას უკვე ბაზრისათვისაც ამზადებდნენ და, ამგვარად, ისინი წვრილი საქონელმწარმოებელნი გახდნენ, რომელნიც მცირე რაოდენო-

ბით დაქირავებულ მუშებსაც იყენებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხელოსნობა საერთოდ გაფართოვდა, ხელოსანთა რაოდენობა მაინც მოსახლეობის მეტად მცირე პროცენტს შეადგენდა. უფრო მცირე იყო ხელოსნობაში დაქირავებულ მუშათა რაოდენობა.

მრეწველობის ამ ფორმის საერთო განვითარებასთან ერთად ფართოვდებოდა ლითონდამმუშავებელ ხელოსანთა რაოდენობაც, მაგრამ უკანასკნელთა პროცენტი როგორც ხელოსანთა საერთო რაოდენობის, ისე, უფრო მეტად, მოსახლეობის მიმართ, ერთობ მცირე იყო.

ამის საილუსტრაციოდ აქვე დავიმოწმებთ საქართველოს რამდენიმე დამახასიათებელი მაზრის მონაცემებს.

ასე, მაგალითად, 1845 წელს ქუთაისის მაზრის მოსახლეობა შეადგენდა 189 670 სულს. აქედან ოსტატი-ხელოსანი იყო 732 კაცი, ანუ მოსახლეობის 0,36% და ხელოსანთა დამხმარე მუშა — 421 კაცი, ანუ დაახლოებით 2 ოსტატზე — ერთი დამხმარე. სამაზრო ქალაქებში მუშაობდა 76 ოსტატი-ხელოსანი, ხოლო სოფლებში — 656, ე. ი. ცხრაჯერ მეტი. ხელოსნებმა დამხმარე მუშებთან ერთად ამ წელს გამოიმუშავეს 15 840 მანეთის პროდუქცია [61], რომელიც როგორც ქუთაისის, ისე სხვა მაზრებსა და ქალაქებში გაიყიდა.

მაზრის ხელოსანთა შორის იყო სულ 65 მჭედელი, ანუ მოსახლეობის 0,03 პროცენტი, ე. ი. ყოველ 2918 კაცზე მოდიოდა ერთი მჭედელი. მათ ჰყავდათ 78 დაქირავებული მუშა, ანუ ერთ მჭედელზე — 1,2 კაცი. დაბა-ქალაქებში მუშაობდა 15 მჭედელი, ხოლო სოფლებში — 50 ანუ სამჯერ მეტი [61/125].

მართალია, წყაროებში მითითებული არ არის ქუთაისის მაზრის მჭედლების მწარმოებლურობა და მათ მიერ ლითონის წლიური მოხმარების რაოდენობა, მაგრამ ამ მონაცემების მიახლოებით დადგენა შეიძლება მეზობელი — შორაპნის მაზრის მჭედელთა შესახებ არსებული ცნობებით, რომლებიც დიდად არ უნდა განსხვავდებოდნენ.

ზემო იმერეთის ორ მჭედელს, რომლებიც უმთავრესად ცულებსა და დანებს ამზადებდნენ, 1859 წელს გამოუმუშა-

ვებიათ 200 მანეთის პროდუქცია. ამავე მაზრის უცნობი სოფლის მესპილენძე-მექვაბეებმა, რომელთა პროდუქცია ძირითადად მეზობელ სოფლებში იყიდებოდა, გამოიმუშავეს 20-დან 100 მანეთამდე ღირებული პროდუქცია, ხოლო ქუთაისში მომუშავე ორმა მჭედელმა — 350 მანეთისა. აღნიშნულ მჭედელთა საშუალო წლიური გამომუშავება 137 მანეთის ფარგლებში თავსდება [62]. ამრიგად, ქუთაისის მაზრის 65 მჭედლის წლიური გამომუშავება უნდა ყოფილიყო არანაკლები 8—9 ათასი მანეთი.

ზემო იმერეთის მჭედლები ამზადებდნენ და ჰყიდდნენ: ცულს 0,6—1 მანეთად, ცელს 0,4—0,7 მან., სპილენძის ქვაბს 3—5 მან., ტაფას 1—2 მან., თუნგს 1—3 მანეთად და ხანჯალს 2—10 მანეთად [62].

დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ე. წ. „ოკრიბული ცული", რომელიც ერთ ოყას (1 კილოგრამზე მეტს) იწონიდა[1]. ასეთივე წონის ცულები მზადდებოდა ზემო სვანეთსა და სხვაგან.

ამ მონაცემების გაანალიზება გვავარაუდებინებს, რომ ქუთაისის მაზრის მჭედლებს ამ წელს მარტო ცულების წარმოებისას უნდა დაეხარჯათ დაახლოებით 800 — 900 ფუთი რკინა. რკინის ასეთი რაოდენობა იმდროისათვისაც მცირე იყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ძველი ძირითადი სამეურნეო იარაღების წონას, მაშინ ცხადია, ამ რაოდენობასაც შეეძლო და კიდევაც შეძლო მიწათმოქმედთა იარაღებსა და სამეურნეო ცხოვრებაში ერთგვარი ცვლილება შეეტანა[2].

ოფიციალური სტატისტიკით, 1845 წელს თელავის მაზრის მოსახლეობა შეადგენდა 33 144 სულს. მაზრაში გაბატონე-

---

1 იმერეთში ახლაც არსებობს გამოთქმა: „ოყა ცულივით დამკრა თავშიო", რაც ამ წონის ცულის ფართო გავრცელებასა და ტიპიურობაზე მიგვითითებს.

2 იმერეთის გლეხობაში მომხდარი ეს ცვლილება ნიშანდობლივად ასახულია იმდროინდელი რუსი პოეტის ი. პ. პოლონსკის ლექსში („იმერელი"): „ეს არის ბართან, სახნისთან, თოხთან, აბრეშუმსახვევ ბორბალთან ომი და ასე ჩვენი ფიცრული სახლი დოვლათიანი გავხადეთ შრომით" (დას. კრებ. „რუსი მწერლები...", გვ. 275).

ბული იყო მეურნეობის ნატურალური სისტემა, რის გამოც სახალხო მეურნეობა, განსაკუთრებით მრეწველობა, მეტად ჩამორჩებოდა. მიუხედავად ამისა, მაზრაში ხელოსნობა მაინც განვითარდა. თუ 1827 წელს თელავში რკინის დასამუშავებელი ერთი სარეწავი არსებობდა [63], 1845 წელს 23; სხვადასხვა სარეწავი-სახელოსნო იყო, ხოლო სოფლებში — 384. ხელოსნები იყენებდნენ 1028 დაქირავებულ მუშას და აღნიშნულ წელს მათ დაამზადეს 52 297 მანეთის პროდუქცია [61].

ხელოსანთა საერთო რაოდენობიდან ლითონდამმუშავებელ დარგებში მუშაობდა 103 ოსტატ-ხელოსანი, რომელთაც გამოყენებული ჰყავდათ 269 დაქირავებული მუშა. ლითონდამმუშავებელ ხელოსანთა რაოდენობის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ მჭედლები და ზეინკლები (49 კაცი). მათ სულ 119 დაქირავებული მუშა ჰყავდათ, ამასთან თვითეულ მჭედელს — 3, ზეინკალს — 2 მუშა [61].

მრეწველობის აღნიშნული ფორმის ზრდით ხასიათდება აგრეთვე ახალციხის მაზრა, რომელიც ძველთაგანვე ცნობილი იყო ლითონდამმუშავებელი ხელოსნობით. ახალციხელთა ნაკეთობა გასული საუკუნის პირველ ნახევარში ფაბრიკულ ნაწარმსაც კი მეტოქეობას უწევდა. ამიტომ ჯერ კიდევ 1838 წელს მეფის მთავრობის ადგილობრივმა ხელისუფლებამ სასურველად მიიჩნია იქაური ნიმუშების პეტერბურგის გამოფენაზე გაგზავნა [64].

აღნიშნულ მაზრაში ხელოსნობის განვითარებასა და ხელოსანთა რიცხობრივ ზრდას ხელი შეუწყო თურქეთიდან ბერძენი და სომეხი ხელოსნების გადმოსახლებამ. 1845 წელს მაზრაში მუშაობდა 745 ოსტატ-ხელოსანი და 368 მათ მიერ დაქირავებული მუშა [61]. ხელოსანთა უმრავლესობა ლითონის დამუშავებაზე მუშაობდა და ამზადებდნენ როგორც სამეურნეო და ცივ იარაღს, ისე სხვა საგნებს. აქ ფართოდ იყო განვითარებული თოქმაჩობა (სპილენძისა და თითბრის დამუშავება). ამ კუთხის ხელოსანთა პროდუქცია საზღვარგარეთაც გადიოდა.

ხელოსნობისა და მისი პროდუქციის ზრდას ამავე პე-

რიოდში ადგილი ჰქონდა საქართველოს სხვა მაზრებშიც. ამ მხრივ ჩამორჩებოდნენ მხოლოდ ოზურგეთისა და დუშეთის მაზრები.

როგორც აღინიშნა, 50-იანი წლებიდან საქართველოში რამდენადმე გაფართოვდა ახალი მანქანა-იარაღების გამოყენება, მაგრამ მათი სწორი ექსპლოატაციის მცოდნე კადრების უყოლობის გამო, ისინი ნაადრევად ზიანდებოდა და გამოუყენებელი რჩებოდა. ამასთან ერთად, ახალი მანქანების გამოჩენამ ერთგვარი სტიმული შექმნა ძველი იარაღების გაუმჯობესების მიმართულებით. როგორც ძველი იარაღების გაუმჯობესების მისწრაფებამ, ისე ახალი მანქანების შეკეთების, მათთვის სათანადო ნაწილების დამზადების აუცილებლობამ (ქარხნული წესით დამზადებული ნაწილები საერთოდ არ იშოვებოდა) ხელი შეუწყო სოფლად ამ დარგის ხელოსანთა რაოდენობის ზრდას.

თბილისის საგუბერნიო სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებით, მარტო აღნიშნული გუბერნიის სამაზრო ქალაქებში 1865 წლისათვის მუშაობდა 3247 ოსტატ-ხელოსანი, 874 დაქირავებული მუშა და 2981 შეგირდი, სულ 7102. აქედან ლითონდამმუშავებელ დარგებში — 1100 კაცი [65].

გორის მაზრა ერთ-ერთ დაწინაურებულ სავაჭრო-სამრეწველო პუნქტს წარმოადგენდა. 50-იანი წლებიდან სასაქონლო მეურნეობის განვითარებამ, მოსახლეობის ზრდამ და მოთხოვნილების გაფართოებამ ხელი შეუწყო მთელი ბაზრის, პირველ რიგში ქ. გორის, დაწინაურებასა და იქ ხელოსნობის განვითარებას. 1865 წელს მარტო გორში მუშაობდა 216 ოსტატ-ხელოსანი[1], აქედან ლითონდამმუშავებელ სახელოსნოებში — 43 კაცი [8-დ/38].

სიღნაღის მაზრაში 1827 წელს არსებობდა რკინის დამუშავებელი 5 სახელოსნო, ხოლო 1865 წელს მათი რიცხვი 38-მდე გაიზარდა. ამავე წელს მაზრაში მუშაობდა 145 ოსტატ-ხელოსანი, რომელთაც 138 დაქირავებული შეგირდი

[1] სხვა მონაცემებით, 1865 წელს გორში მუშაობდა 133 ოსტატ-ხელოსანი, 7 მუშა და 139 შეგირდი (საქ. ცსსა, ფონ. 414, აღწ. 1, საქ. 18, ფურ. 14).

ჰყავდათ. ხელოსანთა რაოდენობიდან: მჭედლები და ზეინკლები იყო — 22, მესპილენძეები — 18, საჭურვლის მკეთებელნი — 16 კაცი [66].

სიღნაღის ხელოსანთა პროდუქცია ვრცელდებოდა მახლობელ მაზრებსა და კავკასიის მთიანეთში და სარეალიზაციოდ გარე ბაზარზე მიჰქონდათ როგორც თვით ხელოსნებს, ისე ვაჭარ-შემსყიდველებსაც.

ლითონდამმუშავებელი ხელოსნობა განვითარებული იყო განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ადგილობრივი მადნების დამუშავებას ეწეოდნენ (ზემო რაჭა, ზემო და ქვემო იმერეთი, აჭარა, აფხაზეთი, ქვემო ქართლი, ნაწილობრივ კახეთი), ან ლითონი ტრანზიტით შეჰქონდათ (ახალციხე), ანდა მახლობლად მეტალურგიული ქარხანა არსებობდა (ქვემო ქართლი, ბამბაკი). მაგალითად, 1865 წელს ალავერდის ქარხანასთან 90 მესპილენძე მუშაობდა და ისინი თავიანთ ნაკეთობას სოფლებში ჰყიდდნენ [67]. ლითონდამმუშავებელი ხელოსნობის ასეთი გავრცელება თავისთავად მეტყველებს ლითონის დიდი რაოდენობით მოხმარებაზე.

60-იანი წლებიდან, „მემამულე-რაციონალიზატორთა“ უკვე აღნიშნული მარცხისა და კვლავ ძველი იარაღებისაკენ მიბრუნების შემდეგ, სოფლის მეურნეობამ ფართო მოთხოვნილება წამოაყენა ლითონის სამეურნეო იარაღზე. მართალია, ფაბრიკული იარაღის შემოზიდვა რამდენადმე გაიზარდა, რამაც ლითონდამმუშავებელი ხელოსნობა — შინამრეწველობა შეავიწროვა, მაგრამ მას კვლავაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა სოფლის ეკონომიკაში. მიუხედავად ამისა, ხელოსანთა რაოდენობა სოფლად მაინც მცირე იყო და ის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებას მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა.

გ. ლითონისა და მანქანა-იარაღების გამოყენება მრეწველობაში

ლითონისა და მანქანა-იარაღების გამოყენებამ უფრო მეტად ხელი შეუწყო ქალაქის მრეწველობას, რომელიც უმთავრესად ხელოსნურ-შინამრეწველური ფორმით იყო წარმოდ-

გენილი. რეფორმამდელ პერიოდში ხელოსნობა გაიზარდა როგორც დარგების, ისე ხელოსანთა რაოდენობის მიხედვით.

ოფიციალური მონაცემებით, თბილისში 1835 წლისათვის არსებობდა ხელოსანთა 32-მდე დარგი, რომლებიც 1266 კაცს აერთიანებდა [68]. 1865 წლისათვის დარგების რიცხვი 6 ერთეულით გაიზარდა, ხოლო ხელოსანთა რაოდენობა — თითქმის ხუთჯერ, ანუ ოსტატი-ხელოსანი იყო 2489, დამხმარე (დაქირავებული) მუშა — 849 და შეგირდი — 2168, ანუ სულ 5506 კაცი [8-დ/42—44; 65][1]. საუკუნის დასაწყისთან შედარებით, თბილისში ხელოსნობა 1865 წლისათვის 449 პროცენტით გაიზარდა [69/23—24].

ხელოსნობის საერთო ზრდასთან ერთად გაფართოვდა და გაიზარდა ლითონდამმუშავებელი ხელოსნობაც. არაზუსტი ცნობებითაც, თბილისში 1835 წელს ამ დარგის 143 ხელოსანი ირიცხებოდა, ხოლო 1865 წლისათვის უკვე 618 ხელოსანი [8-დ/42—44]. ასეთი მკვეთრი ცვლილება გამოწვეული იყო უმთავრესად ზეინკლების რიცხობრივი ზრდით. თუ 1835 წელს სულ 33 ზეინკალი ითვლებოდა, 1865 წელს ეს რიცხვი 439-მდის გაიზარდა. თუ წინათ (1835 წ.) 58 მჭედელი იყო, 1865 წელს მარტო ოსტატი-ხელოსნების რაოდენობამ 159 მიაღწია. მათ ჰყავდათ 80 დაქირავებული მუშა და 200 შეგირდი.

მოსახლეობის მოთხოვნილებათა ზრდამ და საერთოდ მისი გემოვნების განვითარებამ გამოიწვია ცალკე დარგების გაფართოება და ახლების წარმოშობა. ასე, მაგალითად, მჭედლობას, თითქმის ყოველ გზაჯვარედინზე რომ არსებობდა, [70/162], ცალკე დარგებად გამოეყო ნალბანდობა, ცივი და სასროლო იარაღის მკეთებლობა, მესპილენძე-მეჭურჭლეობა და სხვა, ხოლო თითოეული მათგანი დაიყო ცალკე ვიწრო სპეციალობებად.

თბილისელ ხელოსან-შინამრეწველთა პროდუქცია ძირი-

---

[1] სხვა მონაცემებით 5520 კაცი (CCCK, გვ. 116). პროფ. შ. ჩხეტია, ემყარება რა სტატისტიკას, თბილისში 1865 წელს 5668 ხელოსნის მუშაობის შესახებ, ვარაუდობს უფრო მეტს, სახელდობრ, 6—7 ათასს [50/154,253].

თადად საშინაო ბაზრისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ იგი ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთაც იყიდებოდა.

თბილისის მჭედლები ამზადებდნენ ქალაქის მოსახლეობისა და ხელოსნებისათვის საჭირო საგნებს და ერთდროულად სოფლის სამეურნეო იარაღებს, რომელთა ნაწილი სოფლებში გასაყიდად მიჰქონდათ თვით ხელოსნებს ან ვაჭარ-შემსყიდველებს.

მთელს კავკასიაში გაბატონებული იყო სპილენძის ჭურჭლეულობა. მაგალითად, 1858 წელს, მარტო სიღნაღის მაზრაში გაიყიდა 10 ათასი მანეთის სპილენძის ჭურჭელი.

მესპილენძეობა ჩვენში ხელოსნობისა და შინამრეწველობის ფორმით ფართოდ იყო გავრცელებული უმთავრესად ქალაქებში. თბილისში 40-იანი წლების მეორე ნახევარში არსებობდა სპილენძის ჭურჭლის დამამზადებელი სახელოსნო— „ქარხანა", სადაც მუშაობდა 12 ოსტატი, 22 თანაშემწე და 12 შეგირდი. „ქარხანა" ნედლეულს (სპილენძს) ალავერდის ქარხნიდან ან ნუხელი ვაჭრებისაგან იძენდა. მესპილენძეთა პროდუქცია, განსაკუთრებით მხატვრულად გაფორმებული ნაკეთობა, ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთაც ვრცელდებოდა, სახელდობრ — ირანსა და თურქეთში [71]. კარგი ხარისხის სპილენძის ჭურჭელი მზადდებოდა აგრეთვე ქუთაისში, სოხუმსა და ამიერკავკასიის სხვა პუნქტებში (სოფ. ლანჩში, გირიუსში, ნუხაში და სხვაგან).

სტატისტიკური ცნობებით, 1865 წელს თბილისში იყო 25 მესპილენძე, რომელთაც 30 მუშა და 29 შეგირდი ჰყავდათ. ალავერდის ქარხანა გარკვეული ზომის ფურცლოვან სპილენძს ხშირად თბილისელი მესპილენძეების დაკვეთით ამზადებდა [65,72].

ლითონდამმუშავებელი ხელოსნური და შინამრეწველური დარგის განვითარება-გავრცელებამ ლითონზე მოთხოვნილება საგრძნობლად გაზარდა. მაგრამ, რადგანაც ლითონის, კერძოდ რკინის, ადგილობრივი წარმოება და აგრეთვე გარედან შემოტანილი რაოდენობა ვერ ფარავდა მოთხოვნილებას, ამიტომ ქალაქის ხელოსანთა შორის წარმოიშვა სპეციალური დარგი, რომელიც ერთდროულად მადნის დამუშავებასაც

ეწეოდა. ზ. ჭიჭინაძის გამოუქვეყნებელი შრომით, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ მოვალეობას ითავსებდნენ ე. წ. „თოქმაჩები“, რომელნიც რკინას, სპილენძს, თითბერსა და ტყვიას ამუშავებდნენ. ისინი მადნეულებსაც ეძებდნენ და სხვადასხვა ლითონებს საგანგებოდ აგებულ ქურებში ადნობდნენ. ამიტომ მათ „მძებნელებსაც“ უწოდებდნენ. „თოქმაჩებს“ თავიანთი ამქარიც ჰქონდათ შედგენილი, მაგრამ რუსეთიდან და ევროპიდან მოსულმა „თოქმაჩებმა“ ადგილობრივებს ბევრად გაუსწრეს და ამქარიც დაიშალა [73].

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში არსებობდა საუკეთესო ხარისხის სამართებლების დამამზადებელი სახელოსნოც, რომელიც ეკუთვნოდა ივანე ზოტიშვილს. მის სამართებლებს რუსეთშიც შვედურ სამართებლებზე უფრო მაღალი შეფასება მიუღია.

პ. იოსელიანი წერდა: „ქალაქსა ს.-პ. ბ. გავიცან 1843 წელსა... სლივიცკი მოხუცი... ესე მოხუცი... იყო ზუბოვისა ადიუტანტი დერბენდსა და როდესაც იმპერატორმან პავლე დააბრუნა ჯარი რუსეთად, მაშინ მოვიდა იგი თფილისს 1797 წელსა და მოისყიდა სამართებლები. ეგონა კიდევ იყო ხელოვნება ასე მუნ და მთხოვა დაუბარო მას რავდენიმე. თვითოში მ^ვე თვითო აბაზიო. არცა ერთი ევროპაში ნაკეთი არ შეედრება თფილისისა სამართებლებსაო“ [13/265]. ამავე სამართებლებს გაცნობია მ. ს. ვორონცოვი ახალგაზრდობაში 1801 წელს, როდესაც ის რუსეთის ჯართან ერთად ჩამოსულა საქართველოში. კავკასიაში მეფისნაცვლად მუშაობისას ეს სახელგანთქმული სამართებლები მოუკითხია, მაგრამ ზოტიშვილის სახელოსნო იმდროს უკვე აღარ არსებულა.

ზოტიშვილის სახელოსნო, როგორც ჩანს, პატარა არ უნდა ყოფილიყო, რადგან, ზაქარია ჭიჭინაძის გადმოცემით, მასში „უამრავი ქარგალი და შეგირდი მუშაობდა“ [73/58—69].

ლითონდამმუშავებელი ხელოსნობა დამყარებული იყო ძალზე პრიმიტულ ტექნიკაზე: ძველებური ხელის საბერველიანი ქურა, ფოლადის პატარა გრდემლი, ხელის სხვადასხვა სახის ურები, მარწუხები და ა. შ. ეს ტექნიკური საშუალებანი თითქმის უცვლელი დარჩა მთელი საუკუნის მანძილზე. ამიტომ

სარეწავის მთელი ტექნოლოგიური ოპერაციები სრულდებოდა ფიზიკური ძალის მაქსიმალური დაძაბვის შედეგად.

ქალაქის ლითონდამმუშავებელ სახელოსნოთა მწარმოებლურობა, აგრეთვე ლითონის, როგორც ძირითადი ნედლეულის, მოხმარების ზუსტი მოცულობა ჩვენთვის უცნობია. მაგრამ ზოგიერთი მონაცემებით, რომლებიც მომდევნო ქვეთავში დაწვრილებით იქნება განხილული, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ სახის სარეწავების მწარმოებლურობა დიდი არ უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, ლითონის მოხმარებაც, მოთხოვნილების ზრდასთან შედარებით, მცირე იყო. ყოველშემთხვევაში, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ლითონდამმუშავებელი სახელოსნოებიდან ყველაზე მეტი რაოდენობის ლითონებს მოიხმარდა მჭედლობა, რომელიც ერთდროულად სოფლის მეურნეობასაც ემსახურებოდა სამეურნეო იარაღების დამზადების სახით.

ლითონების გარკვეულ ნაწილს იყენებდა აგრეთვე საჭურველის დამამზადებელი ხელოსნობა.

საჭურველმკეთებლობას ქართულ ხელოსნობაში ტრადიციულად ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეკავა, რადგან ქართველი მეომარი ფართო და მკაცრ მოთხოვნებს უყენებდა განსაკუთრებით ხმლების მწარმოებელ დარგს. სულხან-საბა ორბელიანის გადმოცემით, — „ქართველნი ჰყუარობდნენ... ძვალთა და რკინათა მკვეთელ და თვით უვნებელ, ადრე არ დამბლაგველ“ ხმალს. იარაღი წარმოადგენდა არა მარტო მამაკაცთა აღკაზმულობის აუცილებელ ელემენტს, როგორც ს. ესაძე აღნიშნავდა [74], არამედ, ვახუშტის სიტყვით, უმთავრესად ქვეყნის თავდაცვის ძირითად საშუალებას.

ჩვენში მეიარაღეობის დარგმა თავისი მნიშვნელობა რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდგომაც შეინარჩუნა, რადგან კავკასიის ფრონტებზე რუსეთის ჯართან ერთად იბრძოდნენ ქართველ მეომართა სპეციალური ნაწილებიც და ისინი ძირითადად ადგილობრივი იარაღით იყვნენ აღჭურვილნი.

საბრძოლო იარაღებზე მოთხოვნილების გაფართოებამ ბუნებრივად გამოიწვია მათი დამზადების მაღალი ტექნიკა, ხელოსანთა მომრავლება და ამ დარგის ვიწრო სპეციალობათა

გაფართოება. თბილისის ხელოსნობაში ასეთი სპეციალიზაცია აღნიშნული აქვს აგრეთვე იოანე ბატონიშვილს — „კალმასობაში“.

იარაღის დამზადება საქართველოს მრავალ კუთხეში წარმოებდა, რისთვისაც ხელოსნები იყენებდნენ როგორც სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ, ისე ადგილზე გამოდნობილ ლითონს.

აფხაზეთში 20-იან წლებში მრეწველობის მთავარ დარგს წარმოადგენდა რკინის მადნის დამუშავება და მისგან საუკეთესო ფოლადის გამოდნობა. ხელოსნები აქ თოფის ლულებსა და მეტად კარგ სახელურიან ხანჯლებს აკეთებდნენ. ადგილობრივი თოფ-იარაღი ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა [75].

აჭარის ბევრ სოფელში (მაჭახელა, ცხმორისი, ახო, საღორეთი, ხუცუბანი) სამეურნეო იარაღებს გარდა ამზადებდნენ ხანჯლებს, დამბაჩებს, თოფებსა და ზარბაზნებსაც კი [76]. საგულისხმოა, რომ სოფ. ხუცუბანში საბრძოლო იარაღის წარმოებამ ჩვენ დრომდეც მოაღწია. გურიაში რკინის სალტეებიდან საუკეთესო თოფებს ამზადებდნენ. სამეგრელოს მეიარაღენი თვით ადნობდნენ საუკეთესო ფოლადს და მას ხმლებისათვის იყენებდნენ. იარაღს ამზადებდნენ აგრეთვე ზემო რაჭაში, ქვემო და ზემო იმერეთში, ფშავ-ხევსურეთში, ახალციხეში და სხვაგან. იმერეთში ერთობ მაღალხარისხოვანი ფოლადის დამზადებაც ცოდნიათ.

საჭურველმკეთებლობა უფრო ფართოდ აღმოსავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. 1824 წელს თბილისში ჩატარებული კამერალური აღწერით აღრიცხულია ხელოსანთა საგრძნობი რაოდენობა და, მათ შორის, ისეთი ხელოსნებიც, რომელნიც მეიარაღეობის ამა თუ იმ ვიწრო სპეციალობის დარგში მუშაობდნენ. მაგალითად, მ ე თ ო ფ ე — გელუაშვილი გიორგი შარბაშჩი, ხ მ ლ ი ს პ ი რ ე ბ ი ს მ კ ე თ ე ბ ე ლ ი — გეურქა და ყარამან ელიარაშვილები, ხეჩატურა, სოლომონ მარტირუზა ავთანდილაშვილი; მ ე ჩ ა ხ მ ა ხ ე ნ ი და ხ მ ლ ი ს ს ა ხ ე ლ უ რ ე ბ ი ს ო ს ტ ა ტ ე ბ ი — გოგია პაპაშვილი, გოგია გვორა პაპასშვილი, პეპანა დავითასშვილი, ქარიმა ოგანეზასშვილი და მრავალი სხვ. [77].

დიდი რუსი პოეტის, ა. ს. პუშკინის, გადმოცემით, თბილისური იარაღი მთელს აღმოსავლეთში მეტად ძვირად ფასობდა. ამიტომ, ირანში გატანილი საქონლის საგრძნობ ნაწილს ამიერკავკასიის იარაღი (ხანჯლები) შეადგენდა.

30-იანი წლების დასაწყისიდან, თავისუფალი ვაჭრობისა და შეღავათიანი ტრანზიტის აღკვეთის შემდეგ იარაღის ექსპორტი ირანში შემცირდა, შემდეგ კი საერთოდ აიკრძალა [78].

მთავრობის ამ ღონისძიების შედეგად მეიარაღე ოსტატების რაოდენობა შემცირდა. თუ 1835 წელს თბილისში 21 მეთოფე და 12 ხმალ-ხანჯლის ოსტატი ირიცხებოდა, 1840 წელს მხოლოდ 5 მეთოფე და ცივი იარაღის 15 ოსტატი მუშაობდა. სტატისტიკური მონაცემებით, მთელს კავკასიაში იყო 220 მეთოფე და 436 კაცი ხმალ-ხანჯლების ოსტატი — აქედან საქართველოზე მოდიოდა მეთოფე — 15 და თეთრი იარაღის მკეთებელი 45 ოსტატი [79].

თელავის მაზრაში 1845 წელს მუშაობდა სულ 14 მეიარაღე (აქედან სოფლად — 9), რომელთაც 18 დაქირავებული მუშა ჰყავდათ და 2340 მანეთის ღირებული პროდუქცია დაამზადეს. ქუთაისის მაზრის სოფლებში მუშაობდა 2 მეიარაღე და ჰყავდათ 3 მუშა [61], ხოლო ახალციხეში იყო 9 ოსტატი და 8 დამხმარე მუშა[1].

ცარიზმისადმი-მთიელთა წინააღმდეგობა 50-იანი წლებიდან უფრო გამოცოცხლდა, რასაც აღვივებდა ინგლისი და თურქეთი, რომლებიც შამილისათვის იარაღით დატვირთულ გემებს ფარულად შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ აგზავნიდნენ, მაგრამ ისინი მიზანს ვერ აღწევდნენ [80]. როგორც ფ. ენგელსი შენიშნავდა, შამილს ყველაზე მეტად იარაღი ესაჭიროებოდა, მაგრამ ინგლის-თურქეთიდან მისი მიღება ვერ შეძლო: ასევე უშედეგო აღმოჩნდა შამილის ცდები თურქეთიდან მეიარაღეთა მოწვევის საქმეში. შამილი იძულებული გახდა თავისი

[1][61/74]. რამდენად არასარწმუნოა ეს ოფიციალური სტატისტიკა, იქიდანაც ჩანს, რომ აქ დუშეთის მაზრა სრულიად არაა მოხსენებული, მაშინ როდესაც გუდამაყარში, სოფ. დუმაცხოში, ტრადიციულად იარაღის წარმოება გრძელდებოდა (საქ. მუზეუმის „მოამბე", XVII—Б. თბილისი, 1953 წ., გვ. 198).

რესურსებით დაეწყო რკინის საბადოების დამუშავება და იარაღის წარმოება, რისთვისაც ის წარმატებით იყენებდა მეფის ჯარიდან მასთან გაქცეულ რუს და პოლონელ სპეციალისტ-სამხედრო პირებს (ა. რუსალსკი, პ. პიატერიკოვი და სხვ.), მაგრამ ეს წარმოება ძალზე უმნიშვნელო იყო და მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ შამილი სხვადასხვა ვზით აბერხებდა სიმაგრე „ვნეზაპნოეში" ჯარისკაცებისაგან ლითონისა და იარაღის შეძენას. ერთდროულად იგი თბილისისა და სხვა ქალაქების ხელოსნებისაგან ფარულად იძენდა ლითონსა და დამზადებულ იარაღს.

ამასთან დაკავშირებით მ. ს. ვორონცოვმა საბაჟოთა ზედამხედველობას დაავალა, რათა არ დაეშვათ მთიანეთში ლითონისა და იარაღის გატანა [81], რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა ხელოსანთა მწარმოებლურობაზე. ამ დარგის დაცემას ხელს უწყობდა რუსეთიდან იარაღის შემოზიდვის გაფართოებაც.

ოფიციალური სტატისტიკით, 1865 წლისათვის საქართველოში აღნიშნული დარგის ხელოსნებისა და მათი მუშების რაოდენობა 118 კაცით განისაზღვრებოდა. აქედან: თბილისში — 38 ოსტატი და 49 მუშა, გორში — 3 ოსტატი და 4 მუშა, სიღნაღში — 7 ოსტატი და 9 მუშა, ხოლო თელავში 3 ოსტატი და 5 მუშა იყო [65].

მაგრამ ქართველმა მეიარაღეებმა გასული საუკუნის პირველ ნახევარში სახელი გაითქვეს უმთავრესად მაღალღირსებიანი, განსაკუთრებით, ჯავარდენის ფოლადისაგან ნაკეთები ხმალ-ხანჯლების წარმოებით.

ძნელი იყო ამ იარაღის გაკეთება, რადგან XIX საუკუნის 40-იან წლებამდე ლითონის დამუშავება საერთოდ ემყარებოდა არა მეცნიერულ კანონზომიერებას, არამედ ოსტატთა მიერ ემპირულად დაგროვილ გამოცდილებას. ამიტომ მხოლოდ ერთეულნი ფლობდნენ ჯავარდენის დამზადების საკმაოდ რთულ ხელოვნებას, ხოლო სხვებისთვის ის საიდუმლოებით იყო მოცული. ბევრნი, მათ შორის ევროპელი ხელოვანნიც, ხანგრძლივად და ამაოდ ცდილობდნენ ჯავარდენის ფოლადის გამოდნობის საიდუმლოება ამოეხსნათ, გაეგოთ, როგორ და რა

საშუალებებით ანიჭებდნენ ჯავარდენის იარაღს ჭრის მაღალ თვისებასა და მხატვრულ იერს.

ცნობილი რუსი მეცნიერი-მეტალურგი პ. პ. ანოსოვი XIX საუკუნის 40-იან წლებში სამართლიანად წერდა: „დამასკური სატევრების გაკეთება დღემდე ევროპის სწავლულებისა და მხატვრებისათვის გამოცანას შეადგენსო“ [82/122].

ქაროელ მეიარაღეებს ევროპელებისათვის რამდენიმე საუკუნით გაესწრიათ და ბრწყინვალე ფურცლები ჩაუწერიათ ჯავარდენის წარმოების ესოდენ ხანდაზმულ ისტორიაში.

რას წარმოადგენს ჯავარდენის ანუ ბულატის ფოლადი და მისგან დამზადებული იარაღი? ეს არის განსაზღვრული შედგენილობის ლითონი, რომლის არაერთგზის ჭედვა და წრთობა იწვევს ლითონში სტრუქტურულ ცვლილებას და მისგან გაკეთებულ ხმალ-ხანჯლების ზედაპირზე ნაირსახოვანი ნაყშის წარმოშობასა და სისალეს.

წარმტაცი მრავალფეროვნებით, უპირატესად ლაჟვარდისფრად მოლივლივე ნაყში, საამოდ წკრიალა ხმა და დიდი სისალე — ასეთია ჯავარდენის ხმალ-ხანჯლების გარეგანი იერი და ზოგადი თვისება. საუკეთესო ხარისხის ჯავარდენის იარაღს უწინ იმის მიხედვით ამოიცნობდნენ, თუ როგორი ფერი გადაჰკრავდა მზის სხივებისადმი ირიბად დახრილ ხმალ-ხანჯლის ზედაპირს. ჯავარდენის კარგ იარაღს უნდა შეძლებოდა არა მარტო ძვლისა და რკინის გადაკვეთა, არამედ ჰაერში მოფარფატე ბაღდადის ერთი მოქნევით აკუწვაც. ზოგჯერ, ხანჯლის პირს აბრეშუმის თხელ ჩითმერდინს მსუბუქად შემოახვევდნენ, ხანჯალს ჰაერში მკვეთრად დაიქნევდნენ და, თუ ის (ჩითმერდინი) გადაიჭრებოდა, იარაღი მაღალ შეფასებას მიიღებდა.

საქართველოში ჯავარდენის იარაღის წარმოების არსითა და ისტორიით უკანასკნელ წლებში ბევრი მკვლევარი დაინტერესდა. მათი კვლევის ამოსავალ ობიექტს წარმოადგენს XIX საუკუნის 20—30-იან წლებში მცხოვრები თბილისელი ოსტატის ყარამან ელიარაშვილის სახელოსნო, რომელმაც ერთი შემთხვევის გამო, რაც დაწვრილებით ქვევით იქნება განხილული, რუსეთშიაც ფართოდ გაითქვა სახელი.

ამ ოსტატის ხელოვნება და დამსახურება პირველად პროფ.

3. გუგუშვილმა შეისწავლა და სათანადოდ შეაფასა [8-ა, დ/174, 46—50]. მაგრამ უკანასკნელ დროს ზოგიერთი მკვლევარის მიერ გამოქვეყნებული შრომებიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჯავარდენის იარაღის კეთება ჩვენში თითქოს მხოლოდ ელიარაშვილებმა იცოდნენ. მათ ისეთ ამბებსაც მიაწერენ, რომელთაც სინამდვილეში ადგილი არა ჰქონია.

ერთნი აღნიშნავენ, თითქოს ყარამან ელიარაშვილმა იცოდა თვით ნამდვილი ჯავარდენის ფოლადის გამოდნობა და მისგან იარაღის გაკეთება; მეორენი, ემყარებიან რა შეუსწავლელ ცნობებს, ამტკიცებენ, რომ რუსეთში ჯავარდენის ხმლების მასობრივად წარმოება დაიწყო მას შემდეგ, რაც ყ. ელიარაშვილის მიერ მომზადებული ოსტატები ზლატოუსტის ქარხანას დაუბრუნდნენ; მესამენი სრულ უკიდურესობამდე მიდიან და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ყ. ელიარაშვილი საერთოდ ამ ხელოვნების უცოდინარი იყო. მას სახავენ მატყუარად, ხოლო უკეთეს შემთხვევაში, ისეთ უბრალო ხელოსნად, რომელსაც ხმალ-ხანჯლების გაკეთება შეეძლო მხოლოდ ინდური ფოლადისაგან ან ურალის ქარხნების ლითონით.

ყ. ელიარაშვილის ოსტატობისა და ხელოვნების ასეთ შეფასებაში არც ერთი მხარე სწორი არ არის და ძთელი მათი მტკიცება ტენდენციურია ან ტექნოლოგიის ელემენტარული საკითხების უცოდინარობაზეა დაფუძნებული. უგულვებელჰყოფენ რა ყ. ელიარაშვილის დამსახურებას, ისინი ამით ჩრდილს აყენებენ არა მარტო აღნიშნულ ოსტატს, არამედ საერთოდ ეპვის ქვეშ აყენებენ მთელ ქართულ მეიარაღეობასაც, რომლის ტრადიციული წარმატება, კერძოდ, ჯავარდენის იარაღის დამზადებაში, საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც.

ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ რამდენადმე ვრცლად მიმოგვეხილა აღნიშნული შეხედულებანი და ქართული ჯავარდენის წარსულის მოკლე ექსკურსით ნათელგვეყო მათი აშკარა მცდარობა.

როგორც ირკვევა, ჯავარდენის ფოლადიდან ხმალ-ხანჯლებს ჩვენში საშუალო საუკუნეებშიც ამზადებდნენ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები ქართული ჯავარდენითაც მარაგდებოდნენ.

ეს ისტორიული ფაქტი პ. პ. ანოსოვის მიერ შეკრებილი ცნობებითაც დასტურდება.

მაგრამ ისმის კითხვა, ძველმა ქართველმა მეტალურგებმა იცოდნენ თუ არა თვით ამ ფოლადის გამოდნობა. სამწუხაროდ, რაიმე პირდაპირი მითითება ამ საკითხზე წყაროებში არ მოიპოვება, მაგრამ თუ გავეცნობით ქართული ფოლკლორის ძეგლებს და შევაჯერებთ მათ ცალკეულ ადგილებს ძველ ბერძენ მწერალთა ჩანაწერებს, შეიძლება დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ ძველმა ქართველმა მეტალურგებმა ამგვარი ფოლადის გამოდნობაც იცოდნენ. ქართული ფოლკლორის ცალკეულ ძეგლებში („ამირანიანი") მოიხსენება ფოლადის ისეთი იარაღიც, რომელიც ფერით ჯავარდენის იარაღს ემსგავსება. ბერძენ მწერალთა მონაცემებით კი საქართველოში ხალიბების მიერ მზადდებოდა მაღალღირსებიანი ფოლადი, რომელიც არ იჟანგებოდა და კარგი ნაწრთობობით განირჩეოდა [83/327—328]. ივარაუდება, რომ დახელოვნებულმა ქართველმა მეფოლადეებმაც ადრევე იცოდნენ წმინდა ჯავარდენის ფოლადის დამზადება, რომლის ტრადიციამ ჩვენში საშუალო საუკუნეებამდეც მოაღწია.

როგორც ქართული ფოლკლორის უამრავი ძეგლიდან, ისე არქეოლოგიური ინვენტარიდან ნათლად ჩანს, რომ ჩვენში ხარისხოვანი საომარი იარაღების ხელოვნება უხსოვარ დროიდან ცოდნიათ. არსებობს მითითება, რომლის მიხედვით, სკანდინაველმა საგმა—მითიურმა მეიარაღე ვილანდმა — სატევრის პირების დამზადება კავკასიაში შეისწავლა [84].

ჯავარდენის იარაღი ჩვენში XVIII საუკუნეშიც იყო გავრცელებული. ძველ ქართულ ხელნაწერში, რომელიც 1792 წლით არის დათარიღებული, სხვადასხვა ნივთებს შორის მოხსენებულია „ჯავარდენის დანა". ერეკლე მეორის ნივთებისა და იარაღების ნუსხაში მითითებულია „მინანქრის ჯავარდენი ხმალი თავისის ყაწიმით და ბალთებით და საკიდით გაწყობილი", აგრეთვე „ყადიმი სამკლავები ჯავარდენი". მანუჩარ მდივნის ნივთებზე 1799 წელს შედგენილ ნუსხაში წერია: „ჯავარდენი ხანჯლის შვილი (?) შირმაის ტარით" [85].

საქართველოში სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ჯავარდენის

იარაღიც მოიპოვებოდა. ძველ ქართულ ხელნაწერებში აღინიშნება: „ხმალი ფრანგული გორდა“, „ხმალი ყიზილბაშური ჯავარდენისა“ [85/281,492]. მოიპოვებოდა აგრეთვე უცხოური ხმლები, რომლებზედაც ამოკვეთილი იყო გენუის სწავლული ოსტატი ანდრეა ფერარის (XVI საუკ.) სახელი. ერთი ასეთი ხმალი ეკუთვნოდა ანდუყაფარ ამილახვრის შვილს — ცნობილ გივი ამილახვარს, ხოლო მეორე — თბილისელ დოლგორუკოვს [86].

მაგრამ ჯავარდენის უცხოური იარაღი ჩვენში მცირე რაოდენობით იყო გავრცელებული. საქართველოში ძირითადად ადგილობრივი წარმოების ჯავარდენის იარაღი გამოიყენებოდა. ერთ-ერთი ძველი ქართული ხელნაწერის მიხედვით, ჯავარდენის იარაღს იმერეთშიც ამზადებდნენ. მეფის რძლის, ქეთევან წერეთლის ნივთების ნუსხაში, რომელიც იოანე ბატონიშვილს 1801 — 1806 წლებში შეუდგენია, წერია: „ორი ხმალი, ერთი იმერულად გაწყობილი ჯავარდენი და მეორე — გორდა სადად გაწყობილი“. შემდეგ: „ერთი ჯავარდენი ჩაჩქანი“ [85/386].

ჯავარდენის ხმალ-ხანჯლებს თბილისში გასული საუკუნის პირველ მეოთხედშიც აკეთებდნენ. ყარამან ელიარაშვილის გარდა, თბილისში მუშაობდნენ სხვა ოსტატებიც, რომელთა ნაკეთობანი მათი ხარისხის, მოყვანილობისა და მხატვრული გაფორმების მიხედვით უცხოურზე უკეთესი ყოფილა. ამრიგად, ს. ესაძის აზრი იმის შესახებ, რომ ჩვენში ცივი იარაღის დამზადების ხელოვნება თითქოს ევროპული ნიმუშებისადმი მიბაძვით აღმოცენდა [74], წყაროებით უარყოფილია. ამ შეხედულებას არ იზიარებდა აგრეთვე იარაღების ისეთი საუკეთესო მცოდნე, როგორიც იყო ა. ლენცი, რომელსაც ესაძე ემყარებოდა, თუმცა ლენცი ქართულ მეიარაღეობაში მიმბაძველობის ელემენტსაც არ უარყოფდა, ოღონდ ნაკეთობათა მხოლოდ მხატვრულ გაფორმებაში.

უკვე აღინიშნა, რომ ჯავარდენის დამზადება ლითონის წრთობის ხელოვნებასთან არის დაკავშირებული, ხოლო დადგენილია, რომ წრთობის ქართული ხელოვნებაც ხანდაზმულია.

მართალია, სიტყვა „წრთობა“, როგორც ლითონში თვისო-

ბრივად ახალი მოვლენის გამომხატველი ტერმინი, სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული არა აქვს, მაგრამ სხვა არქაულ სიტყვათა („ჭედვა", „წვრთა", „წვრთილი") განმარტებაში ნიშანდობლივად იგივე მოვლენებია ასახული, რასაც ლითონი ჭედვისა და წრთობის შედეგად განიცდის. სიტყვის წარმოშობა კი, როგორც ცნობილია, რეალურ ფაქტთანაა დაკავშირებული და მასში განმტკიცებულია ადამიანთა წარმოებითი წარსული.

ქართველებს ოდითგანვე ცოდნიათ ლითონის წრთობა, რაც ხალხურ შემოქმედებასა და ლიტერატურულ წყაროებშია ასახული. დიონისის კომენტატორი ევსტაფი აღნიშნავდა, რომ ხალიბები ადნობდნენ ისეთ ლითონს, რომელიც ნაწრთობი იყო ქებული. ძველი ქართველი მეტალურგები ლითონის წრთობისათვის იყენებდნენ ჰაერის ჭავლს, ცხიმებს, წყალს, წყაროს, ტალახს, თოვლს, შარდს და ა. შ. ასეთივე საშუალებებს მიმართავდნენ სხვა ქვეყნებშიც. გალამშირის (ინგლისი) მელითონეები XVIII საუკუნის შუა ხანს ორლესულთა წრთობისათვის მთის ჩქარ ჩანჩქერს იყენებდნენ; „კენტერბერულ ზღაპრებში" შექებული შეფილდის ხანჯლები და დანები ცნობილი იყო ასეთივე წრთობის შედეგად. ტოლედოს (ესპანეთი) ფოლადის მაღალ ღირსებას მიაწერდნენ მდ. ტახოს ქიმიურ შედგენილობას, რომელშიც ფოლადს აწრთობდნენ.

ლითონის წრთობაში ქართველი ოსტატების დახელოვნებამ ხელი შეუწყო ჯავარდენის იარაღების გაუმჯობესებას. რითაც ბევრმა ოსტატმა გაითქვა სახელი. ზოგიერთი მათგანი მოხსენებულია ქართულ ხელნაწერებშიც. მაგალითად, 1785 წლის საბუთში მოხსენებულია ვინმე ქაიხოსრო, როგორც ხმლების საუკეთესო ოსტატი. მეხანჯლე ვინმე ხორუაშვილი მოხსენებულია 1817 წლის ხელნაწერში.

საარქივო საბუთების მიხედვით, XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში ცხოვრობდა ხმლების სახელგანთქმული ოსტატი ვინმე ხეჩატურა (შესაძლოა — ხაჩატურა). მას თბილისში, ე. წ. არტილერიის პარკის მახლობლად მდებარე მოედანზე ჰქონია ორი სახელოსნო, სადაც ხარისხოვან ფოლადს (ე. წ. „თაბანს") ამზადებდა, რითაც

ის ცნობილი ყოფილა არა მარტო კავკასიაში, არამედ სპარსეთ-შიც. ამის გამო ადგილობრივი ხელისუფლება ხეჩატურას დიდად აფასებდა [87][1].

20-იანი წლების დასაწყისში თბილისი დაუთვალიერებია ერთ საკმაოდ უცნაური სახელის ანონიმ ავტორს („პოკოინიკ"), რომლის ყურადღება მიუპყრია ქალაქში ხელოსანთა სიმრავლეს. თუმცა სპილენძის მექვაბეებისა და მჭედლების ერთდროულად მუშაობას მასზე საზარელი ორატორიის შთაბეჭდილება მოუხდენია, მაგრამ მეიარაღეებს მასში განცვიფრება გამოუწვევია: „ქართველ ოსტატთა ყველაზე შესანიშნავი ხელოვნებაა. --- წერდა ის. — თეთრი იარაღის, ხმლის პირებისა და ხანჯლის სახელურების დამზადება. ქართველთაგან ერთი პრივილეგირებული ოსტატია, რომელიც შესანიშნავი ჯავარდენიდან კარგად ნაწრთობი ხმლის პირებს აკეთებს დაკვეთით. ეს ხმლის პირები დამასკურს არ ჩამოუვარდებიან. სატევრის პირებს ის ჰაერის საშუალებით აწრთობს. ამისათვის სამჭედლოსთან დგას რამდენიმე ცხენოსანი. იგი ქურაში გახურებულ ლითონს ხელში აწვდის ცხენოსანს, რომელიც ჰაერის წინააღმდეგ ამართული სატევრის პირით თავაწყვეტით მიჰქრის განსაზღვრულ ადგილამდე და ფოლადი იწრთობა" [88/44—56][2].

თბილისში ამ დროს პრივილეგირებულ ოსტატად ითვლებოდა ვინმე გეურქა. მეორე ანონიმი ავტორი, ვინმე „ხ....შ" გადმოგვცემს: „ქართული იარაღი, განსაკუთრებით კი ხმალი, ქე-

---

[1] ხეჩატურა მოხალისედ ახლდა გენ. ციციანოვს ერევნის სამპყრობლოს ალყის პერიოდში, რომლის დროსაც ის სპარსელებმა ტყვედ წაიყვანეს. ტყვეობიდან დაბრუნდა 1808 წელს. ამასთან დაკავშირებით, იმპერატორის ბრძანებით, მას პენსია 200 მანეთამდე გაეზიდდა. ერთდროულად ხაზინა ხარჯზე 1500 მან. ღირებული სახლი აუშენეს. რისთვისაც ხეჩატურამ გეზოვიჩს აღუთქვა ტფილის ქარხნის მუშათა მომზადება „თაბანის" ფოლადის წარმოებისათვის (საქ. ცსსა, ფონ.[2], აღწ. I, საქ. 183, ფურ. 162—163).

[2] Жур. «Библиотека для чтения», 1848. ტ. 86. გვ. 44—56. საგელისხმოა ავტორის შენიშვნა იმის შესახებ, რომ ცხენოსნების გამოყენება პირადად არ უნახავს და ეს სხვებმა უამბეს. ავტორი უეჭველია შეცდომაშია შეყვანილი. თბილისელ ხელოსნებს, რომლებმაც წრთობის ნაირგვარი ხერხი იცოდნენ, არ შეეძლოთ ასეთი ნაკლებეფექტური საშუალებისათვის მიეშართათ.

ბულია. ოსტატ გეორგს მთავრობისაგან აქვს პრივილეგია უკანასკნელთა დამზადებაზე და მეტად სახელმოხვეჭილია თავისი ნამუშევრებით. სატევრის პირს აკეთებს რკინისა და სპილენძის თხელი მავთულისაგან, რომელსაც ძალიან დიდხანს ჭედავს. კარგმა ხმალმა ლურსმანი უნდა გადაკვეთოს. სხვათა შორის, დაბელოვნებისაგანაც ბევრადაა დამოკიდებული. ჩვეულებრივი სასინჯია — სამად მოკეცილი ნაბადი, რომელსაც ჰკვეთავენ" [89/232—234].

თბილისური ხმლები ასეთ მკაცრ მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებდნენ. ა. ს. პუშკინი „არზრუმს მგზავრობაში" წერდა: „გრაფი სამოილოვი და ვ., რომელთაც აქ გოლიათების სახელი გაუვარდათ, ჩვეულებრივად ცხვარზე ან ხარზე სცდიდნენ თავიანთ ახალ ხმლებს. ერთი დაკვრით ორად აპობდნენ ცხვარს ან თავს აგდებინებდნენ ხარს" [23/157].

ა. ს. პუშკინი, სამწუხაროდ, არ მიუთითებს, თუ ვინ იყო ასეთი იარაღის დამამზადებელი. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხმლებიც წარმოადგენდნენ აღნიშნული გეურქას (გეურგას) ან მისი შვილის — ყარამანის ნაკეთობას, რადგან იმ დროს სწორედ მათ მიერ დამზადებული ხმლები იყო ყველაზე მეტად გავრცელებული.

1827 წელს ერთი უცნობი პირის ქონებაზე ქართულ ენაზე შედგენილ ნუსხაში ოსტატი გეურქა (არა გეურგა, გეორგა) ორჯერაა მოხსენებული: „ხმალი გაწყობილი, თეთრ ტარიანი, გეურქას გაკეთებული, ზარნიშანიანის იარაღითა", „ხმალი, გეურქას გაკეთებული, ოქროს ზარნიშანიანის ქუფთით გაწყობილი" [85/492].

მაშასადამე, 20-იან წლებში თბილისის მეიარაღეთა შორის თანამედროვეთა ყურადღება მიუპყრია საუკეთესო ხმალ-ხანჯლების მკეთებელ ვინმე გეურქას. 30-იანი წლების მეორე ნახევარშიც ისევ სახელოვან ოსტატთა რიგებშია მოხსენებული ვინმე გეურგა.

1837 წელს თბილისში მცირე დროით იმყოფებოდა დიდი რუსი პოეტი — მ. ლერმონტოვი. მან ქართულ ხანჯალს საგანგებო ლექსიც მიუძღვნა („ხანჯალი"). პოეტი, მიმართავდა რა თავის ჯავარდენის ხანჯალს, წერდა: „ჩემო ხანჯალო, ჯავარ-

დნისავ, შენ... ფიქრიანმა ქართველმა გჭედა". მეორე ლექსის („პოეტი") შავად დაწერილ ვარიანტში ის „ფიქრიანი ქართველის" ნაცვლად უკვე ოსტატის სახელს მიუთითებდა: — «Мой кинжал, Геурга старого изделье»[1].

ლერმონტოვი მეიარაღე „გეურგას" თავის ერთ-ერთი პოეტური ჩანაფიქრის გეგმაშიც („მე თბილისში ვარ"...) იხსენიებს. იგი წერდა: „ჩვენ გადავწყვიტეთ მოვძებნოთ [მკვლელი]; მტკიცებისათვის მიცვალებულს ხანჯალი მოვხსენი. მიგვაქვს გეურგასთან. ის ამბობს, რომ იგი მან რუს ოფიცერს დაუმზადა".

ლერმონტოვი ქართულ ჯავარდენს სხვა ლექსშიც იხსენიებს.

1835 წელს ოფიციალური მიმომხილველი მიუთითებდა, რომ „მთელს ამიერკავკასიაში ფოლადის საქმის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი იმყოფება თბილისში. მისი გაკეთებული

---

[1] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლექსის — „პოეტი" — ეს ნაწილი ქართულად მნიშვნელოვანი ხარვეზებითაა თარგმნილი. ორიგინალში ვკითხულობთ: «В серебряных ножнах блистает мой кинжал, Геурга старого изделье, булат его хранит таинственный закал, для нас давно утраченное искусство». ქართულად იგი ასეა თარგმნილი: „ვერცხლის ქარქაშში მ ძ ლ ა ვ რ ა დ ბრწყინავს ჩემი ხანჯალი, გ ი ო რ გ ი ს მ ი ერ ძ ვ ე ლ ი ს-ძ ვ ე ლ ა დ ნ ა კ ე დ ი რ ვ ა ლ ი, მისი ბულატი საიდუმლო წრთობას ინახავს, დიდი ხანია რაიც ჩვენთვის უცნობი არი" (კ. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, „ბელატის თბილისელი ოსტატები". ეურნ. „მეცნიერება და ტექნიკა", № 5, 1956, გვ. 16). როგორც ვხედავთ, ლექსის ზოგიერთი ადგილი თარგმანით დამახინჯებულია. ჩვენ მხოლოდ ორიოდე მომენტს აღვნიშნავთ. უპირველესად, ეჭვგარეშეა გაუმართლებელია ოსტატის სახელის („გეურგასის") „გიორგად" შეცვლა, მით უმეტეს, რომ ლერმონტოვს ეს სახელი ორ სხვადასხვა ნაწარმოებში ერთნაირად აქვს მოხსენებული და წერილობითად არ შეიძლება მივიჩნიოთ. მეორე მხრით, და რაც მთავარია, პოეტი, ჩვენი აზრით, აქ გარკვევით ამბობს არა იმას, რომ მისი ჯავარდენის ხანჯალი ოსტატმა ძ ვ ე ლ ი ს ძ ვ ე ლ ა დ გამოჭედა, არამედ იმას, რომ ის წარმოადგენს ძველი ოსტატის ნაკეთობას: — «Геурга с т а р о г о изделье» და არა Геурга с т а р о е (давнишнее) изделье. ამ ფრაზის შინაარსს ლერმონტოვის ზოგიერთმა მკვლევარმაც ყურადღება არ მიაქცია და, როგორც ენახავთ, შეცდომა დაუშვეს პოეტის ზოგიერთ ნაწარმოებთა გაგებაში (დაწერილებით იხ. ჩვენი წერილი „ლერმონტოვი და თბილისელი ოსტატები". „ლიტერატურული გაზეთი", 1961, № 33, გვ. 3).

ხმლები და ხანჯლები ჩინებულია". ამ ოსტატის ვინაობას მიმომხილველი არ მიუთითებს. პროფ. პ. გუგუშვილი ვარაუდობს, რომ იგი ყარამან ელიარაშვილია [8-დ/47].

1936 წელს მკვლევარმა ვ. ვ. არენდტმა გამოაქვეყნა საქართველოში დამზადებული ხანჯლის ფოტოპირი, რომელზედაც ნათლად იკითხება ამოკვეთით შესრულებული ქართული წარწერა: „მარქარა", ხოლო რამდენადმე ბუნდოვნად მისი გვარიც — „ყაზაროვის... 184 [1844 წ. ?]... ტფ".

40-იან წლებში თბილისში ე. წ. „ზემოუბნელთა მოდის ხანჯლებიც" ყოფილა განთქმული. გ. ორბელიანი ჯუნგუთაიდან ქეთევან ორბელიანს სწერდა: „ამას წინათ ხანჯალი გამოგიგზავნე ზემოუბნელების მოდისა. უნდა იცოდეთ, რომ მაგ გვარის ხანჯლებს, დიდი ხანი გავა, რომ ვეღარავინ გააკეთებინებს" [29/151—152].

„ზემოუბანი" ეწოდებოდა მთაწმინდის რაიონს[1]. ვინ იყვნენ ზემოუბნელი ხელოსნები, რომ ასეთი განსხვავებული ფორმის („მოდის") ხანჯლებს ამზადებდნენ, წერილში მითითებული არ არის. მკვლევარ ი. ანდრონიკოვის მონაცემებით [90/123], ხმალ-ხანჯლების ხელოსნები თავმოყრილი იყვნენ უმთავრესად ძველი ციხის მახლობლად, ხოლო გეურქას სახელოსნო ადგებოდა ყოფ. ერევნის (ახლა ლენინის სახელობის) მოედნის მახლობლად მთავარმმართებლის სახლთან (ახლა პიონერთა სასახლე). ამიტომ სავარაუდოა, რომ „ზემოუბნელების მოდის" ხანჯლებიც, გ. ორბელიანი რომ იხსენიებს, ელიარაშვილების სახელოსნოს ნაკეთობას წარმოადგენდა.

1850 წელს თბილისის ქართული გიმნაზიის შენობაში მოეწყო ამიერკავკასიის სამრეწველო გამოფენა, რომლის მონაწილეთა შორის სამჭედლო საბერველით დაჯილდოვდა გეურქა, როგორც იარაღის საუკეთესო ოსტატ-ხელოვანი [91/70].

ამრიგად, 20-იანი წლებიდან მოყოლებული 50-იან წლებამდე თბილისის საჭურველმკეთებელ ოსტატთა შორის ერთ-

[1] ჟურნ. „ცისკარი", 1857 წ., № 12. „მოლაების ფურცელში" წერია: „ზემოუბნელებს დაამარცხებენ, ესე იგი, მთაწმინდელებსო". ადრე „ზემოუბანი" ეწოდებოდა ანჩისხატის უბნის ერთ ნაწილს, სადაც ხმალ-ხანჯლების სახელოსნოები ყოფილა განლაგებული.

ერთ მთავარ ფიგურად მოჩანს, პროფ. ლ. პ. სემიონოვის გამოთქმით, — „ცივი იარაღის სახელმოხვეჭილი ქართველი ოსტატი" — გეურგა (გეურქა).

ვინ იყო ლიტერატურასა და ლერმონტოვის ნაწარმოებებში მოხსენებული გეურქა?

სამწუხაროდ, ამ სახელოვანი ოსტატის პიროვნება სადღეისოდ შესწავლილი არ არის და ლიტერატურაში ეს საკითხი საირგვარად, ხოლო ზოგჯერ შეცდომითაც არის გაშუქებული.

ზოგიერთი მკვლევარი 20-იანი წლების წყაროებში მოხსენებულ გეურქასა და 30-იან წლებში მცხოვრებ ოსტატ გეურქას ერთსა და იმავე პიროვნებად მიიჩნევს და ამიტომ ლერმონტოვის იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც ოსტატი გეურქა არის აღნიშნული, არასწორ კომენტარებს უკეთებს.

როგორც აღინიშნა, პროფ. ლ. პ. სემიონოვს, რომელიც მ. ლერმონტოვის შემოქმედებას იკვლევდა, პოეტის სხვადასხვა ნაწერებში მოხსენებული გეურქა ერთ პიროვნებად წარმოუდგენია.

მკვლევარი ი. ანდრონიკოვი, თავის უკვე მითითებულ საინტერესო გამოკვლევაში, იხილავს რა ლერმონტოვის ზემოხსენებულ ესკიზში აღნიშნულ პერსონაჟთა რეალურად არსებულ პროტოტიპების საკითხს, დაასკვნის, რომ პოეტის მონახაზში დამოწმებულია ნამდვილი სახელები — ლერმონტოვის თბილისელი ნაცნობები, — მომავალი მოთხრობის პროტოტიპები. იგი წერს: „მართლაც, გეურგა, რომელზეც ლერმონტოვი თავის მონახაზში ლაპარაკობს, სინამდვილეში არსებობდა: თბილისელი მეიარაღე ოსტატი გეურგა, ანუ იაგორა ელიაროვი". შემდეგ მკვლევარი იქვე გვაუწყებს: „ელიაროვების ოჯახში შემორჩენილია გადმოცემა, — ეს მიამბო თბილისში გეურგას შვილისშვილის შვილის შვილმა მ. ი. ნესმაშნაიამ, — რომ „მ. ი. ლერმონტოვი დაიარებოდა მის [გეურგას] სახელოსნოში და ხანგრძლივად თვალს ადევნებდა იარაღის ჭედვას". გეურგას სახელს, — განაგრძობს იგი, — ლერმონტოვი თავისი ლექსის— „პოეტი" — შავად დაწერილ ვარიანტშიც იმეორებსო.

ასეთივე შეხედულებისანი არიან ლერმონტოვის შემოქმედების სხვა მკვლევარ-კომენტატორებიც.

მაშასადამე, ი. ანდრონიკოვის აზრით, ლერმონტოვის ესკიზსა და „პოეტში“ ერთი და იგივე პიროვნება არის მითითებული, — გეურგა, ლერმონტოვის „თბილისელი ნაცნობი“, რომლის სახელოსნოშიაც პოეტი დაიარებოდა და თვალს ადევნებდა იარაღის კეთების მთელ პროცედურას. ეს ოსტატი კი, მკვლევარის მტკიცებით, იყო — „გეურგა, ანუ იაგორა ელიაროვი“.

ეაგრამ ასეთი დასკვნა მცდარია და არ ეთანხმება უპირველესყოვლისა თვით ლერმონტოვის შავად დაწერილ ლექსის („პოეტი“) ტექსტს, რომელსაც მკვლევარები იმოწმებენ. ზევით უკვე აღინიშნა, რომ მწერალს აქ მითითებული ჰყავს „ძველი გეურგა“. რადგან პოეტმა თავისი ხანჯლის ოსტატს ძველი წეარქვა, აშკარაა უკანასკნელს გარდა „ახალი“ გეურგაც უნდა ყოფილიყო. ეს სავსებით ნათელია, თუ ყურადღებით წავიკითხავთ შავად დაწერილი ლექსის („პოეტი“) ტექსტს, აგრეთვე დასახელებულ ესკიზს.

ჩვენს მოსაზრებას სავსებით ადასტურებს აგრეთვე ჩვენ მიერ გამოვლენილი მასალა, რომლის მიხედვით დადგენილია, რომ გასული საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში მართლაც ორი გეურქა ცხოვრობდა, ორივე საჭურველმკეთებელი. ერთი იყო გეურქა სარქისის ძე ელიარაშვილი, მეორე კი — მარტო გეურქას სახელით ცნობილი.

რომელი მათგანი უნდა ყოფილიყო მ. ლერმონტოვის პირადი ნაცნობი, ანუ რომელი მათგანია მოხსენებული „პოეტში“ ან ნავარაუდები მოთხრობის ესკიზურ გეგმაში?

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია საბუთები თბილისელი ოსტატის — „ძველი გეურგას“ ანუ გეურქა ელიარაშვილის (ანდრონიკოვის მონაცემებით, — გეურგა, იგივე იაგორა ელიაროვის) გენიალოგიაზე, ქართველ მეფეთა მიერ მისი წინაპრებისათვის გაცემული სიგელი, თვით გეურქას ხელმოწერილი თხოვნა და სხვა ოფიციალური ჩანაწერები[1]. ამ საბუთებიდან ჩანს, რომ ეს „ძველი გეურგა“ — გეურქა სარქისას ძე ელიარაშვილად იწერებოდა

[1] ამ საბუთებს ცალკე გამოვაქვეყნებთ.

და არა გეურგა, იაგორა ანდა გიორგა ელიაროვ-ელიაზაროვ-ელიაზარიშვილად, როგორც ზოგიერთ გამოკვლევასა და საბუთებშია აღნიშნული.

1717 წელს რუსეთიდან დედოფლის ხელმოწერილი სიგელით ირკვევა, რომ გეურქა ელიარაშვილის წინაპრები ქართველ აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდნენ. ამიტომ ერეკლე მეორეს ბრძანი 1783 წლის ტრაქტატისათვის დართულ ქართველ თავადაზნაურთა სიაში შეუტანია.

რაც მთავარია, ამავე მასალებიდან ჩანს, რომ გეურქა ელიარაშვილი, რომელსაც ი. ანდრონიკოვი ლერმონტოვის პირად ნაცნობად მიიჩნევს, 1824 წლისათვის უკვე ცოცხალი აღარ იყო. ის უნდა გარდაცვლილიყო 1822 — 1824 წლების შუალედში, რასაც ადასტურებენ შემდეგი მონაცემები: გეურქას უკანასკნელი თხოვნა აზნაურობის მაძიებლობაზე დათარიღებულია 1821 წლის 10 დეკემბერით; თბილისის მცხოვრებთა 1824 წლის კამერალური აღწერით, გეურქას ოჯახის წევრთა შორის აღრიცხულია 2 წლის შვილი — სალომე, ხოლო თვით გეურქა — უკვე გარდაცვლილად [92].

დამოწმებული ცნობებიდან აშკარაა, რომ მ. ლერმონტოვს, რომელიც თბილისში სულ პირველად 1837 წელს ჩამოვიდა, ე. ი. გეურქა ელიარაშვილის გარდაცვალებიდან დაახლოებით 13—15 წლის შემდეგ, არ შეეძლო გეურქას პირადად გაცნობოდა, მის სახელოსნოში ეარნა და თვალი ედევნებინა მისთვის, თუ როგორ აკეთებდა ჯავარდნიდან ცივი იარაღის პირებს, როგორც ეს ნესმაშნაიას მკვლევარისათვის უცნობებია. ამავე გარემოების გამო ლერმონტოვს არ შეეძლო მოკლულისაგან მოხსნილი ხანჯალი ამოსაცნობად გეურქა ელიარაშვილისათვის მიეტანა.

ასევე არასწორ ცნობას შეიცავს არქივში დაცული ერთი საბუთი. ამიერკავკასიის მთავარმმართველი 1831 წლის 11 მაისს № 859 მიმართვით საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს წერდა, რომ „საიმპერატორო მეიარაღე გეურქა ელიაროვი თბილისის სამხედრო გუბერნატორისათვის მიცემულ თხოვნაში განმარტავს, რომ არც ის, არც მისი მამა, აგრეთვე საიმპერატორო მეიარაღე, როგორც ქართველ აზნაურთაგან წარმოშო-

ბილნი, საბინაოს არასოდეს არ იხდიდნენ, და არც არავითარ საქალაქო ვალდებულებას, მაგრამ... 1830 წელს, საბინაო კომისიამ, მიაკუთვნა რა ისინი საუფლისწულო გლეხობას, შეაწერა 15 მანეთი ვერცხლით ახლად გაშენებულ სახლზე" [93].

მაშასადამე, ამ საბუთის მიხედვით გამოდის, რომ გეურქა და მისი მამაც საიმპერატორო მეიარაღენი ყოფილან და გეურქას თითქოს 1831 წელს სამხედრო გუბერნატორისათვის თხოვნა წარუდგენია.

გეურქას მამის — სარქისა ელიარაშვილის საქმიანობა ამჟამად დაუდგენელია. შესაძლებელია ის მართლაც მეიარაღე იყო. რაც შეეხება იმას, რომ მითითებული თხოვნა 1831 წელს გეურქამ შეიტანაო, უკვე აღნიშნულის გამო, სწორი არ არის. ეს თხოვნა უნდა შეეტანა მის შვილს — ყარამანს და ეს ჩანს კამერალური აღწერის დავთრიდანაც, სადაც, ყარამანის განცხადებით, აღმრიცხველს მიუწერია, რომ ყარამანის საქმე აზნაურობის მაძიებლობაზე საქართველოს თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოში იმყოფებაო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ მ. ლერმონტოვს 1837 წელს შეეძლო გაცნობოდა არა გეურქას, არამედ მის შვილს — ყარამან ელიარაშვილს, რომელიც იმდროისათვის შესანიშნავად აგრძელებდა მამისაგან შეთვისებულ ოსტატობას, რითაც მან რუსეთშიც გაითქვა სახელი, როგორც ჯავარდენის იარაღის დიდმა ხელოვან-ოსტატმა[1]. ამ შემთხვევაში კი ლერმონტოვი თავის ლექსსა („პოეტი") და მოთხრობის ესკიზურ გეგმაში აღნიშნავდა არა გეურქას, არამედ ყარამანს,

---

1 ზოგიერთი მკვლევარის მონაცემებით, გეურქამ ხელობა თავის ორ ვაჟიშვილს შეასწავლა (კ. ჩოლოყაშვილი. დას. წერ., გვ. 16). 1824 წელს ჩატარებული კამერალური აღწერით, გეურქას სულ 8 შვილი ჰყოლია. მათ შორის 5 ვაჟი: ყარამანი—22 წლისა, ალექსანდრე—18 წლისა, ეფრემა—15 წლისა, ხოლო აკოფა და სოლომონი ადრეულ გარდაცვლილან (მათი ასაკი და მოსაქმეობა საბუთში აღნიშნული არ არის). დავთარში მითითებულია, რომ ყარამანი — მეიარაღეა, ალექსანდრე—საბაჟოს მოხელე (შემდგომში, 30 — 40-იან წლებში, ის თვალსაჩინო პიროვნებას წარმოადგენდა თავადაზნაურთა წრეში) და ეფრემა კი — მესპილენძე. გამორიცხული არ არის, რომ ეფრემამ მეიარაღეობაც იცოდა, ანდა ყარამანთან ერთად ერთ სახელოსნოში მუშაობდა.

უკვე სახელმოხვეჭილ ოსტატს. მაგრამ, რადგან პოეტი ესკიზში მაინც გეურქაზე მიუთითებს, რომელსაც მან ცხედრისაგან მოხსნილი ხანჯალი მიუტანა, ცხადია, გეურქა ელიარაშვილის გარდაცვალების შემდეგ, ყარამანის გარდა, თბილისში ლერმონტოვის ყოფნის დროს, სხვა მეიარაღეც — „ახალი გეურქა" — არსებობდა. სწორედ ამიტომ ლერმონტოვი შემთხვევით როდი წერდა, რომ მისი ხანჯალი იყო „ძველი გეურქას ნაკეთობა" და არა ახალის.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯამებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ მ. ლერმონტოვის ნაწარმოებებში დასახელებულია ორი სხვადასხვა გეურქა, ორივე საჭურველმკეთებელი და ორივე თბილისელი ოსტატი. ერთი მოხსენებულია „პოეტის" შავად დაწერილ ვარიანტში და ეს იყო გეურქა სარქისას ძე ელიარაშვილი, რომელსაც ძველად მისი ხანჯალი დაუმზადებია, მაგრამ თბილისში პოეტის ყოფნისას ის უკვე ცოცხალი აღარ იყო, და ამიტომ ისინი ერთმანეთს პირადად არ იცნობდნენ, ხოლო მეორე მოხსენებულია ესკიზში, რომლისთვისაც პოეტს მოკლულისაგან ახსნილი ხანჯალი უნდა მიეტანა და, მაშასადამე, პირადად იცნობდა. ეს მეორე გეურქა კი ის ოსტატი გეურქა უნდა ყოფილიყო, რომელიც, როგორც აღინიშნა, 1850 წელს სამრეწველო გამოფენაზე მონაწილეობისათვის სამკედლო საბერველით დაჯილდოვდა.

ამრიგად, ჯავარდენის იარაღის დამზადება ჩვენში ძველთაგანვე ცოდნიათ. ეს დარგი გასული საუკუნის პირველ ნახევარშიც გაგრძელდა და მის განვითარებაში ბევრი ადგილობრივი ოსტატი მონაწილეობდა, მათ შორის ყარამან ელიარაშვილი, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა რუსეთში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის — ჯავარდენის საიდუმლოების ამოხსნის გადაჭრაში, რაც შემდეგი ვითარებით იყო გამოწვეული.

XIX საუკუნის დამდეგს ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ომებმა ნათელჰყვეს ჯავარდენის იარაღის დიდი უპირატესობა. ამიტომ ყოველი სახელმწიფო შეეცადა დაუფლებოდა ამ ფოლადის გამოდნობის საიდუმლოებას, რაც აღმოსავლეთის ოსტატებს საუკუნეების მანძილზე ჰქონდათ შემუშავებული.

რუსეთის მეფის მთავრობა ჯერ კიდევ ნაპოლეონის ლაშქრობამდე დაინტერესდა აღნიშნული წარმოებით, მაგრამ მისი განხორციელება შეუძლებელი გახდა ჯავარდენის მცოდნე კადრების უყოლობის გამო. ამ დროისათვის ეს წარმოება აღმოსავლეთშიც უკვე მხოლოდ აქა-იქ იყო შემორჩენილი ცალკე პირთა თუ გვარების მონოპოლიის სახით, ისიც საიდუმლოების ბანტიაში გამოხვეული, რასაც იცავდა და ამტკიცებდა ნაირგვარი რელიგიური ცრუმორწმუნეობა.

იცოდნენ რა მეფის მთავრობის დაინტერესება, საზღვარგარეთელმა კომერსანტ-საქმოსნებმა, პირადი გამდიდრების მიზნით, მთავრობას თავიანთი სამსახური შესთავაზეს რუსეთში თეთრი იარაღის წარმოების მოწყობის საქმეში. 20-იანი წლებისათვის ზლატოუსტში აიგო სპეციალური ქარხანა, რომელსაც ამ სახის იარაღით მთელი რუსეთის არმია უნდა აღეჭურვა. მიუხედავად იმისა, რომ ქარხანაში უმთავრესად მსოფლიოში სახელგანთქმული ზოლინგენელი ოსტატები მუშაობდნენ, წარმოებამ წლების მანძილზე ვერ შეძლო თეთრი იარაღით რუსეთის არმიის არათუ მთლიანად, არამედ ნაწილობრივად უზრუნველყოფაც.

ამიტომ ზლატოუსტის წარმოების შეფ-ხელმძღვანელი, ფინანსთა მინისტრი კანკრინი, იძულებული გახდა იმპერიის შიგნითვე გამოენახა მცოდნე პირები, რომელნიც ხელს შეუწყობდნენ დასახული მიზნის მიღწევას.

რუსეთში უკვე ადრევე იყო ცნობილი, რომ საქართველო მდიდარი იყო არა მარტო მინერალური რესურსებით, არამედ ჯავარდენის დამამზადებელი ოსტატებითაც. მათ გამოყენებას შეეძლო მძიმე მდგომარეობიდან გამოეყვანა ზლატოუსტის ქარხანა, რომლის შენახვა მთავრობას ერთობ ძვირი უჯდებოდა. ამ მიზნით, კანკრინმა 1828 წლის 24 ოქტომბერს, თბილისის სამხედრო გუბერნატორ სიპიაგინს (და არა პასკევიჩს, როგორც ხშირად აღნიშნავენ) დაავალა, რათა მას სასწრაფოდ შეეკრიბა ყოველგვარი ცნობა იმაზე, თუ თბილისელი ოსტატები ჯავარდენის ფოლადის დასამზადებლად რა ნედლეულს იყენებდნენ, როგორ ამუშავებდნენ მიღებულ ფოლადს, როგორი წესით და რაში აწრთობდნენ ხმალ-ხანჯლების პირებს, აგრეთვე

როგორ აღწევდნენ ოქრო-ვერცხლის ძაფებით იარაღის მოქარგვასა და სხვ. მაგრამ გუბერნატორი სიპიაგინი, როგორც ცნობილია, 1828 წლის დასასრულს მეტად უცნაურ და საეჭვო ვითარებაში მოულოდნელად გარდაიცვალა. ამიტომ აღნიშნული დავალების შესრულება მოუხდა პასკევიჩს [94].

1829 წლის დასასრულს ის ყ. ელიარაშვილს დაკავშირებია და იმპერატორისათვის ხმალ-ხანჯლები მოუთხოვია საფასურით. ოსტატს ისინი მზად არ ჰქონია და აღუთქვია უახლოეს დროში დამზადება. ამავე დროს მას პასკევიჩისათვის უცნობებია, რომ მზად არის თავისი ხელობის საიდუმლოება მთავრობას გადასცეს.

ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, თითქოს ყ. ელიარაშვილმა ამისათვის პასკევიჩს თავიდანვე ჯილდო მოსთხოვა, რასაც არქივში დაცული საბუთი არ ადასტურებს. სამთო დეპარტამენტის მიმართვაში ვკითხულობთ: „აღნიშნულმა ოსტატმა (ე. ი. ელიარაშვილმა — ა. კ.) ითხოვა საიდუმლოების გადაცემისათვის ის მედლით დაეჯილდოვებინათ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც თავისი აღწერის მიხედვით, რუსეთში დაამზადებდა ასეთსავე კარგი ხარისხისა და თვისების რკინას, ჯავარდენს, ფოლადს. ის მზად არის თავისი საიდუმლოების გადასაცემად წავიდეს, სადაც საჭიროა“ [94].

როგორც პასკევიჩის წერილიდან ირკვევა, ყარამანს 1830 წლის მაისისათვის დაუმზადებია დაშნა, ხმალი, ხანჯალი და მახვილი, რაშიც 160 ჩერვონეცი მიუღია.

აქედან ხმალი და ხანჯალი მას ნამდვილი ჯავარდენის ფოლადისაგან გაუკეთებია ნაირგვარი ორი ნაყშით, ხოლო ფოლადის დაშნა — ჯავარდენის გარეგანი იმიტაციით და ერთიც — ხმლის პირი, შუა ნაწილის ტალღისებრი მხატვრული ზედაპირით. ყველა ეს მხატვრულად გაფორმებული ნაკეთობანი, აგ რ ე თ ვ ე მ ა თ ი დ ა მ ზ ა დ ე ბ ი ს დ ა წ ვ რ ი ლ ე ბ ი თ ი ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა ც, ჩაუბარებია პასკევიჩისათვის. იმპერატორმა ელიარაშვილის ნაკეთობებს მაღალი შეფასება მისცა.

ზლატოუსტის ქარხნის დირექტორისათვის 1830 წლის 13 აგვისტოს გაგზავნილ წერილში კანკრინი წერდა: იარაღი „თბილისის საუკეთესო ოსტატის ელიაზაროვის მიერ ისე ჩინებუ-

ლად არის დამზადებული, რომ... ისინი აღემატებიან ყოველივე იმას, რაც კეთდება ჩვენსა და თვით ევროპის საუკეთესო ფაბრიკებშიაც კი".

ამიტომ ცენტრში სასურველად იქნა მიჩნეული, რათა ასეთი იარაღების დამზადების ხელოვნება ელიარაშვილს რუსი ოსტატებისათვისაც შეესწავლებინა.

ამ იდეის თაოსანი, როგორც აღინიშნა, თვით ყარამან ელიარაშვილი იყო, რასაც ადასტურებს პასკევიჩის წერილიც, რომელიც მას 1830 წლის 30 მაისს იარაღის აღნიშნულ ნიმუშებთან ერთად კანკრინისათვის გაუგზავნია.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი შეუწყნარებლად ამახინჯებს სინამდვილეს. მაგალითად, 1954 წელს გამოქვეყნებულ შრომაში ი. პეშკინი წერს: „ელიაზაროვმა ჯერ გადაჭრით უარი სთქვა, ვინმეზე თავისი ოსტატობა გადაეცა და მხოლოდ ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ დათანხმდა რამდენიმე შეგირდი აეყვანა დიდი გასამრჯელოს მიღებით" [95/128].

მაშასადამე, ავტორი უპირისპირდება იმას, რასაც ამის შესახებ პასკევიჩი და კანკრინი წერდნენ.

პეშკინის დასკვნის უმართებულობის ნათელსაყოფად საჭირო არ არის ვრცელი ექსკურსი ტომობრივი და ინდივიდუალური ხელოსნობის უძველესი ისტორიიდან. ამისათვის საკმარისი იქნება უკანასკნელი ორი საუკუნის მაგალითებიც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე ხელოსანი პროდუქციის ნაწილს ამზადებდა მხოლოდ არსებობისათვის აუცილებელ საგნებზე და პროდუქტებზე გასაცვლელად. მაგრამ, მას შემდეგაც, რაც ის წვრილ საქონელმწარმოებლად გადაიქცა და მიწათმოქმედებას სრულიად გამოეყო, მისი შემოსავლისა და არსებობის ერთადერთ წყაროს ხელობა წარმოადგენდა.

ხელოსანთა შორის მეტოქეობის თანდათანობითმა განვითარებამ და ეკონომიური მონოპოლიისადმი ბუნებრივმა მისწრაფებამ ხელოსანი აიძულა თავისი ხელოვნება სხვებისათვის მიუწვდომელი გაეხადა. ამიტომ ხელობა, მის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული „ღვთაებრივი საიდუმლოებანი", აგრეთვე

მაგიური ლოცვა-ვედრება და სხვა მისტიკური ხასიათის ატრიბუტები მთლად თაობიდან თაობაზე საიდუმლოების სახით გადადიოდა, როგორც გვარის კუთვნილება. თითოეული თაობა, წინამორბედთა შთაგონებით, გაურბოდა „ღვთაებისაგან“ მინიჭებული ხელოვნების საიდუმლოების გაცემას, რაც, მისი წარმოდგენით, ღვთაებათა რისხვას, ოსტატობის დაკარგვასა და, მაშასადამე, მატერიალურ დუხჭირს გამოიწვევდა. ბუნების მოვლენებზე პრიმიტიულმა წარმოდგენამ ხელოსანთა შორის უძველეს დროიდანვე წარმოშვეს რწმენა იმის შესახებ, რომ დახელოვნება მხოლოდ მისი ხვედრია, ვინც მისტიკური ძალებით არის მოსილი (კ. მარქსით სიტყვა „mysteries“-იც აქედან წარმოიშვა).

ხელოსანთა ეკონომიურმა მდგომარეობამ და რელიგიურმა ცრომორწმუნეობამ გაახანგრძლივა ხელოსნობის ამა თუ იმ დარგში ყოველგვარ გაუმჯობესებათა დასაიდუმლოების ფართო პრაქტიკა. კარლ მარქსი წერდა: „დამახასიათებელია, რომ მე-18 საუკუნემდე ცალკეულ ხელობებს ეწოდებოდა mysteries (mysteres) [საიდუმლოებანი], რომელთა წყვდიადში შესვლა მხოლოდ ემპირიულად და პროფესიულად განდობილს შეეძლო... მსხვილმა მრეწველობამ ჩამოგლიჯა ის ფარდა, რომელიც ადამიანებს უმალავდა წარმოების მათსავე საკუთარ პროცესს და გამოცანად ხდიდა სხვადასხვა სტიქიურად გამოცალკევებულ დარგებს ერთიმეორისათვის და თვითეულ დარგში განდობილისათვისაც კი“[1].

XVIII საუკუნის ნახევარშიც არა თუ ხელოსნობა, არამედ ზოგიერთი მანუფაქტურაც, მუშების მიღებისას ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც ფაბრიკის საიდუმლოებას შეადგენდა, კარლ მარქსის სიტყვით, „ნახევრად იდიოტებს აძლევდა უპირატესობას“[2], რათა ხელოვნების საიდუმლოება არ გამომზეურებულიყო.

უფრო მეტიც. ამა თუ იმ ხასიათის ტექნიკური გაუმჯობესებისა და თვით ხელოსნობის მთელი დარგის დასაიდუმლოების პრაქტიკას, როგორც წარსულის გადმონაშთს, XIX საუკუნის

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 614.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 460.

დასასრულამდე რუსეთშიც ვხვდებით. ამისი მაგალითები უამრავია და მისი მთავარი მიზეზი ხელოსანთა ეკონომიური პირობები იყო. ვ. ი. ლენინი, შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში", წერდა, რომ ბაზრის გაფართოებამ კონკურენცია წვრილ მრეწველთა შორის გააძლიერა, რამაც საფუძველი გამოაცალა მის მონოპოლიურ მდგომარეობას. „ამიტომ, — განაგრძობს იგი, — ეშინია მას კონკურენციისა... ეს შიში... მკაფიოდ ააშკარავებს წვრილი საქონელმწარმოებლის ნამდვილ საზოგადოებრივ ბუნებას"[1]. შემდეგ, კონკურენციის შეჩერების მიზნით წვრილი მრეწველნი მიისწრაფვიან „დამალონ ტექნიკური გამოგონებანი და გაუმჯობესებანი... ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რათა თავის თანამესოფლეთ დაუმალონ ხელსაყრელი მოსაქმეობა... არავის არ უშვებენ თავის სახელოსნოებში, მუშაობენ სარდაფებში და წარმოების შესახებ არაფერს ეუბნებიან საკუთარ შვილებსაც კი"[2].

ნიჟნი-ნოვგოროდის სოფ. ბეზვოდნის მელითონე ხელოსნები იქამდეც კი მისულან, რომ თავიანთ ქალიშვილებს მეზობელ სოფლებში არ ათხოვებდნენ და არც სასძლო მოჰყავდათ იქიდან, რომ ხელოსნობის საიდუმლოება სხვა სოფელში არ გაეტანათ, ხოლო, ვინც ამას ჩაიდენდა, მას ზნეობრივად მაინც სჯიდნენ[3].

კიდევ შეიძლებოდა ანალოგიური ფაქტების, ამქრულ წესდებებიდან და ცალკე სახელმწიფოთა კანონმდებლობებიდან ამონაწერების დამოწმება, მაგრამ უკვე აღნიშნულიც ცხადჰყოფს, რომ ელიარაშვილი თავისი ხელოვნების და საიდუმლოების საქმეში გამონაკლისს არ შეადგენდა და მისი თავდაპირველი მოქმედება ამ საიდუმლოების დაცვის საქმეში გამოწვეული იყო „წვრილი საქონელმწარმოებლის ნამდვილი საზოგადოებრივი ბუნებით" (ვ. ი. ლენინი) და არა პირადი ჯიუტობითა და თვისებით, როგორც ამას პეშკინი გვიხატავს.

მიუხედავად ამისა, როგორც აღინიშნა, ელიარაშვილს თა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 3, გვ. 387—388.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 388—389.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 389—390.

ვისი საწარმოო საიდუმლოება მეფის მთავრობისათვის მაინც გადაუცია.

იმპერატორის ბრძანებით, ყარამან ელიარაშვილი დაჯილდოვდა ოქროს მედლით. ერთდროულად კანკრინმა ზლატოუსტის ქარხნის ხელმძღვანელობას დაავალა საჩქაროდ შეერჩია ახალგაზრდებიდან ორი ყველაზე უნარიანი ოსტატი, ამდენივე მუშა და რუსული სათანადო ლითონებით ისინი გაეგზავნა თბილისში ელიარაშვილთან უკანასკნელის საგვარეულო ხელოვნების ასათვისებლად.

1830 წლის 18 ნოემბერს მთავარმმართებლის დავალებით ელიარაშვილს ჩააბარეს მედალი, აგრეთვე წერილი, რომლითაც მას ატყობინებდნენ: „თქვენი ხელოვნება სასარგებლო იქნება მამულისათვის“ [94].

მხოლოდ ამის შემდეგ, 1831 წლის მარტის შუა რიცხვებში ზლატოუსტიდან გამოგზავნილი მუშები ელიარაშვილთან ზაფხულში ჩამოვიდნენ. რუსეთიდან გამოიგზავნა სხვადასხვა ქარხნების ფოლადი, თუჯი და რკინა. ელიარაშვილმა ურალიდან ჩამოტანილი ნიმუშები შეამოწმა და დასკვნა წარუდგინა თბილისის პოლიცმეისტერ მინჩენკოს. ყარამანმა გულმოდგინედ მოკიდა ხელი ურალელი ოსტატების მომზადებას და იმათაც მოკლე დროში აითვისეს თბილისელი ოსტატის ხელოვნება. რამდენიმე თვის შემდეგ, 1832 წლის დამლევისათვის, ელიარაშვილის ხელმძღვანელობით მათ გააკეთეს ჯავარდენის ფოლადის 10 ხმალი. ნიმუშებმა ცენტრში ისევ მაღალი შეფასება მიიღეს, რისთვისაც ყარამან ელიარაშვილი ხ ე ლ ა ხ ლ ა დაჯილდოვდა 1000 მანეთით, ხოლო ზლატოუსტელი ორი ოსტატი — ვოლფერცი და იუეაკოვი, — თითოეული 500 მანეთით [96].

ამავე წლის მაისის თვეში ურალელმა ოსტატებმა, ისევ ელიარაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, 13 დღეში გააკეთეს ხმლის ოთხი პირი, აქედან ორი — ზლატოუსტის ქარხ-

ნის მასალით, ხოლო ორი — ქართული ნალებისა და თურქული ფოლადის დადუღებით[1].

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რამდენად დაშორებულია სინამდვილეს პეშკინის შემდეგი დასკვნა: „სწავლების დამთავრების შემდეგ ოსტატები ჩამოვიდნენ პეტერბურგს. მინისტრს სურდა პირადად მათგან გაეგო, როგორ წარმატებებს მიაღწიეს მათ, გაანაღდეს თუ არა ხარჯები. აღმოჩნდა, რომ კახრამან (იგულისხმება „ყარამანი" — ა. კ.) ელიაზაროვმა ჯავარდენის საიდუმლოება არ იცოდა, თავის შეგირდებს ის ატყუებდა და, ბოლოს, იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ნამდვილი ჯავარდენის მახვილების გაკეთება შეიძლება მხოლოდ ინდური რკინისაგან. მაგრამ, რას წარმოადგენდა „ინდური რკინა" და რით განსხვავდებოდა ის ურალისეულისაგან, ელიაზაროვს არ შეეძლო აეხსნა. ასეთ დასასრულს მისიისა, რომელზედაც ესოდენ სერიოზული იმედები ემყარებოდა, კანკრინი არ მოელოდა" [95/128—129].

ს. ესაძე ასევე აღნიშნავდა, რომ ყარამან ელიარაშვილმა არ იცოდა, რას წარმოადგენდა ინდური ლითონი — „ვ უ ც ი", რომელსაც ის მზა სახით ირანიდან ან ინდოეთიდან ღებულობდა. მკვლევარი ი. ანდრონიკაშვილი უფრო შორს მიდის თბილისელი ოსტატების ტექნოლოგიური ცოდნის უარყოფით შეფასებაში და წერს: „ფიქრობდნენ, რომ გეურგამ და მისმა შვილმა ყარამანმა იცოდნენ ჯავარდენის ფოლადის წრთობის საიდუმლოება. ეს არ დადასტურდა. ისინი მხოლოდ გამოჭედავდნენ სახელგანთქმულ თბილისურ სატევრის პირებს, თვით ჯავარდენს კი აღმოსავლეთიდან ღებულობდხენ. მაგრამ იცოდნენ საშუალება, როგორ გაეკეთებინათ ურალის ქარხანაში დამზადებული რკინისა და ფოლადისაგან ჯავარდენის ყაიდაზე დადუღებული პირები" [90/123].

ყარამან ელიარაშვილი ტექნოლოგიური შემეცნების მხრით

---

[1] საქ. ცსსა, ფონ. 1105, საქ. 171. ფურ. 12. ლიტერატურაში ზოგჯერ მიუთითებენ, რომ ყ. ელიარაშვილი ინდური ფოლადის გარდა, თითქოს ქართული თუჯის ფხვნილსაც იყენებდა. იმდროინდელ საქართველოში თუჯის წარმოება არ არსებობდა და ოსტატი თურქეთის თუჯის ფხვნილით სარგებლობდა.

დაბალ დონეზე იდგა და მისი ხელოვნება მხოლოდ ემპირიული გზით შეძენილ ჩვევებსა და დაკვირვებებს ემყარებოდა. ამიტომ მას არც მოეთხოვებოდა ამა თუ იმ ლითონის მეცნიერული დახასიათება. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ მან ურალის ქარხნებში დამზადებული ლითონების გამოცდის საფუძველზე გამოიტანა სწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ ჯავარდენის დასამზადებლად ამ ლითონების ერთი ნაწილი სრულიად უვარგისი იყო [97/345].

ამას გარდა, ყ. ელიარაშვილმა, ურალის ქარხნებში მისივე „რეცეპტის" შესაბამისად შერჩეული ლითონები მიიღო მხოლოდ 1831 წლის ზაფხულს, ხოლო, როგორც აღინიშნა, „მთავრობისაგან პრივილეგირებული გეურქა" ჯერ კიდევ 20-იან წლებში ამზადებდა სახელგანთქმულ თბილისური ხმლების პირებს. ხოლო ყარამანი დააჯილდოვეს 1830 წელს არა ურალიდან მიღებული ლითონებიდან დამზადებული იარაღისათვის, არამედ ინდური და ადგილობრივი ლითონებისაგან გაკეთებული ნაკეთობებისათვის.

მართალია, ყ. ელიარაშვილი უმთავრესად ინდური ჯავარდენის ფოლადით მუშაობდა, მაგრამ ეს გარემოება მას არც პასკევიჩისათვის დაუმალავს, რაც ჩანს როგორც უკანასკნელის, ისე კანკრინის წერილებიდან [94].

რაც შეეხება იმას, რომ ყარამან ელიარაშვილმა თითქოს არ იცოდა საერთოდ ჯავარდენის „წრთობის საიდუმლოება" და მხოლოდ გამოუცდელობით აკეთებდა განთქმული ხმალ-ხანჯლების პირებს, რისთვისაც ურალის ლითონებს იყენებდაო, ეს სრულ გაუგებრობაზეა აგებული და მცდარია.

საქმის ნამდვილი ვითარება შემდეგია. კავკასური, ისევ როგორც ზოგიერთი სხვა ქვეყნის ხელოვანთა მიერ გაკეთებული ხმალ-ხანჯლების პირები, კეთდებოდა სხვადასხვა ლითონების ურთიერთ დადუღებით. ამ პირების მჭრელ იარაღად გამოყენა წრთობის გარეშე შეუძლებელია. ეს ცნობილია ტექნოლოგიის მცირემცოდნეებისათვისაც კი.

რამდენად დაუფლებული იყო ყ. ელიარაშვილი სხვადასხვა ლითონის ნაირგვარ წრთობას, ყველაზე ნათლად ასახუ-

ლია თბილისის პოლიცმეისტერის მინჩენკოს ვრცელ პატაკში, რომელიც მას ბარონ როზენისათვის წარუდგენია 1832 წლის 8 იანვარს [97/191 — 192].

ისიც მართალია, რომ ყ. ელიარაშვილმა არ იცოდა ჯავარდენის ფოლადის გამოდნობა, მაგრამ შეიძლება თუ არა ჯავარდენად ჩაითვალოს ლითონების დადუღებითა და მრავალგზის წრთობით მიღებული საიარაღო პირები, რომლებსაც ელიარაშვილები ამზადებდნენ? ამის შესახებ ცნობილი რუსი მეტალურგი — ჯავარდენის საიდუმლოებათა მეცნიერულად პირველი ამომხსნელი, პ. პ. ანოსოვი წერდა: „დადუღებული ჯავარდნები (ისინი მიიღებიან როგორც ნაირნაირი ფოლადების ურთიერთ, ისე რკინასთან მრავალჯერ დადუღებით), რომელნიც შინაგანი ღირსებით განირჩევიან, მზადდება უპირატესად აზიაში, მაგალითად, ინდოეთში, თურქეთსა და საქართველოში, და განსაკუთრებით იმ ოსტატთა მიერ, რომელნიც გაცნობილნი არიან ნამდვილი ჯავარდნების დამუშავებას. ევროპულმა დადუღებულმა ჯავარდნებმა ვერ მოიპოვეს განსაკუთრებული სახელი, რადგან ევროპელ ოსტატთა ყურადღება უმეტესად ნაყშის წარმოშობას ექცევა და არა ლითონის ხარისხის გაუმჯობესებას" [82/122].

ამრიგად. პ. პ. ანოსოვი, აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში დადუღებით გაკეთებულ ჯავარდნებს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ამავე წესით გაკეთებულ ევროპულ ჯავარდენის ფოლადს. მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთის ნაკეთობა მაინც არ იყო სრულყოფილი ჯავარდენი, ანუ ნაკეთობა ისეთი ლითონებისაგან, რომელნიც თავიანთი შედგენილობითა და ბუნებით ჯავარდნებისათვის აუცილებელ ელემენტებს შეიცავენ. მაგრამ არავის, მათ შორის პეშკინსაც, საფუძველი არ გააჩნია ამტკიცოს, თითქოს საქართველოში დამზადებული ჯავარდენი ყალბი იყო[1]. ამას კატეგორიულად უარყოფს არა

[1] И. Пешкин. Ук. соч., გვ. 134. ასეთივე შეცდომას უშვებს მკვლევარი ბოგაჩი, რომელმაც ერთიმეორეში აურია პ. ანოსოვის მიერ განსაზღვრული (გვ. 182) ყალბი და ხელოვნური ჯავარდენი И. Н. Богач. П. П. Аносов и секрет булата М., 1952 г. გვ. 54).

მარტო ანოსოვის უკვე დამოწმებული ციტატი, არამედ ის გარემოებაც, რომ აქ სწორედ ინდური ფოლადი. ე. ი. ჯავარდენის ნამდვილი ფოლადი გამოიყენებოდა.

ქართული ჯავარდენი, როგორც ანოსოვი წერდა, განირჩეოდა არა მარტო ნაყშიანობით, არამედ „შინაგანი ღირსებით", რაც ნამდვილად ყალბ (ე. ი. ევროპულ) ჯავარდნებს არ ახასიათებდა.

როგორც ყ. ელიარაშვილის, ისე მთელი კავკასიის ოსტატთა მიერ XIX საუკუნის პირველ ნახევარში დამზადებული ჯავარდენი მაინც ბევრად მდარე იყო, ვიდრე სახელგანთქმული მაღალხარისხოვანი ქართული ფოლადი — „გორდა"[1].

რაიმე პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულა ყარამან ელიარაშვილმა, თავისი ზლატოუსტელი შეგირდებით, რუსეთში ჯავარდენის ფოლადის საიდუმლოების ამოხსნაში, არ არსებობს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ზლატოუსტელმა ოსტატებმა, შეისწავლეს რა ყარამან ელიარაშვილისაგან კარგი იარაღების დამზადების ხელოვნება. მისივე ხელმძღვანელობით გააკეთეს რამდენიმე ხმალი, რომლებმაც ცენტრში მაღალი შეფასება მიიღეს.

კავკასიის ომების ისტორიკოსი ვ. პოტო წერდა, რომ ელიარაშვილის შეგირდებმა დიდი სარგებლობა მოუტანეს ზლატოუსტის ქარხანას: რუსეთის ცხენოსან არმიაში გამოჩნდა ზლატოუსტის ქარხნის საუკეთესო ხმლები, რომლებიც 1832, 1833,

[1] რას წარმოადგენდა „გორდა", როგორ მზადდებოდა ის, სამწუხაროდ, ზუსტად არ ვიცით. არსებობს მხოლოდ მითითება, რომ „გორდა" მეტად ხალი და მკრელი ხმალი იყო. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ იგი „ხმალია ერთგვარი". კავკასიის მთიანეთში არსებობდა ლეგენდა სიტყვა „გორდას", როგორც საუკეთესო ხმლის სინონიმის, წარმოშობის შესახებ: ერთ ოსტატს სახელი გაუთქვამს საუკეთესო ხმლების გაკეთებით. მას გამოუჩნდა მეტოქე, რომელიც ცდილა სახელი გაეტეხა პირველისათვის. შეურაცხყოფილ ოსტატს მეტოქე საჯაროდ გამოუნვევია ხმლების გასასინჯად. ისინი ერთმანეთს ხალხმრავალ მოედანზე შეხვედრიან. პირველს უშიშლებია ხმალი და მეტოქისათვის შეუძახნია „გორდა!" („უყურე!") და ერთის მოქნევით თავისი მტერი უკანასკნელის ხმლიანად შუაზე გაუპია. ხალხის მეხსიერებას არ შერჩენია ამ ოსტატის სახელი და ვინაობა, მაგრამ ეს შეძახილი კარგი ხმლის სინონიმად დარჩა (საქ. ცსსა, ფონ. 187, აღწ. I, საქ. 1021, ფურ, 5).

1834 წლებით იყო დათარიღებული. რაც ემთხვევა ყ. ელიარაშვილთან ზლატოუსტელი ოსტატების მუშაობის პერიოდს [98/306].

ეს აზრი დაზუსტებას მოითხოვს.

ჩვენ. რა თქმა უნდა. ოდნავადაც არ უგულვებელვყოფთ ყ. ელიარაშვილის თვითმყოფად ხელოვნების ღირსებას, არც მის დამსახურებას რუსი ოსტატების მომზადებაში და არც მის გარკვეულ წვლილს დიდი რუსი მეცნიერ-მეტალურგის პ. ანოსოვის ცდების საქმეში, მაგრამ არ შეიძლება ელიარაშვილს მივაწეროთ ის, რისი გაკეთებაც მას არ შეეძლო თავისი დაბალი ტექნიკური შემეცნების გამო.

ზლატოუსტის ქარხნის ექსპერიმენტები ანოსოვის ხელმძღვანელობით დამყარებული იყო წმინდა მეცნიერულ მონაცემებსა და კანონზომიერებაზე. ემპირიული მასალა მხოლოდ მეცნიერული შემოწმებისა და განზოგადოებისათვის დამატებით ელემენტს წარმოადგენდა. ანოსოვი თვით აღნიშნავდა, რომ მან თავისი ექსპერიმენტული შედეგები შეუდარა სპარსულ წესს, რომელიც მაჰამეტ (მუჰამედ)-ალის ჰქონია აღწერილი და მათ შორის ბევრი მსგავსება აღმოაჩინა. უეჭველია, ანოსოვი თბილისელი ოსტატის ყ. ელიარაშვილის მდიდარი საწარმოო გამოცდილების ზოგიერთ მნიშვნელოვან ოპერაციასაც იცნობდა და სათანადოდ იყენებდა.

მკვლევარი ი. ნ. ბოგაჩი აღნიშნავს, რომ ცხელ ზეთში და ჰაერის ჭავლით წრთობა პირველად ანოსოვმა ჩაატარაო [99/20]. ეს არ არის სწორი, ქართულ ფოლკლორზე რომ აღარა ვთქვათ რა, წრთობის ეს წესები ყ. ელიარაშვილის ერთ-ერთ ძირითად მეთოდს შეადგენდა, რასაც თბილისის პოლიცმეისტერი მინჩენკოც აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1832 წლის 8 იანვარს [97/192].

ლითონის წრთობის ქართული წესები ყ. ელიარაშვილის „აღწერილობის" საშუალებით უთუოდ ცნობილი გახდა ანოსოვისათვისაც, რომელიც ყოველგვარ ხალხურ გადმოცემებს აგროვებდა და მეცნიერული კვლევისათვის იყენებდა.

ამიტომ ივარაუდება, რომ ზლატოუსტის ქარხანას შეეძლო გამოეყენებინა ელიარაშვილის საწარმოო გამოცდილება ლითონის როგორც ჰედვის, ისე წრთობის დარგში ოღონდ, რასა-

კვირველია, არა ზღაპრული ცხენოსნების საშუალებით, როგორც „პოკოინიკი“ და ზოგიერთნი ჩვენ დროშიც აღნიშნავენ.

მიუხედავად ამისა, ზლატოუსტელ ოსტატებს, რომლებიც 1832—1833 წლებში ჯერ კიდევ თბილისში იყვნენ და ხელობა სრულყოფილად არ ჰქონდათ ათვისებული, არ შეეძლოთ ზლატოუსტის ქარხანაზე ისეთი გავლენა მოეხდინათ, რომ უკანასკნელს, როგორც ვ. პოტო ვარაუდობდა, რუსეთის არმიისათვის 1832—34 წლებში დაემზადებინა მაღალხარისხოვანი იარაღი და ისიც ასე მასობრივად.

ფაქტობრივად ანოსოვმა ჯავარდენის პირველად გამოდნობას უკვე მანამდე (მეათე ექსპერიმენტის შემდეგ) მიაღწია და მისი ნიმუში აჩუქა ცნობილ მეცნიერ ჰუმბოლდტს, როდესაც ის ზლატოუსტის ქარხანას გაეცნო. მაგრამ ანოსოვს მაშინ არ შეეძლო ამ ერთი ექსპერიმენტის საფუძველზე ჯავარდენის დნობის მეცნიერული კანონზომიერება დაედგინა. მან 1831 წელს 107-ე ცდის შემდეგ დღიურში ჩაიწერა: „მიღებულია ნამდვილი ჯავარდენის პირველი პირი“, 1834 წელს 132-ე ცდით უკვე ხოროსანის ფოლადი გამოადნო და მხოლოდ 149-ე ცდის შედეგად შეძლო ამოეხსნა ჯავარდენის ფოლადის საიდუმლოება და მისი პროცესების კანონზომიერება.

აქედან ნათელია, რომ ვ. პოტოს ზემოხსენებულ ვარაუდს რეალური საფუძველი არ ჰქონდა.

ამას გარდა, ელიარაშვილს არ შეეძლო ისეთი ჯავარდენის ფოლადების გამოდნობა, როგორსაც ანოსოვი აწარმოებდა[1]. ამიტომ არც მის მიერ გაწვრთნილ შეგირდებს შეეძლოთ ამ მხრივ დახმარებოდნენ ანოსოვს, რომელმაც მეტად რთული და ნაირნაირ ვარიანტის 189 ცდა ჩაატარა, ვიდრე საბოლოოდ დაადგენდა ჯავარდენის ფოლადის წარმოშობის საიდუმლოებით მოცულ კანონზომიერებას.

[1] სწორი არ არის, როდესაც ზოგჯერ აღნიშნავენ. თითქოს ყ. ელიარაშვილმა იცოდა „საუკეთესო ფოლადის წარმოების საიდუმლოება“ და ის პასკევიჩს გადასცა. სინამდვილეში, პასკევიჩს მან გადასცა უკვე მომზადებული ჯავარდენის ფოლადისაგან ხმალ-ხანჯლების პირების ჰედვა-წრთობით დამზადების წესი, აგრეთვე წესები დადუღებული ჯავარდენის დამზადებისა და ნამდვილი ჯავარდენის ფოლადის ამოსაცნობი ნიშნები.

ყარამან ელიარაშვილმა თავისი საწარმოო გამოცდილების გადაცემით, ზლატოუსტიდან გამოგზავნილი ოსტატების მომზადებით, აგრეთვე ურალის მეტალურგიულ ქარხნებში გამოდნობილი ლითონების ვარგისიანობის შემოწმებით გარკვეული წვლილი შეიტანა ერთობ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში.

ასეთია ქართული ჯავარდენის ხელოვნების წარსული.

მაგრამ, როგორც ჯავარდენის წარმოება, ისე მთლად საჭურველმკეთებლობა ძალზე მცირე რაოდენობით იხმარდა ლითონს. ამას გარდა, ჩვენში ფაბრიკული იარაღის გავრცელებამ ხელოსნობის ეს დარგიც შეამცირა და მას თანდათანობით დევნიდა.

ასე წარმოგვიდგება რეფორმამდელ საქართველოში ლითონდამმუშავებელი ხელოსნობა და მისი როლი.

მეტალურგიულმა პროდუქციამ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რ ე ფ ო რ მ ა მ დ ე ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ რ ე წ ვ ე ლ ობ ის გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა შ ი, თუმცა მრეწველობის ისეთი დარგები, რომელთა ძირითად ნედლეულს ლითონი წარმოადგენს, ჩამორჩებოდა, ხოლო ამიერკავკასია მთლად, — ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, — უფრო გლეხური ქვეყანა იყო, ვიდრე რუსეთი[1].

აღნიშნულის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს 40-იანი წლებიდან არა მარტო სამრეწველო წარმოების გაბატონებული ფორმის — წვრილ წარმოებათა რიცხობრივი ზრდა, არამედ ერთდროულად მრეწველობის ცალკე დარგებში შედარებით „მსხვილ“ საწარმოთა რამდენადმე მომრავლებაც. მათი თაოსნები იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთისა და საზღვარგარეთის კაპიტალისტები, ხოლო ზოგ შემთხვევაში — ხელისუფლებაც. აღნიშნული პერიოდიდან აშკარად შეიმჩნევა მრეწველობაში შუასაუკუნოებრივი ხელოსნურ-შინამრეწველური წარმოების წესების რღვევა და მის ნაცვლად წარმოების ახალი კაპიტალისტური, წესების თანდათანობით გაფართოვება. მიმდინარეობდა ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი პრიმიტული ტექნიკის თანდათანობით კაპიტალისტური ტექ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. თხზ., ტ. 32, გვ. 398.

ნიკით (მანქანები და ორთქლის ძრავები) შეცვლა და შრომის დანაწილების შემდგომი გაღრმავება.

მაგრამ ეს სიახლე მეტად ნელი ტემპით ვითარდებოდა. ვ. ი. ლენინის დებულებით, მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს წარმოებაში ორთქლის ძრავის გამოყენება.

40-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს ზოგიერთ საწარმოში გამოჩნდა მანქანებიც, რომელთა ნაწილის მუშაობა კვლავ ადამიანთა კუნთოვანი ძალის გამოყენებაზე იყო დამყარებული. ამავე პერიოდიდან სპორადულად ჩნდება ორთქლის ძრავიც. მაგრამ, როგორც მანქანების, ისე ორთქლის ძრავების რიცხვი ერთეულებით განისაზღვრებოდა და მათ არ შეეძლოთ გამოეწვიათ შრომის პროცესების არსებითად გარდაქმნა არა თუ მთელ მრეწველობაში, არამედ იმ საწარმოებშიც, სადაც ისინი გამოიყენებოდა, რადგან ამ საწარმოებში ხელით შრომა ჯერ ისევ სჭარბობდა.

ამას გარდა, „მსხვილ" საწარმოთა რაოდენობაც ძალზე მცირე იყო, მცირე მწარმოებლური, და ისინიც არსებითად ისევ დაბალ ტექნიკურ საშუალებებს ემყარებოდნენ. ამიტომ მეტალურგიული პროდუქციის გამოყენება „მსხვილ" მრეწველობაში თუმცა სისტემატურად იზრდებოდა, მაგრამ ნელა.

განსახილველ პერიოდში ქალაქის მრეწველობა უმთავრესად წვრილ საწარმოთა რიცხობრივი ზრდით ხასიათდებოდა, თუმცა ზოგიერთი სტატისტიკური ცნობა, პირიქით, მათ შემცირებაზე მიუთითებს [100]. ამ მონაცემებით, საქართველოში 1826 წელს არსებობდა 2050 წვრილი საწარმო, ხოლო 1842 წელს— მხოლოდ 47. წვრილ საწარმოთა ასეთი მკვეთრი შემცირება მოკლებულია დამაჯერებლობას, რადგან იმ დროს ჩვენში ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა ჯერ კიდევ მცირე იყო და მოსახლეობის მოთხოვნილება უმთავრესად წვრილ საწარმოთა პროდუქციით იფარებოდა. სტატისტიკური მონაცემების მცდარობა, სხვათაშორის, იქიდანაც ჩანს, რომ 50-იანი წლებისათვის მარტო ამქრული ორგანიზაციები რიცხობრივად ორჯერ უფრო მეტი იყო წვრილ წარმოებათა იმ რიცხვთან შედარებით, რომელსაც 1842 წლის სტატისტიკა მიუთითებდა.

საკონლო-ფეოდალი ურთიერთობის განვითარებამ ხელი შეუწყო აგრეთვე შედარებით „მსხვილ“ საწარმოთა გამრავლებას. თუ 1843 წელს სულ არსებობდა 116 სამრეწველო საწარმო, რომლებიც წლიურად 146 575 მანეთის პროდუქციას ამზადებდნენ [101], 1851 წელს მარტო თბილისის გუბერნიაში ითვლებოდა 131 საწარმო, რომლებმაც ამ წელს 178 323 მანეთის პროდუქცია გამოიმუშავეს [102/215]. 1865 წლისათვის ამავე გუბერნიაში არსებობდა 461 (აქედან ყოფ. ელიზავეტოპოლის მაზრაში — 62) საწარმო, რომელთაც 1 199 550 მანეთის პროდუქცია დაამზადეს [103].

მაშასადამე, 1851 წლიდან 14 წლის შემდეგ „მსხვილ“ საწარმოთა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა, ხოლო მათი მწარმოებლურობა 6,7-ჯერ.

მრეწველობის განვითარების მხრით საგრძნობლად ჩამორჩებოდა ქუთაისის გუბერნია. 1863 წელს საქართველოს მრეწველობის მიერ გამომუშავებული პროდუქციის მხოლოდ 1,5 პროცენტი მოდიოდა ქუთაისის გუბერნიაზე [69/34].

ასეთი ჩამორჩენილობის მიუხედავად, სამრეწველო საწარმოთა რიცხობრივი ზრდის მხრით არც ქუთაისის გუბერნია იმყოფებოდა სრული უძრაობის მდგომარეობაში, რასაც ნათელყოფს შემდეგი მონაცემები: 1847 წელს გუბერნიაში თუ სულ არსებობდა 12 საწარმო, რომლებმაც 6735 მანეთის პროდუქცია გამოიმუშავეს, 1861 წელს უკვე 42 საწარმო იყო, ხოლო გამომუშავებული პროდუქციის საერთო ღირებულებამ 23 398 მანეთს მიაღწია [102/222], ე. ი. საწარმოთა რაოდენობა და მათი პროდუქცია თითქმის 3,5-ჯერ გაიზარდა. ზემოაღნიშნულიდან აშკარაა, რომ მრეწველობა ამ პერიოდში თუმცა საერთოდ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა, მაგრამ მაინც ადგილი ჰქონდა მის ერთგვარ გაფართოებას.

ამასთანავე, მრეწველობის განვითარება თვისობრივი ცვლილებებითაც ხასიათდებოდა. უპირველეს ყოვლისა ეს გამოიხატა წარმოებათა სოციალური ბუნების ცვლილებაში. წვრილ წარმოებებს გარდა, ჩვენში წარმოიშვნენ როგორც კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციული, ისე კაპიტალისტური მანუფაქტურის ტიპის საწარმოები.

საწარმოთა რიცხობრივ ზრდასა და მათ სოციალურ ცვლილებებთან ერთად გაიზარდა მუშათა რაოდენობა საერთოდაც და თითოეულ საწარმოთა მიხედვითაც. მაგალითად, 1865 წელს თბილისის გუბერნიაში არსებული 453 საწარმო აერთიანებდა 5804 მუშას, ანუ თითოეულ საწარმოზე საშუალოდ მოდიოდა 12,6 მუშა. ყველაზე წვრილ საწარმოში გაერთიანებული იყო ერთი ოსტატი და 1—2 დამხმარე მუშა, კაპიტალისტურ, მარტივ კოოპერაციულ საწარმოში 1—2 ოსტატი და 3-დან 4-მდე მუშა; ამავე ტიპის საშუალო სიმძლავრის საწარმოში 10—15, ხოლო „მსხვილ" კაპიტალისტურ მანუფაქტურებში 50-ზე მეტიც [104/194—196].

ამ მხრივ ამიერკავკასიის რეფორმამდელმა სამთამადნომეტალურგიულმა მრეწველობამ უკან ჩამოიტოვა მრეწველობის ყველა დანარჩენი დარგი, რისი დამადასტურებელია ის გარემოება, რომ ზოგიერთ მეტალურგიულ საწარმოში მარტო დაქირავებულ მუშათა რაოდენობა უკვე ასეულობით განისაზღვრებოდა.

აღსანიშნავია, რომ სამთამადნომეტალურგიული წარმოება ჩვენში ერთ-ერთი პირველი დარგია, რომელშიც დაქირავებული შრომა ყველაზე ადრე (ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 70-იან წლებში) და ყველაზე უფრო მასობრივად გამოიყენებოდა (დაწვრილებით ქვევით).

პროდუქციის ნაირგვარობაზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ ხელი შეუწყო წარმოების შიგნით შრომის დანაწილების შემდგომ გაღრმავებას, საწარმოო ტექნიკის გაუმჯობესებას და დააჩქარა ახალი ენერგეტიკული სახეობის (ორთქლის) გამოყენება.

ლითონური დანადგარებითა და ინსტრუმენტებით მომუშავე საწარმოების გარდა, წარმოიშვნენ ისეთი ქარხანა-სახელოსნოებიც, რომელნიც ძირითად ნედლეულად ლითონს იყენებდნენ და მრეწველობის სხვა დარგებისათვის საჭირო ინსტრუმენტებსა და მარტივი კონსტრუქციის დაზგებს ამზადებდნენ.

საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებთ.

ჯერ კიდევ 20-იანი წლების მეორე ნახევარში, ფრანგ ნეოციანტ კასტელას, რომელმაც თბილისში აბრეშუმის ძაფსახ-

ვეკი ფაბრიკა ააგო. განზრახული ჰქონდა სოფ. კულაშის მიდამოებში ამავე დანიშნულების ფაბრიკის მოწყობა და იქ ენერგიის წყაროდ ორთქლის მანქანის გამოყენება, მაგრამ ეს წამოწყება უშედეგოდ დამთავრდა.

თბილისში „კასტელას ფაბრიკაში" გამოყენებული იყო როგორც იძულებითი, მათ შორის სამხედრო ტყვეებისა და შეძლებულთა პირადი ყმების, ისე დაქირავებული შრომა. პერიოდულად წარმოებაში გამოიყენებოდა შრომის მხოლოდ უკანასკნელი ფორმა. ფაბრიკის ტექნოლოგიური პროცესის შესაბამისად ცალკეულ ოპერაციებზე გაპიროვნებული იყო მუშათა გარკვეული ჯგუფი. ძირითადი ტექნოლოგიური აგრეგატები (სახარშავი ქვაბები, დაზგების ნაწილი) დამზადებული იყო ლითონისაგან. ასევე ინსტრუმენტების ნაწილი. მათი შეკეთებისათვის ფაბრიკასთან არსებობდა საზეინკლო. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, რა რაოდენობით გამოიყენებოდა ფაბრიკაში ლითონი, მაგრამ ივარაუდება, რომ იმ დროის პირობებისათვის მცირე არ უნდა ყოფილიყო.

1840 წლის დასაწყისში, და არა 1837 წელს, როგორც ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, იაკობ ზუბალაშვილმა და უცხოელმა როზეინ ვატმანმა თბილისში აამუშავეს სპირტის სახდელი ქარხანა, რომლის საწარმოო მოწყობილობას შეადგენდა: 40 კასრი, 2 კუბი, 11 როფი, წყლის საქაჩავი ორი მანქანა, რომელთაგან ერთი—ხელით სამუშაო, ხოლო მეორე—ორთქლისა (საქართველოში ამ უმნიშვნელოვანესი ტექნიკური პროგრესის — ორთქლის მანქანის გამოყენების — ისტორიაც, ჩვენის აზრით, სწორედ აქედან უნდა დაიწყოს). ქარხანაში მუშაობდა ერთი ოსტატი — თვით რ. ვატმანი და 5 მუშა ადგილობრივ მცხოვრებთაგან. როგორც საბუთშია მითითებული, „ისინი ყველა დაქირავებულნი" იყვნენ. წარმოების პროდუქციას წელიწადში შეადგენდა პირველხარისხოვანი რომი 600 ლიტრის რაოდენობით. ლიტრა 10 მანეთად იყიდებოდა.

1847 წელს ზუგდიდში ამუშავდა როზმორდიუკის მიერ ევროპულ ყაიდაზე აგებული აბრეშუმის ძაფსახვევი საწარმო, რომელიც მხოლოდ დაქირავებულ მუშებს იყენებდა და აბრეშუმის ძაფს წელიწადში 50 ფუთის რაოდენობით ექსპორტისა-

თვის ამზადებდა. მუშა პერსონალის ნაწილი მეპატრონემ საფრანგეთიდან ჩამოიყვანა, ნაწილი კი (30 ქალიშვილის რაოდენობით) ადგილზე დაიქირავა. მუშები განსაზღვრულ ოპერაციებს ასრულებდნენ. ქარხანა იყენებდა ნაწილობრივ ლითონისაგან დამზადებულ იმპორტულ მოწყობილობას. ის მნიშვნელოვნად განირჩეოდა იმ დანადგარებისაგან, რომელთაც ადგილობრივი საშინაო და ხელოსან-შინამრეწველური სარეწავები იყენებდნენ. წარმოების ენერგეტიკულ წყაროს წარმოადგენდა ორთქლის მანქანა.

აბრეშუმის მრეწველობის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოს წარმოადგენდა ვაჭარ გოხშტრაზერის მიერ 1860 წელს სოფ. ორპირში აგებული აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, რომელშიც მხოლოდ დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა. ფაბრიკა წელიწადში 94 ფუთამდე აბრეშუმის ძაფს ამზადებდა. იგი აღჭურვილი იყო ლითონის იმპორტული მანქანებით, დაზგებითა და ინსტრუმენტებით, მათ შორის, ორთქლის მანქანით, რომელსაც ტრანსმისიით მოძრაობაში მოჰყავდა აბრეშუმის ამოსახვევი 32 დაზგა. საწარმოო ოპერაციების, დანადგართა ნაირგვარობა და მათი განსაკუთრებული მომსახურეობის აუცილებლობა ყველაზე მკაფიოდ გვიჩვენებს, რამდენად ფართოდ იყო აქ შრომა დანაწილებული.

40-იან წლებში ერთ-ერთი მსხვილი კაპიტალისტური საწარმო კვების მრეწველობის დარგში იყო თბილისელი მსხვილი ვაჭრის იაკობ ზუბალაშვილისა და კომპანიის მიერ 1839 წელს თბილისში აგებული შაქრის ქარხანა, რომლისთვისაც ამიერკავკასიაში დიდ ფართობებზე შაქრის ლერწმის პლანტაციებიც კი გაშენდა. იგი შაქრის გარდა სხვა პროდუქციასაც ამზადებდა. 1841 წელს მან 186 600 მანეთის პროდუქცია გამოუშვა. შემდგომ წლებში პროდუქციის მოცულობა შემცირდა, ხოლო 1946 წელს, სხვადასხვა მიზეზების გამო, ქარხანამ არსებობა შეწყვიტა. საწარმო 60 დაქირავებულ მუშასა და სხვა პერსონალს აერთიანებდა. შრომა დანაწილებული იყო ცალკეული ოპერაციების მიხედვით.

რაც შეეხება წარმოების ტექნიკურ მხარეს, იგი არ წარმოადგენდა რაიმე განსაკუთრებულს. სპილენძის, თუჯისა და რკი-

ნის მარტივი ქვაბები, როფები და სხვა — შეადგენდა მის ძირითად ტექნოლოგიურ ინვენტარს, რომელიც კომპანიამ რუსეთიდან ჩამოიტანა. ქარხანაში ლითონური დანადგარები და ხელსაწყოები დიდი რაოდენობით გამოიყენებოდა [105].

დაქირავებულ მუშათა რაოდენობის მხრით გამოირჩეოდა ბებუთოვისა და სარაჯიშვილის თბილისის ტყავის ქარხანა, რომელშიც 1845 წელს გაერთიანებული იყო 25 ოსტატი-„მეპატრონე", 100 დღიური მუშა და 200 შეგირდი. საწარმოს ამქართა განცხადებაში წერია: „ამ ქარხანაშია ოსტატნი, შაგირდნი და მუდმივ დაჭერილი მუშები", რომელნიც აცხოვრებდნენ 900 სულს. თითოეული მუშა ღებულობდა დღეში 20 კაპ., ხოლო წელიწადში 73 მანეთს. საწარმოს გაუქმებით, როგორც ამქრები წერდნენ, უნდა გაუქმებულიყო 14-მდე ხელობა, რომელნიც 1000 კაცს აერთიანებდა [106].

ლითონის ხელსაწყოებს იყენებდნენ აგრეთვე საპნის, მეიცნერის მაუდის, ჩიჯავაძისა და ენფინჯიანცების თამბაქოს, ერისთავების მინის, ბრანდტის ტყავის, აგურისა და სხვა საწარმოები. აქედან აღსანიშნავია ბრანდტის საწარმო (1862 წ.), რომელიც მოწყობილი იყო ევროპულ საწარმოთა სტილზე და, ცხენძრავის გარდა, ორთქლის მანქანასაც იყენებდა. ქუთაისის აგურის ქარხანაში 1863 წლიდან დაიწყეს 10 ცხენისძალიანი ორთქლის მანქანის გამოყენება.

საქართველოში არსებობდა ნაირგვარი სიმძლავრის სხვა საწარმოებიც (არყის სახდელი, ზეთსახდელი, სანთლის, ხე-ტყის, სამღებროები და სხვ.), რომლებიც ნაწილობრივ ლითონის დანადგარებს იყენებდნენ. ზოგიერთ მათგანში დაქირავებულ შრომასთან ერთად ორთქლის ძალასაც იყენებდნენ, მაგალითად: 1846 წელს—ზეტცერის ავეჯის ფაბრიკაში, 1863 წელს—ქუთაისის გუბერნიაში, კუზმინსკის არყისახდელ ქარხანაში, სადაც 29 დაქირავებული მუშით დღეში 25 ვედრა არაყი იხდებოდა; 1864 წელს — თბილისში რაისის ხე-ტყის ქარხანაში და სხვაგან.

ამრიგად, 30-იან წლების მეორე ნახევრიდან, უფრო კი 40-იანი წლებიდან, საქართველოს მთელ რიგ საწარმოებში ადგილი ჰქონდა საწარმოო ტექნიკის რამდენადმე გაუმჯობესებას, ახალი ენერგეტიკული სახეობის გამოყენების დასაწყისს

და მის თანდათანობით გავრცელებას, რაც ლითონის მოხმარებასთან იყო დაკავშირებული.

მაგრამ ეს თვისობრივად ახალი ნახტომი მეტად მცირე მასშტაბით ვრცელდებოდა და, ცხადია, ლითონის მოხმარებაც ამ საქმეში უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო.

40-იანი წლებიდან საქართველოში ერთდროულად აღმოცენდა ლითონდამმუშავებელი, შედარებით „მსხვილი" კაპიტალისტური ტიპის, რამდენიმე ხაწარმოც. ისინი წარმოიშვნენ მეფის მთავრობის მხარდაჭერითა და ფულადი დახმარებით. ეს გამოწვეული იყო არა ამიერკავკასიის ეკონომიური აღორძინებისადმი მისწრაფებით, არამედ უმთავრესად მთავრობის სამხედრო-პოლიტიკური ამოცანებითა და ქვეყნის კოლონიური ექსპლოატაციის გაძლიერების აუცილებლობით. მაგრამ ამ ღონისძიებებმა ხელი შეუწყეს ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა შემდგომ განვითარებას.

40-იანი წლებიდან სამხედრო უწყების ხაზით დაარსდა ახალი, ოღონდ უფრო მძლავრი მექანიკური სახელოსნოები. რიცხვმრავალი შეიქმნა საველე სახელოსნოებიც. მაგრამ მეფისნაცვალი მ. ს. ვორონცოვი ცდილობდა, რათა სამხედრო უწყებებისათვის ლითონდამმუშავებელი საწარმოები კერძო კაპიტალის ხარჯზე მოეწყო. 40-იანი წლების მეორე ნახევარში არტილერიის პოლკოვნიკ ყორღანოვის მიერ თბილისში აიგო თუჯსასხმელო „ქარხანა", რომლის დანიშნულებას შეადგენდა სამხედრო უწყების დაკვეთების შესრულება (უმთავრესად ყუმბარების წარმოება), რადგან რუსეთიდან ერთი ფუთი ყუმბარების ჩამოტანა 8 მანეთი ჯდებოდა. ქარხანა ერთდროულად ამზადებდა ვერაზე ყორღანოვის წყალსაქაჩავისა და თბილისის წყალსადენისათვის თუჯის ფასონურ სხმულებს. ყორღანოვის ქარხანა თუჯს რუსეთიდან ღებულობდა. ერთდროულად ადგილობრივ ჯართსაც იყენებდა.

60-იანი წლების დასაწყისში გენერალ ყორღანოვის ქარხანამ დაიწყო როგორც სამხედრო საჭურველის, ისე წყალსადენისათვის უფრო რთული ნაწილების ჩამოსხმა. ამასთან დაკავშირებით მეფისნაცვალმა რუსეთიდან გამოიწერა კვალიფიციური მუშები: თუჯის ჩამომსხმელი — 2, მეყალიბე — 2,

ბოვის მეამონატე — 1 და ორთქლის ქვაბზე მომუშავე — 1. ამ მუშებს შორის იყვნენ გ. ჩეკმაკოვი და აგაფონ ალექსანდროვი, რომელთაც დაევალათ ადგილობრივი კადრების მომზადება. პირველმა თბილისში 6 თვე დაჰყო და თუჯის ჩამომსხმელები მოამზადა.

როგორი იყო ამ ქარხნის წყობა, მისი შრომის ორგანიზაცია და ტექნიკა, წყაროებში მითითებული არ არის, მაგრამ პროდუქციის სახეობითა და ზოგიერთი დანადგარების მიხედვით შეუცდომლად შეიძლება დავასკვნათ, რომ ის არ წარმოადგენდა ჩამორჩენილ ხელოსნურ-შინამრეწველურ წარმოებას.

ყორღანოვის თუჯსასხმელო ქარხნის მწარმოებლურობაზე დაახლოებით წარმოდგენას გვაძლევს ამ წარმოებაში ერთ-ერთი ნედლეულის მოხმარების რაოდენობა და პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხა. საარქივო საბუთების მიხედვით, ყორღანოვის ქარხანას 1850 წელს რედუტ-კალეში გამოეყო 5000 ფუთის (80 ტონა) რაოდენობით მეტალურგიული კოქსი, რომელიც რუსეთიდან სხვა სპეციალური დანიშნულებისათვის იყო ჩამოტანილი. ოფიციალური მონაცემებით, ქარხანამ 1860 წელს 40000 მანეთის პროდუქცია გამოუშვა [107].

1852 წლის შემოდგომაზე თბილისში ამუშავდა უცხოეთის ქვეშევრდომ ივანე შტიუსეს თუჯსასხმელო-მექანიკური ქარხანა, რომლის ძირითადი ლითონური დაზგები და ინსტრუმენტები (150 ფუთის რაოდენობით) მეპატრონემ საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა. იქიდანვე ჩამოიყვანა მან 8 კვალიფიციური მუშა.

ქარხანასთან რამდენიმე საწარმოო განყოფილება (საამქრო) არსებობდა, მათ შორის მექანიკური — საუკეთესო დაზგებით, სასხმელო — ორი დიდი და პატარა ბოვით, რომელთაც შეეძლოთ წელიწადში 4 ათასი ფუთის რაოდენობით თუჯის გადამუშავება, საზეინკლო, სამჭედლო, ცხენძრავი და სხვ.

შტიუსეს ქარხანა ამზადებდა ნაირგვარ პროდუქციას: სამხედრო უწყების დაკვეთით — საჭურველს, ხოლო კერძო ბაზრისათვის — საქარხნო და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს,

წარმოებაში გამოიყენებოდა დაქირავებული შრომა, ზუსტი მექანიკური დაზგები, აგრეთვე ცხენძრავა.

შტიუსეს ქარხანა წარმოადგენდა საქართველოში კაპიტალისტური მანუფაქტურის ტიპის პირველ მექანიკურ საწარმოს, რომელიც ერთდროულად ემსახურებოდა როგორც სამხედრო უწყებას, ისე მთელი ამიერკავკასიის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, თუმცა სამხედრო დაკვეთების მოცულობა ხშირად კერძო დაკვეთებს ორჯერ აღემატებოდა. დაკვეთების ზრდასთან დაკავშირებით ქარხნის მწარმოებლურობა სისტემატურად იზრდებოდა, რაც ჩანს თუჯის გადამუშავების რაოდენობით — 633 ფუთიდან 1852 წელს 2076 ფუთამდე გაიზარდა 1854 წელს. შემდგომ წლებში კი, ომიანობის შედეგად, წარმოება შემცირდა. 1852 — 1861 წლებში ქარხანამ გამოუშვა 124 219 მანეთის, ანუ საშუალოდ წელიწადში—14 ათასი მანეთის პროდუქცია.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მიზნით შტიუსემ განიზრახა ადგილობრივი მადნების ბაზაზე თუჯის წარმოება მოეწყო, მაგრამ ეს კარგი წამოწყება მხოლოდ საცდელი დონებით განისაზღვრა [108].

შტიუსეს ქარხანა დაიხურა 1865 წელს. მართალია, მან თავისი არსებობის განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში, მაგრამ მისი მაქსიმალური მწარმოებლურობაც კი, ცხადია, ლითონურ ნაკეთობაზე მუდმივად მზარდ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ყოველშემთხვევაში, მან, როგორც ერთ-ერთმა პიონერმა, გზა გაუკვლია არა მარტო ამ სახის წარმოებათა ჩასახვას (მაგალითად, თამამშევის, ბიჰოლდტის, რუქსის, ფრანკეს, შმიდტის, ფოთის სახაზინო სახელოსნო და სხვ.), არამედ, როგორც ვნახავთ, რკინის მეტალურგიასაც, რომლის განვითარებას რამდენადმე აფერხებდა მანქანათსამშენებლო დარგის უქონლობაც.

1835 წლიდან თბილისში არსებობდა VIII კლასის ჩინოვნიკის ზავრიევის ე. წ. საქვაბე ქარხანა, რომელშიც 1841 წელს მუშაობდა ადგილობრივ მცხოვრებთაგან დაქირავებული 14 ოსტატი, 14 თანაშემწე და 24 შავი მუშა, ე. ი. სულ 54 კაცი. ქარხანა ამზადებდა სპილენძის ჭურჭლეულს, რომელსაც ჰყიდ-

დენ ამიერკავკასიის ფარგლებში და, შესაძლოა, სხვაგანაც. ამ წელს საწარმომ დაამზადა 2000 მანეთის, ხოლო 60-იან წლებში — 4500 მანეთის პროდუქცია.

ზავრიევი ნედლ მასალად იყენებდა ნაირგვარი ხარისხის სპილენძს, რომელსაც ალავერდის ქარხნის მრეწველთაგან იძენდა. არქივის ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, ქარხანაში თითქოს 500 ჭურა იდგა, რაც ნაკლებად დასაჯერებელია. ქარხანაში მანქანა საერთოდ არ გამოიყენებოდა და მთელი მუშაობა ხელით წარმოებდა [109].

ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, 1847 წელს თბილისში არსებობდა „მექვაბეთა სარეწავი", რომელშიც მუშაობდა დაქირავებული 12 ოსტატი, 22 თანაშემწე და 12 შეგირდი, სულ 46 კაცი. ამ წელს საწარმომ დაამზადა 18 492 მანეთის პროდუქცია, ხოლო 60-იან წლებში მისი მწარმოებლურობა 4000 მანეთამდე შემცირდა. ნედლეულს ის იძენდა ნუხელი ვაჭრებისა და ალავერდის ქარხნის მრეწველებისაგან.

ამ საწარმოს შესახებ სხვა მონაცემები წყაროებში არ მოიპოვება და თვით ასეთი სახელწოდების სარეწავიც აღნიშნული პერიოდის საბუთებში იშვიათად გვხვდება. ვფიქრობთ, იგი ზავრიევის სახელშეცვლილი „ქარხანა" უნდა იყოს [110].

ჩვენს მიერ გამოვლინებული საარქივო წყაროებით დადგენილია, რომ 1848 წელს თბილისში არსებობდა აგრეთვე გაზის ქარხანა, რომელიც მთლად რკინის, ფოლადისა და თუჯის დანადგარებს იყენებდა. ამ ქარხნისათვის საჭირო ლითონი (რკინა 307 ფუთის და კარგი ფოლადი 55 ფუთის რაოდენობით) მეფისნაცვალმა ვ. ს. ვორონცოვმა უშუალოდ ურალიდან გამოიწერა. ვის ეკუთვნოდა ეს ქარხანა — ხაზინას თუ კერძო პირს, როგორი იყო შრომის ორგანიზაცია, ტექნიკის დონე და ქარხნის მწარმოებლურობა, საბუთში აღნიშნული არ არის [111].

კავშირგაბმულობის გაფართოებასთან დაკავშირებით 1860 წელს თბილისში გაიხსნა პირველი საეკიპაჟო „ფაბრიკა", რომელიც ახალ ეტლებს ამზადებდა და ერთდროულად ძველების შეკეთებასაც აწარმოებდა. 1864 წელს უკვე ოთხი ასეთი საწარმო არსებობდა, რომლებმაც 17 ათასი მანეთის პროდუქცია

დაამზადეს. წარმოებაში ერთ-ერთ ძირითად მასალად რკინა იყო გამოყენებული. 60-იანი წლების მეორე ნახევარში ექვს ასეთ საწარმოში 100 კაცი მუშაობდა [50/239].

მეტალურგიული პროდუქციის თანდათანობით გავრცელებამ ხელი შეუწყო ჩვენში სამთამადნო მრეწველობის გაფართოებასაც.

საქართველოს სამშენებლო და ძვირფასი ქვების დამუშავება ჯერ კიდევ ალავერდის ქარხანაში მოეწყო XIX საუკუნის დასაწყისში. მეფის მთავრობა უშუალოდ იყო დაინტერესებული ამ წარმოების განვითარებით. 1840 წელს მთავარმართებელ გოლოვინის ინიციატივით თბილისში გაიხსნა საწახნაგო და ქვა-მუყაოს პირველი სახაზინო ფაბრიკა-სახელოსნო. უკანასკნელი ვერ აკმაყოფილებდა თბილისის გაზრდილ მოთხოვნილებას. მისი გაძლიერებისა და პროდუქციის გაუმჯობესების მიზნით ხელისუფლებამ ეკატერინობურგის საწახნაგო ფაბრიკიდან მოიწვია XII კლასის მხატვარი-მოქანდაკე იაკობ ამბაროვი და ოთხი ოსტატი.

ამბაროვი თბილისში დაბინადრდა და წლების განმავლობაში ადგილობრივ კადრებს ამზადებდა, რისთვისაც ცნობილმა მხატვარმა გაგარინმა 1853 წელს შუამდგომლობაც აღძრა ამბაროვის დასაჯილდოებლად.

თბილისის საწახნაგო სახელოსნო მაინც მცირე სიმძლავრის იყო და მეფის მთავრობას ის ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ მ. ს. ვორონცოვმა 1849 წელს ახალი საწახნაგო ფაბრიკა ააგებინა, ხოლო 1850 წელს ქვა-მუყაოს მასის საწარმო. 1850 წელს დაისვა საკითხი მათი გაერთიანების შესახებ. გაერთიანებული საწარმო უნდა აგებულიყო ისეთ ადგილას, სადაც შესაძლო იქნებოდა 12-ცხენისძალიანი წყლის ბორბლის მოწყობა.

ამ საკითხის განხორციელება წლობით გაჭიანურდა და მხოლოდ 1854 წელს ვინმე ბელიაევის მეუღლემ — თეკლე ივანეს ასულმა დაივალა კუკიაში, ე. წ. მესანგრეთა ხიდის ზემო უბანში, ამ ფაბრიკის აგება. ამავე წელს რუსეთში დაუკვეთეს ორთქლის ოთხი მძლავრი მანქანა, რომლებიც 1857 წელს თბილისში ჩამოიტანეს. წარმოებაში გამოიყენებოდა დიდი რაო-

დენობით ლითონის ხერხები, საჭრეთელები, დაზგები, განსაკუთრებული ხელსაწყოები და სხვ.

1859 წლიდან ფაბრიკაში ამუშავებდნენ ალგეთის, დიღომის, გორის, ყულფის, მისხანისა და სხვა რაიონების ქვებს. დამზადებულ სკულპტურებსა და ქვა-ფილებს იყენებდნენ როგორც ამიერკავკასიაში, ისე რუსეთში, კერძოდ, მეფის სასახლის მოსაპირკეთებლად.

ფაბრიკა წელიწადში რამდენიმე ათასი მანეთის პროდუქციას ამზადებდა. მუშებად იყენებდნენ როგორც დაქირავებულებს, ისე ჯარისკაცებს. ხოლო 60-იანი წლებიდან — მხოლოდ დაქირავებულ მუშებს. საწარმო იჯარით კერძო პირებს გადაეცა, მაგრამ იმის გამო, რომ თბილისში ანალოგიური სხვა სახელოსნოებიც გაიხსნა, ფაბრიკამ ვერ გაუძლო მათთან კონკურენციას და 1868 წლიდან შეწყვიტა არსებობა [112].

ნავთობის გამოყენება საქართველოში უძველესი დროიდან არის ცნობილი. ყველაზე უძველესს ნავთლუღის საბადო წარმოადგენდა და აქედან წარმოიშვა მისი სახელწოდებაც. ნავთლუღს „ნავთის ჭალაც“ ეწოდებოდა.

ოფიციალური მონაცემებით, ნავთლუღის საბადოების ექსპლოატაცია 40-იან წლებამდე დაიწყო. 1841 წელს აქ 7 პატარა ჭა არსებობდა და შვიდი თვის განმავლობაში 7980 თუნგი (2660 ვედრო) ნავთობი დაამზადეს, ე. ი. თითო ჭაზე — 380 ვედრო. ნავთლუღის მოქმედი სარეწავები 1846 წელს დაუთვალიერებია პ. იოსელიანს და აღნიშნავდა, რომ სარეწავებზე სამხედრო მუშები მუშაობდნენ. ისინი დღე-ღამეში 20 ვედრო ნავთობს ამზადებდნენ. მისი აზრით, შესაძლო იყო ჭების რაოდენობის გამრავლება. როგორც ირკვევა, ნავთლუღის ნავთობის საბადოთა მიდამოებში „მენავთეთა“ მოსახლეობაც არსებულა — 1847 წელს ნავთობის ჭებთან ძველი წყალსადენის ნაშთები აღმოჩნდა.

1845 წლამდე ნავთლუღის საბადოებს ამუშავებდა ხაზინა. შემდეგ ისინი იჯარით კერძო პირებს გადაეცა, ხოლო 1847 წელს ქალაქის მმართველობას — საკუთრებად. მმართველობა მათ კერძო მეიჯარადრეთა საშუალებით ამუშავებდა და ყოველწლიურად 5500 მანეთს ღებულობდა.

1861 წლიდან ნავთლუღში არსებობდა მაქსიმოვიჩის ქიმიურ-ტექნოლოგიური წარმოება, რომელიც აღნიშნული საბადოების ნავთობიდან სხვადასხვა პროდუქტებს (ნავთს, კუპრს და სხვ.) ამუშავებდა.

ბაქოს ნავთობის მრეწველობის გაფართოებასთან დაკავშირებით აღნიშნული საბადოს მნიშვნელობა საგრძნობლად დაეცა. 1864 წელს ამ საწარმოდან ქალაქის შემოსავალი შეადგენდა 4000 მანეთს, 1869 წელს კი მხოლოდ 400 მანეთს.

კახეთის ნავთობის საბადოების დამუშავება ძველთაგანვე წარმოებდა, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისიდან ის თანდათანობით უფრო გაიზარდა.

კახეთის მცხოვრებნი შირაქის ნავთობის საბადოებზე მოპოებულ კუპრს ტიკების შესაგოზად იყენებდნენ.

1837 წელს სინოდის კანტორამ სიღნაღის მაზრაში წმინდა ნინოს ბოდბის დედათა მონასტრის კუთვნილი ოთხი სოფლის (ახტან ბასილე, კაპიჭე, ბაიდე და ნაბამბარის) ნავთობის საბადოები ორი წლის ვადით იჯარით გადასცა თბილისელ გლეხმოიჯარადრეებს შიო დუჩიძეს (იგივე კუპრაშვილს), სოლომონ რამაზოვსა და დემურა არუთინოვს წელიწადში 250 მანეთად.

1841 წელს ელდარის მიდამოებში არსებობდა ნავთობის რამდენიმე მოქმედი ჭა, რომელსაც კერძო პირები ამუშავებდნენ, ხოლო ამ წლიდან ისინი დასამუშავებლად ხაზინამ დაიბრუნა.

საქართველოს სამთო ექსპედიცია სწავლობდა აგრეთვე გურიის ნავთობის საბადოებს.

ამრიგად, საქართველოში ნავთობის საბადოთა დამუშავება დაიწყო არა 40-იანი წლებიდან, როგორც ზოგჯერ მიუთითებენ, არამედ გაცილებით ადრე.

40-იანი წლების შემდეგაც, ბაქოში ნავთობის მრეწველობის შედარებით განვითარების მიუხედავად, საქართველოში, კერძოდ კახეთში, მრეწველობის აღნიშნული დარგი მაინც ფართოვდებოდა.

ელდარის უკვე აღნიშნული საბადოების გარდა ნავთობს ამუშავებდნენ სხვა უბნებზეც. ასე, მაგალითად, 1845 წელს

ბოდბის მონასტრის შემოსავალში აღნიშნულია, რომ თბილისის მცხოვრებმა, ვინმე ავეტიკა ბაისაგლოვმა ნავთობის საბადოთა ექსპლოატაციისათვის საიჯარო გადასახადის სახით მონასტრის სალაროში შეიტანა 500 მანეთი. 1848 წლიდან ელდარის, მირზაანისა და შირაქის საბადოებს ხაზინა კერძო პირებს იჯარით აძლევდა და აქედან საგრძნობი შემოსავალი ჰქონდა. 1864 წლისათვის ეს შემოსავალი 2800 მანეთს უდრიდა.

1858 წელს კავკასიის სახაზინო პალატის თავმჯდომარე თუმანიშვილი სამთო სამმართველოს აცნობებდა, რომ ეშმაკისწყაროს ნავთობის საბადოები გამოავლინა თბილისის ეგერთა პოლკმა და ის საკუთარი სახსრებით ამუშავებდაო. ამ უბანზე მოქმედებდა 20 ჭა, თითოეულის სადღეღამისო მწარმოებლურობა 1841 წელს ნახევარი ვედრო ნავთობით განისაზღვრებოდა.

1860 წელს სიღნაღის მაზრის მინერალურ საბადოებსა და სოფ. ეშმაკისწყაროს ნავთობს იკვლევდა ინჟ. ვალბერგი.

1861 წელს ნავთობის საბადოებს იკვლევდნენ აგრეთვე კავთისხევის მიდამოებში ერისთავის მამულში.

60-იანი წლებიდან საქართველოში (შირაქი და ნავთლუღი) ნავთობის მრეწველობა გაიზარდა. 1863 წელს ამოიღეს 11 ათასი ვედრო ნავთობი, 1864 წელს — 6500, ხოლო 1865 წელს — 5339 ვედრო. ნავთობის ამოღების შემცირება აიხსნება ბაქოში ნავთობის მრეწველობის გაფართოებით.

ნავთობის მრეწველობა ჩვენში ძირითადად ხელით შრომაზე იყო დამყარებული. წერაქვებითა და ნიჩბებით ამოთხრილი ორმოები ან ჭები — ასეთი იყო იმდროინდელი ნავთობის მომპოებელი წყაროები. მაგრამ ისიც, რაც კეთდებოდა, მხოლოდ ლითონის იარაღის (წერაქვები, ბარები და ნიჩბები) საშუალებით [113].

წარმოების თანდათანობით გაფართოებასთან დაკავშირებით ლითონის ხარჯი თუმცა გაიზარდა, მაგრამ უმნიშვნელოდ, რადგან თვით ნავთობის წარმოებაც რეფორმამდე საგრძნობლად ჩამორჩებოდა. მოთხოვნილება ნავთზე, როგორც სანათ მასალაზე, 1864 წლიდან გაიზარდა, მაგრამ მისი უსუფთაობისა და სიძვირის გამო, ნელა ვრცელდებოდა და როგორც მაღარო-

ებსა და ღარიბთა ოჯახებში, ისე, გ. ორბელიანის სიტყვით, შეძლებულთა ოჯახებშიც, ის უმთავრესად ქონით იყო შეცვლილი.

მეფის მთავრობა ფართოდ სწავლობდა საქართველოს ქვანახშირის საბადოებს. 40-იანი წლებიდან იგი უფრო გაძლიერდა. ეს აიხსნება იმით, რომ ცარიზმი მიისწრაფოდა, რათა ადგილობრივი მინერალური საწვავით უზრუნველეყო შავი ზღვის სამხედრო და სავაჭრო ფლოტი, ამიერკავკასიაში დისლოცირებული ჯარი, სახელმწიფო უწყებები და, რაც მთავარია, თავი გაეთავისუფლებინა ინგლისის ქვანახშირის იმპორტისაგან, რაც რუსეთისათვის ეკონომიურად, უფრო კი სტრატეგიული თვალსაზრისით, არახელსაყრელი იყო.

ადგილობრივი მცხოვრებნი ტყიბულის ქვანახშირის საბადოს ადრევე ამუშავებდნენ და საკუთარი საჭიროებისათვის იყენებდნენ. როგორც ეს საბადო, ისე ამ უბანზე გიშერისა და სხვათა წარმოება სამთო ინჟინერმა გ. კრეიჟანოვსკიმ ჯერ კიდევ 1826 წელს აღწერა. 40-იან წლებში აკად. აბიხმა იგი დაწვრილებით შეისწავლა. საბადოს შედარებით ფართო ექსპლოატაცია 1845—1846 წლებში დაიწყო. მემამულეებს ყოველ მოპოვებულ ფუთ ნახშირზე 3/4 კაპ. ეძლეოდათ. ნიკო ნიკოლაძის გადმოცემით, ტყიბულის საბადოთა დამუშავების ინიციატორი იყო ქუთათელი თერძი — საყვარელიძე.

1845 წელს ქვანახშირის მრეწველობაში მონაწილეობდა ქუთაისში მცხოვრები ვაჭარ-კომისიონერი კრეიჟანოვსკიც, რომელიც ტყიბულიდან ქვანახშირს ყულევში (რედუტ-კალეში) ეზიდებოდა ფუთს 12 კაპიკად. ნახშირის გადასატანად იგი ქირაობდა ადგილობრივ გლეხებს მათივე ურმებითურთ. 1848 — 1850 წლებში მან ტყიბულში მიიღო 11 200 ფუთი ქვანახშირი, აქედან ქუთაისსა და ფოთში გადაიტანა 8744 ფუთი. მაგრამ კრეიჟანოვსკიმ საქმეს თავი ვერ გაართვა, ვალად ხაზინის 4000 მანეთი დაედო და, ბოლოს, სადღაც მიიმალა.

1864 წელს საბადოს დამუშავება დაიწყო თავ. კოჩუბეიმ. მან მემამულეებთან დადო კონტრაქტი, ტყიბულიდან ყვირილამდე საჭაპანო გზა გაიყვანა, ღია კარიერებით 11 000 ფუთი ქვანახშირი დაამზადა და ყულევში (რედუტ-კალეში) ჩაიტანა

ფუთი 16 კაპიკად. მემამულეებს ისიც ყოველ გატანილ ფუთ ნახშირზე 3/4 კაპიკს უხდიდა.

1847 წელს ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაცია დაევალა ვინმე ციალკოვსკის, რომელმაც ფოთში 21000 ფუთი ქვანახშირი ჩაიტანა ფუთი 21 კაპიკად.

საბადოთა ექსპლოატაციის გაფართოებას აბრკოლებდა უგზოობა. ამიტომ, მ. ს. ვორონცოვმა 1847 წელს ინჟ. კოხანოვს დაავალა ტყიბულ-ქუთაისს შორის საცხენო რკინიგზის პროექტის შედგენა, მაგრამ ეს ღონისძიება არ განხორციელებულა. 1849 წელს ეს საკითხი ხელახლა წამოაყენა ინჟ. ივანიცკიმ, მაგრამ ასევე უშედეგოდ.

მომდევნო წელს საბადოთა ექსპლოატაციას ხელმძღვანელობდა ინჟ. კომაროვი, რომელმაც რუსეთიდან ჩამოყვანილი 12 სამთო მუშისა და ადგილზე დაქირავებული გლეხებით 1848 წელს 40 000 ფუთი ქვანახშირი დაამზადა, ხოლო. 1849 წელს— 36 000 ფუთი და აქედან 26 ათასი ფუთი ფოთში გაგზავნა. 1850 წელს საბადოს დამუშავება შეწყდა, მაგრამ მან ძველი გამონამუშევრებიდან 115 000 ფუთი ნახშირი შეაგროვა, აქედან მარტო ქუთაისსა და სოხუმში 70 000 ფუთი ნახშირი ჩაიტანა.

ტყიბულის ქვანახშირის გამოცდა გემებზე თავიდანვე ბრწყინვალე შედეგებით დამთავრდა, მაგრამ საბადოების ექსპლოატაცია დიდი ხნით შეწყდა. მხოლოდ 1859 წელს თბილისი-ფოთის რკინიგზის გაყვანის საკითხთან დაკავშირებით ინჟ. კარპინსკის დაევალა საბადოთა ხელახლა შესწავლა. კარპინსკიმ დაამზადა 2000 ფუთი ნახშირი და აქედან 1500 ფუთი ფოთში გააგზავნა გემებზე ახალი გამოცდებისათვის, ხოლო 500 ფუთი ადგილზე კოქსის გამოხდის ცდებზე დახარჯა. მეფისნაცვლის ცნობით, ნახშირის განმეორებითმა გამოცდამ ერთობ კარგი შედეგები გამოიღო.

მიუხედავად ამისა, ტყიბულის აუზის ფართო ექსპლოატაცია უგზოობისა და თავისუფალი მუშახელის უყოლობის გამო 70-იან წლებამდე არ წარმოებდა [114].

1850 წელს ამიერკავკასიის სამრეწველო გამოფენაზე ვინმე ციცკინს ახალციხის ქვანახშირის ნიმუშები წარუდგენია. მ. ს.

ვორონცოვი ამ საბადოებით მყისვე დაინტერესდა და 1851 წელს შეუდგნენ მის დამუშავებას. ქვანახშირის ტრანსპორტირების გაადვილებისათვის ვორონცოვმა იმავე წელს თბილისში დაამზადებინა რკინის ნავი და სასწრაფოდ ბორჯომში გადაატანინა ბორჯომ-ახალციხეს შორის მტკვარზე მის გამოსაცდელად. ეს ცდები უშედეგოდ დამთავრდა და ახალციხის საბადოების დამუშავებაც 1853 წლიდან შეწყდა.

შემდგომში ეს საკითხი არაერთგზის წამოიჭრა, მაგრამ მისი ექსპლოატაციის დაწყება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს.

როგორც ვხედავთ, ქვანახშირის მრეწველობა რეფორმამდელ პერიოდში ძალზე ნელა, მაგრამ ნელნელა მაინც ფართოვდებოდა და ამაში გარკვეული წვლილი შეჰქონდა აგრეთვე მეტალურგიულ პროდუქციას უამრავი სამთამადნო იარაღების სახით.

მრეწველობაში და საერთოდ სახალხო მეურნეობაში რკინის მოხმარების გაფართოებამ ხელი შეუწყო თვით სამთამადნომეტალურგიული წარმოების რამდენადმე გაფართოებასა და მისი ახალი დარგის — შავი ლითონების მეტალურგიის აღმოცენებას (დაწვრილებით ქვევით).

ამრიგად, რეფორმამდელ პერიოდში, განსაკუთრებით 40-იანი წლებიდან, საქართველოს მრეწველობაში ადგილი ჰქონდა ერთგვარ ძვრებს, რაშიც გარკვეული წვლილი შეჰქონდა ლითონს, მაგრამ ფეოდალურ-თვითმპყრობელური წყობილების შედეგად მრეწველობის გაფართოება მეტად უმნიშვნელო იყო და ის საერთოდ ძალზე ჩამორჩებოდა. „მსხვილი“ კაპიტალისტური საწარმოები, რომელნიც დიდი რაოდენობით მოითხოვდნენ ლითონს, ერთეულებით განისაზღვრებოდა. საქართველოს მრეწველობის ზრდა უმთავრესად დაბალ ტექნიკურ დონეზე მყოფი წვრილი ხელოსნურ-შინამრეწველური წარმოების ხაზით მიმდინარეობდა. ამის შედეგად, მრეწველობის მიერ გამომუშავებული ყველა სახის, მათ შორის ლითონური პროდუქციის რაოდენობა მოსახლეობის ერთეულზე ძალზე მცირე იყო.

* * *

გასული საუკუნის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად გაცხოველდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა. ლითონზე მზარდ მოხმარებასთან დაკავშირებით გაფართოვდა საქონელბრუნვაში რკინის მოცულობაც.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გამოვარკვიოთ ამ პროდუქციის სადაურობის საკითხი, ე. ი. ადგილობრივი იყო ის, თუ გარედან შემოტანილი.

სამეცნიერო-საისტორიო ლიტერატურაში ეს საკითხი ზოგჯერ სწორად არ არის გაშუქებული. ბურნაშევი, რომელიც XVIII საუკუნის 80-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფო კარზე იმყოფებოდა, როგორც რუსეთის მეფის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, წერდა: საქართველოში მხოლოდ რუსეთიდან შემოტანილი რკინა გამოიყენებაო [115]. ეს აზრი შემდგომ ზოგიერთმა მკვლევარმაც ყოველგვარი შენიშვნის გარეშე გაიზიარა, თუმცა იგი მცდარია არა მარტო XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის, არამედ განსაკუთრებით იმ პერიოდისათვის, როდესაც ავტორი თავის „აღწერას“ ადგენდა.

აკად. გიულდენშტედტის მოწმობით, ქართლ-კახეთის სამეფოში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში არსებობდა რკინის სარეწავები. გასული საუკუნის ერთ-ერთი საბუთით („ქალაქის მოურავის სარგო“) ირკვევა, რომ ეს სარეწავები შემდგომშიც არსებობდნენ, კერძოდ ბოლნისში, დაშქესანსა და სხვაგან. კნორინგისათვის გაგზავნილ პატაკში გენერალი ლაზარევი წერდა: „არსებობენ აგრეთვე... კერძო სამთო ქარხნები, მაგრამ ისინი მეფეს არავითარ შემოსავალს არ აძლევენ“.

რადგან არმიისათვის საჭირო ყუმბარების ჩამოტანა რუსეთიდან ძვირი ჯდებოდა და, ამას გარდა, მათი ტრანსპორტირება ფერხდებოდა, 1805 წელს დაშქესანში, ძველი გლეხური სარეწავების გარდა, აიგო საცდელი ქარხანა, რომელმაც ყუმბარები და ბირთვები დაამზადა. ქარხანამ დიდხანს ვერ იარსება, მაგრამ გლეხური სარეწავები მაინც განაგრძობდნენ რკინის გამოყვანას, სამეურნეო იარაღების დამზადებას და მათი სხვა-

დასხვა ქალაქებში (მათ შორის თბილისში) გაყიდვას. დაშქესანში რკინის შინამრეწველური დამუშავება, აკად. აბიხის მოწმობით, 50-იან წლებამდე გაგრძელდა, ხოლო ი. დიუკრუასის მონაცემებით 50-იან წლებში გლეხი-მეტალურგები აქ წელიწადში 1300 ფუთ რკინას ამზადებდნენ.

რკინის მნიშვნელოვანი საბადოები მოიპოვება სოფ. ფოლადაურის (ბოლნისის რაიონი) და სარკინეთის მიდამოებში, სადაც მადნებს უხსოვარი დროიდან ამუშავებდნენ. ვახუშტი აღნიშნავდა, რომ „სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა". საბჭოთა მეცნიერ-მეტალურგმა აკად. მ. ა. პავლოვმა ბოლნურ რკინის მადნებს ცნობილ შვედურ მადნებზე უფრო მაღალი შეფასება მისცა. ვიდრე 60-იანი წლების დასაწყისში აქ დიდი კაპიტალისტური ქარხანა აიგებოდა, საბადოებს ადგილობრივი გლეხი-მეტალურგები ამუშავებდნენ და ამზადებდნენ რკინის ნაკეთობებს, აგრეთვე ზოდებს 300 ფუთის რაოდენობით.

რკინას ამზადებდნენ როგორც ზემო რაჭაში, ისე ჩვენს მიერ საარქივო წყაროებით გამოვლენილი და ლიტერატურაში დღემდე უცნობი გლეხური სარეწავები ზემო იმერეთში, ქვემო იმერეთში, აფხაზეთში, აჭარაში, ქართლში, სამეგრელოში, კახეთში და სხვაგან. როგორც ირკვევა, ამ სარეწავების მიერ დამზადებული რკინის ნაწილს გლეხები თვით იყენებდნენ სამეურნეო ირაღების სახით, ხოლო ნაწილი — ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდად.

სამწუხაროდ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოქმედი რკინის ყველა სარეწავი ჯერ კიდევ გამოვლენილი არ არის, ხოლო უკვე გამოვლენილ სარეწავებზე იმდენად მცირე და ზოგადი ხასიათის ცნობებია, რომ შეუძლებელია მათი მწარმოებლურობის ზუსტად განსაზღვრა. ამავე დროს, საქართველოში რკინის წარმოების მოცულობის შესახებ არსებული ლიტერატურული ცნობები სერიოზულ ეჭვს იწვევენ.

დიუკრუასის მონაცემებით, ამიერკავკასიაში რკინის წარმოება აღნიშნულ პერიოდში 3000 ფუთით განისაზღვრებოდა. აქედან ბოლნისის სარეწავებისა — 300 ფუთით, ხოლო დაშქესანის — 1300 ფუთით. ამრიგად, დანარჩენი რაოდენობის

რკინა (1400 ფუთი) მზადდებოდა ამიერკავკასიის სხვა, მათ შორის, ზემო რაჭის, მეტალურგიული სარეწავების მიერ.

დიუკრუასი არ მიუთითებს წყაროებს, საიდანაც ეს ცნობები აქვს აღებული. ჩვენი აზრით, იგი სარგებლობდა ინჟ. ლონგინოვის მოხსენებითი ბარათით ან უკანასკნელიდან სათანადო ამონაწერებით, მაგრამ თვით ინჟ. ლონგინოვის მიერ წარმოებული გამოთვლაც არაზუსტია და მცდარი.

როგორც წყაროებით ირკვევა, ინჟ. ლონგინოვს 1807 წელს დაუთვალიერებია ამიერკავკასიაში მოქმედი რკინის ყველა სარეწავი და ამის შემდეგ დეპარტამენტისათვის წარუდგენია ანგარიში, რომელშიც მითითებულია დამოწმებული ციფრები. ისინი მას ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ მიწოდებულ ცნობათა მიხედვით შეუდგენია. ასეთი „სტატისტიკა“ სანდო არ არის, რადგან ის არ ემყარება გაანგარიშების ობიექტურ მაჩვენებლებს (ღუმელების რაოდენობა და სიმძლავრე, გამოდნობილი რკინის ზუსტი რაოდენობა). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადგილობრივმა გლეხებმა ყოველთვის ზუსტად როდი იცოდნენ, თუ ვინ, რამდენ რკინას ადნობდა, აგრეთვე იმას, რომ თითოეული გლეხი-მეტალურგი ხელისუფლების წარმომადგენელს განზრახ უმალავდა თავისი სარეწავის სიმძლავრეს, რათა დიდი გადასახადისათვის თავი აერიდებინა, მაშინ აშკარა გახდება ინჟ. ლონგინოვის ციფრების არასიზუსტეც.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გლეხი-მეტალურგები უამრავ ფულად და ნატურალურ (ლითონით) გადასახადს იხდიდნენ მთავრობისა და მემამულეთა სასარგებლოდ. ამას გარდა, მებატონეებს უფასოდ უმზადებდნენ საშეურნეო იარაღებსაც. ამის შედეგად რუსეთში (გალიცის პროვინციაში) ერთხანს სრულიად მოულოდნელად „გაჰქრა“ გლეხური სარეწავების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ფაქტობრივად, როგორც გამოირკვა, სარეწავების რაოდენობა ამ პროვინციაში არა თუ არ შემცირებულა, არამედ უფრო მეტად გაზრდილა, მაგრამ გლეხებს ისინი აღმრიცხველთათვის მცირე რაოდენობით უჩვენებიათ.

ანალოგიურ მოვლენებს ადგილი ჰქონდა საქართველოშიც. თბილისელი მჭედლები ვალდებულნი იყვნენ მოურავისათვის

მიერთმიათ „ორი კარგი სათიბელი და ერთი კარგი სამურველი“; დაშქესანის ხუთი სოფლის მეტალურგები, ნაირგვარ ვალდებულებათა შესრულების გარდა, ფულსა და რკინასაც აბარებდნენ — 250 მან. ფულად და 500 ფუთ რკინას. ხაზინა ამ რკინას ფუთს 1 მან. 50 კაპ. ჰყიდდა. ოთხი წლის ანგარიშში მათ ჩაუბარებიათ 1000 მანეთი ფულად და 2000 ფუთი რკინა.

ნატურალურ ბეგარას თავიანთ მებატონეებს უხდიდნენ ზემო რაჭის გლეხი მეტალურგებიც. თითოეული მეტალურგოჯახი ვალდებული იყო ყოველწლიურად, სხვა გადასახადების გარდა, ბატონისათვის გაეკეთებინა 6 თოხი და 6 ნიჩაბი. ამ ნიადაგზე მებატონეებსა და გლეხებს შორის ადგილი ჰქონდა სისხლისმღვრელ შეტაკებასაც. გლეხები, დროებითი გამარჯვების მიუხედავად, 60-იან წლებშიც კი მებატონეებს ნატურალურ ბეგარას უხდიდნენ, ხოლო ხაზინას — დამატებით, ფულადსაც. ამის შედეგად რკინის წარმოება აქ „შემცირდა“, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ფარული სახე მიიღო.

ასეთი მძიმე ექსპლოატაციისა და ძარცვის გამო როგორც რაჭის, ისე სხვა კუთხის გლეხები მალავდნენ არა მარტო მოქმედ სარეწავებს, არამედ თვით საბადოებსაც. მაგალითად, ინჟ. გორდეევი სამთო სამმართველოს აცნობებდა: „თუშები უნდობლად მომეპყრნენ, ისინი თავიანთ მიწაწყალზე დაუნჯებულ მინერალებს მალავენო“. თუშებს ერთ-ერთი წოლხვრელი ქვებით ამოუვსიათ, რათა ვინმეს მადნის ნიმუში თბილისში სამთო სამმართველოსათვის არ ჩაეტანა. ამავე დროს გამოირკვა, რომ თუშები საბადოებს ჯერ კიდევ ერეკლეს დროიდან ამუშავებდნენ, პროდუქციას მთიელებსა და იქ მისულ სომეხ ვაჭრებზე ჰყიდდნენ.

გერმანელი მკვლევარი კოხი, რომელსაც რაჭის სარეწავები დაუთვალიერებია, წერდა: „ყველგან ვხედავდი და აშკარად ჩანდა რკინის დამუშავების კვალი... (მაგრამ) მაინც მიმალავდნენ“. ამავე მოვლენას აღნიშნავდა მეორე მკვლევარი — პეტცოლდტი.

უეჭველია, ბოლნისისა და დაშქესანის გლეხი-მეტალურგებიც ასევე უნდობლად მოეპყრნენ ინჟ. ლონგინოვს, როდესაც ის გადასახადებით დაშინებული გლეხების საშუალებით ცდი-

ლობდა სარეწავების მწარმოებლურობის დადგენას. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს საქართველოს უმაღლესი მთავრობის სახაზინო ექსპედიციის სხდომის ოქმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაშქესანში დაკითხულმა გლეხებმა ჩინოვნიკს განუმარტეს: „ჩვენ არ ვიცით, რამდენ რკინას ვამზადებთ, რადგან უცოდინარობის გამო აღრიცხვას არ ვაწარმოებთ და ეს არც ვისმეს დაუვალებია. **დაბეგვრამდე უფრო მეტ რკინას ვაწარმოებდით,** თუმცა ახლაც საქონლის ნალებს იმდენსავე ვაკეთებთო“. ასეთივე ჩვენება მიუციათ სოფ. ბაიანის მცხოვრებთ.

ინჟ. ლონგინოვის ცნობა ბოლნისის რკინის წარმოების შესახებაც არასანდო წყაროებზეა დამყარებული. საგულისხმოა, რომ ინჟ. ლონგინოვი თვითვე დაეჭვებულა საკუთარ გაანგარიშებაში და იქვე შენიშნავდა: „გამოდნობილი რკინის რაოდენობის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელი გახდა“.

დაშქესანის მეტალურგებს სწორედ 1807 წელს ხაზინისათვის ჩაუბარებიათ 495 ფუთი რკინა. თუ ინჟ. ლონგინოვის ანგარიში სწორია, მაშინ გამოდის, რომ ჩაუბარებიათ წლიური პროდუქციის თითქმის მესამედი. მეტალურგებისათვის ბეგარის ასეთი ნორმა მთელს იმპერიაში არსად არ იყო დაწესებული, განსაკუთრებით, გასული საუკუნის დასაწყისში. წყაროებში მითითებული არ არის, თუ წლიური პროდუქციის რა ნაწილს შეადგენდა ლითონის აღნიშნული რაოდენობა. რუსეთში მოქმედი სამთო წესების 563-ე მუხლით, მეტალურგები ვალდებულნი იყვნენ გამოდნობილი ლითონის მეათედი („დესიატინა“) ხაზინისათვის ჩაებარებინათ. ეს კანონი გავრცელებული იყო ამიერკავკასიაშიც. რუსეთში მოქმედი სამთო წესდება მსოფლიოში ყველაზე ჩამორჩენილ წესდებას წარმოადგენდა. იგი აფერხებდა მეტალურგიის განვითარებას. ის მხოლოდ 1857 წელს იქნა გადასინჯული, მაგრამ ახალი წესდება, რომელიც ნატურალური ბეგარის შემცირებას ითვალისწინებდა, დიდხანს განუხორციელებელი დარჩა.

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ რკინის წარმოება ამიერკავკასიაში რამდენჯერმე მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამას ინჟ. ლონგინოვი ანგარიშობდა.

ზემო რაჭის მეტალურგთა წლიური გამომუშავების შესახებ ლიტერატურაში და საარქივო წყაროებშიც ნაირგვარი მითითება არსებობს. ცალკეული მონაცემები (უმთავრესად სადნობი ქურების რაოდენობა) გვავარაუდებინებს, რომ ამ კუთხეშიც რკინას უფრო მეტს ამზადებდნენ, ვიდრე ამის შესახებ საამთო სამმართველო თავის ანგარიშებში აღნიშნავდა. ზემო რაჭის სარეწავების ოფიციალური მიმომხილველი აღნიშნავდა, რომ აქ დამზადებული რკინა რაჭისა და შორაპნის მაზრების მოთხოვნილებას აკმაყოფილებსო. მაგრამ დადგენილია, რომ ზემო რაჭის პროდუქცია ვრცელდებოდა საქართველოს სხვა რაიონებშიც (კახეთი, ქართლი, იმერეთი) და ჩრდილოეთ კავკასიაშიც კი. ამიტომ რკინის იმ რაოდენობას (20 — 60 ფუთი), რომელსაც ოფიციალურ ანგარიშებში მიუთითებენ, არ შეეძლო ამდენი რაიონის მოსახლეობის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ზემო რაჭის სარეწავებს წელიწადში არა ნაკლები 500—600 ფუთის რაოდენობის რკინა უნდა ეწარმოებინათ. ამ ვარაუდის საფუძველია: სადნობი დანადგარების რაოდენობა და მოცულობა, თითოეული მათგანის საშუალო წლიური მწარმოებლურობა.

ადგილობრივი სარეწავების პროდუქციის მეტი ნაწილი ბაზრისათვის მზადდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან მტკიცდება, რომ საქართველოში და მთლად ამიერკავკასიაში რკინა უფრო მეტი მზადდებოდა, ვიდრე ამას დიუკრუასი მიუთითებდა. მაშასადამე, საქართველოში სავაჭრო ურთიერთობაში იმყოფებოდა არა მხოლოდ გარედან შემოტანილი რკინა, როგორც ბურნაშევი წერდა, არამედ ადგილობრივიც.

მაგრამ, როგორც არ უნდა გავაზვიადოთ რკინის ადგილობრივი წარმოების სიმძლავრე, ის იმდენად მცირეა, რომ არ შეეძლო ლითონზე მზარდი მოთხოვნილების მინიმალურადაც დაკმაყოფილება. ამიტომ XIX საუკუნის დამდეგიდან რკინის შემოზიდვა სხვა ქვეყნებიდან, უპირატესად რუსეთიდან, სისტემატურად იზრდებოდა.

გასული საუკუნის პირველ მეოთხედში მნიშვნელოვნად გაიზარდა მეტალურგიული პროდუქციის შემოტანა: რკინის, ფოლადის, თუჯის, კალის, თოფ-იარაღის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, საქარხნო ხელსაწყო-ინსტრუმენტების, დანადგარების, საყოფაცხოვრებო საგნების — დანა-ჩანგლებისაც კი და სხვ.

საქართველოში შავი ზღვის გზით შემოდიოდა ევროპის ლითონური ნაწარმიც. ლითონი ჩვენში შემოდიოდა აგრეთვე ირანიდან, თურქეთიდან და ინდოეთიდან. მაგრამ როგორც ევროპიდან, ისე ამ ქვეყნებიდან შემოტანილი ლითონი ძალზე მცირე იყო.

ამრიგად, ამიერკავკასია მთლიანად უმთავრესად რუსეთიდან შემოტანილი ლითონით მარაგდებოდა.

მეფის მთავრობამ დასავლეთ საქართველო სატრამპლინო ბაზად გადააქცია. ირან-თურქეთში გასაგზავნად ხელისუფლებას ტაგანროგიდან აქ დიდი რაოდენობით შემოჰქონდა რკინა.

აღნიშნულ ქვეყნებში ინგლისური ლითონი ჯერ კიდევ ბატონობდა და ამიტომ სატრანზიტო ლითონის ნაწილი ამიერკავკასიაში იხარჯებოდა, უმთავრესად სამხედრო უწყებათა მიერ უფრო იმიტომ, რომ ლითონი ძვირად ფასობდა, ხოლო მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი მეტად დაბალი იყო.

სპილენძი, რკინა, თითბერი და სხვა ლითონები დიდი რაოდენობით იყიდებოდა საქართველოს შინაურ ბაზარზე. წარმოიშვა სპეციალური მაღაზიები, ლითონით ვაჭრობის მონოპოლიები და მოიჯარადრენი.

რუსეთიდან აღმოსავლეთის ქვეყნებსა და საქართველოში რკინის ექსპორტი თანდათანობით იზრდებოდა. 1812 — 1821 წლებში გატანილ იქნა დაახლოებით 7,5 მილ. მანეთის (ასიგნაციით) მეტალურგიული პროდუქცია, შეღავათიანი ტრანზიტის წლებში (1822 — 1831) გადატანილი იქნა დაახლოებით 11 მილიონი მანეთის მეტალურგიული პროდუქცია, რომლის ნაწილი ამიერკავკასიაშივე იხმარებოდა.

რუსეთიდან შემოტანილი რკინა თითქმის ორჯერ მეტად ძვირად ფასობდა. 30-იანი წლების დასაწყისში ფუთი რუსული რკინა ასტრახანში ღირდა 1,5 მანეთი, ხოლო თბილისში იგივე

რკინა 3 მანეთი. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი რკინა ორჯერ იაფი იყო, მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებდა რუსულ რკინას, როგორც უკეთეს ხარისხისას და მას იძენდა.

40-იანი წლებიდან საქართველოს საშინაო ბაზარზე საზღვარგარეთიდან ყოველწლიურად 2 მილიონი მანეთის საქონელი შემოდიოდა. იმპორტული საქონლის საგრძნობ ნაწილს ლითონი შეადგენდა, რომლის ნაწილს იძენდნენ ადგილობრივი ვაჭრები და მას სოფლებში ჰყიდდნენ, ხოლო ნაწილს — სამხედრო უწყებები. 50-იან წლებში, რადგან მანქანათმშენებლობა განვითარებული არ იყო, საზღვარგარეთიდან ლითონს გარდა შეიოდიოდა ლითონის დაზგები, დანადგარები და ხელსაწყოები. ბარონ ნიკოლაის ცნობით, ამავე პერიოდში ევროპიდან შემოტანილ იქნა დიდი რაოდენობით ლითონი და მისი ნაკეთობანი.

1863 წელს საზღვარგარეთიდან ქუთაისის გუბერნიაში შემოზიდეს ამიერკავკასიისათვის 15 547 მანეთად ღირებული 203 მანქანა და 37 611 მანეთად ღირებული ლითონური საგნები 9 236 ფუთის რაოდენობით.

ძიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთიდან ლითონის შემოტანა გაიზარდა, იგი მაინც მცირე რაოდენობისა იყო, ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა და მას არ შეეძლო გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა საქართველოს სახალხო მეურნეობაზე.

ამიტომ ლითონით ამიერკავკასიის მთავარ მომმარაგებელს კვლავ რუსეთის მეტალურგიული მრეწველობა წარმოადგენდა. რუსულმა ლითონმა ჩვენში თანდათანობით გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია.

40-იანი წლებიდან საქართველოში ლითონის ხარჯვა გაიზარდა. რუსეთის ვაჭრების მიერ შემოტანილი რკინა ვერ აკმაყოფილებდა არა მარტო მოსახლეობის, არამედ სამხედრო უწყებათა მოთხოვნილებასაც. ამიტომ ის რუსეთიდან თბილისელ ვაჭრებსაც შემოჰქონდათ. ასე, მაგალითად, 1847 წელს გ. ორბელიანი თემირხანშურიდან ილია ორბელიანს სწერდა: „სადაც ფულის საქმე იქმნება ჩემი, იქ უთუოდ უნდა დაბრკოლება აღმოჩნდეს. ასტრახანში რკინისათვის გავგზავნე ასი თუმანი. ქარიშხალსა გემი გაუგდია ყიზლარის იქით, სად-

ღაც უდაბურს ადგილსა... თამამშოვის გემი... ქარმა ატარა, ატარა და სწორედ პეტროვსკში მოიყვანა“ [29/162 — 163].

ასტრახანიდან ლითონის გადმოზიდვა ძალზე ძვირი ჯდებოდა, მაგრამ უფრო იაფი, ვიდრე თბილისელი ვაჭრებისაგან ნაყიდი. მაგალითად, 1852 წელს ერთი და იმავე ხარისხის ერთი ფუთი რკინა ბაქოში ღირდა 1,46 მანეთი, ხოლო თბილისში — 2,97 მანეთი; ფუთი რუსული ფოლადი ღირდა ბაქოში — 2,35 მანეთი, თბილისში — 4,16 მანეთი; ფუთი საქვაბე რუსული რკინა თბილისში 6 მანეთად იყიდებოდა, დაშქესანის ადგილობრივი რკინა — 1,5 მან.

რკინა-ფოლადის სიმცირე და მისი სიძვირე სახელმწიფო უწყებებს აიძულებდა, რათა ლითონის ნაწარმი უშუალოდ ურალიდან ან ასტრახანიდან შემოეტანათ. გ. ორბელიანი უკვე მოხსენიებულ წერილში აღნიშნავდა: „მე შევიტყე, რომ რკინა ასტრახანში იაფად ისყიდება, გავგზავნე ასი თუმანი“.

40-იანი წლების მეორე ნახევარში (1848 წ.) თბილისში შენდებოდა გაზის, ხოლო ალაგირში (ჩრდ. კავკასია) ტყვიათუთიის ქარხანა. ამასთან დაკავშირებით, მეფისნაცვალმა მ. ს. ვორონცოვმა ფინანსთა მინისტრს სთხოვა, რათა მშენებლობისათვის საჭირო ლითონი 1000 ფუთის რაოდენობით (აქედან თბილისისათვის 362 ფუთი რკინა-ფოლადი) უშუალოდ ურალიდან გამოეგზავნათ. აქვე ის მინისტრის ყურადღებას მიაპყრობდა იმ გარემოებაზე, რომ ლითონის შეძენა კერძო ვაჭრებისაგან ხელსაყრელი არაა და, რაც მთავარია, ერთბაშად დიდი რაოდენობით ყიდვა ლითონს უფრო გააძვირებსო.

საშინაო და საგარეო ვაჭრობაში რკინის მოცულობა რამდენადმე გაფართოვდა, რამაც ხელი შეუწყო სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას. მაგრამ როგორც ადგილობრივ დამზადებული, ისე რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი რკინა, ფოლადი და თუჯი ძალზე მცირე იყო.

რკინის წარმოებისა და მისი სულობრივი მოხმარების რაოდენობის მხრივ რუსეთიც ჩამორჩებოდა. თუ 1851 წელს რკინის სულობრივი მოხმარების ოდენობა 14 გირვანქით განი-

საზღვრებოდა[1], რეფორმის შემდეგ იგი ერთიბუთად გაიზარდა და 1911 წლისათვის უკვე 1,5 ფუთს (25 კგრ) შეადგენდა. სოფლად მცხოვრებთა ერთ სულზე 1/4 ფუთი რკინა იხარჯებოდა[2].

რკინის სულობრივი მოხმარების ოდენობის ასეთი ზრდის მიუხედავად, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რკინის მოხმარების მიხედვით „რუსეთი რჩება წარმოუდგენლად, გაუგონრად ჩამორჩენილ, ღატაკ და ნახევრად ველურ ქვეყნად“.[3]

რეფორმამდელი საქართველო ამ მხრივ რუსეთზე უფრო მეტად ჩამორჩებოდა.

50-იანი წლების დასაწყისში რუსეთიდან ამიერკავკასიაში 168 ათასი ფუთის რაოდენობით რკინა და მისი ნაკეთობა შემოიტანეს. აქედან — 100 ათასი ფუთი ასტრახანი-ბაქოს (კასპიის ზღვა) გზით, 20 ათასი ფუთი — დარიალის ხეობით, 20 ათასი ფუთი — ასტრახანიდან მიდიოდა დერბენდისა და აზერბაიჯანის ზოგიერთ ნავსადგურებში, ხოლო 28 ათასი ფუთი — დონის როსტოვიდან შავი ზღვით რედუტკალეში (ყულევში). ოფიციალური მიმომხილველის ცნობით, სამხრეთ რუსეთიდან ყულევში ყოველწლიურად შემოჰქონდათ რკინა და მისი ნაკეთობანი 30 ათასი ფუთის რაოდენობით. აქედან: ზოლოვანი — 2500 ფუთი, მრგვალი და ფურცვლოვანი — 1000 ფუთი, ხოლო ნაკეთობის სახით — 2500 ფუთი.

ბაქოში შემოტანილი რკინიდან 30 ათასი ფუთი ირან-თურქეთში მიდიოდა, ხოლო დანარჩენი ამიერკავკასიაში იხარჯებოდა. ზოგიერთი მკვლევარის მონაცემებით, ბაქოში ამ დროს რკინა მხოლოდ 3000 ფუთის რაოდენობით მოიხმარებოდა. ჩვენის აზრით, ეს ცნობა სწორი არ უნდა იყოს, რადგან ამ პერიოდში ბაქოს ნავთობის მრეწველობა უკვე შესამჩნევად ფართოვდებოდა და რკინის ეს რაოდენობა მარტო ამ დარგსაც კი ვერ დააკმაყოფილებდა.

ყულევსა და ფოთში შემოტანილი რკინა ნაწილდებოდა სამეგრელოზე, იმერეთსა და გურიაზე, ხოლო 3/4 რკინის ნა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 585 — 586.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 342.

[3] ი ბ ე ვ.

კეთობისა (და არა ფოთი-ყულევში შემოტანილი რკინის მთელი რაოდენობისა, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ) იგზავნებოდა ახალციხეში. აქედან ეს ლითონი, აგრეთვე ადგილობრივი ოსტატების მიერ დამზადებული ლითონური ნაკეთობანი, გასაყიდად თურქეთში მიჰქონდათ.

მაშასადამე, რუსეთიდან ამიერკავკასიაში შემოტანილი რკინიდან დაახლოებით 55 ათასი ფუთი ამიერკავკასიის ფარგლებს გარეთ მიდიოდა, ხოლო 4/5 ამიერკავკასიაში მოიხმარებოდა, აქედან ნაწილი საქართველოში. მაგრამ სახელდობრ რა რაოდენობის ლითონი რჩებოდა საკუთრივ საქართველოში, ზუსტად არ ვიცით და იგი შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ თბილისში შემოტანილი შავი ლითონის ნაწილი უთუოდ აზერბაიჯანის რაიონებსა და სომხეთშიც გადიოდა. ლითონის ძირითადი მომხმარებელი ამიერკავკასიაში იყო სამხედრო უწყება, რომლის სახელოსნოთა მიერ დამუშავებული პროდუქცია სახალხო მეურნეობაში უშუალოდ არ მონაწილეობდა. ნაწილი ლითონისა მთიანეთშიც მიდიოდა. ამრიგად, ამიერკავკასიის მოსახლეობას შეეძლო დაეხარჯა შემოტანილი ლითონიდან არა 133 — 135 ათასი ფუთის რაოდენობით, არამედ გაცილებით ნაკლები, ხოლო საქართველოს მოსახლეობას — უფრო მცირე.

ვითვალისწინებთ რა იმას, რომ თბილისი — მთელი ამიერკავკასიის ვაჭრობისა და ხელოსნობის ცენტრი — ამ დროს ყოველწლიურად ხარჯავდა რუსეთიდან შემოტანილ ლითონს 35 000 ფუთის რაოდენობით, აგრეთვე იმას, რომ საქართველოში გაფართოვდა ლითონდამუშავება და ნელნელა ვითარდებოდა მრეწველობაც, ვვარაუდობთ, რომ შემოტანილი ლითონიდან საქართველოს მოსახლეობისათვის შესაძლებელია გამოყოფილიყო არა უმეტეს 40—50 ათასი ფუთი. ამას უნდა დაემატოს ლითონის ის რაოდენობა (დაახლოებით 10 — 15 ათასი ფუთი), რომელიც საზღვარგარეთიდან პერიოდულად შემოდიოდა და აგრეთვე ადგილზე მზადდებოდა. მაშასადამე, სულ ლითონის წლიური ხარჯი საქართველოში უნდა

ყოფილიყო მაქსიმალურად 60 — 70 ათასი ფუთის ფარგლებში.

პირობითად შეიძლება დავუშვათ, რომ რუსეთიდან შემოტანილი ლითონი 135 ათასი ფუთის რაოდენობით, აგრეთვე 3000 ფუთი რკინა, რომელიც ამიერკავკასიაში მზადდებოდა (უკანასკნელი რიცხვის არასიზუსტის შესახებ ზევით უკვე აღინიშნა), მთლიანად მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას ხმარდებოდა.

თუ ლითონის აღნიშნულ რაოდენობას მოსახლეობის რიცხვზე გავყოფთ, მივიღებთ, რომ ლითონის სულობრივი მოხმარება ჩვენში საშუალო წლიურად განისაზღვრებოდა 2,3 კილოგრამით, ანუ 5,6 ვირვანქით. ამრიგად, საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე რკინის მოხმარება რუსეთთან შედარებით 2,7 კილოგრამით ნაკლები იყო.

1865 წლისათვის სოფლის მოსახლეობა დაახლოებით 868 000 სულით განისაზღვრებოდა. თუ დავუშვებთ, რომ რუსეთიდან შემოტანილი ლითონის საერთო რაოდენობა მთლად სოფელს ხმარდებოდა, მაშინ მივიღებთ, რომ სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე იხარჯებოდა 2,4 კილოგრამი, ანუ 5,9 გირვანქა ლითონი.

მაგრამ, როგორც აღინიშნა, რუსეთიდან ამიერკავკასიაში შემოტანილი ლითონის მხოლოდ ნაწილი იხარჯებოდა საქართველოში და ისიც უმთავრესად სამხედრო უწყებათა მიერ. ამიტომ ჩვენს მიერ გამოთვლილი ლითონის სულობრივი მოხმარების ოდენობა (5,6 — 5,9 გირვანქა) სინამდვილეში ნახევრად მაინც შემცირებული სახით უნდა წარმოვიდგინოთ.

მაშასადამე, რეფორმამდელ საქართველოს მოსახლეობის ერთ სულზე ლითონის ხარჯი რამდენჯერმე უფრო მცირე იყო, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა რუსეთში 1911 წელს. ამიტომ, თუ საგლეხო რეფორმიდან 50 წლით დაშორებულ და უკვე დაწინაურებულ რუსეთზე ვ. ი. ლენინი მაინც მიუთითებდა, რომ „რკინის მხრივ რუსეთის ჩამორჩენილობა და ველურობა განსაკუთრებით დიდია“[1], მაშინ აშკარაა, თუ განვითარების რამდენად დაბალ დონეზე იმყოფებოდა ფეოდალურ-ბატონ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 363.

ყმური ურთიერთობის პირობებში მყოფი საქართველო, სადაც ლითონის მოხმარება უფრო მცირე იყო.

დ. სამთამადნომეტალურგიული საწარმოები

რეფორმამდელი საქართველო უფრო მეტად ჩამორჩებოდა შავი ლითონების (რკინა, თუჯი, ფოლადი) გამოდნობის საქმეში. წარმოების საშუალებათა წარმოებისათვის აუცილებელი ლითონების წარმოება საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რეფორმის წინა წლებში აგებულ ფოლადაურის ქარხანასა და რკინის აქა-იქ არსებულ წვრილგლეხურ სარეწავებს, რომელთა მწარმოებლურობა ძალზე უმნიშვნელო იყო.

40-იანი წლებიდან როგორც რუსეთისა და საზღვარგარეთის სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალიზმის, ისე, განსაკუთრებით, რუსეთის ტექნიკური ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელთა მხრით, არაერთგზის დაისვა საკითხი ამიერკავკასიაში შავი მეტალურგიის ბაზის შექმნაზე, მაგრამ ეს კეთილმყოფელი თაოსნობა დიდხანს განუხორციელებელი დარჩა. მხოლოდ ყირიმის ომის შედეგად შექმნილმა ვითარებამ დააჩქარა ჩვენში რკინა-თუჯის წარმოების პრაქტიკულად განხორციელება.

მანამდე საქართველოში ძირითადად ფერადი ლითონების (სპილენძის, ვერცხლისა და ტყვიის) მეტალურგიული მრეწველობა არსებობდა. იმდროინდელი საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილება ხელს უშლიდა ამ დარგის ფართო განვითარებას. ადგილობრივი სავაჭრო კაპიტალი სუსტად იყო დაკავშირებული მეტალურგიულ მრეწველობასთან, ხოლო რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალმა, რომლის გავლენა ამიერკავკასიაში განუწყვეტლივ ფართოვდებოდა, ვერ შეძლო სამთამადნომეტალურგიულ მრეწველობაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოეხდინა. 40-იანი წლებიდან უცხოური კაპიტალი ჩვენში თუმცა რამდენადმე გაძლიერდა, მაგრამ ისიც აქ ფეულადი სახსრების დაბანდებას გაურბოდა.

ამიტომ რეფორმამდელი საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა თითქმის მთლიანად ეკონომიურად და ტექნიკურად ჩამორჩენილ ბერძენ მრეწველთა ხელში იმყოფებოდა, რის გამოც ეს დარგი არათანაბარი აღმავლობით ვითარდებოდა და საერთოდ კი — ჩამორჩებოდა. მისი ძირითადი პროდუქცია — სპილენძი უპირატესად საყოფაცხოვრებო ჭურჭლეულობის წარმოებისათვის, ხოლო ნაწილი სამხედრო დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა.

მრეწველობის აღნიშნულმა დარგმაც, მისი ჩამორჩენილობის მიუხედავად, საერთო განვითარების შედეგად, 30-იანი წლებიდან ერთგვარი ცვლილებანი განიცადა უპირველეს ყოვლისა შრომის ორგანიზაციისა და წარმოების ტექნიკის მხრით. 40-იანი წლებიდან სპილენძის საწარმოებშიც უფრო აშკარად შეიმჩნევა წარმოების კაპიტალისტური წესების თანდათანობით გაფართოების პროცესი.

მრეწველობის როგორც სხვა დარგების, ისე მეტალურგიის განვითარება და მისი ტექნიკური პროგრესი ყოველთვის ქვეყნის თავდაცვისა და არმიის ტექნიკური გადაიარაღების ამოცანებთან იყო დაკავშირებული.

მართალია, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან როგორც ევროპის, ისე რუსეთის არმიათა შეიარაღებაში სპილენძის ზარბაზნის ნაცვლად ფოლადისაგან ჩამოსხმული და დაღარული ზარბაზნები, აგრეთვე თოფები წარმოიშვა[1], მაგრამ სპილენძმა სამხედრო საჭურველის წარმოებაში თავისი მნიშვნელობა მაინც შეინარჩუნა. ამიტომ მეფის მთავრობა 30-იანი წლების შემდეგაც დაინტერესებული იყო საქართველოში სპილენძის მეტალურგიის განვითარებით.

მაგრამ ბერძნების მიერ გამოდნობილი სპილენძი დაბალხარისხოვანი და ძვირი იყო. ამიტომ სამხედრო უწყებათა მიერ ის მეტად მცირე რაოდენობით იხარჯებოდა. სპილენძი გამოიყენებოდა ზარაფხანაში (1834 წლამდე), ან სამხედრო უწყებისათვის საჭირო პურზე გასაცვლელად, ნაწილი ირანში, ხო-

---

[1] Ф. Энгельс, Статьи и письма по военным вопросам. М., 1924, გვ. 284.

ლო ნაწილი ადგილობრივ ხულოსან-შინამრეწველთა მრერ ჭურჭლეულის დასამზადებლად.

ცარიზმი ადრევე მიისწრაფოდა, რათა საქართველოს ბუ-ნებრივი სიმდიდრენი ხაზინის შემოსავლის გადიდებისათვის გამოეყენებინა. 40-იან წლებამდე ახალი საბადოების გამოვლ-ენასა და შესწავლას მთლიანად საქართველოს სამთო ექსპედი-ცია-სამმართველო აწარმოებდა. მან გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ ბევრი საბადო გამოუვლინებელი დარჩა. ამი-ტომ მთავრობა იძულებული გახდა, მოსახლეობის დაინტერე-სების მიზნით, საგანგებო ფულადი ჯილდოები და მთელი რი-გი პრივილეგიები დაეწესებინა. საბადოთა გამოვლენას უშუა-ლოდ ხელმძღვანელობდნენ სამხედრო და სამოქალაქო გუბერ-ნატორები, ხოლო ხშირად მთავარმართებლის კანცელარიას-თან არსებული სპეციალური სამმართველო, რომელთა პირდა-პირი დავალებით სამთო სამმართველო საქართველოს სხვადა-სხვა რაიონებში განსაკუთრებულ გეოლოგიურ პარტიებს აგ-ზავნიდა.

ფინანსთა მინისტრის კანკრინის ადრინდელი მითითების სა-ფუძველზე დაიწყო შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ტერიტორიის, განსაკუთრებით კი სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის შესწავლა იქაური მინერალების, მათ შორის ძვირფასი ლითონების გამოყენების მიზნით. ამ დავალების შესასრულებ-ლად ადგილობრივ ხელისუფლებას სპეციალური თანხებიც ეძლეოდა [118].

მთავრობის მხრით დაწესებულ წამახალისებელ ღონისძიე-ბათა შედეგად ამოძრავდა მოსახლეობის ფართო წრეებიც. და-მახასიათებელია, რომ საბადოების ძებნას ხელი მოკიდეს არა მარტო სპეციალისტებმა, სახელმწიფო მოხელეებმა, ვაჭრებმა, მღვდელმა თუ ბერმა, არამედ შორეულ ფშავ-ხევსურეთის გლეხებმაც კი. ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ალავერდის ქარხნის მუშებმა, რომლებმაც ინჟ. ვოსკობოინი-კოვის ხელმძღვანელობით კაზახში აღმოაჩინეს სპილენძის ახა-ლი საბადო და 2000 ფუთის რაოდენობით მადანი ალავერდის ქარხანაში გადაიტანეს საცდელი დნობისათვის.

ახლად გამოვლენილი საარქივო მასალით, ანალოგიურ მოვ-

ლენებს ადგილი ჰქონდა ქართლ-კახეთში, იმერეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმში, გურიაში, სვანეთში, აფხაზეთში, სამხრეთ-ოსეთსა და სხვაგან.

მადნეულობის მასობრივად ძებნის შედეგად გამოვლინდა მრავალი, მანამდე უცნობი საბადო: რკინა, სპილენძი, ტყვია-ვერცხლი, ოქრო, ქვანახშირი, ნავთობი და სხვ., რომელთა ნაწილის დამუშავება ჯერ კიდევ ერეკლე მეორის დროს წარმოებდა. ამ საბადოებიდან, გამოვლენისთანავე, დაიწყო მეტნაკლები მასშტაბით სპილენძის, თუთიის, ტყვიის, ვერცხლისა და ნავთობის ექსპლოატაცია.

40-იანი წლებიდან საფუძველი ჩაეყარა ამიერკავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეთა სისტემატურ და მეცნიერულ შესწავლას, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო მეტროპოლიისათვის ამიერკავკასიის სიმდიდრეთა გამოყენება. ამ მიზნით სამთო დეპარტამენტმა კავკასიაში მოავლინა სწავლული-გეოლოგი შემდგომში რუსეთის აკადემიის წევრი, პროფ. აბიხი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს მინერალოგიური რესურსების დეტალური შესწავლა.

აკად. აბიხი ეკუთვნოდა რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც გულწრფელად მოწადინებული იყო ჩვენი ქვეყნის დაწინაურებით. ამიტომ 40-იან წლებში ის პრაქტიკულად ცდილობდა საფუძველი ჩაეყარა ჩვენში ტექნიკური მრეწველობის, კერძოდ, მეტალურგიისა და სხვა ახალი დარგებისათვის.

ამავე მიმართულებით იღწვოდენ რუსეთის ტექნიკური ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ივანიცკი, ვოსკობოინიკოვი, კარპინსკი, კომაროვი, ვალბერგი, ეიხფელდი და მრავალი სხვა, რომლებმაც ობიექტურად პროგრესული როლი შეასრულეს საქართველოს მეტალურგიის განვითარებაში.

ახალი საბადოების გამოვლენამ ხელი შეუწყო ამიერკავკასიაში არსებული მეტალურგიული ქარხნების მწარმოებლურობის ზრდას, ახალი ქარხნებისა და დიდი თუ პატარა სარეწავების წარმოშობას.

საქართველოში სპილენძის წარმოების ერთ-ერთ მსხვილ მეტალურგიულ საწარმოდ ალავერდის ქარხანა ითვლებოდა.

ქარხნის მრეწველთა შორის სისტემატურმა უთანხმოებამ (პრიმიტიულმა კონკურენციამ), საბთო სამმართველოს ტექნიკურ მითითებებისადმი ბერძენთა მხრით აშკარა საბოტაჟმა, მუშათა რაოდენობის სიმცირემ, აგრეთვე ძირითადი ტექნოლოგიური ოპერაციის (დნობის) მოუწესრიგებლობამ განაპირობა ქარხნის არათანაბარი მწარმოებლურობა. ასე, მაგალითად, ალავერდის და შამბლუღის ქარხნებმა ერთად 1847 წელს გამოადნეს სულ 5400 ფუთი სპილენძი. 1848 წელს მარტო ალავერდის ქარხანამ გამოიმუშავა 6006 მანეთის პროდუქცია ანუ 546 ფუთი სპილენძი, ხოლო 1849 წელს — უკვე 7475 ფუთი [117].

40-იანი წლების დასაწყისიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მეტალურგიულ მრეწველობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა კერძო მეწარმეთა თაოსნობა. ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს იაკობ როზოვისა და მარიამ აფხაზის მეტალურგიული წარმოება.

საბაჟოს მოხელემ, იაკობ როზოვმა, ჯერ 1843 წელს ქ. შუშას მახლობლად მდებარე სოფ. „მჭედელთა ოჯახში" საკუთარი სახსრებით მოაწყო სპილენძის პატარა სარეწავი, ხოლო 1844 წელს მანვე განიზრახა ფირდოუდანში საცდელი წარმოების მოწყობა. ფირდოუდანის საბადოები აკად. აბიხმა დაათვალიერა და დადებითი დასკვნა მისცა. ამის საფუძველზე როზოვმა სოფ. კარდანახიდან (კახეთი) წასულ ვინმე მარიამ აფხაზთან ერთად აგარაკსა და ფირდოუდანში ააგო სპილენძის სადნობი ქარხნები. ამისათვის მათ სპარსეთიდან ჩამოიყვანეს ოსტატები, ხოლო საჭირო მუშები ადგილზე დაიქირავეს. კომპანიონებმა ორი ღუმელით გამოადნეს 995 ფუთი სპილენძი, რომელიც ფუთი 9—11 მანეთად ქ. შუშასა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებში გაყიდეს. მომდევნო წელს მათმა ქარხნებმა გამოიმუშავეს 22 030 მანეთის პროდუქცია (2203 ფუთი სპილენძი). 1848 წელს ქარხნებმა 10 915 მანეთის პროდუქცია ანუ 1229 ფუთი სასაქონლო სპილენძი გამოიმუშავეს. 1849 წლიდან, როზოვის სიკვდილის შემდეგ, მის მემკვიდრეს გაუჭირდა თავისუფალი მუშების დაქირავება და წარმოება ხაზინის მფლობელობაში გადავიდა. ქარხნებში გამოიყენებოდა რამდენიმე ასეული დაქირავებული ოსტატი და მუშა [118].

40-იანი წლებიდან ზოგიერთმა გაკოტრების გზაზე დამდგარმა მემამულემ ხელი მოკიდა საკუთარ თუ სხვის მამულში საბადოების იჯარით დამუშავებას და მიღებული პროდუქციის (სპილენძის) ბაზარზე გაყიდვას. ამის შედეგად აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, „მსხვილ“ პოსესიურ და კერძო „ქარხნებს“ გარდა, წარმოიშვნენ კერძო პირთა წვრილი სასაქონლო მეტალურგიული სარეწავები, სადაც ძირითადად დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა.

როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, სოფ. ჭრიორაში (ბორჩალოს მაზრა) ჯამბაკურ-ორბელიანის მამულში 1848 წლიდან არსებობდა სპილენძის სარეწავი, რაც ლიტერატურაში აღნიშნული არ არის. აქ საბადოს ამუშავებდნენ დაქირავებული ბერძნები, რომელნიც ყოველწლიურად რამდენიმე ასეულ ფუთ სპილენძს ადნობდნენ.

სამთო სამმართველოს ინჟ. შჩადრინის პატაკიდან ირკვევა, რომ ამავე სოფელში გენერალ-მაიორ მამუკა ორბელიანის მამულში 40-იან წლებში მოქმედებდა პატარა „ქარხანა“ (სარეწავი) მცირეტევადიანი ღუმელითა და ხელისსაბერველით. იგი წელიწადში 1000 ფუთამდე სპილენძს ადნობდა და 40—50 ფუთ სუფთა სპილენძს ღებულობდა.

საარქივო ცნობებით, ამავე პერიოდში აფხაზეთში მთა ახიზდა-აკარახასა და სოფ. წებელდას შორის სპილენძის საბადოს დასამუშავებლად ადგილობრივი მემამულენი დაქირავების წესით იყენებდნენ ლუკმა პურისათვის გადმოხვეწილ ბერძნებს.

ლიტერატურაში დღემდე უცნობი ამ სახის წვრილი სარეწავები საქართველოს სხვა რაიონებშიც არსებობდა და ისინი ძირითადად სასაქონლო პროდუქციას ამზადებდნენ. საარქივო წყაროების მიხედვით, მათი რიცხვი ორ ათეულს აღემატებოდა. სამწუხაროდ, სადღეისოდ ვერ ხერხდება მათი მწარმოებლურობისა და ხასიათის ზუსტად დადგენა.

აღნიშნულ წვრილ სარეწავებს გარდა, მსხვილი მეტალურგიული ქარხნების მიდამოებში როგორც 40-იან, ისე შემდგომ წლებშიც, უხვად იყო მიმოფანტული წვრილი სასაქონლო სარეწავები. სამთო ჟურნალი სამართლიანად შენიშნავდა, რომ საბადოთა მახლობლად მოსახლე თითოეული ოჯახი წარმოად-

გენდა სპილენძის პატარა საწარმოს, რომლის მწარმოებლურობა განისაზღვრებოდა ოჯახის სრულწლოვან და მოზარდ მუშაწევრთა რაოდენობით.

ამ პერიოდის მეტალურგიული მრეწველობისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოებაც, რომ მრეწველობის როგორც სხვა, ისე აღნიშნულ დარგში, თანდათანობით გაფართოვდა ადგილობრივი სავაჭრო კაპიტალის უშუალო მონაწილეობა. თუ წარსულში ადგილობრივი ვაჭრების მონაწილეობა მეტალურგიულ მრეწველობაში მზა პროდუქციის შესყიდვა-გადაყიდვით განისაზღვრებოდა, განსახილველ პერიოდიდან მათი ნაწილი თავისი ფულადი კაპიტალით უშუალოდ წარმოებაში ჩაება (ბეგთაბეგოვი, მელიქოვი და სხვა) და ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ბასტამოვი, ბეგთაბეგოვი, ბახჩალოვი) „პატარა კაპიტალისტიც" გახდა. თბილისელ ვაჭარს მანანოვს დავალებული ჰქონდა ფშავ-ხევსურეთის საბადოების გამოკვლევაც.

50-იანი წლებიდან საქართველოს სპილენძის მრეწველობაში გარდატეხა დაიწყო. გაფართოვდა რუსეთის კაპიტალის გავლენა და საგრძნობლად გაიზარდა საზღვარგარეთის სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის დაინტერესება კავკასიის სიმდიდრეებით, რამაც დადებითი როლი შეასრულა მეტალურგიის განვითარების საქმეში. 60-იანი წლებიდან უცხოურმა (უმთავრესად გერმანულმა) კაპიტალმა ამ დარგში გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია [119].

ამას ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან ურალის სამთამადნო მრეწველობაში დაიწყო სწრაფად მზარდი კრიზისი. კრიზისმა გამოიწვია სპილენძის მადნის მოპოვების მკვეთრად შემცირება და ზოგიერთი ქარხნის დახურვა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა მრეწველობას. მან 60-იანი წლების დასასრულსაც კი ვერ შეძლო ფეხზე წამოდგომა. საგრძნობლად და სწრაფად გაიზარდა სპილენძის იმპორტი. 1860 წელს რუსეთში საზღვარგარეთიდან შემოიტანეს სპილენძი 23 ათასი ფუთის რაოდენობით, თუჯი 257 ათასი ფუთი, ხოლო 1867 წელს მარტო სპილენძის იმპორტმა

110 ათას ფუთს მიაღწია. ამასთან დაკავშირებით საჭირო გახ· და ახალი საბადოების გამოვლენა და დამუშავება.

იმპორტის მომძლავრებასთან ერთად როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, მნიშვნელოვნად გაფართოვდა უცხოელ კაპიტალისტთა მონაწილეობა. ცარიზმი ყოველგვარ პრივილეგიებს ანიჭებდა მათ ამიერკავკასიაში სპილენძის წარმოების გაფართოებისათვის.

საქართველოს სპილენძის მეტალურგია, მისი ერთგვარი „აღმავლობის" მიუხედავად, ჩამორჩებოდა, ხოლო ბერძნებს უნარი არ შესწევდათ მრეწველობა ფეხზე დაეყენებინათ. ამას გარდა ქარხნების მუშაობას აფერხებდა აგრეთვე მიწერილ გლეხთა კატეგორიული მოთხოვნა წარმოებიდან გათავისუფლებაზე.

მეფისნაცვალი მ. ს. ვორონცოვი 1850 წლის დასაწყისში, ბერძენთა შორის მღელვარებისა და წარმოებაში „ციმბირული წესების" დანერგვისადმი საბოტაჟის გამო, იძულებული გახდა, პლ. იოსელიანის თანხლებით, უშუალოდ ადგილზე გაცნობოდა ალავერდისა და ახტალის ქარხნებს. მეფისნაცვალმა ბორჩალოს გლეხობა მრეწველობაში სავალდებულო მუშაობისაგან ფორმალურად გაათავისუფლა. მან ერთდროულად ადგილზევე განიხილა და დაამტკიცა ქარხნების მუშაობის გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებდნენ აგრეთვე ნახშირის გამოწვასა და მადნის დნობაში „ციმბირული წესების" ფართოდ დანერგვას.

ვორონცოვის მითითებით, ალავერდის ქარხანაში ააგეს ციმბირული სისტემის ახალი ღუმელი და ახალი ცდებიც ჩაატარეს, მაგრამ ამ ღონისძიებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან მადნის თავისებურება დანადგარის დაპროექტებისას გათვალისწინებული არ იყო. ამის გამო, გაიზარდა საწვავის ხარჯი და გართულდა მადნის დნობაც. ქარხნის თვიური მწარმოებლურობა 1850 წ. პირველი კვარტალის დასასრულისათვის თითქმის ხუთჯერ შემცირდა. 1854 წელს მდგომარეობა უფრო გაუარესდა: იანვარში მან გამოადნო 252 ფუთი, თებერვალში — 60, მარტში — 96 და აგვისტოში ცოტა მეტი — 153 ფუთი. ასევე მცირე იყო შამბლულის ქარხნის

მწარმოებლურობა: 1854 წლის მარტში — 46 ფუთი, აგვისტოში — 84 ფუთი [120].

სამთო სამმართველოს მოთხოვნით, 1854 წელს ალავერდის ქარხანაში აიგო ახალი ქარხანა, დაიდგა ახალი ცილინდრული ჰაერსაბერველი მანქანები, გაფართოვდა სამრეწველო დასახლებაც. მაგრამ პროდუქციის გამომუშავება დიდად არ გაზრდილა. ალავერდის ქარხანამ ამ წელს გამოადნო 1852 ფუთი სპილენძი, ხოლო შამბლუღისამ — 261 ფუთი.

ურალში დაწყებული კრიზისის მწვავე შედეგებმა ადგილობრივი ხელისუფლება აიძულა ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხნებში უფრო ქმედითი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებები ჩაეტარებინა. ერთდროულად ის უცხოელ კაპიტალებს შეღავათიან პირობებში სთავაზობდა როგორც საბადოთა დამუშავებას, ისე არსებული ქარხნების მართვას.

ინგლისის მრეწველთა კომპანიამ ითხოვა ბორჩალოს დისტანციაში მდებარე საბადოების დამუშავება და იქ დიდი ქარხნის აგების ნებართვა. ხელისუფლების თანხმობით, მთელი სამადნო რაიონი დაწვრილებით შეისწავლეს კიდევაც, მაგრამ ეს წამოწყება, ჩვენთვის უცნობ მიზეზთა გამო, არ განხორციელდა. უშედეგოდ დამთავრდა აგრეთვე საზღვარგარეთელ კაპიტალისტ ს. ს. მორიცის წინადადება ქედაბეკის ქარხნის შესყიდვაზე. იგი 1863 წელს ძმებმა სიმენსებმა ბერძნებისაგან შეიძინეს და წარმოება სრულიად ახალ საფუძველზე გარდაქმნეს (დაქირავებული შრომა, ახალი ტექნიკა, ორთქლის ლოკომობილი და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთული კაპიტალი ჩვენში გაფართოვდა, რეფორმამდე მისი პრაქტიკული მონაწილეობა მაინც სუსტი იყო.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ 50-იანი წლების მეორე ნახევარში ქარხნებში დამატებითი ღონისძიებები ჩაატარა შრომის ორგანიზაციისა და ტექნიკის გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგად ალავერდის ქარხნის მწარმოებლურობა გაიზარდა, თუმცა თანდაყოლილი არათანაბარი მუშაობა მას ამის შემდეგაც ახასიათებდა. ქარხანამ 1858 წელს გამოადნო 7299 ფუთი სუფთა სპილენძი, 1859 წელს—1125, 1861—1862 წლებ-

ში საშუალოდ — 5350 ფუთი, 1863 წელს — 7856 ფუთი, 1864 წელს — 9283 ფუთი, ხოლო 1865 წელს — 7268 ფუთი [121].

ჩვენ მიერ ახლად გამოვლენილი საარქივო წყაროებით ირკვევა, რომ საქართველოში სპილენძის საბადოების მეტნაკლები მასშტაბით დამუშავებამ თითქმის საყოველთაო ხასიათი მიიღო. ზოგიერთი ეს სარეწავი წვრილ კაპიტალისტურ ხასიათს ატარებდა. ასეთი სახის საწარმოთა ზოგიერთი მეპატრონე ცდილობდა უცხოელ კაპიტალისტთა მონაწილეობით საწარმოსათვის ქარხნული სახე მიეცა. მაგალითად, 60-იანი წლების დასაწყისში ადგილობრივი მემამულე-ვაჭრის კარხმაზ მელიქოვის ქვრივმა — „აპეკუნშა შტაბ-როსტმისტრშა კნეინა თამარ მელიქოვამ“ ახტალის საბადოები კონტრაქტით ბერძენ მრეწველს — პავლე შამანოვს გადასცა. მან ახტალაში ახალი ქარხნის აგება ვერ შეძლო და იჯარით ქართველ თავადს — ნიკო ბარათაშვილს ჩააბარა. უკანასკნელმა განიზრახა ახტალაში ქარხნის აგება ევროპულ ყაიდაზე და ამ მიზნით საზღვარგარეთიდან კაპიტალისტების მოწვევა. შეძლო თუ არა ბარათაშვილმა კაპიტალისტების მოწვევა, წყაროებიდან არ ჩანს, მაგრამ დადგენილია, რომ ბარათაშვილის კომპანიას 1863 წელს უკვე აგებული ჰქონდა ქარხანა. ქარხანაში იყო მადნის გამოსაწვავი 4 ღუმელი, ერთი სადნობი ღუმელი და ერთიც — რაფინირების (დახალასების) დანადგარი. ეს საწარმო აერთიანებდა 12 დაქირავებულ მუშას [122].

საბადოების დამუშავებას ცდილობდნენ აგრეთვე მოწინავე ქართველი მოღვაწენი და ზოგიერთმა მათგანმა გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია.

სპილენძის წვრილ მწარმოებლებად 60-იან წლებში გამოვიდნენ აგრეთვე წვრილი ვაჭრები და ბერძენი მრეწველები. ზაქათალაში (საინგილო) სოფ. ბურცრახ-ყალაში ბერძენმა და სომეხმა ვაჭარ-მრეწველებმა ააგეს სპილენძის სადნობი „ქარხანა“, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე ფუთი სპილენძის გამოდნობა მოასწრო და შემდეგ, წამომწყებთა შორის აღმოცენებული უთანხმოების გამო, მოქმედება შეწყვიტა.

ამ სახის სარეწავები მსხვილ საწარმოში არ გადაზრდილან.

რეფორმამდელ საქართველოში სპილენძის წარმოების ძირითად კერად მაინც ალავერდის მეტალურგიული ქარხანა დარჩა. გასული საუკუნის 60-იან წლებამდე საქართველოს მრეწველობის არც ერთ დარგში არ არსებობდა პროდუქციისა და მუშათა რაოდენობის მხრით ისეთი მძლავრი საწარმო, როგორიც აღნიშნული ქარხანა იყო.

სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა ჩვენში ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის რღვევისა და წარმოების კაპიტალისტური წესების თანდათანობით გავრცელების პირობებში ვითარდებოდა. ამიტომ ალავერდის ქარხანაშიც რამდენადმე აისახა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ზოგიერთი ცვლილებანი.

ვ. ი. ლენინი, ურთიერთ ადარებდა რა ჩამორჩენილი ურალისა და დაწინაურებული სამხრეთ-რუსეთის სამთო მრეწველობის მკვეთრად განსხვავებულ მდგომარეობას, წერდა, რომ ამ მოვლენათა შესახებ არსებული ცნობები „განსაკუთრებით ნათლად გვიჩვენებენ საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის იმ ცვლილების არსს, რომელიც ხდება რუსეთის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში... საზოგადოებრივი მეურნეობის ორი წყობის შეცვლა სამთო მრეწველობაში განსაკუთრებული სიცხადით აშკარავდება იმის გამო, რომ აქ ორივე წყობის ტიპიური წარმომადგენლები განსაკუთრებული რაიონებია: ერთ რაიონში ვხედავთ წინაკაპიტალისტურ ძველ წყობას მისი პრიმიტიული და რუტინული ტექნიკით, ადგილზე მიმაგრებული მოსახლეობის პირადი დამოკიდებულებით, წოდებრივი ტრადიციების, მონოპოლიების სიმტკიცით და სხვ., მეორე რაიონში — ყოველგვარ ტრადიციასთან კავშირის სავსებით გაწყვეტას, ტექნიკურ გადატრიალებას და წმინდა კაპიტალისტური მანქანური ინდუსტრიის სწრაფ ზრდას“[1].

საქართველოში სპილენძის მეტალურგიული მრეწველობის ასეთი ურთიერთ მკვეთრად განსხვავებული დარაიონება 60-იან წლებამდე არ არსებობდა. როგორც ალავერდის, შამბლულის, ისე მთლად ამიერკავკასიის სამთო მრეწველობაში გაბატონებული იყო წინაკაპიტალისტური ძველი წყობა მისი პრი-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 583—584.

მიტული და რუტინული ტექნიკით. კერძოდ, ალავერდის ქარხანაში არა თუ 60-იან წლებამდე, არამედ შემდგომაც დიდხანს შემორჩენილი იყო ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობათა აშკარა ნიშნები: იძულებითი შრომის გამოყენება და პრიმიტული ტექნიკა, ხოლო აქედან, როგორც შედეგი: ხელით შრომის სიჭარბე, მუშათა მცირე მწარმოებლურობა, პროდუქციის დაბალი ხარისხი და მაღალი თვითღირებულება, მუშათა მძიმე მატერიალურ-უფლებრივი მდგომარეობა და საბადოების პირველყოფილ-მტაცებლური ექსპლოატაცია.

მიუხედავად ამისა, როგორც ალავერდის ქარხანა, ისე მთლად რეფორმამდელი საქართველოს მეტალურგიული მრეწველობა სრული უძრაობის მდგომარეობაში არ იმყოფებოდა. ალავერდის ქარხანამ რეფორმის წინა პერიოდში სუსტად, მაგრამ მაინც განიცადა საზოგადოებრივ ფორმაციათა ურთიერთ შეცვლის გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ცვლილებანი. ქარხნის სოციალურ სტრუქტურასა და მის შინაგან ცხოვრებაში თანდათანობით გაფართოვდა უკვე მანამდე ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული წარმოების კაპიტალისტური წესები, რაც განსაკუთრებით ქარხნის შრომის ორგანიზაციის ფორმაში აისახა.

*
* *

რეფორმამდელ საქართველოში არსებობდა აგრეთვე რკინის როგორც გლეხური სარეწავები, ისე თუჯსასხმელო-რკინის დამამზადებელი კაპიტალისტური ტიპის ქარხანა.

სამეცნიერო ლიტერატურაში გლეხური სარეწავებიდან მოხსენებულია მხოლოდ ზემო რაჭის, ზემო სვანეთის, ქვემო იმერეთისა და ბოლნისის სარეწავები. მაგრამ ჩვენ მიერ გამოვლენილი საარქივო საბუთებით ირკვევა, რომ უფრო წვრილი სარეწავები საქართველოს სხვა რაიონებშიც არსებობდა, სახელდობრ: აჭარაში (უმთავრესად ქობულეთის რაიონში), აფხაზეთში (სოხუმის, გუდაუთის, ოჩამჩირის რაიონებში), შროშა-ძირულაში, ზემო იმერეთში (თედელეთის, პერევის (საჩხერის რაიონი), ჭიათურის მახლობლად (სოფ. წირქვალში),

სამეგრელოში, ქართლში (ბამბაკის, სადახლოს, დიდ და პატარა შულავერის მიდამოებში), კახეთში, ფშავ-ხევსურეთში, ახალდაბაში (ქართლი) და სხვაგან.

აქ მოკლედ განვიხილავთ მხოლოდ ზემო რაჭის გლეხურ მეტალურგიულ ცენტრს, რომელიც, მართალია, წყაროებში უფრო ვრცლად არის წარმოდგენილი, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ არასწორადაა გაშუქებული. ეს სარეწავი თვითმყოფადი საწარმოო ნიშნებით განირჩევა. იგი ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა — მან სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების მიუხედავად, გასული საუკუნის 80-იან წლებამდე იარსება [123].

ზემო რაჭის გლეხები რკინის მადნებს უხსოვარი დროიდან ამუშავებდნენ, რაც XI საუკუნის ისტორიული ძეგლითაც („ნიკორწმინდის სიგელით") დასტურდება [124/46—47].

რაჭველ მეტალურგ-მჭედლებს, როგორც კარგი რკინა-ფოლადის დახელოვნებულ ოსტატებს, იცნობდნენ საქართველოს ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში. მათ დიდ დახელოვნებაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ რკინა-ფოლადის თვისებათა გაუმჯობესებისათვის ისინი ძველთაგანვე მანგანუმის ადგილობრივ საბადოსაც იყენებდნენ (ამ მადნის გამოყენებას არც ერთი ქვეყნის ძველი მეტალურგიული პრაქტიკა არ იცნობს). ზემო რაჭის მეტალურგია ამ მხრითაც ერთგვარად ეპასუხება ანტიკური დროის ბერძენთა ლიტერატურულ ცნობას ქართულ მეტალურგიაში ტექნოლოგიური საიდუმლოების არსებობის შესახებ. ამიტომ არ შეიძლება შემთხვევითი გარემოებით აიხსნას ის, რომ დიდმა აკაკი წერეთელმა სწორედ რაჭის საწარმოო ცხოვრება აიღო თავის ისტორიულ დრამის („მედეა") საფუძვლად და ამ კუთხის მეტალურგია-მჭედლობა საქართველოს წარსულის ერთ-ერთ ეპიზოდს— ისტორიულ კოლხიდაში არგონავტების ლეგენდარულ ლაშქრობას დაუკავშირა [125/203][1].

---

[1] აკაკი საერთოდ დაუცხრომელ ინტერესს იჩენდა რაჭის საბადოებისადმი. როგორც აკაკის ძმისწულმა — ვასილ დავითის ძე წერეთელმა ჩვენი თხოვნით გვაცნობა, მგოსანს რაჭა-ლეჩხუმში მგზავრობის დროსაც ამ საბადოებზე უსაუბრია.

რაჭის მეტალურგიას გარკვეული ადგილი ეკავა დასავლეთ საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში. მისდამი ყურადღება განსაკუთრებით XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან გაფართოვდა.

ზემო რაჭის სარეწავები პირველად ინჟ. ვოსკობოინიკოვმა შეისწავლა და საჭიროდ მიიჩნია სოფ. ჯეჯორაში რკინის დიდი ქარხნის აგება, მაგრამ ეს წინადადება უყურადღებოდ დარჩა და საბადოების დამუშავებას ისევ ადგილობრივი გლეხები აგრძელებდნენ. ისინი ამზადებდნენ სამეურნეო იარაღებს და კავკასიის ბაზრებზე ჰყიდდნენ, ან მათთვის საჭირო საგნებზე ცვლიდნენ.

40-იანი წლების მიწურულს აღნიშნული საბადოები შეისწავლა ინჟ. ივანიცკიმ. მან ასევე აუცილებლად სცნო ზემო რაჭაში დიდი ქარხნის აგება, რომელიც არმიას უზრუნველჰყოფდა რკინით. ერთდროულად წინადადება წამოაყენა, რომ ტყიბულში აეგოთ პუდლინგის ღუმელები ზემო რაჭაში გამოდნობილი თუჯის გადასამუშავებლად. იგი ვარაუდობდა, რომ ამ ახალი წარმოებით შესაძლებელი იქნებოდა წელიწადში 200 ათასი ფუთის რაოდენობით რკინის დამზადება. ეს წინადადებაც ხელისუფლებამ უყურადღებოდ დატოვა, რადგან ხაზინის სახსრების დაბანდებას გაურბოდა, ხოლო კერძო მწარმოებელი არ აღმოჩნდა.

50-იან წლებში ზემო რაჭის სარეწავებზე 40-მდე ადგილობრივი გლეხი მუშაობდა და ათი ქურის საშუალებით გამოჰყავდათ ასი ფუთი რკინა. სწორედ ამ პერიოდში რუსეთში თუჯის წარმოება საგრძნობლად ჩამორჩა, რასაც აღრმავებდა ზოგიერთი საბადოს მოჩვენებითი გამოლევა. ამასთან დაკავშირებით ზემო რაჭის საბადოები და სარეწავები ხელახლა გამოიკვლია ინჟ. კარპინსკიმ, რომელმაც დაასკვნა რაჭაში რკინის დიდი წარმოების გამართვის სრული შესაძლებლობა და აუცილებლობაც. იგი ამავე დროს სამთო სამმართველოს აცნობებდა, რომ „სოფ. წედისის თითქმის მთელი მოსახლეობა, მინდვრად სამუშაოების დაწყებამდე, მხოლოდ რკინის გამოყვანას ეწევა და აქაური რკინით ამარაგებს რაჭისა და შორაპნის მაზრებსო“ [126].

1860 წელს ურალის მეტალურგიაში თავი იჩინა ახალმა კრიზისმა. ამასთან დაკავშირებით ინჟ. კარპინსკიმ კიდევ ერთხელ მოითხოვა კერძო კაპიტალის გამოძებნა, რომელიც არ მოერიდებოდა ამ სარფიანი წამოწყებისათვის სახსრების დაბანდებას. საქართველოს რკინის საბადოების, მათ შორის ზემო რაჭის მადნების გამოყენების მიზნით ჩამოვიდა რუსეთის მსხვილ მრეწველთა წარმომადგენელი სმოლინი, მაგრამ რაჭაში ქარხნის აგების საკითხი მაინც არ გადაწყდა. ამასთან დაკავშირებით ინჟ. ივანიცკიმ ახალი წინადადება წამოაყენა: ვიდრე რაჭაში დიდი ქარხნის საკითხი გადაწყდებოდა, გაფართოებულიყო არსებული გლეხური სარეწავები ისეთი მასშტაბით, რომ მათ წელიწადში 1000 ფუთი რკინა გამოედნოთ [127].

ზემო რაჭის საბადოები რეფორმამდე კიდევ რამდენჯერმე შეისწავლეს სამთო სამმართველოს სპეციალისტებმა, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ აქ დიდი ქარხნის აგებას, მაგრამ ამაოდ.

ლიტერატურასა და საარქივო წყაროებში ნაირგვარად არის გადმოცემული ზემო რაჭის გლეხური მეტალურგიული სარეწავების მწარმოებლურობა. ინჟ. ვოსკობოინიკოვის 1826 წლის მონაცემებით, სოფ. წედისში რკინის წარმოების მასშტაბი 19 სადნობი ქურით განისაზღვრებოდა. თითოეულ მათგანს 6 საათის განმავლობაში შეეძლო გადაედნო 16 კგ მადანი და ღებულობდნენ დაახლოებით 4,5 კგ კრიცულ (ღრუბლოვან) რკინას, ხოლო უკანასკნელის გადამუშავებით — 3 კგ „სუფთა“ რკინას. ამრიგად, 19 ქურით ერთ ცვლაში შეიძლებოდა 114 კგ რკინის გამოყვანა.

მკვლევართა უმრავლესობა ემყარება ამ მონაცემებს, ისინი კი, ჩვენის აზრით, ზუსტად ვერ ასახავენ ზემო რაჭის სარეწავების სიმძლავრეს, რადგან ინჟ. ვოსკობოინიკოვს მხედველობაში მიუღია მხოლოდ სოფ. წედისი, რომელიც რაჭის მთელი მეტალურგიული რაიონის ერთ-ერთ პატარა პუნქტს წარმოადგენდა. ამავე დროს, ნ. რეხვიაშვილის ეთნოგრაფიული მონაცემებით, რკინის გამოყვანას ეწეოდნენ აგრეთვე სოფ. ქვედის, წედის, წესის, ირის, ცხმორის, ნაკიეთის, ონისა და სორის მცხოვრებნი.

ინჟ. კარპინსკის ცნობით, 1860 წელს რაჭაში მოქმედებდა 10

ქურა, რომლებსაც 40 კაცი ემსახურებოდა. მეორე საარქივო საბუთის მიხედვით კი ამავე რაოდენობის ქურებს ემსახურებოდა 60 კაცი, რომლებიც 100 ფუთ რკინას ამზადებდნენ და თითქოს ეს რაოდენობა აკმაყოფილებდა რაჭისა და შორაპნის მოთხოვნილებას რკინაზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ასი ფუთი რკინა არა თუ ორი მაზრის, არამედ ორიოდე მოზრდილი სოფლის მოთხოვნილებასაც ვერ დააკმაყოფილებდა, რადგან, როგორც ვნახეთ, 50-იანი წლებიდან სოფლად რკინის გამოყენება გაიზარდა. ამას გარდა, რაჭული რკინა ჩრდილოეთ კავკასიაშიც იყიდებოდა. თუ გავითვალისწინებთ რკინის ყველაზე აუცილებელ სამეურნეო იარაღების წონასაც, მაშინ ცხადი გახდება, რომ აღნიშნული რაოდენობის რკინას არ შეეძლო ასეთი ფართო მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა.

სარეწავებში მომუშავეთა რაოდენობისა და მოქმედი ღუმელების სიმცირე, რაც ლიტერატურულ და საარქივო წყაროებშია აღნიშნული, უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ გლეხები განზრახ მალავდნენ მუშებისა და ღუმელების რაოდენობას.

მაშასადამე, რაჭაში რკინის წარმოება ფაქტობრივად უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებენ უახლესი ეთნოგრაფიული ცნობებიც. მაგალითად, სოფ. ქვედი, მოსახლეობისა და რკინის წარმოების მასშტაბის მხრით, სოფ. წედისთან შედარებით, სამჯერ მეტი იყო. ანალოგიურ მოვლენებს ადგილი ჰქონდა უკვე ჩამოთვლილ სოფლებშიც [128/26—27]. ამის მიხედვით კი ზემო რაჭის ამ სოფლებში არანაკლები 100 „ღუმელი" მაინც უნდა ვივარაუდოთ.

ჩვენ მიერ გამოვლენილი საარქივო საბუთების მიხედვით, თითოეული „ღუმელი" ექვსი საათის განმავლობაში ამზადებდა 5-დან 10 გირვანქამდე ღრუბლოვან რკინას, ხოლო უკანასკნელის მეორადი გადამუშავების შედეგად მიიღებოდა 3—8 გირვანქამდე „სუფთა" რკინა.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ ზოგიერთი სარეწავი ორ ცვლად მუშაობდა, ხოლო ზოგი—წელიწადში არა 2 — 3 თვეს, არამედ არანაკლები 5 თვისა.

როდესაც ზემო რაჭის წარმოებაში გამოყენებულ ძირითად დანადგარებს იხილავენ, ჩვეულებრივად მხოლოდ და მხოლოდ ინჟ. ნ. ვოსკობოინიკოვის მიერ აღწერილ სადნობ ქურებს ღებულობენ მხედველობაში. ამ მონაცემებით, აქაური მეტალურგები მხოლოდ ორი ტიპის დანადგარს იყენებდნენ. მაგრამ არქივებში ჩვენს მიერ გამოვლენილია 1861 წელს ინჟ. კარპინსკის მიერ ადგილზე შედგენილი და დღემდე უცნობი საბუთი, რომლითაც ირკვევა, რომ ზემო რაჭაში სხვა ზომისა და ტიპის ქურებიც გამოიყენებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ზემო რაჭის მეტალურგები რკინის წარმოებაში მრავალ ორიგინალურ ხერხს მიმართავდნენ, აქაური სარეწავები მაინც პრიმიტულ ტექნიკაზე იყო დამყარებული: არქაული ტიპის ღია ღუმელები და ხელის საბერველები, ასევე შრომის უძველესი იარაღები (რკინისა და ხის ურიები, რკინის ან ქვის გრდემლი, რკინის მარწუხები და სხვ.).

წარმოების ასეთი დაბალი ტექნიკის პირობებში დიდი იყო მუშახელისა და ნედლეულის ხარჯი. თითოეულ ღუმელს ცელაში ემსახურებოდა 3—4 მუშა, მათ შორის 2 საბერველებს. ამდენივე მუშა ესაჭიროებოდა ლითონის მეორად დამუშავებას.

მუშახელისა და ნედლეულის დიდი ხარჯის ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა პროდუქციის მაღალი ხარისხი, რითაც რაჭული რკინა დიდხანს რუსეთის ქარხნულ რკინასაც კი უწევდა კონკურენციას.

რაჭველმა მეტალურგებმა, გარდა იმისა რომ ისინი კარგი ხარისხის რკინა-ფოლადის მისაღებად მანგანუმის მადანსა და რკინის ხენჯს იყენებდნენ, ზედმიწევნით კარგად იცოდნენ დნობისათვის საჭირო ნედლეულის, უმთავრესად მადნისა და ნახშირის შერჩევა. ისინი ტექნოლოგიურ პროცესს ატარებდნენ კაზმში შემავალ მასალათა ქიმიურ თვისებათა მიხედვით. ასევე მაღალ დონეზე იყო განვითარებული ლითონის თერმული დამუშავება.

მართალია, რეფორმამდელ საქართველოში რკინის გლეხური სარეწავები გარკვეულ როლს ასრულებდნენ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში, მაგრამ ისინი როგორც ორგანიზაციულად, ისე ტექნიკის მხრით, პრიმიტიულ ფორმას შერჩნენ და ამ

საფეხურზე დაამთავრეს თავიანთი არსებობაც. ისინი მსხვილ საწარმოებში ვერ გადაიზარდნენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, რუსეთში.

რკინის გლეხური სარეწავების ესოდენ უმნიშვნელო მწარმოებლურობა ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებას რკინაზე.

ქართველი გეოგრაფოსი ვახუშტის მოწმობით, ფოლადაურის (ბოლნისის რაიონი) რკინის საბადოებს ადგილობრივი მცხოვრებნი ძველთაგანვე ამუშავებდნენ. ფოლადაურის რკინისა და სპილენძის მადნებს ერეკლე მეორეს დროსაც იყენებდნენ.

40-იანი წლების მეორე ნახევარში აკად. აბიხი სამთო ინჟინერთა კორპუსის ხელმძღვანელობას ოფიციალურად წერდა, რომ ფოლადაურის საბადოს ყველა ბუნებრივი პირობები აქვს იმისათვის, რომ აქ აიგოს მეტალურგიული ქარხანა ჰიდრავლიკური მანქანების გამოყენებითო. იგი არ დაკმაყოფილდა საკითხის მარტო დაყენებით და პრაქტიკულად ცდილობდა, რათა კერძო ამხანაგობას ფოლადაურში აეგო ქარხანა იმდროისათვის მოწინავე ტექნიკის საფუძველზე. ამისათვის აკად. აბიხი ხელს უწყობდა და ეხმარებოდა კერძო თაოსნებს, მაგრამ ეს კეთილმყოფელი მისწრაფებაც უშედეგოდ დამთავრდა [129].

ამავე საბადოს დამუშავებით 1850 წელს დაინტერესდა აგრეთვე ორენბურგელი ვაჭარი ვინმე ასაფ ტატარინოვი. მას უნდა აეგო ქარხანა, წელიწადში 50 ათასი ფუთი რკინის მწარმოებლურობით. ტატარინოვი მთავრობისაგან მოითხოვდა რუსეთიდან 300 მუშის ჩამოყვანას ქარხანაზე მიწერის წესით. ეს წინადადება თუმცა სახელმწიფო ქონებათა ექსპედიციის სამმართველომ მოიწონა, მაგრამ მისი შემდგომ ინსტანციებში განხილვა გაჭიანურდა [130].

1851 წლის დასაწყისში, ბოლნისში მეტალურგიული ქარხნის აგების ნებართვა ითხოვა აგრეთვე კარლ შმიდტმა, რომელსაც განზრახული ჰქონდა ჯერ თუჯის, ხოლო შემდეგ, რკინის წარმოების მოწყობა ისეთი მოცულობით, რომელიც სავსებით დააკმაყოფილებდა რკინაზე ამიერკავკასიის მოთხოვნილებას. როგორც შმიდტის თხოვნიდან ირკვევა, ასაგებად ნავა-

რაუდენი ქარხნისათვის ღუმელებისა და მანქანების შეძენაში, აგრეთვე საზღვარგარეთიდან კვალიფიციური მუშების ჩამოყვანის საქმეში მას პროფ. აბიხი ეხმარებოდა.

ტატარინოვისაგან განსხვავებით, შმიდტს განზრახული ჰქონდა ქარხანაში მხოლოდ დაქირავებული შრომის გამოყენება, პირველ რიგში იმ გლეხი-მეტალურგების შრომის გამოყენება, რომელნიც ბოლნისიდან თვითნებურად დაშქესანში იყვნენ წასული. ტატარინოვი ითვალისწინებდა მოწინავე ტექნიკით მოწყობილი ქარხნის აგებას და ამ მიზნით 100 ათასი მანეთის კაპიტალის მქონე ამხანაგობის შედგენას.

მეფისნაცვალმა ვორონცოვმა უპირატესობა შმიდტს მიანიჭა, ხოლო ტატარინოვს ქარხნის ასაგებად ელიზავეტპოლის ან ბორჩალოს საბადოები შესთავაზა, და ისიც იმ პირობით, თუ იგი უარს იტყოდა ქარხანაში სამუშაოდ მუშების მიწერის მოთხოვნაზე.

შმიდტის პროექტით, ბოლნისში უნდა აგებულიყო ერთი ბრძმედი, რომელიც დღე-ღამეში გამოადნობდა 600 ფუთ თუჯს, ანუ წელიწადში — 216 000 ფუთს [130/15—20].

ორივე ეს ინიციატივა უშედეგოდ დარჩა. მთავრობამ თავი შეიკავა ფულადი და სხვა დახმარებისაგან, ხოლო შმიდტმა ამხანაგობა ვერ შეადგინა. მალე (1853 წელს) რუსეთ-თურქეთს შორის გამწვავებული პოლიტიკური ურთიერთობა ომით დამთავრდა და ბოლნისში ქარხნის აგება რამდენიმე წლით გადაიდო.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამიერკავკასიაში საჭაპანო გზების მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. მართალია, მთავრობა ამ ღონისძიების ჩატარებისას უმთავრესად სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ აღნიშნული ღონისძიება ერთდროულად სავაჭრო-ეკონომიურ დანიშნულებასაც ატარებდა. მიუხედავად ამისა, მიმოსვლის არსებული მდგომარეობა სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის შემდგომ განვითარებას აფერხებდა.

ამას გარდა, რუსეთის კაპიტალიზმი მიისწრაფოდა, რათა ამიერკავკასიაში გაბატონებით აღმოსავლეთში თავისი გავლენა გაეფართოებინა და ამისათვის, „თავისუფალი“ მუშახელის

გარდა, მოითხოვდა ჩვენში მიმოსვლის მკვეთრად გაუმჯობესებასაც, სახელდობრ, რკინიგზის გაყვანას.

ყირიმის ომში ცარიზმის დამარცხებით შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ უფრო დააჩქარა ამიერკავკასიაში რკინიგზის ტრანსპორტზე გადასვლა. ამ საკითხის ერთ-ერთი ინიციატორი იყო ინჟ. სტატკოვსკი, რომელიც წლების განმავლობაში იღწვოდა ჩვენში მრეწველობის განვითარებისათვის. 1857 წელს პირველად მან მოითხოვა ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობის დაწყება, რასაც ის ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა შემდგომი განვითარების აუცილებლობით ასაბუთებდა.

არსებითად რკინიგზის მშენებლობის საკითხმა, ერთი მხრით, და ქვეყნის შემდგომი კოლონიური ექსპლოატაციის ამოცანამ, მეორე მხრით, განაპირობა 60-იანი წლების დასაწყისში ბოლნისის რაიონის სოფ. ფოლადაურში პირველი თუჯსასხმელ-რკინის დამამზადებელი მძლავრი მეტალურგიული ქარხნის აგება.

რკინიგზის მშენებლობის საკითხის დაწყებასთან დაკავშირებით სამთო სამმართველომ დაიწყო ბოლნისის რკინის საბადოთა ფართოდ ხელახლა შესწავლა. ინჟ. ივანიცკი, რომელმაც დაწვრილებით გამოიკვლია საბადოები, წერდა, რომ ის „შეიძლება მივიჩნიოთ ევროპაში ყველაზე საუკეთესო საბადოდ, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს რკინის დიდი წარმოებაო“. მას საჭიროდ მიაჩნდა, რათა ბოლნისში აგებულიყო თუჯის წარმოების ქარხანა წელიწადში 360 000 ფუთის მწარმოებლურობით. პროექტი ითვალისწინებდა ქარხანასთან სამი ბრძმედის აგებას, თუჯის ცილინდრული ჰაერსაბერველების გამოყენებასა და წყლის რამდენიმე ბორბლის მოწყობას.

აღსანიშნავია, რომ ინჟ. ივანიცკი ვარაუდობდა ქარხანაში მთლად დაქირავებული შრომის გამოყენებას და ამ მიზნით როგორც ადგილობრივი და რუსეთის კადრების, ისე ანატოლიელი ბერძნების, ავსტრიისა და გერმანიის კვალიფიციური მუშების მოწვევას, სულ 659 კაცის რაოდენობით.

ასეთი დიდი წარმოების მოწყობა გათვალისწინებული იყო კერძო კაპიტალის ხარჯზე, რისთვისაც ინჟ. ივანიცკი მოითხოვდა „ამიერკავკასიის რკინის წარმოების სააქციო კომპანიის“

შედგენას, რომელსაც დაევალებოდა, ბოლნისის გარდა, ტყიბულსა და ონში მეტალურგიული ქარხნების აგება რკინა-თუჯის წარმოებისათვის [132].

მაგრამ ეს მეტად სასარგებლო წინადადებაც განუხორციელებელი დარჩა, რადგან მეფისნაცვალი ბარიატინსკი მტკიცედ ატარებდა ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიურ პოლიტიკას და მრეწველობის განვითარებას ხელოვნურად აფერხებდა.

50-იანი წლების მიწურულში ბოლნური რკინის საბადოების ექსპლოატაციით დაინტერესდნენ უცხოელი კაპიტალისტები, მათ შორის, ბადენის კონსული ოდესაში — ნეგოციანტი ერნსტ ლიბი. მან 1860 წლის დასაწყისში, მექანიკოს შტიუსესა და ინჟ. მექ. სიმენსთან (რუსეთსა და ამიერკავკასიაში ტელეგრაფის მშენებელი სიმენს-ჰალსკეს სახლიდან) ერთად წინასწარ დაათვალიერა საბადოები, ინჟ. ივანიცკის პროექტს გაეცნო და 28 მაისს ბარიატინსკისაგან ნებართვა ითხოვა აღნიშნულ საბადოთა დამუშავებაზე.

ე. ლიბი მეფისნაცვალს პირდებოდა, რომ ააგებდა ქარხანას, რომელიც წელიწადში დაამზადებდა 150 ათას ფუთ რკინას, რაც, მისი ანგარიშით, სავსებით უზრუნველყოფდა ამიერკავკასიის მოთხოვნილებას. ქარხნის ასეთი მწარმოებლურობისათვის მას საკმარისად მიაჩნდა აგებულიყო ხის ნახშირით მომუშავე ერთი ბრძმედი, რომელიც დღე-ღამეში გამოადნობდა 450 ფუთ თუჯს და ხაზინას მიჰყიდდა 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე იგი ბაზარზე ფასობდა.

მეფისნაცვალის სამმართველომ დადებითი დასკვნა მისცა ლიბის წინადადებას, მაგრამ სამმართველოს უფროსი კრუზენშტერნი ამავე დროს მეფისნაცვალს აფრთხილებდა: ბოლნისის ქარხანას თავიდანვე უნდა შეექმნას განვითარების ისეთი ჩარჩოები, რომ მან ვერ შეძლოს კონკურენცია გაუწიოს რუსეთის მეტალურგიულ პროდუქციას, რომელიც ადგილობრივი ლითონის მეტოქეობას ვერ გაუძლებსო [133].

1860 წლის 26 ივნისს მეფისნაცვალის მთავარ სამმართველოსა და ე. ლიბს შორის დადებული ხელშეკრულებით, უკანასკნელს ქარხნის ასაგებად გადაეცა ბოლნისის რკინის საბადოები, გამოეყო სახაზინო მიწები და ტყე, აგრეთვე სესხი 20

ათასი მანეთის რაოდენობით. ხელშეკრულების თანახმად ქარხნის მშენებლობა უნდა დამთავრებულიყო 18 თვეში. პირველ წლებში ქარხანას უნდა ეწარმოებინა მხოლოდ თუჯი, ხოლო შემდეგ, 1864 წლის დასაწყისისათვის, სხვადასხვა სახის რკინაც.

ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ლიბი შეუდგა მადნის დამზადებას, ქარხნის და მისი დამხმარე საამქროების მშენებლობას. უცხოეთიდან გამოიწერა ინჟინერი და კვალიფიციური მუშები, აგრეთვე ჰაერსაბერველი მანქანები, დაზგები და სხვ.

ქარხნის მშენებლობისას მას თავიდანვე დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, განსაკუთრებით დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენდა ფულადი კაპიტალის უქონლობა. ლიბს საკუთარი კაპიტალი არ გააჩნდა და იმედი ჰქონდა, რომ მის წამოწყებაში მონაწილეობას მიიღებდნენ საზღვარგარეთისა და ადგილობრივი კაპიტალისტები. მაგრამ ევროპაში 1858 წელს დაწყებულმა მწვავე ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა, ლიბს იმედები გაუქარწყლა. უცხოურმა კაპიტალმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე. ასევე მოიქცნენ ფილადელფიის ერთ-ერთი დიდვაჭარი, რომელიც დასაწყისში ლიბს 100 ათასი დოლარის მიცემას პირდებოდა, ბრიტანეთის კონსული ქერჩში ვინმე ელრიჯი, ბერლინის ერთ-ერთი სავაჭრო სახლი, ანანოვისა და კომპანიის სახლის რწმუნებული ხატისოვიც.

რაც შეეხება ადგილობრივ სავაჭრო კაპიტალს, მისი ერთი ნაწილი ლიბთან მონაწილეობის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ზოგიერთი თბილისელი გავლენიანი პირი, ლიბისათვის სახელის გატეხისა და მშენებლობისაგან მისი ჩამოცილების მიზნით, ხელს უშლიდა ვაჭართა ამ ნაწილსაც თავისი კაპიტალი ქარხნის მშენებლობაში დაებანდებინა. შეუძლებელი გახდა საზღვარგარეთიდან დამატებით საჭირო სპეციალისტების ჩამოყვანაც.

მშენებლობას ხელი შეუშალა აგრეთვე როგორც ცუდმა ამინდებმა, ისე მშენებლობაზე ადგილობრივი მუშების დაქირავების სიძნელემ. მალარიით დაშინებული გლეხები არ თანხმდებოდნენ ფოლადაურში მუშაობაზე. მცირე ხელფასების

გამო დაიწყო მუშათა დიდი დენადობა. საზაფხულო მუშაობის დაწყებისთანავე მუშები მშენებლობიდან მასობრივად გარბოდნენ სოფლებში, სადაც ისინი დღეში 1,5 მანეთს ღებულობდნენ, ნაცვლად 40 კაპიკისა, რომელიც მათ მშენებლობაზე ეძლეოდათ. ლიბი იძულებული გახდა მუშებისათვის დღეში 1 მან. 50 კაპ. ეძლია და მხოლოდ ამ გზით შეძლო წარმოებაში 150 კაცი შეენარჩუნებინა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ხელფასების ხარჯი. აგვისტოდან მუშების ნაწილი მშენებლობას დაუბრუნდა. 1861 წლის 25 აგვისტოსათვის მშენებლობაზე იყო 250 დაქირავებული მუშა, მათ შორის, 10 პრუსიელი სპეციალისტი, ხოლო 1862 წლის მარტისათვის უკვე — 500 მუშა [134].

ბრძმედისა და სასხმელო განყოფილების დასამთავრებლად საჭირო იყო კიდევ 8000 მანეთი, მაგრამ ლიბის ქვრივს არ შეეძლო სამუშაოები გაეგრძელებინა.

ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ მშენებლობას გ. ორბელიანმა დიდი დახმარება აღმოუჩინა. მან, გაითვალისწინა რა ქარხნის დიდი მნიშვნელობა, ლიბის ქვრივს დამატებით კიდევ 20 ათასი მანეთი მისცა სესხად. ამ დახმარების შედეგად დამთავრდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები და 1862 წლის 28 დეკემბერს დაიწყო საქართველოში ნამდვილი ქარხნული წესით თუჯის პირველი წარმოება [135].

ქარხანა დაჯდა 217 086 მანეთი და 18 კაპიკი. აქედან 1863 წლის პირველ იანვრისათვის ხაზინიდან სესხის სახით მიღებული თანხა შეადგენდა (პროცენტობით) 108 019 მანეთს, ხოლო კერძო პირთაგან აღებული სესხი — 109 067 მანეთს.

ქარხნის ძირითად ტექნიკურ დანადგარებსა და ნაგებობებს დასაწყისში შეადგენდა: თუჯსადნობი 40 ფუტის სიმაღლის ბრძმედი, ბრძმედის ყელზე კაზმის მიმწოდებელი მექანიკური მოწყობილობა, თუჯის ჰაერსაბერველი მანქანა, რომელიც წყლის ბორბლის ენერგიით მუშაობდა, სასხმელო საამქრო, სადერივაციო არხი, დამხმარე სახელოსნოები (სამჭედლო, საზეინკლო, სადურგლო და ა. შ.), ადმინისტრაციული შენობა და საცხოვრებელი 14 სახლი (როგორც ორსართულიანი, ისე მიწურები).

1863 წლის დასაწყისიდან ქარხანა პოსესიური უფლებით გადაეცა ვიტესა და ბერნულის, რომელთაც დაევალა დაუყოვნებლივ შედგომოდნენ რკინის დამამზადებელი ფაბრიკის მოწყობას იმ ანგარიშით, რომ 1865 წლის დასასრულიდან ქარხანას შეძლებოდა ეწარმოებინა ნაირგვარი ხარისხის რკინაც, ფურცლოვანის გარდა.

ქარხნის ახალმა მფლობელებმა ააგეს მეორე ბრძმედი, სასხმელო განყოფილებაში თუჯის გადასადნობად ორი ბოვი (დღე-ღამეში ერთი ადნობდა 400 ფუთ თუჯს, მეორე — 500 ფუთს), გააფართოვეს მექანიკური სახელოსნოები ახალი დაზგებით, ააგეს სამჭედლო ექვსი ქურა, რომელთაგან — ოთხი ცენტრალიზებული ჰაერსაბერველებიდან ღებულობდა ჰაერს, მოეწყო სამოდელო, სადურგლო და სხვ.

1864 წლის დასაწყისში საფუძველი ჩაეყარა საგლინავ საამქროს და პუდლინგის წარმოებას. ქარხნის მეპატრონეებმა საგლინავი საამქროს ასაგებად 1864 წელს კლავდია აბხაზისაგან ისესხეს 12 000 მანეთი. საგულისხმოა, რომ საგლინავ სამ წყვილ დგანს ორთქლის ძალით უნდა ემუშავა, რისთვისაც მანქანები საზღვარგარეთიდან გამოიწერეს. ამ მანქანების ნაწილი 1865 წლის დასაწყისში უკვე ფოთში იყო მიღებული.

პუდლინგის საამქროში უნდა აგებულიყო ოთხი ღუმელი, რკინის შემდუღებელი სამი ღუმელი, ორთქლის ძალით მოქმედი ერთი ურო და სხვ.

ნავარაუდები იყო ორთქლის ქვაბების გასახურებლად ღუმელებიდან გამომავალი ცხელი გაზების გამოყენება.

1863 წელს ქარხანამ გადაამუშავა 77 516 ფუთი მადანი, რაზედაც დაიხარჯა 182 103 კუბ. ფუტი ხის ნახშირი, და მიიღო 29 838 ფ. თუჯი. აქედან თუჯის ნაკეთობა — 12 199 ფუთის რაოდენობით, ხოლო სხმულებად — 17 639 ფ. და 14 გირვანქა.

1864 წელს გადამუშავდა 106 258 ფ. მადანი, დაიხარჯა 128 179 კუბ. ფუტი ხის ნახშირი და 721 კუბ. საჟენი შეშა. თუჯი გამოადნეს 31 389 ფუთი და 29 გირვანქის რაოდენობით. აქედან ნაკეთობა 16 685 ფუთი, ხოლო შოთისა და ფილების სახით — 14 704 ფუთი. ბრძმედი № 1-ლი თითქმის ორი თვე

არ მუშაობდა შეკეთების გამო. ამავე წელს კრიცის წარმოებამ (მხოლოდ 7 თვეში) ერთი ქურით დაამზადა ზოლოვანი და თვლების შემოსაკრავი სალტის ფურცლოვანი რკინა 2562 ფუთის რაოდენობით, რაზედაც დაიხარჯა თუჯი 3202 ფუთისა და ნახშირი — 15 457 კუბ. ფუტის რაოდენობით.

ბოლნისის ქარხანაში გამოდნობილი თუჯი და რკინა გამოიყენებოდა სხვადასხვა მექანიკურ, ლითონდამამუშავებელ სახელოსნოებში, ტელეგრაფის ბოძებად, ხიდებისა და ბაღების მოაჯირებად (ამ ქარხანაშია დამზადებული თბილისის ახლანდელი კ. მარქსის სახ. ხიდისა და 26 კომისრის სახელობის ბაღის მოაჯირები), თბილისში 60-იან წლებში აგებული საავადმყოფოს კიბეებად და სხვა სამშენებლო კონსტრუქციებისათვის (და არა ხელსაწყოებისათვის, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ). ამავე საავადმყოფოსათვის ბოლნისის ქარხანამ დაამზადა ორთქლის ქვაბი. 1864 წელს საარტილერიო სამმართველომ ქარხანას დაუკვეთა თუჯის ყუმბარები და გრანატები ათი ათასი ფუთის რაოდენობით, რაც მან მომდევნო წლის დამდეგისათვის შეასრულა.

მიუხედავად იმისა, რომ ქარხნის მწარმოებლურობა ყოველწლიურად იზრდებოდა, ის მაინც ვერ აკმაყოფილებდა ლითონზე (განსაკუთრებით რკინაზე) მზარდ მოთხოვნილებას. ქარხნის ახალმა მეპატრონეებმაც სიძნელეებს თავი ვერ გაართვეს და ამიტომ საწარმომ საპროექტო სიმძლავრის მხოლოდ მეხუთედს მიაღწია.

ასე გამოიყურება რკინის წარმოება რეფორმამდელ საქართველოში.

* * *

საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის საჭირო მუშა კადრებით დაკომპლექტება რეფორმამდელ პერიოდში ძირითადად ადგილობრივი გლეხობის ხარჯზე მიმდინარეობდა.

სოფლად მიმდინარე ცვლილებათა შედეგად გაძლიერებულმა ფეოდალურმა ექსპლოატაციამ ღარიბი გლეხობის ნაწილი ფულის ამოსაგებად ქალაქებსა და ფაბრიკა-ქარხნებისაკენ გამოტყორცნა.

40-იანი წლებიდან ფულზე მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებისაკენ გლეხობის ლტოლვამ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო [104/173 — 174], რადგან სოფლად დაქირავებული შრომის გამოყენება ჯერ კიდევ სუსტად იყო გავრცელებული. გამოქცეული გლეხები დაქირავებულ მუშებად ეწყობოდნენ ხელოსან-შინამრეწველებთან, სამრეწველო ობიექტებზე, მათ შორის, მეტალურგიულ ქარხნებში, მშენებლობებზე თუ სხვაგან.

40-იან წლებში თბილისისათვის ყველაზე უფრო ტიპიური მოვლენა იყო ტვირთის მზიდავი ე. წ. „კურტნიანი მუშა", რომლის მხატვრული სახე მწერლობაში პირველად ცნობილმა ჟურნალისტმა და პოეტმა იაკობ პოლონსკიმ მოგვცა თავის ნაწარმოებში — „ბინა თათრულ უბანში" [23/318], მაგრამ მან კურტნიან მუშას შეხედა, როგორც ქალაქის ეგზოტიკურ მოვლენას და არა როგორც სოფლად მიმდინარე ღრმა სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ცვლილებათა პროცესის შედეგს.

რეფორმისწინა პერიოდში უფრო გახშირდა მებატონეებისაგან ყმების გაქცევის შემთხვევები. ეს მოვლენა ილია ჭავჭავაძემ ასახა 1860 წელს პავლოვსკში დაწერილ ლექსში — „მუშა". მასში მოცემულია კურტნიანი მუშის წარმოშობის მძაფრი სოციალური მოტივი და მისი მძიმე მდგომარეობა.

დაქირავებულ მუშებად გამოიყენებოდა სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსულნიც, მაგრამ მათი რაოდენობა ძალზე მცირე იყო.

ამრიგად, საქართველოს ხელოსნობა-შინამრეწველობის, სამრეწველო და სამშენებლო ობიექტების საჭირო მუშა კადრებით დაკომპლექტების ერთადერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა საქართველოს გლეხობა — ნაწილი დაქირავების, ნაწილი კი (სახაზინო და კერძო პირთა „მსხვილ" ფაბრიკა-ქარხნებში) — იძულებითი შრომის წესით.

დაქირავებული შრომის ეს ფორმა 40-იანი წლებიდან თანდათანობით უფრო და უფრო გავრცელდა. 60-იან წლებში (1865 წ.) თბილისის გუბერნიის მარტო „ქარხანა-ფაბრიკებში" დაახლოებით 3000 დაქირავებული მუშა იყო გაერთიანებუ-

ლი [136/142]. დაქირავებულ მუშათა ასეთი რაოდენობა მცირე არ იყო.

ვ. ი. ლენინი, იხილავდა რა სტატისტიკურ ცნობას პერმის გუბერნიის ხელოსნებსა და წვრილ მრეწველებთან მომუშავე დაქირავებულ მუშათა რაოდენობის შესახებ, აღნიშნავდა, რომ დაქირავებულ მუშათა რაოდენობა „მთელ რუსეთში ძალიან საგრძნობი უნდა იყოს, თუ, მაგალითად, მარტო პერმის გუბერნიაში ის აღწევს დაახლოებით $6^1/_2$ ათასს"[1].

პერმის გუბერნიის მარტო ერთი კრასნოუფიმსკის მაზრაც კი მოსახლეობის მხრით უფრო დიდი იყო, ვიდრე გასული საუკუნის 60-იან წლებში თბილისის გუბერნია, ხოლო მთლად პერმის გუბერნია — შეუდარებლად უფრო დიდი. ამიტომ, თუ მარტო პერმის გუბერნიაში მომუშავე 6,5 ათასი დაქირავებული მუშის არსებობა ნიშნავდა იმას, რომ ამ კატეგორიის მუშათა რაოდენობა „მთელ რუსეთში ძალიან საგრძნობი" უნდა ყოფილიყო, მაშინ, ანალოგიურად, თბილისის გუბერნიის მაჩვენებლებიც (5804 კაცი) მიგვითითებს იმაზე, რომ საერთოდ საქართველოში დაქირავებულ მუშათა რაოდენობა ფაქტობრივად უფრო მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ეს სტატისტიკაშია აღნიშნული.

ამრიგად, რეფორმამდელ საქართველოში დაქირავებული შრომის ფორმა თანდათანობით გავრცელდა, რაც ფეოდალიზმის წიაღშივე წარმოების კაპიტალისტური წესების ჩასახვისა და მისი თანდათანობით გაფართოების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, — „კაპიტალიზმის განვითარების საკითხში თითქმის ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს დაქირავებული შრომის გავრცელების მასშტაბს".

მართალია, რეფორმამდელ საქართველოში დაქირავებული შრომის გამოყენება რამდენადმე გაიზარდა, მაგრამ მისი გავრცელების მასშტაბი ისე, როგორც თვით მრეწველობის განვითარების ტემპიც, ფეოდალურ-თვითმპყრობელური წყობილების შედეგად ძალზე ჩამორჩებოდა.

ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა მრეწველობის საკვ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 412—413.

ლევ დარგშიც. საბადოთა დამუშავებას ჩვენში ეწეოდნენ სახაზინო-პოსესიური ქარხნები, კერძო პირთა საწარმოები და წვრილი გლეხური სარეწავები.

ყველაზე ფართოდ დაქირავებულ შრომას მიმართავდნენ პოსესიურ და კერძო პირთა მეტალურგიულ საწარმოებში. მრეწველობის ამ დარგში მომუშავე დაქირავებულ მუშათა უმრავლესობა ადგილობრივი გლეხები იყვნენ.

40-იანი წლებიდან როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიც, გლეხთა მოძრაობის შედეგად მეტად საძნელო შეიქმნა მრეწველობაზე გლეხების სავალდებულო მიწერა. ამიტომ მთავრობა კერძო მწარმოებლებს უფლებას კი აძლევდა ესა თუ ის საწარმო მოეწყო, მაგრამ გლეხების მიწერის გარეშე. მაგალითად, 1843 წელს ახტალის საბადოების მეპატრონე შტაბს-როტმისტრმა დ. მელიქიშვილმა ფინანსთა სამინისტროსაგან ახტალაში ქარხნის აგების ნებართვა გამოითხოვა. სამინისტრომ ქარხნის აგების ნებართვა მისცა, მაგრამ გლეხების მიწერაზე უარი შემოუთვალა იმ მოტივით, რომ „გლეხები წარმოებაში მუშაობის წინააღმდეგნი არიანო“ [137].

როგორც აღინიშნა, სისტემატური საჩივრების შედეგად, მეფისნაცვალმა მ. ს. ვორონცოვმა 1850 წლიდან ბორჩალოს მაზრის გლეხები ალავერდისა და შამბლუღის ქარხნებში სავალდებულო მუშაობიდან ფორმალურად გაათავისუფლა. რუსეთში საგლეხო რეფორმის ჩატარების შემდეგ სამთო დეპარტამენტის სპეციალური კომისია სამთო წესდების გადასინჯვასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ 1863 წელი პირველი წელიწადია სამთო წარმოებაში მხოლოდ თავისუფალი შრომის გამოყენებისაო. ზოგიერთი მკვლევარი, ემყარება რა ვორონცოვის მიერ იძულებით ჩატარებულ ზემოაღნიშნულ ღონისძიებას, აღნიშნავს, თითქოს ალავერდის ქარხანაში 1850 წლიდან მხოლოდ დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა. ეს სწორი არ არის.

სინამდვილეში, როგორც ვორონცოვის აღნიშნული განკარგულების, ისე დეპარტამენტის კომისიის მოხსენების შემდეგაც, ქარხნებზე გლეხების იძულებით მიწერა არ შეწყვეტილა და, პირიქით, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან გაიზარდა

[138/7]. ასე, მაგალითად, თუ 50-იან წლებში საშუალოდ წელიწადში ამიერკავკასიაში მეტალურგიულ ქარხნებზე მიწერილი იყო 70 გლეხი, 60-იანი წლებიდან მიწერილ გლეხთა რაოდენობა 220 კაცს აღემატებოდა, ე. ი. სამჯერ მეტად გაიზარდა.

მიუხედავად ამისა, მთელი ამიერკავკასიის მეტალურგიულ საწარმოებში იძულებითი შრომა არ წარმოადგენდა ძირითად ფორმას.

1865 წელს ამიერკავკასიის თერთმეტ მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობდა 1650 მუშა, ხოლო ქარხნებზე მიწერილი იყო 268 კაცი, ე. ი. 16 პროცენტი. აქედან ნათელია, სინამდვილეს რამდენად დაშორებულია როგორც ის მტკიცება, თითქოს რეფორმამდელ საქართველოს მეტალურგიულ ქარხნებში მხოლოდ იძულებითი შრომა იყო გაბატონებული, ისე ის აზრი, თითქოს ვორონცოვის აღნიშნული განკარგულების შემდეგ მეტალურგიულ ქარხნებში მხოლოდ დაქირავებული მუშები გამოიყენებოდა.

მეტალურგიული მრეწველობის გაფართოებასთან ერთად თანდათანობით გაიზარდა საქარხნო დასახლებაც. ასე, მაგალითად, 1850 წლის მაისისათვის ალავერდის ქარხნის მოსახლეობა შედგებოდა 52 კომლისაგან (180 სული, აქედან 125 სული— ათი წლის ასაკს ზევით). ქარხანაში მუშაობდა 32 კომლი (66 კაცი), ხოლო სამთო სამუშაოებზე — 16 კომლი (59 კაცი). შამბლულის ქარხნის მოსახლეობა 1850 წელს შედგებოდა 11 კომლისაგან (33 სული, აქედან 10 წლის ასაკს ზევით იყო 26 სული). ქარხანაში მუშაობდა 8 კომლი (12 კაცი), ხოლო სამთო სამუშაოებზე — 3 კომლი [139].

ამას გარდა, აღნიშნულ ქარხნებსა და მაღაროებში მუშაობდნენ მახლობელი სოფლების გლეხებიც.

1854 წელს ალავერდისა და შამბლულის ქარხნებს ზედამხედველის მიერ ჩატარებული აღწერის მიხედვით, აღნიშნულ ქარხნებში მუშაობდა 49 მადანმრეწველი, მუშა — 91, მედუქნე — 10, მხვნელ-მთესველი, და არა „მეპურე", როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ, — 61 კაცი.

ჩვენის აზრით, ზედამხედველის ეს „სტატისტიკური" ცნობა ზუსტი არ უნდა იყოს, რადგან, თუ წარმოებაში 114 კომლი

იყო ჩაბმული, როგორც იგი აღნიშნავდა, მაშინ თითო ოჯახიდან თითო მუშაც რომ ვივარაუდოთ, იქნებოდა არა 91, არამედ 114. მაგრამ, როგორც კომლობრივი აღწერიდანაც ჩანს, ზოგიერთ ოჯახს 2—3 მუშა წევრი ჰყავდა.

1863 წლისათვის ალავერდის მოსახლეობაში მარტო მამაკაცთა რაოდენობამ 293 მიაღწია, ხოლო შამბლუღში 39-მდე. ალავერდის მახლობლად მდებარე „სამრეწველო" სამიწათმოქმედო სოფლებში (კოგოსი, იაგდანი და სხვ.) ცხოვრობდა 323 კაცი. მათი საგრძნობი ნაწილი სამთო წარმოებაში იყო ჩაბმული, როგორც დაქირავებული მუშები.

ამავე წელს ახტალის ქარხნის მფლობელნი (ნ. ბარათაშვილი, მეხტი-ბეგი და კომპანია) სპილენძის საბადოს 12 დაქირავებული მუშით ამუშავებდნენ.

1864 წელს ალავერდისა და შამბლუღის ქარხნები საგრძნობლად გაფართოვდნენ. გაიზარდა მუშათა რაოდენობაც. ალავერდის წარმოებაში მუშაობდა 298, შამბლუღის წარმოებაში— 42 მუშა. ამას გარდა, ალავერდის ქარხანასთან მუშაობდა 84 მესპილენძე, რომლებიც სპილენძის ჭურჭელს ამზადებდნენ და სოფლებში ჰყიდდნენ.

ასეთმა ცვლილებებმა გაზარდა ქარხნის მწარმოებლურობაც. მარტო ალავერდის სამთო წარმოებამ დაამზადა 46 680 ფუთი მადანი და გამოადნო 9283 ფუთი სპილენძი, საიდანაც 2000 ფუთი მესპილენძეებმა ჭურჭლად გადაამუშავეს.

1865 წელს ოქტომბერს დაარსდა მეპაიეთა ორი ამხანაგობა და ამასთან დაკავშირებით შამბლუღის წარმოება ალავერდის ქარხანას გამოეყო. „ამხანაგობები" წარმოებაში იყენებდნენ დაქირავებულ მუშებს.

ალავერდის ქარხნის სამრეწველო დასახლებაში 1865 წელს ირიცხებოდა 298 მამაკაცი, ხოლო მესპილენძეთა რაოდენობა 90 კაცამდე გაიზარდა. შამბლუღის ქარხნის მუშათა რაოდენობამ 50 კაცს მიაღწია. ახტალის ქარხნის მუშათა რაოდენობა (12 კაცი) უცვლელი დარჩა. პირველ ორ საწარმოში ყოველდღიურად 340 კაცზე მეტი გამოდიოდა სამუშაოდ.

თანდათანობით იზრდებოდა წვრილ მრეწველთა რაოდე-

ნობაც: 1863 წელს ორივე ქარხანაში იყო 60 მრეწველი, 1864 წელს — 100, ხოლო 1865 წელს — 110.

დაქირავებულ შრომაზე იყო დამყარებული ფოლადაურის ქარხნის როგორც მშენებლობა, ისე მისი ექსპლოატაცია. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით 1865 წელს ამ წარმოების ყველა უბანზე 208 კაცი მუშაობდა. აქედან: რუსი იყო — 18, გერმანელი — 48 და ე. წ. „აზიელები" (ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები და ირანელები) — 142 კაცი [135/218 — 219].

დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა აგრეთვე ნავთობის სარეწავებზე და ტყიბულის მაღაროში.

ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობა მრეწველობის ამ დარგებში დაქირავებულ მუშათა რაოდენობაზე, მაგრამ ზემოთ უკვე აღნიშნული მწარმოებლურობა 40—60-იან წლებში არაპირდაპირი გზით გვიჩვენებს, რომ მათი რაოდენობა მცირე არ უნდა ყოფილიყო.

დაქირავებული შრომის გავრცელებას ადგილი ჰქონდა ამიერკავკასიის სხვა მეტალურგიულ ქარხნებშიც. საკმარისია აღინიშნოს, რომ უკვე მოხსენიებულ როზოვ-მარიამ აფხაზის ორ ქარხანაში 1848 წელს გამოიყენებოდა 455 დაქირავებული მუშა.

ამრიგად, რეფორმამდელი საქართველოს სამთამადნომეტალურგიულ მრეწველობაში, ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც, დაქირავებული შრომის გამოყენება სისტემატურად იზრდებოდა და შემდგომში ის შრომის ძირითად ფორმად გადაიქცა.

* * *

საწარმოო ტექნიკის დონე და წყობა ასახავენ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა გარდაქმნის პროცესს.

ვ. ი. ლენინი, იხილავდა რა ჩამორჩენილი ურალისა და დაწინაურებული სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველობას, მათ ურთიერთ განმასხვავებელ ერთ-ერთ ნიშნად საწარმოო ტექნი-

კის დონესა და წყობას მიიჩნევდა. ფეოდალიზმის გადმონაშთების არტახებში მყოფ ურალში გაბატონებული იყო რუტინული ტექნიკა, ხოლო კაპიტალისტურ საფუძველზე განვითარებულ სამხრეთ რუსეთში — მანქანური ინდუსტრია. დაქირავებულ შრომაზე და შრომის დანაწილებაზე დამყარებული მანუფაქტურა,—გვასწავლის ვ. ი. ლენინი,—„ტექნიკის არსებით გარდაქმნას ახდენს... მაგრამ ხელით წარმოება მაინც რჩება, — და წარმოების წესების პროგრესი მის ნიადაგზე აუცილებლად ძალიან ნელა სწარმოებს... მხოლოდ მსხვილი მანქანური ინდუსტრია ახდენს რადიკალურ ცვლილებას, აძევებს ხელით მუშაობის ოსტატობას, გარდაქმნის წარმოებას ახალ. რაციონალურ საფუძველზე, სისტემატურად იყენებს წარმოებაში მეცნიერების მონაცემებს“[1].

როგორ გამოიყურება ამ მხრით საქართველოს რეფორმამდელი სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა?

ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ, რომ რეფორმამდელი საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა დამყარებული იყო მეტად ჩამორჩენილ საწარმოო ტექნიკაზე, რაც მის განვითარებას აფერხებდა.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი ხელაღებით უარყოფს იმ სიახლესაც, რასაც სინამდვილეში ადგილი ჰქონდა მრეწველობის აღნიშნული დარგის ტექნიკაში. ისინი იმასაც კი მიუთითებენ, თითქოს ამ მიმართულებით ჩვენში ადგილი ჰქონდა სრულ უძრაობას და ამიტომ მეტალურგიაში „არ იყენებდნენ არც წყლის ძალას და არც ცხენძრავს“, რაც ეწინააღმდეგება ფაქტობრივ მდგომარეობას.

მართალია, რეფორმამდელი საქართველოს მეტალურგიულ წარმოებაში ცხენძრავის გამოყენებ-ს ფაქტი ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მაგრამ რაც შეეხება წყლის ძალის გამოყენებას, ამაზე უტყუარი ცნობა მოგვეპოვება, რომლის მიხედვით საქართველოს მეტალურგიაში წყლის ბორბალი გამოიყენებოდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში [141/291].

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 584. 643—644.

რუსეთთან საქართველოს შეერთებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, სახელდობრ, 1805 წლის ზაფხულს, სამთო ექსპედიციამ ალავერდისა და ახტალის ქარხნებში ააგო წყლის რამდენიმე ბორბალი, ოღონდ არა ძველი სისტემის საბერველებისათვის, არამედ ჰოლანდური ოთხცილინდრიანი ჰაერსაბერველებისათვის. ამას გარდა, 1805 წლის მაისში იმავე ექსპედიციას ალავერდის ქარხანაში სპილენძსატკეც „ფაბრიკასთან" აუგია წყლის ბორბალი „წყლით მოქმედი" სატკეცი ურიოსათვის.

ცილინდრული ჰაერსაბერველების გამოყენებით რამდენადმე შეიცვალა ქარხნების მუშაობაც. სამთო ექსპედიციამ 1805 წლის შემოდგომას ურალის ქარხნებიდან დამატებით მიიღო სამი ჰაერსაბერველი და ქარხნის სხვადასხვა მექანიკური დანადგარები.

მაგრამ სპილენძის მეტალურგიაში ახალ ტექნიკაზე გადასვლა ერთობ ნელა მიმდინარეობდა და ისიც, რაც რეფორმამდე ამ დარგში განხორციელდა, ძალიან შორს იდგა კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი ტექნიკისაგან. ამიტომ რეფორმამდელი სპილენძის მეტალურგიული მრეწველობა ძირითადად ისევ ხელით მუშაობას, პრიმიტულ ტექნიკას ემყარებოდა, რის გამოც, როგორც ვ. ი. ლენინი დაასკვნიდა, — „წარმოების წესების პროგრესი... ნელა სწარმოებდა".

რეფორმამდელი საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის ისტორიაში ფოლადაურის ქარხანა საწარმოო ტექნიკის მხრითაც პროგრესულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. ფ. ენგელსი საბრძმედო პროცესის დასაწყისს, მის პრიმიტულ ფორმაშიც კი, განიხილავდა, როგორც რევოლუციას მეტალურგიაში, რადგან ის რკინის უწყვეტი წარმოების შესაძლებლობას იძლევა, მაშინ როდესაც ძველი ღუმელები მხოლოდ წყვეტილად მუშაობდნენ, რაც დაკავშირებული იყო საწვავის დიდ ხარჯთან და იწვევდა მცირე მწარმოებლურობას.

ქარხანაში გამოიყენებოდა მაღალშახტიანი ბრძმედები, თუჯის მძლავრი ცილინდრული ჰაერსაბერველები, 30 ცხენისძალიანი წყლის ბორბალი, მცირე სიმძლავრის ორთქლის ლოკომობილი. ასეთ ენერგეტიკულ ბაზაზე იყო დამყარებული

ჰაერსაბერველების, წისქვილის, სამჭედლო ჭურების, რკინის სატკეცი ურის მუშაობა, რომელთა ნაწილი ტრანსმისიული გადაცემით მოქმედებდა: ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, აღნიშნული ნიშნები წარმოებას ფაბრიკულ ხასიათს ანიჭებს[1].

მაგრამ ფოლადაურის ქარხნის მეორე და უფრო მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი საქართველოსა და რუსეთის მეტალურგიული ქარხნებისაგან მის სოციალურ ბუნებაში მდგომარეობდა. თუ საქართველოს მეტალურგიულ ქარხნებში ერთდროულად იძულებითი და დაქირავებული შრომა გამოიყენებოდა, ხოლო რუსეთის მრეწველობის ეს დარგი იძულებითი შრომის ციტადელს წარმოადგენდა, ფოლადაურის ქარხნის მშენებლობა და ექსპლოატაციაც, როგორც აღინიშნა, მხოლოდ და მხოლოდ დაქირავებულ შრომას ემყარებოდა.

ვ. ი. ლენინი, იხილავდა რა მსხვილი მრეწველობის ისტორიულ-სტატისტიკურ მონაცემებს, ორი სახის საწარმოებს განასხვავებდა: ვაჭართა ფაბრიკებსა და საბატონო-პოსესიური ხასიათის მემამულურ საწარმოებს. იგი აღნიშნავდა, რომ საფეიქრო მრეწველობა 60-იან წლებამდე თუმცა მსხვილ საწარმოებში იყო თავმოყრილი, მაგრამ ისინი მაინც კაპიტალისტურ საფაბრიკო ინდუსტრიას არ მიეკუთვნებოდნენ, რადგან იძულებით შრომასა და ჩამორჩენილ ტექნიკას ემყარებოდნენ, ხოლო ვაჭართა ფაბრიკები, პირიქით, — დაქირავებულ მუშებსა და ახალ მანქანებსო[2]. „იქ,—გვასწავლის ვ. ი. ლენინი,— სადაც სასაქონლო წარმოება ბატონობს და დაქირავებულ შრომას იყენებენ არა **შემთხვევით**, არამედ **სისტემატურად, უკვე არსებობს კაპიტალიზმის ყველა ნიშანდობლივი თვისება**“[3]...

როგორც ზევით აღინიშნა, ფოლადაურის ქარხნის როგორც მშენებლობა, ისე ექსპლოატაცია დაფუძნებული იყო მხოლოდ დაქირავებული შრომის ფორმაზე; ქარხნის მფლობელი იყო კაპიტალისტი, რომელიც ერთდროულად კაპიტალისტურ ტექნიკას იყენებდა და მუშების კაპიტალისტურ ექსპლოატაციას

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 567.

[2] იქვე, გვ. 554—555.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 450. ხაზი ჩვენია.

ეწეოდა. თავი რომ დავანებოთ ამ საწარმოში ფაბრიკული ტექნიკის ელემენტების გამოყენებასაც, იგი ყოველ შემთხვევაში მანუფაქტურულ საწარმოს მაინც წარმოადგენდა, ხოლო მარქსის დებულებით, მანუფაქტურას, მისი წარმოშობის ისტორიული საფუძველის მიხედვით, მხოლოდ კაპიტალისტურ ფორმაში შეუძლია განვითარდეს[1].

მართალია, ფოლადაურის ქარხანა პოსესიური იყო, მაგრამ საბადოები, ტყის მასივები და მიწა მის მფლობელს არ ეკუთვნოდა და არც ფეოდალებისაგან ჰქონდა მიღებული, არამედ ხაზინისაგან. მემამულის კუთვნილი დამატებითი ტყე მას კონტრაქტით ჰქონდა მიღებული და ფულს უხდიდა.

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, აღნიშნული ქარხანა თავისი სოციალური სტრუქტურის, შრომის ორგანიზაციისა და საწარმოო ტექნიკის მხრით ნათლად ასახავდა ამ საწარმოს კაპიტალისტურ ბუნებას, და ის აღმოცენებული არ იყო ფეოდალურ-პოსესიურ საფუძველზე, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ ხოლმე.

ე. მუშათა მდგომარეობა

უნდა აღინიშნოს, რომ ცნობები რეფორმამდელი საქართველოს სამთო წარმოების მუშათა ყოფაცხოვრებაზე ძალზე მცირეა, მაგრამ რაც მოგვეპოვება, ისინიც ნათელყოფენ მუშათა მძიმე მატერიალურ და უფლებრივ მდგომარეობას.

მუშათა უმრავლესობა ჯერ კიდევ მოწყვეტილი არ იყო მიწათმოქმედებასა და საწარმოო საშუალებებს. ის ერთდროულად წარმოების მუშაც იყო და მიწათმოქმედიც. ამიტომ მუშა ორმაგ ექსპლოატაციას განიცდიდა.

მუშათა ექსპლოატაციის ერთ-ერთ უმძიმეს ფორმას წარმოადგენდა სამუშაო დღის ხანგრძლიობა. ორცვლიანი მუშაობის პირობებში დღის ცვლა ალიონზე იწყებოდა და შუაღამემდე გრძელდებოდა. მაღაროებსა და ქარხნებში 14—16 საათს მუშაობდნენ, ხოლო ტყეში შეშის დამზადებასა და ნახშირის გამოწვაზე — უფრო მეტ ხანს.

---

[1] К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. XVII, გვ. 388, 406.

მუშაობა წარმოებდა კვირა და უქმე დღეებშიც. მიწათ-მოქმედებასთან დაკავშირებულ მუშას წელიწადში ორჯერ ეძ-ლეოდა უფლება ორ-ორი თვით „საკუთარ“ მეურნეობაში ემუშავნა. წარმოებაში მუდმივად მომუშავეთ კი „შვებულება“ ეძლეოდა ზაფხულის თვეებში, როდესაც ცხელი სამუშაოს (მადნის დნობა) შესრულება ისედაც შეუძლებელი ხდებოდა.

ასევე ხანგრძლივი იყო მოზარდთა სამუშაო დრო, რაც 10—12 საათს აღწევდა.

მადნის გარჩევას მხოლოდ მოზარდები და ქალები ასრუ-ლებდნენ, რაც დიდ ზიანს აყენებდა მათ ჯანმრთელობას.

საწარმოო ტექნიკის ჩამორჩენილობისა და უშიშროების ტექნიკის არარსებობის პირობებში ასეთი ხანგრძლივი და უმძიმესი სამუშაოების შესრულება მუშებზე გამანადგურებ-ლად მოქმედებდა.

კატორღულ შრომას თან სდევდა მუშათა ცემა-ტყეპა, ლან-ძღვა და დაპატიმრებები, ხოლო საუკუნის დასაწყისში — გა-როზგვა და ბორკილგაყრილი მუშაობაც. ალავერდისა და შამ-ბლუღის ქარხნების ზედამხედველებისაგან შევიწროვებული მუშები სამთო სამმართველოს წერდნენ: ზედამხედველი „მარ-თალსა და მტყუანს თქვენი ნებართვის გარეშე გვცემს, გვაგი-ნებს, კაზაკებსაც უბრძანებს გვცემონ. კაზაკებს არიგებს, სა-დაც სავაჭროში ბერძნებს ნახავენ, გვცემონ და გვაგინონ. პრო-დუქტებს ჩვენზე მეტ ფასებში აყიდვინებს. უქმეებზე არ გვიშ-ვებს, რომ ვიდღესასწაულოთ“.

მუშათა მძიმე ექსპლოატაციის მაჩვენებელია ხელფასის მეტად დაბალი დონეც.

გაღატაკებული გლეხები არ ერიდებოდნენ სამთო წარმო-ებაში მიწისქვეშ უმძიმეს და ჯანმრთელობისათვის საზიანო სამუშაოებსაც, ოღონდ დახარჯული შრომის საფასურად ყო-ველთვიურად ან ყოველკვირეულად მიეღოთ ხელფასი არა ნატურით, არამედ ნაღდ ფულად. ქარხნის მოიჯარადრე ბერძ-ნები, არტელებისა თუ ამხანაგობების წევრები, სარგებლობდ-ნენ რა გლეხთა ამ მდგომარეობით, ნებისმიერად აწესებდნენ დაბალ ხელფასს, სამუშაოთა სიმძიმისა და სირთულის გაუთ-ვალისწინებლად.

მაგალითად, დაქირავებულ მუშას მადნის გამოწვაზე დღეში ეძლეოდა 20 კაპიკი, მაღაროში მომუშავეს — 30 კაპიკი, ანუ თვეში 10 მანეთი, ხოლო საბერველებისათვის ტყავის გამკეთებელს — 80 კაპიკი, ე. ი. 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე მდნობელს.

ახტალის წარმოებაში მბურღავებს დღეში ეძლეოდათ 60 კაპ., შავ მუშებს 20 კაპიკი; მადნის გამოწვაზე მომუშავე ოსტატს 1 მან. 20 კაპ., ხოლო მდნობელს—30 კაპიკი; მაღაროების ზედამხედველს („მიმბაშს"), რომელიც პროდუქციას არ ქმნიდა, წელიწადში ეძლეოდა 600 მანეთი, ხოლო მდნობელს — 300 მანეთი.

1861 წლის შემდეგაც ხელფასის დონე თითქმის იგივე დარჩა, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, პირიქით, შემცირდა კიდევაც. მაგალითად, 1863—1864 წლებში სპილენძის ქარხნის მუშას დღეში ეძლეოდა 30 კაპიკი, ხოლო ოსტატს 70 კაპიკიდან 1 მანეთამდე.

ასეთივე დაბალი ხელფასები იყო დაწესებული ფოლადაურის ქარხანაში, სადაც მუშის სამუშაო დღე 12—16 საათს აღწევდა. მეტად მცირე ხელფასი ეძლეოდათ განსაკუთრებით წამყვანი პროფესიების მუშებს. თვეში მდნობელს ეძლეოდა 50 მან., მეყალიბეს—40 მან., მეყალიბეს დამხმარეს—15—20 მან., ნაკეთობათა გამკრიალებელს 15—20 მან., წელიწადში მჭედელს ეძლეოდა 600 მან., ზეინკალს—204 მან., ზეინკლის დამხმარეს — 180 მან., შეგირდს 96 მან., ცეცხლფარეშს—300 მან., შავ მუშას — 150 მანეთი.

რამდენად შეუსაბამო იყო ხელფასი, ჩანს იქიდანაც, რომ დარაჯს წელიწადში ეძლეოდა 300 მანეთი, ხოლო მეშახტეებსა და მენახშირეებს — 160 მან.

ადგილი ჰქონდა ერთი და იმავე სამუშაოსათვის შრომის სხვადასხვაგვარ ანაზღაურებასაც.

მუშები უზრუნველყოფილი არ იყვნენ ბინებითაც. ამიტომ მაღაროელები იქვე ნესტიან და უჰაერო მაღაროებში იძინებდნენ, ხოლო ქარხნის მუშები — ნესტიან და ბნელ მიწურებში, რომელთა გასათბობად ხის ნახშირს მაღალ ფასებში იძენდნენ დამქირავებლებისაგან. თვით მიწურებსაც მუშები საკუთარი

სახსრებით აგებდნენ. შეშისა და ნახშირის დამზადებაზე მომუშავენი ტყეშივე იძინებდნენ ღია ცის ქვეშ.

ოფიციალური მიმომხილველის გადმოცემით, შირაქის ნავთობის სარეწავებზე მუშები მიწურებსა და ჩალით დაფარულ ღია კარვებში ცხოვრობდნენ. „ძნელი წარმოსადგენია,—წერდა ის, — ზამთარში როგორ უნდა იცხოვრონ ამ გამჭვალავ კარვებში“.

სამუშაო ადგილებსა და ბინებში სუფევდა ანტისანიტარია, რაც მუშებს მუსრს ავლებდა. წარმოებაში დაცული არ იყო უშიშრობის ტექნიკის ნორმები და ამიტომ ადგილი ჰქონდა დასახიჩრებასა და სიკვდილიანობას. საავადმყოფოები ქარხნებთან არ არსებობდა. საექიმო მომსახურება ცუდად იყო მოწყობილი.

უბედურ შემთხვევათა რაოდენობა წყაროებში მითითებული არ არის, მაგრამ წარმოების აღწერილი მდგომარეობა გვავარაუდებინებს, რომ იგი მცირე არ უნდა ყოფილიყო.

წარმოებაში დაღუპულ მუშათა ოჯახებისადმი, აგრეთვე მოხუცებულ და დაუძლურებულ მუშათა მიმართ მრეწველები არავითარ მზრუნველობას არ იჩენდნენ. ამიტომ ისინი უმეტესად მათხოვრობას ან, თუ ამის საშუალება გააჩნდათ, წვრილ ვაჭრობას იწყებდნენ.

მრეწველები დაინტერესებული არ იყვნენ მუშათა განათლებით, ხოლო მუშათა ტექნიკურ განათლებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მუშათა უმეტესობას წარმოდგენაც არ ჰქონდა ისეთ ელემენტარულ საზომ ერთეულებზეც კი, როგორიცაა საჟენი, არშინი და სხვ. ამიტომ მათ არ შეეძლოთ სწორად აღერიცხათ თავიანთივე ნამუშევარი. მრეწველის მიერ ერთხელ შედგენილი შტაბელი მუდმივი საზომი ერთეული იყო ყოველგვარი მადნისათვის. ზოგიერთ საწარმოში ნამუშევრის აღრიცხვა ჯოხებზე (ე. წ. „ჩუხათა“) ჭდეების ამოკვეთით წარმოებდა. ასეთი ჯოხი მზადდებოდა ორ ცალად—ერთი პუშას ჰქონდა, მეორე — მის დამქირავებელს.

სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის მუშები, ისე როგორც სხვა დარგების მშრომელნიც, მოკლებული იყვნენ

ელემენტარულ უფლებებს. მათ არ გააჩნდათ რაიმე საშუალება (მაგ., გაერთიანება) ექსპლოატატორებთან და ზედამხედველებთან ბრძოლისათვის. ის უფლებებიც, რომელიც მათ რუსეთის გლეხთა მოძრაობის შედეგად მოიპოვეს, ფარატინა ქაღალდზე რჩებოდა.

აუტანელი მატერიალური და უფლებრივი პირობების შედეგად მუშათა უკმაყოფილება ხელისუფლების და მრეწველების მიმართ თანდათანობით იზრდებოდა. ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლას მუშები დასაწყისში წარმოებიდან გაქცევით, თხოვნებითა და საჩივრებით გამოხატავდნენ, მაგრამ ბრძოლის ამ ფორმას სასურველი შედეგები არ მოჰყოლია. ამიტომ მუშათა მოძრაობამ აღნიშნულ ქარხნებში თანდათანობით საბოტაჟის, პატარ-პატარა გაფიცვებისა და „ამბოხებათა" ფორმა მიიღო.

მუშათა ასეთ ერთ-ერთ „ამბოხებას" ალავერდის ქარხანაში ადგილი ჰქონდა 1850 წლის დასაწყისში და იგი მიმართული იყო მრეწველთა თვითნებობის წინააღმდეგ. მეფისნაცვალი მ. ს. ვორონცოვი ამ ამბებით შეშფოთებული პირადად ჩავიდა ახტალაში კონფლიქტის მოსაგვარებლად. აღელვებულმა მუშებმა, ყური მოჰკრეს თუ არა ახტალაში მეფისნაცვლის ჩასვლის ამბავს, მუშაობა შეწყვიტეს, მაღაროები დაკეტეს და ყველანი ერთად ახტალაში ვორონცოვის სანახავად წავიდნენ. უკანასკნელმა მუშებს მოუსმინა და ისინი იმით დააშოშმინა, რომ საქმეს გაეცნობოდა და სათანადო ზომებს მიიღებდა. მაგრამ დაპირება მან არ შეასრულა, პირიქით, თბილისში დაბრუნების შემდეგ სამთო სამმართველოს საშუალებით საჩუქრები გაუგზავნა „პირადად მისთვის ცნობილ პირებს" — ქარხნის ზედამხედველს, ბოქაულსა და ზოგიერთ მრეწველს.

ასეთი შედეგებით გათამამებულმა მრეწველებმა უფრო გააძლიერეს მუშათა ექსპლოატაცია და ძარცვა, რამაც მუშები აღაშფოთა და წალკელ გლეხებთან ერთად „ამბოხება" განაახლეს. ამ მასობრივი მღელვარების ჩასაქრობად მეფისნაცვალმა საგანგებო რწმუნებით მიავლინა ვინმე ჰასან ჯალალოვი, რომელმაც შეძლო აღშფოთებული მუშებისა და გლეხების „დაწყნარება".

როგორც უკვე აღინიშნა, რეფორმამდე (და ერთხანს შემდგომაც) საქართველოს სამრეწველო მუშათა რიცხობრივი ზრდის ძირითად წყაროს წარმოადგენდა არა სხვა ქვეყნებიდან მოსული ელემენტი, არამედ ადგილობრივი ღარიბი გლეხობა. ამ ფენიდან გამოსული მუშა, თუგინდ დაქირავებულიც, არ წარმოადგენდა წარმოების საშუალებებს მოკლებულ თავისუფალ პირს, რომელსაც შეეძლო ბაზარზე გამოსულიყო როგორც თავისი მუშაძალის სრულუფლებიანი მესაკუთრე.

მაშასადამე, მუშათა რიგების ზრდა მიმდინარეობდა არათავისუფალ გლეხთა ხარჯზე. ისინი თავიანთ მუშაძალას გარკვეულ პირობებში ბაზარზე ჰყიდდნენ და მხოლოდ ეს ა ა ხ ლ ო ვ ე ბ დ ა მათ კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ახალ სოციალურ ფენასთან — მუშათა კლასთან.

უკვე დამოწმებული ფაქტობრივი მასალიდან ვნახეთ, რომ იმდროინდელი მუშები ნახევრად მიწათმოქმედი—ნახევრად საწარმოს მუშები იყვნენ, და ამიტომ არ ეკუთვნოდნენ წმინდა წყლის მუშებს, მუშათა კლასს, რომლის არსებობასაც ფეოდალურ-ბატონყმური წყობა საერთოდ გამორიცხავდა. მხოლოდ განვითარებული კაპიტალიზმი წარმოქმნის და აფორმირებს ასეთ ჩამოყალიბებულ კლასს—პროლეტარიატს, რომელსაც შეგნებული აქვს საკუთარი კლასობრივი ინტერესები და კაპიტალისტთა მთელი კლასის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის აუცილებლობა.

რეფორმამდელი მუშები კი, არა თუ 50-იანი წლების დასაწყისში, არამედ 1859—1861 წლების რევოლუციური სიტუაციის დროსაც, ასეთ კლასობრივ თვითშეგნებამდე ამაღლებულნი არ იყვნენ, ისინი სამრეწველო კაპიტალიზმის პირმშოს — ნამდვილი მუშათა კლასის მხოლოდ წინამორბედებს წარმოადგენდნენ.

ამიტომ, 50-იანი წლების მუშები ჯერ კიდევ არ შეადგენდნენ მუშათა კლასს. ვ. ი. ლენინი წერდა: „იმ ხანაში, ბატონყმობის დროს, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მუშათა კლასის გამოყოფაზე ყმა, უუფლებო, „დაბალი“, „შავი“ წოდების

საერთო მასიდან"[1]. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მათი ზემოხსენებული გამოსვლებიც პრიმიტულ-სტიქიურ ხასიათს ატარებდა. მიუხედავად ამისა, ამ სახის გამოსვლებსაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, — „პრიმიტიული ამბოხებანიც უკვე შეგნებულობის რამდენადმე გაღვიძებას გამოხატავდნენ. მუშები... იწყებდნენ კოლექტიური წინააღმდეგობის აუცილებლობის... შეგრძნობას"[2].

*

* *

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომის პირველ ნაწილში დამოწმებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ გასული საუკუნის დამდეგიდან, განსაკუთრებით 30-იანი წლების შემდეგ, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა საქართველოს სამეურნეო განვითარებისათვის.

მეფის მთავრობა, მიისწრაფოდა რა უზრუნველეყო მეტროპოლია საჭირო ნედლეულით, ხელს უწყობდა ჩვენში სოფლის მეურნეობის გაფართოებასა და უახლესი მეთოდების საფუძველზე მის გარდაქმნას; ახალი კულტურების დანერგვასა და სოფლად მანქანა-იარაღების გავრცელებას; წარმოიშვნენ კაპიტალისტური საწარმოები სოფლის პროდუქტების ტექნიკური გადამუშავებისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით.

სასაქონლო მეურნეობის განვითარებისა და ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების კრიზისის გაღრმავების შედეგად, 50-იანი წლებიდან საქართველოშიც შეიქმნა მსხვილ მემამულეთა ფერმერული მეურნეობები, რომლებმაც ხელი შეუწყეს სოფლად მანქანა-იარაღების გავრცელებასა და ძველი სამეურნეო იარაღების რამდენადმე გაუმჯობესებას.

რეფორმამდელ პერიოდში გაფართოვდა აგრეთვე მრეწველობა, უპირატესად შინამრეწველურ-ხელოსნური ფორმით. ქალაქად და სოფლად გაიზარდა ლითონდამმუშავებელი ხელოსნობაც.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 20, გვ. 292.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 5, გვ. 468.

საქართველოს სახალხო მეურნეობაში მომხდარმა ცვლილებამ გაზარდა ლითონზე მოთხოვნილება. ამასთან დაკავშირებით 50-იანი წლებიდან წარმოიშვა საზოგადოებრივი აზრი რკინის წარმოებისათვის ადგილობრივი მეტალურგიული ბაზის შექმნაზე, რამაც განაპირობა 60-იანი წლების დასაწყისში ფოლადაურის თუჯსასხმელო-რკინის დამამზადებელი ქარხნის ამუშავება.

რკინა გამოჰყავდათ აგრეთვე გლეხურ მეტალურგიულ სარეწავებს. როგორც ფოლადაურის ქარხნის, ისე გლეხური სარეწავების მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ გარკვეული როლი შეასრულა სახალხო მეურნეობაში, მაგრამ ის მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა ლითონზე მზარდ მოთხოვნილებას. საქართველოს სახალხო მეურნეობაში მოიხმარებოდა უმთავრესად რუსეთის რკინა, რომელმაც 50-იანი წლებიდან გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია. მიუხედავად ამისა, გარედან შემოტანილი რკინაც სრულად ვერ ფარავდა მასზე მოთხოვნილებას. ამიტომ რკინის სულობრივი მოხმარება ჩვენში ძალზე მცირე იყო.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა აგრეთვე სამთამადნომეტალურგიულ მრეწველობაში. გაფართოვდა ნავთობის წარმოება, დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის საბადოთა დამუშავება, გაფართოვდა სპილენძის წარმოება, აიგო წმინდა კაპიტალისტური მეტალურგიული ქარხანა (ფოლადაურში). ამასთან ერთად მრეწველობის ამ დარგში, ისე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან თვისობრივ ცვლილებებს: კაპიტალისტური ელემენტების შემდგომ გაფართოვებას, დაქირავებულ მუშათა რაოდენობის ზრდას, ახალი ტექნიკისა და ენერგეტიკული საშუალებების (ორთქლის ძრავების) გამოყენებას.

მიუხედავად ამისა, სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა რეფორმამდელ საქართველოში მაინც საგრძნობლად ჩამორჩებოდა, რადგან იგი ძირითადად დამყარებული იყო დაბალ ტექნიკასა და ხელით მუშაობაზე.

საწარმოთა მშრომელნი განიცდიდნენ მძიმე ფეოდალურ და კაპიტალისტურ ექსპლოატაციას. მუშებს შექმნილი არ

ჰქონდათ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები, მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ უფლებებს, რაც თანდათანობით აღვივებდა მათში ექსპლოატატორებისადმი წინააღმდეგობის აუცილებლობის შეგნებას. ადგილი ჰქონდა მუშათა პრიმიტიულ-სტიქიურ გამოსვლებს.

რეფორმამდელი ქართველი საზოგადოებრიობა, რუსეთის ტექნიკური ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა თანამონაწილეობით, ცდილობდა ქვეყნის ეკონომიურ გარდაქმნას და ამ მიზნით ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებას. მაგრამ მოწინავე მოღვაწეთა კეთილმყოფელი მისწრაფება მეტწილად განუხორციელებელი რჩებოდა, რადგან ცარიზმი და ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება ხელოვნურად აფერხებდნენ მრეწველობის განვითარებას, განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში.

მიუხედავად ამისა, მათი მოღვაწეობა უკვალოდ არ დაკარგულა და მან ერთგვარად ნიადაგი მოუმზადა რეფორმისშემდგომი პერიოდის წარმატებებს' აგრეთვე სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარების დარგში.

ნაწილი მეორე

საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა რეფორმისშემდგომ პერიოდში (1864—1900 წწ.)

ა. ქართველი საზოგადოებრიობა და რეფორმისშემდგომ მწარმოებლურ ძალთა განვითარების საკითხები

საგლეხო რეფორმამ, მისი მემამულურ-ბურჟუაზიული ხასიათის მიუხედავად, პროგრესული როლი შეასრულა კაპიტალისტური გზით საქართველოს ეკონომიური განვითარების საქმეში. ამ პერიოდიდან იწყება უმნიშვნელოვანესი ძვრები აგრეთვე მრეწველობის საკვლევ დარგში — საგრძნობლად გაფართოვდა არსებული საწარმოები, აღმოცენდა სამთამადნო მრეწველობის ახალი დარგები. მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა უფრო აქტიურად ჩაება ქვეყნის ეკონომიური განვითარების ამოცანათა განხორციელებაში და ამ მიმართულებითაც მან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. მაგრამ მწარმოებლურ ძალთა უფრო სწრაფ განვითარებას ხელს უშლიდნენ ფეოდალიზმის მძლავრი გადმონაშთები და ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიური პოლიტიკა. ამის გამო 70-იან წლებამდე საქართველოში სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა რუსეთის ცენტრალურ რაიონებთან შედარებით ნელი ტემპებით ვითარდებოდა.

ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, აგრარული რეფორმა „იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას“[1], რადგან „ისინი „განთავისუფლდნენ“ გაძარცულ-გალატა-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 126.

კებულნი, გამოვიდნენ მემამულეთა მონობიდან და იმავე მემამულეთა და მათი დამქაშების კაბალაში მოექცნენ"[1].

რეფორმა საქართველოს გლეხობისათვის უფრო არახელსაყრელ პირობებში ჩატარდა, რადგან ამის შედეგად გლეხობის საგრძნობი ნაწილი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სრულიად უმიწაწყლოდ დარჩა. მაგალითად, ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ კომლთა საერთო რაოდენობის 33 პროცენტი მიწით სრულიად არ იყო უზრუნველყოფილი[2]. თითქმის ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა თბილისის გუბერნიაშიც[3].

ნაკლებმიწიანი და უმიწო გლეხობის მდგომარეობას ამძიმებდა ნადელებით სარგებლობის კაბალური პირობები, აგრეთვე მემამულეებისადმი ნაირგვარი გადასახადი და ვალდებულებანი. „გათავისუფლებული" გლეხობა ამავე დროს ხაზინის სასარგებლოდ მძიმე ბეგარა-გადასახადებით იყო დატვირთული: საერობო, მამასახლისის შესანახი გამოსაღები, გზის მშენებლობა, სამხედრო ტვირთის ზიდვა, მუშა საქონლის გამოყოფა და ა. შ. არანაკლებ დამამძიმებელი იყო საეკლესიო-სამონასტრო და მღვდლების შესანახი ხარჯები. 1881 წელს ილია ჭავჭავაძე წერდა „ერი ვეღარ გასვლია მღვდლის ხარჯსა, რომელიც მით უფრო ემძიმება ერს, რომ განურკვეველია, განუსაზღვრელია. აბა იფიქრეთ, თუ მღვდელს დიდი ოჯახი აქვს და პატარა სიხარბეც მოსდევს, რა მუსრს აადენს თავის სამწყოსსა. ერი ამით ძალიან შეწუხებულია და მომდურავი. ამას უსათუოდ წამალი რამ უნდა დაედოს, თორემ ერს ლამის ქანცი გაუწყდეს" [144/90].

გლეხობის გაღატაკებას აღრმავებდა აგრეთვე ფულის გაბატონებასთან დაკავშირებით სოფლად სავაჭრო და სავახშო კაპიტალის გაფართოება. უამრავი ფულადი გადასახადი და ფულის უქონლობა ღარიბ გლეხობას სავაჭრო-სავახშო კაპიტალის ექსპლოატაციაში აგდებდა, ანუ, როგორც გიორგი წე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 87.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 99.

[3] იქვე, გვ. 100—102.

რეთელი ამბობდა, — „მიწაზე დამოკიდებული ბატონყმობა შეიცვალა ფულზე დამოკიდებული ბატონყმობით“. „ადამიანი შიმშილით კვდება, — ჩიოდა „სასოფლო გაზეთი“, — და შველის მაგიერ... ფულისა და პურის პატრონი (ადამიანს) უფრო გაჭირვებაში აგდებს“ [145].

მძიმე პირობებში იმყოფებოდა გლეხობის ის ნაწილიც, რომელიც ამა თუ იმ საბადოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა, რადგან მას უფლება არ ჰქონდა უკვე გამოსყიდულ მიწის ნაკვეთზედაც კი წიაღისეული თავის სასარგებლოდ დაემუშავებინა.

საქართველოში სოფლად კაპიტალიზმის განვითარებამ უფრო დააჩქარა გლეხობის ძირითადი მასის გაღატაკება და მისი ნაწილი იძულებულჰყო ფულის ამოსაგებად ქალაქებში წასულიყო სამუშაოდ.

ქალაქებისა და ფაბრიკა-ქარხნებისაკენ გლეხთა ლტოლვამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მთიანეთსა და ნაკლებმიწიან რაიონებში. მაგალითად, 1894 წელს ქუთაისის გუბერნიაში გლეხებისათვის გარესამუშაოებზე წასასვლელად გაცემული 22 183 დროებითი პასპორტიდან მარტო რაჭის რაიონის გლეხობაზე მოდიოდა 30 პროცენტი. ასეთივე თვითდინებას ადგილი ჰქონდა ზემო იმერეთშიც, კერძოდ, ჭიათურის მრეწველობის დასაწყისიდან (იხ. ქვევით). ზოგიერთი ღარიბი გლეხი სამთამადნო წარმოებაში სამუშაოდ თავისი მცირეწლოვანი შვილებით მიდიოდა.

ქალაქებში მოსახლეობის ზრდა, სამრეწველო დასახლებათა აღმოცენება (ჭიათურა, ტყიბული) და მრეწველობის, მათ შორის, სამთამადნომეტალურგიული დარგის საჭირო მუშა კადრებით დაკომპლექტება კვლავ ძირითადად სოფლიდან ლტოლვილთა ხარჯზე მიმდინარეობდა. მრეწველობის აღნიშნული დარგის განვითარებასთან ერთად სისტემატურად იზრდებოდა მუშათა რაოდენობაც.

თავისუფალ მუშათა რაოდენობის ზრდამ და ექსპლოატატორთა ხელში ფულადი კაპიტალის დაგროვებამ ხელსაყრელი ნიადაგი შეუქმნა ჩვენში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას. მიუხედავად ამისა, საქართველოში კაპიტალისტური

მრეწველობა რუსეთთან შედარებით 70-იან წლებამდე მაინც ჩამორჩებოდა: 1865 წლიდან 1870 წლამდე საწარმოთა რაოდენობა გაიზარდა მხოლოდ 6,5 პროცენტით [69/57]. ამავე დროს, ზოგიერთი საწარმოს, მაგალითად, ფოლადაურის ქარხნის, ნავთობის სარეწავების, აგრეთვე ალავერდისა და შამბლუღის სპილენძის ქარხნების მიერ პროდუქციის გამოშვება შემცირდა.

მრეწველობის საერთო ჩამორჩენილობის მიუხედავად სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა ჩვენში მაინც ვითარდებოდა და რუსეთის კაპიტალიზმი საქართველოს თანდათანობით „საქონლის მსოფლიო ბრუნვაში" აბამდა[1]. როგორც ცნობილი მარქსისტი-ეკონომისტი ა. წულუკიძე აღნიშნავდა, საქონლის მსოფლიო ბრუნვაში მონაწილეობის შედეგად საქართველოს „ეკონომიური ცხოვრება გაჩქარებით წავიდა წინ" [146/29].

კაპიტალიზმს აღარ შეეძლო აჩაჩა ურმებითა და ცხენსახედრებით წინსვლა. ამიტომ ცარიზმის სამხედრო-პოლიტიკურმა ამოცანებმა, აგრეთვე მთელს კავკასიაში რუსეთისა და უცხოური კაპიტალების ზრდამ განაპირობა 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ამიერკავკასიაში რკინიგზის მშენებლობის დაწყება, კომერციული გზების განვითარება, კავშირგაბმულობის გაუმჯობესება, ფოთის ნავსადგურის მშენებლობა და სხვ.

ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით გაიზარდა დაქირავებულ მუშათა რაოდენობა, აღმოცენდა ახალი კაპიტალისტური ტიპის საწარმოები, რომელნიც მომსახურებას უწევდნენ რკინიგზის, ნავსადგურის, საწარმოთა მშენებლობებს და ნაწილობრივ მოსახლეობას. ფოთში აიგო თუჯსასხმელო და ხეტყის სახერხი ქარხნები, ხოლო სენაკში — ცემენტის ქარხანა [147]. ფოთსა და სამტრედიაში, შემდეგ კი ხაშურსა და თბილისში აიგო მექანიკური სახელოსნოები. 1865 წელს თბილისში ამუშავდა რუქსის მექანიკური ქარხანა. გაფართოვდა მანამდე არსებული კერძო პირთა კაპიტალისტური საწარმოებიც.

ქართველი ახალგაზრდა სამოციანელები მალე დარწმუნდნენ, რომ მარტო ეროვნული და სოციალური საკითხებისათვის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 704.

ბრძოლა საკმარისი არ იყო. აკაკი წერეთელი ერთ-ერთ თავის მოგონებაში წერდა: „მარტო ზნეობითი მუშაობა არ ივარგებს, თუ ხელათ, თვალდათვალ და მატერიალურად არა დავანახეთ რა ჩვენს ხალხს, უამისოდ მათი გული არ მოიგება და ნდობა-დაჯერებაც არ იქნება“ [148]. მათ ხელი მოკიდეს ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების პრობლემებსაც.

ამ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მებრძოლი, ანუ, ილია ჭავჭავაძის დახასიათებით, — სამოციანელთა ფალავანი იყო ნიკო ნიკოლაძე. იგონებდა რა 60-იანი წლების მოღვაწეობას, ნიკო ნიკოლაძე წერდა: „საჭიროდ ვთვლიდი შემეძრა ის ცხოველმყოფი ძალები, რომლის მოქმედება და ურთიერთობა ერს ზრდის, ამაღლებს, აძლიერებს. შევეხე ეკონომიკას, კრედიტს, მრეწველობას, მიწათმფლობელობასა და თვითმმართველობას“ [149/32].

ქართველი საზოგადოებრიობა რეფორმის შემდეგაც ქვეყნის მოღონიერების ერთ-ერთ საშუალებად ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებას ვარაუდობდა. გაზეთი „დროება“ რეფორმის პირველსავე წელს აღნიშნავდა: „ჩვენში ბევრი სიმდიდრე გვაქვს, მაგრამ ხელუხლებელია და მოელის მცოდნე და მქმედ ხალხს, კაპიტალისტებს“ [150].

მადნეულების დამუშავებას ცდილობდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწენიც. მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანის მოგონებაში ვკითხულობთ: „შემდეგ წავედით ს. აბულმუქში, სადაც სპილენძის მადანი ეგულებოდათ და მამაჩემი თავის ხარჯით აწარმოებდა ძიებას“ [151/78]. ამ საბადოზე, სხვათაშორის, მიუთითებდა ვახუშტიც. ის წერდა: „აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა“ [152/39]. როგორც სამთო სამმართველოს არქივიდან ჩანს, ვახტანგ ორბელიანი ჯერ კიდევ 60-იან წლებში აპირებდა თავის მამულში, მდ. მაშავერას ნაპირებზე მდებარე სპილენძის საბადოების დამუშავებას. 1865 წელს სპილენძის საბადოების დამუშავებას სოფ. ხაშ-ხაშათალაში ცდილობდა აგრეთვე სოფიო ბეზაკი.

ერთობ გახშირდა კერძო პირთა თაოსნობა ამა თუ იმ საბადოს გამოვლინებისა და დამუშავების საქმეში. ინჟინერ-გეო-

ლოგმა გ. გ. წულუკიძემ დუშეთის მაზრაში გამოავლინა კარგი ხარისხის ქვანახშირი და სალესი ქვა. 1865 წელს გრიგოლ ორბელიანმა ნება დართო ალავერდის ქარხნის მრეწველებს ამიერკავკასიაში სპილენძის საბადოების გამოვლინებაზე. 1866—1867 წლებში ბურცრახ-ყალაში აიგო სპილენძის სადნობი კერძო ქარხანა და საცხოვრებელი სახლები. ამავე წლებში გ. გ. წულუკიძემ გამოიკვლია გუმისთის (აფხაზეთი) ქვანახშირის საბადოები. 1869 წელს თავად ყარალაშვილის ინიციატივით ახოტის ხეობაში (თელავის მაზრა) ფართო მუშაობა ჩატარდა სპილენძის საბადოთა შესასწავლად. 1865 წელს პრაპორშჩიკ კირიაკოვს ნებართვა მიეცა ხევსურეთში აღმოჩენილ ტყვია-ვერცხლისა და სპილენძის საბადოთა დასამუშავებლად საცდელი ღუმელის აგებაზე.

ინჟ. გ. გ. წულუკიძემ 1867 წელს მოითხოვა სხვადასხვა, მათ შორის ჭიათურის მანგანუმის, საბადოთა შესწავლა. ამავე პერიოდში უცხოელმა მრეწველ-კომერსანტებმა (კასტენგი და სხვ.) დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს სვანეთის ოქროს საბადოებისადმი. მხოლოდ კასტენგმა შეძლო სარეწავის გამართვა, რითაც დიდი მოგება მიიღო.

მოწინავე ქართველი მოღვაწენი საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავებით ხელს უწყობდნენ ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას.

მაგრამ რუსეთის ბურჟუაზია, მთავრობის მხარდაჭერით ხელოვნურად აფერხებდა ჩვენში მრეწველობის განვითარებას, განსაკუთრებით იმ დარგებისა, რომელნიც კონკურენციას გაუწევდნენ მეტროპოლიის მრეწველობას. ამიტომ საქართველო — უხვი ბუნებრივი სიმდიდრეების ქვეყანა, სიღარიბესა და უფულობას განიცდიდა, რასაც ვერ ურიგდებოდნენ ქართველი სამოციანელები. ამ მხრით საინტერესოა აკაკი წერეთლის ერთ-ერთი მოგონება: „სამშობლოში რომ დავბრუნდი,— წერდა ის, — რამდენსამე წლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩვენს შრომას ჯეროვანი ნაყოფი ვერ მოჰქონდა და ამის მიზეზი — კი უმთავრესად ჩვენი საზოგადო სიღარიბე იყო, მაგრამ სიღარიბე ფულითი და არა ქონებითი... ვერ მოგვიხერხე-

ბია, რომ ეს ბუნებითი სიმდიდრე, ეს ქონება, ფულად ვაქციოთ... და ფული (კი) ისეთი მანქანაა, რომ უიმისოდ ბრძოლა ცხოვრებაში შეუძლებელი და მოუხერხებელია... ბრძოლა კი როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური, მაინც ისევე საჭიროა და ამითი ფარხმალიც ერთი მხოლოდ ფულია... სხვა რომ არ იყოს რა, მარტო ეს აუარებელი მადნეულობა, რომელიც ჩვენს ურგებ მთებში იმარხება, საკმაო კი არა და მეტიც იქნება ჩვენის ქვეყნის გასამდიდრებლად!.. საჭიროა მხოლოდ, რომ ენერგიულად მოჰკიდოს ვინმემ ხელი ერთს რომელსამე მათგანს და შეუდგეს მის წარმოებას" [153].

ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა შემდგომი განვითარებისა და ჩვენში ტექნიკური მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, ქართველ სამოციანელთა თვალსაჩინო წარმომადგენლის — ინჟ. ნ. გარსევანიშვილის ინიციატივით 1868 წელს საქართველოში (თბილისი) დაარსდა რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება. მოწინავე საზოგადოებრიობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამ ღონისძიებას. გრიგოლ ორბელიანი, როგორც „მრავალმხრივ გამოცდილი და ყველა ადგილობრივი პირობის მცოდნე" არჩეულ იქნა „საზოგადოების" საპატიო წევრად. ამასთან დაკავშირებით ის საზოგადოებას აცნობებდა: „გულმხურვალედ თანავუგრძნობ რა მათ (საზოგადოების წევრთა) ესოდენ სასარგებლო წამოწყებას, ვღებულობ ამ წოდებას, სრულიად დარწმუნებული, რომ მათი განათლებული მოღვაწეობა მიაღწევს ნავარაუდებ დიად მიზანს: აქაურ მხარეში განავითარონ ტექნიკური მრეწველობა, რომელიც ყოველთვის და ყველგან შეადგენს სახალხო კეთილდღეობის მთავარ საფუძველს" [154].

მაგრამ ტექნიკურმა საზოგადოებამ 70-იან წლებამდე ვერ მოასწრო სამთამადნომეტალურგიულ მრეწველობაში რაიმე ხელშესახები ძვრების მოხდენა.

უშედეგოდ დამთავრდა აგრეთვე აკაკი წერეთლის ცდებიც ჭიათურის საბადოთა სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყების საქმეში (დაწვრილებით ქვევით — „ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა").

ამრიგად, 1865 წლიდან 1870 წლამდე საქართველოს სამ-

თამადნომეტალურგიულ მრეწველობაში რაიმე არსებითი ძვრები არ მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ უმნიშვნელო ცვლილებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობაში: ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის ინტერესთა გაფართოება და ქვანახშირის ამოღების რამდენადმე ზრდა[1].

მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა 70-იანი წლებიდან — ჩვენში საგლეხო რეფორმის საბოლოოდ დამთავრების შემდეგ. ამ ისტორიულ ამბავს მეორე ისტორიული ფაქტი დაემთხვა: რკინიგზის ამუშავება 1871 წლის აგვისტოში ფოთი-ქუთაისის უბანზე, ხოლო 1872 წლის 10 ოქტომბერს ფოთი-თბილისს შორის. საქართველოს ველები პირველად ამ დღეს გადასერა ორთქლმავალმა, როგორც კაპიტალიზმის საბოლოო გამარჯვების ერთგვარმა მაუწყებელმა.

რკინიგზის გაყვანამ უფრო დააჩქარა ჩვენში სამრეწველო კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება, და არა მისი აღმოცენება, როგორც ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს.

რკინიგზამ ფართოდ გაუხსნა გზა რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალიზმს, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა საქართველოს მრეწველობაზე. გაფართოვდა უცხოური კაპიტალის მონაწილეობაც.

ამის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა საქართველოს მრეწველობა. თუ 1874 წელს საქართველოში სულ 521 ფაბრიკა-ქარხანა ირიცხებოდა, ათი წლის შემდეგ მათი რაოდენობა 1160-მდე გადიდდა. გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვებაც — 2240 ათასი მანეთიდან 1874 წელს 12 572 ათას მანეთამდე 1884 წელს, ე. ი. გაიზარდა 5,6-ჯერ მეტად [69/47].

რკინიგზის ქსელის გაფართოებამ საგრძნობლად გაადიდა მოთხოვნილება სამთამადნომეტალურგიულ პროდუქციაზე

[1] საქართველოს კომუნისტური პარტიის დასახელებულ „ნარკვევებში" ნათქვამია, რომ ტყიბულში „ქვანახშირის ამოღება გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო" (გვ. 14—15). ეს სწორი არ არის. საბადოების აღწერა დაიწყო გასული საუკუნის 20-იან წლებში, მცირე მასშტაბით მისი ექსპლოატაცია 40-იანი წლებიდან (დამატებით ნახ. ნიკო ნიკოლაძე, თხზ., 1960 წ., ტ. 2, გვ. 582, 609—611), ხოლო ინტენსიური დამუშავება კი 70-იანი წლებიდან, როდესაც რკინიგზა ამუშავდა.

(ლითონი, საწვავი), აგრეთვე მანქანათსამშენებლო მრეწველობის ნაკეთობაზე. ამის შედეგად კი ლითონისა და საწვავის ხარჯი მოსახლეობის ერთ სულზე გაიზარდა.

ნავთობსა და ქვანახშირზე საწარმოო მოხმარების ზრდამ გააფართოვა ბაქოსა და ტყიბულის მრეწველობა; რკინიგზამ ხელი შეუწყო ნავთობის ექსპორტის გაფართოებას, ბათუმში ახალი კაპიტალისტური საწარმოების აღმოცენებას; დააჩქარა ჭიათურის საბადოთა ექსპლოატაციის დაწყება, გააფართოვა ვაჭრობა-საქონელბრუნვა, სოფლად კაპიტალიზმის განვითარება და ახალი ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების წარმოშობა რიცხვმრავალი მოსახლეობით. 50-იანი წლების მეორე ნახევარში ფოთში რამდენიმე ფიცრული სახლი იყო, ხოლო რკინიზგის ამუშავების მომენტისათვის (1871 წ.) — აქ გამოჩნდა აგურის სახლები, დუქნები, სასტუმროები, ქალაქის ბაღი, დაიწყო ჭაობის ამოშრობა და სხვ.

რკინიგზის გაყვანა საზოგადოებრიობამ თუმცა თავიდანვე პროგრესულ მოვლენად მიიჩნია, მაგრამ ის იმავე დროს შიშს გამოსთქვამდა, რომ ეს „შესანიშნავი და ძვირფასი“ საშუალებაც გამოყენებული იქნებოდა მცირერიცხოვან პირთა მიერ თავიანთ სასარგებლოდ.

სერგეი მესხი წერდა: „ჩვენს ფოთი-თბილისის რკინიგზას ეკონომიურის მხრით არა მგონია, ჯერჯერობით მაინც, რომ მაგდენი მნიშვნელობა ექნეს ჩვენს ხალხზე. როდესაც „ხალხზე“ ვამბობ, მე მდაბიო, სოფლის ხალხი, ჩვენი უბრალო ხალხი მყავს მხედველობაში, და არა ვაჭრები, რომლების ვაჭრობაზედ რკინიგზას... უეჭველია, კარგი მნიშვნელობა ექნება“ [155].

საზოგადოებრიობის ეჭვები ცხოვრებამ სავსებით გაამართლა. გაღატაკებულ გლეხს საშუალება არ ჰქონდა თავისი ჭირნახულის „ნამატი“ რკინიგზით ქალაქში ჩაეტანა, და მას ჩალის ფასად ვაჭარ-ჩარჩები, კულაკები და სხვანი იძენდნენ.

მიუხედავად ამისა, რკინიგზამ საბოლოო ანგარიშში პროგრესული როლი შეასრულა მწარმოებლურ ძალთა საერთო გამოცოცხლებასა და შემდგომ განვითარებაში. როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი კაპიტალისტები უფრო ფართოდ დაინტერესდნენ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენე-

ბით. ამავე მიმართულებით მოქმედებდა ადგილობრივ მცხოვრებთა ნაწილი და, მათ შორის, ბევრი საზოგადო მოღვაწე. ამასთან დაკავშირებით გიორგი წერეთელი 70-იანი წლების დასაწყისში სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „მადნეულობით გამდიდრება ახლა მრდაში შემოვიდა“, ხოლო ს. მესხი წერდა: „თითქმის კაცს ვერ ნახავთ ახლა იმერეთში, რომ იმედი არ ჰქონდეს, ჩემს მამულში, დღეს თუ ხვალ, ოქრო თუ არა, სპილენძი ან სხვა რამე მადანი მაინც უთუოდ აღმოჩნდება და გავკეთდები კაციო“ [156]. აკაკი წერეთელი კვლავ ჭიათურის საბადოთა დამუშავებისათვის ზრუნავდა და მადნის ნიმუშებს სხვადასხვა ქალაქებში აგზავნიდა.

როგორც წინათ, ისე 70-იან წლებში მადნეულობის დამუშავებით დაინტერესებული იყო გრიგოლ ორბელიანი. 1875 წელს ის თბილისიდან მანანა ორბელიანის ვაჟს სწერდა: „ჩვენ ახლა გვესაჭიროება სხვა მეცნიერების ადამიანები, რომლებიც დაამუშავებდნენ მიწას, გამოიღებდნენ რა მისი წიაღიდან დამალულ განძებს და ამით გაამდიდრებდნენ თავის თავსაცა და მთელს მხარეს. რა არ არის აქ? რკინა, სპილენძი, ტყვია, გოგირდი, მარმარილო, ნავთი, ნახშირი... ყველაფერი, ყველაფერი, ამავე დროს მოსახლეობა ღარიბია, ღარიბი“. საგულისხმოა, რომ ამ წერილის დაწერიდან ორი თვის შემდეგ პირადად გ. ორბელიანს სამთო სამმართველოში წარუდგენია სოფ. კამიშლოდან (ლორის საბოქაულო) ტყვია-ვერცხლის მადნის ნიმუშები [157].

1876 წელს გენერალ-ლეიტენანტ ვახტანგ ორბელიანმა ხელახლა აღძრა საკითხი მის მამულში სპილენძისა და სხვა მადნების საბადოთა შესწავლა-დამუშავებაზე. მისივე მიწვევით საბადოები დაუთვალიერებია ინჟ. გ. გ. წულუკიძეს, რომელმაც მიზანშეწონილად ჩათვალა ვ. ორბელიანის კუთვნილ მამულში (სოფ. აბულმულქში, მდ. მაშავერასთან) ქარხნის აგება არა მარტო სპილენძის, არამედ სხვა ლითონებისა და ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო ქიმიური პროდუქტების წარმოებისათვის [158].

ცნობილი ქართველი ხალხოსანი მიშო ყიფიანი, გადასახლებაში ყოფნისას, ოცნებობდა, რათა მანგანუმის მადანი მის

კარმიდამოშიც აღმოჩენილიყო: „ესეც ალმართში ქვის მოწევას ემსგავსება, — წერდა ის სოფრომ მგალობლიშვილს, — მაგრამ არა ქვისა, — დამაზიანებელისა, არამედ ქვისა — ალმშენებლისა“.

აკაკი წერეთლის დავალებით, ანდრია კაპანაძე ცდილობდა სვანეთში ოქროს სარეწავის გამართვას (1874—77 წწ.), ძირულაში ქვანახშირისა და რკინის საბადოების დამუშავებას, გარეკახეთში — მარილების სარეწავების მოწყობას და სხვ. 1879 წლის დასაწყისში აკაკი წერეთელმა დაიწყო ჭიათურის საბადოთა პირველი .სამრეწველო ექსპლოატაცია (დაწვრილებით ქვევით).

საბადოების დამუშავებაზე ზრუნავდნენ აგრეთვე გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვანი.

მადნეულობისადმი მისწრაფება 80—90-იან წლებში უფრო გაფართოვდა.

საქართველოს საბადოებით დაინტერესდნენ როგორც ადგილობრივი, ისე, უფრო მეტად, საზღვარგარეთელი კაპიტალისტები. აკაკი წერეთელი 80-იანი წლების მეორე ნახევარში სოსიკო მერკვილაძეს აცნობებდა, რომ მასთან ჩამოვიდა ერთი ინგლისელი კაპიტალისტი-მილიონერი, რომელსაც განზრახული აქვს მთელი კავკასიის საბადოები ხელში ჩაიგდოსო [159/143]. ნიკო ნიკოლაძე 1886 წელს ავჭალიდან დ. ერისთავს სწერდა, რომ მან როტშილდისაგან მიიღო წერილი იმის შესახებ, რომ საქართველოში ჩამოვა გამოჩენილი სენატორი და პარიზის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე, რათა მადნეულობა შეისწავლოსო [160].

ამავე პერიოდში ქართველმა მოღვაწეებმა სხვა ღონისძიებებთან ერთად უფრო გააცხოველეს პრაქტიკული მუშაობა ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებისათვის.

ილია ჭავჭავაძემ მთელი რიგი სტატიები გამოაქვეყნა მრეწველობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე; აკაკი წერეთელი ზრუნავდა ჭიათურის საბადოთა დამუშავების უკეთ წარმართვისათვის, ოქროს, რკინის საბადოების დამუშავებისათვის, წამოაყენა საკითხი ჭიათურაში რკინიგზის გაყვანისა და ფე-

რომანგანუმის წარმოების შესახებ; ნიკო ნიკოლაძე უშუალოდ ჩაება ბაქოს ნავთის ტრანსპორტირების გაუმჯობესების საქმეში, ხელს უწყობდა ჭალის ნავთობის წარმოების გაფართოებას, დასავლეთ საქართველოში რკინისა და ფერომანგანუმის ქარხნების აგების საკითხის გადაწყვეტას, საკითხს აყენებდა სამტრედია-ფოთის რაიონში ნავთსახდელი დიდი ქარხნის აგების შესახებ და სხვ.; გიორგი წერეთლის ინიციატივით დაიწყო ჭალის ნავთობის საბადოთა ექსპლოატაცია (დაწვრილებით ქვევით), ნიკო ნიკოლაძესთან ერთად იბრძოდა ჭიათურაში რკინიგზის გაყვანისათვის; ვ. ღოღობერიძე დასაწყისიდანვე მონაწილეობდა ჭიათურის საბადოების დამუშავებაში და ამ საქმეში ითრევდა ადგილობრივ სავაჭრო კაპიტალს; ნიკო ღოღობერიძემ 80-იანი წლებიდან ხელი მოკიდა ჭიათურის საბადოს ექსპლოატაციას, აკაკი წერეთლის შემდეგ პირველად მან უშუალოდ გაიტანა მადანი მსოფლიო ბაზარზე. ასევე წარმატებით იღწვოდნენ პ. წულუკიძე, ნ. დადიანი, დ. ბაქრაძე, მ. გურიელი და სხვ.

ამ ღონისძიებებში მათ დიდ პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ რუსეთის სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები ს. სიმონოვიჩი, ლ. ბაცევიჩი, ა. სოროკინი, სტატკოვსკი, პალაშკოვსკი და სხვები.

90-იან წლებში გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი) უშუალოდ ხელმძღვანელობდა მანგანუმის მრეწველთა საბჭოს, ცდილობდა უცხოურ ფირმათა მონაწილეობით დასავლეთ საქართველოში ოზოკერიტის საბადოების დამუშავებას, რისთვისაც დააარსა ამხანაგობა.

საქართველოს სამთო მრეწველობაში ნაირგვარ მონაწილეობას ღებულობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები და მოღვაწენი: ეგნატე ნინოშვილი, პ. უმიკაშვილი, თ. სახოკია, ს. ქვარიანი, რომელთაც თავიანთი წვლილი შეჰქონდათ ამ დარგის განვითარებაში.

დასასრულ, მოკლედ, ადგილობრივ მეწარმე ქალებზე, რომელთა ღვაწლი ამ მიმართულებით ლიტერატურაში დღემდე საერთოდ უცნობია.

შრომის წინა ნაწილში უკვე მოვიხსენიეთ სოფ. კარდანა-

ხიდან (თელავის მაზრა) შუშაში წასული მარიამ აფხაზი, რომელმაც ჯერ კიდევ 40-იან წლებში როზოვთან ერთად ააგო სპილენძის სადნობი ორი საკმაოდ დიდი ქარხანა. ამავე პერიოდში ვინმე ბელიაევის მეუღლე — თეკლე ივანეს ასულმა კუკიაში (თბილისი) ააგო საწახნაგო ფაბრიკა. 60-იანი წლების დასაწყისში „კნიაჟნა თამარ მელიქიშვილმა" თავისი კუთვნილი ახტალის საბადოები კონტრაქტით ბერძნებს გადაცა. სოფიო ორბელიანი-ბეზაკი სპილენძის საბადოთა დამუშავებაზე ზრუნავდა. ფოლადაურის ქარხნის მეპაიეთა ამხანაგობაში საკმაოდ დიდი თანხით შედიოდა კლავდია აფხაზი, რომელმაც მარტო საგლინავი დგამის შესაძენად 12 ათასი მანეთი შეიტანა.

რეფორმის შემდეგ ქართველი ქალების მეწარმეობითი მონაწილეობა უფრო გაიზარდა. 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში მონაწილეობდნენ: სალომე ქაიხოსროს ასული წერეთელი-ანდრონიკაშვილის ქვრივი, რომლის მადნიანი მამული იჯარით აიღო აკაკი წერეთელმა და დაიწყო საბადოთა პირველი სამრეწველო ექსპლოატაცია; სალომეს და — მარიამი, მუხრან-ბატონის ქვრივი; ცნობილი ელისაბედ წერეთელი, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ჭიათურის რკინიგზის გაყვანის საკითხის გადაწყვეტაში. 80-იან წლებში ფოლადაურის ქარხნის აღდგენაზე იღწვოდა მილიონერ ი. შაბუროვის ქვრივი — ვიქტორია ნიკოლოზის ასული, რომელიც ერთდროულად ტყიბულის ქვანახშირის საბადოთა დამუშავებაში მონაწილეობდა. ანდრია კაპანაძის მეუღლე — ქეთევანი გარეკახეთის მარილების დამუშავებაში მონაწილეობდა.

90-იან წლებში ქეთევან დიმიტრის ასული ერისთავი ცდილობდა ბაღდადის (ახლა მაიაკოვსკის) რაიონში სპილენძის. ნავთობისა და მანგანუმის საბადოების დამუშავებას[1]. ამავე

[1] ქეთევან ერისთავი საბადოთა დამუშავებას ცდილობდა ადგილობრივი გლეხების მეურნეობათა შემცირების ხარჯზე, რასაც წინაღუდგა ჩვენი ეპოქის დიდი პოეტის ვ. ვ. მაიაკოვსკის მამა — ვლადიმერ კონსტანტინეს ძე მაიაკოვსკი, რომელიც იმ დროს ბაღდადის სატყეო მეურნეობას ხელმძღვანელობდა (დაწერილებით ქვევით — „ნავთობის სარეწაები საქართველოში").

პერიოდში ნინო ზაქარიას ასული ანდრონიკაშვილი-ჯორჯაძისა გიორგი ზდანოვიჩთან ერთად ოზოკერიტის საბადოების დამუშავებას აპირებდა. ქართლსა და ხევსურეთში ოქროს საბადოთა სარეწავების გამართვას ცდილობდნენ: იოსებ მუხრან-ბატონის ასული ქეთევანი, თინათინ ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე, მარიამ თეიმურაზის ასული ბარათაშვილი, მარიამ დიმიტრის ასული ყარანგოზიშვილი, კლავდია ვასილის ასული სერებრიაკოვა, გენერალ-ადიუტანტ ივანე გიეის ძე ამილახვრის მეუღლე — ანა ალექსანდრეს ასული და სხვ.

ამრიგად, კაპიტალიზმის განვითარებამ, განსაკუთრებით რკინიგზის გაყვანის შემდეგ, საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების კომერციულ-სამეურნეო საქმეში ჩაება აგრეთვე მაღალი წოდების ქალები.

საბადოებით ქართველი თავადაზნაურობის ნაწილის ასეთი ფართო დაინტერესება, როგორც სამართლიანად მიუთითებდნენ გ. წერეთელი და ს. მესხი, უნდა აიხსნას უმთავრესად ფულადი კაპიტალის შეძენისა და ახალ ურთიერთობასთან იძულებითი შეზრდის მისწრაფებით. მაგრამ თავადაზნაურობის მცირერიცხოვანი ჯგუფი ქვეყნის დაწინაურების ინტერესებიდან გამოდიოდა და ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას.

თუმცა საქართველოს ეკონომიური განვითარების წინამძღვრები უკვე თვით ადგილობრივ პირობებში იყო მოცემული, მაგრამ ეს არ გამორიცხავდა გარეშე ფაქტორის გავლენასაც, უპირველეს ყოვლისა მზარდი რუსეთის კაპიტალიზმის მხრით, რაც რკინიგზის გაყვანის შემდგომ უფრო და უფრო გაძლიერდა. ამას ცხადყოფს შემდეგი მონაცემები: თუ 1873 წელს რუსეთიდან შემოტანილი იქნა 4992 ათასი მანეთის ღირებული საქონელი, 1881 წელს უკვე 15 835 ათას მანეთს მიაღწია, მაშინ როდესაც უცხოეთიდან შემოტანილი საქონლის მოცულობა ამავე პერიოდში მხოლოდ 125 ათასი მანეთით გაიზარდა [161/10].

90-იან წლებში მრეწველობა მთელს ამიერკავკასიაში უფრო გაიზარდა. „ეს ზრდა, — წერდა ფ. მახარაძე, — ხდება მსხვილი წარმოების სასარგებლოდ და მხოლოდ“ [162/65].

რეფორმისშემდგომ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინეს ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზეც.

ჯერ კიდევ 60-იანი წლების მიწურულს კაპიტალიზმმა რელიეფურად გამოამჟღავნა თავისი დამახასიათებელი ნიშნები: სახალხო მეურნეობის აღმავლობასთან ერთად მასების სასტიკი ექსპლოატაცია, მისი გაღატაკება და შრომაზე გაბატონების პროცესი. გიორგი წერეთელი წერდა: „ჩვენში კეთდებიან რამოდენიმე ფულის მქონებელნი პირნი მრავლის შრომით და მოღვაწეობით. ახლა ვხედავთ, რომ ამ სიღარიბის გზაზე ვდგევართ და რამოდენიმე დროის შემდეგ უეჭველად პროლეტარში ჩავცვივით [163].

70-იანი წლებიდან ჩვენში კაპიტალიზმის სწრაფად განვითარებასთან დაკავშირებით საზოგადოებრიობაში უფრო კონკრეტულად დაისვა საკითხი იმაზე, თუ როგორი გზით უნდა წასულიყო საქართველოს შემდგომი განვითარება.

აკაკი წერეთელი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში საქართველოს სამრეწველო-კაპიტალისტურ განვითარებაზე ოცნებობდა. ამავე დროს ის, ითვალისწინებდა რა იმას, რომ საქართველო უაღრესად ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, სოფლის მეურნეობას სრულიად არ უგულებელჰყოფდა. პირიქით, 70-იან წლებშიც მას საჭიროდ მიაჩნდა სოფლად ახალგაზრდობის გაგზავნა, რათა მათ მეურნეობა უკეთ მოეწყოთ.

ილია ჭავჭავაძე სისტემატურად ქადაგებდა სოფლის მეურნეობის „განკარგების“ აუცილებლობას. ის არაერთგზის აღნიშნავდა: „ჩვენი ძაღ-ღონე, ჩვენის ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე, — მიწა და გუთანია... სხვა ყოველივე ფუჭია და წარმავალი“ [144/113]. ეს თვალსაზრისი მას დიდხანს არ შეუცვლია.

ამ გარემოებამ, აგრეთვე იმან, რომ ზოგიერთი მკვლევარი არ ითვალისწინებდა მწერლის ყველა პუბლიცისტურ ნაწარმოებს, „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ მის პრაქტიკულ მოღვაწეობას, განსაკუთრებით კი „ივერიაში“ გამოქვეყ-

ნებულ მასალას, თავის დროზე ხელი შეუწყო ილია ჭავჭავაძის გარშემო იმ მცდარი შეხედულების შექმნას, რომლის მიხედ-ვით ის თითქოს საერთოდ წინააღმდეგი იყო ან არაფრად მი-იჩნევდა მრეწველობას, როგორც საზოგადოებრივი განვითა-რების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ამ შეხედულებას არ ეთანხმება მრეწველობის საკითხებზე მწერლის მიერ გამო-ქვეყნებული სტატიები, აგრეთვე წლების მანძილზე მისი რე-დაქტორობით არსებულ „ივერიაში" დაბეჭდილი მასალები და მათი ძირითადი ხაზი [164].

ილია ჭავჭავაძის ნაწერებისა და მისი პრაქტიკული მოღვა-წეობის საფუძვლიანი შესწავლიდან, პირიქით, აშკარა ხდება, თუ როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ის საქართველოსა და მთელს ამიერკავკასიაში მრეწველობის განვითარებას.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში მოწინავე კაპიტალის-ტურ ქვეყნებში ადგილი ჰქონდა მსოფლიო მნიშვნელობის ძვრებს, როცა, ფ. ენგელსის სიტყვებით, „მანუფაქტურული დროის ტაატით მავალი განვითარება შეცვალა წარმოების ნამდვილმა „ქარიშხლისა და შეტევის" პერიოდმა"[1]. განვი-თარდა მანქანური ინდუსტრია, გაფართოვდა ორთქლისა და ელექტროენერგიის გამოყენება. ამავე პერიოდში საგრძნობ-ლად დაწინაურდა რუსეთი. შეიცვალა საქართველოს სოფლისა და მრეწველობის ურთიერთფარდობაც. სამრეწველო კაპი-ტალიზმი ამიერკავკასიაში გაფართოვდა.

ილია ჭავჭავაძე თუმცა წინადაც დიდ მნიშვნელობას ანი-ჭებდა მრეწველობას, მაგრამ ახლა უკვე ახალი თვალით შე-ხედა მან საქართველოში მრეწველობის განვითარებისათვის რეალურად არსებულ ბაზას და პრაქტიკულადაც დაიწყო ამ სფეროშიც თავისი წვლილის შეტანა [165]. ილია გულმოდგი-ნედ სწავლობდა მრეწველობის დარგში მოწინავე ქვეყნების მიღწევებს საქართველოში მათ გადმოსანერგავად.

უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე მაშინაც, როდესაც ის სოფლის მეურნეობას განვითარების ბურჯად მიიჩნევდა, ხაზს უსვამდა იმას, რომ სხვა დარგი მომავალში აღმოცენდე-

---

[1] ფრ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი", თბ., 1952, გვ. 309.

ბოდა: „ს ხ ვ ა გ ვ ა რ ი ს ა ხ ს ა რ ი ჯერ ჩვენში თითქმის არც კი დაძრულა, ხელნახლებიც არ არის, მ ე რ მ ი ს ს ე ლ ი ს“, — წერდა ის [166/55].

80-იან წლებში, როდესაც მრეწველობა ჩვენში უფრო განვითარდა, ილია ჭავჭავაძე ფაბრიკა-ქარხნების გამრავლებას მოითხოვდა და ხელს უწყობდა მრეწველობის კაპიტალისტურ საფუძველზე განვითარებას, ხოლო „ფულიან კაცებს“, ე. ი. ადგილობრივ სავაჭრო კაპიტალს, მრეწველობის განვითარებისადმი ინერტული დამოკიდებულების გამო, სასტიკად კიცხავდა და მრეწველობაში უფრო ფართო მონაწილეობისაკენ მოუწოდებდა. ალგეთის ქვის საბადოთა დამუშავებასთან დაკავშირებით ის წერდა: „აბა ერთი მიიხედ-მოიხედეთ ჩვენს გარშემო და გვიჩვენეთ, რომ ერთს ვისმეს მათგანს თითი გაენძრიოს ქვეყნის სიმდიდრის წასამატებლად. ამ ყოვლად და მრავალგვარად მდიდარს ქვეყანაში, საცა ათასგვარი ფაბრიკა, ქარხანა და ერთობ ამის მაგვარი მრეწველობა დიდს ხელს მისცემს მრეწველსაც და ქვეყანასაც გაამდიდრებს, არც ერთს ფულიან კაცს გუნებაშიაც არ გაუტარებია, აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება კაცმა თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს“ [166/55].

ილია ჭავჭავაძე მხარს უჭერდა და მოითხოვდა არა მარტო ისეთი ქარხანა-ფაბრიკების აგებას და გამრავლებას, რომელნიც მხოლოდ სოფლის მეურნეობას მოემსახურებოდნენ მისი პროდუქტების ტექნიკური გადამუშავების საქმეში, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს [44/268][1], არამედ ისეთ საწარმოებსაც, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საქართველოში საერთო მრეწველობის განვითარებას.

80-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია ალგეთის ქვის წარმოებაზე, ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაზე, საგზაო მშენებლობაზე, რკინიგზის ტრანს-

---

[1] აქვე შევნიშნავთ, რომ ვ. ი. ლენინი ფაბრიკა-ქარხნებში სასოფლო პროდუქტების წინასწარ ტექნიკურ გადამუშავებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზრისით (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 327—328).

პორტზე, ბაქოსა და საქართველოს ნავთობის მრეწველობაზე, ე. ი. ისეთ დარგებზე, რომელნიც სოფლის პროდუქტებს არ ამუშავებენ. აქედან მთელი სიცხადით ჩანს მწერლის დამოკიდებულება მრეწველობისადმი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ილია ჭავჭავაძეს არც ერთი ეს საკითხი არ განუხილავს მარტო თავადაზნაურობის ინტერესთა დაცვის პოზიციიდან. მას ყოველთვის მხედველობაში ჰქონდა მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

90-იან წლებში სამრეწველო კაპიტალიზმის საყოველთაო განვითარებასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძე უფრო შორს წავიდა. მას აღარ აკმაყოფილებს აღარც სოფლად მანქანაიარაღების შეტანა, იქ ფაბრიკა-ქარხნების აგება, აღარც სამთამადნო მრეწველობა. იგი მანქანური ინდუსტრიის მქადაგებლად გამოვიდა.

მიუთითებდა რა გერმანიისა და სხვა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების წარმატებაზე, რასაც მათ ტექნიკური მრეწველობის შედეგად მიაღწიეს, ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა, რათა ქართველ ხალხს მათთვის მიებაძა და ამ მიმართულებით წარემართა ქვეყნის გარდაქმნა. „ვისაც ჩვენში გული ერჩის ჩვენის ქვეყნის სიკეთისათვის, — წერდა ილია ჭავჭავაძე, — და ვინც იცის რა ძალ-ღონეს შეადგენს ერისას ვაჭრობა და მრეწველობა, იმისათვის გულში დასაჭდევია ყოველი ზემოხსენებული ამბავი (ე. ი. ტექნიკური განათლების საფუძველზე გერმანიის სამრეწველო აღმავლობა. — ა. კ.)... სახელმძღვანელოდ მისაღებია ყველგან და ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს უ ფ რ ო... ტკივილი ჩვენი აშკარაა და წ ა მ ა ლ ი ც (ე. ი. მანქანური მრეწველობის განვითარება. — ა. კ.) ნ ა პ ო ვ ნ ი ა. ჩვენ მარტო ის-ღა დაგვრჩენია, იგივე წამალი ვიხმაროთ თავისმოსარჩენად“ [166/203—204, 205].

ილია ჭავჭავაძე ქვეყნის ეკონომიური დაწინაურების ერთ-ერთ საშუალებად თვლიდა ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებას და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა მის განვითარებას. მაგრამ მწერალი კმაყოფილი არ იყო მრეწველობის ამ დარგის განვითარების შედეგებით და წერდა: მთელი ამიერკავკასია წარმოადგენს „უანგარო და გულუხვი ბუნების სა-

ბუდარს“ უზარმაზარი სიმდიდრით, მაგრამ, „აქ მცხოვრები კაცი კი მაინც ღარიბია და ღარიბი. ეგ კიდეე ცოტა ვსთქვით: ზოგჯერ თვით ეგ სიმდიდრე თავისის აუარებლობით ადამიანის დამამხობელ მიზეზადაც გვიხდება და... ჭირად გადაგვექცევა ხოლმე“ [166/220].

ილია აქ მიუთითებდა ბაქოს მრეწველობაზე, რომლითაც მხოლოდ უცხოელი კაპიტალისტები მდიდრდებოდნენ.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძე, მართალია, დასაწყისში ქვეყნის ხსნას სოფლის მეურნეობაში ხედავდა, მაგრამ ის ამავე დროს არ უარყოფდა მრეწველობის მნიშვნელობას ქვეყნის საერთო განვითარებაში. 80-იანი წლებიდან კი ის უშუალოდ ჩაება მრეწველობის ცალკეული საკითხების დამუშავებაში და ცდილობდა, რათა ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენება ხალხის საკეთილდღეოდ წარმართულიყო.

ქართველ სამოციანელთა „ახალი ახალგაზრდობაც“, რომელიც საქართველოს ეკონომიური დაწინაურების ერთ-ერთ საშუალებად ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას მიიჩნევდა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებასაც ვარაუდობდა.

„ახალი ახალგაზრდობა“ დარწმუნდა, რომ საქართველოსათვისაც კაპიტალიზმი გარდუვალი იყო, მას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარების საქმეში და ხელს უწყობდა მეწარმეობის გაფართოებით. ხშირად ამ დასის საუკეთესო წარმომადგენელნი თვით ჰკიდებდნენ ხელს ამა თუ იმ დარგის განვითარებას.

გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი და სხვ. მთელი მოწადინებით ხელს უწყობდნენ ჩვენში კაპიტალიზმის განვითარებას. 80-იან წლებში ივანე მაჩაბელი, აღნიშნავდა რა ჩვენში კაპიტალისტური წესების გაბატონების ფაქტს, მოითხოვდა ამ „ახალი წარმოების კანონების“ შეგნებას და მის შესაფერისად მოქმედებას. ის წერდა: „თუ ჩვენმა ერმა არ შეიგნო ის საგანი, რომ ახალს ვითარებას აყოლა უნდა, თუ ჩვენმა ერმა არ მიმართა ახალს წყაროებს წარმოებისას და ქვეყნის სიმდიდრისას, იგი უკან ჩამორჩება საერთო მოძრაობას, საერთო წინმსვლელობას“ [167].

მაგრამ მათ, ისე როგორც იმდროინდელ სხვა მოღვაწეებსაც, კარგად ესმოდათ ახალი ურთიერთობის უარყოფითი მხარეებიც, კერძოდ, მშრომელი მასების გაღატაკება და „პროლეტარში ჩაცვენა". გიორგი წერეთელიც გამოთქვამდა ამ მოვლენისადმი შიშს, მაგრამ როგორც საისტორიო ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ, მას არაფერი ჰქონდა საერთო ნაროდნიკების მიერ გამომჟღავნებულ შიშთან, რადგან გ. წერეთელი პროლეტარიატს არ განიხილავდა, როგორც საზოგადოების წყლულს, რომლისაგან განკურნვისათვის ნაროდნიკები კაპიტალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ [168/61]. კაპიტალიზმის დემოკრატიზაციის გზით მას შესაძლოდ მიაჩნდა „პროლეტარში ჩაცვენის" თავიდან აცილება და, ამ მიზნით, ის მუშათა ნაირგვარი გაერთიანებების, ამხანაგობებისა და ასოციაციების შექმნას მოითხოვდა.

საქართველოში უცხოური კაპიტალის გაბატონება ქართველ საზოგადოებრიობას ეროვნულ კატასტროფად მიაჩნდა და ამიტომ მის გაფართოებას ეწინააღმდეგებოდა. „ჩემს ქვეყანაში ყოველივე საქმე უფრო უპრიანია ჩემ ხელთ იყოს, ვიდრე სხვის ხელში: თუ გამორჩომაა რამე, მე გამოვრჩე, სხვის გამორჩომას", — წერდა ილია ჭავჭავაძე და ქართველი მოღვაწეებიც ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ უცხოური კაპიტალისადმი დამოკიდებულებაში.

ცხადია, ეს არ ნიშნავდა კაპიტალიზმის უარყოფას. ისინი მიისწრაფოდნენ განევითარებინათ ეროვნული კაპიტალი — მათი აზრით, ერთადერთი ძალა, რომელიც შეძლებდა უცხოური კაპიტალის მოძალება მოეგერებინა. ამისათვის გ. წერეთელს საჭიროდ მიაჩნდა ფულის მოპოვება-დაგროვება, რათა „უეცრად მოვარდნილს ნიაღვარს, — წერდა ის, — ჩვენი საერთო სახლ-კარის საძირკველი არ გამოვათრევინოთ, ისეთი ქვიტკირის კედლით შევიზღუდოო თავი, რომ მაგარი ბურჯები ჰქონდეს, არ აგვატივტივოს და ქვეყნის მორევში არ ჩაგვიტანოს — ამისთანა მკვიდრი კედელი ამჟამად უნდა იყოს ფულის გაჩენა ჩვენში, რომ ყოველ კაცს ახალი საქმის დაწყებისათვის ხელი მოენაცვლებოდეს" [169].

„ფულის გაჩენის“ ერთ-ერთ რეალურ წყაროდ, მისი აზრითაც, ადგილობრივი ბუნებრივი სიმდიდრეები იყო, მაგრამ მათი დამუშავებაც ფულად სახსრებს მოითხოვდა. ახალგაზრდა ქართველ ბურჟუაზიას საკმაო კაპიტალი არ გააჩნდა და ამიტომ ეს უზარმაზარი განძეული წლობით გამოუყენებელი რჩებოდა, თუმცა ეროვნულ ბურჟუაზიას, სათანადო სახსრების პირობებშიც, არ შეეძლო ხელი მოეკიდა მრეწველობის ფართო განვითარებისათვის, რადგან ცარიზმი, იმყოფებოდა რა უცხოური კაპიტალისადმი მონურ დამოკიდებულებაში, ხელს უწყობდა უკანასკნელის გაფართოებას. ამიტომ მთელ რიგ დარგებში (ბაქოს ნავთობი, სპილენძის მეტალურგია, ნაწილობრივ ჭიათურის მანგანუმი) უცხოური კაპიტალი იყო გაბატონებული.

რადგან „ფულის გაჩენა ჩვენში“ საძნელო აღმოჩნდა, ამიტომ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, როგორც ქვევით ვნახავთ, იძულებული გახდნენ უცხოური კაპიტალისათვის მიემართათ, რათა აემოძრავებინათ ქვეყნის მწარმოებლური ძალები. მაგრამ ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკისა და ფეოდალიზმის მძლავრი გადმონაშთების შედეგად მოწინავე მოღვაწეთა ეს პროგრესული მისწრაფებანი უმეტეს შემთხვევაში განუხორციელებელი რჩებოდა.

ამრიგად, ქართველ მოღვაწეთა გარკვეული ნაწილი, ხედავდა რა კაპიტალიზმის პროგრესულობას, მხარს უჭერდა მას და ქვეყნის ეკონომიური გაძლიერების მიზნით ცდილობდა ადგილობრივ ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებას.

რუსეთის ნაროდნიკების მსგავსად, ქართველმა ხალხოსნებმა (ლალი, ვ. წერეთელი და სხვ.) ვერ გაიგეს ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის პროგრესული მნიშვნელობა, ისინი ჩაეჭიდნენ კაპიტალიზმის მხოლოდ უარყოფით მხარეებს და არასასურველად მიაჩნდათ მისი განვითარება. მაშინაც კი, როცა საქართველოში კაპიტალიზმი სინამდვილეში უკვე გაბატონებული იყო და ვითარდებოდა, ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ კაპიტალიზმი საქართველოში არ არსებობს და ის ვერც წარმოიშობა, რადგან საქართველოს განვითარების სულ სხვა გზა აქვსო — თემური მიწათმფლობელობის

გახვითარებით სოციალიზმის დამყარება კაპიტალიზმის გაუვლელადო.

ზემოაღნიშნულის გამო ქართველ ხალხოსნებს მრეწველობის დარგისათვის რაიმე მნიშვნელოვანი კვალი არ დაუმჩნევიათ.

მიუხედავად წინააღმდეგობებისა, კაპიტალიზმი ჩვენში განვითარების ობიექტური კანონზომიერებით მაინც წინ მიიწევდა და ყოველგვარ დაბრკოლებას არღვევდა. კაპიტალიზმის განვითარებამ, როგორც ქვევით დაწვრილებით იქნება განხილული, ხელი შეუწყო ჩვენში სამთამადნო მრეწველობის ახალი დარგების წარმოშობა-განვითარებას, ხოლო წვრილი სამთამადნომეტალურგიული საწარმოების ლიკვიდაციას.

ჩვენში კაპიტალიზმის განვითარებაში გარკვეული როლი ქართულმა საზოგადოებრიობამაც შეასრულა, რისი თვალსაჩინო დამადასტურებელია საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის ქვემოთ განხილული დარგების მდგომარეობა რეფორმისშემდგომ პერიოდში.

საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა ერთობ სწრაფად განვითარდა. საგრძნობლად გაიზარდა საზღვარგარეთული კაპიტალის კუთრი წონა სპილენძის მეტალურგიაში. დაიწყო ქარხნების ტექნიკური გადაიარაღება და ახალი ენერგეტიკული სახეობის (ორთქლისა და ელექტრობის) გამოყენება, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სპილენძის წარმოება, მაგრამ განსაკუთრებული სისწრაფით განვითარება დაეტყო სამთო მრეწველობას.

ბ. რკინის წარმოება

რეფორმისშემდგომ პერიოდში რკინაზე მოთხოვნილების ზრდის მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა მრეწველობა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში რკინის წარმოების ორი ძირითადი კერა არსებობდა: ფოლადაურის (ბოლნისის) თუჯსასხმელო-რკინის დამამზადებელი ქარხანა და ზემო რაჭის წვრილი გლეხური მეტალურგიული სარეწავები. მათი მწარმოებლურობა ძალზე მცირე იყო და ისინი რკინაზე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდნენ. ეს საწარმოები კაპიტა-

ლიზმის განვითარების პირობებში სიცოცხლისუნარიანები ვერ აღმოჩნდნენ და, ბოლოს, არსებობა შეწყვიტეს.

ზემო რაჭის მეტალურგიულმა წარმოებამ 70-იანი წლებიდან რეფორმამდელ პერიოდთან შედარებით მწარმოებლურობა დიდად შეამცირა.

ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის საანგარიშო მოხსენებით, სოფ. წედისის გლეხი-მეტალურგები 1870 და 1871 წლებში რკინას „მცირე რაოდენობით" ამზადებდნენ. 1875 წელს აღნიშნულ სოფელში რკინის დამზადებაზე მუშაობდა 76 ოჯახი. ისინი ამზადებდნენ ცულებს, სახნისებს და ბაზარზე ჰყიდდნენ. 1878 წელს სოფ. წედისსა და სოფ. ქვედაში არსებობდა ერთი შახტა და ერთი წოლხვრელი, რომლებშიც 60 კაცი მუშაობდა. მათ ამოიღეს 108 ფუთის რაოდენობით მადანი და აქედან გამოუდნიათ 20 ფუთი რკინა. წარმოებაში გამოყენებული ყოფილა 8 ქურა, თითოეული 1 კუბ. არშინის მოცულობით. სარეწავებში მხოლოდ 15 დღე მუშაობდნენ და ისიც დღეში მხოლოდ 4 კაცი.

თითქმის ასეთივე მდგომარეობას ჰქონია ადგილი 1879 წელს [170].

ზემო რაჭაში რკინის წარმოების შეწყვეტის ზუსტი თარიღი დღემდე დაუდგენელი იყო. ეთნოგრაფიული მონაცემებით, ამას გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლედით ათარიღებდნენ.

ჩვენ მიერ გამოვლენილი საარქივო საბუთებით ირკვევა, რომ რაჭაში რკინის დამზადება შეწყდა 1880 წლიდან. ამის მიზეზად მითითებულია მადნის დაბალი ხარისხი და საერთოდ წარმოების არახელსაყრელობა, ხოლო ზოგიერთ საბუთში — საბადოებთან შემაერთებელი ხიდის ჩამტვრევა [171]. ამ მოტივებიდან სწორია მხოლოდ წარმოების არარენტაბელობა.

აღნიშნული სარეწავები რეფორმის შემდგომაც ერთობ დაბალ ტექნიკურ საშუალებებს ემყარებოდნენ და მათ ამ მხრით არავითარი ცვლილება არ განუცდიათ. დიდი იყო მუშა ძალისა და მასალების ხარჯიც, რაც პროდუქციას აძვირებდა.

80-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში ლითონისა და მის ნაკეთობათა შემოზიდვა რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან

უფრო გაფართოვდა. 1887 წელს საზღვარგარეთიდან მარტო შავი ზღვის გზით ამიერკავკასიაში შემოიზიდა ლითონი და მისი ნაკეთობა 2,5 მილ. მანეთის, ლითონი არასაქმეში — 213 226 მან. რაოდენობით, მანქანები და აპარატურა — 34 342 მანეთის [172]. იმავე წელს კაბოტაჟით შემოტანილი საქონლიდან რკინა-ფოლადის რაოდენობა 5 მილ. მანეთს შეადგენდა.

ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის მასალების საფუძველზე დაასკვნიდა: „რეფორმის შემდგომ ხანაში... თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური" სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო... ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქციის კონკურენციის გამო", რადგან „ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს"[1] დიდი რაოდენობით.

ეს იყო ზემო რაჭის მეტალურგიული სარეწავების დაცემის მთავარი მიზეზი და არა ხიდის ჩამტვრევა.

რაჭის საბადოებისადმი ინტერესი შემდგომაც არ შენელებულა. ამ საბადოებით დაინტერესებული იყო აკაკი წერეთელიც. 80-იანი წლების პირველ ნახევარში ის ბეჟან წერეთელს სწერდა: „ძმაო ბეჟან! თვითონ მინდოდა გადმოსვლა ისე და კითხვა, მაგრამ... ვეღარ შევძელი და ახლა წერილით გეკითხები: წედისი, სადაც რკინაა, აქედან რა სიშორეზეა? რამდენი საათის სავალი? ვის ეკუთვნის? რკინიგზიდან რა სიშორეზეა და ან რკინის გზა თუ მიიყვანება" [159/143].

ზემო რაჭის საბადოებს 900-იან წლებშიც იკვლევდნენ, მაგრამ იქ ქარხანა არ აგებულა.

რკინის წარმოების მსხვილ საწარმოს ჩვენში წარმოადგენდა ფოლადაურის მეტალურგიული ქარხანა. მაგრამ მან ძალზე მცირე დროის განმავლობაში იარსება — 1862 წლიდან 1875 წლამდე.

ქარხნის გაუქმების ერთ-ერთი მიზეზი იყო ის, რომ მის მფლობელებს ფულადი კაპიტალი არ გააჩნდათ და იძულებულნი იყვნენ სხვა პირთა დახმარებისათვის მიემართათ. ამის შე-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 703.

დეგად ქარხნის მეპაიეთა „ამხანაგობაში“ შევიდნენ: გენერალ-მაიორი კოლოსოვსკი, რომელმაც 15 000 მანეთი შეიტანა; ალექსანდრე აფხაზი და მისი მამა — დიმიტრი, რომლებმაც შეიძინეს 33 497 მანეთის პაი; ალექსანდრეს მეუღლე — კლავდია აფხაზი 138 989 მანეთის პაით. ქარხნის კრედიტორთა შორის იყვნენ მილიონერი ს. შაბუროვი, მთავარსამმართველოს უფროსი კრუზენშტერნი, თამამშევი და სხვანი. მიუხედავად ამისა, ქარხნის ფინანსური მდგომარეობა მაინც ვერ გაუმჯობესდა, ხაზინისაგან და სხვა პირებისაგან დასაწყისში მიღებული ფული საკმაო არ აღმოჩნდა, ხოლო ახალი კრედიტორების შოვნა შეუძლებელი გახდა. ამიტომ ქარხანას კიდევ ერთხელ დიდი დახმარება გაუწია გ. ორბელიანმა, რომელიც 1865 წლის 26 მაისს ფინანსთა დეპარტამენტს სწერდა: „ჩათახის ქარხანა მიმაჩნია მეტად სასარგებლო წარმოებად. ამიტომ, მხედველობაში ვიღებ რა საშიშროებას, რომელიც კაპიტალის უქონლობით მოელის, საჭიროდ მიმაჩნია ხაზინიდან აღმოვუჩინოთ მას დახმარება. მეც პირადად ვიცი, რომ მათ [ქარხნის მფლობელებმა] კერძო პირთაგან სესხის მიღება ვერ შეძლეს. საჭიროა მეფისნაცვლის თავისუფალი თანხებიდან სესხად 15 000 მანეთი მივცეთ“ [173].

ამ დახმარებით ქარხანამ რამდენადმე გამოაცოცხლა მუშაობა. 1865 წელს ქარხანაში უკვე აგებული იყო: ორი ბრძმედი კაზმის მიმწოდებელი მოწყობილობით, ერთი ბოვი თუჯის გადასადნობად, კრიცის ორი ქურა, სასხმელო საამქრო, მექანიკური სახელოსნო, საგლინავი საამქრო (შენდებოდა) და სხვ.

1865 წელს ქარხნის სხვადასხვა სამუშაოებზე გამოყენებული იყო 208 მუდმივი მუშა, რომლებმაც გამოადნეს 38 939 ფ. თუჯი ნახელავებისა და სხმულების სახით, რკინა — 5072 ფუთის რაოდენობით, მაღაროებში მოიპოვეს 142 710 ფუთი მადანი.

1867 წელს ქარხანამ ბოვებით გადაადნო 31 113 ფუთი თუჯი, აქედან სხმულებად — 21 602 ფ. და თუჯის ფილებად — 9511 ფუთი. კრიცის ღუმელებით დამზადდა რკინა 4854 ფუთის რაოდენობით.

1868 წლისათვის უზარმაზარი ვალებისა და დაკვეთების

სიმცირის შედეგად ქარხანა კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. წარმოიშვა აზრი მისი გაყიდვის შესახებ. სხვადასხვა პირთა გარდა, ქარხნის შეძენას აპირებდა ინგლისის ერთ-ერთი კომპანიაც.

მაგრამ მეფისნაცვალი არ დაეთანხმა ამ წინადადებას იმ მოტივით, რომ მთავრობის ინიციატივით აგებული ქარხნის გაყიდვა თვით მთავრობას პრესტიჟს შეურყევსო. ამასთან ერთად, მთავრობისათვის ფოლადაურის ქარხანას სამხედრო დანიშნულებაც ჰქონდა. ერთ-ერთ საბუთში წერია: „მეფისნაცვალი ქარხნის გაყიდვაზე კიდევ იმიტომ არ დაეთანხმა, რომ ომიანობის შემთხვევაში მას შეუძლია ფრონტი სწრაფად და ხელსაყრელ პირობებში უზრუნველჰყოს საჭირო ყუმბარებითა და საჭურველით“.

ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 1869 წელს ქარხანას მიეცა 90 ათასი მანეთის სახაზინო დაკვეთები ამიერკავკასიის რკინიგზისათვის.

ამის შედეგად, 1869 წელს ქარხანამ დაამზადა 121 381 ფუთი მადანი, აქედან გადაადნო 104 054 ფუთი და მიიღო 21 000 ფუთი თუჯი ნახელავების, 6730 ფუთი ფილებისა და ნამსხვრევების სახით, ხოლო რკინა — 3223 ფუთის რაოდენობით.

1868—1870 წლებში ქარხანამ, რომელშიც 170 კაცი მუშაობდა, დაამზადა მადანი 206 664 ფუთის რაოდენობით. აქედან გადაადნო 164 241 ფუთი მადანი და გამოიმუშავა 58 190 ფუთის რაოდენობით თუჯის სხვადასხვა პროდუქცია, აგრეთვე კრიცული რკინა — 9616 ფუთის რაოდენობით.

რკინიგზის დაკვეთის შესრულების მიუხედავად ქარხნის მდგომარეობა ვერ გამოსწორდა. მალე ფინანსირებაც შეუწყდა და აღარც დაკვეთები ჰქონდა.

ამასთან, უკვე ნათელი გახდა, რომ ამიერკავკასიას უფრო მეტად რკინა ესაჭიროებოდა, ვიდრე თუჯი. მაგრამ ქარხანა რკინას კვლავ კრიცული წესით ამზადებდა და ის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ამის გამო ინჟ. გარსევანიშვილი აღნიშნავდა, როგორც სამარცხვინო მოვლენას, რომ ფოლადაურის ქარხანაში რკინა კვლავ კრიცული წესით წარმოებდა. ხელისუფლებამაც იგრძნო თავიდანვე დაშვებული შეცდომა.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო იზრდებოდა ქარხნის დავალიანება. ამასთან დაკავშირებით საკითხი მისი გაყიდვის შესახებ უფრო მწვავედ დაისვა.

მაგრამ კომპანიებთან მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა. ქარხნის ფინანსური მდგომარეობა უფრო მეტად გართულდა. მას არა თუ დიდი ვალების დაფარვის, არამედ მუშებისათვის ხელფასების გაცემის საშუალებაც არ გააჩნდა.

ქარხნის ასეთი სავალალო მდგომარეობის მთავარი მიზეზი იყო ხელისუფლება, რომელმაც თავიდანვე სწორად ვერ განსაზღვრა ქარხნის პროფილი, ხოლო შემდგომ, ყოველწლიურად 150 ათასი მანეთის მოცულობით დაკვეთების ნაცვლად, 1871 წლიდან 1875 წლამდე მხოლოდ 4900 მანეთის სახაზინო დაკვეთა მისცა.

ზემოაღნიშნულის გამო ქარხანა გამოუვალ ჩიხში შევიდა და 1875 წლის 5 დეკემბერს მთავრობამ გადაწყვიტა მისი საჯარო წესით გაყიდვა.

თუ ფოლადაურის ქარხნის ამ ხანმოკლე პერიოდის საერთო შედეგებს განვიხილავთ, ისინი გვიჩვენებენ, რომ საწარმომ უეჭველად დადებითი როლი შეასრულა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობაში.

ჩვენ განკარგულებაში არსებული მონაცემებით, ქარხანამ 12 წლის განმავლობაში მოიპოვა რკინის მადანი 349 444 ფუთის რაოდენობით; თუჯად გადაამუშავა 389 445 ფუთი და სახალხო მეურნეობას მიაწოდა 210 589 ფუთი თუჯი, აქედან 114 489 ფუთი ნაკეთობათა სახით, რომელიც უშუალოდ სახალხო მეურნეობას მოხმარდა; გამოუშვა რკინა 24 183 ფუთის რაოდენობით, ხოლო გადაუმუშავებელი დარჩა თუჯის ფილები და ფხვნილი 48 584 ფუთის რაოდენობით.

1905 წელს სამთო სამმართველო დეპარტამენტს აცნობებდა, რომ ქარხანამ თითქოს თავისი არსებობის განმავლობაში გადაამუშავა მხოლოდ 346 ათასი ფუთი მადანი, გამოადნო თუჯი 119 819 ფუთის, ხოლო რკინა 17 033 ფუთის რაოდენობით. უფრო მეტ გაუგებრობას იწვევს ინჟ. ო. კარაპეტიანის ცნობა, რომლის მიხედვით, ფოლადაურის ქარხანამ 1862—1864 წწ. თითქოს გამოადნო მხოლოდ 16 685 ფუთი თუჯი [4/30]. სინამდვი-

ლეში ქარხანამ ამ წლებში გამოადნო 61 227 ფუთი თუჯი. როგორც ჩანს, კარაპეტიანმა ერთიმეორეში აურია საერთოდ გამოდნობილი თუჯის რაოდენობა ნაკეთობად გადამუშავებული თუჯის რაოდენობაში.

ფოლადაურის ქარხნის ერთ-ერთ დადებით შედეგს წარმოადგენდა ადგილობრივი კვალიფიციური მუშათა კადრების აღზრდა და სამრეწველო დასახლების წარმოშობა. სამწუხაროდ. ქარხნის არანორმალური მუშაობის შედეგად მუშათა რაოდენობა მცირდებოდა. მაგალითად, თუ 1864 წელს ქარხანაში 208 კაცი მუშაობდა, 1869 წელს — 170 კაცი, 1873 წელს მხოლოდ 65, ხოლო 1874 წელს — 72 მუშა, ფოლადაურის მუშათა დასახლება 1873—74 წლებში 150 მოსახლეს აერთიანებდა.

დადებითი შედეგების მიუხედავად, ქარხნის პროდუქციის მონაწილეობა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობაში მაინც მცირე იყო.

ქარხნის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება იყო ამიერკავკასიის რკინიგზისათვის რელსებისა და სხვა საჭირო მასალების წარმოება, მაგრამ მან რკინიგზისათვის მხოლოდ 90 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, ხოლო რელსებს საერთოდ არ აწარმოებდა.

როგორც ვნახეთ, ფოლადაურის ქარხანამ არასახარბიელო შედეგებით დაამთავრა თავისი არსებობა. მართალია, პირველი სამი-ოთხი წლის განმავლობაში მან ერთგვარი აღმავლობით დაიწყო მუშაობა, მაგრამ 1867 წლიდან თანდათან დაცემისაკენ მიემართებოდა[1].

---

1 მკვლევარი გ. ზაქარიაძე თავის მონოგრაფიულ შრომაში აღნიშნავს, თითქოს ქარხანამ 1867 წლიდან უფრო დიდი მოცულობით დაიწყო მუშაობა (გ. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე. — ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-ეკონომიური შეხედულებანი. თბ., 1955, გვ. 24). ეს დასკვნა არ ეთანხმება ფაქტობრივ მდგომარეობას და ეწინააღმდეგება ავტორისავე მიერ დამოწმებულ ცნობას, რომელიც სტ. გულიშამბაროვის შრომიდანაა მოტანილი. სინამდვილეში, რკინის წარმოება 1867 წლიდან სისტემატურად კლებულობდა და 1872 წელს, როგორც სტ. გულიშამბაროვიც აღნიშნავს, ქარხანამ დაამზადა მხოლოდ 861 ფუთი რკინა (ОФЗЗК, გვ. 182), ე. ი. სამჯერ ნაკლები, ვიდრე 1864 წელს (2562 ფ.). ქარხნის კლებად მწარმოებლურობას აღნიშნავს პროფ. ნ. ტყეშელაშვილიც (იხ. მისი დას.: „ნარკვევები, გვ. 37).

რითი უნდა აიხსნას საქართველოში თუჯისა და რკინის წარმოების ამ ერთადერთი ქარხნის ასეთი სავალალო შედეგი?

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, თითქოს აღნიშნული საწარმოს მარცხი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ „ბოლნისის რკინის საბადოები საკმარისი არ აღმოჩნდა ისეთრ დიდი წარმოებისათვის", როგორიც იყო ფოლადაურის ქარხანა და ეს უკანასკნელი ნედლეულს საკმაო რაოდენობით ვერ ღებულობდა. მეორენი აღნიშნავენ, თითქოს ქარხნის პროდუქციაზე იმ დროს „ჯერ არ არსებობდა ფართო მოთხოვნილება".

ბოლნისის რკინის მარაგი სადღეისოდ საგანგებოდ არის შესწავლილი და იგი რამდენიმე მილიონი ტონობით განისაზღვრება. ასეთი დიდი მარაგით ბოლნისის ქარხანას კიდევ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში შეეძლო მუშაობა უფრო დიდი მწარმოებლურობით, ვიდრე თავდაპირველად იყო ნავარაუდები. ამას ნათლად ამტკიცებს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში აღდგენილი ფოლადაურის ქარხნის მუშაობა და მისი პროდუქცია, რომლითაც რუსეთის ზოგიერთი მსხვილი ქარხნებიც მარაგდებოდა.

რაც შეეხება იმას, თითქოს ფოლადაურის „ქარხნის პროდუქციაზე ფართო მოთხოვნილება არ არსებობდაო", ეს საკითხიც სათანადო დაზუსტებას მოითხოვს. თუ მკვლევართ მხედველობაში აქვთ რკინა, მაშინ ეს აზრი სწორი არ არის, ხოლო თუ თუჯი — სწორია, ოღონდ ნაწილობრივ, რადგან თუჯზე მოთხოვნილებაც, როგორც ქვევით აღინიშნება, მრეწველობის გაფართოებასთან დაკავშირებით თანდათანობით სწრაფად იზრდებოდა.

თუჯს მოითხოვდა სამხედრო უწყება და საგზაო მშენებლობა, კავშირგაბმულობა და რკინიგზის ტრანსპორტი.

არსებული თუჯსასხმელი საწარმოები ვერ აკმაყოფილებდნენ თუჯზე მოთხოვნილებას და ამიტომ 80-იან და 90-იან წლებში კიდევ რამდენიმე კერძო საწარმო გაიხსნა, მათ შორის, კარაპეტოვისა და კომპანიის ქარხანა, რომელშიც 440 მუშა მუშაობდა და მისი წლიური ბრუნვა 186 ათას მანეთს უდრიდა. თუჯზე მოთხოვნილებამ გამოიწვია ისიც, რომ 80-იან წლებში

გეიკინგმა და ჩიკვაიძემ ითავეს აჯამეთში მეტალურგიული ქარხნის აგება.

განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყენებდა შავ ლითონებს ბაქოს სწრაფად მზარდი ნავთობის მრეწველობა, რომელმაც გამოიწვია თუჯსასხმელო წარმოებათა გაფართოება არა მარტო ბაქოში, არამედ ბათუმშიც.

ამრიგად, იმ პერიოდში, როდესაც ფოლადაურის ქარხანა თანდათან დაქვეითდა და ბოლოს გაუქმდა კიდეც, ამიერკავკასიაში თუჯზე მოთხოვნილება სწრაფად იზრდებოდა, და ამიტომ ქარხნის გაუქმება არ შეიძლება ავხსნათ მის პროდუქციაზე (თუჯზე) მოთხოვნილების სიმცირით.

მართალია მხოლოდ ის, რომ ამიერკავკასიას უფრო მეტად და პირველ რიგში ესაჭიროებოდა რკინა და ფოლადი.

ფოლადაურის ქარხნის ხანმოკლე არსებობა და მისი მარცხი ორი ძირითადი გარემოებით უნდა აიხსნას: რუსეთის სამრეწველო კაპიტალიზმის მძლავრი და ფართო შემოტევითა და თვით წარმოების არასწორი ორგანიზაციულ-ტექნიკური პირობებით.

როგორც აღინიშნა, რუსულმა რკინამ 50-იანი წლებიდან ამიერკავკასიაში გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია და ის საზღვარგარეთული ლითონის მძლავრი მეტოქე გახდა. ასეთ პირობებში ფოლადაურის ქარხანას შეეძლო ეარსება მხოლოდ დიდი მწარმოებლურობით, ხარისხოვანი და იაფი პროდუქციის წარმოებით, ხოლო ეს კი დამოკიდებული იყო წარმოების სწორ ორგანიზაციაზე.

ამ უმნიშვნელოვანეს წამოწყებას სათავეში ჩაუდგნენ ისეთი პირები (ლიბი, ვიტე, ბერნული), რომელთაც საკუთარი კაპიტალი არ გააჩნდათ, ხოლო ხელისუფლება წინააღმდეგი იყო ხაზინის სახსრებით ქარხნის აგებისა. ქარხნის მფლობელებმა ვერ შეძლეს საზღვარგარეთული კაპიტალის ჩაბმა, ხოლო ადგილობრივ კაპიტალისტებთან, მათდამი არასწორი დამოკიდებულების გამო, — ნდობის დამსახურება. ქარხნის მფლობელნი არარაციონალურად იყენებდნენ ხაზინისა და სხვადასხვა პირებისგან მიღებულ სესხს. მაგალითად, ე. ლიბს ბრძმედების ასაგებად საჭირო სილაც კი ქვემო სილეზიიდან შემოქონდა, მა-

შინ, როდესაც ასეთი მასალა უამრავად მოიპოვებოდა როგორც განჯაში, ისე ფოლადაურის მახლობლად — სადახლოში. ამას გარდა, როგორც ირკვევა, ადგილი ჰქონდა სახსრების გაფლანგვასა და მითვისებასაც. ყოველივე ეს ზრდიდა პროდუქციის თვითღირებულებას.

საწარმოო ტექნიკის ერთგვარი სიახლის მიუხედავად, ქარხანა ძირითადად მოძველებულ ტექნიკურ საშუალებებსა და მეთოდებს ემყარებოდა. მართალია, მაღალშახტიანი ღუმელი (ბრძმედი) საქართველოსათვის სიახლესა და პროგრესს წარმოადგენდა, მაგრამ ფოლადაურის ბრძმედის კონსტრუქცია უკვე მოძველებული იყო და ამიტომ მისი მწარმოებლურობა — დაბალი.

განსაკუთრებით ჩამორჩებოდა რკინის წარმოება. რუსეთში ჯერ კიღევ 1837 წლიდან ფართოდ გავრცელდა პუდლინგის ღუმელები, ხოლო ფოლადაურის ქარხანა რკინას ისევ კრიცული წესით აწარმოებდა.

ვ. ი. ლენინს ურალის სამთო წარმოების ჩამორჩენილობისა და მასში ფეოდალიზმის გადმონაშთების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითად სწორედ ის მიაჩნდა, რომ იქ რკინის წარმოებაში ჯერ ისევ ფართოდ და მტკიცედ იყო დამკვიდრებული კრიცული წესი[1].

ფოლადაურის ქარხანა მთლიანად ემყარებოდა ხის ნახშირსა და შეშას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ინგლისის მოწინავე მეტალურგიული მრეწველობა მხოლოდ ხის ნახშირის გამოყენებამ დასცა და იგი აღორძინდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქვანახშირისა და კოქსის გამოყენებაზე გადავიდა.

ხის ნახშირზე დამყარებულ ფოლადაურის ქარხანას არ შეეძლო გამოეწვია არსებითი გარდატეხა წარმოებაში, რადგან მხოლოდ ქვანახშირი იწვევს ასეთ ცვლილებასა და ხელით შრომის შეცვლას მანქანებით[2]. ამიტომ იგი ჩამორჩენილ კაპიტალისტურ წარმოებას წარმოადგენდა. სამხრეთ რუსეთის მეტალურგია უკვე იაფ და უხვ სათბობს — ქვანახშირს იყენებდა

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 577.

[2] იქვე, გვ. 626.

ტექნიკურად გაუმჯობესებულ საწარმოო დანადგარებში და ამიტომ მისი პროდუქციაც უხვი, იაფი და მაღალხარისხოვანი იყო. ბოლნისის ქარხანას უნარი არ შესწევდა ასეთი პროდუქციისათვის მეტოქეობა გაეწია და უცხოურმა სამრეწველო კაპიტალმაც ვერ გაუძლო რუსეთის მძლავრი სამრეწველო კაპიტალიზმის შემოტევას.

ასეთია მოკლედ ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს ჩვენში რკინის პირველი ქარხნული წარმოების შეწყვეტა.

1875 წლიდან რკინის ქარხნული წარმოება საქართველოში აღარ არსებობდა.

მიუხედავად ამისა, რკინის ადგილობრივი წარმოების საკითხისადმი ინტერესი არც ამის შემდეგ შენელებულა. პირიქით, ის აქტუალურ პრობლემად იქცა 70-იანი წლებიდან.

ამიტომ როგორც რუსეთისა და საზღვარგარეთის, ისე ადგილობრივი კაპიტალისტები, აგრეთვე მოწინავე რუსი და ქართველი მოღვაწენი, 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან ცდილობდნენ ამ საკითხის მოგვარებას, კერძოდ, ფოლადაურის ქარხნის აღდგენას.

რადგან ფოლადაურის ქარხნის აღდგენა დაკავშირებული იყო მთელ რიგ სიძნელეებთან, უმთავრესად კი სათბობის საკითხის მოუგვარებლობასთან, კერძო მეწარმენი ცდილობდნენ რკინა-ფოლადისა და თუჯის წარმოების მოწყობას სხვა ადგილზე, სადაც ქვანახშირის პრობლემა შედარებით ადვილად წყდებოდა. ასე, მაგალითად, ინჟ. შტეინმანს საჭიროდ მიაჩნდა ახალი მეტალურგიული ქარხნის აგება ტყიბულის ქვანახშირის აუზის მახლობლად.

1879 წელს ინჟ. ა. ბუნგეს, ილიმოვსა და კოვანკოს განზრახული ჰქონდათ ქუთაისში აეგოთ თუჯსასხმელო დიდი ქარხანა, სადაც გამოყენებული იქნებოდა ტყიბულის ქვანახშირი და ზემო რაჭის რკინის მადნები. ქარხანას წელიწადში უნდა გამოედნო 800 000 ფუთი თუჯი და 200 000 ფუთი რკინა. ამისათვის ქარხანაში უნდა აგებულიყო ერთი ბრძმედი, 6 ღუმე-

ლი პუდლინგისა, 6 ბატარეა კოქსის გამოსახდელად და დგანი რელსებისა და ფურცლოვანი რკინის საგლინავად.

ამიერკავკასიაში რკინის წარმოების ორგანიზაციით 80-იანი წლებიდან დაინტერესდა აგრეთვე დიდი რუსი მეცნიერი დ. ი. მენდელეევი.

კერძო მეწარმენი გარკვეულ ინტერესს იჩენდნენ აგრეთვე ზემო და ქვემო იმერეთის რკინის საბადოებისადმი. ამავე საკითხით დაინტერესებულნი იყვნენ მოწინავე ქართველი მოღვაწენიც — აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი და სხვანი.

1883 წელს ფოლადაურის ქარხანა შეიძინა თბილისელმა მილიონერმა ს. ი. შაბუროვმა, რომელიც აპირებდა წელიწადში 100 ათასი ფუთის რაოდენობით რკინის წარმოებას. საგულისხმოა, რომ შაბუროვი ითვალისწინებდა ბრძმედისათვის ქვანახშირის ან ნავთობის გამოყენებას. მან 600 ათასი მანეთი დახარჯა, მაგრამ წარმოების აღდგენა მაინც ვერ მოახერხა და მალე გარდაიცვალა. ქარხნის აღდგენას შეეცადა მისი ქვრივი—ვიქტორია შაბუროვა, მაგრამ ამაოდ.

რკინაზე მოთხოვნილება 80-იანი წლებიდან უფრო მეტად გაიზარდა. მას დიდი რაოდენობით მოითხოვდა ტყიბულის ქვანახშირის, ჭიათურის მანგანუმის, ბაქოსა და საქართველოს ნავთის მრეწველობა, რკინიგზის ახალი შტოების მშენებლობა, უკვე საკმაოდ რიცხვმრავალი ქარხანა-ფაბრიკები, აგრეთვე სოფლის მეურნეობა. „რკინიგზის ქსელის ყოველი ახალი ვერსი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — ყოველი ახალი სახელოსნო, სოფლის ბურჟუას მიერ შეძენილი ყოველი გუთანი ზრდის სამთო მრეწველობის პროდუქტებზე მოთხოვნილების სიდიდეს“[1].

რკინაზე მზარდი მოთხოვნილება მხოლოდ ნაწილობრივ იფარებოდა რუსეთიდან შემოტანილი ლითონითა და მისი ნაკეთობებით. გაიზარდა სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი სასოფლო-სამეურნეო იარაღების რაოდენობაც, მაგრამ იგი მთლად ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს სოფლის მეურნეობას.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 585.

ამას გარდა, გარედან შემოტანილი ლითონი და მისი ნაკეთობა მეტად ძვირი ჯდებოდა. ეს გარემოება აუცილებელს ხდიდა რკინის ადგილობრივ წარმოებას. ამ მიმართულებით მოქმედებდნენ როგორც რუსეთის, საზღვარგარეთისა და ადგილობრივი მეწარმე-კაპიტალისტები, რომელთა რაოდენობა ჩვენში გაიზარდა, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, ისე მოწინავე ქართველი და რუსი მოღვაწენი.

1884 წელს დაარსდა ახალი ამხანაგობა ცნობილი მემამულის ა. ს. ანანოვის, ინჟ. ს. იანოვსკის, ბარონ ე. გეიკინგისა და გ. ჩიკვაიძის შემადგენლობით. „ამხანაგობას" გათვალისწინებული ჰქონდა აჯამეთში, ანანოვის მამულში, დიდი მეტალურგიული ქარხნის აგება 1 ბრძმედით, სიმენს-მარტენის სისტემის 6 პუდლინგის ღუმელით, კოქსის გამოსახდელი 6 ბატარეით, რელსებისა და რკინის საგლინავი დგანებითა და სხვ. ქარხანას უნდა გამოეყენებინა ზემო რაჭის რკინის მადანი და ტყიბულის ქვანახშირი, აგრეთვე ფერომანგანუმისათვის სამეგრელოს (თეკლათის) მანგანუმის მადანი. ამხანაგობის წევრებმა (გეიკინგი და ჩიკვაიძე) ზემო რაჭაში მადნიანი ნაკვეთებიც აიღეს იჯარით და შეუდგნენ მზადებას, მაგრამ მათ წამოწყებაც უშედეგოდ დამთავრდა.

მოწინავე ქართველი მოღვაწენი ცდილობდნენ მტკიცე ბაზა შეექმნათ მეტალურგიის განვითარებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებისათვის. ამ მიზნით ისინი (აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვ.) უშუალოდ უკავშირდებოდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის კაპიტალისტებს.

1884 წლის 30 ნოემბერს გიორგი წერეთელი სწერდა ნიკო ნიკოლაძეს: „ჩემთან ჭალის მთაში იყვნენ გერმანიის კაპიტალისტების წარმომადგენელი იოლესი და ბელგიის ტყვია-ვერცხლის სამთო მადნის დირექტორი ბილპაცი. ეს უკანასკნელი ძალიან დახელოვნებული ინჟინერი ყოფილა და ავტორიტეტიც ჰქონია. იოლესმა მითხრა, ეს კაცი მიტომ წამოვიყვანეო, რომ ამის დაკლადს დიდი მნიშვნელობა ექნება ბერლინისა და დრეზდენის კაპიტალისტების წრეშიო. ამ ბილპაცს ჭალის მთა მოეწონა თავის ნიმუშებით. წაიღეს რკინის ნიმუში, ვერცხლ-

ტყვიის მადნის ნიმუში, ოთხი ბოჭკა, ასე ოც ფუთამდის, თედელეთის ნავთი, გიშრის ნიმუში, ქვანახშირის ნიმუში, მარგანეცის ნიმუში და სხვა. დასწერეს ჩემთან წინდაწინი პირობა და ითხოვეს ექვსი თვის ვადა, რომლის განმავლობაში იმათ უნდა გამოგზავნონ ინჟინრები იზისკანიისათვის და ნამდვილი კანტრახტის შესაკრავათ. მე ჯერ კიდევ არ მჯერა ეს ამბავი, თორემ თუ საქმე ასრულდა, მოვითქვამთ სულს. ამავე კომპანიამ იყიდა პირობით სოლომონ შაბუროვისაგან ჩათახის ზავოდი, ნოვოროსიისკში ნავთის ადგილები ლევან მელიქოვისაგან და მოელაპარაკა მირზოევს მისი ზავოდისა და ალაგების ყიდვაზე სამ მილიონათ. ისინი უნდა დაბრუნდნენ ჩემთან მარტში. კარგი იქნება, რომ პალაშკოვსკის ზავოდი მივაყიდვინოთ ამ კამპანიას. ამას მიტომ გეუბნები, რომ მითხრეს, გაარიგე გაყიდვაო. იმათ თქვეს, რომ გერმანიაში დგება აქციონერული კამპანია მათის მოქმედებით, რომელსაც ექნება ორმოცი მილიონი ტალერი ფონდი კავკასიის მადნების საზოგადოთ საექსპლოატაციოთო. რამდენად რიგიანი კაცები არიან, ამას გამოაჩენს დრო, ვნახოთ“ [174].

ჭალის მთის რკინის საბადოთი სხვებიც დაინტერესებულან. საჩხერელი თავადი გიორგი წერეთელი 1888 წელს ნიკო ნიკოლაძეს ატყობინებდა, რომ მასთან ჩასულმა ინჟ. ალბესტრომმა მთა ხიხაზე რკინის მადანიც იპოვნაო. „ასეთი საბადოების პირობებში, — წერდა ის, — რატომ არ უნდა ვიფიქროთ ფოლადსასხმელო ქარხნის აგებაზე?“ [175].

მაგრამ ჭალის მთის რკინის საბადოების დამუშავებისათვის ხელი არავის მოუკიდია — არც იმ კომპანიას, რომელიც გ. ე. წერეთლის წერილშია მოხსენებული, და არც ინჟ. ალბესტრომსა და სხვებს.

90-იან წლებში ფოლადაურის ქარხანა შეიძინა ინჟ. ბოგაჩმა, რომელიც 1889 წლიდან ნიკო ნიკოლაძესთან, ი. ი. წოვიანოვსა და ი. დ. ალელოვთან ერთად ტყიბულის ქვანახშირის ექსპლოატაციაში მონაწილეობდა.

ბოგაჩი ითვალისწინებდა შავი მეტალურგიის ფართო მასშტაბით განვითარებას — წელიწადში 800 ათასი ფუთი სხვადასხვა ლითონის (რკინა, ფოლადი, თუჯი) წარმოებას.

ასეთი უზარმაზარი პროგრამის განხორციელებისათვის მას საჭიროდ მიაჩნდა მდ. ხრამზე ან მტკვრის ნაპირზე სრულიად ახალი ქარხნის აგება, რომელიც გამოიყენებდა ტრანსპორტირებისათვის არახელსაყრელ ფხვიერ მადნებს; მეორე ქარხნის აგება — ქუთაისში ან ფოთში, სადაც ბოლნისიდან მიტანილი იქნებოდა უფრო მდიდარი და მსხვილნატეხა მადანი; აქვე უნდა მოწყობილიყო ფერომანგანუმის წარმოება; ნავთლუღიდან ალექსანდროპოლამდე (ახლა ლენინაკანი) რკინიგზის შტოს გაყვანა; სათბობად დონეცის კოქსისა და ბაქოს ნავთობის, უკიდურეს შემთხვევაში — ტყიბულის ქვანახშირის გამოყენება; რისთვისაც ტყიბულში უნდა აგებულიყო საბრიკეტო ფაბრიკა, სპეციალურად რელსების საგლინავი ქარხანა და მეტალურგიული წიდებიდან აგურის დამამზადებელი ქარხანა. ბოგაჩი ვარაუდობდა აგრეთვე ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენებას.

ბოგაჩმა ტყიბულის ქვანახშირის დაკოქსების გამოსარკვევად პეტერბურგსა და საფრანგეთში ჩაატარა ცდები. 1896 წელს მისივე თაოსნობით თბილისში შესდგა 3,5 მილიონი კაპიტალის მქონე „ამიერკავკასიაში რკინის დამამზადებელი, ფოლადსასხმელო და მექანიკური ქარხნების პირველი საზოგადოება“ — „დამურდაგი“, რომელშიც შედიოდნენ გრაფი პ. ა. გეიდენი, გრაფი ა. გ. კაიზერლინგი და ი. თ. ბოგაჩი, მაგრამ საზოგადოება ვერ აღმოჩნდა საქმიანი და მალე დაიშალა.

ბოგაჩმა ვერ შეძლო საქმეში საჭირო კაპიტალების ჩაბმა და თავისი ჩანაფიქრის განხორციელება [176].

90-იანი წლების დასასრულისათვის ფოლადაურისა და საქართველოს სხვა რაიონების რკინის საბადოთა დამუშავებას კიდევ ბევრი შეეცადა. მაგრამ ყველაფერი ეს უშედეგოდ დამთავრდა, ხოლო 900-იანი წლებიდან ლითონის შემოტანა რუსეთიდან უფრო გაფართოვდა და ადგილობრივ რკინის წარმოების პრობლემამ თავისი აქტუალობა დაკარგა.

„კავკასიასაც... აგრეთვე ახასიათებს სამთო მრეწველობის გასაოცარი ზრდა რეფორმისშემდგომ პერიოდში“[1], — დაასკვნიდა ვ. ი. ლენინი, და მას მხედველობაში ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, ბაქოს ნავთობის მრეწველობა.

ბაქოს მრეწველობის ზრდამ ხელი შეუწყო ამიერკავკასიაში ნავთობის ახალი საბადოების გამოვლენასა და დამუშავებას, რომელთა მუშაობის მასშტაბს განსაზღვრავდა ბაქოს მრეწველობის მდგომარეობა. ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა ჩვენშიც.

კ ა ხ ე თ ი ს ს ა რ ე წ ა ვ ე ბ ი. საქართველოს ნავთობის სარეწავები რეფორმის შემდგომაც ძირითადად კახეთში — შირაქში, ელდარსა და მირზაანში იყო კონცენტრირებული. 1865 წელს მთელს კახეთში 30 მოქმედი ჭა არსებობდა, რომელთა სადღეღამისო მწარმოებლურობა 26 ვედრო (ვედრო = =27,3 გირვანქას, ანუ დაახლოებით 11,5 კილოგრამს) ნავთობის ამოღებით განისაზღვრებოდა. ამ წელს კახეთის სარეწავებმა ამოიღეს 10 009 და გაყიდეს 13 320 ვედრო ნავთობი, ფუთი 1,5 მანეთად (მოპოვებულთან შედარებით გაყიდული ნავთობის მეტი რაოდენობა აიხსნება იმით, რომ წინა წლებიდან დარჩენილი იყო 5,5 ათასი ვედრო ნავთობი) [177].

ამრიგად, კახეთის სარეწავების ჭების რაოდენობა და მწარმოებლურობაც 60-იანი წლების პირველ ნახევართან შედარებით შემცირდა, რაც ძირითადად ბაქოს მრეწველობის ზრდით უნდა აიხსნას.

1866 წლიდან კახეთში ნავთობის ამოღება რამდენადმე გაიზარდა. ორი წლის შემდეგ, 1868 წელს, აქ 20 000 ფუთის რაოდენობით ნავთობი ამოიღეს. ამ პერიოდში კახეთის ნავთობის საბადოებით ფართოდ დაინტერესდნენ ბაქოს მრეწველები და ადგილობრივი თავადებიც, მათ შორის ქართველი მწერლის — რაფიელ ერისთავის ძმები — სოსიკო და კიაზო. 1867 წელს სოსიკო სოფ. ქისტაურიდან რაფიელ ერისთავს ატყობინებდა,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 581.

რომ მათ ოსტატებთან (იგულისხმება მრეწველები) ამხანაგობა შეადგინეს, ნავთობის საბადოს დამუშავებას იწყებენ და რაფიელს სთხოვდა ორი კვირით სოფელში ჩასვლას, რათა ამ საქმის მოგვარებაში მასაც მიეღო მონაწილეობა. საგულისხმოა, რომ ერისთავები საბადოს დამუშავებას უკვე ჭაბურღილებით აპირებდნენ და ითვალისწინებდნენ მანქანების—„ქანქანების“ შეძენასა და სახლების აგებას [178]. როგორ დამთავრდა მათი წამოწყება, ჯერჯერობით დადგენილი არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ სოფ. ქისტაურში საბადოს დამუშავება წარმოებდა 14 მეტრის სიღრმის ჭებით და დღე-ღამეში 18 ვედრო ნავთობს იღებდნენ.

ნავთზე, როგორც სანათ მასალაზე, მოთხოვნილება მოსახლეობის მხრით სისტემატურად იზრდებოდა. ამასთან დაკავშირებით მომრავლდა კახეთის სარეწავების რაოდენობა, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ 1858 წლის დებულებით დაიწყო შირაქში საბადოთა თავისუფალი დამუშავება. ამის შედეგად 1869 წელს მარტო შირაქში მოქმედებდა 79 ჭა. წარმოიშვა ჭაბურღილებიც, რომელთა სიღრმე 13—54 საჟენს აღემატებოდა. გაიზარდა სარეწავების მწარმოებლურობაც. თითოეული ჭა უკვე იძლეოდა 2-დან 40-მდე ვედრო ნავთობს, ხოლო ჭაბურღილი 130—200 ვედროს. ამ წელს კახეთში ამოიღეს 58 933 ვედრო ნავთობი, ხოლო 1870 წელს უკვე — 89 813 ვედრო [179].

1871 წლიდან ბაქოს მრეწველობა უფრო მეტად გაფართოვდა, რამაც სხვა სარეწავების დაცემა გამოიწვია. საგრძნობლად შემცირდა კახეთის სარეწავების მუშაობაც. დ. ი. მენდელეევის მონაცემებით, 1871 წელს კახეთში 99 ჭიდან ამოიღეს 69,5 ათასი ვედრო ნავთობი, ხოლო 1872 წელს — 82,1 ათასი ვედრო [180].

შედარებით ნაყოფიერად მუშაობდა ძმები სიმენსების მიერ წითელწყაროში აგებული ნავთსახდელი ქარხანა, რომელსაც 2 ქვაბი ჰქონდა, თითოეული 250 ფუთის ტევადობით; იგი დიდი რაოდენობით ამუშავებდა ნავთობს და ხაზინას საგრძნობ შემოსავალს აძლევდა. 1873 წლიდან ბაქოში აქციზის დაწესებამ დიდად შეაფერხა ნავთის წარმოება, მაგრამ იმის გამო, რომ

ეს ღონისიძება ძმ. სიმენსებზე არ ვრცელდებოდა, უკანასკნელებმა ხელთ იგდეს კახეთის თითქმის ყველა ძირითადი საბადო და უფრო მეტად გააფართოვეს ქარხნის მუშაობა.

ამავე ღონისძიებამ ხელი შეუწყო კახეთის სარეწავებზე უცხოური კაპიტალის გაფართოებას. 1873 წელს ძმ. სიმენსებმა, ვილიამ ბოლტონმა და კარლ მადინმა სოფ. ნაბამბარში ვახსნეს ახალი სარეწავები.

კახეთში უცხოური კაპიტალის გაფართოებამ ჩაითრია ადგილობრივი კაპიტალებიც. თბილისელმა დიდვაჭარმა — მრეწველმა მირზოევმა სოფ. კაპიჩში (სიღნაღის რაიონი) დაიწყო ნავთობის წარმოება, ჩინოვნიკმა ვართაზაროვმა — სოფ. ნაბამბარში, ვინმე ა. ფალიევმა — სოფ. ძმუისში და ა. შ.

1874 წელს ძმ. სიმენსებმა ამოიღეს 170 628 ვედრო ნავთობი და იგი მთლად გადაამუშავეს ფოტოგენად, ბენზინად, მძიმე ზეთებად და სხვ. 1878 წელს მარტო ელდარსა და შირაქში ამოიღეს 77 245 ფუთი ნავთობი, სოფ. ნაბამბარში — 557 ფუთი.

მაგრამ 80-იანი წლებიდან, როდესაც ბაქოში ნავთობის ამოღებამ 40 მილიონ ფუთს მიაღწია (1881 წელს), კახეთის სარეწავებს მეტოქეობა გაუძნელდათ და მწარმოებლურობა საგრძნობლად შეამცირეს. 1880 წელს ელდარსა და შირაქში ამოიღეს 71 613 ფუთი, ხოლო 1881 წელს უფრო ნაკლები — 60 925 ფუთი. ასეთი დაღმავლობა შემდგომ წლებშიც გაგრძელდა. ისეთმა მსხვილმა მრეწველებმაც კი, როგორიც იყვნენ ძმები ოთაროვები, ვერ შეძლეს ბაქოს მრეწველთა შემოტევისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ. მათ 1887 წელს ამოიღეს 28,6 ათასი, ხოლო 1888 წელს—37,8 ათასი ფუთი [1-ბ/180].

80-იანი წლების მეორე ნახევრიდან უცხოელმა კაპიტალისტებმა, ბაქოს მრეწველობისათვის სახელის გატეხის მიზნით, ხმები გაავრცელეს საბადოების გამოლევის შესახებ. ამასთან დაკავშირებით კაპიტალისტ-მრეწველები ფართოდ დაინტერესდნენ საქართველოს საბადოებით. ისინი ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ამიერკავკასიის როგორც ნავთობის, ისე სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა საბადოები. ამ მხრით ყურადღებას იპყრობს აკაკი წერეთლის ერთ-ერთი კერძო წერილი, რომელ-

შიც ვკითხულობთ: „ერთი მდიდარი ინგლისელი ჩამოვიდა. ათი მილიონი გადაუდევს, რომ კავკაზიის საქმეები ხელში ჩავიგდოო, მაგრამ ჩუმათ არის ჩამოსული; ის მომგვარა ერთმა კაცმა. შენ უწინამძღვრე და შეატყობინე, სად რა არის, რომ ისარგებლოს კაცმაო... სიღნაღში მიმყავს, ახტალაზე... და თუ ერთი კი მოვარონიეთ, მერე, მერე კი შენც მიხვდები, თუ რა საქმე იქნება. სხვა საქმეებსაც დაიწყებს“ [159/143—144].

ნავთობზე აქციზის დაწესებამ დიდი არევ-დარევა შეიტანა ბაქოს მრეწველობაში. შემცირდა ნავთობის ამოღება და ქარხნების რაოდენობა. ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ გაილაშქრეს რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ და დ. ი. მენდელეევმა. დ. ი. მენდელეევი მიუთითებდა, რომ მხოლოდ ამიერკავკასიას შეუძლია ამერიკას შეეჯიბროს, მხოლოდ ამ ორ ქვეყანას ძალუძს კაცობრიობა წყვდიადისაგან იხსნას, მაგრამ აქციზი უპირატესობას უსპობს ამიერკავკასიასო. „მოსპეთ აქციზი ნავთობზე, — წერდა ის, — სარეწავებს განვითარების საშუალება მიეცით და ის კვლავ ამერიკისადმი მეტოქეობამდე ამაღლდება“ [180/224].

აქციზის წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე ილია ჭავჭავაძე [166/220], ნიკო ნიკოლაძე და სხვანი.

მართალია, მთავრობამ აქციზი გააუქმა და ამერიკის ნავთობზე „აღმკვეთი ტარიფიც“ შემოიღო, მაგრამ 1888 წლიდან ის ისევ განაახლა, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა აგრეთვე საქართველოს ნავთობის მრეწველობაზე. 1892 წელს ოთაროვებმა მხოლოდ 25 449 ფუთი ნავთობის ამოღება შეძლეს. კახეთის ნავთობის მრეწველობა თანდათანობით დაეცა. ოფიციალური მონაცემებით, 1896 წელს აქ ამოიღეს 26,5 ათასი ფუთი, 1897 წელს — 21,5 ათასი, ხოლო 1898 წელს მხოლოდ 13,9 ათასი ფუთი [181].

ბაქოს მონოპოლისტები დაინტერესებულნი არ იყვნენ საქართველოში მრეწველობის ამ დარგის განვითარებით, პირიქით, ცდილობდნენ ყოველი ახალი წამოწყება ამ მიმართულებით ჩაეხშოთ და ამისათვის ისინი დიდძალ ფულსაც ხარჯავდნენ.

ამიტომ კახეთის სარეწავები მთლიანად მცირე კაპიტალის მქონე მრეწველთა ხელში იმყოფებოდა. ისინი პრიმიტიულ ტექნიკას ემყარებოდნენ და საბადოებს პირველყოფილ-მტაცებლურ ექსპლოატაციას უწევდნენ.

ზუსტი ცნობა კახეთის ნავთობის სარეწავებზე მომუშავეთა რაოდენობის შესახებ არ მოგვეპოვება. სამთო სამმართველოს მონაცემებით, 1881 წელს თბილისის გუბერნიაში მუშაობდა 29 მუშა, 1882 წელს — 26, ხოლო 1883 წელს — 16 კაცი. ეს ცნობა, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს, რადგან 1883 წელს მარტო ინჟინერ-ტექნოლოგი ფ. ნ. მიკლაშევიჩი პატარა შირაქში ჭაბურღილზე ამუშავებდა 15 კაცს, ხოლო ნავთსახდელ „ქარხანაში" — 1 კაცს. ამავე წელს შირაქის ნავთსახდელ „ქარხანაში", რომელიც 1884 წლის დასაწყისში დაიწვა, 4 მუშა ოსტატი და 8 დამხმარე მუშა მუშაობდა [182].

მუშათა წლიური მწარმოებლურობა სისტემატურად ეცემოდა. 2100 ფუთიდან 1881 წელს თითოეული მუშის გამომუშავება 1883 წელს 1062 ფუთამდე დაეცა.

ნ ა ვ თ ლ უ ღ ი ს ს ა ბ ა დ ო ე ბ ი წარმოადგენდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ნავთობის მეორე მნიშვნელოვან უბანს. ამ სარეწავებიდან ხაზინის შემოსავალი 1864 წელს 4000 მანეთით განისაზღვრებოდა, ხოლო 1869 წელს მხოლოდ 500 მანეთით. 1865—1866 წლებში ნავთლუღთან მუშაობდა კაპიტალისტ ნაუმენკოს ქარხანაც. მაგრამ 80-იანი წლებიდან, ბაქოს რკინიგზის ამუშავების შემდეგ, ნავთლუღის სარეწავებსაც დაეკარგათ მნიშვნელობა, თუმცა მისდამი ინტერესი შემდგომაც არ შეწყვეტილა და პერიოდულად წარმოებდა ამ საბადოების შესწავლა.

კაპიტალისტ-მრეწველები ერთდროულად ცდილობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს სხვა საბადოების გამოყენებასაც.

უცხოელ კაპიტალისტთა მოძალებას ქართული პრესა უარყოფითად შეხვდა. 1872 წელს გაზეთი „დროება" (№ 41) წერდა: „ამბობენ ყარაიაზში... ნავთობის წყაროები გამოჩნდაო... რა საჭიროა, თუ კაცი პატრონი არ იქნება, რომ ქვეყანას გამოაყენოს".

რეფორმის შემდგომ, განსაკუთრებით 80-იანი წლებიდან, კაპიტალისტ-მრეწველთა ყურადღების ცენტრში მოექცა გ უ რ ი ი ს ნ ა ვ თ ო ბ ი ს საბადოები, გურია უცხოურ კომპანიათა წარმომადგენლებით აივსო. დაიწყო ნავთობიანი მამულების შესყიდვა, რასაც ფართო სპეკულაცია მოჰყვა. ზოგმა საბადოების დამუშავებაც დაიწყო.

აკად. აბიხმა, გეოლოგმა სიმონოვიჩმა და სხვა სპეციალისტებმა გურიის ნავთობს მაღალი შეფასება მისცეს და ხარისხობრივად ის ბაქოს ნავთობს გაუტოლეს.

1880 წელს პროფ. ბახმატევი მოითხოვდა ბათუმსა და ფოთში ნავთსახდელი ქარხნების აგებას, რომლებიც ერთდროულად გურიის ნავთობსაც გადაამუშავებდნენ.

80-იანი წლების დასაწყისში ინჟ. ა. ა. ბუნგემ და ს. ს. პალაშკოვსკიმ სოფ. საკუპრიეში ნავთობის ძველი ჭების ბაზაზე დაიწყეს ბურღვა. ჩაბურღეს 60 საჟენის სიღრმეზე, მაგრამ ნავთობის ფენას ვერ მიაგნეს და მალე თავი დაანებეს.

80-იან წლებში გურიის ნავთობით დაინტერესდა აგრეთვე აკაკი წერეთელი, რომელიც ელისაბედ ჭავჭავაძე-მარჯანიშვილს სწერდა: „გუშინ კიდევ ერთმა გამიმეღავნა: ზედ შავი ზღვის პირათ ნავთი ვიციო, და წამობრძანდით, ნახეთო. ხშირათ იციან მოტყუება, მაგრამ რომ მართალი იქნეს, მერე ხომ გული დაგწყდება? ეჰ, ჯანი გავარდეთ, იმდენს მოვიტყუებ თავს, რომ ერთხელაც იქნება მართლითაც მოვატყუებინებ თავს“ [159/131].

1885 წელს პ. დავიდოვმა და ხატისოვმა ნარუჯა-იაკობში დაიწყეს საბადოს ბურღვა, მაგრამ სამუშაოები მალე შეწყვიტეს. დავიდოვმა თავისი ნაკვეთი დაუთმო ამერიკულ კომპანიას, რომელსაც ტეტუსი ხელმძღვანელობდა.

გურიის საბადოთა ექსპლოატაციით დაინტერესდნენ ადგილობრივი შეძლებული პირებიც, მათ შორის, თავადაზნაურები. 1887 წელს გრიგოლ გურიელმა საბადოების შესასწავლად მოიწვია ინჟ. ბერმანი. ერთი წლის შემდეგ ეგნატე ნინოშვილი, რომელიც გ. გურიელთან მწერლად მსახურებდა და დიდ მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა, ა. კვირკველაძეს აცნობებდა: „ამბობენ, რომ ვიღაც ბელგიელი კაპიტალისტები (ან-

დრეის კამპანია) მოდის გრიგოლ გურიელის მამულში ნავთის მადნის საძებნელათო. ვნახოთ, იქნება მაშინ შეიცვალოს ჩემი მდგომარეობა“ [183/315].

1889 წელს გურიაში საქიებო სამუშაოები განაგრძო უცხოელმა სერ პიტერ ტეტუსმა, მაგრამ იმანაც მალე, ერთობ საეჭვო ვითარებაში, მუშაობა შეწყვიტა.

90-იანი წლების დასაწყისში სუფსის მიდამოებში საბადოების დამუშავებით დაინტერესებულა ქართველი მოღვაწე პეტრე ნაკაშიძე. უკანასკნელს უშოვნია 30 ათასი მანეთი, შეუძენია მანქანა-იარაღები და სოფ. ნარუჯაში საბადოს დამუშავება დაუწყია. პეტრე ნაკაშიძე დიდ იმედებს ამყარებდა ნავთობის მრეწველობაზე და თავისი ვაჟისათვის — ილია ნაკაშიძისათვის, — არაერთგზის უთქვამს: „ნავთის მრეწველობა გურიას გაამდიდრებს. ამ ახალ წამოწყებას დიდი მომავალი აქვსო“. მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა და სარეწავიც გაუქმდა.

გურიის ნავთობის საბადოთა დამუშავებას 90-იან წლებში სხვებიც ცდილობდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

დასავლეთ საქართველოს ნავთობებიდან გასული საუკუნის მეორე ნახევარში ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ბ ა ღ დ ა დ ი ს (ახლა მაიაკოვსკის) საბადოებმა. 70-იანი წლებიდან მათ დამუშავებას შეეცადნენ უცხოელი მეწარმენი, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებიათ. 90-იან წლებში ამავე საბადოებით დაინტერესდა ქეთევან დიმიტრის ასული ერისთავი, რომელიც საძოვრების შემცირების ხარჯზე აპირებდა საბადოების დამუშავებას. ისედაც მცირე საძოვრების მქონე გლეხობის მდგომარეობა ამით უფრო უარესდებოდა. ამიტომ ბაღდადის მეტყევე—ვ. კ. მაიაკოვსკიმ (პოეტ ვლადიმერ მაიაკოვსკის მამა), იცავდა რა გლეხების ინტერესებს, ქ. ერისთავის თხოვნაზე სამმართველოში უარყოფითი დასკვნა წარადგინა და ერისთავს საბადოთა დამუშავებაზე უარი ეთქვა. შემდგომ წლებში ქ. ერისთავმა გლეხები წინასწარ დაითანხმა და კუპრიეთში საცდელი ჭა ამოათხრევინა, მაგრამ ნავთობი არ აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ის დიდხანს მაინც ცდილობდა სარეწავის მოწყობას [184]. ამავე საბადოების დამუშავებას ცდილობდნენ ნიკო

ნიკოლაძე, გიორგი ზდანოვიჩი. აკაკი წერეთლის უბის წიგნაკში სხვადასხვა პირთა მისამართებს შორის აღნიშნულია: „Качубеевская № 26 — Кервн. Эру“. თბილისში ამავე მისამართით ცხოვრობდა ქ. დ. ერისთავიც. ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ამ საბადოებით აკაკი წერეთელიც იყო დაინტერესებული.

დასასრულ, დასავლეთ საქართველოს საბადოებიდან უნდა აღინიშნოს ზემო იმერეთის ე. წ. „ჭ ა ლ ი ს მ თ ი ს“ ნ ა ვ თ ო ბ ი ს ს ა ბ ა დ ო ე ბ ი, რომელთა დამუშავება დაიწყო გიორგი წერეთლის თაოსნობით.

ჭალის მთის საბადოების დამუშავება და ამ საქმეში გიორგი წერეთლისა და სხვა მოწინავე ქართველ მოღვაწეთა წვლილი თითქმის სრულიად შეუსწავლელია.

ზოგჯერ მიუთითებენ, რომ გ. წერეთელმა „1881 წელს ზემო იმერეთში, ჭალის მთაში ნავთის წარმოების საქმის დაწყება ს ც ა დ ა ო“. ამრიგად, მხოლოდ სცადა. მაგრამ ეს სწორი არ არის.

„ჭალის მთად“ წოდებული ულამაზესი მიდამო რამდენიმე კვადრატული კილომეტრის ფართობზეა გადაჭიმული. ის მდიდარია არა მარტო ვენახებითა და ყანებით, ტყის მასივებითა და რადიაქტიულ-მინერალური წყაროებით, არამედ ნავთობითა და ნაირგვარი მადნეულებითაც. შორეულ წარსულში ის სამთამადნომეტალურგიული წარმოების ერთ-ერთი დაწინაურებული კერა იყო, რისი თვალსაჩინო დამადასტურებელია არქეოლოგიური ინვენტარი და უხვად მიმოფანტული წიდები.

რკინა-სპილენძის წარმოება აქ გასული საუკუნის პირველ ნახევარშიც არსებობდა.

ძველი ჭა-ორმოების არსებობით დადგენილია, რომ ზემო იმერეთის მოსახლეობა ნავთობის ადგილობრივ საბადოებსაც იყენებდა, ოღონდ ძალზე უმნიშვნელო რაოდენობით. საბადოები საერთოდ მივიწყებას იყო მიცემული. ნიკო დადიანი 1879 წელს ერთ-ერთ სტატიაში მიუთითებდა: „ნავთ-ზეთი ბევრს ალაგს არის დაუნჯებული, მაგალითად, სოფ ჭალაში, მაგრამ მიქოლვილი და მიყრუებულია“ [185].

70-იან წლებში ბაქოს მრეწველობის აღმავლობამ და მრე-

წველთა გამდიდრებამ ბევრს აღუძოა სურვილი, რ.თა ამ მომგებიანი საქმისათვის მოეკიდა ხელი. გაიზარდ. ბაქოსაკენ ლტოლვა. ამასთან დაკავშირებით გიორგი წერეთელი წერდა: „ამ ახალმა გიჟმა ჩამავლო კალთაში ხელი და მომძახოდა: „გაიგე-და!.. გაიგე, რა ვიპოვე! ბაქოსაკენ წაველ და ოთხი ნავთის ჭა ვიპოვე, თითო სამ-სამ თუმნად ვიყიდე, სულ დამიჯდა თორმეტი თუმანი. ეხლა იცი, რას ვაპირებ! წავალ საზღვარგარეთ, მოვიყვან კაპიტალისტებს და გავმართავ ნავთის კამპანიასო, ჩემ საწილოდ წელიწადში მექნება... ამ დროს, ძირს დავიხედე და იმის ცერს წაღში თავი გამოეყო“ [186].

ადგილობრივი მოსახლენი, მათ შორის, გაკოტრებული და დაძაბუნებული თავადაზნაურები, ნავთობს აშკარად და ფარულად ზემო იმერეთშიც ეძებდნენ და ხშირად წარმატებით. გაზეთი „დროება“ (№ 104) 1875 წელს იუწყებოდა, რომ საჩხერის რაიონში, წერეთლიანთ ტყეებში — „ერთ-ერთ წერეთელთაგანს აღმოუჩენია ეს ნავთის წყარო, მაგრამ არავისთვის გაუმხელია. საიდუმლოთ წაუღია ქუთაისს ჭაშნიკი და მცოდნე კაცისთვის უჩვენებია. ამას გაუსინჯავს და ნავთი საუკეთესო, პირველი ღირსების გამომდგარა... ახლა ეს ნავთი ერთ მეგრელს იჯარით აუღია რამდენიმე წლით და სარგებლობს“.

ზემო იმერეთის ნავთობის საკითხით დაინტერესებულა აგრეთვე აკაკი წერეთელი და 1879 წელს სპეციალური ბროშურაც გამოუცია, რომელშიც აღწერილია ამ კუთხის მრავალფეროვანი საბადოები, მათ შორის, ნავთობისაც [159/43].

ელენე წერეთლის გადმოცემით, მის მამას—გიორგი წერეთელს „ჭალის მთა“ დიდ სასარგებლო საქმედ ჰქონდა დასახული სულ ახალგაზრდობიდან,“ მაგრამ მას „ჭალის მთის“ ნავთობის პრაქტიკულად დამუშავებისათვის ხელი მოუკიდია 80-იან წლებში. ამის შესახებ 1881 წ. გაზ. „დროებაში“ (№114) ვკითხულობთ: „მანგანუმზე და ქვანახშირზე უკვე არაფერი ისმის, მაგრამ, სამაგიეროდ, ნავთზე ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ ნავთობის წყაროზე, რომელიც აბაშიძეების ტყეში უპოვნიათ და ახლა ის მამული ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის აქვს იჯარით აღებული და მას გ. ე. წერეთელი განაგებს. მართლაც, თედელეთზე ბევრი რამ ითქმის: ამ ახალი წარმოების

გაჩენას ჩვენში დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ექნება და ამიტომ სანატრელია, რომ მწარმოებელთა იმედი გამართლდეს".

ბევრი მოწინავე ქართველი მოღვაწე 60—70-იანი წლებიდან უშუალოდ ჩაება სამეურნეო, კერძოდ, მრეწველობის საქმიანობაში. 80-იანი წლებიდან ამავე გზას დაადგა გიორგი წერეთელიც. მართალია, აკაკი წერეთელი ერთგვარი გაკინწვლით შენიშნავდა, რომ გ. წერეთელი „ბოლოს „კომერციასაც" ეპოტინებოდაო", მაგრამ, როგორც ვნახავთ, ამ საქმიდანაც ის უშედეგოდ არ გამოსულა და ქვეყანას მატერიალური სარგებლობა მოუტანა.

ბაქოს მრეწველობის ზრდამ გიორგი წერეთელს ბიძგი მისცა, რათა დაეწყო ჭალის ნავთობის საბადოთა დამუშავებაზე ზრუნვა. ამ საქმეში მას ჩაუბია ცნობილი ქართველი მემამულე-„რაციონალიზატორი" ი. კ. მუხრან-ბატონი, რომელთანაც ერთად შეუდგენია სპეციალური საზოგადოება. უკანასკნელმა წინასწარ დიდი სამუშაოები ჩაატარა საბადოთა დაზვერვისათვის, რომლის პროცესში ის დღე-ღამეში 20 ფუთ ნავთობს იღებდა. 1882 წლიდან დაიწყო საბადოთა ექსპლოატაცია და ბევრ ჭაბურღილიდან ნავთობის შადრევნებმა ამოხეთქეს.

საბადოების უფრო ფართო მასშტაბით დამუშავების მიზნით „საზოგადოება" ცდილობდა ახალი კაპიტალები მიეზიდა. ეს ღონისძიება ითვალისწინებდა ღრმა ბურღვაზე გადასვლას. უახლესი ტექნიკის დანერგვასა და რკინიგზის სად. ყვირილამდე ნავთსადენი გაყვანილობის მოწყობას. საბადოთა პოპულარიზაციის მიზნით გიორგი წერეთელს შეუდგენია „ჭალის მთის" საბადოების დეტალური აღწერა, რომელიც შემდგომ ცალკე ბროშურად დაიბეჭდა და დაინტერესებულ კომპანიებს დაეგზავნა [187/40 — 913].

კაპიტალისტების გამოსანახავად „საზოგადოებას" დახმარებისათვის ნიკო ნიკოლაძისათვის მიუმართავს. 1883 წლის დასაწყისში მ. კ. მუხრან-ბატონს მისთვის გადაუგზავნია გიორგი წერეთლის მიერ შედგენილი „აღწერილობა" და ამავე დროს ადრესატისათვის უცნობებია: „ბუნგე იმდენად დაინტე-

რესდა, რომ მოლაპარაკება დაიწყო გიორგი ექვთიმეს ძე [წერეთელთან]. სხვა მსურველებიც მოდიან. ჩვენ, გიორგი ექვთიმეს ძესთან ერთად, გადავწყვიტეთ თქვენ მოგმართოთ უმორჩილესი თხოვნით, რათა ჩვენი ახლად აღმოჩენილი ნავთობი გამოუცხადოთ, ვისაც საჭიროდ დაინახავთ. უპირველეს ყოვლისა, სასურველი იქნებოდა მოლაპარაკებოდით პალაშკოვსკის. მისი აზრი აქ ბუნგეზეც იმოქმედებს. ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი. ჩვენ ვერ ვთანხმდებით [ბუნგესთან] პირობებში. ნავარაუდებია ნავთობის ექსპლოატაცია 2 ან 3 მილიონი ფუთის რაოდენობით. ეს თუ განხორციელდა, მაშინ მოგება კოლასალური იქნება" [187/40—873].

როგორც ირკვევა, საბადოების მასობრივი ექსპლოატაციის დაწყება გათვალისწინებული იყო 1883 წლის მაისიდან და ეს კი დამოკიდებული იყო ახალი კაპიტალების ჩაბმაზე. „საზოგადოება", განსაკუთრებით კი გიორგი წერეთელი, არაფერს იშურებდა იმისათვის, რათა დასახული მიზანი განხორციელებულიყო. ამიტომ 1883 წლის მარტის დასაწყისში მან საგანგებო წერილით მიმართა ნიკო ნიკოლაძეს. ამ წერილში ასახულია ჭალის ნავთობის საქმეში გიორგი წერეთლის პრაქტიკული მოღვაწეობა და ამიტომ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მისი აქ მცირეოდენი შემოკლებით დამოწმება: „ძმაო ნიკო! დიდი ხანია შენთვის წიგნი უნდა მომეწერა, მაგრამ აქამდის ვერ შევიხვედრე მარჯვე დრო. ახლა მით უფრო ვაჩქარი, რომ ბუნგეც მად არის. გაზეთებიდან შეტყობილი გექნება, რომ ჭალის მთაში ბევრი ნავთი გამოჩნდა და ძალიან კარგის თვისებისა; თვითონ ბუნგემ გამართა ჩემთან მოლაპარაკება კამპანიის შედგენაზე, მაგრამ, როგორც შევატყვე, ვერც გაბედა საქმე დაებოლოვებინა კაპიტალის უქონლობის გამო. ახლა საქმე ამნაირს მდგომარეობაშია: სანდრო ერისთავმა მოიყვანა ერთი ფრანცუზი კაპიტალისტი სახელად ლესკანი, რომლისათვისაც თავის გოგირდის მადანი ჩირკატში მიუყიდნია. ის ფრანცუზი აპირებს, მგონია, ჩვენთან კამპანიის შედგენას. მე ახლა ერთი კომბინაცია მაქვს, რომელიც, ვფიქრობ, პალაშკოვსკისათვისაც დარჩება სასარგებლო და ჩემთვისაც. ამისათვის გთხოვ, ამ საქმეში დამეხმარო. აი, საქმე როგორ არის. მე შემიძლია ჭა-

ლის მთაში დიდი მონაწილეობა ვიყიდო იაფად. მაგალითად, პირობა შემიძლია მივსცე ათას თუმნად ვუყიდო მონაწილეობა არა ნაკლებ ორი ათასი დესეტინისა, ასე რომ დესეტინა მოდის ხუთ მანეთად. უკეთუ ეს მონაწილეობა ექვსი თვის განმავლობაში არ ჩავაბარო კუპჩით, მე ხელი ავიღო ჩემს კანტრახტზე იმის სასარგებლოთ, ვინც მიშოვის ათას თუმანს. საქმე იმაშია, რომ თუ დაფაცურდები და ათას თუმანს რამენაირად იშოვნი, იცოდე, ორი ათასი დესეტინის მონაწილეობას ფულის პატრონს ვაშოვნინებ და ხუთასი დესეტინის მონაწილედ შენც გაგხდი. მაგრამ საჭიროა ეს საქმე მაისამდის შევასრულოთ, თორემ მერე ნავთის ექსპლოატაცია დაიწყება და მაშინ ამ კომბინაციას არამც თუ ათას თუმნათ, ველარც ასი ათას თუმნად ვიშოვით. მაშ ერთი შენებურად დაფაცურდი და უთხარი პალაშოვსკის ასე: хотите ли сделаться собственником двух тисяч десятин нефтеносной земли? Если желаете, то выдайте через г. Бунге г. Церетели 10 т/рубл. ამის აღსასრულებლათ, როგორც უნდა ისეთ პირობას მივსცემ ჩემის მხრით. ამასთანავე, იცოდე, რა დღესაც პალაშკოვსკის და ბუნგეს გადავცემ ორი ათასი დესეტინის მონაწილეობას ხელში, იმ დღეს შენც გექნება კუპჩი ხუთასი დესეტინაზე. დღეს თუ ხვალ ჭალის მთის საქმე დიდს წარმატებაში წავა და საჭიროა მაგრათ ჩავსდგათ ფეხი შიგ. თუ ეს ჩემი კომბინაციები არ მოგეწონოს, შენ გეთაყვანე, ქე მაინც ნურსად დაიწყებ ლაპარაკს, თვითონ გამოცდილი გექნება, რა რიგათ ავნებს კომერციულ საქმეებს წინდაწინ პლანების გამოაშკარავება, ველი შენგან პასუხს... მე მგონია პალაშკოვსკისა და ბუნგესთვისაც ის აჯობებს, რომ მონაწილეობა იშოვნონ ჭალის მთაში ასე იაფად. თუ გარეშე კამპანია გაკეთდა, ეგენი მაინც ბატონები იქნებიან ექსპლოატაციისა. და თუ თვითონ დაიწყეს ექსპლოატაცია, მაინც უფრო იაფათ დაუჯდებათ წარმოება ერთი ათასად... P. S. დანილოვმა გამიჭირვა საქმე. ის იყო ბუნგესთან პირობაზე ხელი უნდა მოვეწერა და ამ დანილოვმა ჩაშალა. Он из пустяков создал небылици, терроризовал г. Бунге и затормозил дело. В случае новых соглашений, не можешь ли принять на

себя эту мисию, чтоб избавиться от г. Данилова» [187/40—1402].

ნიკო ნიკოლაძემ დასაწყისშივე აქტიური მონაწილეობა მიიღო ჭალის ნავთობის საკითხის მოგვარებაში და მან თავისი შენიშვნებიც გამოუგზავნა „საზოგადოებას“[1]. როგორც მ. კ. მუხრან-ბატონის საპასუხო წერილიდან ჩანს, ნ. ნიკოლაძის შენიშვნების აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ „საზოგადოება“ არ გატაცებულიყო საბადოს მარტო ექსპლოატაციით და ერთდროულად მას ფართო გეოლოგიური დაზვერვა ეწარმოებინა. მ. კ. მუხრან-ბატონი ამის გამო ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „ჩვენ სრულიად გეთანხმებით და, ჩვენ აგრეთვე, როგორც თქვენ, სამუშაოებს ვყოფთ ორ ნაწილად: დაზვერვა და ექსპლოატაცია. მაგრამ ეს ხელს არ უშლის მოლაპარაკებას, რადგან უკვე მიღებული გვაქვს შედეგები, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში ჩვენ გვარწმუნებენ იმაში, რომ ნავთობი არსებობს 10 კვ. ვერსის ფართზე ერთი საჟენის სიღრმეზე. ჩვენთვის ახლაც უდავოა, რომ ასეთი რაოდენობით ნავთობის ექსპლოატაცია დიდად ხელსაყრელი იქნებოდა“[2] [187/40—875]. იგი ნიკო ნიკოლაძეს ერთდროულად აცნობებდა, რომ „საზოგადოებას“ არაფერი აქვს საწინააღმდეგო, თუ ადრესატი მოელაპარაკებოდა ნობელსაც, რომელსაც სათანადო განაცხადი ბაქოში გაეგზავნაო. როგორც ირკვევა, ნობელს ეს განაცხადი დასკვნისათვის პეტერბურგში თავისი ამხანაგობის კანტორაში გადაუგზავნია. ამასთან დაკავშირებით მ. კ. ბაგრატიონ-მუხრანელი ნ. ნიკოლაძეს სთხოვდა, რათა ნობელს პირადად მოლაპარაკებოდა და ჩაეგონებინა, რომ თედელეთის ნავთობის გადაზიდვა შავი ზღვის ნავსადგურამდე 15 კაპიკით იაფი დაჯდებოდა [187/40—876]. მაგრამ ნობელი, ისე როგორც ბაქოს მრეწველობის სხვა მაგნატები, დაინტერესებული არ იყო კონკურენტის ხელშეწ-

[1] ნიკო ნიკოლაძის ეს შენიშვნები, სამწუხაროდ, მის არქივში არ აღმოჩნდა.

[2] ერთდროულად ავტორი ნ. ნიკოლაძეს აცნობებდა, რომ მისი წერილი გააცნო გიორგი წერეთელს, თავის ძმისწულს, კონსტანტინეს, რომელნიც ადრესატს მადლობას უთვლიან და დასძენს — „გახსოვდეთ, რომ გიორგი დიდად არის ამ საქმით დაინტერესებული და რომ ამას (საბადოს ექსპლოატაციას) სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მისთვის“.

ყობით, და მან „საზოგადოების“ მიმართვა უყურადღებოდ დატოვა.

„ჭალის მთის“ ნავთობის „საზოგადოება“ იმ დროს უკვე გარკვეულ კონკურენციას უწევდა ბაქოს მრეწველობას. თბილისში (ახლანდელ კარლ მარქსის სახელობის ხიდთან) გახსნილი ჰქონდა საწყობი ნავთის გასაყიდად. ზემო იმერეთიდან ნავთი ტიკებით გადმოჰქონდათ სად. გომში და იქიდან რკინიგზით თბილისში. ასეთი რთული ოპერაციების მიუხედავად თედელეთის ნავთი იაფი ჯდებოდა (ფუთი 40 კაპ.) და 90 კაპიკად იყიდებოდა, მაშინ როდესაც ბაქოდან საჭაპანო გზით ჩამოტანილი ნავთი თბილისში ფუთი 1,4 მანეთად ფასობდა. მაგრამ ბაქოში რკინიგზის გაყვანის შემდეგ ზემო იმერეთის ნავთობმა მნიშვნელობა დაკარგა და „საზოგადოება“ იძულებული გახდა სავაჭრო საწყობიც გაეუქმებინა [187/40—877].

მიუხედავად ამისა, ჭალის ნავთობისადმი ინტერესი არ დამცხრალა. მაგრამ კაპიტალისტ-მეწარმენი, მათ შორის ინჟ. ბუნგეც, სარგებლობდნენ რა ბაქოს მრეწველობის სწრაფი ზრდით, ცდილობდნენ ზემო იმერეთის საბადოები ხელში ჩაეგდოთ „საზოგადოებისათვის“ არახელსაყრელ პირობებში. ისიც იძულებული იყო ყოველგვარ დათმობაზე წასულიყო, ოღონდ კომპანიონები ეშოვნა. ნიკო ნიკოლაძე, თავის მხრით ენერგიულად იღწვოდა ამავე მიმართულებით. მან კომპანია გამოძებნა და მისი პირობები „საზოგადოებას“ გადმოუგზავნა [187/40 — 874].

გიორგი წერეთლისა და მუხრან-ბატონის „საზოგადოებას“ ერთდროულად განზრახული ჰქონდა „ჭალის მთის“ რკინის, მანგანუმის, ტყვია-ვერცხლისა და სხვა საბადოების დამუშავებაც, თუ რომელიმე სხვა კომპანია ამ საქმესაც მოკიდებდა ხელს. ნიკო ნიკოლაძემ აქაც რეალური დახმარება აღმოუჩინა მათ და კომპანია გამოძებნა. ამ გარემოებით აღფრთოვანებული გიორგი წერეთელი ნიკო ნიკოლაძეს სთხოვდა საქმის ბოლომდე მიყვანას, რითაც, — სწერდა ის, — „მეგობრულად ხელს გამოგვიწვდი ჩვენი მშობლიური მხარის წარმატებისათვის“ [187/40 — 871].

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული კომპანია არ შედგა, რაც ბაქოს მრეწველთა მოქმედებით უნდა აიხსნას. მ. კ. მუხრან-ბატონი ბაქოს მრეწველთა მტრულ განწყობილებას ადრევე ითვალისწინებდა, როდესაც ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „საზოგადოების“ წარმატება დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ იქნება კონტრაგენტი — თუ იგი ბაქოს მრეწველია, — „მას ადვილად წარმოეშობა სურვილი დაამუხრუჭოს თედელეთის ნავთის საქმე. კონტრაქტი მხოლოდ შენიღბავს ასეთი მოღვაწის ჭეშმარიტ მისწრაფებას, რათა ბაქოს ინტერესებისათვის ჩვენი ნავთის საქმე ჩაახშოს... თუ ეს პიროვნება ახლოა ამიერკავკასიის რკინიგზის ინტერესებთან, ამ შემთხვევაშიც მას შესაძლოა წარმოეშვას სურვილი, რათა ბაქოს სასარგებლოდ გასწიროს თედელეთის ინტერესები“ [187/40 — 878].

ეს ეჭვი უსაფუძვლო არ იყო. ბაქოს მონოპოლისტებმა ბევრი წვრილი სარეწავი შთანთქეს, ხოლო ახალ მეტოქეს წარმოსახვისთანავე ახშობდნენ.

ბაქოს მრეწველობის შემდგომ გაფართოებას აფერხებდა რკინიგზის მცირე გაბტარუნარიანობა და ნავთსადენის საკითხის ხელოვნურად შეფერხება, ამიტომ პატარა საბადოები მნიშვნელობას მთლად არ ჰკარგავდნენ, და უცხოელი კაპიტალისტები დროგამოშვებით მათ დამუშავებასაც ცდილობდნენ.

ამასთან დაკავშირებით გიორგი წერეთელი ახალი კომპანიის შედგენასა და საჩხერეში რკინიგზის გაყვანაზე ზრუნავდა. ის ვერ ურიგდებოდა იმ გარემოებას, რომ „ჭალის მთის“ პრობლემა პრაქტიკულად ჯერ კიდევ ისე არ იყო მოგვარებული, როგორც მას სურდა და ეს ბუნებრივი საგანძური ქვეყნისათვის გამოუყენებელი რჩებოდა.

ამით უნდა აიხსნას ის, რომ იგი ნ. ნიკოლაძეს ხშირხშირად მიმართავდა დახმარებისათვის. ასე, მაგალითად, 1883 წლის 24 დეკემბერს ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „ჭალის მთის შესახებ წიგნი მოგწერე და კიდევ გწერ. რაკი რკინიგზა გაგვყავს, რაც შეიძლება მალე გააბედვინე ბუნგეს, რომ შემოვიდეს ამხანაგად... აწ შენი საქმეა და ეცადე ახლავე გადააწყვეტინე, რომ ეს მშვენიერი მთა მტკიცედ გვქონდეს ხელში. მე მგონია პა-

ლაშკოვსკი უფრო დაგვყვება ამ საქმეში. ის დაიხმარე და იმის შემწეობით მად თუ არ გადაწყვიტეთ, მერე, ბუნგე რომ წამოვა, უფრო ძნელი იქნება. ბუნგე ცოტა არ იყოს მძიმე და შეუგნებელი კაცია. Палашкавский более широкая натура“ [188/138].

მეორე დღეს, 25 დეკემბერს, გ. წერეთელი იმავე ადრესატს აცნობებდა, რომ ბუნგეს გაუგზავნა წერილი და შეატყობინა, რომ ინგლისიდან წინადადება მიიღო „ჭალის მთის“ საბადოთა ექსპლოატაციაზე. ორი დღის განვლის შემდეგ ის ისევ ნ. ნიკოლაძეს ატყობინებდა, რომ სანდრო ერისთავს პეტერბურგში აგზავნის „ჭალის მთის“ ნავთობის საკითხზე. კიდევ ორი დღის შემდეგ გ. წერეთელი ისევ ნ. ნიკოლაძეს სწერდა, რომ ჭალის „მარგანეცის საქმე ძალიან კარგი საქმეა. მომეხმარე ბუნგესთან“, რომელიც ერთდროს ამ საკითხით იყო დაინტერესებული [187/13 — 320, 321, 335]. იმავე დღეს ის წერილს უგზავნის ვინმე ლიბერმანს ჭალის მანგანუმის საბადოთა დამუშავებაზე, მაგრამ ეჭვობს მისგან სახეირო რამ გამოვიდეს. 1884 წლის 2 იანვარს გ. წერეთელი ნიკო ნიკოლაძეს აცნობებდა, რომ მეისნერის ინჟინრები ყვირილის რკინიგზის ტრასას სწავლობენ და გეგმას ადგენენო [188/142 — 143], ხოლო 25 თებერვალს მასვე აცნობებდა, რომ „ჭალის მთა“ მან იჯარით აიღო, გლეხებს მოელაპარაკა, დამთავრდა ჭიათურის რკინიგზის ტრასის გამოკვლევა და სხვ. გიორგი წერეთელი 3 მარტს იმავე ადრესატს სწერდა ხონის რკინიგზის, ბათუმში ნავთის გაყიდვისა და, ამასთან დაკავშირებით, სავაჭრო კანტორის მოწყობისა და სხვათა შესახებ. მეორე დღეს ატყობინებდა ისევ ჭიათურისა და ხონის რკინიგზების საკითხზე.

შემდეგ, 1884 წლის 31 მარტს, გ. წერეთელი ნიკო ნიკოლაძეს პეტერბურგში სწერდა: „წამოდი ჩემსკენ, დრო არის ეს უკანასკნელი ათი წელიწადი ალაგობრივ ვიშრომოთ, რომ რაც დაგვიწყია, იქნება რამდენიმე ნაბიჯით წინ წავსწიოთ ეს საქმეები... ვგონებ ამ აპრილის გასვლამდის მეც მშვენიერათ გავათავო ჭალის მთის საქმე და მაშინ ნახავ, რა ძვირფასი ვიქნებით ერთმანეთის“ [188/146 — 155].

გიორგი წერეთლის მხრით ასეთი გახშირებული მიმოწერა თავისთავად ცხადჰყოფს, რამდენად ისწრაფოდა ის, რათა ჭალის მთის პრობლემა ბოლოს და ბოლოს მყარ, პრაქტიკულ საფუძველზე დაეყენებინა.

ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის ენერგიული ცდების შედეგად ზემო იმერეთის საბადოებით ბევრი საზღვარგარეთული კომპანია დაინტერესდა. ისინი ადგილზე ეცნობოდნენ საბადოებს, ნიმუშებიც მიჰქონდათ და გიორგი წერეთელს ნაირგვარ დაპირებებს აძლევდნენ, მაგრამ პრაქტიკულად თითქმის არაფერი გაუკეთებიათ იმის გარდა, რაც თვით გ. წერეთელმა და მ. კ. მუხრან-ბატონმა გააკეთეს. ამიტომ გიორგი წერეთელმა საზღვარგარეთელებს ერთგვარი იჭვის თვალით დაუწყო ცქერა, რაც ცხადად იგრძნობა ნიკო ნიკოლაძისათვის 1884 წლის 30 ნოემბერს გაგზავნილი წერილიდან, რომელიც ზევით უკვე დავიმოწმეთ (ნ. „რკინის წარმოება"). გერმანიის კომპანიის წარმომადგენელი და ბელგიის კომპანიის დირექტორი, რომლებმაც, გ. წერეთლის გამოთქმით, — „წინდაწინი პირობაც" კი დაწერეს მასთან და 1885 წლის მარტში სამუშაოების დაწყება აღუთქვეს, საერთოდ უკვალოდ გაუჩინარდნენ.

ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი, დარწმუნდნენ რა ჭალის მთის პრობლემისადმი უცხოური კაპიტალის „გულგრილობასა" და გაორებულ პოლიტიკაში, შეეცადნენ ამ საკითხის გადაწყვეტაში ისევ ადგილობრივი და რუსი კაპიტალისტები ჩაებათ. 1886 წლის 12 ივლისს გიორგი წერეთელი ნიკო ნიკოლაძეს ატყობინებდა: „სმირნოვი... დაიმედებული შენი სიტყვებით, უკანასკნელს ღონისძიებას ხმარობს, რომ ნიმუშები მიაწოდოს ბათუმს როტშილდის ნავთის ზავოდს" [187/13 — 343]. ორი წლის შემდეგ იმავე ადრესატს აცნობებდა: „ი. ბ. გოლდფარმი ის კომისიონერია, რომელიც ჭალის საქმეების მოგვარებაში მეხმარება" [187/13 — 347].

80-იან წლებში ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა რკინიგზის შტოს გაყვანა, რასაც ეწინააღმდეგებოდა სამთო სამმართველოს ხელმძღვანელობა. ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი

და სხვა მოწინავე ქართველი და რუსი მოღვაწენი ჭიათურაში რკინიგზის გაყვანის საჭიროებას ასაბუთებდნენ აგრეთვე ჭალის ნავთობის ექსპლოატაციის აუცილებლობით. გიორგი წერეთელი 1884 წელს, ვინმე იასონ კაპანაძის წერილის საპასუხოდ აღნიშნავდა, რომ ზემო იმერეთი საუნჯეა ბუნებრივ სიმდიდრეების, მათ შორის, ნავთობის, რომლის დამუშავება ახლო მომავალში დაიწყება და რკინიგზის შტოს დატვირთავსო. თედელეთის ნავთობის ექსპლოატაციის აუცილებლობით ასაბუთებდა რკინიგზის გაყვანის საჭიროებას აგრეთვე საჩხერის რაიონის მემამულე გიორგი წერეთელი [187/51 — 88]. ინჟ. ბ. სტატკოვსკი, რომელიც ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ნიკო ნიკოლაძესთან, ჭიათურის შტოს საჭიროების დასაბუთებისას მიუთითებდა, რომ ჭალის ნავთობს დიდი მომავალი აქვს და რკინიგზის გაყვანა ხელს შეუწყობდა ზემო იმერეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავების განვითარებას [190]. აკაკი წერეთლის უფროსი ძმა — დავითიც საჩხერემდე და შემდგომ ჩრდილოეთ კავკასიამდე რკინიგზის გაყვანას ამავე გარემოებით ასაბუთებდა მინისტრისათვის გაგზავნილ ბარათში [191].

შორაპანი-საჩხერის რკინიგზის გაყვანამ ჭალის მთის პრობლემა მაინც ვერ გადაწყვიტა, რადგან ბაქოს მრეწველობაქ თავისი განსაცვიფრებელი წარმატებით სრულ მონოპოლურ მდგომარეობას მიაღწია. ამას გარდა, ჭალის ნავთობის მარაგი მეტად მცირე აღმოჩნდა, რკინიგზიდან შორს მდებარეობდა და დიდძალ კაპიტალურ დაბანდებას მოითხოვდა.

მიუხედავად ამისა, გიორგი წერეთელი დაუცხრომელი გატაცებითა და ენერგიით ცდილობდა აღნიშნული საბადოები ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

1893 წლის სექტემბერს თავის მეუღლეს — ცნობილ ქართველ მოღვაწეს ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს ის სწერდა, რომ დაიწყო ჭალის მთის სიმდიდრეების აღწერა უკანასკნელთა პოპულარიზაციის მიზნით. „ჩვენი მარგანეცისათვის თუ ამხანაგი ვიშოვნე, რომ ამ ზამთარში დავიწყოთ მუშაობა, მაშინ ნახავ, გაისათ როგორ ფეხზე დავდგებით. ბევრი ფული არ

არის საჭირო, ერთი ათას თუმნამდის თუ გაბედოს ვინმემ საკმაო იქნება“ [192/532].

უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, გიორგი წერეთელი ამ დროსაც ფულად სივიწროვეს განიცდიდა, მაგრამ საბადოების დამუშავებას ის უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა, რის შესახებაც ანასტასია წერეთელს იმავე წერილში აცნობებდა: „შეიძლება პრედპრინიმატელობამ და ჩვენმა საზოგადოებრივმა საქმეებმა ერთმანეთს ხელი დაბანოს“.

ორი წლის შემდეგ (1895 წ.) საჩხერიდან გიორგი წერეთელი იმავე ადრესატს კმაყოფილებით ატყობინებდა: „ამას გარდა, კაცები ვიშოვნე აქ ნავთის ჭების დასაკეთებლად და კეროსინის სახდელათ“ [192/533].

როგორც ჩანს, ამ პერიოდში უცხოელი კაპიტალისტები ჭალის საბადოებისადმი კვლავ გარკვეულ ინტერესს იჩენდნენ. 1895 წლის 11 მარტს დაბა საჩხერედან გიორგი წერეთელი თავის მეუღლეს სწერდა: „აქ მოვიდენ ინგლისელი კამპანიიდან ინჟინრები. ეს არის ახლა გავისტუმრე... ისინი უნდა დაბრუნდნენ თუთხმეტ აპრილისათვის და იმ დროს დაიწყებენ გამოძიებას... ამბობენ, რაც ნიშნები ვნახეთ, იქიდანაც ჩანსო, რომ აქ მადნეულობა ბლომათ უნდა იყოსო“ (იქვე). სამი თვის შემდეგ გიორგი წერეთელი იმავე ადრესატს დამატებით აცნობებდა, რომ ის მონაწილეა ერთ-ერთი კომპანიისა, რომელიც ჭალის ნავთის წარმოებასა და „კეროსინის ალაგობრივ გაყიდვას“ აპირებდა [192/534].

როგორც სოფ. სავანეს მცხოვრებმა კოწია ქავთარაძემ გვაცნობა, გიორგი წერეთელს 90-იანი წლების მეორე ნახევარში ჭალის მთის დასათვალიერებლად საჩხერეში ჩამოუყვანია ერთი გერმანელი. მას იჯარით აუღია ნავთობისშემცავი ნაკვეთები და დაუწყია მცირე რაოდენობით ნავთობის ამოღება, მაგრამ მალე მუშაობა შეუწყვეტია. ამის შემდეგ გიორგი წერეთელი ნავთობის ნიმუშებს მაინც სხვადასხვა კომპანიებს უგზავნიდა.

1899 წელს გ. წერეთლის რწმუნებულს — ნ. ჩიკვაიძეს ჭალის მთის საკითხებთან დაკავშირებით ვინმე ნ. ბ. პოზდე-

ევის წინააღმდეგ საჩივარი აღუძრავს, მაგრამ რით დამთავრდა ის, უცნობია.

ზემო იმერეთის ნავთობის დამუშავების ცდები შემდგომაც გაგრძელდა, მაგრამ აქ რაიმე მსხვილი სარეწავი არ მოწყობილა.

ამრიგად, საქართველოში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებამ ხელი შეუწყო ზემო იმერეთის ნავთობის საბადოთა შესწავლასა და მათ ნაწილობრივ დამუშავებას. მაგრამ ბაქოს მრეწველობის მაგნატების დაწოლის შედეგად ჭალის საბადოების ფართო ექსპლოატაცია ჩაიშალა, რასაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელს უწყობდა უგზოობა და ადგილობრივი კაპიტალების სისუსტე.

გიორგი წერეთელი, რომლის თაოსნობით დაიწყო ჭალის საბადოთა შესწავლა-დამუშავება, გულწრფელად და ყოველგვარი ანგარების გარეშე მიისწრაფოდა, რათა ეს ბუნებრივი სიმდიდრე ხალხის საკეთილდღეოდ ყოფილიყო გამოყენებული და საქართველო ეკონომიური განვითარების ფართო გზაზე გამოეყვანა.

მწერალი ამისათვის არაფერს ზოგავდა, ოღონდ მის სანუკვარ ოცნებას ხორცი შესხმოდა. ის სიკვდილამდე მზრუნველობით თავს დასტრიალებდა ჭალის განძეულს და სხვებსაც უხმობდა მთვლემარე კუთხის მწარმოებლურ ძალთა ამოძრავებისაკენ.

ელენე წერეთელი, ეხებოდა რა ამ საქმეში გიორგი წერეთლის ღვაწლს, ჯერ გამოუქვეყნებელ მოგონებაში წერდა: „ჭალის მთა დიდ, სასარგებლო საქმედ ჰქონდა დასახული გიორგის, სულ ახალგაზრდობიდან, — და ჩვენს დროსაც, — ცდილობდა რუსი ან უცხოელი კაპიტალისტი შემოეყვანა შიგ და მისი სიმდიდრის დამუშავება დაეწყო: „მეტად საჭიროა ეს ჩვენი მხარის ეკონომიურად ასაღორძინებლადო“, — ამბობდა ხოლმე და დაუღალავად მუშაობდა ამ ნიადაგზე. კიდეც მოიყვანა რამდენჯერმე რუსები, თუ უცხოელები, კიდეც შეჰკრა ხან ერთთან, ხან მეორესთან პირობა, მაგრამ არც ერთხელ აქედან არაფერი გამოვიდა. გიორგი მაინც გულს არ იტეხდა,

ახალ და ახალ გეგმებს აწყობდა, ახალ და ახალ ოცნებებს ეძლეოდა და ერთი ხნის შესვენების შემდეგ ისევ მეცადინეობას იწყებდა. მაგონდება ერთი ფაქტი. ჯერ ისევ ქუთაისში ვიყავით და გიორგი ერთ დღეს აივანზე ჩვენს დეიდებსა და მეგობარ სტუმრებს ჭალის მთაზე ელაპარაკებოდა. ცოცხლად ირდგენდა, რა სარგებლობას მოუტანდა, როგორ გაამდიდრებდა მთელ საქართველოს მისი დამუშავება, და ბოლოს დაუმატა: — მაშინ მეც შეძლება მომეცემა და უსათუოდ ერთ დიდ, ევროპულად მოწყობილ, ქართულ სტამბას გავხსნიო. ძალიან საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის კარგად გამოცემული ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, სხვა და სხვა სამეცნიერო სახელმძღვანელო. ხალხში ცოდნა უნდა გავრცელდეს, თვითცნობიერება დაიბადოსო... დიდხანს ილაპარაკა, გატაცებით, მხურვალედ... ბოლოს, გიორგი ადგა და სადღაც წავიდა. ჩვენ ბავშვებმა ჭიშკრამდე გავაცილეთ და აივანზე სწორეთ იმ დროს დავბრუნდით, დეიდა ანიჩკა რომ ერთ დამსწრეთაგანს უპასუხებდა: — „კი, მართალია, გეგმები გიორგის არ შემოაკლდება, დიდი ფანტაზიორია. მაგრამ საკვირველი ის არის, რომ არასოდეს თავისი ან თავისი შვილების ცხოვრების რიგიანად მოწყობაზე არ ოცნებობს. სულ მარტო საზოგადო საქმე და ხალხი აგონდება“. „ფანტაზიორს“ — ყველა უძახოდა გიორგის ამგვარი ახალგაზრდული აღფრთოვანებული ოცნების გამო... გიორგის უკანასკნელ წლებში ერთი რუსი კაპიტალისტი ძალიან დაინტერესდა ჭალის მთის საქმით. „კვალში“ მაშინ „მესამე დასელები“ მუშაობდნენ... გიორგიმ ჟურნალი მათ თითქმის საკუთარი ხელებით გადასცა, თვითონ კი ჭალის მთას მოუბრუნდა. მთელი თვეობით გზად იყო გაბმული; წაიყოლიებდა ერთ ან ორ თანამგზავრს, უმეტეს ნაწილად იქაურ გლეხებს, და დადიოდა ცხენით მთის მიუვალ ადგილებში, ხან რის გამოსაკვლევად, ხან რის აღმოსაჩენად. სად და როგორ ეძინა ღამეობით, რას სჭამდა, რას სვამდა, ერთმა ღმერთმა იცოდა და კიდევაც გადაჰყვა თან ამ თავის ოცნებას“ [193].

მწერლის ქალიშვილის ამ მოგონებაში ნათლად და არსებითად სწორად არის მოხაზული გიორგი წერეთლის მონაწილე-

ობა ჭალის მთის პრობლემის განხორციელების საქმეში. მაგრამ გ. წერეთელი ასეთივე შეუპოვრობითა და ენერგიით იღწვოდა საქართველოს ეკონომიური ცხოვრების მრავალ უბანზე, უპირატესად კი მსხვილი მრეწველობის ხაზით, რომელიც, გ. მ. თუმანიშვილის გადმოცემით, მას ქვეყნის ცივილიზაციის—მწარმოებლურ ძალთა განვითარების უდიდეს ფაქტორად მიაჩნდა [194/16][1].

ეს იყო მისი ერთ-ერთი საზრუნავი საგანი, რისთვისაც ის ახალგაზრდობიდანვე თავდავიწყებით იღწვოდა. 80-იან წლებში ჭალის საბადოთა დასამუშავებლად კომპანიის შედგენასთან დაკავშირებით ნიკო ნიკოლაძისათვის გაგზავნილ წერილში გიორგი წერეთელი ადრესატს სწორედ ამ გარემოებას მოაგონებდა: „ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ შენთან ერთად ახლოს ვართ იმ სასურველ მიზანთან, რომელიც ჩვენ გულში გვქონდა წარსულიდანვე, — სახელდობრ, სამთო-საქარხნო მრეწველობის აღმავლობით დავძრათ ჩვენი კუთხის კეთილდღეობა“ [187/40 — 871].

მაგრამ ცარიზმის პირობებში შეუძლებელი გახდა ამ მისწრაფების განხორციელება.

ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს, ნავთობის მრეწველობის განვითარებით, როგორც უკვე აღინიშნა, დაინტერესებულნი იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე და სხვანიც, მაგრამ ამ დარგმა ჩვენში ფართო განვითარება მაინც ვერ მოიპოვა.

დ. ბიათურის მანგანუმის მრეწველობა

რეფორმისშემდგომ პერიოდში საქართველოს სამთო დარგის სწრაფი განვითარების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია

[1] Г. М. Туманов. Характеристики и воспоминания, Тб., 1900, გვ. 16. უნდა შეენიშნოთ, რომ გ. მ. თუმანიშვილი, ძირითადად სწორად ახასიათებდა რა გ. წერეთლის წვლილს საქართველოს სამრეწველო განვითარების საქმეში, ზოგჯერ არასწორად გადმოგვცემს ნამდვილ ვითარებას. ასე, მაგალითად, იგი წერს, თითქოს გიორგი წერეთელი ოცნების „ღრუბლებიდან უხალისოდ ეშვებოდა მიწაზე“, რაც ეწინააღმდეგება თვით ავტორისეულსავე დახასიათებას და, უმთავრესად კი დადგენილ და საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა. გასული საუკუნის მეორე ნახევარში ბაქოს ნავთის მრეწველობისა და რკინგზის შემდეგ მთელს ამიერკავკასიაში არ არსებობდა მეორე ასეთი დიდი და სწრაფაღმავალი დარგი. სულ რაღაც ათი წლის განმავლობაში მან პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიო ბაზარზე.

ჭიათურის მრეწველობის განვითარებამ ხელი შეუწყო ჩვენში სამრეწველო კაპიტალიზმის შემდგომ გაფართოებას. რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს, განსაკუთრებით ზემო იმერეთის, საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაზე. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ დარგის აღმოცენებამ რამდენადმე გაზარდა ღარიბი გლეხობის ფულადი შემოსავალი, იერი უცვალა მთელ კუთხეს და წარმოშვა სამრეწველო მუშათა კლასი, რომელმაც რუსეთის მუშათა კლასთან ერთად გარკვეული როლი შეასრულა ცარიზმისა და კაპიტალისტთა მთელი კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში.

განვითარების თავისებური და რთული გზა განვლი ჭიათურის მრეწველობამ, ვიდრე ის მთლად ხალხის კეთილდღეობისათვის სამსახურში ჩადგებოდა.

მანგანუმი ფართოდ არის ბუნებაში გავრცელებული. ის ყველაზე დიდი რაოდენობით დედამიწის ქერქში გვხვდება ნაირგვარი ჟანგეულის სახით. მანგანუმს მცირე რაოდენობით შეიცავენ ორგანული ნივთიერებებიც, და თვით კოსმოსის უსასრულო სივრციდან ჩვენს მატერიკზე ვარდნილი მეტეორიტებიც კი.

მანგანუმი უხსოვარ დროიდან გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებისათვის. ელინური ტექნიკა მას საღებავად იყენებდა მინის წარმოებაში, ხოლო, პლინიუსის (უფროსის) გადმოცემით, რომის იმპერიაში — მინის მათეთრებლად. აქედან წარმოსდგა მისი უძველესი. სახელწოდებაც — „პიროლუზიტი", რომელსაც ხალხმა უბრალოდ — „მინის საპონი" შეარქვა.

უძველეს ქართველ მეთუნეებსა და მინისმხარშველებსაც ცოდნიათ ამავე დანიშნულებისათვის ამ ნივთიერების გამოყენება.

აკაკი წერეთლისა და ცნობილი ქართველი მოღვაწის ნიკო დადიანის გადმოცემით, ზემო იმერეთის მცხოვრებნი მანგანუმის მადანს „ქვა-გუნდას“ უწოდებდნენ [185]. ზოგიერთის აზრით, ხალხმა ეს სახელწოდება შეარქვა თვით მანგანუმის მადნის ფორმის მიხედვით და ამიტომ აკაკი წერეთელსაც უმჯობესად მიაჩნდა მისთვის „ქვა-გუნდა“ ეწოდებინაო [195/24]. ზოგიერთის დასკვნით, თითქოს ეს სიტყვა ვერ გამოხატავდა „ამ მადნის ძირითად თვისებასა და შინაარსს“ [196].

ასეთ შეხედულებას არ ეთანხმება ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობები.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ლექსიკოგრაფოსის სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „გუნდა—საღებავია, მუხის კაკრა“. ასევე ნ. ჩუბინაშვილთან: „გუნდა—კრკოს მსგავსი ხილი რომელსამე ხისა, ხმარებული მელნის გამოსახდელად და სხვად საღებავად, черныдные орешки [197/184]. სიტყვა „გუნდა“-ს ამავე მნიშვნელობით ვხვდებით ძველ ქართულ ხელნაწერებშიც.

მართლაც, მანგანუმის მადანი შეხებისას ხელს ღებავს და ამიტომ ძველთაგანვე საღებავ მასალად იხმარებოდა. აკაკი წერეთელი არაერთგზის აღნიშნავდა, რომ ხორბალში შემთხვევით მოხვედრილი მანგანუმის (მისი სიტყვით, „ქვა-გუნდას“) ერთი ნამცეციც კი პურს მთლად შავად ღებავდა, აზიანებდა და ამიტომ ადგილობრივი მცხოვრებნი, მათ შორის პოეტის მამაც, ასეთ ხორბალს გაურბოდნენ [198/413]. როგორც ნ. დადიანი გადმოგვცემს, მანგანუმის მადნის ამ თვისების გამო ის ზემო იმერეთის მკვიდრთ შალეულობის შესაღებ ნივთიერებად გამოუყენებიათ. „ხალხი, — წერდა ის, — უძახის ამ შავ ქვას — ქვა-გუნდას და კიდევაც ხმარობს ძაფისა და ნაქსოვების საღებავად შავ-ფერად ან მოჭირებული იისფრად“ [185].

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მანგანუმის მადნის გამოყენების არე თანდათანობით გაფართოვდა. მას მეტნაკლები რაოდენობით იყენებენ ქიმიური მრეწველობა, ელექტროტექნიკა, საფეიქრო მრეწველობა, სამედიკამენტო წარმოება, მიწათმოქმედება და სხვ. მაგრამ მანგანუმის მადანს ყველაზე

დიდი რაოდენობით იყენებს შავი ლითონების მეტალურგიული მრეწველობა — მოპოვებული მადნის 95 პროცენტზე მეტს. მეტალურგიაში იგი უმთავრესად ფერომანგანუმის (რკინისა და მანგანუმის შენადნობის) სახით გამოიყენება ფოლადისათვის მაღალი ქიმიური და მექანიკური თვისებების მისანიჭებლად.

მართალია, ფოლადის წარმოებაში მანგანუმის გამოყენებაზე პირველი პატენტი ჯერ კიდევ 1799 წელს ვ. რაინჰოლდტმა აიღო, მაგრამ ამ დარგში მისი ფართო გამოყენება დაიწყო მხოლოდ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან — ბესემერისა და მარტენის მეთოდებით ფოლადის დნობის შემოღების შემდეგ.

უძველესი მეტალურგიული პრაქტიკისათვის მანგანუმის გამოყენება საერთოდ უცნობია. ამ მხრით გამონაკლისს შეადგენენ ზემო რაჭის გლეხური მეტალურგიული სარეწავები. რომლებიც კარგი ხარისხის რკინა-ფოლადის გამოსადნობად კაზმში თურმე მანგანუმის მადანს უმატებდნენ. რაჭველებს ამ მადნისათვის რატომღაც „ფაშა“ შეურქმევიათ [128/9]. ეს მადანი რაჭაშიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება. ამიტომ იქაური მეტალურგები, უეჭველია, ადგილობრივი საბადოთი კმაყოფილდებოდნენ და გარედან მისი შეტანა არ უხდებოდათ.

მანგანუმის მადანი საქართველოში ბევრგან მოიპოვება, მაგრამ ყველაზე მძლავრია ჭიათურის საბადო, რომელმაც მსოფლიო მნიშვნელობა დაიმკვიდრა.

* * *

ჭიათურის მანგანუმის საბადოთა აღმოჩენა ნაირგვარად არის ლიტერატურაში დათარიღებული, რადგან ზოგიერთი ავტორი იქიდან გამომდინარეობდა, თუ როდის დაიბეჭდა მასზე პირველი ცნობა. ასეთი გზით, ცხადია, შეუძლებელია ზუსტად რაიმეს დადგენა და ტლანქი შეცდომისაგან თავის დაზღვევა, რადგან საბადოს აღმოჩენის ფაქტი ხშირად წლობით წინ უსწრებდა მასზე პირველი ცნობის გამოქვეყნებას.

როგორც აღინიშნა, ჭიათურის მანგანუმის საბადოები ყველაზე ადრე ადგილობრივ მოსახლეობას აღმოუჩენია და გარკვე-

ული დანიშნულებისათვისაც გამოუყენებია, მაგრამ ლიტერატურაში ეს გარემოება 1879 წლამდე არ აღნიშნულა. საერთოდ, გასული საუკუნის 50-იან წლებამდე ლიტერატურა არაფერს გვამცნობს თვით ჭიათურის საბადოების არსებობაზეც კი. ცნობილი ქართველი მეცნიერი-გეოგრაფოსის ვახუშტის ენციკლოპედურ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", რომელშიც დაწვრილებით აღნუსხულია თითქმის ყველა უმნიშვნელო საბადოც კი, ჭიათურის მადანზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, თუმცა ზემო იმერეთი ყოველმხრივ საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი.

საქართველოს მანგანუმის საბადოები 40-იან წლებამდე თითქმის სრულიად არ არის ასახული აგრეთვე საარქივო საბუთებში. ერთადერთი საბუთი—ესაა 1802 წელს სამთო ექსპედიციის ლაბორატორიის გამგის პატაკი, რომელშიც აღნიშნულია მანგანუმის მადნის ანალიზის მხოლოდ ფაქტი, მაგრამ რომელ საბადოდან იყო წარდგენილი ეს ნიმუში, საბუთში მითითებული არ არის [199]. მეორე ცნობა, რომელიც არქივში ჩვენ გამოვავლინეთ და უშუალოდ ჭიათურის საბადოს შეეხება, განეკუთვნება 40-იანი წლების მეორე ნახევარს. ეს საბუთი გვაუწყებს, თუ გეოლოგებმა პირველად როდის დაათვალიერეს აღნიშნული საბადოები.

ლიტერატურულ ცნობებს ჭიათურის საბადოებზე პირველად ვხვდებით 50-იანი წლების დასაწყისიდან. პირველი ცნობა მის შესახებ გამოაქვეყნა 1854 წელს პეტერბურგის „სამთო ჟურნალმა" [200/404 — 433]. 1858 წელს ამავე ჟურნალში გამოქვეყნდა აკად. აბიხის ვრცელი მონოგრაფია ჭიათურის საბადოებზე [54]. მაგრამ ამ ლიტერატურულ ცნობებში მითითებული არაა საბადოს აღმოჩენის თარიღი. ამიტომ, მკვლევარები, ემყარებიან რა მათი გამოქვეყნების თარიღს, ნაირგვარად, არსებითად არასწორად, ათარიღებენ ჭიათურაში მანგანუმის მადნის პირველად „აღმოჩენას". ამის შედეგად, ლიტერატურაში ბოლო დრომდე მიუთითებენ რამდენიმე თარიღს, სახელდობრ: 1849 წელს, 50-იან წლებს, 1853, 1854, 1858 წელს და სხვ.

უკანასკნელ დრომდე ზოგიერთი მკვლევარი და მწერალი

ჭიათურის საბადოთა აღმოჩენას აკაკი წერეთელს მიაწერს [55]. სხვათაშორის, ამ მცდარი ვერსიის გავრცელებას ხელი შეუწყო ჭიათურის მრეწველობაზე თვით აკაკი წერეთლის ზოგიერთმა მოგონებამ. პოეტი თავის პირველ მოგონებაში წერდა: „ამ ათი წლის წინეთ... მე შევნიშნე ეს მადნეული“ [201], რაც გაგებული იქნა არა როგორც უკვე ცნობილის შენიშვნა, მისით დაინტერესება დამუშავების მიზნით, არამედ როგორც მანამდე უცნობი საბადოს პირველად აღმოჩენა, თუმცა თვით აკაკი წერეთელს პირველად აღმომჩენის სახელი არასოდეს არ მიუსაკუთრებია.

რაც შეეხება უკვე აღნიშნულ ნაირგვარ თარიღებს, არც ერთი მათგანი სწორი არ არის.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდებში მივაკვლიეთ აკად. აბიხის მიერ 1848 წლის 9 აპრილს გერმანულ ენაზე დაწერილ საბუთს — ჭიათურა-საჩხერის მანგანუმისა და შავი ზღვისპირეთის მაგნიტური სილების საბადოთა მოკლე აღწერას. ეს აღწერა მას 1848 წლის 23 აპრილს მეფისნაცვლისათვის წარუდგენია. ამავე საარქივო საქმეში დაცულია აკად. აბიხის მეორე წერილი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ჭიათურა-საჩხერის მანგანუმის საბადოები მას პირველად უნახავს 1846 წელს [202], რაც გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებით.

40-იან წლებში ცარიზმი დაინტერესებული იყო უმთავრესად ქვანახშირისა და რკინის საბადოების გამოვლენით. ამიტომ დასავლეთ საქართველოში აკად. აბიხის მივლინების მიზანსაც მხოლოდ ამ მადნების გამოვლენა და შესწავლა შეადგენდა. ჭიათურის მანგანუმის საბადოებს ის შემთხვევით გაცნობია და მაინცდამაინც დიდად არც დაინტერესებულა, რადგან მას უფრო მეტად რკინა და ქვანახშირი აინტერესებდა. ამით უნდა აიხსნას ის, რომ 1846 წელს დათვალიერებულ საბადოზე თავისი „მოკლე აღწერა“ მხოლოდ ორი წლის შემდეგ (1848 წ.) წარუდგენია მეფისნაცვლისათვის და მოუთხოვია სოფ. ნავარძეთიდან (ჭიათურის ახლოს) მადნის ნიმუშების თბილისში გადმოგზავნა საანალიზოდ.

დამახასიათებელია, რომ ნიმუშების მიღება თითქმის ერთ წელიწადს დაყოვნდა, რადგან ინჟ. კომაროვიც, რომელსაც ამ საქმის შესრულება დაევალა, როგორც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი აცნობებდა მეფისნაცვალს, უმთავრესად ქვანახშირისა და რკინის საბადოების ძებნა-შესწავლაზე მუშაობდა.

ინჟ. კომაროვს აღნიშნული საბადოების დათვალიერება ჩაუტარებია მხოლოდ 1849 წლის მარტში შიხტმაისტერ კალინინისა და ორი ოსტატის თანხლებით და თბილისში გადაუგზავნია სხვა უბნებზე შეკრებილი მანგანუმის მადნის ნიმუშები, აგრეთვე სოფ. ეთოში გლეხების დახმარებით ნაპოვნი ქვანახშირის ნატეხები. სწორედ ამ ნიმუშების მიღებასთან დაკავშირებით აცნობებდა აკად. აბიხი მეფისნაცვლის კანცელარიას. რომ ჭიათურის საბადოები, რომლის ნიმუშებიც მიიღო, პირველად მან აღმოაჩინა 1846 წელს.

საკითხი ნათელია.

ამრიგად, ზოგიერთი ავტორის კატეგორიული განცხადება იმის შესახებ, თითქოს „მთელი რიგი წყაროებით და დოკუმენტებით საესებით დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ჭიათურის მარგანეცი აკაკიმ აღმოაჩინაო“, არ შეესაბამება საქმის ნამდვილ ვითარებას.

როგორც ვნახავთ, აკაკი წერეთლის უდიდესი დამსახურება ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის საქმეში იმაში მდგომარეობს, რომ პირველად მან აღძრა საკითხი ხალხში უკვე ადრევე ცნობილი და შემდგომ გეოლოგების მიერ აღწერილი, მაგრამ უყურადღებოდ მიტოვებული, საბადოს სამრეწველო გამოყენებაზე. პრაქტიკულად პირველად მანვე დაიწყო საბადოს დამუშავება, რაც ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარების თვალსაზრისით უფრო დიდმნიშვნელოვანია, ვიდრე ხალხის მიერ მანამდე უკვე აღმოჩენილი და გამოყენებული საბადოს აღწერა-გამოკვლევა.

მაგრამ როგორც ხელისუფლება, ისე სამთო სამმართველო საკმაოდ გულგრილად შეხვდნენ აღნიშნული საბადოს აღმოჩენის ფაქტს. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თბილისის საშინჯ პალატას ნიმუშების ანალიზის შედეგები მხოლოდ 1851 წლის დასასრულს გადაუგზავნია პეტერბურგში სამთო ინჟინერთა კორ-

პუსის შტაბისათვის, უკანასკნელს კი ექვსი თვის შემდეგ გაუთხოვია თბილისიდან დაწვრილებითი ცნობები აღნიშნული საბადოების შესახებ. კიდევ ექვსმა თვემ განვლო და ამის შემდეგ შტაბს მეფისნაცვლისათვის უცნობებია, რომ ნიმუშები მაღალხარისხოვანია და მადნის გამოყენება შეიძლება მრეწველობაშიო.

ჭიათურის მადნის ასეთი მაღალი შეფასებისა და მასზე მზარდი მოთხოვნილების მიუხედავად, ის ათეული წლების განმავლობაში სრულიად მივიწყებული იყო. უეჭველია, კიდევ დიდხანს დარჩებოდა ასე, რომ აკაკი წერეთელი არ დაინტერესებულიყო მისი სამრეწველო დამუშავებით, რაც უმთავრესად განაპირობა რეფორმისშემდგომ პერიოდში შექმნილმა საზოგადოებრივ-ეკონომიურმა ვითარებამ და, კერძოდ, მანგანუმის მადანზე მზარდმა მოთხოვნილებამ.

აკაკი წერეთელი ყრმობიდანვე გამსჭვალულა ქვეყნისადმი სამსახურის მისწრაფებით და ბოლომდე პრაქტიკულად იღწვოდა ხალხის კეთილდღეობისათვის. საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ წამოჭრილა არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაწყვეტაში მას თავისი წვლილი არ შეეტანოს. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია მგოსნის უანგარო ღვაწლი საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების, განსაკუთრებით ჭიათურის მანგანუმის საბადოთა, დამუშავების საქმეში.

მგოსნის ბიოგრაფები და მრეწველობის ძველი მუშები ნაირგვარად გადმოგვცემენ იმას, თუ აკაკი წერეთელმა პირველად როდის დაიწყო პრაქტიკულად ზრუნვა ჭიათურის საბადოების სამრეწველო დამუშავებისათვის[1]. ასე, მაგალითად, სოფ. ზედა რგანის მცხოვრები სილიონ ლუკას ძე ბუხრაშვილი

[1] აკაკი წერეთელი როდის დაინტერესდა ჭიათურის საბადოებით, ხანგრძლივად როგორ იბრძოდა მათი დამუშავებისათვის, როდის ჩაუყარა საფუძველი მრეწველობის ამ დარგს და შემდგომ როგორ ზრუნავდა მისი სწორი წარმართვისათვის დოკუმენტურად დაწვრილებით განხილულია ჩვენს შრომაში „აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი (1958 წ.).

(დაბ. 1862 წ.) თავის გამოუქვეყნებელ მოგონებაში წერს: „ძველად, სამოციან წლებში, თუმცა კი იცოდნენ მარგანეცის არსებობა ჭიათურის რაიონში, მაგრამ მის დამუშავებაზე მაშინ წარმოდგენაც არავინ ჰქონდა... არ ვიცოდით მისი ფასი და მნიშვნელობა. პირველი წერაქვი 1862 წელს შემოჰკრეს დიდსა და ზემო რგანში, სოროკსა და კვიცხნარში [203/საქ. № 18].

105 წლის მოხუცმა, ქ. ჭიათურის ძველმა მცხოვრებმა (ორჯონიკიძის ქ. № 11), ნოშრევან ლეჟავამ გვიამბო, რომ აკაკი წერეთელმა ჭიათურის მადნების დამუშავებაზე ზრუნვა დაიწყო მაშინ, როდესაც ილია ჭავჭავაძე ქუთაისში მსახურობდაო, ე. ი. 1864 წელს[1].

კ. მოდებაძის მოგონების მიხედვით, აკაკი წერეთელმა საბადოთა დამუშავებას ხელი მოჰკიდა 1879 წლის შემოდგომას და მადნის ნიმუშებიც გაგზავნა [204]. როსტომ წერეთლის ყოფ. მსახურის ხოჯანა სალარიძის გადმოცემით, აკაკი წერეთელმა ეს საქმე დაიწყო რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებიდან სამი დღის შემდეგ.

ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი ამ საკითხზე წერდა: „...ეს იყო 1880 წელს... რუსეთში ვბრუნდებოდი... ქუთაისიდან თანამგზავრად თბილისამდი შემხვდა ერთ დროს თბილისის ხელოსანთა მამასახლისათ ყოფილი ანდრია კაპანაძე — აკაკის დიდი მეგობარი და მისი ღრმად მოსიყვარულე პირი. გზაში სულ აკაკის შესახებ მელაპარაკებოდა, მის შესახებ სხვადასხვა ამბებს მომიყვებოდა ხოლმე; მეც დიდი სიამოვნებით ვუსმენდი პოეტის შესახებ მონაყოლ ამბებს... თბილისში კაპანაძემ თავის სახლში მიმიპატიჟა რუსეთისაკენ გამგზავრებამდინ... სახლში ამბავი დაგვხვდა, რომ აკაკი მეორე დღეს ზემო იმერეთიდან უნდა ჩამოსულიყო და კაპანაძისას მოვიდოდა, სადაც მას მუდამ ბინა ჰქონდა[2]... მეორე დღეს, საღამოს აკაკი კაპანაძისას მოვიდა. ყველანი შევეგებენით... იგი გატაცებით

---

[1] ნ. ლეჟავას მოგონება ჩვენთან ინახება.

[2] ანდრია კაპანაძე 1876 წლიდან ცხოვრობდა ი. ორბელიანის სახლში, ყ. ალექსანდროვის (ახლა 26 კომისრის სახ.) ბაღის პირდაპირ საზოგადოებ-

ლაპარაკობდა შავი-ქვის შესახებ, იმაზედ თუ როგორი წარმატებაში შევა ის კუთხე, როცა საქმეს თავი მოებმისო, რა განსხვავებული ცხოვრება დატრიალდება და გაჩაღდება ჭიათურის გარშემოო, როგორ გამოიღვიძებს იქაურობა და გაცოცხლდებაო. ჩვენ ყველანი სმენად ვიყავით გადაქცეულნი და აკაკიც გატაცებით ლაპარაკობდა“ [205].

მგოსნის ,ოხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის წამძღვარებულ ბიოგრაფიულ ნარკვევში მანგანუმით აკაკის დაინტერესების თარიღად მითითებულია 70-იანი წლები. 70-იანი წლების პირველ ნახევარზე მიუთითებდნენ ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, სერგო გორგაძე, აგრეთვე ანდრია კაპანაძე და სხვანი [206].

თვით აკაკი წერეთლის გადმოცემით, ის ჭიათურის საბადოთა დამუშავების საქმეს ათი წლის წინათ, ე. ი. 60-იანი წლების მეორე ნახევარში „ჩაუდგა კვალში“ და „მუხლით-მუხლამდე“ წინ სწევდა მას [201].

ამრიგად, აღძრულ საკითხზე რამდენიმე ერთიმეორის საწინააღმდეგო ვერსია არის ლიტერატურაში გავრცელებული. არსებობს სხვა ვერსიებიც, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, მით უმეტეს, რომ ყველა ისინი 60 ან 70-იანი წლების ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდებიან და მხოლოდ ორიოდე საბუთს გადავყევართ 80-იანი წლების პირველ ნახევარში, რაც ეწინააღმდეგება უკვე ზუსტად დადგენილ ფაქტებს.

ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობების მიხედვით, აკაკი წერეთელი ჭიათურის მანგანუმის საბადოთა დამუშავების საკითხით უნდა დაინტერესებულიყო ჯერ კიდევ 60-იანი წლების პირველ ნახევარში.

მგოსანი მოგონებებში მიუთითებს, რომ მანგანუმის მადანს ის ბავშვობაშივე გაეცნო. დაახლოებით 1912 წელს დაწერილ მოგონებაში — „თუ როგორ დაარსდა შავი ქვის მრეწველობა

რიეი მზრუნველობის — „პრიკაზის“ (ახლა უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების) შენობის გვერდით, № 15-ში, სადაც აკაკის ერთი ოთახი ჰქონდა გამოყოფილი და საჩხერიდან ჩამოყვანილი შვლის ნუკრით ერთხანს იქ ცხოვრობდა.

ჭიათურაში“, ის წერდა: „მე ჯერ კიდევ გიმნაზიაში ვიყავი, ვიქნებოდი ასე ათი-თორმეტი წლის, ერთხელ წირქვალიდან ბეგარა პური გამოგვიტანეს, და მამაჩემმა უთხრა მოურავს: ეგ პური სხვაგან ჩაჰყარეთ, ცალკე ქათმებისათვის, რომ სხვა ხვადაბუნის პურებში არ გაერიოს, თვარამ დავიღუპებითო[1]. მე გაოცებულმა მიზეზი გამოვკითხე და მითხრეს: წირქვალისა და რგანის პური არ ვარგაო! — ქვა-გუნდა ურევია, კალოს რომ აიღებენ, ის პატარ-პატარა ქვა-გუნდები აჰყვებიან ხოლმე და პურს ისე აშავებენ, რომ საჭმელად აღარ ვარგაო... ერთი კოდი წირქვალური ან რგანის პური თუ გაურიე, ასსა და ათასს კოდს პურს შავად შეღებავს, გააფუჭებსო?... როგორც ახალგაზრდას ეს ჩამრჩა გულში“ [198/413].

უფრო ადრინდელ მოგონებაში აკაკი წერდა, რომ ამ ამბის მოსმენისთანავე, ის მეორე დღეს სოფ. წირქვალში წასულა და საკუთარი თვალით უნახავს აუარებელი შავი ქვა, რომელიც „უბრალო ქვას არა ჰგავდა, და ხალხიც ქვა-გუნდას ანუ მწირ ქვას ეძახდა“ [196].

ამის შემდეგ დიდმა ხანმა განვლო. 1859 წელს აკაკი პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა სწავლის გასაგრძელებლად. ერთხელ, როდესაც ის ძველ „სამთო ჟურნალს“ ათვალიერებდა, აკად. აბიხის სტატია წაუკითხია ჭიათურა-საჩხერის მანგანუმის საბადოებზე და მყისვე მოგონებია სხვიტორში (და არა ჭიათურაში, როგორც ეს აღნიშნულია პ. ლორიას რომანში — „მაღაროებში“) მოურავთან მისი მამის საუბარი. „ეს, რომ წავიკითხე, — წერდა აკაკი, — მაშინ მომაგონდა მამაჩემის

---

[1] აკაკის მამა წირქვალურ ხორბალს რომ გაურბოდა, იქიდანაც ჩანს, რომ როსტომ წერეთელს ზოგიერთი თავისი მიწის ნაკვეთი სრულიად მიუვიწყებია. აკაკი წერეთელი ამაზე ანიჩკა ნიკოლაძეს სწერდა: „ის მარგანეცის ადგილი რომ არის მანდ დახატული და მე რომ სხვისი მეგონა, თურმე საკუთრად ჩვენი ყოფილა (კარგი მებატონე არა ვარ?). თურმე მამაჩემს დაუწუნებია. ის ადგილი პურს მიხდენს, ბრჭყვიალა და შავი ადგილიაო“ (აკაკი წერეთლის სახელობის მუზეუმი სხვიტორში, აკაკის ფონდი). ხოჯანა სალარიძე გადმოგვცემს, რომ როსტომ წერეთელი „წირქვალურ პურს სახლში არ შემატანინებდა, იქეე ხსნიდა (პყრიდა), უგემური იყო“ („ლიტ. მატ.“, № 3 — 4, 1942, გვ. 20).

ქვა-გუხდა და ჩაუდექი კვალში. ვამოწმებ აბიხის ნათქვამს მარგანეცის შესახებ და ყოლიფერი მართალი გამოდგა".

ამრიგად, აკაკი წერეთელი „შავ მიწად" წოდებულ მანგანუმის მადანს გაცნობია ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს, ხოლო შემდეგ — პეტერბურგში სტუდენტობისას, ე. ი. 1859—1862 წლებში. აქვე დაუწყია მას ამ მადნის მნიშვნელობისა და მომავლის შესწავლა. ერთ-ერთ მოგონებაში ის აღნიშნავდა, რომ მან ადრევე იცოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა „საზოგადოდ მარგანეცს და რა გამოსადეგი და როგორ ხმარობენ ფაბრიკებზე".

საბადოებით აკაკის დაინტერესება, აკად. აბიხის აღნიშნული წერილის გაცნობა და მანგანუმის მომავლის დაწვრილებით შესწავლა შემთხვევითი მოვლენა არ იყო. ის განაპირობა შექმნილმა ვითარებამ, სამშობლოს კეთილდღეობით გატაცებამ და წინამორბედი ქართველი საზოგადოებრიობის ცდებმა ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენების საქმეში.

როგორც წინა ნაწილში აღინიშნა, აკაკი პეტერბურგში ჩასვლისთანავე „პაწია კავკასიელთა წრეში" მოხვდა და მისი იდეებით გაიმსჭვალა, რაც ცხადად იგრძნობა მის იმდროინდელ პოეტურ და ლიტერატურულ შემოქმედებაშიც, აგრეთვე დედისათვის გაგზავნილ კერძო წერილებში. 19 წლის აკაკი პეტერბურგიდან დედას სწერდა: „მაგრამ ესეც მანუგეშებს, რომ ვხედავ, ისეთი დრო მოდის, რომ საჭირო არ არის კაცს დარჩეს მამისაგან სიმდიდრე და ამისთანები, და არც ჩინი შეადგენს ბედნიერებას და, თუ შეადგენდა აქამდის, ის დრო მალე წაბრძანდება. მხოლოდ საჭირო ყოფილა კაცისათვის ერთი — მხოლოდ სწავლა. ნამდვილი, რომელიც კაცს... აცნობებს, თუ რა დანიშნულებით არის კაცი შექმნილი" [207]. აქ თითქოს განმეორებულია 1858 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ პეტერბურგში დაწერილი „ჩემი თარიარალის" ძირითადი იდეა: „დავეხსნათ ჩინის ძებნასა, ემაგ ფუჭსა დიდებასა". აკაკიმ ქართველ სტუდენტთა უფროსი თაობის ზეგავლენით უარყო თავისი მისწრაფება სამხედრო სამსახურში შესვლაზე და

სამშობლოს კეთილდღეობისათვის სხვა დარგის ცოდნისა და მეცნიერების შესწავლა გადაწყვიტა.

იგი არ კმაყოფილდებოდა უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამის ჩარჩოებით და გულმოდგინედ სწავლობდა მრავალ ისეთ დარგს, რაც მას თავისი ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარებისა და სამშობლოს ყოველმხრივ აღორძინებისათვის გამოადგებოდა. სხვიტორის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია აკაკის პირადი ბიბლიოთეკის ნაწილი, საიდანაც ნათლად ჩანს, რაოდენ მრავალმხრივი და ფართო იყო მისი ინტერესი ცალკეული სპეციალური და ტექნიკური დისციპლინებისადმი.

ასეთი საკითხებით დაინტერესება მასში უნდა გამოეწვია აგრეთვე პეტრე ბაგრატიონს, რომელთანაც მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა და ხშირადაც დაიარებოდა მასთან, რაც ჩანს 1860 წლის აპრილში დედისათვის გაგზავნილი წერილიდან, რომელშიაც წერია „პეტრე ბაგრატიონიც ვნახეო“.

პ. ბაგრატიონი, როგორც მეცნიერი, უეჭველია, თვალყურს ადევნებდა ტექნიკურ ლიტერატურასაც და იცნობდა ჭიათურის მანგანუმის შესახებ აკად. აბიხის მონოგრაფიას. საფიქრებელია, რომ ამ ნაწარმოებს აკაკი სწორედ პ. ბაგრატიონის მითითებით გაეცნო.

აკაკი წერეთელს პრაქტიკულად დაუწყია ზრუნვა კაპიტალისტურ საფუძველზე ქვეყნის სამრეწველო განვითარებისათვის, მაგრამ მის პროგრესულ მისწრაფებას წინაღუდგნენ ადგილობრივი მემამულენი [208/160], რადგან ის არსებითად მიმართული იყო მათი ინტერესების წინააღმდეგ.

კონკრეტულად რომელ პრაქტიკულ საკითხს მოკიდა ხელი აკაკი წერეთელმა საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ზუსტად დადგენილი არ არის, მაგრამ ივარაუდება, რომ მისი ზრუნვის ერთ-ერთ მთავარ საგანს უთუოდ ჭიათურის საბადოთა დამუშავება წარმოადგენდა. გამორიცხული არ არის, რომ 1867 წელს ამ საბადოების გამოკვლევაზე გ. წულუკიძის წინადადებაც [209] აკაკი წერეთლის მიერ იყო ნაკარნახები. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ აკაკი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ სწორედ ამ წლებში ქუთაისში

მოღვაწეობდა. ამავე ქალაქში სამთო ოლქის ინჟინრად მუშაობდა იმ დროს ცნობილი ქართველი გეოლოგი გ. გ. წულუკიძე, რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან (გ. ორბელიანი, ა. წერეთელი), რომელნიც ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა გამოყენებას ცდილობდნენ.

1867 წლამდე ჭიათურის მანგანუმის საკითხი საერთოდ მივიწყებული იყო. დამახასიათებელია, რომ გ. გ. წულუკიძის წინადადების შემდეგაც, 1868 წლისათვის სამთო სამმართველოს მიერ შედგენილი გეოლოგიურ სამუშაოების გეგმა ჭიათურის საბადოების გამოკვლევას არ ითვალისწინებდა.

ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობებიდან ჩანს, რომ მემამულეთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ა. წერეთელს 60-იანი წლების მეორე ნახევარში უფრო გაუძლიერებია ზრუნვა საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეთა, პირველ რიგში ჭიათურის, საბადოების დამუშავებისათვის [196/№ 265].

ამას ადასტურებს პოეტის მამისათვის ჯოყოითელი კონ. აბაშიძის მიერ გაგზავნილი წერილიც, რომელიც აკაკიმ პირველად 1889 წელს გამოაქვეყნა. კონსტანტინე აბაშიძეს ადრესატისათვის მიუწერია: „ამ ხუთი წლის წინათ სიხარულით გილოცავდით შენიანები შენი შვილის უცხო ქვეყნიდგან დაბრუნებას!.. გვეგონა, თუ ის მაშინ, ოჯახის სასიკეთოდ, ან ადვოკატობას დაიწყებდა და ან სამსახურში შეავიდოდა, მაგრამ იმანკი... მესტვირობა დაიწყო... ახლა კიდევ აუჩემებია რაღაც შავი ქვა და ჩხირკედელაობს“ [210].

სამწუხაროდ, ამ წერილის დედანს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, რათა დაგვეზუსტებინა მისი პირვანდელი ტექსტი და თარიღი. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ 4 წლის შემდეგ (1893 წ.) იმავე კ. აბაშიძის თითქოს იგივე წერილი აკაკის თავის მოგონებაში განსხვავებული ტექსტით აქვს დამოწმებული.

პოეტის ბიოგრაფს, აწ განსვენებულ ლ. ასათიანს, სწორედ ეს, პირველისაგან განსხვავებული, ტექსტი დათარიღებული აქვს 1867 წლით [211/219].

რასაკვირველია, მანგანუმზე ზრუნვა აკაკის შეეძლო დაეწყო რუსეთიდან როგორც პირველი (1862 წ.), ისე მეორე (1865 წ.) ჩამოსვლის შემდეგ; შეიძლება კ. აბაშიძის წერი-

ლიც 1867 წელს იყოს დაწერილი, და მაშინ გამოდის, რომ აკაკის იმ დროისათვის, მართლაც, უცდია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების დამუშავება. მაგრამ კ. აბაშიძის წერილის სწორედ ის ტექსტი, რომელიც აკაკის 1893 წელს „კვალში" დაუბეჭდია (№ 34) და რომლითაც ლ. ასათიანს უსარგებლია 60-იან წლებში აკაკის მოღვაწეობის დასახასიათებლად, არავითარ უფლებას არ გვაძლევს ის 1867 წელს დაწერილ წერილად მივიჩნიოთ. კ. აბაშიძის ერთი და იგივე წერილის სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ტექსტების ზედაპირული შეჯერებითაც ნათელი ხდება მათი მკვეთრი განსხვავება. „კვალში" გამოქვეყნებული ტექსტი შეიცავს ისეთ ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა დაახლოებით 10—12 წლის (ე. ი. 1877—78 წწ.) შემდეგ და ამიტომ კ. აბაშიძეს არ შეეძლო 1867 წელს როსტომ წერეთლისათვის მიეწერა ისეთი ამბები, რომლებიც როსტომის გარდაცვალების (1876 წ.) შემდეგ მოხდა. საფიქრებელია, რომ ა. წერეთელმა „კვალში" დაბეჭდილ თავის მოგონებაში კ. აბაშიძის წერილის შინაარსი მეხსიერებით აღადგინა (რასაც აკაკი ხშირად მიმართავდა ხოლმე) და ამიტომ წინანდელი და შემდეგდროინდელი ამბები, რომელნიც თავიანთი ხასიათით თითქმის ერთგვაროვანი იყო, მის მოგონებაში ერთიმეორეში აირია. ასეთი ხარვეზი მემუარული ლიტერატურისათვის უცხო არ არის.

საგულისხმოა ერთი დეტალი: აკაკი გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდილ მოგონებაში კ. აბაშიძის წერილის ციტირების წინ წერს, რომ მას მოჰყავს მამის მიერ მიღებული წერილის პირი [210], ხოლო „კვალში" (1893, № 34) ამ შენიშვნას აღარ აკეთებს.

ამრიგად, კ. აბაშიძის მიერ 1867 წელს დაწერილ წერილად უნდა მივიღოთ ის ტექსტი, რომელიც აკაკიმ 1889 წელს „ივერიაში" გამოაქვეყნა და რომელიც თავისი შინაარსითა და ხასიათით სავსებით შეესაბამება 60-იან წლებში შექმნილ ვითარებას და პოეტისადმი მემამულეთა დამოკიდებულების ხასიათს [159/15 — 16].

პოეტის ბოლოდროინდელ მოგონებაში, რომელიც პირველად ჩვენ გამოვაქვეყნეთ [159/225—230], ერთი საგულისხმო

მომენტია მოტანილი, საიდანაც ირკვევა, რომ ჭიათურის მანგანუმის სამრეწველო ექსპლოატაციისათვის ცდები ა. წერეთელს 60-იანი წლების მეორე ნახევარში დაუწყია. „ცამეტი წლის განმავლობაში, — წერდა აკაკი, — ექვსჯერ მოვიყვანე კომპანია უცხოეთიდან ჩემი ხარჯით... მაგრამ როგორც უგზოუკვლობამ, ასე სვინსონის ავაზაკებისაგან მოკვლამ ფოთში, და უფრო, ახლად ატეხილმა ომიანობამ შემიშალა ხელი“.

როდის უნდა ყოფილიყო ეს „ახლად ატეხილი ომი“?

1889 წელს ა. წერეთელმა მანგანუმის მრეწველობის წარსულზე მეორე მოგონება სამ ფელეტონად დაბეჭდა. მათში გადმოცემულია, რომ ერთხელ პოეტის მამას სხვიტორში ბორდოელი ვაჭრები, ვინმე ბაზილი და პონშარი, სწვეევია. მათ, მანგანუმის საბადოების დათვალიერების შემდეგ, როსტომ წერეთლისათვის აღუთქვამთ, რომ მალე უკან დაბრუნდებოდნენ და საბადოს დამუშავებას შეუდგებოდნენ. როგორც აკაკი გვაუწყებს, პოეტის მამა ბორდოელების დაბრუნებას „წ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი ყ ო ვ ე ლ დ ღ ე მ ო უ თ მ ე ნ ლ ა დ ე ლ ო დ ა... ე რ თ ი წ ე ლ ი წ ა დ ი ც კ ი დ ე ვ პ ა ე მ ა ნ ზ ე მ ე ტ ი უ ცა დ ა“, მაგრამ ისინი აღარ გამოჩენილან. „ერთხელ, — განაგრძობს აკაკი, — ჩემმა უფროსმა ძმამ (დავითმა) მოახსენა მამას... ეგების ახლა ისინი ცოცხალიც აღარ იყვნენო!.. ამას წინად რომ ომი ჰქონდათ გერმანელებთან, შეიძლება იმ ომში მოჰკლესო“ [210/№ 269].

ვფიქრობთ, რომ აქ ნაგულისხმევი უნდა იყოს 1870—71 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომი. მაშასადამე, ბორდოელი ვაჭრები საჩხერეში 70-იან წლებამდე უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ომი 1870 წელს დაიწყო. მოხსენებული სუინსონიც ამ დროს მოკლეს ფოთში (1871—72 წწ).

კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც აგრეთვე მიგვითითებს, რომ ა. წერეთელმა მანგანუმის საბადოს დამუშავებისათვის ცდები, და არა თვით ექსპლოატაცია, 60-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო.

აკაკის პირველი მოგონება მანგანუმის მრეწველობაზე 1880 წლის პირველ დღეებში დაიბეჭდა; მოგონებაში ვკითხულობთ: „ამ ათის წლის წინეთ, როდესაც ჩვენში ფიქრათაც არავის

ჰქონია. თუ რა იყო გუნდა ქვა (მარგანეცი), მე შევნიშნე ჩვენში ეს მადნეული... აუჩქარებლად ჩაუდექ კვალში ამ საქმეს და დაუზარებლად მიმყავდა მუხლით-მუხლამდე". აკაკის ეს მოგონება დაუწერია მაშინ, როდესაც ის მანგანუმის საქმიანობაში დროებით აღარ მონაწილეობდა.

ამრიგად, მოტანილი ცნობები ნათლად მეტყველებენ, რომ ა. წერეთელს ჭიათურის საბადოთა დამუშავებისათვის ზრუნვა დაუწყია რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, დაახლოებით 1867—1868 წლებში.

მაგრამ მან 60-იან წლებში ჭიათურის საბადოების სამრეწველო ექსპლოატაციის დაწყება ვერ მოახერხა, რადგან ადგილობრივი კაპიტალი სუსტი იყო, მემამულენი მას ეწინააღმდეგებოდნენ, ხოლო ცარიზმი ამ საბადოთი დაინტერესებული არ იყო.

ჭიათურაში საბადოების დამუშავება აღნიშნულ პერიოდში დაწყებული რომ არ იყო, ამას ადასტურებენ სამთო სამმართველოს წლიური ანგარიშებიც, აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის მიერ 1868 წელს გამოცემული „ბუნების კარი", რომელშიც დაწვრილებით არის აღწერილი ზემო იმერეთის სამეურნეო ცხოვრება, მაგრამ ჭიათურის მრეწველობა სრულიად არაა მოხსენებული.

ლიტერატურაში სხვადასხვანაირად არის გაშუქებული აგრეთვე საკითხი, თუ პირველად ვინ და როდის დაიწყო ჭიათურის საბადოების სამრეწველო ექსპლოატაცია. ამ საკითხის ზუსტად დადგენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს არა მარტო მგოსნის ბიოგრაფიისათვის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენში მრეწველობის განვითარების ისტორიისათვის.

ჭიათურის მრეწველობის პიონერობას ერთნი მიაწერენ აკაკი წერეთელს, მეორენი — უცხოელ მრეწველ-კომერსანტებს (მერცენფელდი, პიო და პუეე, აგრეთვე ინგლისელებსა და იტალიელებს), ხოლო მესამენი — გეოლოგ ს. სიმონოვიჩს.

უნდა აღინიშნოს, რომ ორი უკანასკნელი ვერსია არ ემყარება რაიმე ობიექტურ და მყარ არგუმენტს. მეორე ვარიანტის ავტორები მექანიკურად იმეორებენ თავიანთ წინამორბედთა აშკარად მცდარ და ყურმოკრულ ამბებს.

ჭიათურის მრეწველობის როგორც პიონერობის, ისე ექსპლოატაციის დასაწყისის ზუსტად დადგენას ართულებს ის გარემოება, რომ ყველა საბუთი გამოვლენილი არაა, ზოგიერთი არქივი (მაგალითად, ქუთაისის გუბერნატორის, ფოთისა და ბათუმის საბაჟოს, ქუთაისისა და ყვირილის საფოსტო განყოფილებების) საერთოდ აღარ არსებობს, ხოლო ლიტერატურული მონაცემები ამ საკითხებზე ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავდებიან; აკაკი წერეთლის მოგონებები და კერძო წერილები კი ზოგჯერ მოკლებული არიან ქრონოლოგიურ თანამიმდევრობასა და სიზუსტეს. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხები ჩვენ ზუსტად დავადგინეთ.

როგორც ირკვევა, აკაკი წერეთელს 70-იანი წლებიდან უფრო ენერგიულად დაუწყია მოქმედება ჭიათურის საბადოთა ექსპლოატაციისათვის.

ამას ხელს უწყობდა ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებანი, განსაკუთრებით რკინიგზის გაყვანის შემდეგ. ამ პერიოდში, როგორც ს. მესხი წერდა, — „ყნოსვითაც კი იგრძნობოდა ახალი ცხოვრება და მისი მაჯისცემა. დაიწყო ფულისა და დიდი სამუშაოების ძებნა, ნაირგვარი პროექტების შედგენა, უსახელო კომპანიების დაარსება და მრავალი სხვა“ [212/424].

მრეწველობის გაფართოებასთან დაკავშირებით ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეებით უფრო მეტად დაინტერესდნენ ადგილობრივი და საზღვარგარეთელი კაპიტალისტები. ფოლადის მსოფლიო წარმოების სწრაფმა აღმავლობამ მზარდი მოთხოვნილება წამოაყენა მანგანუმის მადანზე.

საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებისადმი მისწრაფებამ ერთობ ფართო ხასიათი მიიღო.

ა. წერეთელი ამ საყოველთაო მოძრაობიდან შორს არ დამდგარა და მანგანუმის საბადოების დამუშავებას ადგილობრივი ძალებითა და სახსრებით ცდილობდა, რადგან ის, ისევე როგორც ბევრი სხვა მოწინავე მოღვაწეც, წინააღმდეგი იყო ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების დამუშავებაში უცხოელთა დაშვებისა. მაგრამ ამის განხორციელება ფრიად საძნელო საქმეს წარმოადგენდა, რადგან საქართველოში მაშინ სამთო მრეწვე-

ლობას ჯერ კიდევ შექმნილი არ ჰქონდა მყარი ნიადაგი, არ გვყავდა გამოცდილი ტექნიკური კადრები, რასაც არაერთგზის აღნიშნავდნენ მოწინავე ქართველი მოღვაწეები. ჯერ კიდევ 1870 წელს ს. მესხი წერდა, რომ „ხელუხლებელ ბუნებრივ სიმდიდრეს სჭირდება რიგიანი გამომყენებლები და შემმუშავებელნი. პრაქტიკული საქმეების მცოდნე კაცებია საჭირო“ [212/24]. ამასვე მიუთითებდა ნ. ნიკოლაძე 1873 წელს. რამდენიმე წლის შემდეგ ს. მესხი კვლავ დაუბრუნდა ამავე საკითხს და წერდა, რომ საჭიროა კადრების აღზრდა, რადგან „უცხოელები შემოსევითა და ჩვენი ავლა-დიდების წართმევით გვემუქრებიანო“ [212/310].

საბადოების დამუშავებას აყოვნებდა აგრეთვე ადგილობრივი კაპიტალისტების სისუსტე და მრეწველობის ამ დარგისადმი მათი უნდობლობა.

ამის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს თბილისელი ვაჭარ-მილიონერი ს. შაბუროვის დამოკიდებულება მანგანუმის საქმისადმი. აკაკი წერდა: „გავითვალისწინე, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას ამისი წარმოება-მრეწველობა და კიდევაც შევუდექი საქმეს, მაგრამ, რომ არ მეგონა, იმისთანა დაბრკოლებანი დამხვდენ. არა თუ არავინ დამეხმარა და თანაგრძნობა არავინ გამომიცხადა, კიჟინა დამსცეს, გადარეულა და რაღაცეებს ბოდავსო, თორემ მარმარილოდან რომ დიდი სახეირო არა გამოდის რა, რაღაც ეშმაკის შავი ქვიდან რა უნდა გამოვიდესო? საჭირო იყო კაპიტალი საქმის დაწყებისათვის და მე კი ის მაკლდა. ვისაც ვსთხოვე დახმარება, ჩვენში ყველამ გაოცებით დამიწყო ყურება და როდესაც გავითვალისწინე ის მომავალი მარგანეცის, რასაც დღესაც ვხედავთ, მაშინ სულ კიჟინა დამსცეს... რადგანაც ქართველებში არა მოხერხდებოდა რა, მივმართე სომეხ ვაჭრებს. იმათში იმ დროს ერთი მილიონერი ერია სოლომონ შაბუროვი, ჩემი ნაცნობი, და იმას გამოვუმეღავნე ჩემი გულში ნადები... შაბუროვმა მიპასუხა: კარგად ლაპარაკობ, მაგრამ შემცდარი კი უნდა იყოო... მაგისთანა საქმე ჯერ ჩვენში არავის უწარმოებია და მეც ფულებს ვერ გადავყრი, არა იმიტომ, რომ ფული მენანებოდეს. არა! მიტომ, რომ საცინლად არ ამიგდონო! ამის შემდეგ მე

დავრწმუნდი, რომ ჩვენ ქვეყანაში არა თუ კაპიტალს ვერ მოვაგროვებდი საჭიროს, პირიქით, ხელის შემშლელიც ბევრი მეყოლებოდა“ [198/414—415].

70-იან წლებშიც, ისე როგორც წინათაც, ადგილობრივი მემამულენი აკაკის წინააღმდეგობას უწევდნენ. მიუხედავად ამისა, მან დასახულ მიზანს მაინც მიაღწია და, როგორც ვნახავთ, 70-იან წლების მეორე ნახევარში საფუძველი ჩაუყარა ჭიათურის საბადოების სამრეწველო ექსპლოატაციას.

1880 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა ჭიათურის მრეწველობის ერთ-ერთი ძველი მოღვაწის — ი. აბაშიძის წერილი, რომელშიც აღნიშნულია აკაკი წერეთლის პიონერობა მრეწველობის ამ დარგის ჩასახვა-განვითარებაში: „მე, როგორც ერთი იმათგანი, რომელნიც მოქმედებდნენ ამ საქმეზე, საჭიროდ ვრაცხ... გამოვაცხადო რამდენიმე შენიშვნები... აკაკი წერეთელი თავის სტატიაში ამბობს, რომ ის არის დამწყე ამ საქმისა, ის არის, რომელმაც ასტეხა ხალხი და გააგებია მათ ვარგისობა ქვა-გუნდისა და სხვა. ამისი სრული თანახმა ვართ“ [213].

ამავე წლის ოქტომბერს შორაპანი-საჩხერის გზის მშენებლობასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა შორაპნის მაზრის უფროსის ი. ეფიმოვსკის განმარტებითი წერილი, რომელშიც სხვათაშორის წერია: „მარგანეცის საქმის პირველი პიონერი არის მერცენფელდი, რომელმაც „ვახტერის და კომპ.“ კაპიტალი დააბანდაო“.

1893 წელს „ივერიაში“ (№ 256) დაიბეჭდა ინჟ. გ. დეკანოზიშვილის წერილები, რომლებშიც ავტორი აღნიშნავდა: „ვინ იყო პირველი შემომღები შავი ქვისა და მანგანეზის წარმოებისა, ე. ი. ვინ იყო პირველი ბარის დამკვრელი და შემშფოთებელი უძრავის ბუნებისა, ჩვენ არ ვიცით ნამდვილად, რადგან რუსები აწერენ ბარონ ფონ მერცენფელდს, ქართველები — აკაკი წერეთელს“. იგივე ავტორი ათი წლის შემდეგ უკვე კატეგორიულად წერდა, რომ „ჭიათურის მანგანუმის წარმოება დაიწყო 1879 წელს კომპ. „ვახტერის“ წარმომადგენელმა ბარონ მერცენფელდმა“.

ინჟ. მარგოლიუსის, კარაპეტიანის, შოსტაკისა და სხვათა მი-

ხედვით კი — „მანგანუმის დამუშავება ცაიწყეს 70-იანი წლების დასასრულს ფრანგებმა — პიო და პუეემ“.

უკანასკნელი, მეოთხე ვერსია — ს. სიმონოვიჩის პიონერობის შესახებ ეკუთვნის ნიკო ნიკოლაძეს. ეს ვერსია წარმოიშვა 1894 წელს ნ. ნიკოლაძესა და ა. წერეთელს შორის პოლემიკის დროს. ნიკოლაძე ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის საქმეში ა. წერეთლის პიონერობას კატეგორიულად უარყოფდა. ამ საქმის დამწყებად და მამად მას გეოლოგი ს. სიმონოვიჩი მიაჩნდა, ხოლო პოეტის როლი ამ დარგის ჩასახვა-განვითარებაში სრულ არარაობამდე დაჰყავდა.

აღნიშნული პოლემიკა წარმოიშვა შემდეგ ვითარებაში.

1894 წლის სექტემბერს საქართველოში ჩამოვიდა მიწათმოქმედების მინისტრი ა. ს. ერმოლოვი, რომელმაც გეოლოგ ს. სიმონოვიჩის თანხლებით ტყიბულისა და ჭიათურის მაღაროები დაათვალიერა, რის შემდეგ ჭიათურის მრეწველებმა შორაპანში მას ბანკეტი მოუწყეს. ბანკეტზე ერმოლოვი სიტყვით გამოვიდა და აღნიშნა, რომ „მრეწველობის ისტორიაში შეუძლებელია მოიძებნოს მეორე მაგალითი ახლად წამოწყებულ მრეწველობის ისეთი გასაოცარი სისწრაფით ზრდისა, რომლისთვისაც მანგანუმის მრეწველობას მიუღწევია. რაღაც 15 წელიწადში თქვენ ის მსოფლიო ბაზარზე უპირატეს მდგომარეობამდე აამაღლეთ... თქვენ ჭეშმარიტი დამსახურება გაუწიეთ მხარეს, რუსეთის სახალხო მეურნეობასა და მის მრეწველობას, რომლის ისტორია თქვენ და თქვენს წინსვლას არასოდეს არ დაივიწყებს“ [214/№ 3694].

გაზეთის რეპორტიორი, გადმოსცემდა რა ბანკეტის მსვლელობას, წერდა, რომ მინისტრის შემდეგ ადღეგრძელეს სიმონოვიჩი — კავკასიის მანგანუმის სამრეწველო დამუშავების ინიციატორიო და სტრიქონქვეშ შენიშნავდა: „სანამდე აღწევს ამ უანგარო მოღვაწის თავმდაბლობა და დიდსულოვნება, ჩანს იქიდან, რომ მან კრინტიც არ დაძრა მაშინ, როდესაც ერთმა ჩვენმა მკვეხარათაგანმა პრესაში მოურიდებლად თავისი თავი კავკასიის მანგანუმის „აღმომჩენად“ გამოაცხადა და კოლუმბის შარავანდი თვით დაიდგა“.

აკაკი წერეთელმა ამასთან დაკავშირებით იმავე გაზეთის მორიგ ნომერში დაბეჭდა „იძულებითი განმარტება“, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ეს შენიშვნა მიზნად ისახავს არა იმდენად სიმონოვიჩის ქებას, რამდენადაც იმას, რომ წამოჰკრან ერთს ჩვენს მკვეხარათაგანს“, ე. ი. მას. „ჩემს მოგონებებში,— განაგრძობს აკაკი,—ვწერდი, რომ, მართალია, მანგანუმის აღმოჩენა ეკუთვნის აკად. აბიხს, ხოლო შემდგომი გამოკვლევები სიმონოვიჩს, მაგრამ ყველა ეს გამოკვლევა, როგორც ამის მსგავსი, ამაოდ დარჩებოდა, რომ იმავე სიმონოვიჩის რჩევით ხელი არ მომეკიდა ამ საქმისათვის... განა ცოტაა მადნის ისეთი საბადო, უკვე გამოკვლეული, მაგრამ ამაოდ მიგდებული, რადგან მათ არავინ ჰკიდებს ხელს. რამდენად ძნელია ასეთი საქმის ფეხზე დაყენება, ამის საუკეთესო მაგალითია ჩვენი ქვანახშირი, რომლის ექსპლოატაციას აწარმოებს არა ისეთი, როგორც მე, არამედ საქმის ისეთი მცოდნე, როგორიცაა ნ. ი. ნიკოლაძე. მერე რას ვხედავთ აქამდე? მხოლოდ იმას, რომ როგორც ნიკოლაძის, ისე მისი თანამონაწილე პირთა კაპიტალები „იწვიან თავისთვის, იწვიან“, ხოლო ქვანახშირი აქამდე ხელშეუხებელი რჩება“. აკაკი აქვე იმოწმებს სიმონოვიჩის საყვედურს მისდამი იმის გამო, რომ პოეტი ბანკეტს არ დაესწრო. სიმონოვიჩს აკაკისათვის უთქვამს: «Кому, кому, а тебе слєдовало быть на этом обеде, как немало потрудившемуся в деле производства этого марганца и самому тоже крупному марганцевладельцу. Мне так, благодаря Нико, устроили овации, и я был ужасно сконфужен... Хотел я возражать и напомнить им о тебе, но, зная твой характер, умолчал» [214/№ 3695].

დასასრულ, აკაკი წერდა: „სიმართლისადმი სიყვარული და ყველასათვის ცნობილი კეთილსინდისიერება სიმონოვიჩისა, აიძულებს მას განმარტება მისცეს წერილისა და შენიშვნის ავტორს, იმ უშიშარ რაინდს, რომელიც არ ერიდება მკვეხარა მიწოდოს“.

აკაკის სარკაზმით სავსე „განმარტება“ არ მოეწონა ნ. ნიკოლაძეს და გამოეხმაურა მას ვრცელი ფელეტონით — „აკაკი წერეთელი, როგორც მრეწველი“ [214/№ 3696]. თუ რეპორ-

ტიორი სიმონოვიჩს მანგანუმის მრეწველობის ინიციატორს უწოდებდა, ნ. ნიკოლაძე მას უკვე ამავე მრეწველობის მამად, ხოლო იმერეთის წვრილ ვაჭრებს კი ნამდვილ ინიციატორებად და ჭეშმარიტ შემოქმედებად მიიჩნევდა. რაც შეეხება აკაკის, ის სიმონოვიჩის ჩანაფიქრთა მხოლოდ უბრალო აღმასრულებლადაა გამოყვანილი.

შემდეგ ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ: „პოეტმა თვით გაავრცელა თავის თავზე ლეგენდა იმის შესახებ, რომ მანგანუმის საქმე პირველად მან აღმოაჩინა, განავითარა და დააგვირგვინა კიდევაც"; ნ. ნიკოლაძე წერდა: „როდესაც 1873 წელს აკაკის პირველად ს. სიმონოვიჩმა აუხილა თვალი ამ მანგანუმის არსებობაზე და სარგებლიანობაზე, აკაკი წერეთელმა არც კი იცოდა, რას ნიშნავს „მანგანუმი" და ღირს თუ არა მისი დამუშავება"; ამიტომ მას „არც შეეძლო შეედგინა რაიმე სამრეწველო კომბინაცია, ურომლისოდაც ადამიანს უფლება არა აქვს ინიციატორის სახელი ატაროს"; „სიმონოვიჩმა არა მარტო ურჩია ა. წერეთელს მანგანუმის საქმისათვის ხელი მოეკიდა, არამედ წარმოების თითქმის მთელი სქემაც მისცა"; „ა. წერეთელი იქნებოდა ამ საქმის ნამდვილი ინიციატორი მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ პირადად მას ეკუთვნოდეს ჩვენი მანგანუმის დამუშავების სარგებლიანობის ახსნა"; „ა. წერეთელი მანგანუმის საქმეში იყო ფანტაზიორი, რომელსაც თავი არ შეუწუხებია საქმის არც ტექნიკის, არც ეკონომიკის შესწავლით" და ა. შ.

მეორე წერილში — „ა. წერეთელი, როგორც მრეწველობის ისტორიკოსი", ნ. ნიკოლაძე პოეტს უსაყვედურებდა, რომ მან არ დაუჯერა მცოდნე პირებს, რომლებმაც საბადოს დამუშავების დასაწყებად უცხოეთის კაპიტალის ჩაბმა ზედმეტად მიიჩნიეს და რუსეთში კომპანიების ძებნა დაიწყო, რითაც მანგანუმის მრეწველობა დასაწყისშივე შერყვნა და ქვეყანას ის დიდიხნით დაუკარგაო [214/№ 3705].

ასეთია ა. წერეთლის წინააღმდეგ ნ. ნიკოლაძის თავდასხმის ძირითადი შინაარსი.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ აკაკისთან ნ. ნიკოლაძის მიერ დაწყებული პოლემიკის ხასიათის შესახებ შემდეგი.

როდესაც ნ. ნიკოლაძის პოლემიკურ წერილებს ეცნობი, არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს მათი ავტორის — ამ უნიჭიერესი და გამოჩენილი მოღვაწის ტენდენციურობა და მის მიერ ა. წერეთლის უნებლიე შეცდომების გაზვიადება.

გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციას ა. წერეთლისათვის ჩრდილის მიყენების მიზნით აღნიშნული პოლემიკის დროს გარკვეულად ტენდენციური პოზიცია ეკავა. ეს ჩანს შემდეგიდანაც: გაზეთმა 1891 წელს თარგმნა და დაბეჭდა აკაკი წერეთლის ის წერილები, რომლებიც უფრო ადრე (1889 წელს) „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი. ამ სტატიებში აღწერილია ის, თუ როგორ დაიწყო აკაკიმ მანგანუმის საქმე და როგორ ჩააბა ამ საქმიანობაში სიმონოვიჩი, აგრეთვე ყველა ის საკითხი, რომლებიც 1894 წელს პოლემიკის ძირითად საკითხებად იქცა. მაგრამ თუ გაზეთმა 1891 წელს აკაკის ეს წერილები ავტორის საწინააღმდეგო ყოველგვარი შენიშვნის გარეშე დაბეჭდა, 1894 წელს ამავე წერილების ავტორი მკვეხარად გამოაცხადა.

ერთი და იგივე წერილებისადმი, ერთი და იგივე რედაქციის სხვადასხვანაირი დამოკიდებულება დროისა და გარემოების მიხედვით, ნათლად ამჟღავნებს წერილების ავტორისადმი (ა. წერეთლისადმი) რედაქციის დამოკიდებულების ხასიათს.

კიდევ ერთი შენიშვნა. ნ. ნიკოლაძე თავის პოლემიკურ წერილებში ა. წერეთლის წინააღმდეგ ს. სიმონოვიჩს ემყარება. გასაგებია, რომ სიმონოვიჩის ობიექტურ ცნობას სადაო საქმის გარკვევაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ცნობილია, რომ აკაკიმ მანგანუმის საქმეში მისი პიონერობის შესახებ სიმონოვიჩის მიუდგომელი ახსნა-განმარტება პრესის საშუალებით წინადაც მოითხოვა. ჯერ კიდევ 1893 წელს, როდესაც მანგანუმის საქმეში აკაკის პიონერობის წინააღმდეგ აზრი ინჟ. გ. დეკანოზიშვილმა გამოსთქვა, ა. წერეთელი წერდა: „ყოველივე ეს, რაც რამა ესთქვი, ცხადია-მართალი, ამის უარს ვერც მტერი იტყვის და ვერც მოყვარე!.. საბუთები ხელში მაქვს. და, საბუთებიც რომ არა მქონდეს, განა მოწმეები ცოტანი არიან ჩვენს ქვეყანაში: ვისაც არ ხსომებია, თითონ იმ ინჟინრებს ჰკითხოს, რომლებსაც გ. დეკანოზიშვილი

ასახელებს თავის წერილში: სიმონოვიჩს, ბაცევიჩს და სოროკინს, და ისინი დაამოწმებენ ჩემ ნათქვამს“.

აკაკი წერეთელმა მანგანუმის მრეწველობაზე მოგონებათა ბეჭდვა 1880 წლიდან დაიწყო. მოგონებებში ხაზგასმით არის აღნიშნული პოეტის დამსახურება ამ საქმეში, მაგრამ არავის, მათ შორის არც ნ. ნიკოლაძეს და არც სიმონოვიჩს, ამ მოგონებათა წინააღმდეგ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ, პირიქით, როგორც ქვევით ვნახავთ, ნ. ნიკოლაძე წლების მანძილზე მანგანუმის საქმიანობაში მხარს უჭერდა აკაკის და არა ერთხელ თავის დახმარებას სთავაზობდა არა სიმონოვიჩს — „მანგანუმის საქმის მამას“, როგორც ნ. ნიკოლაძე მას უწოდებდა, არამედ აკაკი წერეთელს.

პოლემიკის დროსაც, აკაკიმ ხელახლა გამოიწვია სიმონოვიჩი სწორი ახსნა-განმარტებისათვის, მაგრამ ის რატომღაც სრულიად არ გამოეხმაურა. არქივის მასალებიდან ცნობილია, რომ სიმონოვიჩი არ ეკუთვნოდა ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელსაც შეეძლო მშვიდად ემზირა თავისი ნაშრომის სხვის ძიერ მითვისების ფაქტისათვის.

დავუბრუნდეთ საკითხს იმის შესახებ, თუ ჭიათურის მანგანუმის სამრეწველო ექსპლოატაცია პირველად ვინ და როდის დაიწყო.

აღნიშნული მინერალის პრაქტიკული მნიშვნელობის გაცნობიდან რამდენიმე წლის შემდეგ აკაკი წერეთელს დაუწყია საბადოს გამოყენებისათვის ზრუნვა, რასაც წინ უსწრებდა „ქვა-გუნდისა“ და მანგანუმის მსგავსების შემოწმება. აკაკის უკანასკნელ მოგონებაში წერია: „მე როგორც არა გეოლოგმა, არ ვიცოდი, თუ ქვა-გუნდა მართლა მარგანეცი იყო, და საჭირო იყო მხოლოდ ამისი შემოწმება ადგილობრივად. ჩავედი ტფილისში, იქ ცნობილ გეოლოგს სიმონოვიჩს მოველაპარაკე... იმანაც, რადგან სამსახურში იყო, აიღო ერთი თვის ნებართვა, დაეთხოვა და კერძოდ წამომყვა მე საჩხერეს. ერთ თვეს დარჩა ჩემს სახლში“ [198/414].

უპირველეს ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ აქ ქრონოლოგიურად ორი სხვადასხვა პერიოდი ერთიმეორეშია არეული. ზევით აღინიშნა, რომ პოეტმა ჯერ კიდევ 60-იან წლებში

გამოარკვია, რომ ქვა-გუნდა სწორედ ის მინერალია (მანგანუმი), რომლის შესახებაც მან აკად. აბიხის მონოგრაფიაში ამოიკითხა. 60-იან წლებში, როგორც ნ. ნიკოლაძე პოლემიკის დროს სამართლიანად შენიშნავდა, აკაკის არ შეეძლო ენახა არა თუ „ცნობილი გეოლოგი სიმონოვიჩი", არამედ რიგითი გეოლოგი სიმონოვიჩიც, რადგან უკანასკნელი მაშინ პეტერბურგში სწავლობდა, სასწავლებელი მან მხოლოდ 1871 წელს დაამთავრა და სამთო სამმართველოში გეოლოგად მუშაობა 1872 წლის აპრილში დაიწყო[1]. მაშასადამე, „ქვა-გუნდის შემოწმება" აკაკის უნდა ჩაეტარებინა სხვა გეოლოგის, ალბათ, ისევე სამთო სამმართველოს საშუალებით.

ა. წერეთელი გეოლოგ სიმონოვიჩს 1872 წელს უნდა გაცნობოდა და სწორედ ამ წელს უნდა მომხდარიყო მანგანუმის გამოსაკვლევად საჩხერეში მათი ერთად გამგზავრებაც. როგორც პოეტი აღნიშნავს, სიმონოვიჩი მას „კერძოდ" წაჰყოლია. მართლაც, სამთო სამმართველოს არქივიდან ჩანს, რომ გეოლოგები — სიმონოვიჩი, ბაცევიჩი და სოროკინი ქუთაისის ოლქში პირველი ოფიციალური მივლინებით მხოლოდ 1872 წლის დეკემბერში გაემგზავრნენ, მაგრამ არა მანგანუმის, არამედ მხოლოდ ქვანახშირის გამოსაკვლევად. ამას ადასტურებს სამთო სამმართველოს 1875 წლის ანგარიშიც, რომელშიც წერია, რომ ფოთი—თბილისის რკინიგზის დამთავრებასთან დაკავშირებით საჭირო გახდა ქვანახშირის ცნობილი საბადოების გამოკვლევა, რადგან რკინიგზა გამოიწვევდა ქვანახშირისადმი კერძო მეწარმეთა ლტოლვასო. „ამ მიზნით 1872 წლიდან გაიგზავნა გეოლოგთა პარტია, რომელმაც 1873 წელს ერთდროულად მანგანუმის მადანიც იპოვნა" [215].

ამ ფაქტამდე რამდენიმე თვით ადრე ს. მესხის წერილში ასეთ ცნობას ვკითხულობთ: „ჩემს იქ ყოფნაში, რამდენიმე კა-

---

[1] ამასთან დაკავშირებით ადგილობრივი გაზეთი 1872 წლის 14 აპრილს იუწყებოდა: „ამჟამად თბილისში მოვიდა ერთი ნასწავლი ყმაწვილი დოქტორი სპირიდონ სიმონოვიჩი, რომელსაც სურს დაეხმაროს ყველას ძადნეულობის რაობის გამორკვევაში უსასყიდლოდ. სიმონოვიჩი ცხოვრობს კუკიაში ალ. ნევსკის ეკლესიასთან" („დროება", 1872, № 15, გვ. I).

ცი მოვიდა ჩემთან, რაღაც უბრალო ბრჭყვინავი ქვები მოიტანეს და მეუბნებოდნენ: „დროებაში“ იყო ბატონო გამოცხადებული, ვიღაც ახალი სიმონიჩი ჩამოსულა, ქვებს სინჯავსო და თუ შეიძლება წაუღეთ და აჩვენეთო“. ეს წერილი 1872 წლის 12 მაისს დაიბეჭდა, ე. ი. სამთო სამმართველოში სიმონოვიჩის მუშაობის დაწყებიდან 42 დღის შემდეგ.

აკაკის ზემოთ დამოწმებულ მოგონებაში წერია: სიმონოვიჩმა „როდესაც გაათავა გამოკვლევა (ე. ი. აკაკის კერძო თხოვნით ჩატარებული სამუშაოები — ა. კ.), მოხსენება წარუდგინა სამთო გამგეობას. სამთო გამგეობამ დაუნიშნა თანაშემწედ სიმონოვიჩს ინჟინრები: სოროკინი და ბაცევიჩი და სამიევე გამოგზავნა ხ ე ლ ა ხ ლ ა გამოსაკვლევად სახელმწიფო ხარჯით“.

დადგენილია, რომ გეოლოგების აღნიშნული ჯგუფი ქუთაისის ოლქში მეორე ოფიციალური მივლინებით, უკვე მანგანუმის გამოსაკვლევად, მხოლოდ 1873 წლის ივნისში გაემგზავრა [216]. ამრიგად, მანგანუმის გამოკვლევა სიმონოვიჩის დახმარებით აკაკის ჩაუტარებია ოფიციალური გამოკვლევის დაწყებამდე ერთი წლით ადრე, ე. ი. 1872 წლის ზაფხულში.

როგორც ითქვა, პოლემიკის დროს ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, რომ ჭიათურის საბადოს არსებობა-ვარგისიანობაზე აკაკის თვალი პირველად სიმონოვიჩმა აუხილა 1873 წელს, რომ „სიმონოვიჩმა არა მარტო ურჩია აკაკის მანგანუმის საქმისათვის ხელი მოეკიდა, არამედ წარმოების (ორგანიზაციის) თითქმის მთელი სქემაც მისცაო“.

უკვე აღინიშნა, რომ ა. წერეთელი მანგანუმის რაობასა და სარგებლიანობას გაეცნო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სიმონოვიჩი გიმნაზიელი იყო და ისინი ერთმანეთს, ალბათ, არც იცნობდნენ.

რაც შეეხება ე. წ. „სქემას“, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ ყურადღებით გავეცანით სამთო სამმართველოს, სიმონოვიჩის არქივებს და მანგანუმის საქმეზე სიმონოვიჩის მიერ შედგენილ მცირეოდენ შენიშვნებსაც კი, მაგრამ რაიმე „სქემას“ ვერსად შევხვდით. ასეთი „სქემა“ რომ არსებობდეს კიდევაც, მას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმის გამოსარკვევად, თუ პირ-

ველად ვინ დაიწყო საბადოს ექსპლოატაცია, ხოლო თუ ამ საკითხს მაინც ეს სქემა წყვეტს, მაშინ უნებლიედ იბადება კითხვა — ვისი ინიციატივით შედგა ე. წ. „სქემა“ და ამ კითხვის სწორი პასუხი ისევ აკაკისთან მიგვიყვანს: აქაც თაოსნობა ა. წერეთელს ეკუთვნის, რადგან სიმონოვიჩმა მანგანუმის საბადოს გამოკვლევა პირველად აკაკის მიერ კერძო მიწვევით დაიწყო.

მეორე მხრით, თუ აკაკი მანგანუმის საქმის პირველი დამწყები არ იყო და არც სიმონოვიჩის მიერ ჩატარებული გამოკვლევების ინიციატორი, მაშინ რატომ დასჭირდა სიმონოვიჩს თვალი აეხილა აკაკისათვის და არა სამთო სამმართველოსათვის ან სხვა პიროვნებისათვის? რატომ მოხდა, რომ წარმოების მთელი სქემა სიმონოვიჩმა გადასცა არა სამთო სამმართველოს, ან სხვა ვინმეს, ვთქვათ, რომელიმე ცნობილ მრეწველ-კომერსანტს, არამედ სწორედ აკაკის, — კარგად ცნობილ პოეტსა და პუბლიცისტს, რომელსაც წინათ მრეწველობის დარგში არ ემუშავნა? გამორიცხული არ არის, და ამას აკაკიც აღნიშნავს, რომ მას მართლაც სიმონოვიჩმა ურჩია ხელი მოეკიდა მანგანუმის საქმისათვის, მაგრამ ისიც იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ მანგანუმის საქმეს სულ პირველად ყურადღება მიაქცია არა სიმონოვიჩმა, ან სხვა პირმა, არამედ აკაკიმ, რომელმაც აიძულა როგორც სიმონოვიჩი, ისე სამთო სამმართველო, რათა ამ საბადოების შესწავლა დაეწყოთ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სიმონოვიჩმა ისევ აკაკის, როგორც წამომწყებს, ურჩია, დაწყებული საქმის გაგრძელება.

მას შემდეგ, როდესაც აკაკიმ საბადოების დამუშავების დაწყებისათვის საჭირო სახსრები ადგილზე ვერ გამონახა, ის იძულებული გახდა უცხო კაპიტალისათვის მიემართა. პოეტის მოგონებათა მიხედვით, ამას სულ პირველად ინგლისელები გამოეხმაურნენ. ისინი ჩამოსულან კიდეც ადგილზე საბადოების გასაცნობად, მაგრამ ფოთში ავაზაკებს ინგლისელი სუინსონი მოუკლავთ და ამით დაშინებული ინგლისელები უკანვე დაბრუნებულან. ნ. ნიკოლაძის გადმოცემით, სუინსონი იყო ინგლისელი ინჟინერი, რომელიც ფოთის ჭაობების ამოშრობასა და ქალაქის კეთილმოწყობას აპირებდა, მაგრამ მოჰკლეს. ამ

ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 1871 წლის დასასრულს, ან 1872 წლის დასაწყისში, რადგან 1872 წლის 12 იანვარს გაზეთი „დროება“ (№ 1) აცხადებდა: „ამ მოკლე ხანში ფოთში მოუკლავთ... სუინსონი“.

ამავე პერიოდში ჭიათურის საბადოების ირგვლივ აკაკის მოღვაწეობაზე საინტერესო ცნობებს შეიცავს „ძველი სემინარელის“ მოგონება. მოგონების ავტორი აღნიშნავს, რომ აკაკის ის პირველად სიკო წერეთლის ოჯახში შეხვდა 1871—1872 წლებში. „სოფლად ხმა გავარდა, აკაკი ამბობსო: ქვა-გუნდა სასარგებლო მადნეულია, ქვეყნისათვის გამოსადეგი, და ოქროდ შეიძლება მაგის გადაცვლაო. ყველას ძალიან უკვირდა. ამ დღესაც აკაკიმ შავ ქვაზე ჩამოაგდო სიტყვა და ყველამ ყურები ცქვიტა... ყურს უგდებდნენ მის სიტყვას, ვითომ კიდეც სჯეროდათ, მაგრამ ამავე დროს ერთი მეორეს ანიშნებდნენ: „სტყუის, აბა რას დაგვაჯერებსო...?“ „ქათამს თუ ფეხი გადაუცდა, კისერს მოიტეხს და... ამ ოხერ შავ ქვას ვინღა გამოზიდავსო“. — „რკინიგზა“! — უპასუხა აკაკიმ. ამ სიტყვამ სიცილ-ხარხარი გამოიწვია. აკაკი სიცილითვე გამოგვეთხოვა ყველას და გაგვშორდა. გამოთხოვების დროს გადმოგვცა, წირქვალში მივდივარ, ფრანცუზები მიმყავს სანახავადო... ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, ერთხელ ჩვენი სახლიკაცის გოგო ამოვიდა ჩვენსას და გვითხრა: აკაკი წერეთელი მოსულა, ვიღაც ინჟინრები მოუყვანიაო... მე მაშინვე გავექანე იქითკენ. ორი ვიღაც ფრანგი და ინჟინერი მხლებლებით მართლა წასულიყვნენ შავი ქვის საჩხრეკად“ [217].

სიკო წერეთელთან ყოფნის ფაქტს და იმ დროს მანგანუმის საქმეზე პოეტის ზრუნვას როსტომ წერეთლის ყოფილი მსახურის — ხოჯანა სალარიძის მოგონებაც ადასტურებს. მოგონების ავტორი გადმოგვცემს: „აკაკი სამი დღის ჩამოსული იყო რუსეთიდან სხვიტორში. ჭიათურის თავზე ერთი თავადი ესახლა, დავითაშვილს ეძახდნენ, თავადიშვილები დაჰპატიჟა, მათთან აკაკიც. იქაურ გაფრინდაშვილებს შავი ქვის პლასტები გაეკეთებიათ ყორედ. აკაკიმ რომ დაინახა, მივიდა, მოტეხა... გადაირია... რა ვნახე და რა ვნახეო! თავადებმა თქვეს: ნამდვილად ჭკუაზე შეიშალაო, ერთი სადილი მაინც მოგვესწროო!

აკაკიმ ისადილა, მასპინძელს ცხენი გამოართვა და შავი ქვა ქალაქში წაიღო“ [218/22].

სამწუხაროდ, რუსეთიდან აკაკის ჩამოსვლის თარიღი მოგონებაში მითითებული არ არის და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს ამბავი მოხდა რუსეთიდან საქართველოში აკაკის დაბრუნების შემდეგ, ე. ი. 60-იანი წლების პირველ ნახევარში. როგორც ცნობილია, აკაკი საქართველოში პირველად 1862 წლის შემოდგომას დაბრუნდა, მაგრამ უცხოეთში სასწავლებლად წასვლის მიზნით, მომდევნო წლის დასაწყისში კვლავ რუსეთში გაემგზავრა, ხოლო რაკი უცხოეთში წასვლა ვერ შეძლო, ის 1865 წელს ისევ საქართველოში დაბრუნდა და დიდხანს ქუთაისში მოღვაწეობდა.

რასაკვირველია, მანგანუმის საქმე აკაკის შეეძლო დაეწყო რუსეთიდან პირველივე ჩამოსვლის დროსაც, მაგრამ იმის გამო, რომ სამშობლოში ის მცირე დროით დარჩა, დისერტაციის დასაცავად ემზადებოდა და უცხოეთში გამგზავრებას აპირებდა, უეჭველია, საქმეს საფუძვლიანად ვერ დაიწყებდა.

ჭიათურაზე ზრუნვა, როგორც ვნახეთ, აკაკიმ რუსეთიდან მეორედ ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო, ოღონდ ჩამოსვლიდან არა სამი დღის (როგორც ხოჯანა მოიგონებს), არამედ უფრო მეტი დროის შემდეგ. მაგრამ ხოჯანა სალარიძეს არ შეეძლო ამ ამბის მოწმედ გამხდარიყო, რადგან რუსეთიდან აკაკის პირველად ჩამოსვლის მომენტში ის რვა წლისა იქნებოდა, ხოლო პოეტის მამის კარზე 16—17 წლის ჰასაკიდან მსახურობდა, ე. ი. დაახლოებით 1870-იან წლებიდან. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ხ. სალარიძის მოგონება 70-იანი წლების დასაწყისს ასახავს და ემთხვევა „ძველი სემინარელის“ მოგონებას. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ ხ. სალარიძის მოგონებაში მოხსენებული მასპინძელი — დავითაშვილი, როგორც პაპუნა წერეთელმა გადმოგვცა, ყოფილა გვარად წერეთელი — დავითის შვილი (აქედან — დავითაშვილი).

ამრიგად, აკაკი წერეთელს 70-იანი წლების დასაწყისში უფრო ფართოდ განუახლებია მუშაობა, ვიდრე 60-იან წლებში, და უცხოელებიც ჩამოუყვანია, ხოლო სამთო სამმართველოს და მის გეოლოგებს (სიმონოვიჩი, ბაცევიჩი და სოროკი-

ნი) აღნიშნული საბადოს პირველი ოფიციალური გამოკვლევა დაუწყიათ მხოლოდ სამი წლის შემდეგ — 1873 წლის ივნისიდან.

ა. წერეთელთან პოლემიკის დროს ნ. ნიკოლაძე წერდა: „მანგანუმის საქმეში აკაკი ინიციატორად მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვეძლო მიგვეჩნია, რომ საბადოს დამუშავების სარგებლიანობა პირველად მას აეხსნა“.

თუ ინიციატორის სახელის მოსახვეჭად მართლა მხოლოდ ეს გარემრეობაა საკმაო, მაშინ ა. წერეთელს ეს პირობაც ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში დაუკმაყოფილებია, როდესაც პოეტი პირველად გაეცნო აკად. აბიხის მონოგრაფიას და იქიდან მოყოლებული, მისივე გამოთქმით, „მუხლით-მუხლამდე“ წინ სწევდა მანგანუმის საქმეს. „აბიხის სტატიის მიხედვით, — წერდა აკაკი, — გავითვალისწინე, თუ რა სარგებლობას მოუტანდა ქვეყანას (მანგანუმის მადნის) წარმოება-მრეწველობა და კიდევაც შევუდექი საქმეს“.

80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ჭიათურა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ვაჭრებით აივსო, ა. წერეთელი აღნიშნავდა, რომ მან მანგანუმის მადნის „ღირსებაც იცის, გასავალიცა და მომავალიც“ და ხალხს აფრთხილებდა: „ვურჩევთ ქვა-გუნდის პატრონებსაც, რომ ფრთხილად იყვნენ!.. მაგ მადნეულს კარგი მომავალი აქვს და აჩქარებით ნუ გაიფუჭებენ საქმეს“.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია უკვე მოხსენიებულ „პოლემიკას“ დავუბრუნდეთ და იმ დროს აკაკის წინააღმდეგ წამოყენებული ერთი ბრალდებაც განვიხილოთ.

ა. წერეთელი ერთ-ერთ თავის მოგონებაში აღნიშნავდა, რომ სიმონოვიჩმა კარგად ვერ აუხსნა მას მანგანუმის გამოყენებითი მნიშვნელობა. ნ. ნიკოლაძემ ეს განცხადება სიმონოვიჩისადმი, როგორც გეოლოგისადმი, შეურაცხმყოფლად მიიჩნია. მაგრამ აქ ერთგვარ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. რასაკვირველია, სიმონოვიჩს, როგორც გეოლოგს, ზოგადად მაინც უნდა ცოდნოდა და კიდევაც იცოდა მანგანუმის პრაქტიკული მნიშვნელობა, მაგრამ მას ისიც კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ იმჟამინდელ რუსეთში ამ მადანს აქტუალურ

მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ. აკაკი 80-იან წლებში წერდა, რომ, თუ უცხოეთში მანგანუმის მადანი მილიონ ფუთობით იხარჯება, რუსეთში — ძალზე უმნიშვნელო რაოდენობითო.

სიმონოვიჩი 1874 წელს გამოქვეყნებულ შრომაში მხოლოდ გაკვრით მიუთითებდა იმაზე, რომ მანგანუმზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება და, ალბათ, სასარგებლო საქმედ გადაიქცევაო. ამავე შრომაში სიმონოვიჩი ხაზგასმით აღნიშნავდა იმასაც, რომ „მადნეულებიდან **ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს**, რასაკვირველია, **ქვანახშირი და რკინის მადნები**". სიმონოვიჩმა უთუოდ ეს აზრი გაუზიარა აკაკის და პოეტმაც თავის მოგონებებში აღნიშნა, რომ გეოლოგებმა საბადო მხოლოდ გეოლოგიური თვალსაზრისით აღწერესო. ნ. ნიკოლაძე ამაში არ დაეთანხმა აკაკის. მაგრამ ამ გამოკვლევებს მართლაც წმინდა მეცნიერული დანიშნულება ჰქონდათ არა მარტო 1873 წელს, არამედ შემდგომაც. ამას თვით სიმონოვიჩი და ბაცევიჩიც ადასტურებენ. 1876 წლის 20 ოქტომბერს ინჟ. ბაცევიჩი სამთო სამმართველოს წერდა, რომ მანგანუმის საბადოების ჩვენს გამოკვლევას აქამდე მხოლოდ მეცნიერული დანიშნულება აქვსო და მოითხოვდა ახალი საბადოების გამოკვლევას მათი სამრეწველო გამოყენების მიზნით [220]. მაგრამ ეს წინადადება როგორც სამთო სამმართველომ, ისე სიმონოვიჩმა უყურადღებოდ დატოვეს.

მანგანუმის საბადოს გამოკვლევისას (1873 წელს) სიმონოვიჩი, ჩანს, დარწმუნებული არ იყო ამ საბადოების მალე გამოყენებაში, რადგან ჯნგარიშში მორიდებით ჩაუწერია: „იმედია, რომ ეს გამოკვლევები უკვალოდ არ დარჩებიანო".

არა თუ გეოლოგმა სიმონოვიჩმა 1873 წელს, არამედ 12 წლის შემდეგაც სამთო სამმართველოს უფროსმა პროფ. მელერმაც კი კარგად არ იცოდა მანგანუმის მომავალი: ის ფიქრობდა, რომ ქიმიკოსები ფოლადის წარმოებაში მას სხვა ახალი ნივთიერებით შეცვლიდნენ და ამიტომ კატეგორიული წინააღმდეგი იყო ჭიათურის მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და ამ მიზნით იქ რკინიგზის გაყვანის.

პროფ. მელერის ეს „მეცნიერული შორსმხედველობა" ნ. ნიკოლაძემ იცოდა, რადგან 1887 წელს, ჭიათურის რკინიგზის

მშენებლობის აუცილებლობაზე მელერთან გამართულ მწვავე პოლემიკის დროს, ის მელერის წინააღმდეგ სწორედ ამ საკითხს (მანგანუმის მომავლის შეუფასებლობას) ერთ-ერთ მძლავრ არგუმენტად იყენებდა [221].

მანგანუმის პრაქტიკული გამოყენების საკითხისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების პირობებში უდაო ხდება, რომ: ა) კავკასიაში სამთო სამმართველომ 1873 წელს საბადოების გამოკვლევა ა. წერეთლის თაოსნობით დაიწყო; გ) ა. წერეთელი, იმდროინდელ ზოგიერთ სპეციალისტთან (მელერი, სიმონოვიჩი) შედარებით, მანგანუმის მნიშვნელობასა და მომავალს უფრო სწორად აფასებდა.

აქედან გამომდინარეობს, რომ ჭიათურის მანგანუმის საქმეში სიმონოვიჩმა კი არ აუზილა აკაკის თვალი, არამედ, პირიქით.

აკაკი წერეთელი ჯერ კიდევ 70-იან წლებამდე მადნის ნიმუშებს სხვადასხვა ქვეყნებში აგზავნიდა, რათა ჭიათურის მადანს სახელი მოეხვეჭა და მეტოქე დაეჩრდილა. აკაკის მოგონებაში წერია: „იმ დროს ევროპაში აწარმოებდნენ რეინისპირეთის შავ ქვას, რომელიც ცუდსა და ძნელ პირობებში იმყოფებოდა, და, თუ „ჭიათურის" სიმართლე და შავი ქვის სიკარგე გამოაშკარავდებოდა, (რეინის წარმოება) უეჭველად უნდა დახურულიყო".

60-იან წლებში სახელდობრ როდის და საბადოს რომელ უბნიდან აგზავნიდა ის მადნის ნიმუშებს, არ ვიცით. ლიტერატურაში და არქივში ამის შესახებ რაიმე ცნობას ვერ მივაკვლიეთ, ხოლო რაც შეეხება 70-იან წლებს, ჩვენ მიერ შეკრებილი მასალით შემდეგი გამოირკვა.

ა. წერეთელი 1889 წელს დაწერილ მოგონებაში აღნიშნავდა, რომ „სანიმუშოდ გაგზავნილი მარგანეცით თითქმის აივსო სხვადასხვა ბაზარი", „13 წლის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ექვს-ჯერ მოვიწვიე უცხოური კამპანიები, მაგრამ საქმის მოგვარებას ხელი შეუშალა ინგლისელი ინჟ. სუინსონის მოკვლამ, უმთავრესად ახლად ატეხილმა ომიანობამო". მოგონებაში, თუ როგორ დაარსდა შავი ქვის მრეწველობა ჭიათურაში, აკაკი წერდა: „აბიხისა და სიმონოვიჩის გამოკვლევასთან ერ-

თად ვაგზავნიდი აწერილობას... და თანაც საანალიზოდ ვაგზავნიდი ევროპაში თვით მარგანეცს“.

რადგან აქ სიმონოვიჩის გამოკვლევა არის მოხსენებული, ალბათ, ამიტომ იყო, რომ ნ. ნიკოლაძე პოლემიკის დროს წერდა: ნიმუშების გაგზავნას ადგილი უნდა ჰქონებოდა 1874 წელსო.

ერთის შეხედვით, ეს თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სიმონოვიჩის ანგარიში მანგანუმის საბადოების ოფიციალურ შესწავლაზე 1874 წელს გამოქვეყნდა, მაშასადამე, აკაკის მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო ნიმუშებთან ერთად აღნიშნული გამოკვლევის გაგზავნა.

მაგრამ აქ მხედველობაში არ არის მიღებული ის, რომ სიმონოვიჩმა საბადოები პირველად აკაკის კერძო მიწვევით გამოიკვლია 1872 წელს, „შეადგინა ბროშურა (წიგნაკი) სამეცნიერო შენიშვნებითა“ და აკაკისთან ერთად შედგენილი პრაქტიკული ღონისძიებებით. ერთდროულად სიმონოვიჩმა ამ გამოკვლევაზე მოხსენებითი ბარათი წარადგინა სამთო სამმართველოში, რომელმაც აკაკის გადმოცემით, სიმონოვიჩს „თანაშემწეებად დაუნიშნა ინჟინრები: სოროკინი, ბაცევიჩი და სამივე გამოაგზავნა ხელახლა გამოსაკვლევად სახელმწიფო ხარჯზე. იმათ ერთად გამოიკვლიეს და (შედეგები) კიდევაც დაბეჭდეს“. აშკარაა, რომ გეოლოგების მიერ გამოქვეყნებული ვრცელი შრომისათვის აკაკის არ შეეძლო ბროშურა (წიგნაკი) ეწოდებინა.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ აკაკი მადნის ნიმუშები გაუგზავნია საბადოების ოფიციალურად გამოკვლევის ჩატარებამდე და მის შესახებ ანგარიშის გამოქვეყნებამდე.

აკაკი ნიმუშებს უმთავრესად პირადად აგზავნიდა, ხოლო ზოგჯერ მისი სახელით — დ. ღამბაშიძე.

იმ დროს ფრიად გაძნელებულა არა მარტო სამუშაოების დასაწყებად საჭირო სახსრების გამონახვა, არამედ ჭიათურაში თვით მადნის ნიმუშების ჩამოტანა და გაგზავნაც. აკაკის მოგონებაში წერია: საბადოსაკენ „საცალფეხო გზაც არსად იყო და, თუმცა მადნები სამი ვერსითა ჰშორავდენ, მაგრამ მაინც ჭიათურის გზამდი მის ჩამოტანას არავინ კისრულობდა. მაშინ გა-

მოჩნდა ერთი ვაშაძე და მითხრა: ადგილიდან თითო ფუთ ქვას მე ჩამოგიტან ხოლმე გზამდიო, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ღამღამობით ჩამოვიტანო და არა დღით, რადგანაც მაძიებელი აზნაური ვარ და ტვირთის ზიდვა სირცხვილიაო; ჭიათურაში გზის პირად დუქანი ჰქონდა საჩინო ვაშაძეს და იქამდი ჩამოჰქონდა ხოლმე ჩემს ვაშაძეს თითო ფუთი ქვა სამ-სამ მანეთად. აქედან მერე ქუთაისში ჩამქონდა ცხენით და ქუთაისიდან საზღვარგარეთ ვაგზავნიდი ფოჩტით".

„აკაკის ძმისწულის — ვასილ დავითის ძე წერეთლისა და ჭიათურის „მანგანტრესტის" მთავარი გეოლოგის ალექსანდრე გავაშელის დახმარებით 1956 წელს დავადგინეთ, რომ ზემოხსენებული ვაშაძე, ჭიათურაში მადნის პირველი ნიმუშების ჩამომტანი, ყოფილა ექვთიმე ბეჟანის ძე ვაშაძე (1852 — 1922 წწ.), ჭიათურის ერთ-ერთი ძველი მოსახლეთაგანი.

შაქრო ვაშაძის მოგონებით, რომელიც ჩვენი თხოვნით დაიწერა, ზემოაღნიშნული ფაქტის სისწორე დამოწმებულია. მისივე ცნობით, აკაკის თხოვნით, მანგანუმით დატვირთული პირველი ურემი ზესტაფონში ჩაუტანიათ ოტია ლეჟავასა და სიმონ ვაშაძეს.

საიდან გაჰქონდათ მადნის პირველი ნიმუშები? აკაკი აღნიშნავს, რომ სიმონოვიჩი ერთ თვეს საჩხერეში დარჩა მის სახლში და „იქიდან დროდადრო დავდიოდით წირქვალსა და ჭიათურის მიდამოებშიო" [198/414]. შაქრო ვაშაძის გადმოცემით, მის ბიძას — ექვთიმე ვაშაძეს არაერთხელ უთქვამს, რომ მას მადნის პირველი ნიმუშები ზემორგანიდან, კერძოდ, კვიცხნარიდან ჩამოჰქონდა. იმ დროს აქაური მადანი უკვე საკმაოდ კარგად იყო ცნობილი თავისი მაღალხარისხოვნებით და აკაკიმ, იცოდა რა ეს, ბუნებრივია, პირველი ნიმუშების გატანა სწორედ აქედან, — კვიცხნარიდან და მისი მიდამოებიდან დაიწყო. კვიცხნარში ახლაც დარჩენილია ძველ სამთო გამონამუშევართა კვალი[1].

---

[1] კვიცხნარისა და იქ ძველი სამთო გამონამუშევრების დადგენაში დიდი დახმარება გაგვიწიეს ჭიათურის „მანგანტრესტის" ინჟინრებმა: ა. გავაშელმა, პ. გ. სახიჩიძემ, გრ. წიწილაშვილმა და ძველმა მუშამ — ილია მაქსიმეს ძე ბოკორიშვილმა, რისთვისაც მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

ა. წერეთელი თავის მოგონებებში არაერთგზის მიუთითებს, რომ მან ჟიათურის მანგანუმის პოპულარიზაციისათვის „ბროშურა-აწერილობა“ გამოსცა. 1889 წელს დაწერილ მოგონებაში აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ მისი თაოსნობით „გამოვიდა სხვადასხვა ენაზე ბროშურები შავი ქვის შესახებ“, ხოლო 1893 წლის მოგონებაში კი ის მიუთითებდა, რომ სიმონოვიჩმა „შეადგინა ბროშურა (წიგნაკი) სამეცნიერო შენიშვნებით სავსე. ზედ ჩვენი (ე. ი. აკაკის) მოსაზრება დავრთეთ პრაქტიკულის მხრივ... ეს აწერილობა დავაბეჭდვინე პეტერბურგში რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზედ და მოვფინეთ ყოველ კუთხით“.

აკაკი წერეთელთან პოლემიკის დროს ნ. ნიკოლაძემ ამ აწერილობას „პროკლამაცია“ შეარქვა და მისი გამოცემაც აკაკის ერთგვარ დანაშაულად ჩაუთვალა, რადგან, ნ. ნიკოლაძის აზრით, მან დასაწყისშივე ხელი შეუწყო მანგანუმის საქმის შერყვნას.

მიუხედავად ამისა, ბროშურის გამოცემის ფაქტს აკაკი შემდგომაც აღნიშნავდა.

აკაკის ხელნაწერთა შორის ჩვენ მივაკვლიეთ პოეტის მიერ 1905—1910 წლების შუალედში დაწერილ მოგონებას, რომელიც რამდენიმე ახალსა და ფრიად მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს როგორც მანგანუმის მრეწველობის ისტორიისათვის, ისე თვით პოეტის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა გასათვალისწინებლად. აკაკი ამ მოგონებაშიც აღნიშნავს „აწერილობის“ გამოცემის ფაქტს და პირველად აქ მიუთითებს მისი გამომცემლის გვარს — ვინმე ჩიდსონს. აკაკის გადმოცემით, „აწერილობა“ შეიცავდა პრაქტიკულ ღონისძიებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო საბადოს დამუშავება, მადნის გაზიდვა და რა დაჯდებოდა ის.

სამწუხაროდ, ა. წერეთლის მიერ შედგენილ და პეტერბურგში გამოცემულ ამ მნიშვნელოვან საბუთს ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ და ჩვენთვის უცნობია როგორც მისი შინაარსი, ისე გამოცემის თარიღი. მაგრამ ა. წერეთლის მხრით ამ ფაქტის არაერთგზის აღნიშვნა ნიშანდობლივი დეტალებით მიგვითითებს საბუთის რეალურად არსებობაზე, რადგან პოე-

ტის მოგონებებში მოტანილ ამბებს, თუმცა ისინი ქრონოლოგიურობის მხრივ ზოგჯერ სცოდავენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, სინამდვილეში ადგილი ჰქონდათ.

საფიქრებელია, რომ აკაკის ე. წ. „აწერილობა“ წარმოადგენდა არა „ბროშურას“, არამედ რამდენიმე ფურცლისაგან შემდგარ ერთგვარ სარეკლამო წიგნაკს, და სწორედ ამიტომ იყო, რომ ნ. ნიკოლაძე კი არ უარყოფდა „აწერილობის“ გამოცემის ფაქტს, არამედ მას იხსენიებდა „პროკლამაციად“—რეკლამის მნიშვნელობით.

აღნიშნული „აწერილობა“ — „პროკლამაციის“ გამოცემის დროის შესახებ რამდენიმე ვარიანტი არსებობს — პირადად ა. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის, მაგრამ მათ აქ არ განვიხილავთ, რადგან თვით „აწერილობა“ ან მის შესახებ რაიმე საბუთი სადღეისოდ მიკვლეული არ არის.

ამჯერად, ამ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ის ახლად გამოვლენილი და ბიბლიოგრაფიაში უცნობი ბროშურა[1], რომელიც ლენინგრადში სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული (დარბაზი 18, კარადა 132, თარო 3, № 219). უცნობი ავტორის ეს წიგნაკი 23 გვერდს შეიცავს და პეტერბურგშია დაბეჭდილი 1879 წელს. წიგნის თავფურცლის მეორე გვერდზე აღნიშნულია, რომ ცენზურას მისი დაბეჭდვის ნებართვა 1879 წლის 4 მარტს მიუცია. წიგნი ასეა დასათაურებული: «Месторождения: I. Марганцевых руд в окрестностях с. с. Зедаргани и Цирквали. II. Каменного угля и бурого железняка в области бассейна р. Квирилы. III. Условия местонахождений золота в долинах рр. Ингура и Риона».

ბროშურა შედგენილია, როგორც ჩანს, სპეციალისტ-გეოლოგის მიერ, რომელსაც აღნიშნული საბადოები უშუალოდ ადგილზე შეუსწავლია. რას წარმოადგენს ეს ბროშურა?

როგორც აღინიშნა, აკაკი წერეთელი მანგანუმის მადნის

---

[1] ბროშურა ჩვენი თხოვნით გამოაელინა და მისი ფოტო-პირი მოგვაწოდა აღნიშნული ბიბლიოთეკის განყოფილების გამგემ ანდრია ზაქარიას ძე აბრამიშვილმა, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.

პირველ ნიმუშებს აგზავნიდა ზედარგანის, კერძოდ კვიცხნარის, მიდამოებიდან. საბადოების სამრეწველო ექსპლოატაციაც ამავე უბანზე დაუწყია.

ახლად გამოვლენილ ბროშურაშიც სწორედ ეს მიდამოებია დაწვრილებით აღწერილი და მითითებულია, რომ ჭიათურა და მღვიმესღელე საზღვრავენ საბადოს იმ რაიონს, სადაც მადანს მაქსიმალური განვითარებისათვის მიუღწევია და განირჩევა მაღალხარისხოვნობით. ავტორი დეტალურად განიხილავს საბადოს ყველაზე დამახასიათებელ უბანს, სახელდობრ, კვიცხნარს და მის მოსაზღვრე უბნებს: „კვიცხნარის — ბეგები", „ელნარის — მინდორი" და „სალონის (ალბათ, სალოკის?) უბანი", რომელიც მღვიმევში კვიცხნარის გვერდით მდებარეობს.

აკაკი გადმოგვცემს, რომ მის მიერ კერძოდ მიწვეული სიმონოვიჩი წირქვალისა და ჭიათურის მიდამოების საბადოებს იკვლევდა. უცნობი ავტორის ბროშურაშიც სწორედ ეს ორი უბანია დაწვრილებით აღწერილი.

ბროშურაში ერთ საგულისხმო ამბავსაც ვკითხულობთ: «Область распространения залежи марганцевых руд в окрестностях сел. Цирквали также достигает весьма значительного протяжения, но наиболее интенсивное проявление руд представляет в том ограниченном районе (всего 136 десятин), который принадлежит кн. Наталии Петровне Церетели, урожденной Базилевской».

მანგანუმის საბადოების განხილვის დასკვნით ნაწილში ავტორი აღნიშნავს მათი დამუშავების ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებლებსაც: მადნის დამზადების შესაძლებლობა გვირაბების გარეშე, რკინიგზის მაგისტრალის სიახლოვე და ჭიათურა — ზესტაფონს შორის საურმე გზის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. აქვე მითითებულია ამ საბადოების უპირატესობა ევროპის საბადოებთან შედარებით.

ამრიგად, ახლად გამოვლენილი ბროშურა, თავისი შინაარსისა და საკითხების დასმის მხრით, ძალიან ემსგავსება იმ ე. წ. „ბროშურა"-„აწერილობას", რომელიც მითითებულია აკაკის მოგონებებში. მაგრამ ამჟამად, როდესაც ამ საკითხის ირგვლივ უფრო სარწმუნო ცნობები ჯერ კიდევ არ არის შე-

კრებილი, შეუძლებელია ამ ბროშურათა ერთიდაიგივეობის კატეგორიულად მტკიცება. საჭიროა მისი შემდგომი დაზუსტება. გამორიცხული არ არის, რომ ეს ახლად გამოვლენილი ბროშურა არის აკაკისა და სიმონოვიჩის პირველი „ბროშურის“ ახალი თავებით შევსებული გამოცემა.

როგორც არ უნდა გადაწყდეს მომავალში ეს საკითხი, ერთი რამ უეჭველია, სახელდობრ ის, რომ ლენინგრადში მიკვლეული ბროშურაც აკაკის მითითებითა და თანამონაწილეობით უნდა იყოს შედგენილი. ამ ვარაუდს ამართლებს ის გარემოება, რომ ბროშურაში, მანგანუმის გარდა, განხილულია სხვა ისეთი საბადოებიც და მათი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, რომელთა დამუშავებას აკაკი ცდილობდა სიმონოვიჩისა და ა. კაპანაძის თანამონაწილეობით—ქვანახშირი, სვანეთის ოქრო, რკინის მადანი.

ბროშურის ავტორი, განიხილავს რა საჩხერის რაიონში აღმოჩენილი ქვანახშირის გეოგრაფიული განვრცობის საკითხს, აღნიშნავს, რომ ეს საბადო მდებარეობს ა. წერეთლის საგვარეულო მამულში.

სვანეთის ოქროს საბადოების განხილვისას კი ბროშურაში საუკეთესო საბადოებად სწორედ ის უბანია დადებითად დახასიათებული, სადაც აკაკის დავალებით ანდრია კაპანაძე ოქროს მოსაპოვებლად სარეწავის გამართვას აპირებდა.

ამას გარდა, საგულისხმოა ის გარემოება, რომ იმ პერიოდში, როდესაც ბროშურის გამოცემაზე ცენზურას ვიზა მიუცია (1879 წლის 4 მარტს), აკაკი პეტერბურგში იმყოფებოდა.

თუ ჩვენი ვარაუდი იმაზე, რომ ეს ბროშურა აკაკი წერეთლის თაოსნობით არის შედგენილი და გამოცემული, მომავალში გამართლდა, მაშინ კიდევ ერთი ახალი ფურცელი ჩაიწერება მგოსნის ბიოგრაფიაში და ნათელი გახდება, რომ ის, ზემოაღნიშნული მინერალების დამუშავების გარდა, დაინტერესებული ყოფილა აგრეთვე ბროშურაში აღწერილი ზემო იმერეთის ტორფისა და გიშერის საბადოთა გამოყენებითაც, ე. ი. მთელ რიგ საბადოთა კომპლექსური დამუშავებით.

ასეთია ახლად აღმოჩენილ ბროშურის მნიშვნელობა.

*
* *

უკვე აღინიშნა, რომ აკაკი თავდაპირველად ცდილობდა, რათა სამუშაოთა დასაწყებად საჭირო სახსრები ადგილობრივ გამოენახა, მაგრამ რეალური დახმარების ნაცვლად მას უნდობლობა, დაცინვა და შეურაცხყოფა შეაგებეს. მილიონერი ს. შაბუროვიც კი, რომელიც ჩვეულებრივად ხარბად ეპოტინებოდა ყოველგვარ კომერციულ წამოწყებას, კატეგორიულად გაურბოდა მანგანუმის საქმეში კაპიტალის დაბანდებას და აკაკის წერილებზე პასუხსაც კი.

რაც შეეხება ადგილობრივ მცხოვრებთ, ისინი აკაკის წინააღმდეგობას უწევდნენ: „არ დარჩენილა ჩვენში წოდება, რომ არ მწუთხებოდეს. თითქოს... იმათი მყუდროება შემეშფოთებინოს“ — იგონებდა აკაკი. ამ მხრით, როგორც მოსალოდნელი იყო, განირჩეოდა უმაღლესი წოდება, რომელიც იცავდა რა თავის კლასობრივ ინტერესებს, აშკარად ებრძოდა აკაკის და მას პირად შეურაცხყოფასაც არ აკლებდა. აკაკი მოხუცებულობაში გულისტკივილით იგონებდა: „ცრუსა და მატყუარას მეძახოდნენ“, „გაგიჟებულაო“, „თუ არ სიგიჟით, სხვებ როგორ ჩაიდინება ამისთანა საქმეო“; „არა თუ არავინ დამხმარებია, პირიქით, ხელს მიშლიდნენ საქმითაც, და სიტყვით ხომ რაღა, მოსვენება არა მქონია რა. ბრუნი და მართალი, გარეშე და შინაური, ყველა კიჟინას სცემდა... გიჟიო!... პოეტურმა ოცნებამ გაიტაცა და რაღაც შავ-ქვას გადაჰკიდებიაო, რომლითგანაც აბა რა უნდა გამოვიდესო“? აკაკით უკმაყოფილო იაკინთე ყიფიანი წერდა: „ის კაცი, რომელიც მრავალმეტყველებს და ბევრს შაირებს წერს, საფუძვლიან საქმეში ისუსტებსო“.

აკაკის მიმართ ასეთი გესლიანი შენიშვნები იშვიათი არ იყო და პოეტი ხშირად საყვედურით აღნიშნავდა ხოლმე: „არ ვიცი, რად იყვნენ დარწმუნებული, რომ მე გარდა ლექსებისა, მეტი არა შემიძლია-რა?“. იგონებდა რა ყოველივე ამას, აკაკი 900-იან წლებში წერდა: „რა არის მგოსანი და რად ღირს მისი მწერლობა, თუ იმავე დროს საზოგადო მოღვაწეც არ არის“,

ხოლო 90-იან წლებში გულისტკივილით წერდა: „ძნელი იყო ჩემი ყოფა“.

ასეთ ვითარებაში აკაკი დარწმუნდა, რომ მანგანუმის საქმის დასაწყებად სახსრებს ის საქართველოში ვერ შეაგროვებდა და საჭირო იყო სხვა გზის გამონახვა, რათა დიდი ხნის ოცნებისათვის ხორცი შეესხა.

მანგანუმის საქმით რუსი კაპიტალისტების დაინტერესების იმედი აკაკის არ ჰქონდა, რადგან ისინი კავკასიაში მოღვაწეობას გაურბოდნენ. დარჩა ერთადერთი იძულებითი გზა, რომელიც ისევ უცხოეთის კაპიტალისტებისაკენ მიემართებოდა. აკაკი წერდა: „მე გადავსწყვიტე ჩამოშორება და საქმის საწარმოებლად შევუდექი კაპიტალის ძებნას საზღვარგარეთ და იქიდან ვაჭრის მოწვევას; თუმცა კი ძნელი იყო, რადგან იმ დროს საზღვარგარეთელებს სხვანაირად ჰქონდათ წარმოდგენილი ეს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ მე მაინც არ ვანებებდი თავს... და, ბოლოს, როგორც იქნა, დაინტერესდნენ იქაური ზოგიერთი ვაჭრები და დააპირეს წამოსვლა, რომ ადგილობრივად ენახათ მადნები. მოდიოდნენ და მოჰყავდათ თავისი ინჟინრები, რასაკვირველია, ჩემის ხარჯით. თორმეტი წლის განმავლობაში რვა კამპანია მოვიყვანე, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მოსწონდათ, არავინ კი ხელი არ მიჰყო მის მრეწველობას. ჩვენები შლიდენ საქმეს, აშინებდენ... საზღვარგარეთიდან კავკასიაში მოსვლა, სამრეწველო განძრახვით, აღარავის უნდოდა“.

ამის შემდეგ უცხოეთის კაპიტალისტებს დაუწყიათ როგორც საქართველოზე, ისე ჰიათურის მანგანუმზე ცილისმწამებლური ხმების გავრცელება: „მთვარიდან უფრო ადვილი იქნება მანგანუმის ჩამოტანა, ვიდრე კავკასიიდან გამოტანაო“. „დავრჩი ყოველმხრით უნუგეშოდ და უიმედოდ“, — წერდა აკაკი.

ასეთ ერთობ სავალალო მდგომარეობაში მყოფი აკაკი, ნ. ნიკოლაძის გადმოცემით, „იძულებული გახდა დახმარებისათვის ერთი თავის ნაცნობისათვის (იგულისხმება ნ. ნიკოლაძე — ა. კ.) მიემართა, რომელსაც იმჟამად (ეს იყო 1873—1874 წწ.) უცხოეთში ფართო ურთიერთობა ჰქონდა“ და სა-

ზღვარგარეთ გამგზავრებას აპირებდა. პოეტს „ნაცნობისათვის“ თითქოს უთხოვია, რათა მას მანგანუმის საბადოების დასამუშავებლად უცხოეთში გამოენახა კაპიტალისტები. საზღვარგარეთიდან ჩამოსულ „ნაცნობს“ აკაკისათვის გადაუცია ავტორიტეტული უცხოელების „რჩევა“: მანგანუმის საბადოების დამუშავებას არ ესაჭიროება კაპიტალი და მისი დაწყება შეიძლება რამდენიმე ასეული მანეთით, თითქმის შიშველი ხელებით. ამ გზით უმოკლეს დროში შეიძლება საბრუნავი კაპიტალისა და დიდი ქონების შეძენა. იქაურ კაპიტალისტებს კი არაფერი აქვთ აქ გასაკეთებელიო.

ა. წერეთელმა ნ. ნიკოლაძესთან პოლემიკის დროს ეს ფაქტი კატეგორიულად უარყო. ის წერდა: „ამას არავინ დაიჯერებს, ვისთვისაც ცნობილია ჩემი აზრი... ნ. ნიკოლაძეზე... ასეთი აზრის მატარებელს არ შემეძლო მისთვის მიმემართა არა თუ ცხადლივ, არამედ სიზმარშიც კი“[1].

ამჟამად საინტერესო არ არის იმის გამორკვევა, თუ ამ ურთიერთობაში რომელი მხარეა მართალი. მთავარი ისაა, რომ სპეციალისტების ეს „რჩევა“ ნიშნავდა საქმის ჩაშლას.

ჭიათურის საბადოების დამუშავება, მართალია, ადვილი იყო, მაგრამ სამთამადნო მრეწველობის ისტორიას არ ახსოვს არც ერთი ისეთი დარგი, რომელიც დაწყებულიყო თუგინდ მცირე ხარჯების გარეშე. თუმცა მანგანუმის მადანი მაშინ ზედაპირზე ეყარა, მაგრამ არც ამ საქმის დაწყება შეიძლებოდა ორიოდე ასეული მანეთით, რადგან იმ დროს მარტო მუშის დღიური ქირა 1 მანეთს აღემატებოდა, ხოლო აკაკის საშუალება არა ჰქონდა ასეთი დიდი ხარჯი გაეწია.

---

[1] 1873 წელს, შემოდგომაზე, აკაკის გაზ. „დროების“ ხელმძღვანელობასთან, მათ შორის, ნ. ნიკოლაძესთანაც უთანხმოება ჰქონია (ლ. ასათიანი, დას., შრ. გვ. 258). ეს ჩანს აკაკის მიერ ნიკო ნიკოლაძისათვის გაგზავნილი უთარიღო წერილიდანაც. რომელიც, ჩვენი აზრით, ამ პერიოდში უნდა იყოს დაწერილი. აკაკის ალბათ მხედველობაში ეს ურთიერთობა ჰქონდა, როდესაც საპასუხო წერილში აღნიშნავდა, რომ ასეთ პირობებში არ შემეძლო ნ. ნიკოლაძისათვის თხოვნით მიმემართაო. სხვათაშორის, ასეთივე ურთიერთდამოკიდებულებას ნიკო ნიკოლაძესა და აკაკი წერეთელს შორის ადგილი ჰქონდა აღნიშნული პოლემიკის დროსაც (ნ. ნიკოლაძის პირადი არქივი. საბ. № 13—374).

ამიტომ აკაკიმ უცხოელთა ეს „მოყვასური“ რჩევა არ მიიღო და 1874 წლის გაზაფხულს გადაწყვიტა კომპანიის შესადგენად საზღვარგარეთ წასულიყო, მაგრამ ეს განზრახვა ვერ შეასრულა.

ამრიგად, 1874 წლისათვის არც აკაკის, არც სხვას საბადოს დამუშავება დაწყებული არ ჰქონია. მართალია, 1874 წლის მაისში ვინმე სელეზნიოვებს ჭიათურის მიდამოებში მანგანუმის აღმოჩენაზე განცხადება შეუტანიათ სამთო სამმართველოში, მაგრამ მათ არც 1874 წელს, არც შემდეგომ, საბადოს ექსპლოატაცია არ დაუწყიათ.

რადგან საზღვარგარეთიდან დახმარება ვერ ჰპოვა, ა. წერეთელი კომპანიის შესადგენად პეტერბურგში გაემგზავრა. ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ მოგონებაში აკაკი წერს: — „ევროპიელები აღარ მოდიოდნენ: „აქ მოგვიტანეო“, და მე რუსეთში წავედი კამპანიის საძებნად“.

როდის უნდა ყოფილიყო ეს? ნ. ნიკოლაძე წერდა, რომ უცხოეთიდან მისი დაბრუნების შემდეგ, ა. წერეთელი უკმაყოფილო დარჩა „უცხოელთა რჩევით“ და „რამდენიმე კვირის შემდეგ პეტერბურგში წავიდა კომპანიის გამოსანახავადო“. მეორე წერილში ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ ამ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონებოდა 1874 წლის შემოდგომის მიწურულში. ნ. ნიკოლაძე უცხოეთიდან 1874 წლის ზაფხულში დაბრუნდა.

მაშასადამე, ა. წერეთელი უნდა წასულიყო („რამდენიმე კვირის შემდეგ“) არა შემოდგომაზე, არამედ ზაფხულის თვეებში, რადგან იმავე წლის შემოდგომის თვეებში აკაკი ერთხანს სამეგრელოში ყოფილა, ხოლო შემდეგ — ქუთაისსა და თბილისში. როგორც ს. ვესხის კერძო წერილიდან ჩანს, აკაკი რუსეთში 1874 წლის მაისში უნდა წასულიყო [222/144].

ნ. ნიკოლაძე პოლემიკის დროს ა. წერეთელს უსაყვედურებდა, რომ აკაკიმ არ დაუჯერა საქმის მცოდნე კაცების რჩევას და კომპანიის შესადგენად პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც მაკლერების საშუალებით დაიწყო მანგანუმის საქმის ერთი ბანკირისაგან მეორესთან ტარებაო. „აკაკი წერეთელმა, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — ვერც კი მოასწრო სამუშაოთა დასაწყებად თბილისელი თერძი ანდრია კაპანაძისაგან თანხების

მიღება, რომ მაღაროებს მსოფლიოს ყოველ კუთხიდან „ყვავების გუნდი“ თავს დაესხა და ამით ეს საქმე ქვეყნისათვის დიდი ხნით დაკარგული აღმოჩნდა“.

აკაკის პრაქტიკული მოღვაწეობის ასეთი შეფასება აშკარად ცალმხრივი და გადაჭარბებულია. ამას გარდა, თუ აკაკი, როგორც ნ. ნიკოლაძე აღნიშნავდა, მანგანუმის საქმეში მართლა სიმონოვიჩის ჩანაფიქრთა და სქემის მხოლოდ უბრალო აღმსრულებელი იყო, მაშინ გაუგებარია, რატომ აკაკის ბრალდებოდა საქმის ასეთი „შერყვნა“ და არა სიმონოვიჩს, როგორც მრეწველობის მამასა და „ჩანაფიქრთა“ ავტორს?

არ შეიძლება ორი აზრის არსებობა იმაზე, რომ აკაკი სწორად მოიქცა, როდესაც 1874 წელს მან „საქმის მცოდნე კაცების რჩევის“ მიუხედავად საბადოების დამუშავებისათვის რუსეთის კაპიტალისტებს მიმართა.

რუსეთში ა. წერეთლის მოღვაწეობას ამ პერიოდში ნაწილობრივად ასახავენ სერგეი მესხის წერილები. 1874 წლის 23 დეკემბერს ს. მესხი საზღვარგარეთ მყოფ კეკე მელიქიშვილს აცნობებდა: „აკაკი ახლა აქ არის... ამის საქმეები, მგონია, კარგად მიდის: ერთი მხრით, სიმამრი შერიგებია და ფულებს უგზავნის, მეორე მხრით, თვითონაც, პეტერბურგში რომ იყო, რაღაც მადნების კამპანია შეუდგენია და მალე საქმეს დაიწყებს“.

სიმამრის მხრით ფულადი დახმარების ამბავი სინამდვილეს არ შეესაბამება. რაც შეეხება კომპანიის შედგენას, აქ ნაგულისხმევია მანგანუმის კომპანია, რადგან ს. მესხი იმავე ადრესატს ექვსი თვის შემდეგ ატყობინებდა, რომ აკაკი ძალიან გაჭირვებულ მდგომარეობაშია და „ამას გარდა, თვითონაც მარგანეცის მადანი აქვს, კამპანიის შედგენას ცდილობს და ვერც ეს უხერხდება“.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, თუ ვისგან შედგებოდა ის პირველი კომპანია, რომელიც ს. მესხის წინა წერილშია აღნიშნული. გამოურკვეველია აგრეთვე ის, თუ რატომ ჩაიშალა ეს პირველი წამოწყება.

1875 წელს ა. წერეთელი საქართველოში იმყოფებოდა, უმთავრესად გაზ. „დროებაში“ თანამშრომლობდა და ახალ-

თაობის პრაქტიკული ამოცანების შესახებ მთელ რიგ საინტერესო პუბლიცისტურ წერილებს აქვეყნებდა. ანდრია კაპანაძე, რომელიც ჩვეულებრივად პოეტის დავალებებს ასრულებდა, 1875 წელს ვინმე სიდოროვსა და მეტროპოლოვთან ერთად ზემო სვანეთში იყო წასული იქაური ოქროს საბადოების დასათვალიერებლად და ამის შემდეგ სამთო სამმართველოში ორი განცხადება შეიტანა ჩუბიხევსა და ეწერში ოქროს სარეწავების გამართვაზე. საგულისხმოა, რომ გეოლოგი სიმონოვიჩიც ამავე პერიოდში ზემო სვანეთში იმყოფებოდა ოქროს საბადოების შესასწავლად.

1876 წელს ა. წერეთელი ისევ საქართველოში იმყოფებოდა და მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწეოდა.

მომდევნო 1877 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემდეგ, აკაკი პეტერბურგში გაემგზავრა და კვლავ საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეების გამოყენებისათვის კომპანიის შედგენაზე ზრუნავდა.

პეტერბურგიდან აკაკი არისტო ქუთათელაძეს აცნობებდა, რომ ის სარატოვში იყო, მაგრამ ვიღაც პირები იქ აღარ დაუხვდნენ და კვლავ პეტერბურგში დაბრუნდა. აცნობებდა რა თავის ახალ მისამართს ადრესატს, სთხოვდა იგი სიმონოვიჩისა და ანდრია კაპანაძისათვის გადაეცა.

აკაკი იმავე ადრესატს 1877 წლის შემოდგომას ატყობინებდა: „გაისამდი აქ დავრჩები, საქმე ეგება გამოვაწყო როგორმე. ბრძენები და ფულიანები ვერას აკეთებენ და ეგება ჩერჩეტობამ და სიღარიბემ რაიმე გაარიგოს“. უეჭველია, პოეტი აქ კომპანიის შედგენას გულისხმობდა. ეს ჩანს აგრეთვე ამავე წერილის შემდეგი აბზაციდან: „ანდრია ნახე და უთხარი, რომ უთუოდ იმ დღესვე გამომიგზავნოს დოვერენოსტი ოქროზედ და მარგანეცის ნიმუშები უსიკვდილოდ. დაყოვნება იმაზედ არის; აგრეთვე ტყიბულის ნახშირის ნაკვეცი... არ დაივიწყო, იმდღესვე გამოაგზავნიე მარგანეცისა და ნახშირის ნიმუში, უთუოდ“.

აკაკი ამჯერად პეტერბურგში საკმაოდ დიდხანს დარჩა. როგორ მიმდინარეობდა იქ კომპანიის შედგენის საქმე, დაწერილებით არა ვიცით რა, მაგრამ ნ. ნიკოლაძის მიერ აკაკისადმი

გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ აკაკის საქმე ამ მიმართულებით ბრწყინვალედ არ მისდიოდა. ეს მტკიცდება თვით პოეტის სიტყვებიდანაც: „ბრძენები და ფულიანები ვერას აკეთებენო“.

ნ. ნიკოლაძე თავის მრავალმხრივ საინტერესო წერილში, რომელიც პეტერბურგში მყოფ აკაკისათვის 1877 წლის 1 დეკემბერს გაუგზავნია, აცნობებდა, რომ მას გაზ. „ობზორის“ გამოცემის ნება მისცეს და 1878 წლის იანვრიდან იწყებს გაზეთის გამოშვებას. „შენ კარგათ გახსოვს, — წერდა ნ. ნიკოლაძე, — რანაირად მირჩევდი ამ საქმის დაწყებას. ეხლა უნდა გითხრა, რომ ამ საქმეში შენი დახმარების იმედი ყოველთვის მქონდა და მაქვს. შენ იცი, როგორ ამისრულებ ამ იმედს... ამ საქმისათვის შენ უნდა აქ ჩამოხვიდე... გაათავე შენი საქმე და, რაც შეიძლება, მალე წამოდი. სანამ საქმეს გაათავებდე, მანდედამ დამეხმარე... მაგრამ, თუ ჩემი წრფელი აზრის და რჩევის მოსმენა არ გეწყინება, მე გეტყვი, რომ არა მგონია, რომ ეხლანდელი შენი მანდ ყოფნა ან დიდხანს დარჩენა ნაყოფიერი გამოვიდეს. ეხლა ისეთი დროა, რომ ფულის პატრონები კავკასიისაკენ წამოსვლას ომის გათავებამდე ვერ გაბედავენ. ომი კი, ჩემი აზრით, მარტო ეხლა იწყება. მიატოვე მშვიდობიანობამდე მაგ საქმეზე ცდა, თუ გინდა, რომ მისი ნაყოფი შენვე დაგრჩეს, თუ არა და ძლიერ ცუდ პირობებს ჩამოგართმევენ და დროსაც დაგაკარგინებენ უსარგებლო ლაპარაკში“.

უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ნიკოლაძის გაფრთხილება მართალი აღმოჩნდა დროის დაკარგვისა და „ცუდი პირობების ჩამორთმევის“ თვალსაზრისით.

მაგრამ, მიუხედავად ნ. ნიკოლაძის ასეთი თხოვნის და იმ პირობებისა, რომლებსაც ნ. ნიკოლაძე პოეტს სთავაზობდა, ა. წერეთელმა თბილისში დაბრუნების წინადადება არ მიიღო და დაკმაყოფილდა. იმით, რომ მან გაზ. „ობზორს“ პეტერბურგიდან სამი ფელეტონი გამოუგზავნა [223/319].

მართალია, კომპანიის შედგენა ძალზე გაჭიანურდა, მაგრამ დროდადრო, როგორც აკაკის წერილებიდან ჩანს, მოლაპარაკება სასურველ მიმართულებას ღებულობდა. დაახლოებით ამავე პერიოდში აკაკი აცნობებდა ა. ქუთათელაძეს: „ჩემი საქ-

მე კარგათ მიდის და სანამ არ გავათავებ, არ წამოვალ. ცოტას კი დაიგვიანებს... კაპანაძეს და სიმონოვიჩს უთხარი, სურვილი აღსრულებაში მოდისთქო აქ, და მანდ თქვენ იყავით მარჯვეთ-თქო". ამ „სურვილის აღსრულებამაც", როგორც ქვევით ვნახავთ, საგრძნობლად დააყოვნა.

მიუხედავად ამისა, ა. წერეთელი არ დამცხრალა და კომპანიის შედგენისათვის ცდებს განაგრძობდა. ა. კაპანაძე თავის მხრით სვანეთის ოქროს საბადოების დასამუშავებლად ნებართვის აღებას ცდილობდა, ხოლო სიმონოვიჩი ამავე რაიონის ოქროს საბადოებს ხელახლა იკვლევდა.

1878 წელს ა. წერეთელს კომპანიის შედგენის საქმეში უკვე გარკვეული წარმატებისათვის მიუღწევია. ვინმე გრაფინია გალვისა და თავად ავალიშვილის საშუალებით პოეტი გაცნობია შეძლებულ ვექილ ოსტრიაკოვს, რომელსაც ხელშეკრულების გაფორმებამდე განუზრახავს მანგანუმის საბადოების ადგილზე შემოწმება. ოსტრიაკოვს მცველად წამოუყვანია ი. ფურმანი, საბადოები დაუთვალიერებია და პეტერბურგში დაბრუნებისთანავე, ხელშეკრულების გაფორმებას შესდგომია. უთუოდ ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს ვინმე გრიგოლ წერეთლის ბიერ აკაკისათვის გაგზავნილი ფრიად საყურადღებო წერილი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე, დაახლოებით 1878 წლის ივლისის დასასრულს ან აგვისტოს პირველ დღეებში, აკაკის დასჭირვებია ცნობა იმის შესახებ, თუ რა დაჯდებოდა ჭიათურიდან ზესტაფონამდე ფუთი მადნის ჩატანა და ამის შესახებ წერილობით გრიგოლ წერეთლისათვის მიუმართავს.

გ. წერეთელი (1878 წელს) 13 აგვისტოს აკაკის ატყობინებდა, რომ ზესტაფონამდე ფუთი მადნის ჩატანა 15 კაპ. ეღირებოდა.

ა. წერეთელს უთუოდ ეს პერიოდი ჰქონდა მხედველობაში, როდესაც წერდა: ოსტრიაკოვს „შეეეკარ პირობით: უნდა ჩამებარებია ფოთში პარახოდზე ერთი მილიონი ფუთი მარგანეცი, ფუთი სამ აბაზად და ერთ შაურად. და უკეთუ წლამდე ვერ ჩავაბარებდი, ჯარიმა უნდა გადამეხადა".

ამრიგად, აკაკიმ, როგორც იყო, მიზანს მიაღწია და მას, თუმცა არა საესებით ხელსაყრელ პირობებში, მაგრამ მაინც საშუალება მიეცა საბადოების სამრეწველო ექსპლოატაცია დაეწყო.

აკაკის ცნობით, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო მას საკუთარი სახსრებით უნდა ჩაეტარებინა და საბოლოო ანგარიშს ოსტრიაკოვისაგან მხოლოდ ფოთში მიიღებდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფუთი მადნის მარტო გადაზიდვა ჭიათურიდან ზესტაფონამდე, როგორც გ. წერეთელი წერდა, 15 კაპ. ეღირებოდა, მაშინ თვით მადნის დამზადებას ჭიათურაში, შემდეგ ზესტაფონში გადატანას, ზესტაფონიდან ფოთში რკინიგზით გადაზიდვას, იქ გემზე დატვირთვას უდიდესი თანხები დასჭირდებოდა და არა რამდენიმე ასეული მანეთი, როგორც ამას უცხოელი ავტორიტეტები (პერნოლე. რუვიე, ბარალი) ნ. ნიკოლაძის საშუალებით ა. წერეთელს აცნობებდნენ.

ოსტრიაკოვთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო იყო ფული. აკაკის სწორედ ეს არ ჰქონდა. „მაშინ, — წერს აკაკი, — გრაფინიამ გადმომცა ათასი თუმანი და მითხრა: ახლა ამის მეტი არა მაქვს ხელად, მაგრამ სახლს დავაგირავებ და სხვასაც მოგაწოდებო“.

ამრიგად, ა. წერეთელმა ხანგრძლივი ცდების შემდეგ მხოლოდ 1878 წლის უკანასკნელ თვეებში მოახერხა მანგანუმის კომპანიის რეალურად შედგენა. მაშასადამე, აკაკის 1878 წელს არ ჰქონდა დაწყებული საბადოების სამრეწველო ექსპლოატაცია, რასაც ადასტურებს აგრეთვე ხსენებული გ. წერეთლის (1878 წლის) 13 აგვისტოს წერილი: „ნეტავი კი მოხვიდოდე, შეებმებოდე ამ საქმეს, თორემ სხვებც მოხერხდება საქმე“.

თუმცა ჭიათურაში საბადოების დიდი მასშტაბით დამუშავება 1878 წელს არ წარმოებდა, მაგრამ მადანი პატარ-პატარა პარტიებად, როგორც საცდელი ნიმუშები, ჩანს, მაინც გაჰქონდათ წარმოებებში მისი ვარგისიანობის შესამოწმებლად.

ეს ჩვენი მოსაზრება ორ ფაქტობრივ ცნობას ემყარება:

ა) გიორგი წერეთელი, რომელიც კარგად იცნობდა ზემო იმერეთის სამეურნეო ცხოვრებას, 1889 წელს წერდა: „მარგანეცი პირველად გავიდა კავკასიიდან საზღვარგარეთ 1878 წელს“.

ბ) ინჟ. გოლუბევი, რომელიც ჭიათურის მრეწველობის ისტორიას საგანგებოდ სწავლობდა, აღნიშნავდა, რომ პირველი სამთო სამუშაოები მცირე მასშტაბით დაიწყო 1878 წელს რგანსა და პერევისაში.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო სამრეწველო ექსპლოატაცია. აკაკი, ხელშეკრულების მიხედვით, საბადოს ნაწილ სამრეწველო ექსპლოატაციას 1879 წლის იანვრიდან აპირებდა.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის დასაწყისი დღემდე ზუსტად არ იყო დადგენილი. ძველი მუშების გადმოცემით, საბადოს დამუშავება დაიწყო 1862 წლიდან. აკად. გ. ხაჭაპურიძემ ეს უფრო ადრინდელი წლებით დაათარიღა. იგი წერდა: „1858 წელს ფოთში ააგეს დიდი ნავსადგური და დაიწყო მარგანეცის გაზიდვა... 70-იან წლებში რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით მარგანეცის გაზიდვა გაიზარდა“ [224].

ზემოთ ნათელვყავით, რომ არა თუ 60-იან წლებში, არამედ 1879 წლამდეც ჭიათურის საბადოების ექსპლოატაცია დაწყებული არ იყო და ამიტომ 1858 წელს არ შეიძლებოდა მანგანუმის მადნის გაზიდვას ჰქონოდა ადგილი. ამას გარდა, ფოთი-თბილისის რკინიგზა ამუშავდა 1872 წელს, ხოლო საბადოების გეოლოგიური შესწავლა ჩატარდა 1872—1877 წლებში, ე. ი. დამუშავება ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო და ამიტომ „70-იან წლებში რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით მარგანეცის გაზიდვა“ ვერ გაიზრდებოდა. სავარაუდოა, რომ მკვლევარს მხედველობაში ჰქონდა არა მანგანუმის მადანი, არამედ ტყიბულის ქვანახშირი.

ლიტერატურაში მოიპოვება მითითება, რომლის მიხედვით ჭიათურის მრეწველობა 70-იანი წლების დასაწყისით თარიღდება, ხოლო ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთის რეპორტიორი წერდა, თითქოს ჭიათურის „მანგანუმის მრეწველობა ყო-

ველგვარი გეგმისა და ზედამხედველობის გარეშე დაიწყო 1875 წლიდან". საარქივო წყაროებითა და სამთო სამმართველოს ანგარიშებით ეს ცნობები არ დასტურდება. მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთი 1876 წელსაც კი მხოლოდ საბადოს „აღმოჩენას" იუწყებოდა.

ავტორების ერთი ჯგუფი მრეწველობის დასაწყისად 1876—1878 წლებს მიუთითებს. ინჟ. ო. კარაპეტიანი აღნიშნავს, რომ 1878 წელს ჭიათურიდან გაიგზავნა 54 ათასი ფუთი მადანი, ხოლო ინჟ. გოლუბოვი წერდა, რომ მან პირადად ნახა 1878 წლის სამთო გამონამუშევრები. ინჟ. გოლუბოვი ჭიათურის მრეწველობის ისტორიას იკვლევდა 900-იანი წლების პირველ ნახევარში. ორი ათეული წლის წინათ არსებული გამონამუშევრების ასე ზუსტად დათარიღება, როდესაც საამისო საბუთი არ არსებობდა, შეუძლებელია. გამორიცხული არ არის, რომ 1878 წელს, როგორც ამას გიორგი წერეთელიც აღნიშნავდა, ჭიათურიდან რომელიმე დაინტერესებულმა კომპანიამ ან ქარხანამ მადნის საცდელი პარტია გაიტანა, მაგრამ ეს არ შეიძლება საბადოს სამრეწველო ექსპლოატაციის დასაწყისად მივიჩნიოთ. ამას გარდა, როგორც ა. წერეთელი აღნიშნავდა, რადგან მადნის ბელტები ზედაპირზე უხვად იყო მიმოფანტული, დასაწყისში საჭირო არ იყო მიწისქვეშა სამუშაოების ჩატარება. სამთო სამუშაოები დაიწყო 1879 წლის დასაწყისში აკაკი წერეთელმა, ხოლო სხვებმა უფრო მასობრივად 1880 წლიდან. ამიტომ ინჟ. გოლუბოვს არ შეეძლო 1878 წლის სამთო გამონამუშევრები ენახა, რადგან ამ წელს საბადოს ექსპლოატაცია დაწყებული არ იყო და თუ მადანი მაინც გაჰქონდათ, მხოლოდ ზედაპირიდან აკრეფილი.

ავტორების ნაწილი მიუთითებს, რომ ჭიათურის მრეწველობა 1879 წლიდან დაიწყო.

ზოგიერთი ავტორი მრეწველობის დასაწყისად მიუთითებს 1881—1882 წლებზე. სოფ. წირქვალში მცხოვრები მელექსე ზ. დევიძე ლექსად წერდა: „ათას რვაას ოთხმოცდერთში, ეს მოხდა შორაპნის ვეზდში, გამოაჩინეს მადანი". ინჟ. შ. ა. შოსტაკი მიუთითებს 1885 წელზე.

ასეთ სიჯრელესა და შეუსაბამობას აქვს ადგილი ჭიათურის მრეწველობის დათარიღებაში[1].

ნამდვილი, ანუ როგორც გ. წერეთელი ამბობდა, ე. წ. ვაჭრული წესით საბადოების დამუშავება სულ პირველად ა. წერეთელმა დაიწყო. აკაკი, გადმოგვცემდა რა ოსტრიაკოვთან პირობის გაფორმების ამბავს, წერდა: „მე მაშინვე დავიწყე მუშაობა... სალომე წერეთლის ქალის, ანდრონიკაშვილის ცოლის მამულები ავიღე იჯარით და პირველად იქ დავიწყე მუშაობა". მეორე მოგონებაში ის უფრო ვრცელ ცნობას გვაწვდის: „შევუდექი საქმეს: სალომე წერეთლის ქალის ანდრონიკაშვილის ქვრივისაგან ავიღე იჯარით სამარგანეცო ადგილი კვიცხნარი... წამოვიყვანე ტფილისიდან ერთი ჩემი მეგობარი კაპანაძე და ის დავუყენე მეთაურად მუშებს... სამი თვის მუშაობის შემდეგ დამზადებული მქონდა შავი ქვა, რაც კი საჭირო იყო... კვიცხნარიდან, სადაც მარგანეცი გვქონდა დამზადებული, ჭიათურის გზამდე სულ ორი ვერსტია, მაგრამ საცალფეხო გზით გამოტანა შეუძლებელი იყო... ნამუშევარი ქვები წამართვა (სალომე წერეთელმა), დამირღვია კონტრაქტი... ის კვიცხნარი... ივანე მუხრან-ბატონს გადასცა".

ჩვენ მიერ გამოვლენილ მოგონებაში აკაკი აღნიშნავს, რომ პეტერბურგიდან დაბრუნებისთანავე დაიწყო მადნის დამზადება, რისთვისაც მან წირქვალელი გლეხები დაიქირავა.

როდის უნდა მომხდარიყო ეს ამბავი?

დადგენილია, რომ აკაკი პეტერბურგიდან 1878 წლის გვიან შემოდგომას რამდენიმე თვით ჩამოვიდა საქართველოში, 1879 წლის თებერვალს ისევ გაბრუნდა და 1879 წლის გაზაფხულიდან აკაკი ისევ საქართველოში იყო.

ამიტომ საბადოების დამუშავება, ჩვენი აზრით, აკაკის 1879 წლის დამდეგს უნდა დაეწყო, ყოველ შემთხვევაში, არა

---

[1] წინამდებარე შრომა უკვე დამთავრებული გვქონდა, როდესაც გამოქვეყნდა ელ. ჭანიშვილის წიგნი — „მანგანუმის მადნის მრეწველობის განვითარება საქართველოში", თბილისი, 1960 წ. ამიტომ, ამჟამად საშუალება არა გვაქვს განვიხილოთ მასში დაშვებული არასიზუსტე და შეუსაბამობანი მრეწველობის როგორც თარიღების, ისე ექსპლოატაციის საკითხებში.

უგვიანეს ამავე წლის გაზაფხულისა, რასაც ადასტურებს, როგორც „ძველი სემინარელის“ მოგონება, ისე ნ. ნიკოლაძის წერილი.

ნ. ნიკოლაძე 1879 წლის 31 აგვისტოს აკაკის სწერდა: „გუშინ ყვირილის სტანციაზე რომ გამოვიარე, ღამბაშიძემ ბევრი ახალი ამბები მითხრა შენს საქმეზე. მისი სიტყვით, შენ მანდ ბევრი მოცილეები აგტეხიან... საქმის ხელში ჩასაგდებათ არზებიც სადღაც შეუტანიათ“. ამრიგად, 1879 წლის აგვისტოში აკაკის მოცილეები გამოსჩენია და მათ არზების შეტანაც კი მოუსწრიათ.

მოცილეთა შორის ნ. ნიკოლაძე ასახელებს ლიპხარტს. არქივში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ლიპხარტს და რუსეთიდან ჩამოსულ 27 სხვა ვაჭარს 1879 წლის 16 აგვისტოს სამთო სამმართველოში შეუტანიათ განცხადება ჭიათურაში მანგანუმის საბადოების დამუშავებისათვის ნებართვის ასაღებად.

ცხადია, აკაკის მანგანუმის დამუშავება გაცილებით ადრე უნდა დაეწყო, ვიდრე ჭიათურაში „მოცილეები“ ჩამოვიდოდნენ. ამ მხრით საყურადღებო ცნობას გვაწვდის ნ. დადიანი, რომელიც წერდა: „ა. წერეთელს და კაპანაძეს სოფ. ზედა-რგანსა და მღვიმეს შუა მადნის მუშაობაც დაუწყიათ, რამდენიმე ასი, თუ ათასი ფუთი კიდეც ამოუთხრიათ მიწიდამ და მერე რაღაც მუშაობა შეწყვეტილა“ [185].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ საბადოების დამუშავება აკაკის დაუწყია 1879 წლის დასაწყისში.

70-იანი წლების დასასრულისათვის ჭიათურის საბადოები უკვე ცნობილი იყო მსოფლიოში და ფოლადის წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით, აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნებში აღნიშნული მადნის სიმცირის გამო, მან ფართო ყურადღება მიიპყრო მრეწველთა მხრით. 1879 წლის მეორე ნახევრიდან ჭიათურა აივსო სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მრეწველებით, შუამავალ-აგენტებით, ვექილებითა და ჩარჩებით. გამოფხიზლდნენ ადგილობრივი ვაჭრებიც და მანგანუ-

მის მეპატრონეებიც. ჭიათურაში ჩამოსული საქმოსნები არავითარ ხრიკებს, დაპირებებსა და მოტყუებას არ ერიდებოდნენ, ოღონდ მადნიანი მამულები იაფად ჩაეგდოთ ხელში. ამ კომბინაციებში აქტიურად ჩაებნენ ადგილობრივი ვექილები, ნოტარიუსები, ჩინოვნიკები და თვით მაზრის უფროსიც კი (ი. ეფიმოვსკი).

სწორედ ამ პერიოდში ჭიათურაში ჩამოვიდა ე. წ. „ვახტერის და კომპ."-ის პირველი წარმომადგენელი და მერცენფელდის რწმუნებული — იასაული ი. ფურმანი, რომელიც უწინ ოსტრიაკოვს მცველად მოჰყვა ზემო იმერეთში. ა. წერეთელი 1893 წელს წერდა: „მერცენფელდი ერთი წლის შემდეგ იმ ფურმანმა ჩამოიყვანა, რომელიც ოსტრიაკოვს ახლდა. ის მერცენფელდი „ვახტერის" პრიკაზჩიკი იყო და თავი არც მანგანეზის გამოჩენაზე და არც მის წარმოებაზე არ შეუწუხებია. ვაჭრად მოვიდა მზამზარეულზე, ისე როგორც სხვები".

რადგან ზოგიერთმა ავტორმა ჭიათურის მანგანუმის მრეწველობაში ინიციატორობის დაფნის გვირგვინი სრულიად დაუმსახურებლად ფონ მერცენფელდს მიუძღვნა, საჭიროდ მიგვაჩნია ეს საკითხიც გავარკვიოთ, რათა დოკუმენტურად ერთხელ და სამუდამოდ ნათელი გახდეს ფონ მერცენფელდის გარშემო შექმნილი ლეგენდის უილაჯობა, ხოლო მის ხელოვნურად შემქმნელთა — მზაკვრობა და არაკეთილსინდისიერება.

1879 წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში გაზ. „დროებამ" დაბეჭდა „საჩხერელის" კორესპონდენცია. ავტორი აღშფოთებით აღნიშნავდა, რომ უკანასკნელ ხანებში შავი ქვის ამბავი ძალიან გახმაურდა: „ზოგი იძახის (შავი ქვა) საღებავიაო, ზოგი საღებავს გარდა ოქრო გამოვაო, ზოგი — თუჯი გამოვაო და ზოგი „შავი ქვაო". ზოგი გამდიდრებას ელის ამითი და ზოგი შავ ქვას. ამ მარგანეცის შესასყიდველათ შემდგარ უფულო საზოგადოებას (რომელსაც, ამბობენ, გროში კაპეიკი არ გააჩნიაო) თავის ვექილად (პეტერბურგიდან) გამოუგზავნია აქ ვიღაც ივ. ფურმანი. ამას... აუყვანია საკუთარი პირობებით ერთი იმერელი ახალგაზრდა თავადი, რომ-

ლის საშუალებით იმედი ჰქონია ლორის ფასად გამოეტყუებინა ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის „მარგანეციანი“ ადგილები“.

ს. მესხმა ამ საკითხს „დროების“ ამავე ნომერში სპეციალური მეთაური წერილი მიუძღვნა და მადნის პატრონების საყურადღებოდ წერდა: „ნუ აჩქარდებით, ნუ დაენდობით ყველა უცნობ გამვლელ-გამომვლელს... იმათ დაპირებას, სიტყვას, ნურც იმათ ნოტარიულ პირობას, ამგვარ საქმეში ათასი გაიძვერა ხალხი გამოჩნდება ხოლმე ყოველთვის, რომელთაც მუქთად და სხვისი ხარჯით სურს ხელის მოთბობა, ჯიბის გატენა“.

ერთი თვის შემდეგ დაიბეჭდა ნიკო დადიანის უკვე ხსენებული წერილი — „ქვა-გუნდის გაწამაწია“, ხოლო ორიოდე თვის შემდეგ — ი. აბაშიძის სტატიები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ 1879 წლის „სექტემბრის პირველ რიცხვებში ჩამოვიდა ჩვენში ვიღაც სოტნიკი ფურმანი, როგორც წარმომადგენელი მერცენფელდისა“ [213/30].

ფურმანს 1879 წლის 30 სექტემბერს შეუდგენია ი. აბაშიძესთან ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ამის შემდეგ ახლად ჩამოსულ მერცენფელდს მხოლოდ 20 ოქტომბერს დაუმტკიცებია [213/54].

ამრიგად, ფურმანი ჩამოსულა 1879 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში, ხოლო მერცენფელდი 1879 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში, მაშინ, როდესაც ა. წერეთელსა და ა. კაპანაძეს საბადოს დამუშავება უკვე შეწყვეტილი ჰქონდათ, ე. ი. ჭიათურაში მერცენფელდის პირველად ჩამოსვლამდე არანაკლები ორი თვით ადრე. ეს ამბავი დასტურდება როგორც ნ. ნიკოლაძის უკვე მოხსენებული ბარათით, ისე ჩვენს მიერ არქივში მიგნებული ცნობით — ჭიათურაში 1879 წლის ზაფხულში რუსი ვაჭარ-მრეწველების— ლიპხარტის, კლიუმეს, დურასოვების, სკარიაგინების, იგნატიევებისა და სხვათა ჩამოსვლაზე.

მაგრამ პიონერობის საკითხის გადასაწყვეტად ყველაზე ეჭვმიუტანელი წყაროა თვით მერცენფელდის ხელით დაწერილი საბუთები.

სამთო სამმართველოს არქივის შესწავლით გამოირკვა, რომ 1879 წლის მანძილზე აღნიშნულ სამმართველოში მხოლოდ 1879 წლის 14 ივნისის თარიღით არის შეტანილი ერთადერთი განცხადება, რომელსაც ხელს აწერს „ფონ მერცენფელდი“ და ისიც არა ოტტო ალბერტის ძე ფონ მერცენფელდი, რომელსაც ზოგიერთმა მანგანუმის საქმის პიონერობა მიაკუთვნა, არამედ ვილჰელმ ფონ მერცენფელდი, რომელიც სამმართველოდან ნებართვას ითხოვდა არა ჭიათურის მანგანუმის, არამედ ბაქოს ნავთობის საბადოების დასამუშავებლად.

1879 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ჭიათურაში ჩამოსული ოტტო ალბერტის ძე ფონ მერცენფელდი (შემდგომში მას მხოლოდ მერცენფელდად მოვიხსენიებთ, რადგან მანგანუმის მრეწველობაში მხოლოდ იგი მონაწილეობდა) თავის რწმუნებულ ი. ფურმანის საშუალებით წლის ბოლომდე მხოლოდ იმით იყო დაკავებული, რომ შუამავლები და დალალები გამოეძებნა და ათასგვარი ხრიკებით საბადოები ჩალის ფასად ხელში ჩაეგდო. როგორც ი. აბაშიძე წერდა, 1879 წლის 9 დეკემბერს მერცენფელდს მისთვის ბარათი დაუტოვებია და თვითონ მოულოდნელად თბილისში გაპარულა, ხოლო ჭიათურაში დარჩენილი ფურმანი განაგრძობდა მადნის მეპატრონეთა მოტყუების ცდებს.

ამრიგად, მერცენფელდმა და ფურმანმა ისე დაამთავრეს 1879 წელი, რომ ერთი ფუთი მადნის დამზადებაც ვერ მოასწრეს. ისინი მადანს ვერც დაამზადებდნენ, რადგან საბადოს დასამუშავებლად სამმართველოდან ნებართვაც კი არ ჰქონდათ აღებული.

არქივში დაცული საბუთებიდან ირკვევა, რომ მერცენფელდმა პირველი ხელშეკრულება დ. ქ. აბაშიძესთან მხოლოდ 1880 წლის 19 იანვარს გააფორმა უკანასკნელის მამულის იჯარით აღების შესახებ, განცხადებები კი საბადოს დამუშავების ნებართვის მისაღებად სამთო სამმართველოში უფრო გვიან შეუტანია: პირველი — 1880 წლის 23 აპრილს, სოფ. რგანში დ. ქ. აბაშიძის მამულში საბადოების დასამუშავებლად, მეორე — 1880 წლის 20 ივლისს ჩხარის მიდა-

ძოებში, ხოლო მესამე — 1880 წლის 5 სექტემბერს, სოფ. გოდოგანში საბადოს დამუშავებაზე.

ზუსტად იგივე ცნობებია სამმართველოს იმ სპეციალურ ჟურნალში, რომელშიც 1866 წლიდან მოყოლებული აღრიცხულია ყველა ის განცხადებები, რომლებიც სხვადასხვა დროს სამმართველოში შესულა ამა თუ იმ მადნების აღმოჩენასა და დამუშავებაზე. ამას გარდა, ამავე სამმართველოს საქმეთა შორის დაცულია ინჟ. ლიტევსკის პატაკი, რომელშიც აღნიშნულია მერცენფელდისათვის მიცემული პირველი ნებართვის (№ 428) თარიღი — 6 ივნისი 1880 წ. აქვე დართულია ჭიათურის მიდამოებში სამთო სამუშაოების რუკა, რომელიც ინჟ. ლიტევსკის 1880 წლის სექტემბერში შეუდგენია. რუკაზე აღნიშნულია ის უბნებიც, სადაც ფურმანი და მერცენფელდი 1880 წელს საბადოს დამუშავებას აწარმოებდნენ.

კიდევ შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა როგორც არქივებში დაცული საბუთების მითითება, ისე პერიოდულ პრესაში დაბეჭდილი ცნობების ჩამოთვლა, მაგრამ, ვფიქრობთ, დამოწმებულიდანაც საკმაოდ ნათლად ირკვევა, რომ მერცენფელდს საბადოების დამუშავება 1879 წელს არ უწარმოებია, ხოლო ჭიათურაში პირველად მის ჩამოსვლამდე აკაკის მანგანუმის სამრეწველო ექსპლოატაცია დაუწყია და კიდევაც მიუტოვებია.

რაც შეეხება პიოს, პუჟესა და სხვათა პიონერობას, ის აქ მოსატანიც არ არის, რადგან ჭიათურაში საბადოს დამუშავება მათ მხოლოდ 1881 წლის ივნისიდან დაიწყეს, რის გამოც ინჟ. ლიტევსკის მიერ 1880 წლის სექტემბერში შედგენილ სამთო სამუშაოთა განლაგების რუკაზე ისინი არც არიან მოხსენებული.

ამრიგად, ლეგენდა იმის შესახებ, რომ ჭიათურაში მანგანუმის საბადოების სამრეწველო ექსპლოატაცია პირველად ფონ მერცენფელდმა დაიწყო, წყაროებით უარყოფილია და ის პირველად ისევ მერცენფელდის ლაქიებს გამოუგონიათ. მერცენფელდს პიონერობის ეს დაფნის გვირგვინი სულ პირველად დაადგა შორაპნის მაზრის ყოფილმა უფ-

როსმა ი. ეფიმოვსკიმ, რადგან ის ერთდროულად მერცენ-ფელდის საქმეთა მმართველად მსახურებდა და, როგორც ცნობილია, ამისათვის მისგან რამდენიმე ათას მანეთს ღებულობდა.

ეფიმოვსკის არაკეთილსინდისიერება ამ საკითხში იქიდანაც ჩანს, რომ „განმარტებაში“ ის თვითვე წერდა, რომ „მერცენფელდმა და „ჩუბინიძე — მოსეშვილის კომპანიამ“ საბადოს დამუშავება ერთდროულად დაიწყეს და უკანასკნელმა უკვე მოასწრო 200 ათასი ფუთი მადნის გატანა ბაზარზე, მაშინ როდესაც მერცენფელდი მადნის გაზიდვას მხოლოდ ახლა (ე. ი. 1880 წლის 21 ოქტომბერს შემდეგ — ა. კ.) იწყებსო“.

ეფიმოვსკი საერთოდ ობიექტურობას მოკლებული რომ არ ყოფილიყო, მას მანგანუმის მრეწველობის პიონერად აკაკი წერეთელი თუ არა, რომელმაც 1879 წლის დასაწყისში ნამდვილად პირველმა დაიწყო საბადოების პირველი სამრეწველო ექსპლოატაცია, გ. ღოღობერიძე, ჩუბინიძე — მოსეშვილი მაინც უნდა დაესახელებინა, რადგან თუ მერცენფელდმა ნებართვის მისაღებად პირველი განცხადება მხოლოდ 1880 წლის 23 აპრილს შეიტანა, გ. ღოღობერიძეს ასეთივე განცხადება თითქმის ერთი თვით ადრე — 1880 წლის 29 მარტს შეუტანია; თუ მერცენფელდს 1880 წლის 21 ოქტომბრისათვის ჯერ კიდევ დაწყებულიც არ ჰქონდა მადნის გაზიდვა, ჩუბინიძე — მოსეშვილს, ეფიმოვსკისავე ცნობით, ამავე რიცხვისათვის 200 ათასი ფუთი მადანი ჰქონიათ გაზიდული.

ვფიქრობთ საკითხი ნათელია და შემდგომ განმარტებას აღარ საჭიროებს.

ინჟ. გ. დეკანოზიშვილმა უკრიტიკოდ მიიღო მერცენფელდის პიონერობაზე ხელოვნურად შეთხზული ლეგენდა. მას მარტო ი. აბაშიძის სტატიებიც რომ გაეცნო, ნათლად დარწმუნდებოდა თავის შეცდომაში: 1879 წლის ოქტომბერში ჩამოსულ მერცენფელდს, რომელმაც წლის დასასრულამდე მთელი დრო ნაირგვარ კომბინაციებს მოანდომა, ხოლო საბადოების დამუშავებაზე ნებართვა 1880 წლის აპრი-

ლამდე გაფორმებულიც არ ჰქონდა, 1879 წელს, ორ თვეში, ფიზიკურად არ შეეძლო 54 ათასი ფუთი მადნის დამზადება.

ჭიათურის მრეწველობის პიონერობის სახელს ბევრი წაეპოტინა, მათ შორის ა. კაპანაძეც, რომელიც ა. წერეთლის დავალებათა მხოლოდ აღმსრულებელი იყო. მრეწველთა საბჭოდან ფულის მიღების მიზნით ის თავის თავს მოურიდებლად ჭიათურის მრეწველობის პიონერად ასახელებდა, მაგრამ იმანაც ვერ უარყო ის გარემოება, რომ მრეწველობაში ისიც აკაკი წერეთლის ინიციატივით ჩაება [225].

ამრიგად, დადგენილად უნდა ჩაითვალოს, რომ ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის ფუძემდებელია დიდი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე — აკაკი როსტომის ძე წერეთელი. ის ათეული წლების განმავლობაში იღწვოდა და 1879 წელს პირველად მან დაიწყო აღნიშნული საბადოების პირველი სამრეწველო ექსპლოატაცია, რათა თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნის შემდგომ განვითარებაში.

პირადი ანგარება ამ კეთილმყოფელ მისწრაფებაში გამორიცხულია, რასაც არაერთგზის აღნიშნავდა პოეტი. აკაკი წერდა: „გულისწმინდით ვაღიარებ, რომ მე... საზოგადო საქმე მქონდა სახეში“.... „სახელისათვის არასოდეს არ მიფიქრია, გამოვდიოდი მხოლოდ უბრალო დღიურ მუშად, რომელსაც ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ სამუშაოს გვერდი აუქციოს, გინდა წვრილმანიც იყოს“.

მგოსანს სწამდა, რომ მანგანუმის მრეწველობა გაზრდიდა ქვეყნის შემოსავალს, საქართველო გამდიდრდებოდა, რაც ხელს შეუწყობდა ხალხის განათლებას. ის ვარაუდობდა, რომ ჭიათურის მრეწველობა გააერთიანებდა სხვადასხვა კუთხეში ლუკმა პურისათვის გადახიზნულ ახალგაზრდებს, აღიზრდებოდა ეროვნული ტექნიკური ინტელიგენცია და მუშა კადრები; შეიცვლებოდა ზემო იმერეთის ცხოვრება, აიგებოდა რკინიგზა და ოდესღაც მიყრუებულ დაბა ჭიათურაში ქალაქური ცხოვრება დამკვიდრდებოდა.

მის სანუკვარ ოცნებას შეადგენდა ხალხში გაბნეული ზეპირსიტყვიერების შეკრება და გამოცემა, რომ შთამომავლო-

ბას არ დაკარგოდა ეს განძეული. მგოსანი ამბობდა, რომ ის მზად იყო მთელი სიცოცხლე სიღარიბეში გაეტარებინა, „თუ გინდ ლუკმა პურის მთხოვნელად“, ოღონდ ეს ოცნება განეხორციელებინა. „შავი ქვის (მარგანეცის) საქმე რომ ჩემდა გუნებისათ წასულიყო, მაშინ მე ვაპირებდი ამ დიდებულისა და საჭირო საქმისათვის შემედგინა საყოფი თანხაო“, — წერდა აკაკი და მართლაც, როდესაც მან, როგორც მრეწველობის პიონერმა, მრეწველ დ. ბაქრაძისაგან პირველი შემოსავლის 50 მანეთი მიიღო, აკაკიმ ეს ფული საფუძვლად დაუდო ხალხური შემოქმედების შეკრებისათვის სპეციალური ფონდის შექმნას. მგოსანი ამავე დროს აპირებდა მანგანუმის მრეწველობიდან შემოსული სახსრები გამოეყენებინა დიდი და კარგად გამართული ქართული სტამბის მოწყობისათვის (საგულისხმოა, რომ გიორგი წერეთელსაც ასევე კარგი ქართული წიგნების გამოსაცემად საუკეთესო სტამბის მოწყობა ჰქონდა განზრახული, „ჭალის მთის“ პრობლემა „მისდა გუნებისათ“ რომ მოგვარებულიყო).

ასეთი მაღალი პატრიოტული სურვილებით იყო ა. წერეთელი გამსჭვალული, რათა ხალხისათვის მეტი სარგებლობა მოეტანა, ეხსნა ის დუხჭირი ცხოვრებისაგან და ქვეყანა განვითარების ფართო გზაზე გამოეყვანა.

ამ რწმენითა და გულმართალი სიტყვებით ამთავრებდა ის ჭიათურის მანგანუმის მრეწველობის წარსულის შესახებ თავის უკანასკნელ მოგონებასაც: „მართალია, მეც დავიღუპე, მაგრამ ეს დაღუპვა არაფრად მიმაჩნია, რადგან სხვებმა გაიარეს იმ ჩემ გატკეპნილ გზაზე, და შავი ქვის მრეწველობას მე კიდევ მაინც ისე ვუყურებდი, როგორც საერო საქმეს და მისგან ველოდი ჩვენი ქვეყნის გამობრუნებას [198/420].

* * *

80-იანი წლებიდან მსოფლიო მეტალურგია სწრაფად ვითარდებოდა, ამასთან დაკავშირებით მანგანუმზე მოთხოვნილებაც გაიზარდა და 1885 წლისათვის დაახლოებით ხუთ მილიონ ფუთს მიაღწია. მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებს არ შეეძლოთ საკუთარი რესურსებით უზრუნველეყოთ ამ მა-

დანზე მეტალურგიის მოთხოვნილება, რადგან სწრაფად მზარდმა მრეწველობამ მანგანუმის ადგილობრივი საბადოები თითქმის მთლიანად გამოლია. ამიტომ მსხვილი კაპიტალისტური კომპანიები ცხოველ ინტერესს იჩენდნენ ჭიათურის საბადოებისადმი.

ჭიათურის მადნის მაღალი ხარისხი, ექსპლოატაციისათვის ხელსაყრელი განლაგება საბადოებისა, მათი უზარმაზარი მარაგი, სარკინიგზო და საზღვაო გზებთან შედარებითი სიახლოვე უფრო მეტად აძლიერებდა უცხოელი კაპიტალისტების დაინტერესებას. ისინი 1879 წლის შემოდგომიდან შეეცადნენ ჭიათურის საბადოები ხელში ჩაეგდოთ [226].

80-იანი წლების დასაწყისში საბადოების დამუშავებას შეუდგნენ როგორც საზღვარგარეთელი მსხვილი კომპანიებისა და ფირმების წარმომადგენლები, ისე ადგილობრივი წვრილი ვაჭრები.

მას შემდეგ, რაც აკაკი წერეთელმა შეწყვიტა საბადოების უშუალოდ დამუშავება, მრეწველობაში ჩაებნენ ადგილობრივი მსხვილი კაპიტალისტებიც, მათ შორის ცნობილი ქართველი მსხვილი მემამულე-„რაციონალიზატორი" ივანე მუხრან-ბატონი, რომელსაც შეუამხანაგდა თბილისის საკაჭრო სახლის მონაწილე — რიჰარდი; საბადოების დამუშავება დაიწყო აგრეთვე მსხვილი კაპიტალის მქონე გარნერმა, რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში გამდიდრებულმა რიხტერმა და ჩიკვაიძემ, წვრილმა ვაჭრებმა — გ. ჩუბინიძემ, პ. მოსეშვილმა, სიხარულიძემ, ი. გამყრელიძემ, ავგერინოებმა და სხვ. ჭიათურის მრეწველობაში მონაწილეობდა აგრეთვე ზოგიერთი იმდროინდელი ქართველი მოღვაწე: გ. ღოღობერიძე, პეტრე წულუკიძე, ნიკო ღოღობერიძე და სხვანი.

უცხოელმა მრეწველ-კაპიტალისტებმა საზღვარგარეთიდან ჩამოიყვანეს სამთო მუშები, გამოიწერეს საჭირო ხელსაწყოები და შეუდგნენ რიგი ღონისძიებების ჩატარებას საბადოების მაქსიმალური ექსპლოატაციისათვის. ამავე მიმართულებით მოქმედებდნენ ადგილობრივი მსხვილი და წვრილი

მრეწველებიც, რომელნიც საბადოებს უფრო მეტად ბარბა-როსული მეთოდებით ამუშავებდნენ და მუშათა აუტანელი ექსპლოატაციის ხარჯზე ცდილობდნენ უცხოური სამრეწველო კაპიტალის შევიწროვება-განდევნას.

ამრიგად, ჭიათურის მრეწველობა თავიდანვე კაპიტალისტური ხასიათის საწარმოს წარმოადგენდა, თუმცა იგი თავისუფალი არ იყო „რეფორმამდელი წესწყობილების პირდაპირი გადმონაშთებისაგან“: მუშებისა და ბუნებრივ სიმდიდრეთა პრიმიტიული და პირველყოფილ-მტაცებლური ექსპლოატაციისაგან, რასაც თან სდევდა ჩამორჩენილი ტექნიკა და „ხელით წარმოების ჭარბობა“.

მრეწველები თავიდანვე შეეცადნენ, რათა ხელში ჩაეგდოთ მადნიანი მამულები, მაგრამ წვრილ მრეწველებს სახსრები არ ჰქონდათ ნაკვეთები დიდი რაოდენობით შეეძინათ და ამიტომ მათი მეტი ნაწილი მსხვილ მრეწველებს იაფად ჩაუვარდათ ხელში. ამას ხელს უწყობდა მიწისმფლობელთა უვიცობა და ხელმოკლეობა. ფულს დახარბებული მიწისმფლობელები თავიანთ მამულებს სიამოვნებით უთმობდნენ ყველას, ვინც, ნიკო დადიანის გამოთქმით, — „ხასხასი ქაღალდის ფულს აძლევდა და ზედ „ოქროს სიტყვებს“ კიდევ უმატებდა სამერეოდ“. მაგრამ მიწისმფლობელებმა მალე შეიგნეს დაშვებული შეცდომა, მამულებს მეტი ფასი დაადეს და მეტი საიჯარო გადასახადიც დააწესეს.

მიწისმფლობელთა ასეთ შემობრუნებაში გარკვეული როლი შეასრულეს მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა, რომელნიც უცხოური კაპიტალის გაძლიერებას ეწინააღმდეგებოდნენ.

ს. მესხი ჯერ კიდევ 1879 წელს აფრთხილებდა მადნის მფლობელებს, რათა ისინი არ აჰყოლოდნენ გამვლელ-გამომვლელ შუამავალთა ხრიკებს და საბადოები არ გაენიავებინათ: „თუ ამდენი ხანი ეს „შავი ქვა“ შავქვად ყრილა, — წერდა ის, — ერთ-ორ წელიწადს კიდევ ეყაროს... თქვენი მადანი ისეთის საგნისათვის არის საჭირო (რკინიდამ ფოლადის გაკეთების დროს), რომ ამას შემდეგში თუ არ მოემატა, დაკლებით მაინც არასდროს არ დააკლდება ფასი [227].

80-იანი წლების დასაწყისში, როდესაც უცხოელ მსხვილ მრეწველთა ონავრობამ ფართო ხასიათი მიიღო, აკაკი წერეთელმა გამაფრთხილებელი წერილით მიმართა მიწისმფლობელებს: „ეურჩევთ ქვაგუნდის პატრონებსაც, რომ ფრთხილათ იყვნენ! ნუ დახარბდებიან თვითო-ოროლა გროშს, ნუ დაერწმუნებიან იმ ქვეყნის გამყიდველ დალალებს და წინდაუხედავათ, ერთი-მეორეს წამხედველობითა და ჯიბრით, ნუ ჩაუგდებენ სხვებს ხელში თავიანთ სიმდიდრეს“ [228]

ადგილობრივი წვრილი მრეწველები თავიდანვე კონკურენციას უწევდნენ უცხოელ მსხვილ მეწარმეთ და ორიოდე წლის შემდეგ მათ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ამიტომ მსხვილი მრეწველები ყოველგვარ ოინებსა და მზაკვრობას მიმართავდნენ, რათა წვრილი მრეწველების წინააღმდეგობა გაეტეხათ, დაეთრგუნათ ისინი და შემდეგ მრეწველობიდან .გაედევნათ. ამ მიზნით ისინი სხვადასხვა ცრუ ხმების გავრცელებასაც არ ერიდებოდნენ. მერცენფელდმა ხმები გაავრცელა, თითქოს „იმერეთის ამხანაგობა“ ცუდად მუშაობდა და სამთო წესებს არღვევდა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ აღნიშნული ამხანაგობა უკეთ მუშაობდა, ვიდრე თვით მერცენფელდის სარეწავი. ქუთაისის გუბერნატორის ოფიციალური ცნობით, 1880 წელს თუ მერცენფელდმა 97 მუშით მოიპოვა 170 ათასი ფუთი მადანი, ე. ი. თითო მუშამ 1752 ფუთი, „იმერეთის ამხანაგობამ“ 120 მუშით 350 ათასი ფუთი, ანუ თითოეული მუშის მწარმოებლურობა 2900 ფუთს აღემატებოდა. ამ წელს სულ დამზადდა 520 000 ფუთი მადანი, აქედან „იმერეთის ამხანაგობამ“ საზღვარგარეთ გაგზავნა 280 ათასი ფუთი [229]. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მადანს სხვა მრეწველებიც ამზადებდნენ, მაშინ 1880 წელს უფრო მეტი უნდა ყოფილიყო დამზადებული, ვიდრე 253 ათასი ფუთი, როგორც ეს ზოგიერთ საარქივო საბუთსა და ლიტერატურულ წყაროშია ნაჩვენები [230].

1880—1885 წლებში მოპოვებული მადნის რაოდენობაზე ცნობების უქონლობის გამო პროფ. ნ. ტყეშელაშვილს 1880 წელს ამოღებული მადნის რაოდენობად პირობითად მიღებუ-

ლი აქვს 253 ათასი ფუთი, ე. ი. რკინიგზით გადაზიდული მადნის რაოდენობა. მაგრამ რკინიგზის მონაცემები სწორი არ არის, რადგან „იმერეთის ამხანაგობის“ ცნობით და ქუთაისის გუბერნატორის სტატისტიკით, 1880 წელს მარტო აღნიშნულ „ამხანაგობას“ საზღვარგარეთ 280 ათასი ფუთი მადანი გაუგზავნია, ე. ი. 27 ათასი ფუთით მეტი, ვიდრე რკინიგზის მონაცემებშია აღნიშნული.

შორაპნის მაზრის უფროსის „ზედმიწევნით ზუსტი ცნობებით“, 1881 წელს ექსპორტის მოცულობამ 510 ათას ფუთს მიაღწია, რომლის მეტი ნაწილი ადგილობრივ წვრილ მრეწველთა სარეწავებს შეუსრულებიათ [231].

რადგან ადგილობრივმა წვრილმა მრეწველებმა მიწისშფლობელებთან უფრო მალე მოძებნეს საერთო ენა, დიდი რაოდენობით შეიძინეს მადნიანი ნაკვეთები და მადნის მოპოვებაც გაზარდეს, უცხოელმა მრეწველებმა ახალ ხრიკს მიმართეს: ნაკვეთების გაიაფების მიზნით მათ ხმები გაავრცელეს, თითქოს მანგანუმის მადანი სხვა რაიონებშიც აღმოჩნდა, ისინი დასამუშავებლად უფრო ხელსაყრელია და ამიტომ ჭიათურის საბადოს მნიშვნელობა დაეკარგებაო. „დროების“ ცნობით, უცხოელმა მრეწველებმა ჭიათურიდან მადნის რამდენიმე ბელტი ფარულად ბათუმის რაიონში წაიღეს და მდ. ჭოროხის ნაპირზე ჩაფლეს, ხოლო შემდეგ ხმები გაავრცელეს აქ მადნის ახალი საბადოს აღმოჩენაზე.

მაგრამ უცხოელ მრეწველთა ეს მზაკვრობაც მალე გამომჟღავნდა და, როგორც ქუთაისის გუბერნატორის წლიურ ანგარიშშია აღნიშნული, წვრილი სარეწავების რაოდენობა ჭიათურაში 1880 წელს უფრო სწრაფად გაიზარდა [232].

ჭიათურის მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან დაკავშირებით ბევრი ადგილობრივი, აგრეთვე რუსი და საზღვარგარეთელი მრეწველი ცდილობდა საქართველოში ახალი საბადოების დამუშავებას, მაგალითად, ბაღდადის რაიონში — ნ. ნოვოსელსკი და ინჟ. ვ. ლადანი; ჩხარში, გოდოგანსა და სიმონეთში — მწერალ დ. კლდიაშვილის მამა — დ. ს. კლდიაშვილი; აჯამეთში — შენგინი და კოლუბუკინი; კვახჭირში — კისალოვი; ნაღირევში — პოლკ. ნ. პრინცი; ობჩასა და დიმ-

ში — ი. ილიმოვი; თეთრიწყაროს რაიონში — სოფ. ჩხიკვთასა და ბოგვანში. 80-იან წლებში ვ. კომპაკოსმა და პ. ფირადოვმა დაიწყეს გოდოგანის საბადოს ექსპლოატაცია. ამავე საბადოს დამუშავებას აწარმოებდნენ ჩუბინიძე-მოსეშვილი, ხოლო შემდეგ—მერცენფელდი და შულმანი. გოდოგანის მადანი ჩამოჰქონდათ ზესტაფონში და იქიდან საზღვარგარეთ იგზავნებოდა. მანგანუმის საბადოს დამუშავებას ჭალის მთაში აპირებდა გიორგი წერეთელიც.

მემამულე მიწისმფლობელნი საბადოებს თვით არ ამუშავებდნენ და იჯარით სხვა პირებს აძლევდნენ, რაშიც ყოველ მოპოვებულ საჟენ მადანში 20 მანეთს ღებულობდნენ. რაც შეეხება გლეხებს, სამთო სამმართველო მათ, როგორც წესი, საბადოების დამუშავებას უკრძალავდა, რადგან მემამულენი ასეთ ნაკვეთებს თავიანთ საკუთრებად აცხადებდნენ, თუმცა გლეხებს ისინი უკვე გამოსყიდული ჰქონდათ. ამ ნიადაგზე გლეხებსა და მემამულეებს შორის ადგილი ჰქონდა სისხლისმღვრელ შეტაკებებსაც.

პირველსავე წლებში ჭიათურაში მადნის მოპოვება და ექსპორტი თანდათანობით იზრდებოდა, რაც ნათლად ჩანს შემდეგი ცხრილიდან (მადნის რაოდენობა ათას ფუთობით):

წელი	მადნის ამოღება	ექსპორტი	მუშათა რაოდენობა	მუშის საშუალო წლიური გამომუშ.
1880	520	280	217	2,3
1881	636,8	—	451[1]	1,5
1882	762,5	462,5	295[2]	2,5
1883	974,6	884,6	290	3,3

მადნის ამოღებისა და მუშათა მწარმოებლურობის ზრდა მუშათა რიცხობრივი შემცირებისას აიხსნება ექსპლოატაციის გაძლერებით და არა ტექნიკის გაუმჯობესებით.

[1] საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 1186, ფურ. 44. სხვა საბუთით, 1881 წელს ჭიათურაში 446 კაცი მუშაობდა (იგივე ფონდი, საქ. 1076, ფურ. 55—56).

[2] იქვე, ფურ. 44; ფონ. 12. აღწ. I, საქ. 134, ფურ. 7. სხვა საბუთით 1882 წელს ჭიათურაში 485 კაცი მუშაობდა. ამ წლიდან მერცენფელდმა ჭიათურაში მუშაობა შეწყვიტა (საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 1131, ფურ. 33—35). ამავე საბუთით აღნიშნულ წელს ჭიათურაში მადანი ამოიღეს 1 866 000 ფუთის რაოდენობით.

თუ აღნიშნულ წლებში ჭიათურის მადნის მოპოვებისა და ექსპორტის რაოდენობას ზემომოყვანილ ლიტერატურულ მონაცემებს შევაჯერებთ, ვნახავთ მათ შორის საგრძნობ სხვაობას. ჩვენ მიერ გამოვლენილი ცნობებით, ჭიათურას 1880—1883 წლებში დაუმზადებია მეტი მადანი, ვიდრე ეს ლიტერატურაშია მითითებული, ანუ 1881 წელს — 336,5 ათასი ფუთით, 1882 წელს — 217 ათასი ფუთით, ხოლო 1883 წელს — 154,4 ათასი ფუთით მეტი.

საარქივო წყაროებით ამასთანავე ირკვევა, რომ ჭიათურის მრეწველობაში თავიდანვე ადგილობრივი წვრილი მრეწველების ხვედრითი წონა სჭარბობდა და არა უცხოელი მსხვილი მრეწველებისა, როგორც ეს ლიტერატურაშია მითითებული. ასე, მაგალითად, 1881 წელს ჭიათურაში სულ ჭიიპოვეს 686 806 ფუთი მადანი. აქედან 400 ათას ფუთზე მეტი ადგილობრივმა წვრილ მრეწველებმა დაამზადეს. ექსპორტში გაგზავნილი 444 ათასი ფუთიდან 262 ათას ფუთზე მეტი ადგილობრივმა მრეწველებმა გაგზავნეს. 446 მუშიდან ადგილობრივ მრეწველებთან მუშაობდა 226 კაცი. თუ გავითვალისწინებთ, რომ გ. ღოღობერიძე შედიოდა პიოს კომპანიაში, მაშინ ეს მონაცემები უფრო გაიზრდება ადგილობრივ მრეწველთა სასარგებლოდ.

ადგილობრივი წვრილი მრეწველების წარმატებათა მიზეზი, გიორგი წერეთლის აზრით, მდგომარეობდა იმაში, რომ „იმერეთის ერი მიხვდა, თუ რამდენად სასარგებლო იყო მისთვის ამ მადნეულების წარმოების აყვავება და მაგრად ჩასჭიდა ხელი, რომ იგივე ბედი არ რგებოდა მას, რაც მოუვიდა ნავთის წყაროების კავკასიელ მეპატრონეებს“.

ამის შედეგად ბევრმა მსხვილმა მრეწველმა, მათ შორის მერცენფელდმა, პიომ და ი. მუხრან-ბატონმა წვრილ მრეწველთა კონკურენციას ვერ გაუძლეს, იზარალეს და მანგანუმის მრეწველობას სამუდამოდ თავი მიანებეს ნაწილმა, უმთავრესად უცხოელებმა, თავი მიანება რა საბადოს დამუშავებას, ექსპორტიორ-კომისიონერობას მოკიდა ხელი. ამავე დროს ზოგიერთი ადგილობრივი მრეწველი, მაგალითად, ი. სიხარულიძე, იმდენად დაწინაურდა, რომ მან 1883 წელს მადნის ამო-

ღების, მისი ექსპორტისა და დაქირავებული მუშების რაოდენობით პირველი ადგილი დაიკავა. თუ უცხოურმა ორმა კომპანიამ ერთად ამ წელს 275 ათასი ფუთი მადანი დაამზადა, მარტო სიხარულიძემ — 400 ათას ფუთამდე.

ადგილობრივმა წვრილმა მრეწველებმა უფრო მეტ წარმატებებს მიაღწიეს შემდგომ წლებში, მაგალითად, პ. მოსეშვილის, გ. ჩუბინიძისა და ი. სიხარულიძის ჯგუფმა 1885 წელს გაცილებით მეტი მადანი გაგზავნა ექსპორტში, ვიდრე იტალიურმა კომპანიამ. უცხოელი მრეწველების უმრავლესობამ ვეღარ გაუძლო ადგილობრივ წვრილ მრეწველთა მზარდ კონკურენციას და იძულებული გახდა ტაქტიკა შეეცვალა: მადნის უშუალოდ მოპოვების ნაცვლად ხელი მოკიდა წვრილ მრეწველთაგან მის შესყიდვა-გადაყიდვას. მაგრამ ადგილობრივმა მრეწველებმა აქაც დაუწყეს წინააღმდეგობა და ზოგიერთმა მათგანმა თვით დაიწყო მსოფლიო ბაზარზე მადნის გატანა, რითაც უცხოელი ექსპორტიორები რამდენადმე შეავიწროვეს.

უცხოელ მრეწველთა წინააღმდეგ ბრძოლამ მალე მოსალოდნელი ნაყოფი გამოიღო — 1885 წლიდან მადნის მოპოვება ძირითადად ადგილობრივ მრეწველთ დარჩათ.

მაგრამ ამ გამარჯვებას თან ახლდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანიც, რაც ხელს უშლიდა მრეწველობის ნორმალურ განვითარებას. მადანზე სწრაფად მზარდმა მოთხოვნილებამ დააჩქარა წვრილ მრეწველთა შორის მეტოქეობა, რამაც განაპირობა შინაურ ბაზარზე მადნის ფასების მკვეთრი რხევა, ხოლო ხშირად დაცემაც. ამ მხრით თავი „ისახელა“ ი. სიხარულიძემ, რომელიც ერთსა და იმავე დროს მედგრად ებრძოდა როგორც უცხოურ კომპანიებს, ისე „იმერეთის ამხანაგობას“. სიხარულიძემ შეიამხანაგა ვინმე ხითაროვი, რომელთანაც ერთად შეიძინა დიდძალი მადნიანი მამულები და მკვეთრად გაზარდა მადნის მოპოვება. მოწინააღმდეგეთა დამარცხების მიზნით მადანს ის უცხოელ ექსპორტიორებს აბარებდა საკმაოდ დაბალ ფასში, რითაც მნიშვნელოვნად დასცა მადნის ფასი. ასეთი პრიმიტული მეტოქეობა ხელს უწყობდა საბადოთა პირველყოფილ-მტაცებლურ ექსპლოატაციას. წვრილი მრეწველები, მიისწრაფოდნენ რა მეტი მადნის მოპოვებისა და ბაზარზე გა-

ტანისაკენ, გაურბოდნენ მინიმალურ კაპიტალურ დაბანდებასაც კი, ტექნიკური ღონისძიებების გატარებას, წარმოებაში მუშაობის უშიშრობის ელემენტარული პირობების შექმნას. მრეწველთა შორის თავაწყვეტილი მეტოქეობა და იოლი გზით გამდიდრებისაკენ მისწრაფება იწვევდა მუშათა უმოწყალო ექსპლოატაციას.

მსხვილი მრეწველები სარგებლობდნენ წვრილ მრეწველთა ქიშპობით, მათი მატერიალური უილაჯობით, შეუკავშირებლობით და ცდილობდნენ მეტოქეთა დათრგუნვასა და შესუსტებას.

წვრილი მრეწველების მეტოქეობამ ხელი შეუწყო აგრეთვე მადნის შემცავი მიწის ნაკვეთების გაუფასურებას. თუ წინათ მოიჯარადრე მიწის მფლობელს 20 მანეთს უხდიდა მოპოვებული მადნის ყოველ კუბიკურ საჟენში, ახლა მხოლოდ 5 მანეთს. ამით სარგებლობდნენ ვაჭარ-გადამყიდველები, რომლებმაც ჩალის ფასად ხელში ჩაიგდეს დიდძალი მამულები (მაგალითად, ვინმე აზნაურევმა და ათაბეგოვმა თითქმის მუქთად შეიძინეს დ. ქ. აბაშიძის მამული სოფ. რგანში და დიდი მოგებაც მიიღეს).

ზემოთაღნიშნულის გარდა მრეწველობის ნორმალურ და უფრო სწრაფ განვითარებას 80-იან წლებში მნიშვნელოვნად აბრკოლებდა უგზოობა, რაც მადნის თვითღირებულებას ზრდიდა და აბრკოლებდა ექსპორტს.

ქუთაისი — საჩხერის საფოსტო-საჭაპანო გზის შეკეთება 14 წელზე მეტხანს მიმდინარეობდა, მაგრამ ნაკლები ეფექტით, რადგან ხაზინიდან გამოყოფილ თანხას მაზრის უფროსი ფლანგავდა. დ. ერისთავი სამართლიანად წერდა, რომ საჩხერის გზა გადაიქცა „კოლხიდის ელდორადოდ" და ადგილობრივი უფროსების გამდიდრების დაუშრეტელ წყაროდ.

მანგანუმის მრეწველობის პირველსავე წელს დაისვა საჭაპანო გზის კეთილმოწყობის საკითხი, მაგრამ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მრეწველები, მათ შორის მერცენფელდი, მათი სახსრებით გზის შეკეთების წინააღმდეგი წავიდნენ. მერცენფელდი და მაზრის უფროსი ი. ეფიმოვსკი შეეცადნენ გზა გლეხების ხარჯზე შეეკეთებინათ. მაზრის უფროსი

თავის მდგომარეობას ბოროტად იყენებდა და გლეხობას დიდად აწუხებდა, რის წინააღმდეგ არა ერთხელ გამოვიდა აკაკი წერეთელი. ის ეფიმოვსკის საყურადღებოდ წერდა: „როდესაც მოსეშვილმა, ჩუბინიძემ და კამპ. დაიწყო ქვაგუნდის გატანა ყვირილის გზით და, როგორც თქვენა ბრძანებთ, კიდეც გადაიტანა 200 000 ფუთი, რატომ მაშინ არ დაეჩქარეთ ამ გზის აკეთებას და გულ-გრილათ უყურებდით, როდესაც იმ საწყლებს გზის სიცუდისა გამო ცხენები და ურმები ემტვრეოდათ? თუ კი აქამდი არც ხალხისათვის და არც ამ მოსეშვილის კომპანიისათვის არ დაინახეთ საჭიროთ იმ გზის გაკეთება, ახლა რაღა მოგეზმანათ, რომ სხვა კომპანიის გულისათვის, სადაც თქვენ თვითონ მოურავი ბრძანდებით, აკეთებინებთ ხალხს იმისთანა გზას, რომელიც გარდა მერცენფელდისა და ვახტერის კომპანიისა არავისთვის არ არის საჭირო... თქვენ გგონიათ, რომ ხალხი ამაებს ვერ ხედავს და ვერა გრძნობს ტკივილებს, ხმას არ იღებს? შემცდარი ბრძანებულხართ. კარგათ ხედავს, მაგრამ იმედი აქვს, რომ ეს საქმე ოდესმე გამოაშკარავდება და მათ ტანჯვასაც ბოლო მოეღება“ [233].

საჭაპანო გზის რამდენადმე გაუმჯობესების მიუხედავად იგი მაინც მრეწველობის ვიწრო ადგილად დარჩა.

მრეწველმა ავგერინომ მადნის საზიდად ურმები და ფურგონები გამოიყენა, ი. მუხრან-ბატონმა ცხენიანი ურმები, მაგრამ მათ იმედები ვერ გაამართლეს. ვერც ერევნიდან, ბაქოდან და სხვა მხრიდან ჩამოყვანილი აქლემები და სახედრები გამოდგნენ. ადგილობრივმა ჩალვადრებმა მრეწველები და მეპატრონეები აიძულეს, რათა აქლემები ჭიათურიდან წაეყვანათ, რადგან ისინი ადგილობრივ საქონელს აფრთხობდნენ და გლეხობას ზარალს აყენებდნენ.

მრეწველობის გაფართოებასთან დაკავშირებით წამოიჭრა საკითხი ჭიათურა-ზესტაფონს შორის ცხენიანი რკინიგზის (ფურმანი), ან ვიწროლიანდაგიანი (არტურ ციმერმანი) ან საჰაერო გზის (ი. მირზოევი) მშენებლობის შესახებ.

ჭიათურაში რკინიგზის გაყვანის აზრიც ყველაზე პირველად აკაკი წერეთელმა წამოაყენა ჯერ კიდევ 70-იანი წლების

დასაწყისში, მაგრამ ყველა ეს წინადადებანი დიდხანს უყურადღებოდ დარჩა [201, 234].

ზემო იმერეთში მუშა საქონელი ძალზე მცირე იყო და ის ვერ აკმაყოფილებდა მრეწველობის მოთხოვნილებას. ამას გარდა, თუმცა ადგილობრივი გლეხობა ფულს საჭიროებდა, მაგრამ ის მრეწველობაში საკუთარი მუშასაქონლით მუშაობას გაურბოდა, რადგან შრომის ანაზღაურება მცირე იყო.

მრეწველები, მოწინავე ქართველი მოღვაწენი (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი) და ზოგიერთი რუსი სპეციალისტი (ბ. სტატკოვსკი) დაჟინებით მოითხოვდნენ ჭიათურაში რკინიგზის გაყვანას, მაგრამ მთავარმართებლის ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვის ორჭოფული პოზიციისა და სამთო სამმართველოს უფროსის — პროფ. მელერის წინააღმდეგობის შედეგად ეს საკითხი 90-იან წლებამდე გაჭიანურდა.

მელერის აზრით, ჭიათურის მრეწველობა არ იმსახურებდა სერიოზულ ყურადღებას და მას ზედმეტად მიაჩნდა მისი შემდგომი განვითარება, რადგან მანგანუმზე მოთხოვნილება მეტად განსაზღვრულია და, ამას გარდა, ფოლადის წარმოებაში მალე იგი სხვა ნივთიერებით შეიცვლებაო. ჭიათურაში რკინიგზის გაყვანა ზემო იმერეთისათვის ფუფუნებად მიაჩნდა. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერდა სამთო დეპარტამენტიც, რომელიც სამთო მრეწველობაში პრაქტიკულად ანხორციელებდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას. ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლის მიერ წამოწყებული საქმე რკინიგზის შტოს გაყვანაზე ჩაიშალა.

ჭიათურის რკინიგზის წინააღმდეგ ზოგიერთი ქართველი მოღვაწეც გამოვიდა, კერძოდ, „განი“ (ა. ჯაბადარი), გ. დეკანოზიშვილი, ხალხოსანი ნ. ა. ხუდადოვი და სხვ., რომელნიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქოს რკინიგზა გლეხ-ჩალვადრებს დამატებითი შემოსავლის წყაროს მოუსპობდა და უმუშევრობა გაიზრდებოდა.

რკინიგზის მშენებლობის საკითხის მოხსნამ და მსოფლიო ბაზარზე ჩილის მადნის გამოჩენამ ჭიათურის მრეწველობა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან იგი მთლად კერძო

ტრანსპორტზე იყო დამყარებული და მისგან დამოკიდებული.

1885 წლიდან ფოლადის მსოფლიო წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გაიზარდა მანგანუმზე მოთხოვნა. ჭიათურის მრეწველობაც, რომელიც ძირითადად ექსპორტს ემსახურებოდა, უფრო მეტად გაფართოვდა. თუ 1886 წელს 84 მაღარო იყო, 1887 წელს უკვე 155 მოქმედი მაღარო არსებობდა, რომლებშიც 1182—1186 კაცზე მეტი მუშაობდა[1]. გაიზარდა მადნის ამოღებაც: თუ პირველ ხუთ წელიწადში საშუალო წლიური მწარმოებლურობა 1 299,9 ათასი ფუთი იყო[2], მეორე ხუთ წელიწადში 4 793,3 ათას ფუთს მიაღწია, ე. ი. თითქმის ოთხჯერ გაიზარდა.

რადგან ჭიათურიდან მადნის ტრანსპორტირება ძვირი ჯდებოდა, მრეწველები შეეცადნენ სხვა საბადოების დამუშავებას. 1886 წელს ყარამან მაჭავარიანმა თეთრიწყაროს რაიონში, საღინაშვილის მამულში, ამოიღო 26 600 ფუთი მანგანუმის მადანი და საზღვარგარეთ გაიტანა. 1887 წელს 30 მუშით მანვე ამოიღო 60 ათასი ფუთი და აქედან 58 ათასი ფუთი ფოთსა და ბათუმში გაგზავნა [235].

მანგანუმის საბადოების ექსპლოატაცია მცირე მასშტაბით წარმოებდა აგრეთვე აჯამეთში ე. წ. „ბროლის ქედის“ მიდამოებში, სოფ. ნაღორებთან, საიდანაც 1886 წელს გაიტანეს 19,2 ათასი ფუთი მადანი [236]. საბადოს დამუშავება წარმოებდა სიმონეთის მიდამოებშიც დ. ს. კლდიაშვილისა და სხვების მიერ.

იმისათვის, რათა მთავრობას თავიდან აეცილებინა ჭიათურაში რკინიგზის შტოს გაყვანა, სამთო დეპარტამენტმა საქართველოში მოაწვინა პროფ. კოცოვსკი ჭიათურის მადნის

---

[1] საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 1542, ფურ. 30; საქ. 1314. ამავე საქმეში (№ 1542) დაცული საბუთის მიხედვით მუშათა ამ რაოდენობას უნდა დაემატოს 30 კაცი, რომლებიც კ. აბდუშელიშვილის სარეწავზე მუშაობდნენ (ფურ. 81).

[2] პირველ ხუთ წელიწადში მადნის საშუალო წლიური ამოღება გამოთვლილია ჩვენ მიერ გამოვლენილი საბუთების მიხედვით. ზოგიერთი ცნობის გათვალისწინებით, ეს რიცხვი 1 532,6 ათას ფუთს აღწევს.

შემცველი ახალი საბადოების გამოსაკვლევად. მან შეისწავლა აჯამეთ-ჩხარის, ბაღდადის, სამტრედია-სენაკისა და სხვა რაიონების საბადოები და მათი უმეტესობა დადებითად შეაფასა [237].

ამასთან დაკავშირებით ბევრი ცდილობდა ამ ახალი საბადოების დამუშავებას. მაგალითად, 1886 წელს დ. ბ. ლორთქიფანიძემ სამმართველოდან ნებართვა მიიღო ორაგვეთის (ცხენისწყალთან) საბადოების დასამუშავებლად, მაგრამ მუშაობას ვეღარ შეუდგა. სენაკის საბადოების დამუშავებას აპირებდა აგრეთვე აკაკი წერეთელი, რომლის დავალებით ანდრია კაპანაძეს ნებართვის მისაღებად 1886 წელს თხოვნა შეუტანია სამთო სამმართველოში. როგორც აკაკი წერეთლის წერილიდან ჩანს, ის და ა. კაპანაძე ამ საქმეზე სენაკშიც ყოფილან. მაგრამ საბადოს დამუშავება ვერ მოეწყო, რადგან, პროფ. კოცოესკის დასკვნით, აქ მადანი ძალზე თხელ ფენებადაა განლაგებული.

ახალ რაიონებში მანგანუმის საბადოების ფართოდ დამუშავება ვერ მოხერხდა ან შეწყდა, ხოლო მსოფლიო ბაზარი მეტ მადანს მოითხოვდა. ამიტომ როგორც ჩამოსულმა, ისე ადგილობრივმა მრეწველებმა სიმძიმის ცენტრი ისევ ჭიათურის საბადოებზე გადაიტანეს. ჭიათურაში მადნის მოპოვება სწრაფად და მკვეთრად გაიზარდა. მადანს უკვე არა მარტო ზესტაფონში ეზიდებოდნენ, არამედ რკინიგზის სხვა სადგურებზედაც. ასე, მაგალითად, 1886 წელს ექსპორტში გაიგზავნა ზესტაფონიდან — 3 433,0 ათასი ფუთი, გომიდან — 252,0 ათასი, ძირულიდან — 101,7 ათასი ფუთი, ხოლო სულ 3 813 000 ფუთი ანუ 1885 წელთან შედარებით 1 211 302 ფუთით მეტი [238].

მაგრამ წვრილ მრეწველებს არ გააჩნდათ მესარეწავეობის კომერციული ცოდნა და ამიტომ მოქმედებდნენ მსოფლიო ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის გაუთვალისწინებლად, ანარქიულად და ყოველგვარი გეგმაშეწონილობის გარეშე, რაც ეწინააღმდეგებოდა სამთამადნო წარმოების სპეციფიურობასა და მზარდი მრეწველობის მოთხოვნილებას. მრეწველთა უმრავლესობა მხოლოდ მადნის მოპოვებას აწარმოებდა, რადგან

ის მოწყვეტილი იყო პროდუქციის გასაღების უშუალო ბაზარს.

წვრილ მრეწველებს გავლენა არც ადგილობრივ ბაზარზე ჰქონდა მოპოვებული. აქ გაბატონებული იყო უცხოური სავაჭრო კაპიტალი, რომელიც თავის ფასებს კარნახობდა მრეწველებს და მათ თავის უბრალო დამატებად აქცევდა. ექსპორტიორებისაგან მიღებული ავანსის დაფარვისა და კონტრაქტის შესრულების მიზნით წვრილი მრეწველი იძულებული ხდებოდა მეტი მადანი ამოეღო და სულ იაფად, ხშირად ზარალითაც, ექსპორტიორისათვის ჩაებარებინა. მაგ., თვით მრეწველს ფუთი მადანი უჯდებოდა 31—37 კაპიკი, ხოლო ექსპორტიორებს 32—33 კაპიკად აბარებდა.

ზესტაფონში მადნის აწონვასა და ანგარიშსწორებაში გამეფებული იყო მოტყუება და გამოძალვა. მრეწველთა შორის კონკურენციის ნაცვლად ადგილი ჰქონდა ქურდობას, მოტყუებას, ერთი-მეორეს შორის ქიშპობას.

მთავრობის უმოქმედობის გამო მრეწველობა აშკარა კრიზისს განიცდიდა, რასაც არაერთგზის აღნიშნავდნენ მოწინავე ქართველი მოღვაწენი, კერძოდ, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვანი.

მრეწველობას ასეთ მძიმე მდგომარეობაში გამოესარჩლა ილია ჭავჭავაძე. იგი მრეწველებისაგან მოითხოვდა ურთიერთ შეთანხმებასა და ერთსულოვნებას, რათა „ეს წყარო სიმდიდრისა, — წერდა ის, — რაც შეიძლება მეტს ხალხს გასწვდეს". ილია ჭავჭავაძეს საჭიროდ მიაჩნდა ადგილობრივი წვრილი მრეწველების გაერთიანება, მათი მეწარმოებრივი და ტექნიკური ცოდნის ამაღლება, რათა ისინი უფრო ღრმად ჩასწვდომოდნენ მრეწველობის ეკონომიკას, განევითარებინათ კომერციული უნარი და ფხა. — „შავი ქვის საქმე, — წერდა ის, — დღეს იქამდე მიუყვანიათ, რომ ლამის შავმა ქვამ მართლა „შავი ქვა" და ნაცარცეცხლი-ღა მოუტანოს თვით მწარმოებლებსაც, მადნის პატრონსაც და მუშასაც" [166/218].

ამავე პერიოდში მსოფლიო ბაზარზე გამოჩნდა სხვა ქვეყნების, კერძოდ ჩილის ერთობ იაფი მანგანუმის მადანი, რომელმაც მნიშვნელოვნად შეარყია სხვა ქვეყნების მდგომა-

რეობა მსოფლიო ბაზარზე[1]. მძიმე პირობებში აღმოჩნდა ჭიათურის მრეწველობაც, რასაც თავგამოდებით უარყოფდა სამთო სამმართველო [216]. მიუხედავად ამისა, მუშათა ექსპლოატაციის გაძლიერების შედეგად ჭიათურაში მადნის მოპოვება და ექსპორტი სისტემატურად იზრდებოდა და 90-იანი წლების დასაწყისში ჭიათურის მრეწველობამ პირველი ადგილი მოიპოვა მსოფლიო ბაზარზე.

ასეთი წარმატების მიუხედავად მადნის მოპოვება და ექსპორტი პერიოდულად მაინც ჩამორჩებოდა, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, როდესაც გლეხობა მეურნეობით იყო დაკავებული და არასაკმაო რაოდენობით გამოდიოდა მადნის ტრანსპორტირებაზე. ამას გარდა, გზები ხშირად ზიანდებოდა და გლეხები თვითნებურად ზრდიდნენ მადნის გადაზიდვის საფასურს. 1891 წელს ერთი ფუთი მადნის ჩატანა ზესტაფონში ღირდა 40 კაპიკი, ხოლო 1892 წელს სად. გომამდე 28—30 კაპიკი და მეტიც [217/105-107].

ასეთი რთული სატრანსპორტო მდგომარეობა ჭიათურის მრეწველობას მსოფლიო ბაზარზე პირველობის დაკარგვის რეალურ საშიშროებას უქმნიდა.

90-იან წლებშიც ჭიათურის მრეწველობა დაკავშირებული იყო მსოფლიო მეტალურგიულ მრეწველობასთან. რუსეთი კვლავ მცირე რაოდენობით იხმარდა მანგანუმის მადანს, ხოლო საქართველოს მრეწველობა მას საერთოდ არ იყენებდა.

ფოლადის მსოფლიო წარმოება სწრაფად ფართოვდებოდა და ამიტომ მეტი რაოდენობით საჭიროებდა მანგანუმის მადანს, განსაკუთრებით, ჭიათურის ძვირფას და იაფ მადანს. ამასთან დაკავშირებით 90-იანი წლებიდან ჭიათურაში მადნის მოპოვება სისტემატურად იზრდებოდა. თუ 1890—1895 წლებში მადნის მოპოვება საშუალო წლიურად 8 995,9 ათასი ფუთის რაოდენობით განისაზღვრებოდა, შემდგომ ხუთ წელიწადში უკვე 22 502,6 ათას ფუთს მიაღწია. გაიზარდა ექს-

---

1 ამასთან დაკავშირებით აკაკის უფროს ძმას—დავით წერეთელს დღიურში მოკლედ ჩაუწერია: „ჩილმა შეკამა ქვა გუნდა. ჭიათურამ ვერ შეკამა. გლახთაა ამის საქმე“ (აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი სხვიტორში, დავ. წერეთლის ფონდი, დღიური № 3, გვ. 62).

პორტიც, ოღონდ აბსოლუტურად, ხოლო მსოფლიო ექსპორტთან შედარებით ჭიათურის მადნის ხვედრითი წონა თანდათანობით მცირდებოდა, რისი ძირითადი მიზეზი იყო ჭიათურის მრეწველობის ტექნიკური ჩამორჩენილობა და უგზოობის გამო დიდი სატრანსპორტო ხარჯები.

მართალია, ჭიათურის მრეწველთა შორის უმეტესობა ადგილობრივი მრეწველები იყვნენ (მაგალითად, 1891 წელს 148 მრეწველიდან ადგილობრივი იყო — 138), მაგრამ უცხოელი ექსპორტიორები წვრილ მრეწველებს აშკარად ძარცვავდნენ, ხოლო მთელ საბადოებს განიავებით ემუქრებოდნენ.

ამასთან დაკავშირებით ბევრი ქართველი მოღვაწე, რომელიც მრეწველობის აღნიშნულ დარგთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ცდილობდა საზღვარგარეთ ჩვენი მადნის გასაღების საქმე მოეგვარებინა.

1893 წელს ქართველ მოღვაწეთა თაოსნობით დაარსდა „შავი ქვის სააქციონერო საზოგადოება", რომლის მიზანი იყო მსოფლიო ბაზართან უშუალო კავშირი და ექსპორტიორების განდევნა, მაგრამ „საზოგადოებამ" ვერ შეძლო უკანასკნელთა დამარცხება და თვითვე დაიშალა. ასეთივე ბედი გაიზიარა 1897 წელს დაარსებულმა „კავკასიის მანგანუმის ამხანაგობამ".

საზღვარგარეთ ჭიათურის მანგანუმის გამსაღებელი კომპანიის დაარსებას შეეცადა აგრეთვე აკაკი წერეთელი და ამ საკითხზე მიმოწერა ჰქონდა კონსტანტინოპოლში მცხოვრებ იასე რაჭველთან, ხოლო 1895—1896 წლებში პირადად აპირებდა თურქეთში წასვლას ამავე მიზნით [159/70-71, 203-205, 207], მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო.

90-იანი წლების პირველ ნახევარში ჭიათურის მრეწველობაში თანდათანობით იზრდებოდა მსხვილი კაპიტალისტური სარეწავების ხვედრითი წონა, თუმცა მრეწველთა საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა და 1895 წელს მხოლოდ 78 მრეწველიღა დარჩა, აქედან: 61 — წვრილი მრეწველი (თითოეული წელიწადში ამზადებდა 100 ათასამდე ფუთ მადანს), 15—საშუალო (თითოეული 101 ათასიდან 500 ათას ფუთამდე მადნის დამამზადებელი წელიწადში) და 2 მსხვილი

მრეწველი, რომელნიც წელიწადში 501 ათას ფუთზე მეტ მადანს ამზადებდნენ თითოეული. მსხვილ მრეწველთ მუშები 1,5-ჯერ მეტი ჰყავდათ, ვიდრე წვრილ მრეწველებს და პროდუქციის ერთ მესამედს მათი სარეწავები ამზადებდა.

მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ხანგრძლივი ცდების შედეგად 1891 წლის დამდეგს დაიწყო ჭიათურის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც ძირითადად დამთავრდა 1893 წლის დასასრულს (ოფიციალური გახსნა შესდგა 1895 წელს) და მადნით დატვირთული პირველი ეშალონები შორაპანში გაიგზავნა.

რკინიგზამ დასაწყისში, მართალია, ხელი შეუწყო ჭიათურის მრეწველობის სწრაფ ზრდას, მაგრამ იგივე გზა მალე ამ დარგის ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცა. არსებითად მან დააკარგვინა ჭიათურის მრეწველობას პირველი ადგილი მსოფლიო ბაზარზე, რადგან მთავრობის მიერ დაწესებული ტარიფი ჭიათურის შტოსათვის — 10 კაპ. ფუთზე — ოცჯერ მეტად აღემატებოდა იმპერიის სხვა რკინიგზებისათვის დაწესებულ ტარიფს. მართალი იყო პ. უმიკაშვილი, როდესაც ს. მგალობლიშვილს სწერდა: „ძმაო სოფრომ! ამჟამად ქვის წარმოება ისე გაჩაღებული არ არის... რკინიგზამ ჭიათურისამ შესცვალა ქვის წარმოების ხასიათი“ [218]. ამის გამო ჭიათურის მრეწველებმა გადაწყვიტეს მადანი ისევ ურმებით ეზიდათ, ვიდრე ტარიფი არ შემცირდებოდა, მაგრამ მეფის მთავრობამ რამდენიმე წლით დააყოვნა მისი გადასინჯვა.

1899 წლის დასაწყისიდან ტარიფი 3 კაპიკით შემცირდა, რამაც მყისვე დადებითი გავლენა მოახდინა მრეწველობაზე. მაგრამ ახალი ტარიფიც ისევ მაღალი იყო. ასე, მაგალითად, ჭიათურიდან რკინიგზით ერთი ფუთი მადნის ჩატანა ფოთში, რომელიც 161 ვერსით იყო საბადოებისაგან დაშორებული, ჯდებოდა 18,18 კაპ., ხოლო ინდოეთის საბადოებიდან ბომბეიმდე 745 ვერსის მანძილზე — 13,14 კაპ.

მიუხედავად ამისა, ჭიათურის რკინიგზამ საერთოდ დადებითი როლი შეასრულა ჭიათურის მრეწველობის განვითარებაში, განსაკუთრებით ტარიფის შემცირების შემდეგ. რკინი-

გზამ მრეწველობა მნიშვნელოვანწილად გაანთავისუფლა მეურმეთაგან დამოკიდებულებისა და სეზონურობისაგან.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ ჭიათურის მრეწველობას აშკარად დაეტყო გამსხვილების ტენდენცია, როგორც ახალი მსხვილი სარეწავების აღმოცენების, ისე წვრილ სარეწავთა გაერთიანების სახით. მართალია, წვრილი მრეწველების რაოდენობა 900-იანი წლებისათვის გაიზარდა, მაგრამ მათ მიერ გამომუშავებული პროდუქციის ხვედრითი წონა მრეწველობაში უკვე მხოლოდ 17,3% შეადგენდა, საშუალო მრეწველთა — 53,5 და მსხვილი მრეწველობის სარეწავებისა — 29,2 პროცენტს. შესაბამისად შეიცვალა ამ ჯგუფებში გაერთიანებულ მუშათა რაოდენობაც: პირველში იყო 640, მეორეში — 981 და მესამეში კი — 1081 მუშა.

გაიზარდა ჭიათურის მრეწველობაში მუშათა საერთო რაოდენობაც:

1880	წელს იყო 217 მუშა, თითოეულის წლიური გამომუშავება (ფუთობით)	— 2304
1881	451	— 1529
1882	295[1]	— 2584
1883	290	— 3360
1888	726	— 2510
1895	2687[2]	— 2682
1900	3702	— 10903

ამრიგად, ჭიათურის მრეწველობაში მუშათა რაოდენობა მრეწველობის პირველ წელთან (1880 წ.) შედარებით გაიზარდა 17-ჯერ მეტად. რაც შეეხება თითოეული მუშის საშუალო წლიურ მწარმოებლურობას (მადნის მოპოვებას), იგი მხოლოდ 1896 წლიდან იზრდება. მუშათა მწარმოებლურობის ასეთი მკვეთრი ზრდა საწარმოო ტექნიკის უცვლელობის პირობებში თავისთავად მეტყველებს მუშათა (ხშირად აგრეთვე

---

[1] არქივის სხვა საბუთით, ამ წელს ჭითურაში 485 კაცი მუშაობდა.

[2] 1895 და 1900 წლებში მუშათა რაოდენობაზე ცნობები ამოღებულია პროფ. პ. გუგუშვილისა და პროფ. ნ. ტყეშელაშვილის დას. შრომებიდან, გვ. (შესაბამისად) 270, 22. დანარჩენი წლების ცნობები შეკრეფილია ჩვენს მიერ საარქივო საბუთებიდან.

მათთან ერთად მომუშავე მათი ოჯახის წევრთა) უმოწყალო ექსპლოატაციის გაძლიერებაზე.

ჯერ კიდევ 80-იანი წლების პირველ ნახევარში წვრილ მრეწველთა შორის წარმოიშვა მრეწველთა გაერთიანების იდეა, მაგრამ ის მთავრობის მიერ უყურადღებოდ დარჩა. 1892 წელს სამთო ოლქის ინჟინერმა ცეიტლინმა სამთო სამართველოს წინაშე დააყენა საკითხი ჭიათურის მრეწველთა ყრილობის დაარსებაზე, მაგრამ ამაოდ.

მოწინავე ქართველ მოღვაწეთა თაოსნობით მხოლოდ 1896 წელს შესდგა მრეწველთა პირველი ყრილობა, რომელმაც ამოირჩია აღმასრულებელი ორგანო — საბჭო. საბჭოს მუშაობაში მონაწილეობდნენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები, ხოლო თვით საბჭოს აპარატში ზოგიერთი რევოლუციონერიც. როგორც ყრილობამ, ისე საბჭომ ობიექტურად დადებითი როლი შეასრულეს მრეწველობის განვითარებაში, აგრეთვე მთელ რიგ კულტურულ ღონისძიებათა გატარებაში. მაგრამ საბჭოს მუშაობაში ადგილი ჰქონდა რიგ პრინციპული ხასიათის შეცდომებსაც, რომლებიც სამართლიან კრიტიკას იწვევდნენ პროგრესულად განწყობილი მოღვაწეების მხრით. უთანხმოების მთავარი მიზეზი იყო მსხვილი მრეწველებისადმი საბჭოს ხელმძღვანელთა შემრიგებელი პოლიტიკა, რომლის შედეგად ჭიათურის მრეწველობა ძძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მრეწველობის ასეთ მდგომარეობას უფრო მეტად აღრმავებდა 900-იანი წლების სამრეწველო კრიზისები.

საბჭოს აღნიშნულმა პოლიტიკამ განაპირობა მსხვილ კაპიტალისტთა თავაწყვეტილი თვითნებობა, მშრომელთა ექსპლოატაციის გაძლიერება, მოტყუება, გამოძალვა და უუფლებობა (დაწვრილებით ქვევით).

ყოველივე ამის შედეგად 90-იანი წლების მიწურულს მრეწველთა შორის გამოიყო ე. წ. „ოპოზიციური“ ჯგუფი, რომელმაც პრინციპული პოზიციებიდან დაიწყო ბრძოლა საბჭოს პოლიტიკის წინააღმდეგ. ამ ჯგუფს მხარს უჭერდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, აგრეთვე აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და სხვ. „ოპოზიციის“

ბრძოლას უქმად არ ჩაუვლია. მიუხედავად ამისა, მსხვილმრეწველებმა საბჭოს მხარდაჭერით მაინც დიდხანს შეინარჩუნეს გაბატონებული მდგომარეობა.

მაგრამ წარმოების კაპიტალისტური წესების გაფართოებამ უფრო გაამწვავა ანტაგონისტურ კლასთა შორის ურთიერთობა. მუშათა კლასში სწრაფად ვითარდებოდა საკუთარ ინტერესთა დაცვისათვის ბრძოლის აუცილებლობის შეგნება.

90-იან წლებში, ჭიათურის გარდა, მანგანუმის სარეწავები საქართველოს სხვა რაიონებშიც არსებობდა, კერძოდ 1890—1891 წლებში აჯამეთის მიდამოებში, სოფ. ნახშირის-ღელეში, რომელიც მემამულე ბიხსან ანანოვს ეკუთვნოდა. მას ამ წლებში დაუმზადებია მადანი 63 ათასი ფუთის რაოდენობით და ნაწილი გაუყიდია ფუთი 30 კაპიკად.

1891 წელს მანგანუმის საბადოებს ამუშავებდნენ ართვინის ოლქის სოფ. ალაგიულში, თხილაზორსა და ჭარბიეთში. უკანასკნელში საბადო უხვად შეიცავდა რკინას და ამიტომ განზრახული იყო მისი გამოყენება ფერომანგანუმის წარმოებისათვის. სოფ. ჭარბიეთში 12 მუშით 28 დღეში მოიპოვეს 5000 ფუთი მადანი, სოფ. ალაგიულში 18 მუშით 2 თვეში დაამზადეს 500 ფუთის რაოდენობით, ტივებზე დატვირთეს და მდ. ჭოროხით ბათუმში ჩაიტანეს. სოფ. თხილაზორში მუშაობდა 4 მუშა, რომლებმაც 50 დღეში მოიპოვეს მადანი 1000 ფუთის რაოდენობით.

1896 წელს მანგანუმის საბადოს დამუშავება წარმოებდა ცხენისწყალთან სოფ. ორაგვეთში დ. ბ. ლორთქიფანიძის მამულში; სოფ. ნაღორევში — პორფირე პატარაძის მამულში, მაგრამ რა რაოდენობით დაამზადეს მადანი, რამდენი მუშა იყო გამოყენებული, უცნობია.

საბადოების დამუშავებას საკუთარ მამულებში (ზედა რგანში) აპირებდნენ აკაკი წერეთლის მეუღლე და ვაჟიშვილიც, მაგრამ ვერ მოახერხეს. მანგანუმის საბადოების დამუშავებას ცდილობდნენ ქართლშიც.

ამრიგად, ჭიათურის მრეწველობამ გამოიწვია სხვა რაიო-

ნების მანგანუმის საბადოთა დამუშავება, მაგრამ მათ დიდ-ხანს ვერ გაუძლეს ჭიათურის მზარდ კონკურენციას.

80-იანი წლებიდან ჭიათურის მრეწველობაში თავი იჩინეს აგრეთვე ე. წ. სამონასტრო სარეწავებმა. საერთოდ ამ სახის სარეწავები სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის ის-ტორიისათვის უცხო რამ არ არის. ისინი ჯერ კიდევ ადრე ფეოდალურ ხანაში არსებობდნენ, ჭიათურაში კი — თითქმის ამ დარგის აღმოცენებისთანავე.

ჭიათურასთან მდებარე მღვიმის დედათა მონასტრის მი-წები ერთ დროს წერეთლებს ეკუთვნოდათ, მაგრამ შემდეგ ისინი, წერეთლებისავე თანხმობით, სოლომონ მეფემ მონას-ტერს გადასცა საკუთრებად. მანგანუმის მრეწველობის და-საწყისშივე წერეთლებმა მოინდომეს ამ მიწების უკან დაბრუ-ნება, რადგან ყველაზე კარგი ხარისხის მადანი ამ მამულებში აღმოჩნდა, მაგრამ ამაოდ.

მონასტრის 30 მოლოზანს 28 ქცევამდე მადნიანი ნაკვეთი ჰქონდათ, მაგრამ მისი დამუშავება თვით ვერ მოეხერხებინათ და ამიტომ დაიწყეს მოიჯარადრეთა საშუალებით მადნის მო-პოვება. მონასტრის თავზე, სოფ. კვიცხნარში, საბადოს დამუ-შავება პირველად აკაკი წერეთელმა დაიწყო სალომე წერე-თელი-ანდრონიკაშვილის ქვრივის მამულში. 1880—1881 წლებში ამავე უბანზე მუშაობა განაგრძო ი. მუხრან-ბატონმა, მაგრამ საიჯარო გადასახადს აძლევდა არა სალომე წერეთელს, არამედ მონასტერს.

შემდგომ წლებიდან სამონასტრო ნაკვეთებს ხელშეკრუ-ლებით ამუშავებდნენ სხვა მრეწველ-მოიჯარადრენი და გადა-სახადსაც მონასტერს უხდიდნენ. რა თანხას შეადგენდა მო-ნასტრის შემოსავალი, ზუსტად არ ვიცით. 1906 წელს მხო-ლოდ ხუთი თვის განმავლობაში მონასტერს 2000 მანეთი მიუ-ღია[1].

ამრიგად, ჭიათურის მრეწველობამ დასაწყისიდანვე არსე-ბითი ცვლილება შეიტანა ზემო იმერეთის საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

---

[1] საბუთები სამონასტრო მამულში მადნის მოპოვებაზე ჩვენთან ინა-ხება.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია გლეხობის დამატებითი შემოსავლის ზრდა. როგორც აღინიშნა, ფუთი მადნის გადატანა ჭიათურიდან ზესტაფონში, ძირულასა და გომში ღირდა 25 კაპიკი, ცალკეულ კრიტიკულ პერიოდებში კი 30—40 კაპიკიც. თითო ცხენს შეეძლო 8-10 ფუთი მადანი წაეღო, ხოლო აჩაჩა ურემს — 20 ფუთამდე. მარტო 1885 წელს გაიზიდა 2,5 მილ. ფუთი მადანი და, იმდროინდელი სტატისტიკური მონაცემებით, ზემო იმერეთის მოსახლეობამ, რომელიც 14 138 კომლისაგან შედგებოდა, მადნის გადაზიდვისაგან მიიღო 800 ათასი მანეთი ანუ კომლზე 57 მანეთი წელიწადში. 1879 წლიდან 1885 წლამდე ჭიათურიდან გაიზიდა სულ 5880 ათასი ფუთი მადანი, რაშიც მოსახლეობამ 1881 ათასი მანეთი მიიღო, ანუ წელიწადში 268 872 მან. [242].

მრეწველობის განვითარების შესაბამისად გლეხობის ეს შემოსავალი, ბუნებრივია, უფრო გაიზრდებოდა.

ამას გარდა, მრეწველობაში მადნის ამოღებასა და გარჩევაზე მუშაობდნენ ძირითადად ადგილობრივი გლეხობიდან გამოსული მუდმივი მუშებიც, რომელნიც დღეში საშუალოდ 80—120 კაპიკს ღებულობდნენ.

ზემო იმერეთში სამთო მრეწველობის განვითარების დადებითი გავლენის ერთ-ერთი მაჩვენებელია აგრეთვე ის, რომ სოფ. საჩხერეში, რომლის მოსახლეობა 1034 სულისაგან შედგებოდა, წლიური შემოსავალი საქონელბრუნვით 100 ათასი მანეთიდან 1885 წლისათვის 400—500 ათას მანეთამდე გაიზარდა.

მრეწველობამ ხელი შეუწყო ზემო იმერეთში — სოფ. მანდეეთსა და კორბოულში ახალი დარგობრივი სარეწავების წარმოშობას, რომელნიც ჭიათურისათვის ურმებს, ურიკებს, სამთო იარაღს, კალათებსა და სხვა საგნებს ამზადებდნენ. შეიქმნა საზვინკლო სახელოსნოებიც.

1888 წელს მარტო ჩიხას საზოგადოებაში მუშაობდა 17 ხარაზი, რომლებიც წელიწადში 15 000 წყვილ წუღას კერავდნენ და მათი გამომუშავება 9—10 ათას მანეთს შეადგენდა [243].

უშუალოდ მაღაროების მახლობლად მდებარე სოფლები ნახევრად „სამრეწველო“ სოფლებად გადაიქცნენ, რომელთა მოსახლეობა თანდათან იზრდებოდა. მაგალითად, მარტო რგანის საზოგადოება 1901 წლისათვის 387 კომლამდე გაიზარდა [244/26-27].

მრეწველობის განვითარებამ ხელი შეუწყო აგრეთვე სოფლის მეურნეობის გაფართოებას, გლეხობის ნაწილის სამრეწველო ცხოვრებაში ჩაბმას.

მიუხედავად ამისა, სწორი არ იყო მემამულე გიორგი წერეთელი, როდესაც წერდა, თითქოს მანგანუმის მრეწველობის განვითარებით ზემო იმერეთი „გადაიქცა სიუხვისა და დოვლათის მხარედ“ [175].

სწორედ მრეწველობის პირველ წლებში, როგორც თვით მემამულე გ. წერეთელი წერდა, იშვიათი როდი იყო, როდესაც სოფ. რგანში მცხოვრებ ქალებსა და ბიჭებს საკუთარი ზურგით მიჰქონდათ ზესტაფონში მანგანუმის მადნის ლოდები, რომელსაც იქ ჰყიდდნენ და აღებული ფულით ოჯახისათვის სიმინდს ყიდულობდნენ.

როგორც ქვევით აღინიშნება, შეიცვალა დაბა ჭიათურაც.

3. ფერომანგანუმის წარმოების საკითხი

საქართველოში ფერომანგანუმის წარმოების საკითხი ჭიათურის მრეწველობის დასაწყისშივე აღმოცენდა.

მოწინავე ქართველ მოღვაწეებს ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი მანგანუმის მნიშვნელობა ფოლადის წარმოებაში. ჯერ კიდევ 1879 წლის დამლევს, როდესაც კაპიტალისტ-მეწარმენი ფართოდ დაინტერესდნენ ჭიათურის საბადოებით, სერგეი მესხი წერდა, რომ მანგანუმის მადანი გამოიყენებოდა „რკინიდამ ფოლადის გაკეთების დროს“ [204]. ერთი თვის შემდეგ ნ. დადიანი საზოგადოებას ამასვე მოუწოდებდა და წერდა, რომ მანგანუმის მადანი მოიხმარება „რკინის გაფოლადებისათვის“. ფერომანგანუმის წარმოების საკითხი, როგორც ქვეყნისათვის უფრო სარფიანი ღონისძიება, პირველად აკაკი წერე-

თელმა წამოაყენა. ჭიათურის მრეწველობაზე თავის პირველ მოგონებაში, რომელიც 1880 წლის 8 იანვარს გამოაქვეყნა „დროებაში“ (№ 5), აკაკი წერდა: „ქვა გუნდა, როგორც მადანი, თავის თავად არაფრად ღირს. ის სასარგებლოა მხოლოდ როგორც მომხმარე მადნეული, ანუ მასალა სხვადასხვა მადნეულობისა... რუსეთში ევროპიდან მოაქვთ ეს მადანი, მაგრამ ძალიან ცოტა: წელიწადში ასი ათასი ფუთი. ფასი ფუთის ოთხი აბაზია და გადაკეთებულის, ე. ი. გ ა დ ა რ კ ი ნ ე ბ უ ლ ი ს — ორი მანეთიდან სამამდინ“.

მართალია, ფერომანგანუმი აქ გაკვრით არის მოხსენებული, მაგრამ არა შემთხვევით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ აკაკის ეს მოგონება მიზნად ისახავდა არა იმდენად წარსულის ფაქტებისა და მოვლენების აღნუსხვას, რამდენადაც ახლად აღმოცენებული მრეწველობის ხალხის საკეთილდღეოდ წარმართვისათვის პრაქტიკულ ღონისძიებათა დასახვას. ამიტომ მოგონებაში „გადარკინებული“ მანგანუმის ღირებულებაზე ლაპარაკი წარმოადგენდა ერთგვარ მოწოდებას, რათა მსოფლიო ბაზარზე გასულიყო არა უბრალოდ მადანი, არამედ უფრო ძვირადღირებული — ფერომანგანუმი.

მაგრამ ეს მოწოდება უყურადღებოდ დარჩა.

რუსეთში ფერომანგანუმის წარმოება იმ დროს ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა და საკუთარი მეტალურგიის მოთხოვნილებას მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ მეფის რუსეთს ეს ნედლეული საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა და დიდძალ ვალუტას ხარჯავდა. ამავე დროს, ჭიათურის უძვირფასესი საბადოები თავიდანვე მთლიანად ექსპორტს ემსახურებოდა. უცხოური კომპანიები ჩალის ფასად ნაყიდ ჭიათურის მადანს ფერომანგანუმად ამუშავებდნენ და მას მეტად მაღალ ფასებში ისევ რუსეთზე ჰყიდდნენ.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ფოლადის მსოფლიო წარმოება სწრაფად განვითარდა. საგრძნობლად გაიზარდა ფერომანგანუმზე მოთხოვნილებაც, რაც 3 მილიონი ფუთის რაოდენობით განისაზღვრებოდა. ამის გამო ჭიათურის მადნის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1879 წლიდან 1928

წლამდე მარტო ჭიათურიდან ექსპორტში გავიდა 14 მილიონი ტონა მადანი, რითაც ქვეყანამ ათეული მილიონი მანეთი დაკარგა ოქროთი.

ასეთი მდგომარეობა დიდ ზიანს აყენებდა ქვეყნის ეკონომიკას, ხელს უწყობდა საბადოების განიავებასა და რუსეთში ფოლადის წარმოების ჩამორჩენას. მეფის მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებდა ამ ზიანის აღმოსაფხვრელად. კავკასიის სამთო სამმართველო კი, რომელიც პრაქტიკულად ანხორციელებდა სამთო დარგში ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიურ პოლიტიკას, სრულიად არ ზრუნავდა ჭიათურის საბადოთა უფრო რაციონალურად გამოყენებისა და, ამ მიზნით, ადგილზე ფერომანგანუმის წარმოების მოწყობისათვის. პირიქით, ის საერთოდ წინააღმდეგი იყო ჭიათურის მრეწველობის ფართო განვითარებისა იმ მოტივით, თითქოს ქიმიკოსები უახლოეს დროში აღმოაჩენდნენ ისეთ ახალ ნივთიერებას, რომელიც შეცვლიდა მანგანუმს ფოლადის წარმოებაში. ამიტომ 80-იანი წლებიდან ყოველი თაოსნობა, რომელიც მიმართული იყო საქართველოში ფერომანგანუმის წარმოების მოწყობისაკენ, ხელოვნურად იშლებოდა.

მოწინავე საზოგადოებრიობა ვერ ურიგდებოდა ასეთ უთავბოლობას და ათეული წლების განმავლობაში იღწვოდა, რათა ჭიათურის საბადოებს ხალხისათვის მეტი სარგებლობა მოეტანა. მაგრამ, როგორც, ვნახეთ, ამ მისწრაფების განხორციელება ცარიზმის პირობებში მიუღწეველ ოცნებას წარმოადგენდა.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ რამდენიმე ფაქტს.

1884 წელს დაარსდა ინჟ. ს. იანოვსკის, ბარონ ე. გეიკინგის, ა. ანანოვისა და გ. ჩიკვაიძის „ამხანაგობა". მას განზრახული ჰქონდა ქუთაისში აეგო დიდი მეტალურგიული ქარხანა რკინა-ფოლადისა და თუჯის წარმოებისათვის, ხოლო ამისათვის სპეციალური ქარხნის აგება ფერომანგანუმის წარმოებისათვის. „ამხანაგობა" ვარაუდობდა უკანასკნელისათვის თეკლათის (სამეგრელო) მანგანუმის საბადოების გამოყენებას. მან წინასწარი სამუშაოებიც ჩაატარა, მაგრამ როგორც პირველი, ისე მეორე წარმოების მოწყობის საკითხი ჩაიშალა.

ეს უნდა აიხსნას იმით, რომ სამთო დეპარტამენტი საქართველოში ფერომანგანუმის წარმოების მოწყობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, თუმცა კარგად გრძნობდა რუსეთში ამ დარგის განვითარების აუცილებლობას. დეპარტამენტსაც საჭიროდ მიაჩნდა რუსეთის განთავისუფლება ფერომანგანუმის იმპორტისაგან და ამ მიზნით სპეციალური ქარხნის აგება. ოღონდ არა საქართველოში, არამედ ნიკოპოლში.

90-იან წლებიდან საქართველოს მრეწველობისა და რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებასთან დაკავშირებით მოთხოვნილება ხარისხობრივ რკინა-ფოლადსა და თუჯზე საგრძნობლად გაიზარდა. ადგილობრივი რესურსებით ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ინჟ. ი. ბოგაჩმა განიზრახა საქართველოში მძლავრი მეტალურგიული ბაზის შექმნა და ჭიათურის საბადოების ბაზაზე ფერომანგანუმის წარმოების დაწყება.

ინჟ. ბოგაჩს დასაწყისში განზრახული ჰქონდა ქარხნის აგება ქუთაისის მახლობლად იმ ანგარიშით, რომ საწვავად გამოეყენებინა ტყიბულის ქვანახშირი. იგი სამთო სამმართველოს აცნობებდა: ფერომანგანუმის ქარხნის აგებას ის მნიშვნელობაც ექნება, რომ ქარხანა გამოიყენებდა მანგანუმის ფხვიერ მადანსაც, რომლის ტრანსპორტირება ძნელია და გროვებზე იყრებაო.

შემდგომში ინჟ. ბოგაჩმა გადაწყვიტა ფერომანგანუმის ქარხანა ქუთაისის ნაცვლად ფოთში აგებულიყო, რადგან ვარაუდობდა წარმოებაში დონეცის კოქსის გამოყენებას და ამით პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. სავარაუდოა, რომ ფოთში ქარხნის აგების იდეა ბოგაჩს შთააგონა ნიკო ნიკოლაძემ, რომელიც ენერგიულად ზრუნავდა ჩვენში შავი მეტალურგიის განვითარებისა და, კერძოდ, ფოთის მიდამოებში, ე. ი. ნავსადგურის მახლობლად ფერომანგანუმის ქარხნის აგებისათვის.

სამწუხაროდ, ეს დიდი და სასარგებლო წამოწყებაც ვერ განხორციელდა.

მიუხედავად ამისა, მოწინავე საზოგადოებრიობა არ დამცხრალა და 90-იან წლებში სისტემატურად მოითხოვდა დას-

მული პრობლემის გადაწყვეტას. 1893 წელს გაზ. „ივერიაში“ (№ 258) დაიბეჭდა ინჟ. გიორგი დეკანოზიშვილის სტატიები, რომლებშიც ავტორი ხაზს უსვამდა საბადოების განიავების სამწუხარო ფაქტს. ავტორი აყენებდა საკითხს, რათა მსოფლიო ბაზარზე გატანილიყო არა ნედლი მადანი, არამედ ფერომანგანუმი, რითაც ხალხის შემოსავალი უფრო გაიზრდებაო.

უკვე აღნიშნულ მიზეზთა გამო მოწინავე საზოგადოებრიობის ეს კეთილმყოფელი მისწრაფება XIX საუკუნეში განუხორციელებელი დარჩა.

მიმდინარე საუკუნის დამდეგიდან კვლავ წამოიჭრა საკითხი საქართველოში ფერომანგანუმის წარმოების აუცილებლობაზე.

1902 წ. სამხრეთ რუსეთის მრეწველთა ზეგავლენის შედეგად სამთო დეპარტამენტი იძულებული გახდა კვლავ დაბრუნებოდა რუსეთში ფერომანგანუმის წარმოების საკითხს, რადგან ჭარბი წარმოებით გამოწვეული მსოფლიო ეკონომიური კრიზისის განვლის შემდეგ მეტალურგია სწრაფად ვითარდებოდა რუსეთშიც და საშინაო და საგარეო ბაზარი დიდი რაოდენობით მოითხოვდა აღნიშნულ შენადნობს.

ამ პერიოდში საზღვარგარეთ ერთობ სწრაფად ინერგებოდა ელექტრომეტალურგია ფეროშენადნობების წარმოებაში, ხოლო მეფის რუსეთში კვლავ მოძველებული ბრძმედებით ხდებოდა მათი დამზადება.

ინჟ. ურბანოვიჩი სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველთა 27-ე ყრილობაზე წარდგენილ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავდა ამ დარგში რუსეთის ჩამორჩენას და მიუთითებდა, რომ რუსეთი საზღვარგარეთიდან იძენს ფერომანგანუმს, რომელიც მზადდება ჭიათურის მადნებიდან; ამ მადანს უცხოური ფირმები ბათუმში 14 კაპიკად იძენენ, ხოლო ფერომანგანუმს კი მათგან სამ მანეთად ვიძენთ, რის გამოც რუსეთი ყოველწლიურად 50 მილიონამდე მანეთს ჰკარგავსო. ამავე ყრილობაზე გამოვიდა პროფ. ლიპინი, რომელმაც საჭიროდ მიიჩნია ფერომანგანუმის ქარხნის აგება მხოლოდ საქართველოში, რომელსაც საამისოდ უხვი პირობები აქვსო.

მიუხედავად იმისა, რომ ყრილობა ძირითადად მხარს უჭერდა ამ წინადადებას, საქართველოში ქარხნის აგების საკითხი მაინც არ გადაწყდა.

ვიდრე ეს საკითხი ბიუროკრატიულ ინსტანციებში იხილებოდა, რუსეთშიც დაიწყო ფეროშენადნობის წარმოებაში ელექტრომეტალურგიის გამოყენება, რამაც შესანიშნავი შედეგები გამოიღო. ამ დარგის შემდგომი გაფართოებისა და ამაში საზღვარგარეთული გამოცდილების გამოყენების მიზნით, 1899 წელს ურალის სამთო სამმართველომ საზღვარგარეთ მიავლინა ინჟინერ-ტექნოლოგი ლ. გ. რომანოვი. რუსეთში დაბრუნების შემდეგ მან დიდი წარმატებით ჩაატარა საცდელი დნობები ელექტროღუმელებით და ამის საფუძველზე 1910 წელს ინჟ. ფ. თ. როპისა და შუპეს მონაწილეობით გრაფმა მორდვინოვმა ურალში ააგო რუსეთში პირველი ელექტრომეტალურგიული ქარხანა ფერომანგანუმის წარმოებისათვის.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენში ელექტრომეტალურგიის დანერგვის საქმეს ხელი მოკიდა ნიკო ნიკოლაძემ, რომელმაც კარგად იცოდა საქართველოში ამ დარგის განვითარების შესაძლებლობა და სარგებლობაც. 1909 წელს მან მოიწვია ინჟ. რომანოვი, რომელმაც ჰიდროსადგურის აგების მიზნით შეისწავლა ადგილობრივი მდინარეები. ნიკო ნიკოლაძის ფულადი დახმარებით რომანოვმა ააგო პირველი საცდელი ელექტროღუმელი, მაგრამ საქმე მალე ჩაიშალა, რადგან თვით რომანოვმა ეჭვი შეიტანა საკუთარი ცდების მნიშვნელობაში, და ამავე დროს გაუმართლებელი მოთხოვნა წაუყენა ნიკოლაძეს, როგორც დამკვეთს, რის გამოც ნიკო ნიკოლაძემ შეწყვიტა მასთან ურთიერთობა. „ჩემი წარმოდგენა, — სწერდა ის რომანოვს,— იმ მოთხოვნათა შესახებ, რომელსაც უყენებენ სერიოზული კაპიტალისტები სამრეწველო წამოწყებათა თაოსნებს, ისე მკვეთრად ეწინააღმდეგებიან თქვენს შეხედულებას, რომ შეუძლებლად მიმაჩნია ჩვენი შემდგომი ერთად მუშაობა“ [187/ № 55—77].

1909 წლიდან ჭიათურის მადნის ექსპორტი უფრო გაძლიერდა და შესაბამისად გაიზარდა სახელმწიფო ზარალიც. მე-

ფისნაცვალი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელიც ხაზინის შემოსავლის გადიდებით იყო დაინტერესებული და არა მხარის კეთილდღეობით, 1910 წელს მინისტრთა საბჭოს სწერდა, რომ ხაზინისათვის უფრო ხელსაყრელია, რათა საზღვარგარეთ იგზავნებოდეს ფერომანგანუმი, რომლის ადგილზე წარმოების საკითხი დაინტერესებულ პირთა მიერ არაერთგზის აღძრულაო. მეფისნაცვალი აქვე აღნიშნავდა, რომ ტყვარჩელში ქვანახშირის აღმოჩენის შემდეგ ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა, და აქ რკინიგზის შტოს გაყვანა საშუალებას მოგვცემს ფოთში ავაგოთ ფერომანგანუმის ქარხანა, რომლითაც ხაზინა დიდ მოგებას მიიღებსო. „ფერომანგანუმის ყოველი გატანილი ფუთიდან, — წერდა ის, — დაგვრჩება 1,5—1,8 მანეთი, მაშინ როდესაც ახლა 2,5 ფუთიდან მხოლოდ 40—50 კაპიკი გვრჩება“ [222].

მაგრამ მინისტრთა საბჭომ ეს შუამდგომლობაც უშედეგოდ დატოვა.

ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საბჭოს დახმარებით ინჟ. რომანოვმა 1911 წელს თბილისის თავადაზნაურთა კუთვნილ ელექტროსადგურთან (იგი მდებარეობდა ახლანდელ სულხან-საბა ორბელიანის ქ. № 11-ში), შემდეგ კი სახაზინო თეატრის ელექტროსადგურთანაც ააგო საცდელი ელექტროღუმელები და წარმატებით ჩაატარა ცდები,—ჭიათურის მადნიდან გამოადნო ფერომანგანუმი. ეს შედეგები მოხსენდა მრეწველთა ყრილობასაც, მაგრამ ყრილობის იქით საქმე წინ აღარ წასულა, რადგან ფერომანგანუმის წარმოება მოითხოვდა დიდძალ ელექტროენერგიას, რომლის მოცემა იმდროინდელ ელექტროსადგურებს, გაერთიანების შემთხვევაშიც კი, არ შეეძლოთ. დამახასიათებელია, რომ მეფის ხელისუფლება რომანოვის ცდების შედეგებს გულგრილად შეხვდა, მაშინ როდესაც უცხოური ფირმები მეტად დაინტერესებულნი იყვნენ რომანოვის საცდელი წარმოების შესახებ დოკუმენტაციის მიღებით.

ფერომანგანუმის წარმოებისა და ამისათვის ენერგეტიკული ბაზის შექმნის საკითხს ხელი მოკიდა ნიკო ნიკოლაძემ.

მისივე ინიციატივით ამ საქმეში ჩაება ინჟ. როპი. 1911 წელს უკანასკნელი ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „ჩვენ ერთი-მეორეს ვიცნობთ, როგორც ელექტრომეტალურგიის მგზნებარე მომხრეებს, მაგრამ... ოცნების სფეროს არასოდეს გავცილებივართ... პირადად დავრწმუნდი, რომ რუსეთში შეიძლება ელექტრომეტალურგიის კარგად დაყენება და გადავწყვიტე ხელი მოვკიდო მის ფართო განვითარებას... კავკასიაში ბევრია კარგი მადანი და წყალიც უხვადაა. მე ვიშოვი კაპიტალს... საქმის განხორციელებისათვის... მოდით ხელი მოვკიდოთ ამ საქმეს და ბოლოს და ბოლოს განვახორციელოთ ჩვენი ოცნება. დავიწყოთ საქმე და შემდეგ ის ახალგაზრდობამ განაგრძოს“ [187/ № 55—23].

ნიკო ნიკოლაძისა და ფ. თ. როპის ეს ურთიერთსაქმიანობა დიდხანს გაგრძელდა. ისინი გატაცებით ასრულებდნენ მოსამზადებელ სამუშაოებს ქარხნისა და ჰესის პროექტირებისათვის, რაშიც დიდ დახმარებას უწევდნენ პროფ. ბ. ა. ბახმეტევი და მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა სტუდენტი გიორგი ნიკოლაძე. ნიკო ნიკოლაძე მოითხოვდა, რათა მდ. ენგურზე აგებულიყო ჰიდროელექტროსადგური, ხოლო ფერომანგანუმის ქარხანა — ფოთში.

მაგრამ როპმა ამ წამოწყებაზე გული აიყარა, ბოლოს საერთოდ ჩამოშორდა და ამასვე ურჩევდა ნიკო ნიკოლაძეს. „მე,— სწერდა როპი, — სხვა იაფი ვარიანტი მაქვს... თქვენ, როგორც ჩემს ძველს ნაცნობს, გირჩევთ და გულწრფელად გთხოვთ. მიაფურთხოთ ენგურს და ის სამუდამოდ დაივიწყოთ. თქვენ მხოლოდ დროსა და ფულს დაკარგავთ“ [187/№ 55—36].

როპის პოზიციის ასეთი მკვეთრი შემოტრიალება აიხსნება იმით, რომ პირველი მსოფლიო ომის წინ სამხრეთ რუსეთის მეტალურგიაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ცვლილებას, რაც დაკავშირებული იყო მთავრობის სამხედრო ამოცანებთან. მეფის მთავრობა ვარაუდობდა ნიკოპოლის მანგანუმის საბადოთა ინტენსიურ დამუშავებას და იქვე ფერომანგანუმის ქარხნის აგებას. ამიტომ საქართველოში ამ ქარხნის აგების საკითხი ავტომატურად მოიხსნა.

მიუხედავად ამისა, ნიკო ნიკოლაძე წლების განმავლობაში მაინც განაგრძობდა ცდებს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებისათვის.

ამავე საკითხებს აყენებდნენ სხვა სპეციალისტებიც და მათ შორის ინჟ. ნ. დ. ცინცაძე, რომელმაც დახმარებისათვის სპეციალური განცხადებითაც მიმართა გ. ზდანოვიჩს, როგორც მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარეს. მაგრამ მრეწველთა საბჭო უარყოფითად შეხვდა ცინცაძის წინადადებას ფერომანგანუმის წარმოებისათვის რიონჰესის აგებაზე. „ახლა მანგანუმის არც ერთი ფირმა არაა, რომელსაც ელექტროდნობაზე გადასვლა სურდეს, უახლოეს დროში მაინც", ასე უპასუხებდა გ. ზდანოვიჩი ინჟ. ცინცაძეს.

1914 წელს ლევოვისა და სხვათა მიერ დაარსდა სპეციალური საზოგადოება „ფერომანგანი", მაგრამ იგი, ისე როგორც ბევრი სხვა, ამ პერიოდში დაარსებული საზოგადოება-გაერთიანებებიც, უძლური აღმოჩნდა დაეძლია ის წინააღმდეგობანი, რომლებსაც ჰქმნიდა ცარიზმი და მისი ბიუროკრატიული აპარატი, აგრეთვე ქვეყნის საერთო ეკონომიური და ტექნიკური ჩამორჩენილობა.

საქართველოში ფერომანგანუმის ქარხნის აგების საკითხი წამოიჭრა თებერვლის რევოლუციის შემდეგაც — საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს, მაგრამ ის საქართველოს მდინარეთა ზედაპირულ შესწავლას არ გასცილებია. მენშევიკების მთავრობას, რომელმაც ქვეყანა ეკონომიური კატასტროფის გამოუვალ ჩიხში შეიყვანა, უნარი არ შესწევდა ასეთი რთული პრობლემა გადაეწყვიტა.

ფერომანგანუმის წარმოების მოწყობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა პერიოდში. სახელმწიფოს სახსრებით ზესტაფონში აიგო საქართველოში პირველი ელექტრომეტალურგიული დიდი ქარხანა ჭიათურის მადნიდან ფერომანგანუმის წარმოებისათვის. იგი ამუშავდა 1933 წლის 30 ოქტომბერს 15 საათსა და 38 წუთზე.

ამრიგად, ის, რაზედაც 80-იანი წლებიდან ოცნებობდნენ მოწინავე ქართველი მოღვაწენი, მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ განხორციელდა.

3. მუშათა მდგომარეობა

რეფორმისშემდგომ პერიოდში საქართველოში სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია ამ დარგის მუშათა რიცხობრივი ზრდა, ხოლო წარმოების კაპიტალისტური წესების შემდგომმა გაფართოებამ — მათი უმოწყალო ექსპლოატაცია.

მუშათა საერთო რაოდენობის სწრაფი ზრდის მაჩვენებელია შემდეგი მონაცემები: თუ 1884 წელს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სულ 2451 კაცი მუშაობდა, 1898 წელს უკვე 7914 მუშა [223/51].

აქ განვიხილავთ მხოლოდ რკინის, ნავთობისა და ჰიათურის მანგანუმის მრეწველობის მუშათა მდგომარეობას.

როგორც რეფორმამდე, ისე მის შემდეგაც საქართველოს სამთამადნომეტალურგიული საწარმოების მუშახელით უზრუნველყოფა უმთავრესად მიმდინარეობდა ადგილობრივი ღარიბი გლეხობის, შინამრეწველ-ხელოსანთა და მრეწველობაში უკვე ჩაბმულ მუშათა ოჯახების მუშა წევრთა ხარჯზე [224/53].

საარქივო წყაროებიდან ჩანს, რომ აღნიშნული დარგის მუშათა შორის იყვნენ აგრეთვე სხვა ქვეყნებიდან, უპირატესად რუსეთის რაიონებიდან ჩამოსული მუშებიც, მაგრამ მათი რაოდენობა ძალზე უმნიშვნელო იყო, რაც განსაკუთრებული სიცხადით ჩანს ჩვენს განკარგულებაში არსებული ცნობებიდან ჰიათურის მრეწველობის მუშათა ეროვნულ შემადგენლობაზე.

ასევე მცირერიცხოვანი იყო შინამრეწველ-ხელოსანთა წრიდან გამოსულ მუშათა რაოდენობა სამთო წარმოების მუშებს შორის.

ამრიგად, სამთო მრეწველობის მუშათა რიგების ზრდის ძირითად წყაროს წარმოადგენდა ადგილობრივი ღარიბი გლეხობა, რომელიც იძულებული იყო გარესამუშაოებზე წასულიყო.

მაგალითად, ზემო იმერეთი წარმოადგენდა ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ და ამავე დროს ნაკლებმიწიან კუთხეს, რის გამოც ამ კუთხის მცხოვრებთა შორის სისტემატურად იზრდებოდა ქალაქებისაკენ ლტოლვა, განსაკუთრებით ჰიათურის

მრეწველობის დაწყებამდე, ხოლო უკანასკნელის აღმოცენების შემდეგ მადნის მოპოვებასა და ზიდვაზე უმთავრესად ადგილობრივი გლეხობა მუშაობდა.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, მაზრის თითქმის ყოველი სოფელი მეტ-ნაკლები მასშტაბით მონაწილეობდა მრეწველობაში. გლეხთა შრომითი მონაწილეობა სისტემატურად იზრდებოდა. ასე, მაგალითად, 90-იანი წლების დასაწყისში სოფ. პერევისის გლეხებმა იმუშავეს 425 შრომადღე და 60 586 მან. გამოიმუშავეს, სოფ. ბოსლევის გლეხებმა 625 შრომადღეში მიიღეს 80 928 მანეთი, ხოლო სოფ. წირქვალის მცხოვრებლებმა 573 შრომადღეში გამოიმუშავეს 63 954 მანეთი. ამავე წელს სხვადასხვა სოფლებიდან მრეწველობაში 856 ოჯახი მონაწილეობდა [248/83]. 1894 წელს ადგილობრივმა გლეხობამ მარტო მადნის ტრანსპორტირებაში მიიღო 2 მილიონი მანეთი [249]. მართალია, გლეხების რაოდენობა საბუთში მითითებული არ არის, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს, რომ ასეთი დიდი თანხის გამომუშავება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მუშათა (ჩალვადრების) დიდ რაოდენობასთან, რადგან ფუთი მადნის გადაზიდვა საშუალოდ 25—30 კაპ. ღირდა. ჩალვადრებს გარდა, უშუალოდ მაღაროებში მუშაობდნენ აგრეთვე მუდმივი მუშები, რომლებიც მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მოწყვეტილნი იყვნენ მიწათმოქმედებას.

დასაწყისში, როგორც დ. კლდიაშვილი წერდა, — „თუმცა ფული კი იტყუებდა გაჭირვებულ გლეხებს, მაგრამ აშინებდათ მუშაობის სიმძიმე... მაგრამ, როცა პირველი გასულები დაბრუნდნენ თავიანთ ოჯახებში კაი ძალი მოგებული ფულებით, რომლის შოვნა ასე ერთად მათ არასოდეს არ შეეძლოთ, სხვებმაც გაბედეს და მალე გარშემო სოფლებში არ მოიძებნებოდა გლეხი, რომელიც სახლში ტყვილა მჯდარიყო. თვით რგანში სახლებში რჩებოდნენ მხოლოდ მოხუცები და ბავშვები“ [250/375].

მაღაროებში სამუშაოდ გლეხებს თავიანთი მცირეწლოვანი შვილებიც მიჰყავდათ ან აგზავნიდნენ. ძველი მუშის ს. ლ. ბუხრაშვილის გადმოცემით, ჭიათურის მრეწველობაში მუ-

შაობა მან 7 წლისამ დაიწყო — მადნის დამხარისხებელ მუშად. ს. პ. კუპატაძის მოგონებით, მამამისი გაჭირვებამ აიძულა ის მაღაროებში სამუშაოდ გაეგზავნა ჯერ მადნის დამხარისხებლად, როდესაც სულ 10 წლის იყო, ხოლო შემდეგ — მაღაროდან ზედაპირზე მადნის მზიდავად. მრეწველობის აღნიშნულ დარგში გამოიყენებოდა აგრეთვე ქალთა შრომა, უმთავრესად მადნის გარჩევა-გაცხრილვაზე. ინჟ. გ. დეკანოზიშვილის გადმოცემით, ადგილობრივი ქალებისა და მცირეწლოვანი ბავშვების რაოდენობა მაღაროს ზედაპირზე მომუშავეთა შორის მცირე არ იყო [196].

* * *

ჭიათურის მრეწველობა მუშათა კონცენტრაციის მხრით საქართველოში ერთ-ერთ მძლავრ და მოწინავე საწარმოს წარმოადგენდა, რომლის მუშათა რაოდენობა სისტემატურად იზრდებოდა: თუ 1880 წელს იყო 217 მუშა, 1900 წელს—უკვე 3702, ე. ი. 17-ჯერ მეტი.

ჭიათურის სარეწავებში გადმოვიდნენ აგრეთვე ახტალა-ალავერდისა და ფოლადაურის ქარხნების ყოფილი მუშები, მაგრამ მათი რაოდენობა დიდი არ უნდა ყოფილიყო, რადგან თვით ამ ქარხნებში მუშათა რაოდენობა ორიოდე ასეულით განისაზღვრებოდა.

ნავთობის სარეწავებზეც ძირითადად ადგილობრივ მუშებს იყენებდნენ, უმთავრესად შავ სამუშაოებზე. მაგრამ მათი რაოდენობაც, უეჭველია, მცირე უნდა ყოფილიყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ნავთობის ყველაზე „მსხვილ“ სარეწავებზე მუშათა რიცხვი ორ ათეულსაც კი არ აღწევდა (ნ. „ნავთობის სარეწავები“).

საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის მუშები თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალური იყო. მუშათა შორის იყვნენ ქართველები, რუსები, აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, დაღესტნელები, სპარსელები, თურქები და სხვ. ქართველებს რიცხობრივად პირველი ადგილი ეკავათ.

ცნობილია, რომ ქალაქები სოფლების ხარჯზე იზრდე-

ბიან. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს აგრეთვე ჭიათურა, რომლის მოსახლეობა ძირითადად ადგილობრივი გლეხების ხარჯზე გაიზარდა. ჭიათურის ძველი მცხოვრების ს. პ. კუპატაძის გადმოცემით, მანგანუმის მრეწველობის დაწყებამდე — „ჭიათურა უბედური შესახედი იყო... იდგა ერთი წისქვილი და ვაშაძის დუქანი, სადაც ასანთი იყიდებოდა და ორი კაკალი ვაშლი“.

900-იანი წლებისათვის ის მჭიდროდ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. 1903 წლისათვის ჭიათურაში უკვე 340 სახლი და ნაგებობა იყო. ამ წელს ჭიათურაში ცხოვრობდა 1847 სული.

მრეწველობის სწრაფი განვითარების მიუხედავად მუშები მძიმე მატერიალურ და საყოფაცხოვრებო პირობებში იმყოფებოდნენ. დ. კლდიაშვილის გადმოცემით, ჭიათურაში უმთავრესად იყო სამიკიტნოები და თავლები. სახალხო არტისტი ნინო ჩხეიძე თავის მოგონებებში წერს: „1899 წელი... მახსოვს ჭიათურა... მუშებით სავსე იყო იქაურობა... მუშათა გონების არავითარი საზრდო, არავითარი გართობა. ასე გასინჯეთ, აბანოც კი არ იყო... შაბათ საღამოობით 'შავი ქვის მტვერში თავითფეხებამდე ამოსვრილი მუშები ბანაობდნენ მდინარე ყვირილაში... სამიკიტნოები კი ბლომად იყო“.

* * *

მრეწველობა მთლიანად პრიმიტიულ ტექნიკას ემყარებოდა. სამთო ოლქის უფროსის ინჟინერ ა. ცეიტლინის ცნობით, წარმოებაში უმთავრესად გამოიყენებოდა წერაქვი, ხოლო სოლი—იშვიათად. წოლხვრელები იგებოდა არაწესიერად და გაუმაგრებლად, რაც მუდმივი საშიშროების წინაშე აყენებდა მუშებს. ბიგების დანიშნულებას ასრულებდნენ მადნის გამოუმუშავებელი სვეტები. თითოეული სვეტი 2,5 ათას ფუთ მადანს შეიცავდა, რის გამოც მადანი დიდი რაოდენობით იკარგებოდა.

მაღაროდან ზედაპირზე მადნის გამოტანა წარმოებდა გოდრებით, ხოლო გვიან — სოფ. რგანის მუშის მიერ გამოგონებული ხელის ურიკით, რისთვისაც 1886 წელს ნიკო ღოღობე-

რიძის მაღაროში „რელსებად“ გამოიყენებოდა ფიცრები, ხოლო 1896 წლიდან — ლითონის ლიანდაგი.

მაღაროებიდან ჭიათურაში და რკინიგზის სადგურებამდე მადანი გადაჰქონდათ იმერული აჩაჩა ურმებით, სახედრებითა და აქლემებით.

მცირე კაპიტალის მქონე მრეწველები სრულიად არ ცდილობდნენ საწარმოო ტექნიკისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას, აგრეთვე უშიშრობის ტექნიკის ღონისძიებათა განხორციელებას.

სამთო ხელოვნების უცოდინარობისა და პრიმიტიული ტექნიკის შედეგად ერთობ დაბალი იყო მუშათა გამომუშავება. 1893 წელს „კვალი“ სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მადანი ექსპორტში გაიგზავნა 20 მილ. ფუთის რაოდენობით, ხოლო გროვებზე 150 მილ. ფუთი გადაყარესო. ეს ყოველივე მძიმე ტვირთად აწვება მუშებს, რომელთა ხელფასი სამჯერ მეტად მცირდებაო.

პრიმიტიული საწარმოო ტექნიკა და სამუშაო ადგილის მოუმზადებლობა ბუნებრივად იწვევდა მუშათა შორის უბედურ შემთხვევათა ზრდას. მაგრამ ოფიციალურ სტატისტიკაში ესძალზე შემცირებული სახით არის წარმოდგენილი. მრეწველები, ცდილობდნენ რა თავიდან აეცილებინათ მატერიალური პასუხისმგებლობა, უბედურ შემთხვევებს არ ამხელდნენ, ხოლო ხშირად — დაღუპულთა გვამებს მაღაროებშივე მიწის ქვეშ მალავდნენ, ან ხრამებში აგდებდნენ, რომ უბედური შემთხვევა მუშის სიმთვრალით აეხსნათ. კ. მოდებაძის გადმოცემით, საბჭოთა პერიოდში ძველი გვირაბების გაწმენდისას ხშირად პოულობდნენ ძველად დაღუპულ მუშათა ჩონჩხებს.

რკინისა და ნავთობის მრეწველობაში უბედურ შემთხვევათა რაოდენობაზე ცნობები არ არსებობს, მაგრამ საეჭვოა, რომ ამ დარგში უშიშრობის ტექნიკა ისე იდეალურად ყოფილიყო დაყენებული, რომ ასეთ შემთხვევებს იქ ადგილი არ ჰქონოდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ წითელწყაროში ძმ. სიმენსების ნავთსახდელი ქარხანა აფეთქებით დაიწვა და საბუთში კი უბედურ შემთხვევაზე არაფერია ნათქვამი.

ჭიათურაში უბედურ შემთხვევათა მთავარი მიზეზი გვირაბების გაუმაგრებლობა იყო. ძველი მუშის ტ. გ. ჩაჩანიძის გადმოცემით, — „მაღაროები არ მაგრდებოდა და დღე არ გავიდოდა. ვინმე არ დაშავებულიყო“. სოფ. სავანეს მცხოვრებმა კონ. ქავთარაძემ გადმოგვცა: „არაერთხელ მინახავს, მაღაროში ბძინარე მუშები ჭერის ჩამონგრევით რომ ერთიანად ამოწყვეტილან“. პ. გამცემლიძის გადმოცემით: „მუშები დაზღვეულნი არ ვიყავით, დაღუპულებს ჭირისუფლებს სახლში მიუსვენებდნენ, და ეს იყო მრეწველთა დახმარება“.

ანალოგიური ცნობები უამრავია. მიუხედავად ამისა, სამთო სამმართველოს ანგარიშებში, როგორც წესი, ლაკონიურად აღინიშნებოდა: „საანგარიშო წელს ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა“, ან ორიოდე შემთხვევაზე მიუთითებდნენ. მაგალითად, 1881 წელს ზემო რგანში ჭერის ჩამონგრევით დაიღუპა 6 მუშა და დასახიჩრდა — 3 კაცი; 1882 წლის დასაწყისში, სოფ. რგანში, პიოს-მაღაროში ჭერის ჩამონგრევით მძიმედ დაშავდნენ მუშები, მაგრამ სამმართველოს ანგარიშში ეს ფაქტები ასახული არ არის. 1885 წლისათვის უბედურ შემთხვევებმა იმდენად სისტემატური ხასიათი მიიღო, რომ აღნიშნული სამმართველო იძულებული გახდა სამთო დეპარტამენტისათვის ეთხოვა ტექნიკური ზედამხედველის — შტეიგერის დანიშვნა.

90-იანი წლების შემდეგ, განსაკუთრებით 900-იანი წლებიდან, უბედური შემთხვევები ჭიათურაში კიდეკ უფრო გახშირდა.

საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის მუშათა მძიმე კაპიტალისტური ექსპლოატაციის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა სამუშაო დღის „უზომოდ და უმოწყალოდ გახანგრძლივება“ (კ. მარქსი).

რამდენ ხანს მუშაობდნენ ნავთობის სარეწავების მუშები, წყაროებში მითითებული არ არის. რაც შეეხება ფოლადაურის ქარხანას, იქ სამუშაო დღე 14—16 საათს აღემატებოდა, ხოლო მაღაროებსა და ტყეში — უფრო მეტ დროსაც. ჭიათურის მრეწველობაში, როგორც სხვა დარგებშიც, სამუშაო დღის ხან-

ერძლიობა დაკანონებული არ იყო და ის მრეწველთა ნებასურვილისამებრ ისაზღვრებოდა. იმის შემდეგაც კი, როდესაც რუსეთის მუშათა მოძრაობის გავლენით მთავრობა იძულებული გახდა სამუშაო დღე 11,5 საათით განესაზღვრა, მრეწველები მოხელეთა მხარდაჭერით თვითნებურად აწესებდნენ სამუშაო დროის ხანგრძლიობას. ჭიათურაში ამ მხრით სრულ თვითნებობას ჰქონდა ადგილი. კ. ქავთარაძემ შემდეგი გვაცნობა: „მუშაობა უწინ საათების მიხედვით როდი იყო, არამედ ჯერ ვარსკვლავების, ხოლო რკინიგზის გაყვანის შემდეგ — ორთქლმავალის საყვირის მიხედვით". პ. დ. აბრამიშვილი (სოფ. სარეკიდან) თავის მოგონებაში წერს: „14—16 საათს ვმუშაობდით, ვიდრე „გიგიას ვარსკვლავი" დანიშნულ ადგილზე არ მივიდოდა. გიგია ბრეგვაძე მრეწველი იყო. მუშებს ტანჯავდა. უთენია აწყებინებდა მუშაობას და ნაშუაღამევს ამთავრებინებდა. იტყოდა ხოლმე: „სანამ აი ვარსკვლავი ცისკარზე არ მივა, ხელი არ უნდა აიღოთო".

სანარდო სისტემის ფართოდ გავრცელებამ სამუშაო დღის ხანგრძლიობა უფრო გაზარდა; რადგან თითოეული მუშა ცდილობდა მეტი გამოემუშავებინა. სამუშაო დღის გახანგრძლივებას იწვევდა მრეწველთა მიერ გამოგონებული მზაკვრული ხერხიც: მუშებისათვის პრემიების მიცემა ზედმეტად დამზადებულ მადანზე. ამით დაინტერესებული მუშები ზედმეტს მუშაობდნენ არა მარტო სამუშაო დღეებში, არამედ კვირაობითა და უქმეებშიც კი. მეტი გროშების შოვნისადმი მისწრაფებით, და არა მარტო უბინაობით, უნდა აიხსნას ის, რომ მუშები უმთავრესად ნესტიან, უსინათლო და უჰაერო მაღაროებშივე ატარებდნენ დროს მთელი კვირაობით. იქვე იძინებდნენ და საუზმობდნენ, რომ სახლში წასვლაზე დრო არ დაეკარგათ. იკვებებოდნენ ხმელი მჭადითა და პურით.

სამუშაო დღის ხანგრძლიობის მხრით უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ჩალვადრები, რომელნიც რამდენიმე დღე და ღამე გზაში იმყოფებოდნენ. ღია ცის ქვეშ დღე და ღამ მუშაობდნენ ვაგონების მტვირთავი მუშებიც. განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა ე. წ. „მეფუთე" მუშებს, რომელნიც ვალდებულნი იყვნენ მადანი ამოეღოთ, დაე-

ხარისხებინათ, გაერეცხათ, ვაგონში ჩაეტვირთათ და ექსპორტიორისათვის დროზე ჩაებარებინათ, რომ ნიაღვარს არ წაელეკა მათი ნაშრომი.

ასეთ მძიმე პირობებში ხანგრძლივი მუშაობა მუშებს ფიზიკურად ანადგურებდა და გონებრივად აჩლუნგებდა, რასაც არაერთგზის აღნიშნავდა ქართული პრესა. მრეწველთა საბჭოს ხელმძღვანელობაც კი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „მუშათა ექსპლოატაცია არსად ისეთ უკიდურესობას არ აღწევს", როგორც ჭიათურაში.

მუშათა ექსპლოატაციის თვალსაჩინო მაჩვენებელია აგრეთვე მათი ხელფასი.

ფოლადაურის ქარხანაში მძიმე სამუშაოებზე მომუშავეთ ეძლეოდათ დღეში 50—60 კაპ., ოსტატს თვეში 15-დან 30 მანეთამდე, ხოლო ჯანმრთელობისათვის მეტად მავნე სასხმელო საამქროს მეყალიბეს ნაკეთობის სახით ჩამოსხმულ ყოველ ფუთ თუჯში — 9 კაპიკიდან 1 მანეთამდე იმის მიხედვით, თუ რამდენად რთული იქნებოდა ჩამოსხმული საგანი. ხელფასები მუშებს დროულად არ ურიგდებოდა.

ჭიათურის მუშათა ხელფასის დონეც მეტად დაბალი იყო და ის სისტემატურად მცირდებოდა.

1880 წელს გ. ღოღობერიძისა და გედეონ ჩუბინიძის, აგრეთვე მერცენფელდის სარეწავებზე მუშა-მნგრეველი დღეში ღებულობდა 60—80 კაპ., ხოლო ჩალვადარი, რომელსაც მადანი ზესტაფონში მიჰქონდა, ფუთზე 25 კაპიკს.

რამდენად დაბალი ხელფასები იყო ჭიათურაში გავრცელებული, იქიდანაც ჩანს, რომ, მაგალითად, ფოლადაურის ქარხანაში 1868 წელს შეგირდს ეძლეოდა დღეში 0,7—1,0 მან., 80-იან წლებში მექანიკური ქარხნების შავ მუშებს 60—80 კაპ., კვალიფიციურ მუშებს ოდნავ უფრო მეტი, ხოლო 60-იან წლებში ალავერდისა და შამბლუღის ქარხნების ოსტატებს 0,8—1,6 მანეთი.

მაღაროებში მომუშავეთ მრეწველები აძლევდნენ სანათ მასალას, ჭრაქებსა და ინსტრუმენტებს (წერაქვი, ურო, ნიჩა-

ბი, ლომი), რისთვისაც მათ ყოველ კუბურ საჟენ დამზადებულ მადანზე, რაშიც ისინი 30—40 მანეთს ღებულობდნენ, ექვითებოდათ 5 მანეთი.

90-იან წლებში, როდესაც ცხოვრება უფრო გაძვირდა, ზოგიერთი მრეწველი მუშას დღეში 50 კაპიკს აძლევდა, მაგრამ ამასაც ის სრულად არ ღებულობდა, რადგან მადნის აზომვის, აწონვისა და ჯამაგირის ანგარიშსწორებისას მუშას ატყუებდნენ. ასეთივე ექსპლოატაციას განიცდიდნენ მოზარდი და მუშა ქალები, რომელთა რაოდენობა 900-იანი წლებისათვის სისტემატურად იზრდებოდა. ზემოაღნიშნულის შედეგად მუშები ხელფასის 20—40 პროც. ჰკარგავდნენ.

მრეწველთა ასეთი მოქმედება სამართლიან აღშფოთებას იწვევდა მოწინავე ქართველ მოღვაწეთა შორის. აკაკი წერეთელი წერდა: „სადაც საზომი მრუდეა, რაღა თქმა უნდა, იქ არც სასწორი უნდა იყოს სწორი... ერთი მხრით თაღლითობამ მეორე მხრიდანაც გამოიწვია სიყალბის სურვილი, და ერთმანეთს აღარ ჰზოგავენ. ერთხელ სვანებს გაურიგდნენ საჟენობით შავი ქვის დადგმას და იმათაც, რომ დადგეს, ხვედრი ფული მიიღეს და გაუდგნენ გზას. ცოტა ხნის შემდეგ აყროლდა ქვა; ბიჭოს! ეს რა ამბავიაო? — იძახიან გლეხები: — მართალია, ჩვენის ცოდვით, შავი ქვა აქამდისაც უნდა აყროლებულიყო მრეწველების ხელშიო, მაგრამ მაინც გავიგოთ, რა ამბავიაო? გასინჯეს და ნახეს, რომ შუაგულ საჟენში მკვდარი ცხენი იყო ჩაფლული“.

მრეწველები მუშებსა და ჩალვადრებს მადნის აწონვაშიც ატყუებდნენ, რაშიც მათ მწონავებიც ეხმარებოდნენ. კ. მოდებაძის გადმოცემით, — „მწონავები მადნის საერთო წონიდან გამორიცხავდნენ 10 პროცენტს, რატომ, ეს არავინ იცის, შემდეგ 10 პროცენტს მადნის ტენიანობისათვის და 10 პროცენტს გზაში დაპნევისას, ხოლო გირვანქებს არასოდეს ანგარიშში არ ღებულობდნენ. ამას გარდა, მწონავები, როგორც წესი, 1—3 ფუთს ისე ჰპარავდნენ მეურმეებს, ასე რომ, — დაასკვნის კ. მოდებაძე, — მეურმე ჩაზიდული ტვირთის ნახევრისას თუ მიიღებდა საფასურს, — მეტს არა...“ ძველი მუშა ი. ი. ჩაჩანიძე ერთ-ერთ მწონავზე შემდეგ ფაქტს გადმოგვცემს: „ერთი

ჯიბიდან გავარდნილი ბერძენი იყო, მწონავი, სახელად ხაჭიპანას ეძახდნენ, გვარად მიკროპულო. მას ჰყავდა მიმინო, რომელიც მუდმივად სასწორზე იჯდა. ეს მიმინო 15 გირვანქა მადანს უდრიდა".

საგულისხმოა, რომ მწონავთა ეს ბოროტმოქმედება ჯერ კიდევ 80-იან წლებში ისე ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომ ის 1888 წელს ქუთაისის გიმნაზიის ერთ მოსწავლესაც კი აუსახავს თავის ლექსში: „ათ ფუთს ხუთ ფუთად უწერენ ამ საწყლებსა ჩალანდრებსა. სასწორსა ძალათ შლიან..." და ა. შ. [251].

აღნიშნულის შედეგად ჩალვადრებმაც დაიწყეს მადანში მიწა-ხილის გარევა.

ბევრი მწონავი ასეთი არაკეთილსინდისიერი გზით კაპიტალის მფლობელი გახდა და მრეწველობა დაიწყო. მწონავებისადმი მუშების უკმაყოფილება თანდათანობით იზრდებოდა, რაც მასობრივ გაფიცვებში გამოიხატა, რომლის დროსაც მათ ერთიანად დაარბიეს არა მარტო სასწორები, არამედ მათი შენობებიც.

მუშებს ხელფასი დროულად არ ურიგდებოდათ და ისინი მუდმივად მედუქნეებისა და მევახშეთა კლანჭებში იმყოფებოდნენ. მრეწველები, სარგებლობდნენ რა მუშათა გაჭირვებით, უფრო მეტ ექსპლოატაციას უწევდნენ მათ და ხელფასებს ამცირებდნენ, განსაკუთრებით მსხვილი კაპიტალისტური სარეწავების წარმოშობის შემდეგ.

აუტანელ პირობებში იმყოფებოდნენ აგრეთვე რკინიგზის არტელებში გაერთიანებული მტვირთავი მუშებიც. მადნით ვაგონების დატვირთვა-გაცლა შემოსავლიან სამუშაოს წარმოადგენდა. ამიტომ არტელების მეიჯარადრეთა შორის მუდმივი ბრძოლა წარმოებდა მონოპოლიისათვის. ამის შედეგად უფრო მეტად მუშები ზარალობდნენ, რადგან ხშირად უმუშევრად რჩებოდნენ. ამიტომ მუშები ცდილობდნენ, რათა საკუთარი არტელები შეედგინათ მეიჯარადრეთა გარეშე, მაგრამ ამის უფლების მოპოვებაც ფულის ხარჯვასთან (ქრთამების სახით) იყო დაკავშირებული.

ჩვენ ხელთ არის აკაკი წერეთლის გამოუქვეყნებელი წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი, რომლითაც ირკვევა, რომ მტვირთავ მუშებს არტელის შექმნის უფლების მისაღებად აკაკი წერეთლისათვის უთხოვნიათ დახმარების აღმოჩენა, ხოლო მას ამ საკითხის მოგვარება ადრესატისათვის უთხოვია. აკაკი სწერდა: „დეპუტატები მათი თავზე მადგიან—თურმე რაღაც ჯანაბა „выгрузка-погрузка“ ყოფილა, ის თურმე არენდატორებს აქვსთ ხელში, ვიღაც სომხებს თუ ყიზილბაშებს. ესენი მუშაობენ და ისინი კი სარგებლობენ. კანონით თურმე ტორგით უნდა გადაიცეს ეს საქმე, მაგრამ ყოველთვის თურმე უტორგოთ, შინაურულათ აძლევენ სხვებს. ახლა ესენი თხოულობენ, რომ ჩვენ შამოვიტანთ ზალოგს ერთი-ორათ, ერთი-სამათ და თუ იმათ უზალოგოთ ეძლევათ, ჩვენ ზალოგით ვითხოვთ, ჩვენვე არა ვართ მუშებიო? და რათ უნდა ჩვენ გვენატრებოდესო? მით უფრო, რომ ერთი-ორათ უფრო იაფათაც ავიღებთო. იმ არენდატორებს ვადა ახლა უთავდებათ და, ცხადია, რომ კიდევ უტორგოთ მისცემენო. ამ საწყლებმა არ იციან, რომ ის არენდატორები, იგივე რკინის გზის მოსამსახურეები არიან და იქაც ის გორნიჩნაა, რომელიც ბუფეტებსა ჰყიდის. სტაჩკას გავაკეთებთო“ [187/13—137].

მუშებს შექმნილი არ ჰქონდათ აგრეთვე მინიმალური საბინაო და საყოფაცხოვრებო პირობები. მრეწველები ამ მხრით სრულიად არაფერს აკეთებდნენ.

საქართველოს ნავთობის სარეწავების მუშები მათ მიერვე აგებულ ბნელ და ნესტიან მიწურებში ცხოვრობდნენ, ხოლო უფრო ხშირად კი ჩალით გადახურულ ღია კარვებში. ოფიციალური მიმომხილველი შირაქის სარეწავების აღწერისას გაკვირვებით შენიშნავდა: „ძნელი წარმოსადგენია, ზამთარში როგორ უნდა იცხოვრონ ამ გამჭვალავ კარვებში“.

ამ მხრით შედარებით „უკეთეს“ პირობებში იმყოფებოდნენ ფოლადაურის ქარხნის მუშები. ქარხანაში აგებული 14 სახლიდან მუშებისათვის გამოიყო მხოლოდ ერთი სახლი —

ყაზარმა. ამიტომ მუშების უმეტესობა საცხოვრებლად სრულიად უვარგის მიწურებში იყო მოთავსებული, რის გამო მუშათა შორის ხშირი იყო დაავადება.

მაგრამ უფრო მძიმე საბინაო პირობებში იმყოფებოდნენ ჭიათურის მრეწველობის მუშები, რომელთა რაოდენობა 90-იანი წლებიდან რამდენიმე ათასეულს აღემატებოდა. სამუშაოზე მიღებისას მრეწველები არავითარ ვალდებულებას არ ღებულობდნენ, ბინებით მუშების უზრუნველყოფის მხრით. მუშას თვით უნდა ეშოვნა საცხოვრებელი ბინა. ბინის ქირა კი ძალზე დიდი იყო — ცხრაასიანი წლებისათვის ერთი უბრალო და პატარა ოთახის ქირა 15 მანეთს აღწევდა, რაც მუშისათვის სრულიად ხელმიუწვდომელი იყო. ამიტომ 1903 წელს მრეწველობის რამდენიმე ათასი მუშიდან ჭიათურაში მხოლოდ 288 მუშა „ცხოვრობდა", რომელთა უმეტესობას ბინები არ ჰქონდა.

მუშათა ნაწილი ახლობელ სოფლებში მცხოვრებლებთან იყო შეხიზნული და თავისი მცირე ხელფასიდან. იხდიდა „ბინის" ქირას.

საბინაო ფონდის ასეთი სიმცირის გამო მუშათა უმრავლესობა ზამთრობით თავლებსა და მაღაროებში ატარებდა დროს, ხოლო ზაფხულობით — ღია ცის ქვეშ ანუ, როგორც აკაკი წერეთელი ამბობდა, — „მიწა იყო მათი ლოგინი და ლაჟვარდი ცა — საბანი".

90-იანი წლებიდან ზოგიერთ მაღაროსთან მუშებმა დაიწყეს ფიცრული სახლების აგება და ამით დასაბამი მიეცა მაღაროებთან პატარ-პატარა სამრეწველო დასახლებათა წარმოშობას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა მრეწველმაც რამდენიმე ბარაკი ააგო მუშებისათვის, საბინაო მწვავე კრიზისი მაინც დიდხანს მძვინვარებდა. მრეწველთა მიერ აგებულ თითოეულ ბარაკში, რომლის ფართი 6 კვ. საჟენს შეადგენდა, 20 კაცი ცხოვრობდა. ეს ნესტიანი და ბნელი ბარაკები ზამთრობით არ თბებოდა. ასეთ ვიწრო და უჰაერო ბარაკებში ცხოვრებას მუშები მაღაროებში და თავლებში „ცხოვრებას" ირჩევდნენ.

ამის შედეგად ადგილი ჰქონდა მუშათა განუკურნავი სენით დაავადებას, სიკვდილიანობასა და ეპიდემიებს.

საბინაო საკითხი უფრო მწვავედ იდგა ამიერკავკასიის რკინიგზის იმ სადგურებში, სადაც მანგანუმის მადანი მიდიოდა ვაგონებში ჩასატვირთავად. აქ არა მარტო მტვირთავი მუშები, არამედ მსხვილ მრეწველთა (მაგ. ნიკო ღოღობერიძის) კანტორების მოხელენიც კი სრულიად არ იყვნენ უზრუნველყოფილი ბინებით. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს მწერალი ეგნატე ნინოშვილი, რომელიც მსახურობდა ნიკო ღოღობერიძის კანტორაში ჯერ ზესტაფონში, ხოლო შემდეგ სად. გომში. 1892 წლის მაისის დასაწყისში ეგნატე ნინოშვილი გომიდან თედო სახოკიას ზესტაფონში სწერდა: „არ ვფიქრობ, რომ აქ რამეს დაწერა შეიძლებოდეს, თუმცაღა კი შენ ძლიერ მირჩევ რამე დავწერო. აბა წარმოიდგინე, რის დაწერა შეიძლება ასეთ გარემოებაში: ათასნაირი გარყვნილი ხალხის სამიკიტნოს გვერდზე არის მიკეთებული ბუდესავით ერთი ოთახი, რომელსაც სიგრძე 5 არშინი აქვს, სიგანე $3^1/_2$ არშინი. იატაკი დამპალი, ოღრო-ჩოღრო. უხეირო ჭერს ქვემოდან ისეთი დვიროები აკრავს, რომ კაცის თავი უწვდება ქვეშიდან. ერთი ხელის გულის ოდენა ფანჯარა. ამ კუბო-ოთახს სამიკიტნოსაგან აშორებს კარდონივით თხელი ფიცრის კედელი. დუქნიდან ისე შემოდის მთვრალი ხალხის ყაყანი, ჩხუბი, ლანძღვა და აყალმაყალის ხმა, თითქოს შიგ, ჩვენთან იყვეს. ასეთი მორთული ჩვენი ოთახი ისეა გავსილი (გახსოვდეს, რომ ამ ოთახში 2 კაცი ვცხოვრობთ) უხეირო სტოლით, უხეირო ლოგინებით, ნიჩბებით, წალკატებით, რაღაც ჩვენი ხაბაკ-ხუბაკით, რომ ვერც კი გაინძრევი შიგ. ჯერ სიცხეები არც კი დაწყებულა და სულის შეხუთვას ვგრძნობ შიგ. რაღა იქნება შემდეგ?.. ახლა მოდი და თან იმუშავე, თან წერე ამისთანა მდგომარეობაში?“ [32/86].

ეგნატე ნინოშვილი ერთი კვირის შემდეგ იმავე ადრესატისათვის გაგზავნილ წერილში კვლავ თავის „კუბო-ოთახის“ შესახებ ჩიოდა და სწერდა, რომ მის ოთახს „ერთი ხელის გულის ოდენა „ფორტოჩკას“ გარდა ფანჯარა არსად აქვს გასაღები“ [32/85], ხოლო „გარშემო — შავი ქვის მტვრისაგან გამურული ჰაერი, მთვრალი ხალხის ყაყანი, საშინელი ლანძღვაგინება, ყვირილი და ჩხუბი, სულის შემხუთავი სიცხე“ [240/104].

ეგნატე ნინოშვილი ასეთივე მძიმე საბინაო პირობებში ცხოვრობდა ზესტაფონში ნიკო ღოღობერიძის კანტორაში მსახურების დროს, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მწერლის ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ: „1890 წელს დავდექი ნ. ღოღობერიძის კანტორაში დ. ზესტაფონს. მეტად ბევრი საქმე იყო. მე მგონია, ჩემი ჯანი და სიმრთელე დავღუპე ბათუმში და ამ კანტორაში მუშაობით“.

თუ იმ დროს უკვე კარგად ცნობილი მწერალი ეგნატე ნინოშვილი ასეთ მძიმე საბინაო პირობებში ცხოვრობდა ზესტაფონსა და გომში, ადვილად წარმოსადგენია რა ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ მტვირთავი მუშები.

900-იანი წლებიდან საბინაო კრიზისი უფრო გამწვავდა, ხოლო არსებული ბინები კვლავინდებურად მოუწყობელი და უვარგისი იყო. მრეწველები საბინაო მშენებლობაზე არც ახლა ფიქრობდნენ. გიორგი ზდანოვიჩმა სამთო სამმართველში მოწვეულ თათბირზე განაცხადა, რომ კანონი ბინების მშენებლობაზე მრეწველების მიერ არ ხორციელდება და ის შეუსრულებელი დარჩება, ვიდრე მრეწველობას წვრილი სარეწავების ხასიათი ექნებაო. მაგრამ მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების მომრავლების მიუხედავად საბინაო კრიზისი კი არ შენელდა, არამედ უფრო გამწვავდა, რასაც აღნიშნავდა აგრეთვე ლენინური „ისკრა“.

ძალზე ცუდად იყო დაყენებული აგრეთვე მუშების მკურნალობა და საექიმო დახმარება. ჯერ კიდევ 1885 წელს სამთო დეპარტამენტის წინაშე აღიძრა საკითხი ჭიათურის სარეწაკებთან საექიმო პუნქტის დაარსებაზე, მაგრამ ეს საკითხი დიდიანს გადაუჭრელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ 1895 წლიდან მრეწველებს ყოველ ფუთ მადანზე 1/2 კაპიკი ექვითებოდათ საავადმყოფოს დაარსებისა და სხვა ღონისძიებებისათვის. ჭიათურაში მხოლოდ 1897 წელს დაარსდა 6-საწოლიანი ქსენონი, რომელსაც ექიმი დაენიშნა მხოლოდ 1900 წელს, მანამდე კი მას დაბალი კვალიფიკაციის მედპერსონალი განაგებდა. ცხადია, ასეთი მცირე გამტარუნარიანი ქსენონი ვერ უზრუნ-

ველჰყოფდა მრავალათასიან მუშათა მასის მომსახურებას და ამიტომ სიკვდილიანობის შემთხვევები დიდი იყო.

900-იანი წლებისათვის მრეწველთა საბჭომ საგრძნობი თანხა დააგროვა, მაგრამ მუშათა სამედიცინო მომსახურებისათვის გათვალისწინებული ფული წლობით აუთვისებელი რჩებოდა, რადგან მის გამოყენებას აფერხებდა ხელისუფლება.

1900 წელს ქართველი მოღვაწე კ. ყიფიანი სამმართველოში წარდგენილ ბარათში წერდა: მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით დიდად გაიზარდა მოთხოვნილება პროდუქტებზე, ბინებზე, საექიმო დახმარებაზე, რაც ხელისუფლებისათვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ ამ მიმართულებით არაფერი კეთდება, ხოლო ანარიცხებით შეკრეფილი თანხა გამოუყენებელი რჩებაო.

კ. ყიფიანის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე შედგა სპეციალური კომისია პირველი ჭიათურელი ექიმის ვ. გ. წერეთლის ხელმძღვანელობით, რომელმაც აღმაშფოთებელი ფაქტები გამოაცალინა. კომისიამ აღნიშნა, რომ ქსენონი სრულიად უვარგისია და უსუფთაო. ის, პირიქით, სენის გავრცელებას უწყობს ხელს. ავადმყოფების მოვლა არ წარმოებს, შენობა ხშირად თვით ავადმყოფ მუშათა ხარჯზე თბება, რადგან ყინვიან დღეებში შეუძლებელია ქსენონში წოლა; აქ და საერთოდ ჭიათურაში დიდია სიკვდილიანობა, განსაკუთრებით უმუშევარ მუშათა შორის; შიმშილითა და ნაირგვარი სენით დღეში არანაკლები 15 კაცი კვდებაო და სხვ.

ჭიათურის მუშათა უმრავლესობა დაბალ კულტურულ დონეზე იმყოფებოდა, რასაც ხელს უწყობდა მეფის მთავრობა. ცარიზმი თვით მუშათა კლასის არსებობაში, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, თავის საწინააღმდეგოდ მიმართულ თოფის წამალს ხედავდა, ხოლო მუშების განათლებასა და ცოდნაში — ნაპერწკალს[1]. ამიტომ ის განზრახ აფერხებდა მუშათა ფართო მასების განათლებას. მაგრამ 90-იანი წლების მეორე

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 2, გვ. 95.

ნახევრიდან ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა და მოწინავე ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით დაიწყო მუშათა პოლიტიკური ცოდნისა და კულტურული დონის ამაღლება, ჰიათურაში ეწყობოდა საგანმანათლებლო წრეები, წარმოდგენები, ლიტერატურული საღამოები, ვრცელდებოდა ლიტერატურა, რამაც დადებითი როლი შეასრულა მუშათა გათვითცნობიერებასა და წერა-კითხვის უცოდინარობის შემცირების საქმეში.

მაგრამ აღნიშნული ღონისძიებანი ძალზე ნელა ხორციელდებოდა და მუშათა უმეტესობა ისევ სამიკიტნოებისა და სასადილოების მეპატრონეთა ტყვეობაში იმყოფებოდა. ამიტომ „ალი წერეთელი მოითხოვდა, რათა მუშებისა და ჩალვადრებისათვის აგებულიყო იაფფასიანი თავშესაფრები და სასადილოები, რათა ისინი „დუქნებში არ იღუპებოდენო“ [159/218].

აუტანელ პირობებში მუშაობდნენ მუშები ჭვარტლით სავსე მაღაროებში. აქ „მომუშავე კაცი საზარელი სანახავია, ნიადაგ ზანგსავით გაშავ-კუპრებული, გამჭვარტლულ-გამურულია. მის ადამიანობას მოგვაგონებს მარტო თეთრი კბილები და თვალები,“ — წერდა „კვალის“ კორესპონდენტი [252].

ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის, ისე როგორც მრეწველობის სხვა დარგების მუშებიც მოკლებულნი იყვნენ ელემენტარულ უფლებრივ პირობებსაც.

იმ დროს მოქმედი კანონით, მრეწველები ვალდებულნი იყვნენ წარმოებაში დაზარალებული მუშებისათვის ფულადი დახმარება აღმოეჩინათ. მაგრამ ისინი ამ ვალდებულებას სხვადასხვა საშუალებით, უმთავრესად კი ქრთამების გამოყენებით, თავს არიდებდნენ. რადგან მუშებს გაფორმებული არ ჰქონდათ შრომითი ხელშეკრულება, დაშავების შემთხვევებში მათ საჩივრებს ადგილობრივი ორგანოები უყურადღებოდ ტოვებდნენ. უბედურ შემთხვევათა გაფორმება და მათი განხილვა იმდენად ჭიანურდებოდა, რომ ხშირად მომჩივანი ცოცხალი აღარ იყო საქმის გარჩევის დროისათვის, ხოლო ზოგს ბეზრდებოდა სხვადასხვა ინსტანციებში სიარული და საჩივარს თავს ანებებდა. თუ რომელიმე მუშა თავის საქმეს მაინც ბოლომდე

მისდევდა, ის კუთვნილი თანხის მხოლოდ მეათედს ღებულობდა, დანარჩენი კი მათ „დამცველ“ ვექილებს რჩებოდათ.

ასეთი სისტემა ხელს უწყობდა მრეწველთა აღვირახსნილ თვითნებობას. წარმოებას ჩამოცილებული მოხუცები, დასახიჩრებულნი და დავრდომილნი, შიმშილსა და მათხოვრობაში ამთავრებდნენ თავიანთ ცხოვრებას. მუშათა დაზღვევა, როგორც წესი, არ წარმოებდა.

საქართველოს სამთამადნო მრეწველობის მუშებს არავითარი საშუალება და გაერთიანება არა ჰქონდათ ექსპლოატატორების წინააღმდეგ და თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად. ისინი გადაქცეულნი იყვნენ მრეწველებისა და ადგილობრივი მოხელეების „უძირო ქისის უბადრუკ მონებად“ (ვ. ი. ლენინი) და ათეული წლების განმავლობაში დრტვინვით იტანდნენ აუტანელ ჩაგვრას. მაგრამ სამუშაო დღის ხანგრძლიობა, დაბალი ხელფასი, უბინაობა, არაადამიანური საყოფაცხოვრებო პირობები, მრავალსაფეხურიანი ექსპლოატაცია და ა. შ. ხელს უწყობდა მუშებში რევოლუციური იდეების გარედან შეტანასა და მუშათა დარაზმვას. ამ მიმართულებით დიდი როლი შეასრულეს მოწინავე ქარხნებიდან მოსულმა რევოლუციურად განწყობილმა ქართველმა და რუსმა მუშებმა. ჭიათურის მშრომელნიც რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად ჩაებნენ კაპიტალისტებისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც დასაწყისში მასობრივ საგაფიცვო გამოსვლებში გამოიხატა მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან.

ერთ-ერთ ასეთ გამოსვლებთან დაკავშირებით ლენინური „ისკრა“ წერდა: „დიდი ბოღმა და სიძულვილი დაგუბებულა ჭიათურის მუშების გულში, რომ გამანადგურებელ ტალღათ მოედო და თავის გზაზე ყველაფერი დაარბიაო“.

კაპიტალისტური ექსპლოატაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით მუშათა მოძრაობა უფრო ძლიერდებოდა. ჭიათურის მრეწველობის მუშათა კლასი რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ მოწინავე რაზმად ჩამოყალიბდა.

•
• •

ამრიგად ჩვენ განვიხილეთ რეფორმისშემდგომ პერიოდში საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის მთავარი დარგების განვითარება, მათში მომხდარი ძირითადი ცვლილებანი და ამ დარგების მუშათა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა.

თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს შევაჯამებთ, შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი ზოგადი დასკვნები:

საგლეხო რეფორმამ, მისი მემამულურ-ბურჟუაზიული ხასიათის მიუხედავად, ობიექტურად პროგრესული როლი შეასრულა საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნაში. ფეოდალიზმისაგან განთავისუფლებული კაპიტალიზმი უფრო სწრაფად განვითარდა, განსაკუთრებით ამიერკავკასიაში რკინიგზის გაყვანის შემდეგ. რუსეთის კაპიტალიზმმა საქართველო მთელ ამიერკავკასიასთან ერთად ფართოდ ჩააბა მსოფლიო საქონელბრუნვაში. ახალმა ვითარებამ გამოიწვია ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა შემდგომი განვითარება.

მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა ამ ამოცანათა სიმაღლეზე აღმოჩნდა და ის უფრო აქტიურად იბრძოდა მათი პრაქტიკულად განხორციელებისათვის. პროგრესული მოღვაწენი ხელს უწყობდნენ სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებას და ამ მიზნით ბუნებრივ სიმდიდრეთა ფართოდ გამოყენებას. მათი თაოსნობით რამდენადმე გაფართოვდა სამთო მრეწველობა, აღმოცენდა მისი ახალი დარგები.

სახალხო მეურნეობის სწრაფმა განვითარებამ მზარდი მოთხოვნილება წამოაყენა რკინა-ფოლადსა და თუჯზე. ამიტომ მოწინავე მოღვაწენი, აგრეთვე მეწარმე-კაპიტალისტები არაერთგზის შეეცადნენ საქართველოში შეექმნათ შავი მეტალურგიის მძლავრი ბაზა, მაგრამ ამ კეთილმყოფელი მისწრაფების განხორციელება ცარიზმის კოლონიურ-ეკონომიური პოლიტიკის პირობებში შეუძლებელი აღმოჩნდა. ამავე დროს რკინის ადგილობრივი გლეხური სარეწავები ეცემოდნენ „შემოტანილი რუსული პროდუქციის კონკურენციის გამო“. ივი-

ვე ბედი გაიზიარა უცხოელი კაპიტალისტების მიერ აგებულმა ფოლადაურის ქარხანამ. ამრიგად, რეფორმისშემდგომ პერიოდში რკინის წარმოება ჩვენში ფაქტიურად შეწყდა, თუმცა მის აღდგენას უფრო ფართო მასშტაბით არაერთგზის ამაოდ ცდილობდნენ მეწარმენი და ქართველი მოღვაწენი. ამიტომ ჩვენში კვლავ უმთავრესად რუსეთის რკინა მოიხმარებოდა.

რეფორმისშემდგომ რამდენადმე გაფართოვდა საქართველოს ნავთობის წარმოება უმთავრესად კახეთში. ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი წერეთლის თაოსნობით დაიწყო ზემო იმერეთის ნავთის საბადოების დამუშავება. მაგრამ საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარებას აბორკილებდა ბაქოს ნავთობის გასაოცრად მზარდი მრეწველობა, რომლის უცხოელი მაგნატები ხელოვნურად აფერხებდნენ კონკურენტის გაფართოებას.

რეფორმისშემდგომ პერიოდში საქართველოს სამთო მრეწველობის სწრაფი ზრდის თვალსაჩინო მაჩვენებელია ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დიდმა ქართველმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ აკაკი წერეთელმა.

მრეწველობის ამ დარგმა უმოკლეს დროში პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიო ბაზარზე და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს, განსაკუთრებით კი ზემო იმერეთის, საზოგადოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჭიათურის მრეწველობის აღმოცენების შედეგად ადგილობრივი ღარიბი გლეხობიდან ამოიზარდა ზემო იმერეთისათვის მანამდე უცნობი სოციალური ფენა — სამრეწველო მუშათა კლასი, რომელიც შემდგომ ჩამოყალიბდა რუსეთის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ მოწინავე მებრძოლ რაზმად ცარიზმისა და კაპიტალისტთა მთელი კლასის წინააღმდეგ.

ჭიათურის მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით გაიზარდა ადგილობრივი გლეხობის შემოსავალი, ზემო იმერეთში გაფართოვდა ვაჭრობა და ხელოსნობა, წარმოიშვა ხელოსნობის ახალი დარგები. ჭიათურაში რკინიგზის გაყვანით ზემო იმერეთი დაუკავშირდა რკინიგზის მაგისტრალს და ამით შორეულ ბაზრებს, რამაც კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა

როგორც მრეწველობის, ისე მთელი ამ კუთხის შემდგომ განვითარებაზე. ოდესღაც მიყრუებული სოფელი ჭიათურა ჯერ კიდევ რევოლუციამდე გადაიქცა უმნიშვნელოვანეს, მსოფლიოში ცნობილ, სამრეწველო-სავაჭრო დაბად. აღიზარდნენ სამთო საქმის მცოდნე ადგილობრივი კვალიფიციური მუშები და ტექნიკური კადრები. ჭიათურის მრეწველობამ ბიძგი მისცა მანგანუმისა და სხვა საბადოების დამუშავებას საქართველოს სხვა რაიონებშიც.

მრეწველობის აღნიშნულ დარგს აღმოცენებისთანავე მჭიდროდ დაუკავშირდნენ მოწინავე ქართველი მოღვაწენი, რომელნიც განუწყვეტლივ ზრუნავდნენ იმისათვის, რათა ჭიათურის საბადოები ხალხის საკეთილდღეოდ ყოფილიყო გამოყენებული, რისთვისაც ისინი სისტემატურად სახავდნენ რიგ სასარგებლო ღონისძიებებს (მაგ. ფერომანგანუმის წარმოება) და თავდადებით იბრძოდნენ მათი განხორციელებისათვის, მაგრამ არსებული რეჟიმის პირობებში ისინი ოცნების ფარგლებს ვერ ცილდებოდნენ.

წყაროები

1. Ст. Гулишамбаров. а) Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии. Тб., 1888; б) Обзор фабрик и заводов Закавказского края, Тб., 1894.
2. С. Эсадзе. Очерки истории горного дела на Кавказе. Тб., 1903.
3. А. М. Шостак. Исторический очерк развития горного дела на Кавказе. Тб., 1901.
4. О. Карапетян. Краткий очерк развития горного дела на Кавказе. Тб., 1901.
5. ქს. ვ. კვანტრე. საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია. თბ., 1926.
6. დ. წერეთელი. შავი ქვა. თბ., 1930.
7. К истории горной промышленности Грузии (материалы и документы) под ред. Ш. Чхетия, I. Тб., 1936.
8. ბ. გუგუშვილი, ა) კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თბ., 1941; ბ) საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX და XX საუკუნეებში, I. თბ., 1949; გ) იგივე, II, თბ., 1955; Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв. Тб., 1957.
9. ნ. ტყეშელაშვილი. ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან. თბ., 1958.
10. საქ. ცსსა, ფონ. 1461, რვეული № 5, საბ. № 46.
11. ექ. თაყაიშვილი. საქართველოს სიძველენი, III. თბ., 1911.
12. იოანე ბაგრატიონი. სჯულდება. ივ. სურგულაძის რედაქციით. თბ., 1957.
13. პლ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი XIII-ისა, აკ. გაწერელიას რედ. თბ., 1936. აგრეთვე საერთაშორისო სამართლისა და ურთიერთობის დოკუმენტები ი. ენუქიძის რედ. თბ., 1949, გვ. 44.
14. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd—3010; საქ. ცსსა, ფონ. 263, საქ. 582, ფურ. 77—78.

15. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ., II. თბ., 1941.
16. Р. Р. Орбели. Грузинские рукописи института востоковедения АН СССР. М.-Л., 1956.
სავარაუდოა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ეს ღღიურები შეიცავენ სხვა ანალოგიურ ფაქტებსაც. სამწუხაროდ, მისი გაცნობა ვერ მოხერხდა. ღღიურების ფოტოპირი ჩვენ არაერთგზის გამოვითხოვეთ აღნიშნული ინსტიტუტიდან, მაგრამ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის აკად. ორბელისა და მისი თანამშრომლის რ. რ. ორბელის მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული სამეცნიერო დაწესებულებისათვის შეუფერებელი მისწრაფების გამო.
17. საქ. მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. Sd—1482; შ. ბ ურ ჯ ნ ა ძ ე, ისტორიული დოკუმენტები და არქივები, II, თბ., 1953, გვ. 100.
18. დ ა ვ ი თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა. აპ. რ ო გ ა ვ ა ს რედ. თბ., 1959.
19. ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი. კალმასობა, 1. კ ო რ ნ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს და ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედ. თბ., 1936.
20. საქ. მეც. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონ. H—2105 და 607:147. მინაწერში მოხსენებული „ოპანეზა სავათნავაშვილი“ ცნობილი სახალხო მგოსნის საიათნოვას (სავათნოვას) შვილია—იოანე. როგორც ცნობილია, აღა-მაჰმადხანის შემოსევის წინ საიათნოვამ თავისი შვილები მოზდოკში გახიზნა. ერთი მათგანი იქ, როგორც ჩანს, მადნების დამუშავებითაც დაინტერესებულა. ამასთან დაკავშირებით, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ერთი მომენტი მგოსნის ბიოგრაფიიდან. საიათნოვა რამდენიმე წლის განმავლობაში ბერად იყო აღკვეცილი ახპატის მონასტერში, რომელიც სპილენძის ქარხნების მახლობლად მდებარეობდა. ამავე რაიონში, XI —XIII საუკუნეებში არსებულა სამეცნიერო-სალიტერატურო კერები, მათ შორის, ე. წ. „ბენძაჰანქის“, რაც სომხურად ნიშნავს სპილენძის მადანს. იგი აერთიანებდა ახტალასა და „გიურჯიქილას“ (ქართველთა ეკლესია), რომელიც ძველ ქართულ ხელნაწერებში „იწოდების ლითონი სპილენძისად“. უეჭველია საიათნოვა, ბერად ყოფნის დროს, კარგად იცნობდა სპილენძის წარმოების მნიშვნელობას, ხოლო მისი საშუალებით იოანა — ოპანეზაც (ლ. მელიქსედ-ბეგი. საიათნოვა. თბ., 1930, გვ. 57; მისივე—ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა. თბ., 1928, გვ. 58-59; ხელნაწერთა ინსტ., ფონ. A — 1162; Пл. Иоселиани. Путевые записки из Тифлиса до Ахтала. Тб., 1850, გვ. 23, 27).
21. ს ო ლ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, წერილები. ს ო ლ. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი ს რედ. თბ., 1945.
22. გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. 1832 წლის შეთქმულება. თბ., 1935.

23. „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“, I. თბ., 1949; ა ბ. კ ი კ ვ ი-
ძ ე. საქ. ისტორია (XIX საუკუნე). თბ., 1954, გვ. 215 — 216.
24. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. თხზ. სრ. კრებ. აკ. გ ა ნ წ ე რ ე ლ ი ა ს და კ. ჭ უ მ-
ბ ურ ი ძ ი ს რედ. თბ., 1959.
25. ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულება, პოეტ-აკადემიკოსს ი ო ს ე ბ გ რ ი-
შ ა შ ვ ი ლ ი ს რედ. თბ., 1940.
26. საქ. ცსსა, ფონ. 1105, საქ. 42, ფურ. 75. აქვე აღვნიშნავთ ერთ დე-
ტალს ალ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიიდან: ყრმობაში ის ერთხანს მოს-
კოვში ცხოვრობდა ბაგრატ ბატონიშვილთან, რომელიც, როგორც
ითქვა, დაინტერესებული იყო საბადოების გამოყენებით (ხელნაწერ-
თა ინსტ. ფონ. H — 2105 და 607:147). გამორიცხული არ არის,
რომ ალ. ჭავჭავაძეს სწორედ ამ პერიოდში ჩაესახა ინტერესი საბა-
დოებისადმი. საბადოების დამუშავებას თავის მამულში აპირებდა აგ-
რეთვე პოეტის ვაჟი—დავითი, მაგრამ ეს წამოწყება უშედეგოდ და-
მთავრდა.
27. მ ი ხ. ხ ე ლ თ უ ბ ნ ე ლ ი. სალიტერატურო-საზოგადოებრივი წარსუ-
ლიდან (მიხ. თუმანიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა). თბ., 1936.
28. ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე. ივანე კერესელიძე, თბ., 1959.
29. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, წერილები, I. აკ. გ ა ნ წ ე რ ე ლ ი ა ს რედ. თბ.,
1936.
30. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. წერილები, II. აკ. გ ა ნ წ ე რ ე ლ ი ა ს რედ., თბ.,
1936.
31. საქ. ცსსა, ფონ. 1462, საბ. 2.
32. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I. თბ., 1935.
33. ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი. რჩ. ნაწ., I. თბ., 1930.
34. ხელნაწერთა ინსტ., დიმ. ყიფიანის პირადი საარქივო ფონდი, საბ.
№ 309.
35. ეურ. „მწყემსი“, 1893, № 5—6.
36. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე. რჩ. ნაწერები, II. თბ., 1932; ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი.
„იმერლები“ (გაზ. „დროება“, 1875, № 13—18, 22—23); „ლიტ-
მემკ.“, I. თბ., 1935, გვ. 564.
37. Н. Г. Чернышевский. Полн. собр. соч., IV. М, 1949.
38. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 65, ფურ. 80—85.
39. საქ. ცსსა, ფონ. 418, საქ. 2, ფურ. 14.
40. Ш. К. Чхетия. Материалы по истории Грузии (1861—1917),
I, ч. II. Тб., 1960.
41. საქ. ცსსა, ფონ. 10, საქ. 175, ფურ. 50—51.
42. ს ი მ. ხ უ ნ დ ა ძ ე, დიმიტრი ყიფიანი. თბ., 1936.
43. შ. ჩ ხ ე ტ ი ა. საქართველოში საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის.
თბ., 1950.
44. Г. И. Мегрелишвили. Грузинская общественно-экономи-

ческая мысль второй половины XIX века и начала XX века. I. Тб., 1960.
45. ი. გოგებაშვილი. რჩ. ნაწარმოები, II. თბ., 1930.
46. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 359, ფურ. 12. და სხვა.
47. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I. თბ., 1930.
48. И. Г. Антелава. К вопросу о характере эк. развития Грузии в предреформенный период. «Труды Абх. института». Сух., 1956.
49. საქ. ცსსა, ფონ. 548, აღწ. 3, საქ. 74, ფურ. 6—7; ფონ. 16, საქ. 8888, ფურ. 17—18.
50. Ш. Чхетия. Тбилиси в XIX столетии. Тб., 1942.
51. საქ. ცსსა, ფონ. 10, საქ. 496, ფურ. 87.
52. ბ. გუგუშვილი. შინამრეწველური მეღვინეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. საქ. მეც. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტის „შრომები", III. თბ., 1941, გვ. 77—78; საქ. ცსსა, ფონ. 488, აღწ. 2, საქ. 1998, ფურ. 41; აღწ. 6, საქ. 5774, ფურ. 38—46, 48; „აქტები", VII, ნ. 1, გვ. 188.
53. „გუთნის დედა", 1863, № 1, გვ. 5.
54. ЗКОСХ, 1860, № 3.
55. „გუთნის დედა", 1862, № 1, გვ. 3.
56. „გუთნის დედა", 1863, № 11.
57. საქ. ცსსა, ფონ. 10, საქ. 39, ფურ. 90, 105 — 106.
58. საქ. ცსსა, ფონ. 10, საქ. 220, ფურ. 4—5, 21 და სხვ.
59. გ. თავზიშვილი. სახ. განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორია საქართველოში 1801 — 1870 წწ., თბ., 1948, გვ. 173.
60. «Кавказ», 1862, № 9, 27.
61. საქ. ცსსა, ფონ. 16, საქ. 8888, ფურ. 129—130.
62. საქ. ცსსა, ფონ 10, საქ. 496, ფურ. 87, 89; ფონ. 19, საქ. 105-ვ, ფურ. 6—7.
63. საქ. ცსსა, ფონ. 16, საქ. 3503, ფურ. 5—6.
64. საქ. ცსსა, ფონ. 1105, საქ. 325, ფურ. 4—5.
65. საქ. ცსსა, ფონ. 414, აღწ. I, საქ. 18, ფურ. 14.
66. საქ. ცსსა, ფონ. 16, საქ. 3503, ფურ. 5—6; საქ. 5543, ფურ. 3; ფონ. 414, აღწ. I, საქ. 18, ფურ. 14.
67. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 159, ფურ. III.
68. ОРВЗ, I, გვ. 116, 213—214; Ш. А. Месхия. Города и городской строй феодальной Грузии XVII—XVIII вв. Т., 1959, გვ. 125.
69. Г. К. Бакрадзе. Вонзикновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке. Тб., 1958.
70. დ. გვრიტიშვილი. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1955.

71. საქ. ცსსა, ფონ. 16, საქ. 8093, ფურ. 28; ფონ. 254, საქ. 227, ფურ. 28; ფონ. 1087, აღწ. I, საქ. 1021, ფურ. 5, 22—24; ფონ. 414, აღწ. I, საქ. 18, ფურ. 14.
72. საქ. ცსსა, ფონ. 263, საქ. 52, ნაწ. 2, ფურ. 331, 631-ა.
73. საქ. ლიტერატურული მუზეუმი, საბ. № 4719.
74. საქ. ცსსა, ფონ. 1087, აღწ. I, საქ. 1021, ფურ. 14.
75. საქ. ცსსა, ფონ. 548, აღწ. 3, საქ. 74, ფურ. 34.
76. ვ. ი ა შ ვ ი ლ ი. აკარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში. ბათ., 1948, გვ. 39, აკ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი. „საქართველოს უძველესი მეტალურგიული ცენტრების საკითხისათვის“ („მეც. და ტექნიკა“, თბ., 1950, № 2, გვ. 20).
77. საქ. ცსსა, ფონ. 16, საქ. 3503, ფურ. 5—6; ფონ. 254, საქ. 650, რიგ. № 4; საქ. 651, №№ 434, 994, 1144 და სხვ.
78. საქ. ცსსა, ფონ. 16, საქ. 4669, ფურ. 1—2.
79. საქ. ცსსა, ფონ. 2, აღწ. I. საქ. 6366, ფურ. 20.
80. Ф. Э н г е л ь с. Статьи и письма по военным вопросам, М., 1923, стр. 80; Е. А д а м о в и Л. К у т а к о в. «Из истории происков иностранной агентуры во время кавказских войн». Журн. «Вопросы истории», 1950, № 11. ст. 102—113. М. М. Г а б р и ч и д з е. Шамиль-ставленник султанской Турции английских колонизаторов (сборн. докумен. и материалов). Тбилиси. 1953, гз. 472; საქ. ცსსა, ფონ. 548, აღწ. 2, საქ. 969, ფურ. 18—19.
81. საქ. ცსსა, ფონ. 4, საქ. 744, ფურ. 18.
82. П. П. А н о с о в. Собр. Соч. М., 1954.
83. «Вестник древней истории», 1947, № 2, № 3, гз. 272.
84. Архив истории науки и техники, 1936, в. 8.
85. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III. თბ., 1958, გვ. 244, 275, 285, 304.
86. საქ. ცსსა, ფონ. 12, აღწ. 4, საქ. 1062, ფურ. 5.
87. საქ. ცსსა, ფონ. 2, აღწ. I, საქ. 183, ფურ. 162—173; საქ. 158, ფურ. 7, 391.
88. «Библиотека для чтения», 1848, № 86.
89. «Северный архив», X. 1823, ст. 232, 234.
90. И. А н д р о н и к о в. М. Ю. Лермонтов в Грузии в 1837 году. Тб., 1958.
91. Кавказский календарь на 1851 г., 11.
92. საქ. ცსსა, ფონ. 254, საქ. 649, ფურ. 252, რიგითი № 678; ფონ. 213, აღწ. I, საქ. 212, ფურ. 1—2 და სხვ. საქმეები.
93. საქ. ცსსა, ფონ. 1105, საქ. 235, ფურ. 44; ფონ. 213, აღწ. I, საქ. 212, ფურ. 49.
94. საქ. ცსსა, ფონ. 1105, საქ. 171, ფურ. 2; ფონ. 12, აღწ. I, საქ. 1962, ფურ. 1.

95. И. Пешкин. П. П. Аносов. М., 1954.
96. „აქტები“, VIII, გვ. 191—192.
97. „აქტები“, VII.
98. В. Потто. Кавказская война, IV.
99. И. Н. Богач. П. П. Аносов и секрет булата. М., 1952.
100. საქ. ცსსა, ფონ. 16, საქ. 3614, ფურ. 192; ფონ. 2, აღწ. 2, საქ. 4681, ფურ. 32.
101. ЦГИАЛ СССР, ф. 1268, оп. 1, д. 744, л. 91.
102. დ. გოგოლაძე. კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830 — 1864 წწ.). თბ., 1959.
103. საქ. ცსსა, ფონ. 414, აღწ. I, საქ. 18, ფურ. 11—12.
104. ედ. ხოშტარია. დაქირავებული შრომა საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში (საკანდიდატო დისერტაცია). თსუ, 1955.
105. საქ. ცსსა, ფონ. 16, საქ. 6105, ფურ. 35.
106. საქ. ცსსა, ფონ. 16, საქ. 6249, ფურ. 21—22, 31.
107. საქ. ცსსა, ფონ. 4, აღწ. 4, საქ. 143. ფურ. 1, 5; ფონ. 264, საქ. 140. ფურ. 1—9.
108. საქ. ცსსა, ფონ. 4, აღწ. 5, საქ. 456, ფურ. 2—3; ფონ. 10, საქ. 39, ფურ. 90—106.
109. საქ. ცსსა, ფონ. 16, საქ. 6351, ფურ. 26—28.
110. საქ. ცსსა, ფონ. 4, აღწ. 5, საქ. 125, ფურ. 26—27; ფონ. 16, საქ. 6351, ფურ. 26—28.
111. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 8, ფურ. 18, 44.
112. საქ: ცსსა, ფონ. 264, საქ. 227, ფურ. 13; საქ. 280, ფურ. 13—14, 131; ფონ. 10, საქ. 1823, ფურ. 1—2; ფონ. 4, აღწ. 4, საქ. 101, ფურ. 1, 5, 36.
113. საქ. ცსსა, ფონ. 8, საქ. 4260, ფურ. 14, 18; ფონ. 488, აღწ. 6, საქ. 5774, ფურ. 1; საქ. 10875, ფურ. 48; ფონ. 1438, საქ. 609.
114. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 208, ფურ. 1, 12; ფონ. 1105, საქ. 1018, ფურ. 21; ნ. ნიკოლაძე. თხზ. II. დ. გამეზარდაშვილის რედ. თბ., 1960, გვ. 609—610; ფონ. 10, საქ. 374, ფურ. 3, 8, 27, 146; საქ. 369, ფურ. 48; ფონ. 16, საქ. 2024, ფურ. 1—2; ფონ. 4, აღწ. 4, საქ. 85, ფურ. 5.
115. С. Д. Бурнашев. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского. 1798, გვ. 2.
116. საქ. ცსსა, ფონ. 4, საქ. 1780, ფურ. 9—12; საქ. 1702, ფურ. 6—12; ფონ. 1105, საქ. 42, ფურ. 1—3; საქ. 43, ფურ. 11.
117. საქ. ცსსა, ფონ. 10, საქ. 125, ფურ. 3, 6; ფონ. 4, აღწ. 5, საქ. 125, ფურ. 26—27; ფონ. 264, საქ. II, ფურ. 2, 61.

118. საქ. ცსსა, ფონ—4, აღწ. 4, საქ. 31, ფურ. 15, 143; აღწ. 5, საქ. 125, ფურ. 10—11 და სხვ.
119. ბ. გ ო გ ო შ ვ ი ლ ი. „გერმანელი კოლონისტები და ადგილობრივი გლეხობა ამიერკავკასიაში“ (საქ. მეც. აკად. ეკონომიკის ინსტ. „შრომები“, I. 1946, გვ. 216).
120. საქ. ცსსა, ფონ. 254, საქ. II, ფურ. 2, 9, 38, 41, 61; ფონ. 264, საქ. 20, ფურ. 4, 5, 9.
121. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 39, ფურ. 97—98; საქ. 159, ფურ. 7, 71, 86, 118 და სხვ.
122. საქ. ცსსა, ფონ. 263, საქ. 159, ფურ. 86—89; საქ. 128, ფურ. 119-120.
123. ზემო რაჭის მეტალურგიული სარეწავები ვრცლად გამოიკვლია ისტ. მეც. კანდიდატმა ნ. რეხვიაშვილმა („მეედლობა რაჭაში“. თბ., 1953) და ფრიად საყურადღებო ცნობები გამოაელინა (ნახ. აგრეთვე ჩვენი რეცენზია აღნიშნულ შრომაზე—ჟურ. „მეც. და ტექნიკა“, 1954. № 6, გვ. 44—46).
124. თ. ე ო რ დ ა ნ ი ა. ქრონიკები, II. თბ., 1897.
125. აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი. რჩ. ნაწერები, III. თბ., 1930.
126. საქ. ცსსა, ფონ. 10, საქ. 354, ფურ. 15—16.
127. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 811, ფურ 6—8.
128. ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი. მეედლობა რაჭაში. თბ., 1953.
129. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 703, ფურ. 3.
130. საქ. ცსსა, ფონ. 4, აღწ. 4, საქ. 135, ფურ. 1—3.
131. საქ. ცსსა, ფონ. 1438, საქ. 609.
132. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 65, ფურ. 1—16, 21—42; ფონ. 4, აღწ. 4, საქ. 31, ფურ. 53—55. დაწვრილებით იხ. ჩვენი წვრილი ჟურ. „საისტორიო მოამბეში“, 1955, № 8.
133. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 65, ფურ. 49—54.
134. საქ. ცსსა, ფონ. 10, საქ. 1457, ფურ. 21—22.
135. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 65, ფურ. 195.
136. შ. ჩ ხ ე ტ ი ა. საქართველოში ბურჟუაზიული კულტურის გენეზისის საკითხისათვის. პუშკინის სახ. თბილისის სახელმწ. პედინსტიტუტის „შრომები“, III, 1943.
137. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 159, ფურ. 111.
138. В. А. Мелконян. Металлургия меди в Армении. М., 1955.
139. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 11, ფურ. 63—65.
140. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 2, ფურ. 27—28, 97—98; საქ. 159, ფურ. 117—118; ფონ. 4, აღწ. 4, საქ. 31, ფურ. 15—16.
141. მასალები საქ. და ამიერკავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29. თბ., 1951.
142. საქ. ცსსა, ფონ. 263, საქ. 52, ნაწ. I. ფურ. 19, 255; ნაწ. II, ფურ. 21, 35, 213, 235, 364—365 და სხვ.
143. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 159, ფურ. 89.
144. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ., 3, თბ., 1952.

145. „სასოფლო გაზეთი“ 1871, № 11; 1870, № 10.
146. А. Цулукидзе. Соч., I. Тб., 1943.
147. საქ. ცსსა. ფონ. 5, საქ. 1416, ფურ. 6; საქ. კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, I. თბ., 1957, გვ. 14.
148. „დროება“, 1875, № 103.
149. ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე. 1913.
150. „დროება“, 1866, № 5.
151. „ლიტერატურის მატიანე“, № 5, ნაკ. I. თბ., 1949.
152. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., 1941.
153. „ივერია“, 1893, № 265. აკაკი წერეთელი „შავი ქვის ამბავი“.
154. საქ. ცსსა, ფონ. 418, საქ. 2, ფურ. 3—4, 14.
155. „დროება“, 1872, № 40.
156. „დროება“, 1872, № 18.
157. „ლიტ. მატიანე“, № 1—2. თბ., 1940, გვ. 306—308; საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 734, ფურ. 3.
158. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 786, ფურ. 1—2, 8—18, 27—41.
159. ა. კოპლავაშვილი. აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი. თბ., 1958.
160. საქ. ლიტ. მუზეუმი, საბ. № 18914-ხ.
161. ფ. მახარაძე. თხზ., 8. თბ., 1932.
162. „კვალი“, № 14, 1898.
163. „დროება“, 1868, № 25.
164. დაწვრილებით იხ. ჩვენი წერილი „ილია ჭავჭავაძე და მრეწველობის საკითხები“ (ჟურ. „ცისკარი“, 1957, № 5, გვ. 137—144), პ. გუგუშვილი, „ილია ჭავჭავაძის ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ“ (ჟურ. „ცისკარი, 1960, № 2, 3).
165. პ. რატიანი. ილია ჭავჭავაძე, 1. თბ., 1949, გვ. 60; მისივე—ილია ჭავჭავაძე, II. თბ., 1957, გვ. 17. და სხვ.
166. ილია ჭავჭავაძე. თხზ. 4, თბ., 1955.
167. ი. ოიეიძე. ივანე მაჩაბელი და მეფის ცენზურა (ჟურ. „საისტორიო მოამბე“, 1956, № 9, გვ. 327).
168. ლ. გორგილაძე. მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში. თბ., 1956.
169. „კრებული“, 1873, № 3. გ. წერეთელი. „ამ დროის მოძრაობა“.
170. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 811, ფურ. 1—5; საქ. 880, ფურ. 19—20, 135; ფონ. 5, საქ. 3974, ფურ. 12; საქ. 1416, ფურ. 6; საქ. 7891, ფურ. 16.
171. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 1131, ფურ. 25—26; საქ. 1229, ფურ. 109 და სხვ.
172. საქ. ცსსა, ფონ. 19, საქ. 105-ვ, ფურ. 5.
173. საქ. ცსსა, ფონ. 10, საქ. 1457, ფურ. 83—85.

174. ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს პირადი არქივი. საბ. № 13/338.
175. იქვე. საბ. № 51 — 88.
176. ЦГИАЛ СССР, გვ. 37, оп. 65, д. 1988, л. 207, 210—211, 228—253 და სხვ.
177. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 159. ფურ. 89, 104; ფონ. 10, საქ. 1345, ფურ. 12—14.
178. საქ. ლიტ. მუზეუმი, საბ. № 021758. საბუთზე მიგვითითა მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა ს ო ლ. ლ ე კ ი შ ვ ი ლ მ ა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.
179. საქ. ცსსა, ფონ. 418, საქ. I. ფურ. 23; ფონ. 264, საქ. 359, ფურ. 73—78; 156—159; საქ. 674, ფურ. I.
180. საქ. ცსსა, ფონ. 17, საქ. 8980-ბ, ფურ. 42—43; Д. И. М е н д е л е е в, Нефтяная промышленность в Пенсильвании и на Кавказе. СПБ, 1877, გვ. 212.
181. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 2075, ფურ. 275; საქ. 2911, ფურ. 177, 179.
182. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 1183. ფურ. 22—23, 44.
183. ეგ. ნ ი ნ ო შ ვ ი ლ ი. თხზ., II. თბ., 1950.
184. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 21. ფურ. 8—9, 33; საქ. 379, ფურ. 6; საქ. 2687, ფურ. 8, 18, 21. 24.
185. „დროება“, 1879, № 252.
186. „კრებული“, 1872, № 7—8, გვ. 57.
187. ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ი ს პირადი არქივი თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში.
188. ს. ხ უ ნ დ ა ძ ე. მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის. თბ., 1949.
189. „დროება“, 1884, № 208, 216.
190. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 1307, ფურ. 59.
191. აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო მუზეუმი სხეიტორში, დ ა ვ ი თ წ ე რ ე თ ლ ი ს პირადი საარქივო საბუთები, განყ. I, საბ. № 12; განყ. III, საბ. № 45.
192. „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I. თბ., 1935. გიორგი წერეთლის წერილები ანასტასია თუმანიშვილი — წერეთლისადმი. პუბლიკაცია მ ა მ ი ა დ უ დ უ ჩ ა ვ ა ს ი.
193. ე ლ ე ნ ე გ ი ო რ გ ი ს ა ს უ ლ ი წ ე რ ე თ ლ ი ს გამოუქვეყნებელი „მოგონება გიორგი წერეთელზე“, თბ., 1930, გვ. 15, მოგონების სრული ტექსტი თავაზიანად გაგვაცნო პროფ. რ უ ს უ დ ა ნ ნ ი კ ო ლ ა ძ ე მ, რისთვისაც მას უღრმეს მადლობას მოვახსენებთ.
194. Г. М. Туманов. Характеристики и воспоминания. Тб., 1900.
195. ე. ლ. ჭ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. საქართველოში მანგანუმის მრეწველობის განვითარება. თბ., 1960.
196. „ივერია“, 1893, № 256.
197. ნ ი კ ო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმა-

ნითურთ. ა. ა. ღ ლ ო ნ ტ ი ს გამოკვლევითა და რედაქციით. თბ., 1961.
198. ა. ი ო ვ ი ძ ე. აკაკი წერეთელი (დოკუმენტები). ეურ. „საისტორიო მოამბე", 1953, № 7.
199. საქ. ცსსა, ფონ. 263, საქ. 9, ფურ. I.
200. «Горный журнал», VI. СПБ., 1858.
201. „დროება", 1880, № 5.
202. საქ. ცსსა, ფონ. 4, აღწ. 5, საქ. 143, ფურ. 1—2, 4—5, 19—21; ფონ. 264, საქ. 7, ფურ. 2.
203. ჭიათურის სახლ-მუზეუმი. ძველი მუშების მოგონებანი.
204. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქ. ფილიალი, პარტარქივი, ფონ. 34, საქ. № 11, ფურ. 1—5.
205. დ ა ვ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი. თხზ., II, თბ., 1953, გვ. 329—333; აგრეთვე ეურ. „განათლება", 1911, № 1, გვ. 26.
206. ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი. თხზ., I, თბ., 1950, გვ. 39; გაზ. „ნოვოე ობოზრენიე", 1894, № 3696, 3703, 3705; საქ. ლიტ. მუზ., საბ. № 16894, 16896, 6832, გვ. 49; საქ. ცსსა, ფონ. 417, აღწ. 2, საქ. 259, ფურ. 74—76.
207. კ ი რ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ი ს საარქივო ფონდი ქუთაისის საისტ.-ეთნოგრ. მუზეუმში, საბ. № 917.
208. ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი. თხზ., I. თბ., 1950.
209. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 359, ფურ. 1—2.
210. „ივერია", 1889, № 257.
211. ლ ე ვ. ა ს ა თ ი ა ნ ი. ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ., 1953.
212. ნაწერები ს ე რ გ ე ი მ ე ს ხ ი ს ა, I. თბ., 1903.
213. „დროება", 1880, № 20.
214. «Новое Обозрение», 1894.
215. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 636, ფურ. 6; საქ. 510, ფურ. 24 — 25.
216. იგივე ფონდი, საქ. 628, ფურ. 1—2.
217. „კვალი", 1902, № 49, გვ. 791.
218. „ლიტ. მატიანე", 1942, № 3—4.
219. „დროება", 1880, № 113.
220. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 744, ფურ. 33.
221. Н. Николадзе. К истории марганцевой промышленности. Тб., 1945.
222. ს ე რ. მ ე ს ხ ი. წერილები, ი. ბ ო ც ვ ა ძ ი ს რედ. სუხ., 1950.
223. თ ა მ ა რ მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი. „ნ. ნიკოლაძის გაზეთი „ობზორი" (ეურ. „საისტ. მოამბე", 1952, № 6).
224. გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955, გვ. 7.
225. საქ. ცსსა, ფონ. 417, აღწ. 2, საქ. 259, ფურ. 74—75.
226. «Кавказ», 1879, № 279.

227. „დროება“, 1879, № 248.
228. „დროება“, 1880, № 113.
229. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 956, ფურ. 4—5. საქ. 970, ფურ. 1—8; საქ. 1030, ფურ. 13, 22—23; საქ. 1076, ფურ. 75—76.
230. იგივე ფონდი, საქ. 1307, ფურ. 74—81; ნ. ტყეშელაშვილი, დას. შრ., გვ. 21.
231. იგივე ფონდი, საქ. 1076, ფურ. 57.
232. საქ. ცსსა, ფონ. 19, საქ. 99-ბ, ფურ. 1-2.
233. „დროება“, 1880, № 225.
234. „ქვალი“, 1902, № 49, გვ. 791.
235. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 1542, ფურ. 29, 76; საქ. 1329
236. „ივერია“, 1887, № 224.
237. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 1385, ფურ. 2.
238. „ივერია“, 1887, № 227.
239. «Кавказ», 1888, № 10, 13.
240. ეგ. ნინოშვილი. თხზ., III, თბ., 1935.
241. სოფ. მგალობლიშვილი. მოგონებანი. თბ., 1938.
242. საქ. ცსსა, ფონ. 264, საქ. 1307, ფურ. 57—72.
243. Обзор Кутаисской губернии. Кут., 1888, გვ. 14—15, А. И. Робакидзе. Некоторые стороны быта рабочих чиатурской марганцевой промышленности. Тб., 1953.
244. Стат. сведения о Шорапанском уезде. Тб., 1901.
245. საქ. ცსსა, ფონ. 14, საქ. 71, ფურ. 17—19.
246. Н. А. Чахвашвили. Рабочее движение в Грузии (1870—1904 гг.), Тб., 1958.
247. В. С. Бахтадзе. Очерки по истории Грузинской общественно-экономической мысли (60—90 годы XIX столетия). Тб., 1960.
248. Стат. сведения о Шорапанском уезде. Об экон. положении крестьян по исслед. в 1892—1893 годах.
249. საქ. ცსსა, ფონ. 1438, საქ. 533, ფურ. 6.
250. დ. კლდიაშვილი, თხზ., II, თბ., 1952.
251. ა. კოპლავაშვილი. უცნობი ლექსები ჭიათურაზე. გაზ. „ჭიათურის მაღაროელი“, 1962, № 12.
252. „ქვალი“, 1898, № 33.

საძიებლები

პირთა სახელების საძიებელი

ა

აბაშიძე 209
აბაშიძე დ. ქ. 276, 288
აბაშიძე ი. 241, 275, 276, 278
აბაშიძე კ. 235
აბაშიძე ს. 33
აბდუშელიშვილი კ. 291
აბიხი 8, 29, 107, 111, 125, 126, 139, 140, 206, 226—228, 232—234, 243, 247, 252, 254
აბრამიშვილი ა. ზ. 258
აბრამიშვილი პ. დ. 317
ადამოვი ე. 335
ავალიშვილი 268
აზნაურიანი 288
ათაბეგოვი 288
აკირტავა პ. 10
ალბესტრომი 199
ალელოვი ი. დ. 199
ალექსანდრე II 32
ალექსანდროვი ა. 110
ამბაროვი 103
ამილახვარი ა. ა. 178
ამილახვარი ა. 69
ამილახვარი გ. 69
ანანოვი ა. ს. 48, 50, 198, 304
ანანოვი მ. 299
ანიჩკა (ნიკოლაძე) 221
ანდრეი 206—207
ანდრონიკაშვილი—ჯორჯაძე ნ. ზ. 178
ანდრონიკაშვილი ს. 49
ანდრონიკოვი ი. 74—77, 86, 335
ანთელავა ი. 11, 334
ანოსოვი პ. პ. 66, 68, 88—91, 335, 336
არენდტი ა. 32
არენდტი ვ. ვ. 74
არუთინოვი დ. 105
არღუთაშვილი ს. 23
ასათიანი ლ. 235, 236, 263, 340
აფხაზი ა. დ. 169
აფხაზი დ. 189
აფხაზი ი. 26
აფხაზი კ. 177, 189
აფხაზი მ. 126, 152, 177
აღა მაჰმად-ხანი 14

ბ

ბაგრატიონი ი. რ. 23
ბაგრატიონი იოანე 17, 21, 23, 63, 69, 331, 332
ბაგრატიონ-მუხრანსკი კ. 209 (იხ. მუხრან-ბატონი)
ბაგრატიონი პ. რ. 32, 33, 234

ბაზილი 114
ბაისაგელოვი ა. 105
ბარათაშვილი მ. თ. 178
ბარათაშვილი ნ. მ. (პოეტი) 27, 32
ბარათაშვილი ნ. 131, 151
ბარალი 269
ბარამიძე ა. 332
ბარიატინსკი 31, 35, 142
ბარონ ნიკოლაი 48, 50, 117
ბასტამოვი 128
ბატონიშვილი ბ. 21, 23, 333
ბატონიშვილი დავითი 18—21, 23, 332
ბატონიშვილი დ. 26, 32
ბატონიშვილი თ. 21, 31
ბაქრაძე გ. კ. 11, 334
ბაქრაძე დ. 176, 280
ბაცევიჩი ლ. 176, 246, 247, 251 253, 255
ბახმეტევი ბ. ა. 206, 309
ბახტაძე ვ. ს. 341
ბახჩალოვი 128
ბებუთოვი 98
ბეგათბეგოვი 128
ბელიაევა თ. ი. 103, 177
ბელინსკი ბ. 34
ბერმანი 206
ბერნული ო. 144, 194
ბერძენიშვილი ნ. 11, 335
ბესემერი 225
ბილპაცი 198
ბიხოლდტი 52, 101
ბიბილეევი თ. 52
ბოგაჩი ი. თ. 199, 200, 305
ბოგაჩი ი. ნ. 88, 90, 336
ბოლტონი ვ. 203
ბოკორიშვილი ი. მ. 256
ბრანდტი 98
ბრეგვაძე გ. 317
ბუნგე ა. ა. 196, 206, 210—212, 214—216
ბურნაშევი ს. დ. 110, 115, 336
ბუხრაშვილი ს. ლ. 229, 312
ბურჯანაძე შ. 332

გ

გაბრიჩიძე მ. მ. 335
გაგარინი 103
გავაშელი ა. 256
გალეი 268
გამეზარდაშვილი დ. 336
გამყრელიძე ი. 181
გამცემლიძე პ. 316
„განი“ (ა. ჯაბადარი) 290
გარნერი 281
გარსევანიშვილი ნ. 171, 190
გაწერელია ა. 333
გეიდენი პ. ა. 200
გეიკინგი ე. 194, 198, 304
გელუაშვილი გ. 63, 66
გეორგა 63, 66, 71—72, 74—75 (იხ. ელიარაშვილი გეურქა)
გეურგა 77, 79 } (იხ. ელიარაშვილი
გეურქა 72 } ლი გეურქა)
გვრიტიშვილი დ. 11, 334
გიორგი 221 (იხ. წერეთელი გ. ე.)
გიორგი XII 19
გიულდენშტედტი 110
გოგებაშვილი ი. 39, 238, 334
გოგოლაძე დ. 336
გოზალიშვილი გ. 332
გოლოვინი 103
გოლუბოვი 270, 271
გორგაძე ს. 231
გორგილაძე ლ. 338
გორდეევი 113
გოხშტრაზერი 97

გრიბოედოვი ა. ს. 24, 25
გრიშაშვილი ი. 333
გუგუშვილი პ. 11, 67, 74, 297, 331, 334, 337, 338
გულიშამბაროეი ს. 7, 9, 192, 331
გურიელი გ. 206, 207
გურიელი მ. 176

დ

დადიანი (ქავქავაძე) ე. ა. 32, 33
დადიანი ნ. ტ. 176, 208, 224, 273, 275, 282, 300
დავიდოვი პ. 206
დავითასშვილი პ. 63
დავითაშვილი ს. 250
დავითი 237 (იხ. წერეთელი დ. რ.)
დარეჯან დედოფალი 18
დევიძე ზ. 271
დეკანოზიშვილი გ. 241, 245, 278, 290, 306, 313
დიონისი 70
დუდუჩავა მ. 339
დუმბაძე მ. 11
დურასოვი 275
დუჩიძე (კუპრაშვილი) შ. 105

ე

ევსტაფი 70
ეიხფელდი 125
ელიაზარიშვილი } (იხ. ელიარაშვილი ყარამანი)
ელიაზაროვი }
ელიარაშვილი ა. 78
ელიარაშვილი ალ. 78
ელიარაშვილი გეურქა 63, 67, 77, 78, 79
ელიარაშვილი ე. 78
ელიარაშვილი ს. 78
ელიარაშვილი ყარამანი 63, 66, 67, 78, 79, 81, 82, 84, 85, 87, 88
ელიაროვი იაგორა 75, 76 (იხ. ელიარაშვილი გეურქა)
ელრიჯი 143
ენგელსი ფ. 64, 123, 154, 155, 180, 335
ენუქიძე ი. 331
ენფინჯიანცი 98
ერეკლე მეორე 16, 21, 68, 77, 125, 139
ერისთავი 106
ერისთავი გ. 29
ერისთავი დ. გ. 175, 288
ერისთავი კ. 201
ერისთავი რ. 201, 202
ერისთავი ს. დ. 201
ერისთავი ს. 211, 216
ერისთავი ქ. დ. 177, 207, 208
ერმოლოვი ა. ს. 242
ესაძე ს. 8, 62, 69, 86, 331
ეფიმოვსკი ი. 241, 274, 278, 288, 289

ვ

ვალბერგი 106
ვართაზაროვი 203
ვატმანი 96
ვაშაძე ე. ბ. 256
ვაშაძე ზ. 256
ვაშაძე საჩინო 256, 314
ვაშაძე ს. 256
ვახუშტი III, 139, 169, 226, 338

ვილანდი 68
ვიტტე 144, 194
ვოლფერცი 85
ვორონოვი თ. ნ. 22
ვორონცოვი მ. ს. 47, 61, 65, 99, 102, 103, 108, 109, 118, 129 149, 150, 160
ვორონცოვ-დაშკოვი 308
ვოსკობოინიკოვი 124, 135, 136, 138

ზ

ზაველეისკი პ. დ. 24, 25
ზავრიევი 101, 102
ზაქარიაძე გ. 192
ზდანოვიჩი გ. 178, 208, 310, 324 (იხ. მაიაშვილი)
ზეტცერი 98
ზოტიშვილი ი. 61
ზუბალაშვილი ი. 96, 97
ზუბოვი 61

თ

თავზიშვილი გ. 334
თამამშევი 101, 117, 189
თაყაიშვილი ექ. 331
თუმანიშვილი ანასტასია-წერეთ-ლისა 218
თუმანიშვილი გ. მ. 222, 339
თუმანიშვილი მ. 27, 53, 106, 333

ი

იანოვსკი ს. 198, 304
იაშვილი ვ. 335
იგნატიევი 275
ივანე (ბერძენი მადანჩი) 24
ივანიცკი 29, 108, 135, 136, 141, 142
ილიმოვი 196, 285
იოვიძე ა. მ. 5, 338, 340
იოლესი 198
იოსელიანი ავ. 334
იოსელიანი პლ. 28, 61, 104, 129, 331. 332
იულონი 16
იუქაკოვი 85

კ

კაიზერლინგი ა. გ. 200
კალანდაძე ალ. 333
კალინინი 228
კარკრინი 80—82, 85—87, 124
კაპანაძე ა. ი. 175, 230, 231, 260, 264, 266, 268, 272, 273, 275, 279, 292
კაპანაძე ი. 218
კაპანაძე ქ. 177
კარაპეტიანი ო. 8, 9, 191, 192, 241, 271, 331
კარაპეტოვი 193
კარპინსკი 108, 135, 136, 138
კასტელა 25, 95
კასტენგი 170
კვანტრე ქს. ე. 9, 10, 331
კვირკველაძე ა. 206
კეკელიძე კ. 332
კერესელიძე ი. 29, 30, 333
კიკვიძე ა. 11, 333
კირიაკოვი 170
კისალოვი 184

კლდიაშვილი დ. 230, 312, 314, 340, 341
კლდიაშვილი დ. ს. 284, 291
კლიუმე 275
კნორინგი 110
კოვანკო 196
კოლოსოვსკი 189
კოლუბუკინი 284
კომაროვი 8, 108, 228
კომპაკოსი ვ. 285
კონსტანტინე (იხ. მუხრან-ბატონი კ. კ.)
კორუბეი 107
კოცოვსკი 291, 292
კოპლავაშვილი ა. 338, 341
კოხანოვი 108
კოხი 113
კრიჟანოვსკი გ. 107
კრჟიჟანოვსკი 107
კრუზენშტერნი 142, 189
კუზმინსკი 98
კულემიჩინი ლ. დ. 22
კუპატაძე ს. პ. 313, 314
კუპრაშვილი (დუჩიძე) შ. 105
კუტაკოვი ლ. 335
კუჩენბახი 48

ლ

ლადანი 284
ლაზარევი 110
„ლალი“ (ლასხიშვილი გ.) 185
ლეოვი 310
ლიბერმანი 216
ლეკიშვილი ს. 339
ლენინი ვ. ი. 3, 14, 45, 46, 50, 84, 92, 93, 119, 121, 132, 147, 148, 152, 153, 154, 155, 161, 162, 165, 166, 168, 181, 188, 195, 197, 201, 325, 327
ლენცი ა. 69
ლეჟავა ნოშრევანი 230
ლეჟავა ო. 256
ლერმონტოვი მ. ი. 72, 73, 75, 76, 77, 78, 79
ლესკანი 211
ლიბი ერნსტ 142, 143, 144, 194
ლიპინი 306
ლიპხარტი ო. 273, 275
ლიტვინოვი 277
ლონგინოვი 112, 113, 114
ლორია პ. 232
ლორთქიფანიძე დ. ბ. 292, 299
ლორთქიფანიძე კ. 175, 340

მ

მადინი კ. 203
მაიაკოვსკი ვ. ვ. 177, 207
მაიაკოვსკი ვ. კ. 177, 207
მაიაშვილი (ზდანოვიჩი) გ. 176
მამაცაშვილი კ. 39, 52
მანანოვი 128
მანუჩარ მდივანი 68
მარგოლიუსი 241
მარჭარა (ყაზაროვი) 74
მარქსი კ. 15, 43, 83, 156
მარტენი 225
მაქსიმოვიჩი 105
მაჩაბელი ი. 143
მაკავარიანი თ. 340
მაკავარიანი ყ. 291
მახარაძე ფ. 12, 178, 338
მაჰამეტ (მუჰამედ) ალი 90
მგალობლიშვილი ს. 175, 296, 341
მეგრელიშვილი გ. ი. 333
მეისნერი 216
მეიცნერი 98
მელერი 253, 254, 290

მელიქიშვილი დ. 149
მელიქიშვილი ე.
მელიქიშვილი თ. 130, 177
მელიქოვი 128
მელიქოვი ლ. 199
მელიქსედ-ბეგი ლ. 332
მენდელეევი დ. ი. 197, 202, 204, 339
მერკვილაძე ს. 175
მერცენფელდი ვ. 276
მერცენფელდი ო. 8, 9, 238, 241, 274, 275, 276, 277, 278, 283, 285, 286, 288, 289, 318
მესხი ს. 12, 13, 173, 174, 178, 183, 197, 231, 239, 240, 247, 264, 265, 275, 282, 302, 340
მესხია შ. 11, 334
მეტროპოლოვი 266
მიკლაშევიჩი ფ. ნ. 205
მინჩენკო 85, 88, 90
მირიანი (უფლისწული) 18
მირზოევი 199, 203, 289
მიულერი ბ. 52
მელქონიანი ვ. ა. 337
მოდებაძე კ. 230, 315, 319
მორდვინოვი 307
მორიცი ს. ს. 130
მოსეშვილი ვ. 278, 281, 285, 287, 289
მოჩალოვი ვ. 11
მუსინ-პუშკინი ა. ა. 18, 19
მუხრან-ბატონი ი. კ. 47, 49, 51, 209, 210, 214, 272, 281 286, 289, 300
მუხრან-ბატონი კ. 213
მუხრან-ბატონი მ. კ. 210, 213, 215, 217
მუხრან-ბატონი მ. ქ. 177
მუხრან-ბატონი ქ. ი. 178

ნ

ნაკაშიძე ი. 207
ნაკაშიძე ა. 207
ნაპოლეონი 80
ნაუმენკო 205
ნესმაშნაია მ. ი. 77
ნიკოლაძე ანა 221, 232
ნიკოლაძე გ. ნ. 309
ნიკოლაძე ნიკო 4, 12, 13, 107, 169, 172, 175, 176, 185, 192, 197, 198, 199, 204, 207, 208, 210, 211, 213, 214, 215, 216, 217, 218, 222, 231, 240, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 262, 263, 265, 266, 268, 269, 290, 293, 298, 305, 307, 308, 309, 310, 320, 333, 336, 338, 339, 340
ნიკოლაძე რუსუდანი 339
ნინოშვილი ეგნატე 12, 176, 206, 323, 324, 339, 341
ნობელი 213
ნოვოსელსკი ნ. 284

ო

ოგანეზასშვილი ქ. 63
ოთაროვები ძმ. 203, 204
ორბელი რ. რ. 332
ორბელიანი ა. 21, 25, 30, 47
ორბელიანი გ. 21, 25, 26, 31, 33, 35, 52, 74, 106, 117, 118, 144, 170, 171, 174, 189, 235, 333
ორბელიანი დ. ვ. 48, 51
ორბელიანი ვ. 21, 169, 174
ორბელიანი ზ. 31

ორბელიანი ი. 117
ორბელიანი მ. 127
ორბელიანი მანანა 174
ორბელიანი ბეზაკი სოფიო 169, 177
ორბელიანი სულხან-საბა 62, 70
ორბელიანი ქ. 44
ოსტრიაკოვი 268, 269, 272, 274
ოქრომჭედლიშვილი 39, 48. (იხ. სერებრიაკოვი)

პ

პავლე I 61
პავლოვი მ. ა. 111
პაველოვსკი 31, 147
პალაშკოვსკი 176, 199, 206, 211, 212, 215, 216
პაპასაშვილი გოგია (გვორა) 63
პაპაშვილი გოგია 63
პასკევიჩი 25, 80, 81, 82, 87, 91
პატარიძე პ. 299
პერნოლე 269
პეტცოლდტი 113
პეშკინი ი. 82, 84, 86, 88, 336
პიატერიკოვი პ. 65
პიო 241, 242, 277, 286, 316
პოზდეევი ნ. ბ. 219
პოზენი 31
„პოკოინიკი“ 71
პოლონსკი ი. პ. 28, 55, 147
პონშარი 237
პოტო ვ. 89, 91, 336
პრინცი ნ. 284
პუქე 241, 242, 277

ჟ

ჟორდანია თ. 337

რ

რაინპოლდტი ვ. 225
რაისი 98
რამაზოვი 105
რატიანი პ. 338
რაკველი ი. 495
რეხვიაშვილი ნ. 136, 337
რინძიუნსკი პ. 11
რიხტერი 281
რიპარდი 281
რობაქიძე ა. ი. 341
როზენი 88
როზმორდიუკი 96
როზოვი ი. 126, 152, 177
რომანოვი ლ. გ. 307, 308
როქკოვა მ. 11
როტშილდი 175, 217
რუვიე 269
რუსალსკი ა. 65
რუსუდან დედოფალი 77
რუქსი 101, 168

ს

სავათნავაშვილი ოპანეზა 24
სალარიძე ხ. 230, 232, 250, 251
სალომე 77
სამოილოვიჩი 72
ფარაჯიშვილი 98
საყვარელიძე 107
„საჩხერელი“ 274
სახეჩიძე პ. გ. 256
სახოკია თ. 176, 323
სემიონოვი ლ. პ. 45

სერებრიაკოვი (ოქრომჭედლიშვილი) ი. 39, 48
სერებრიაკოვა კ. ვ. 178
სიდოროვი 266
სიმენსი ძმ. 130, 202, 203, 315
სიმონოვიჩი ს. 176, 206, 238, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 260, 265, 266, 268
სიპიაგინი 80, 81
სიხარულიძე 281, 286, 287
სკარიაგინი 275
სლივიცკი 61
სმირნოვი 217
სმოლინი 136
სოლომონ I (იმერეთის მეფე) 16, 300
სოროკინი ა. 176, 246, 247, 251, 255
სოფიანო ლ. ნ. 21
სტატკოვსკი ბ. 141, 176, 218, 290
სუინსონი (სვინსონი) 237, 249, 254
სულხან-საბა ორბელიანი 62, 224
სუტგოვი 189

ტ

ტატარინოვი ა. 139, 140
ტერნერი 48
ტეტუსი ს. პ. 206, 207
ტყეშელაშვილი ნ. 11, 192, 283, 297, 331, 341

უ

უმიკაშვილი პ. 176, 296
ურბანოვიჩი 306

ფ

ფალიაშვილი ა. 209
ფერარი ანდრეა 69
ფირადოვი პ. 285
ფრანკე 101
ფურმანი ი. 268, 274, 275, 276, 277, 289
ფურცელაძე ა. 12, 30

ქ

ქავთარაძე კ. 219, 316, 317
ქაიხოსრო 70
ქვარიანი ს. 176
ქუთათელაძე ა. 266, 267

ღ

ღამბაშიძე დ. 255, 273
ღლონტი ალ. 5, 340
ღოღობერიძე გ. 278, 281, 286, 318
ღოღობერიძე ვ. 176
ღოღობერიძე ნ. 176, 281, 314, 323, 324

ყ

ყაზაროვი შარქარა 74
ყარალაშვილი 170
ყარამან ელიარაშვილი 63, 66, 69, 72, 73, 78, 79, 81, 82, 84, 85, 86, 87, 89, 90, 92

ყარანგოზაშვილი მ. დ. 178
ყიფიანი დიმიტრი 33, 36, 37, 38, 47, 333
ყიფიანი კ. 325
ყიფიანი მ. 174
ყორღანოვი 99

შ

შაბუროვა ვ. ნ. 177, 197
შაბუროვი ს. ი. 189, 197, 199, 240, 261
შამანოვი პ. 131
შამილი 64, 65
შმიდტი კ. 101, 139, 140
შოსტაკი ა. მ. 8, 9, 241, 271, 331
შტეინმანი 196
შტიუსე ი. 51, 100, 142
შულმანი 285
შუმანი 49
შუპე 307
შჩადრინი 127

ჩ

ჩაჩანიძე ი. ი. 319
ჩაჩანიძე ტ. გ. 316
ჩახვაშვილი ნ. ა. 341
ჩეკმაკოვი გ. 99, 100
ჩერნიშევსკი ნ. გ. 34, 333
ჩერნიშოვი 31
ჩიდსონი 257.
ჩიკვაიძე 281
ჩიკვაიძე გ. 304
ჩიკვაიძე ნ. 194, 198, 219
ჩინჯავაძე ნ. 49, 98
ჩოლოყაშვილი კ. 73, 78
ჩხეიძე ნ. 314
ჩხეტია შ. 5, 10, 11, 59, 331, 333, 334, 337
ჩუბინაშვილი ნ. 224, 339
ჩუბინიძე გ. 278, 281, 285, 287, 289, 318

ც

ცეიტლინი ა. 298, 314
ციალკოვსკი 108
ციმერმანი ა. 289
ცინცაძე ნ. დ. 310
ციციანოვი პ. 71
ციცკინი 142

ძ

ძიძარია გ. 11
„ძველი სემინარიელი“ 250, 251, 273

წ

წერეთელი 209
წერეთელი აკაკი 4, 9, 10, 12, 13, 32, 33, 34, 134, 169, 170, 171, 174, 175, 176, 177, 179, 184, 185, 188, 197, 198, 203, 206, 208, 209, 210, 218, 224,

227, 228, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 268, 269, 270, 271, 272, 273, 274, 275, 276, 277, 278, 279, 280, 281, 283, 284, 289, 292,
წერეთელი ანასტასია 219
წერეთელი ბ. 188
წერეთელი გ. ე. 4, 7, 12, 13, 166, 174, 175, 176, 178, 179, 183, 184, 185, 197, 198, 208, 209, 210, 211, 213, 214, 215, 216, 217, 218, 219, 220, 221, 222, 270, 271, 272, 285, 286, 290, 293, 329, 338, 339
წერეთელი გიორგი (საჩხერელი თავადი) 199, 218, 302
წერეთელი გ. ზ. 22
წერეთელი გრიგოლ 268, 269
წერეთელი დ. 10, 331
წერეთელი დ. რ. 218, 237, 294, 339
294, 295, 298, 299, 300, 302, 303, 319, 320, 326, 333, 337, 338, 340
წერეთელი ე. გ. 209, 220, 339
წერეთელი ე. 177
წერეთელი ვ. დ. 256
წერეთელი კ. გ. 325
წერეთელი ვ. 185
წერეთელი ზ. 22
წერეთელი ი. რ. 32
წერეთელი ნ. პ. — ბაზილევსკაია 259
წერეთელი როსტომი 230, 232, 235, 236, 237, 250
წერეთელი პ. 251
წერეთელი ს. 250
წერეთელი ს. ჭ. — ანდრონიკაშვილი 177, 272, 300
წიწილაშვილი გრ. 256
წოვიანოვი ი. ი. 199
წულუკიძე ა. 12, 168, 234, 235, 338
წულუკიძე გ. გ. 170, 174
წულუკიძე პ. 176, 281

ჭ

ჭანიშვილი ელ. 339
ჭავჭავაძე ა. გ. 21, 25—27, 32—33, 333
ჭავჭავაძე დ. ა. 333
ჭავჭავაძე ე. ა. — მარჯანიშვილისა 206
ჭავჭავაძე ე. ა. 32, 33
ჭავჭავაძე თ. ა. 178
ჭავჭავაძე ილია 4, 12, 13, 20, 30, 32, 33, 38, 39, 147, 166, 169, 175, 179, 180, 181, 182, 183, 184, 185, 204, 222, 230, 233, 293, 332, 337, 338
ჭიჭინაძე ზ. 61

ხ

ხატისოვი 143
ხატისოვი 206
ხაჭაპურიძე გ. 11, 270, 340
ხელთუბნელი მ. 333

ხეჩატურა 63, 70, 71
ხორუაშვილი 70
ხოშტარია ე. 336
ხუდადოვი ნ. ა. 290
ხუნდაძე სიმონ 11, 333, 339
ხუციშვილი ს. 332

ჯ

ჯავახიშვილი ი. 43, 334
ჯალალოვი ჰასან 160
ჯამბაკურ-ორბელიანი მამუკა 127
ჯამბაკურ-ორბელიანი მ. ვ. 169

ჰ

ჰომენგუეიმი 48
ჰუმბოლდტი 91

საგნობრივი საძიებელი

ა

აბრეშუმის მრეწველობა:
  ახალი ფაბრიკები 96
  შრომის ორგანიზაცია 95
  საწარმოო ტექნიკა 95, 96
  აბრეშუმით ვაჭრობა 25
აგარაკის მეტალურგიული ქარხანა 126
აგურის წარმოება 22, 98
ალაგირის ტყვია-თუთიის წარმოება 118
ალავერდის სპილენძის ქარხანა 16, 58, 60, 102, 103, 124, 125, 150, 151, 154, 157, 160, 163, 168, 170.
  მისი ტექნიკის დონე 133
  შრომის ორგანიზაცია 166
  მუშათა დასახლება 150, 151
  მწარმოებლურობა 129, 130, 131 132, 152
  პროდუქციის გასაღება 60, 64, 116, 119, 123
  მრეწველთა „ამხანაგობა" 151
ალგეთის ლითოგრაფიული ქვის წარმოება 104
ამქარი თოქმაჩების 61
ანანოვის კომპანია 143
არსენალი 21, 26
არტელი ალავერდის მეპურჭლეების 58, 181
არტილერიის პარკი 70
არტილერიის ყუმბარების წარმოება 99
არყის სახდელი წარმოება 58
აქციზი ნავთზე და ილია ჭავჭავაძე 183, 202, 203, 204
აყიყი 31
ახტალის მეტალურგიული ქარხანა 16, 23, 130, 131, 149, 151, 154, 158, 160, 177

ბ

ბაქოს ნავთობის მრეწველობა 9, 105, 119, 193, 194, 204, 207, 213, 214, 215
ბოვი თუჯსასხმელო წარმოებაში 100, 145
ბროლის საბადოები 22
ბრძმედით მადნის დნობა 140, 142, 144, 145, 154, 193, 194
ბუნებრივი სიმდიდრეები 22, 23, 29, 31, 33, 38, 39, 40, 44, 45, 52, 124, 125, 142
  მათი გეოლოგიური გამოკვლევა 125, 247, 248, 254
  მათი დამუშავება 22, 29, 33, 38, 39, 40, 113
ბუნებრივ სიმდიდრეთა კოლონიური ექსპლოატაცია 31, 39, 44, 45, 52, 124, 125, 142

ბ

გაზის წარმოება თბილისში 102, 118
გეოლოგიური რუკების შედგენა 35
გზების მშენებლობა 140, 164
გიშრის წარმოება 107
გლეხობის ლტოლვა გარე სარეწაევებისადმი 161, 166, 167
გლეხობის ლტოლვა სამთო წარმოებისადმი 146, 147, 157, 297, 302, 314, 322
გლეხი-მოიჯარადრენი 105
გლეხური სარეწაევები:
ნავთობის წარმოებაში 7, 105, 106, 331.
რკინის წარმოებაში 9, 11, 14, 22, 42, 54, 56, 57, 60, 63, 64, 65, 110, 111, 112, 113, 114, 115, 133, 136, 137, 138, 163, 170, 172, 173, 186, 187, 197.
სპილენძის წარმოებაში 9, 14, 23, 42, 60, 61, 101, 113, 122 123.
სარეწაევების ტექნიკის დონე 58, 131, 138, 151, 170, 187, 188, 202, 205, 210
სარეწაევების გაუქმების მიზეზი 187, 188
„გორდას“ ხმლის წარმოება 89
გრდემლი 61

დ

დამასკური იარაღის წარმოება 66, 71.
დამბაჩების წარმოება 58, 63
დაქირაევებული შრომის ზრდა:
აბრეშუმის მრეწველობაში 25, 96, 97, 98, 104
ნავთობის მრეწველობაში 152, 155
მეტალურგიაში 8, 41, 101, 126, 127, 130, 131, 143, 144, 147, 148, 149, 150, 151, 152
ქვანახშირის მრეწველობაში 108, 152, 155
ქვის საწახნაგო წარმოებაში 103
სოფლის მეურნეობაში 50
ხელოსნობაში 54, 56, 57, 59, 60, 64.

ე

ეკატერინობურგის საწახნაგო წარმოება 103
ეტლების წარმოება 102

ვ

ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება 36
ვერცხლის წარმოება 17, 23, 122, 125

ზ

ზარბაზნების წარმოება 63
ზეინკლობა 58, 59

თ

თამბაქოს მრეწველობა 98
თითბერის დამუშავება 61
თოფის გამოცდა 21, 22
თოფის წარმოება გურიაში, აფხაზეთში, აჭარაში 63
თოქმაჩობა 51, 61
თუთია 125
თუჯის მოხმარების ზრდა 101, 173, 193, 194, 195, 196
თუჯის უუმბარების წარმოება 146
თუჯის შემოზიდვა რუსეთიდან 99
თუჯის წარმოება 99, 100, 101, 102, 110, 113, 114
თუჯსასხმელო საწარმოები (პროექტი): ბათუმში 193—196; ბაქოში 193; თბილისში 195; ფოთში 168.
თუჯსასხმელო ქარხანა ფოლადაურში 9, 35, 122, 139, 141, 154, 155
მისი მშენებლობა 142, 144
მისი მწარმოებლურობა 145, 188, 189, 190—192
მისი ტექნიკის დონე 144—145
მისი შრომის ორგანიზაცია 151, 158
ქარხნის გაუქმების მიზეზი 194 — 196

ი

იარაღის წარმოება:
თეთრი იარაღისა—ახალციხეში 64; გორში 65; თბილისში 63, 64, 65, 71; თელავის მაზრაში 64; სიღნაღში 65
თოფებისა—გურიაში, აფხაზეთში, აჭარაში 63
ხმალ-ხანჯლებისა — ამიერკავკასიაში 64; საქართველოში 62, 63, 64, 65—92
იარაღის ექსპორტი ირანში 64

კ

კავშირ-გაბმულობის ქსელის გაფართოება 168
კაპიტალი მრეწველობაში:
ადგილობრივი—128, 196, 197, 199, 200
საზღვარგარეთული 29, 51, 98, 100, 101, 113, 128, 130, 139, 140, 142, 143, 144, 145, 168, 170, 184, 194, 198, 199, 202, 203, 315, 341
კაპიტალისტური ელემენტების ზრდა:
სამთამადნომეტალურგიულ მრეწველობაში 13, 24, 28, 29, 40, 41, 42, 123, 130, 131, 133, 139, 140, 142, 143, 144, 168, 170, 194, 198, 199, 202, 203, 315
მრეწველობის სხვა დარგებში 25, 94, 92, 173, 179
სოფლის მეურნეობაში 50
კაპიტალისტური ტექნიკა 92, 101, 144—145
კოქსის წარმოება 200
კოლონისტები საქართველოში 53
„კერტნიანი მუშების" რაოდენობის ზრდა 147

ლ

ლითონის ექსპორტი: რუსეთიდან 11, 60. 99. 102, 115, 116, 117, 119; საზღვარგარეთიდან 67, 86. 116, 117

ლითონზე მოთხოვნილების ზრდა 23, 29, 45, 58, 60, 62, 99, 101. 117

ლითონის მოხმარება:

მრეწველობაში 58, 98, 101, 102. 109. 110, 116, 117, 119, 120

სოფლად 45, 49, 73, 101, 103, 163

მოცულობა საქონელბრუნვაში 110, 116, 120

ლითონდამმუშავებელი „მსხვილი" საწარმოები 92, 98, 99, 193, 194, 195, 196

ლითონდამმუშავებელი სახელოსნოები: თბილისში 59, 65—92, 162; სოფლებში 55, 56, 57, 58, 63, 120, 162, 194, 198

მ

მანგანუმის მრეწველობა 11 (იხ. ჭიათურის მანგ. მრეწველობა)

მანგანუმის საბადოები 8. 9, 14, 225—228, 254, 299

მანქანების გამოყენება მრეწველობაში 58. 92, 93, 96, 97, 100, 101, 144, 145.

მანქანების გავრცელება სოფლის მეურნეობაში 12, 26, 36, 40, 47, 50, 53, 58

მანქანათსამშენებლო წარმოება 51 95, 100, 132, 152, 153, 154. 168, 173

მაუდის წარმოება 98

მეიარაღეობა 58, 62, 63. 64 65—92

მესპილენძეობა 55, 58, 59. 60

მეტალურგიის აღდგენა საქართველოში 19

მისი განვითარება 51, 98, 100, 101, 113. 128, 130, 139, 140, 142, 143, 144, 152, 157, 160, 162, 168, 170, 194, 198, 199, 202, 203, 315

ტექნიკის დონე 152, 194, 195, 196

მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნის ცდები:

აჯამეთში 198; ზ. იმერეთში 199; ფოლადაურში 196, 197, 199, 200; ქუთაისში 196

მექანიკური სახელოსნოები 168

მოზარდთა შრომის გამოყენება 157

მოსახლეობის ზრდა 44, 54

„მსხვილი" საწარმოები 94, 95, 100, 101, 168, 177, 178

მათი მწარმოებლურობა 94, 100—102, 168, 172, 178

მათი ტექნიკური დონე 152, 194, 195, 196

მუშათა ზრდა:

მრეწველობაში 95, 102—103. 151—152

სამთო წარმოებაში 311

მუშათა ზრდის ძირითადი წყაროები 111

მუშათა მდგომარეობა:
სამუშაო დროის ხანგრძლივობა 155, 157, 163, 316—317
შრომის ანაზღაურება 42, 143, 157, 158, 163, 318—319
საბინაო პირობები 158, 159, 321—324
გამოძალვა და მოტყუება 321—324
განათლება 159, 325—326
უბედური შემთხვევები 315—316
დაავადება და სიკვდილიანობა 322, 325
უფლებანი 160, 326
მუშათა გამოსვლები 129, 149, 157, 160, 162, 320, 321, 326
მწარმოებლური ძალების განვითარება 12, 15, 20, 29, 35, 37, 38, 40, 99, 165, 168, 169, 171, 174, 175, 176, 222, 229

ნ

ნავთზე მოთხოვნილების ზრდა 173, 202
ნავთობის მრეწველობა:
გლეხური სარეწავები: ახტან ბასილეში 105; ბაიდეში 105; კაპიჭეში 105; ნაბამბარში 105.
კაპიტალისტური სარეწავები: ბაღდადში 207, 208; გურიაში 206, 207, 208; ელდარში 105, 106, 201, 202, 203, 204, 205; ეშმაკისწყაროში 208, 222; ზემო იმერეთში 7, 205, 208—222; კავთისხევში 106; მირზაანში 106; ნავთლუღში 35, 104, 105, 205; შირაქში 106, 107.
მათი მწარმოებლობა 201, 202, 214
მათი ტექნიკის დონე 106, 205, 212, 210
ნავთის გამოსახდელი ქარხანა 35, 105, 202, 203, 205
სარეწავების დაცემის მიზეზი 202, 203
ნავთობის მრეწველობა და ქართველი საზოგადოებრივობა 183, 202, 203, 204, 208, 222
ნავსადგურის მშენებლობა ფოთში 168
ნალბანდობის გაფართოება 59
ნახშირის გამოწვა 22, 156

ო

ოზოკერიტის წარმოება 178
ორთქლის მანქანების გამოყენება მრეწველობაში 26, 34, 51, 93, 95, 96, 79, 98, 103, 130
ოქროს მოპოვება 17, 22, 23, 125

პ

პროექტი ამიერკავკასიაში რუსეთის კომპანიის დაფუძნებისა 24
პროექტი საცხენო რკინიგზისა ქუთაის-ტყიბულს შორის 108
პროექტი მძლავრი მეტალურგიელი ბაზის შექმნისა:
აჯამეთში 194
ზემო იმერეთში 199

ზემო რაჭაში 140
ფოლადაურში (ჩათახი) 196, 197, 199, 200
ფოთში 305
ქუთაისში 196
ჰიათურაში 305
პროექტი პუდლინგის წარმოებისა 135, 145

რ

რკინა 22, 61, 62, 102, 110, 122
რკინა ზოლოვანი 145
რკინაზე მოთხოვნილების ზრდა 118—121
რკინიგზა 30, 34, 35, 141, 172—174
რკინის გამოყენება:
მრეწველობაში 102, 163
სოფლის მეურნეობაში 43, 45, 49, 73, 101, 102, 163
რკინის იმპორტი — ინგლისიდან 116, ინდოეთიდან 67, 86
რკინის მოცულობა საქონელ-ბრუნვაში 110, 120
რკინის სულობრივი მოხმარება 118—121
რკინის შემოზიდვა რუსეთიდან 116, 117, 118, 119
რკინის წარმოების გლეხური საწარეწავები 7, 9, 11, 14, 22, 41, 54, 56, 57, 60, 63—65, 105, 106, 110 — 115, 133, 136—138, 163, 170—173, 186, 187, 197
რკინის საწარეწავები:
აფხაზეთში 63
აჭარაში 63
ბაიანში 196, 114—115
ბოლნისში 110, 111, 114
დაშქესანში 110—115, 118
ზემო იმერეთში 22, 85
ზემო რაჭაში 58, 111 — 115, 133 — 138, 186 — 187
ზემო სვანეთში 113, 145
თბილისში 111
სარკინეთში 111
ქართლ-კახეთში 110
ჩათახში 189
საწარეწავების გაუქმების მიზეზი 194 — 196
რკინის წარმოების ქარხანა ფოლადაურში 145, 188 — 189, 190—192
მისი გაუქმების მიზეზი 194 — 196
რუსეთის რკინის გაბატონება ამიერკავკასიაში 117, 118, 119
„რუსეთის ტექნიკური საზოგადოების კავკასიის განყოფილება“ 171, 172

ს

საბერველების დამზადება 157
საბრძმედო წარმოება 140, 142, 144, 145, 154, 193, 194
საგლინავი წარმოება 145
სამართებლების წარმოება თბილისში 61
სამეურნეო მანქანა-იარაღები 42—46, 49 — 53
მათი დამზადება-შეკეთება 48, 51, 59, 100
სამთამადნომეტალურგიული მრეწველობის განვითარება 19—25, 28, 29, 39 —42, 98—101, 113, 122, 128, 130, 139 — 144, 152, 157, 160, 162, 168, 170, 173, 194, 198, 199, 202, 203
მისი ტექნიკის დონე 42, 98,

100, 144, 145, 152, 194, 195, 196
მისი შრომის ორგანიზაცია 8, 41, 101, 126, 127, 130, 131, 143, 144, 147 — 152
სამონასტრო სარეწაველი ჭიათურაში 300
სამხედრო მექანიკური სახელოსნოები 51, 99
საქართველოს სამრეწველო განვითარება და მოწინავე საზოგადოებრიობა 17—40, 102 — 125. 179—183, 185—186, 198—199
საქარხნო მოწყობილობის შემოზიდვა:
რუსეთიდან 98, 103, 104, 154
საზღვარგარეთიდან 97, 100, 145
საწახნაგო წარმოება 103
საკურველთდამამზადებელი წარმოება 58. 62—92
სპილენძი 17, 22, 39, 61, 122, 125
სპილენძის წარმოება:
აგარაკში 126. 157, 177
ალავერდში 16. 58, 60, 64. 102. 103, 116, 119, 124, 125, 129—133, 150 — 157, 160 — 163, 168, 170. 341
ბამბაკში 58
ბურცხარ-კალაში 59
კაზახში 124
ფირდოუდანში 126, 157, 177
ქართლ-კახეთში 210
ქედაბეკში 130
შამბლუღში 126, 129, 132. 150, 151, 157
გლეხურ სარეწაველებში 58, 61, 101. 125, 127, 131
სპილენძის წარმოების შრომის ორგანიზაცია 8, 41, 101, 126, 130, 131. 143—152
ტექნიკის დონე 98. 100, 133 144, 145
სპილენძის ჭურჭლის წარმოება 60, 101, 102

ტ

ტელეგრაფი 30, 34, 35, 168
ტექნიკური ბიბლიოთეკა 20
ტექნიკური გადატრიალება მეტალურგიაში 132
ტექნიკური კულტურები 7, 25, 46
ტრანზიტით შემოტანილი ლითონი 58, 118, 119
ტყავის წარმოება 98
ტყვიის წარმოება 39, 61. 122, 125
ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობა 9, 107, 108, 152

უ

უბედური შემთხვევები სამთო წარმოებაში 159
უშიშროების ტექნიკა სამთო წარმოებაში 157

ფ

ფერომანგანუმის წარმოება 302—310
ფოლადაურის მეტალურგიული ქარხანა 9, 35, 129, 139, 141, 154, 155
ქარხნის მშენებლობა 142 — 144
მისი მწარმოებლურობა 145, 188. 189—192
მისი ტექნიკა 144—145

მისი გაუქმების მიზეზი 194—196
ფოლადი ინდური 67, 86
ფოლადი შეფილდის 70
ფოლადი ხალიბური 68
ფოლადი ჯავარდენისა 65, 66
ფოლადის წრთობა 69, 70, 87
ფურცლოვანი სპილენძის წარმოება 60

ქ

ქალების მეწარმეობითი მოღვაწეობა 176—178
ქალთა შრომა მეტალურგიაში 51, 97, 157
ქარგლები 61
ქვა-მუყაოს წარმოება 103
ქვანახშირი 39, 42, 107, 125
ქვანახშირის მოხმარების ზრდა 173
ქვანახშირის მრეწველობა: — ტყიბულში 107; ახალციხეში 109

უ

უემბარების წარმოება 99

შ

შაქრის წარმოება 97
შეგირდობა 59, 60, 61, 98, 152

ც

„ცეცხლის გემები“ 34
ცილინდრული პაერსაბერველები 154
„ციმბირული ნესი“ მეტალურგიაში 129
ცემენტის წარმოება ახალ-სენაკში 168
ცხენძრავას გამოყენება მრეწველობაში 98, 101, 153

ძ

ძვირფასი ქვების დამუშავება 22. 103

წ

წისქვილი 17
წყლის ბორბალი:
მეტალურგიაში 153, 154; სოფლის მეურნეობაში 49, 51

ჭ

ჭალის მთა 7, 14 (იხ. ნავთობის წარმოება ზემოიმერეთში)
ჭიათურის მანგანუმის მრეწველობა:
საბადოს „აღმოჩენა“ 8, 9, 14, 225—228, 247, 248, 254
მანგანუმის გამოყენება ძველად: საღებავებად 224, ფოლადის წარმოებაში 225

მანგანუმის ხარჯვა მრეწველობაში 225
საბადოს დამუშავების ცდები 229—268
მანგანუმზე მოთხოვნილების ზრდა 280—283
აკაკი წერეთელი ჭიათურის მრეწველობის ინიციატორი 270—280
მანგანუმის მადნის მოპოვება და ექსპორტი 285, 294
მრეწველობის ტექნიკის დონე 282, 285, 295
ჭიათურის მადნის ადგილი მსოფლიო ბაზარზე 280—283, 294
მადნის ტრანსპორტი 241, 288—290
მადნის ფასები 294—296
მრეწველთა ყრილობა და საბჭო 298
ჭიათურის მრეწველობის როლი ზემო იმერეთის გარდაქმნაში 300—302, 312, 314, 322

ხ

ხელოვნება —ოსტატთა რაოდენობის ზრდა 53, 57—59
ხელოსნობის ახალი დარგების გამოყოფა 28, 59, 60, 63, 65
მათი ტექნიკის დონე 61
მათი მწარმოებლურობა 54, 55, 64
მათი ხელოვნების დასაიდუმლოება 82—84
ხე-ტყის წარმოება 98, 168
ხის ნახშირის ხარჯვა მეტალურგიაში 146
ხმალ-ხანჯლების საწარმოები: ამიერკავკასიაში 64; საქართველოში 62—92

ჯ

ჯავარდენის იარაღის წარმოება: თბილისში 65—92; იმერეთში 69

ჰ

ჰაერსაბერველები მეტალურგიაში 145, 154
ჰიდროელსადგურები 308—310

შინაარსი

წინასიტყვა 3
შესავალი 6

ნაწილი პირველი

სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.):
ა. საქართველოს ეკონომიური განვითარების საკითხები და რეფორმამდელი ქართველი საზოგადოებრიობა 15
ბ. მანქანა-იარაღების გამოყენება სოფლად 40
გ. ლითონისა და მანქანა-იარაღების გამოყენება მრეწველობაში 58
დ. სამთამადნომეტალურგიული საწარმოები 122
ე. მეშათა მდგომარეობა 156

ნაწილი მეორე

საქართველოს სამთამადნომეტალურგიული მრეწველობა რეფორმისშემდგომ პერიოდში (1864—1900 წწ.):
ა. ქართველი საზოგადოებრიობა და რეფორმისშემდგომ მწარმოებლურ ძალთა განვითარების საკითხები 165
ბ. რკინის წარმოება 186
გ. ნავთობის მრეწველობა 201
დ. პიათურის მანგანუმის მრეწველობა 222
ე. ფერომანგანუმის წარმოების საკითხი 302
ვ. მეშათა მდგომარეობა 311
წყაროები 331
საძიებლები 342

რედაქტორი შ. სელაბერიძე
ტექრედაქტორი ბ. სიხარულიძე
კორექტორი ა. არობელიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/XI-62 წ. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂.
ნაბეჭდი თაბახი 18,65. საღრ-საგამომც. თაბახი 16.62. საავტ. თაბახი 16.32
უე 00519 ტირაჟი 2,000 შეკვ. № 512.
ფასი 1 მან. 55 კაპ.

მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი.
Типография № 4, Тбилиси, Медгородок.